თბილისის სსრ მეცნიერებათა აკადემია

ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

თენგიზ კაკაუაშვილი

ჰერეთის ისტორიის საკითხები

ნარკვევები
სოციალურ-ეკონომიური და
პოლიტიკური ისტორიიდან

(უძველესი დროიდან XII ს. I მეოთხედამდე)

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1970

9(c) 12 (c41)
9(47. 922 ჰერეთი)
ბ 189

ნაშრომში შესწავლილია ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული კუთხის — ჰერეთის ისტორიის საკითხები უძველესი დროიდან ვიდრე XII საუკუნის I მეოთხედამდე. ნაშრომში პირველად, შეძლებისდაგვარად, მოცემულია აღნიშნული ხანის ჰერეთის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების სრული სურათი. ნაშრომში გამოყენებულია ყველა სახის წყაროები: წერილობითი (ქართული და უცხოური), ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური, მატერიალური კულტურის ძეგლები და სხვ. აღნიშნულ წყაროთა ანალიზის საფუძველზე მონოგრაფიაში ნაჩვენებია ჰერეთის ქვეყნის ისტორიული განვითარების თავისებურებანი.

1—6—1

წინასიტყვაობა

იბერიას აღმოსავლეთით უძველესი დროიდანვე ჰერეთის ქვეყანა ესაზღვრებოდა, რომელიც ქართველთა მონათესავე ტომებით იყო დასახლებული. ჰერული ტომები ქართველთა უშუალო მეზობლად ცხოვრობდნენ და ამ უკანასკნელთა ძლიერ გავლენასაც განიცდიდნენ. იბერებსა და ჰერებს შორის ძველიდანვე მჭიდრო პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური ურთიერთობა არსებობდა. ამასთანავე, უძველესი დროიდანვე აშკარად შეიმჩნევა იბერიის მოსაზღვრე ჰერული ტომების ქართულ-კახელებთან კულტურულ-ეთნიკური და პოლიტიკური შერწყმის პროცესი. ჰერების შერწყმა ქართულ-კახელებთან ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს დაიწყო და მრავალი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. აღნიშნულმა პროცესმა განვითარების სხვადასხვა ეტაპი განვლო. საუკუნეების მანძილზე ჰერეთის ქვეყანას საკმაოდ რთული ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე მეზობელი კავკასიის ალბანეთისა და სომხეთის სამეფოებთან. ყოველივე აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ჰერეთის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ისტორიის საკითხების კვლევა-ძიება უნდა წარიმართოს ზემოაღნიშნული ქვეყნების ისტორიასთან მჭიდრო კავშირში.

ისე, როგორც საქართველოს სხვა მხარეები, ჰერეთიც რთული ისტორიული პროცესის შედეგად წარმოქმნილი ქვეყანაა. მაგრამ მრავალ დანარჩენთაგან ამ მხრივ ჰერეთი საგრძნობლად განსხვავდება: სხვებთან შედარებით ეს ისტორიული პროცესი აქ უფრო რთული ჩანს. ჰერეთის ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური განვითარება მთელი რიგი თავისებურებით ხასიათდება. საქართველოს ცალკეულ მხარეთა განვითარების თავისებურებათა შესწავლის აუცილებლობაზე აკად. ნ. ბერძენიშვილი ჯერ კიდევ 1935 წელს ხაზგასმით მიუთითებდა: „საქართველოში თითოეულ მხარეს „თავისი ისტორია“ აქვს. ზოგადისა და საერთოს გვერდით თითოეულ მათგანს დანარ-

ჩენთაგან განსხვავებული ისტორიული განვითარების თავისებურებანიც გააჩნია.

მათი შესწავლა-წარმოჩენა აუცილებელია და ეს არა მარტო მეცნიერული ცნობისმოყვარეობის თვალსაზრისით. ქართული საისტორიო მეცნიერება ახლა თავის ზრდა-განვითარების იმ ასაკშია, როცა მისი შემდგომი განვითარებისათვის ცალკეულ მხარეთა ამ თავისებურებების ისტორიული შესწავლა აუცილებელია და ეს აუცილებელია სწორედ საქართველოს მთლიანი ისტორიული განვითარების ცოცხლად, ხორცშესხმულად წარმოდგენისათვის, ამ განვითარების ნამდვილი მეცნიერული შესწავლისათვის"[1].

ჰერეთის ისტორიის ცალკეულ საკითხებსა თუ ფაქტებს არა ერთი მკვლევარი შეხებია (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ა. აფაქიძე, მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, ნ. ლომოური, რ. რამიშვილი, ლ. ჭილაშვილი და სხვ.), მაგრამ მისი ისტორიის მთლიანი მონოგრაფიული შესწავლა, ჰერეთის შესახებ ყველა არსებული წყაროების (წერილობითი, ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური, არქეოლოგიური და სხვ.) და მონაცემების თავმოყრა ჯერ არავის უცდია.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ ხარვეზის შევსების ცდას წარმოადგენს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰერეთის ისტორიის შესახებ არსებული წყაროები ყოველთვის ვერ იძლევა ყველა საინტერესო და საჭირო საკითხის გადაწყვეტის ანდა მათი სასურველი სისრულით დასმის საშუალებას. ამის გამო ჰერეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ ნაშრომში მხოლოდ ვარაუდია გამოთქმული, ხოლო მისი ზოგიერთი მონაკვეთი კი ამომწურავად ვერ არის გაშუქებული.

ჰერეთის ისტორიის ცალკეული საკითხების შესახებ არსებულ შეხედულებათა შეფასებას და მათ კრიტიკულ განხილვას, ჩვენ ცალკე თავი არ მივუძღვენით, იგი წარმოდგენილი გვაქვს უშუალოდ ნაშრომის ტექსტში (იქ, სადაც კონკრეტულ საკითხთა შესწავლის ცდა არის მოცემული).

---

[1] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1964, გვ. 175.

თავი I

ჰერეთ-ალბანეთის ისტორიული გეოგრაფიისა და ეთნიკური შემადგენლობის საკითხები

კავკასიის ალბანეთი ეგრის-იბერიისა და სომხეთის გვერდით მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული იყო ამიერკავკასიაში. ანტიკური მწერლების და აგრეთვე საშუალო საუკუნეების სომეხი ავტორების გადმოცემით, ეს ქვეყანა ძირითადად მოიცავდა მდინარეების: მტკვრისა და არაქსის ქვემო დინებას; ჩრდილოეთით იგი აღწევდა კავკასიონის მთავარ ქედამდე. აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე, დასავლეთით იგი ქართლის სამეფოს ესაზღვრებოდა, ხოლო სამხრეთით მის ფარგლებში შედიოდა მდ. არაქსისა და მუღანის ველები[1].

მდ. მტკვრით ალბანეთი ორ ნაწილად იყოფოდა: მარცხენა ნაპირისა და მარჯვენა ნაპირის ალბანეთად. მდ. არაქსი, რომელიც ეხლა მტკვარს მარჯვნიდან ერთვის და მტკვართან მისი შესართავი კასპიის ზღვიდან ასიოდე კილომეტრით არის დაშორებული, თავდაპირველად დამოუკიდებლად და უშუალოდ ერთვოდა კასპიის ზღვას. მდ. არაქსის ზღვასთან ცალკე შესართავის შესახებ ცნობა დაცულია სტრაბონის „გეოგრაფიაში"[2]. რა თქმა უნდა, ეს ცნობა სტრაბონს ამოღებული აქვს არა მისი თანამედროვე ისტორიკოსების(და არც პომპეუსის ლაშქრობათადროინდელ მწერლებიდან), არამედ უფრო ძველი ავტორების ცნობებიდან. პლუტარქი (I—II სს. ახ. წ.) პომპეუსის ბიოგრაფიაში, აგვიწერს რა პომპეუსის ლაშქრობას ალბანეთში (66—65 წწ.), უკვე აღნიშნავს, რომ მდ. არაქსი მტკვრის შენაკადია; ამასთან ერთად იგი იქვე დასძენს: ზოგიერთნი გადმოგვცემენ, რომ ეს ორი მდინარე (იგულისხმება მტკვარი და არაქსი. — თ. პ.) ერთმანეთს არ ერთვის,

---

[1] სტრაბონი, XI, 4, 1—ВДИ, 1947 წ., №4, გვ. 219; პლინიუსი — Естественная история, VI, 38—40—ВДИ, 1949, № 2, გვ. 302—303.

[2] სტრაბონი, XI, 1, 2; XI, 14, 3—4 და 7.

თითოეული მათგანი ცალ-ცალკე მიედინება. და, რომ მდ. მტკვარი ზღვას ერთვის მდ. არაქსის მახლობლად[3].

ამ ქვეყნის სახელწოდება ალბანია, ალბანეთი, უმთავრესად ბერძნულ-რომაულ წყაროებშია დამოწმებული. სომხურ წყაროებში იგი იწოდება, როგორც *Ալուանք*—Aluan—K. ამ სახელწოდების წარმოშობა ისტორიულ მეცნიერებაში დღემდე საბოლოოდ გარკვეული არ არის.

მ. ხორენელს თავის სომხეთის ისტორიაში ნათქვამი აქვს, ვითომც სომეხთა მეფე ვალარშაკმა სხვათა შორის „დიდი, სახელოვანი და მრავალრიცხოვანი ჩრდილო-აღმოსავლეთი ქვეყნის ქვეყანისმფლობელობა მოაწყო და არრანი (*Ալուանք*), კაცი სახელოვანი და გონიერება—ჰკვის საქმეში დაწინაურებული დააყენა მტკვრად წოდებულ დიდ მდინარესთან, რომელიც დიდ ველსა სჭრის (*հատանն*).“ მოსე ხორენელისავე სიტყვით სისაკისაგან წარმომდგარმა ტომმა ალუანთა ველი და მისი მთიანეთი მდ. რახსიდან ჰნარაკერტის ციხემდე დაიმკვიდრა. ამ ქვეყანას სისაკის ბუნების კეთილი თვისებების გამო ალუანქ-ი ეწოდა, რადგან თითონ მას ალუ-ს ეძახდნენო. ამ ტომის ერთი ჩამომავალთაგანი არრანი ვალარშაკ პართეველისაგან ქვეყნის მფლობელად დაინიშნა ათი ათასიანი ლაშქრით. ამბობენ, რომ არრანის შთამომავალთაგან წარმოდგა უტიელთა, გარდმანელთა, წავდეელთა და გარგარელთა ტომებიო. («*զազդն Ուտիացւոց և Գարդմանացւոց և Ծաւդեացւոց և Գարգարայեցւոց Իշխանութիւնն*»)[4].

ამ მეტად საყურადღებო ცნობიდან ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ მოსე ხორენელის მიხედვით, სახელწოდება „ალუანქ“-ი მომდინარეობს სიტყვა „ალუ“-დან. სომხურად «*ալու*» (აღუ) ნიშნავს კეთილს, სასიამოვნოს, ტკბილს. სახელწოდება ალბანეთის ასეთსავე ახსნას გვაძლევს მოსე კალანკატუელი. მისი ალვანეთის ისტორიის ეს ადგილი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს მოსე ხორენელს[5].

საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული აზერბაიჯანელ ისტორიკოსს, აბას-ყული-აღა ბაკიხანოვ-კუდსის, თავის ნაშრომში: „გი-

---

[3] А. Крымский—Страницы из истории Северного или Кавказского Азербайджана — См. сборник в честь «С. Ф. Ольденбургу», Ленинград, 1934, გვ. 289.

[4] *Մովսէսի Խորենացւոյ — «Պատմութիւն հայոց»*, Թիֆլիս, 1913, წიგნი II, გვ. 206.

[5] М. Каганкатваци, История Агван, СПБ, 1861, кн. 1, гл. IV, 5.

ულისტან-ირამ“. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში იგი ასე აყენებდა საკითხს: 1) იმის გამო, რომ სახელწოდებანი „ალანი“ და „ალბანი“ ძალზე ემსგავსებიან ერთმანეთს, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ისინი ერთიმეორისაგან არიან წარმოქმნილნი. 2) ანდა საფიქრებელია, — აღნიშნავს ბაკიხანოვი, — რომ სახელწოდება „ალბანია“ ამ ქვეყანას რომაელებმა შეარქვეს. სიტყვა albi (რაც ნიშნავს „თეთრს“), ბაკიხანოვის წარმოდგენით, აქ ნახმარია „თავისუფალის“ მნიშვნელობით. ამ მოსაზრების შესამაგრებლად ბაკიხანოვს მოტანილი აქვს შემდეგი ორი მაგალითი: ერთი ის, რომ ბელორუსიამ (Белая россия) თავისი სახელწოდება მიიღო იმის გამო, რომ იგი ვერ დაიპყრეს და ვერ დაიმორჩილეს მონღოლებმა ბათო ყაენის შემოსევების დროს; მეორე, მაგალითად, მას მოტანილი აქვს კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა „თეთრი სერბების“ შესახებ, სადაც ეს სიტყვა „თეთრი“ კონსტანტინე პორფიროგენეტს ნახმარი აქვს „თავისუფალის“, „დაუმორჩილებელის“ მნიშვნელობით[6].

სახელწოდება „ალვანეთის“ ახსნის ცდა მოცემული აქვს ქართველ ისტორიკოსს თეიმურაზ ბაგრატიონსაც. მისი შეხედულებით, „ალვანეთი“ წარმოდგება კახეთის გეოგრაფიულ პუნქტ „ალვანისაგან“. იგი წერს: „ესე წოდება ალვანია — არს უძველესთა ჟამთა შინა სახელის-დება. ალვანია ქართულისა წოდებისამებრ ითქმის სავანედ ალისა (ესე იგი სადგურად ცეცხლისა); ხოლო უკეთუ რომელთამე გულის ხმის ყოფისამებრ ვიტყვით და განვამარტებთ სპარსულად ალვან ნიშნავს მშვენიერსა ადგილსა (მაგრამ მე არა ვგონებ ესე ჭეშმარიტ იყოს). ალვანი არს სოფელი დასაწყისსა შინა შინაგანისა კახეთის გაღმა-მხარისასა, გაღმით ალაზან მდინარისა, პირისპირ დიდისა მის დაბისა ახმეტისა და ქვემორე ალვანისა მინდორი დიდი ალვანის მინდვრად სახელდებული;... უძველესთა დროთა შინა ადგილთა ამათ შინა ალვანისა სოფლისა და მინდვრისათა ქალაქი ფრიად დიდი ყოფილარს და ამის გამო სრულიად კახეთისა სამზღვართა და ვიდრე კასპისა ზღვადმდე ალვანიად სახელ-ედვა, ბერძენნიცა უწოდებდეს ეგრეთვე ალვანიად და ისტორიათაცა შინა მათთა და ევროპიელთასა მოხსენებულ არს ესრეთ“[7].

აკად. ნ. მარის ჰიპოთეზის მიხედვით, სიტყვა „ალბანეთი“, ისევე როგორც „დაღესტანი“, უნდა ნიშნავდეს „მთიან ქვეყანას“. კ. ვ. ტრე-

---

[6] А б а с-К у л и-А г а (Кудси) Бакиханов-Гюллистан-Ирам-Изд. Общества обследов. и изуч. Азербайджана, вып. 4-й, Баку, 1929 г., зз. 9.

[7] თ ე ი მ ურ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, «ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა», სპბ, 1848, გვ. 20—21.

ვერს, ითვალისწინებს რა იმ ამბავს, რომ ასეთივე სახელწოდება დადასტურებულია ისეთ მთიან ქვეყნებში, როგორიც არის ბალკანეთის ალბანია და შოტლანდია, ნ. მარის მოსაზრება დამაჯერებლად მიაჩნია[8]. ნ. მარის აღნიშნული მოსაზრების შესამაგრებლად, კ. ტრევერს დამატებით მოაქვს სხვა მონაცემებიც შოტლანდიის ტოპონიმიკიდან. ასე მაგალითად, იგი აღნიშნავს, რომ შოტლანდიის ძველი კელტური სახელი იყო „ალბანია"[9], ყველაზე დიდი მაღალმთიანი კუნძული შოტლანდიაში ატარებდა „არრანის" სახელწოდებას[10]. ხოლო სახელწოდება „არრანი" კი — განაგრძობს კ. ტრევერი — არაბთა დაპყრობების დროიდან მოყოლებული, წარმოადგენდა „ალბანეთის" შესატყვისს, მის სინონიმსო"[11].

თავის მხრივ, კ. ტრევერი სახელწოდება „ალბანიას" უკავშირებს სიტყვა „ალპებს", რომელიც, მისი აზრით, მომდინარეობს კელტური სიტყვიდან — „alp", „álb" — და ნიშნავს „მთას", „მაღალს"[12]. ნ. მარისა და კ. ტრევერის მოსაზრებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ აქ ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმები: „ალბანეთი" და „არრანი" ახსნილია კავკასიის ალბანეთისაგან სრულიად განსხვავებული ენობრივი სამყაროს მონაცემების საფუძველზე, რაც, ჩვენი აზრით, მაინცდამაინც არ უნდა იყოს გამართლებული.

აკად. ა. კრიმსკი, „ალბანეთის" resp. „არრანის" წარმომავლობის ახსნისას, ყურადღებას ამახვილებს ალბანეთის არშაკიდი მეფეების ტიტულზე — „ერან-შაჰი" ანუ „ერან-შაჰიკი". როგორც ა. კრიმსკი აღნიშნავს, ალბანეთის გვიანდელი მწიგნობრები, მაგალითად, მოსე კალანკატუელი[13], როგორც ჩანს, ტიტულში „ერან-შაჰი" გულისხმობდნენ ბიბლიურ პატრიარქ „ერანს", ისე როგორც მოსკოვის ძველი მწიგნობრები და მათ შემდეგ ლომონოსოვიც XVIII საუკუნეში, მოსკოვის სახელწოდებაში ხედავდნენ ბიბლიურ ეთნარქ „მოსოხს". აკად. ა. კრიმსკი ფიქრობს, რომ შესაძლებელია „ერან-შაჰი" იყოს „არან-შაჰის" გვიანდელი გადაკეთება, იმ გაგებით, რომ მასში იგულისხმებოდეს „მეფე არანთა", „მეფე ალბანთა". ასეთი თავდაპირველი მნიშვნელო-

---

[8] К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании, Москва-Ленинград, 1959, 5.

[9] The Encyclopaedia Britannica, vol. II, Cambridge, 1910, გვ. 487.

[10] The Encyclopaedia Britannica, vol. II, გვ. 644.

[11] К. В. Тревер, დასახ. ნაშრ, გვ. 5, სქოლიო 3.

[12] იქვე.

[13] М. Каганкатваци, История Агван, кн. I, гл. XV; кн. II, гл. XVII, გვ. 31, 136.

ბა ამ სიტყვისა შემდეგში დავიწყებას მიეცა და ხმარებაში შემოვიდა მისი ბიბლიურ ნიადაგზე განმარტება[14].

ვ. მინორსკის შეხედულებით, სახელწოდება „ალბანეთი“ ბერძნულ-ლათინურ წყაროებში იხმარებოდა იმ ქვეყნის აღსანიშნავად, რომელიც მდებარეობდა მდინარეების: მტკვრისა და არაქსის ქვემო დინების აუზში, იბერიასა და კასპიის ზღვას შორის. ამ ქვეყნის სახელწოდების ბერძნულ-ლათინური ფორმის ეკვივალენტი სომხურში არის „ალვანკ“ ან „რანი“, სირიულში „არანი“, ხოლო აქედან კი, მუსლიმანურ წყაროებში შემუშავდა საკუთარი ფორმა: „არ-რანი“ ან „არ-რანი“[15].

ს. ერემიანის აზრით, ეთნონიმ «ალბანეთს» საფუძვლად დაედო ერთ-ერთი იმ ალბანური ტომის სახელწოდება, რომელიც სომხურ წყაროებში «ლბინების» ან «ლფნიქ»-ის (*Լփնիք, Լփին*) ფორმით იხსენიება. ს. ერემიანი «ლბინში» resp. ««ლფნიქში» ხედავს სახელწოდება Al-b-an Alowan-ის შეკვეცილ ფორმას. Alban-Alowan-ის დერივატს, ს. ერემიანის აზრით, წარმოადგენს Aran-ი resp. Ran-ი. ს. ერემიანი უურადღებას აქცევს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ «ლბინები» resp. «ლფნიქები» ბერძნულ-ლათინურ წყაროებში იხსენიებიან Λιφίννοι-სა და Lupenii-ის ფორმით. საბოლოოდ ს. ერემიანი გვთავაზობს სახელწოდება «ალბანეთის» სხვადასხვა ფორმების ასეთ რიგს: Leφ-ni-q, Liφ-in-oi, Lup-en-ii, Al-b-an, alowan, Aran, Ran. მისი აზრით, «Это сопоставление нам показывает, что мы имеем различные формы названия народа А л б а н о в , resp. алванов (=алов) и страны Албании, resp. Алованк (поздняя форма Aǧowan-q» Аγуан-к»), которые я в л я ю т с я продуктом различных этнических образований и различных эпох»[16]. ლბინთა ტომის სახელწოდებიდან მომდინარეობს სიტყვა «ალბანეთი» ს. იუშკოვის მოსაზრებითაც. მან ჯერ კიდევ 1937 წელს მიაქცია ყურადღება ლბინების ტომს და აღნიშნა, რომ «Вопрос о Лбнии, кажется никем не был поставлен в исторической литературе, но можно полагать, что Лбния есть один из осколков древней Албании, а название Лбния есть модификация слова Албания». [17]

---

[14] А. К р ы м с к и й, Страницы из истории северного или кавказского Азербайджана (Классической Албании), зз. 290.

[15] В. Ф. М и н о р с к и й, История Ширвана и Дербенда X—XI веков, Москва, 1963, зз. 27.

[16] С. Т. Е р е м я н, Мойсей Каланкатуйский о посольстве албанского князя Вараз-Трдата к хазарскому хакану Алп-Илитверу, Записки института востоковедения АН СССР, т. VII, 1939, зз. 148—150.

[17] С. В. Ю ш к о в, К вопросу о границах древней Албании, Исторические записки, т. 1, 1937, зз. 138.

უკანასკნელ ხანებში ალბანეთის სახელწოდების შესახებ გამოითქვა კიდევ ერთი საყურადღებო მოსაზრება, რომელიც ეკუთვნის ზ. იამპოლსკის. მისი შეხედულებით, სახელწოდება «ალბანები» და «ალბანეთი», ამ ქვეყანას და მის მცხოვრებლებს შეარქვეს უცხოელებმა, თვით ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა თავის თავს «უტიებს» უწოდებდა. «Имена «албанцы» и «Албания» хорошо известны из античных и древнеармянских авторов и должны считаться инонаименованием «утиев» и «ути». «Утии» было самонаименованием коренного населения Албании..., что «утии» и «Ути» соответственно тождественны «албанцам» и «Албании». [18]

ზ. იამპოლსკის მოსაზრება ჩვენ დამაჯერებლად გვეჩვენება. საქმე იმაშია, რომ უტიები (იგივე უდინები) ალბანეთის ისტორიის უძველეს პერიოდში წარმოადგენდნენ ყველაზე უფრო გავრცელებულ და გაბატონებულ ტომებს მტკვრის შუა დინების აუზში. მათი შთამომავალნი ყოფილი «უტის» ოლქის ფარგლებში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყვნენ XX საუკუნის დასაწყისში, სოფელ ყირზანში (ყრზენ), ეხლანდელ ყაზახის რაიონში, აზერბაიჯანის სსრ. მარცხენა ნაპირის ალბანეთის ტერიტორიაზე კი უტიელები-უდინები დღემდე შემორჩენილან ორ სოფელში: ნიჯში და ვართაშენში, აგრეთვე თელავის მახლობლად მდებარე სოფ. ზენობიანში. გარდა ამისა, ჩვენ ხელთ არის ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტი XVIII საუკუნისა. დოკუმენტი წარმოადგენს წერილს, რომელიც 1724 წელს შეუდგენიათ აზერბაიჯანში მცხოვრებ უტიელებს და გაუგზავნიათ პეტრე I. უტიელები მოუთხრობენ რა პეტრეს თურქების მიერ მათი ქვეყნის აოხრება-დარბევისა და უტის მხარეში ისლამის გავრცელების შესახებ, ერთ ადგილას, ისინი პირდაპირ და გარკვევით აღნიშნავენ, რომ «ჩვენ ვართ აღვანები (ე. ი. იგივე ალვანები ანუ ალბანები), ეროვნებით უტიელები»—«Мы Агваны и по нации утийцы»[19].

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბერძენ-რომაელი მწერლები, გარკვეული პოლიტიკური მიზეზების გამო, „ალბანეთის“ ქვეშ გულისხმობდნენ მხოლოდ მარცხენან ნაპირის ალბანეთს, ე. ი. ე. წ. „საკუთრივ ალბანეთის სამეფოს“. ეს იმის გამო, რომ მარჯვენა ნაპირის ალბანეთს ისინი სომხეთის სამფლობელოდ სთვლიდნენ; მაგრამ ისინი მაინც აღნიშნავდნენ იმ ფაქტს, რომ ალბანები ცხოვრობდნენ მტკვრის სამხრეთითაც და არა მარტო საკუთრივ ალბანეთის სამეფოში. სხვათა შორის,

---

[18] З. И. Ямпольский — К изучению летописи Кавказской Албании— Известия А. Н. Азер. ССР, № 9, 1957, გვ. 154.

[19] Архив внешней политики России, МИД СССР. 1724, № 4, л. 27, об. Учен. записки Ин-та Востоковедения АН СССР, т. III, 1951, გვ. 138.

ამ ფაქტს ბერძენ-რომაელი მწერლები მაშინაც კი უსვამდნენ ხაზს, როდესაც მტკვრის ორივე ნაპირის ალბანეთი ჯერ კიდევ არ იყო გაერთიანებული ერთ მთლიან ალბანურ სახელმწიფოში.

ალბანეთის გეოგრაფიულ საზღვრებს, რომლებიც ისტორიული პროცესის განვითარების მსვლელობაში ცვლილებებს განიცდიდა, სხვადასხვანაირად განსაზღვრავენ მკვლევარნი.

აზერბაიჯანელი ისტორიკოსის, აბას-ყული-აღა (კუდსი) ბაკიხანოვის (1794—1846) აზრით, ალბანეთის ფარგლებში შედიოდა შირვანი და დაღისტანი[20].

გ. კლაპროტი (1814 წ.), როგორც ცნობილია, ალანებს აიგივებდა ალბანებთან, ამიტომ აქედან გამომდინარე, მას ალბანეთის ფარგლებში შეჰქონდა არა მარტო დაღესტანი, არამედ მთელი ჩრდილო კავკასიის ტერიტორია, რომელზედაც მოსახლეობდა ალანთა ტომი.

აკად. ვ. ბარტოლდი (1925 წ.) ფიქრობდა, რომ ალბანეთში ჩრდ. აზერბაიჯანის გარდა, შედიოდა მხოლოდ დაღესტანის ნაწილი. მისი აზრით, ალბანეთის ჩრდილოეთი საზღვარი დერბენდის ოლქის იქით აღარ მიდიოდა[21].

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ალბანეთის ტერიტორია განისაზღვრებოდა მხოლოდ ორი პროვინციით — შაქით და შირვანით. ასეთ აზრს გამოსთქვამდნენ ა. იანოვსკი (1846 წ.)[22] და ა. კრიმსკი (1934 წ)[23].

აკად. ბ. დორნი (1875 წ.), არ იზიარებდა ა. იანოვსკის შეხედულებებს ალბანეთის საზღვრების შესახებ. იგი ეყრდნობოდა რა უმთავრესად პტოლემეოსის ცნობებს, თავის სტატიაში «Древняя Албания по Птоломею», ასეთნაირად წარმოგვიდგენდა ალბანეთის საზღვრებს: «Албания граничила к сев. Сарматией, от которой отделялась Кераунскими горами; к зап. Иверией, от которой дальше к югу отделялась Алазаном; К югу Арменией, там где Сучия и рукав Аракса образуют границу; К вост. Каспийским морем до реки Soanas. По почти общепринятому мнению, она обнимала земли Шекинския и Ширванския с частью Дагистана вверх до Дербенда, который и восточные географы, например Якут, Мойсей Каганкатвацы и другие причисляли к Ширвану[24].

---

[20] Гюлистан-Ирам.

[21] В. В. Бартольд, Место прикаспийских областей в истории мусульманского мира. Баку, 1925, გვ. 10, 11.

[22] А. Яновский, О древней Кавказской Албании, журнал министерства народного просвещения, 1846, часть 52, გვ. 97—203.

[23] А. Крымский, დასახ. ნაშრომი.

[24] Б. Дорн-Каспии, Приложение к XXVI-му тому записок имп. Академии Наук, № 1. Санктпетербург, 1875, გვ. 323—324.

ს. იუშკოვი (1937 წ.) სპეციალურად შეეხო ძველი ალბანეთის საზღვრების საკითხს. სტრაბონის, პლინიუსის, პტოლემეოსის და აგრეთვე ნაწილობრივ VII საუკუნის სომხური გეოგრაფიისა და მოსე კალანკატუელის ცნობათა გამოყენებით, იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ: «Албания должна занимать всю территорию, которую сейчас занимает Азербайджан и Дагестан»[25].

ა. ბაკიხანოვი, ა. იანოვსკი, ბ. დორნი, ა. კრიმსკი, ვ. ბარტოლდი და ს. იუშკოვი ალბანეთის გეოგრაფიული მოცულობის განსაზღვრისას არსებითი ხასიათის შეცდომას უშვებენ. ისინი ალბანეთის ფარგლებს გარეშე ტოვებენ მტკვრის სამხრეთით მდებარე ძირძველ ალბანურ მიწა-წყალს, რომელიც მოიცავდა უტის, არცახისა და ფაიტაკარანის პროვინციებს. მართალია, ძვ. წ. II ს. ეს ტერიტორიები მოექცა მონათმფლობელური სომხეთის სახელმწიფოს მფლობელობის ქვეშ, მაგრამ მომდევნო საუკუნეებში (III—IV სს.) ალბანები ისევ იბრუნებენ თავიანთ მიწა-წყალს. არ არის გასაზიარებელი აგრეთვე ა. იანოვსკის და ა. კრიმსკის მიერ ალბანეთის შემადგენლობაში შაქის პროვინციის შეტანა და მისი წმინდა ალბანურ ტერიტორიად განხილვა, ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ უფრო ადრე თუ არა, V საუკუნიდან მაინც შაქი უკვე ქართლის სამეფოს ფარგლებშია (ქართულ ჰერეთში).

კ. ტრევერი (1960 წ.) ასე განსაზღვრავს ალბანეთის გეოგრაფიულ საზღვრებს: «Археологические данные, приходящие в настоящее время на помощь историку, не позволяют относить северные пределы Албании (начиная с I в. н. э.) к району севернее Дербентской области. Западными границами Албании являлась восточная Кахетия, южными-до Шв. р. Кура, а затем с III—IV в. в. р. Аракс; на востоке-Каспийское море».[26]

ალბანეთის გეოგრაფიული საზღვრების განხილვასთან დაკავშირებით, სპეციალურად უნდა შევჩერდეთ ს. ერემიანის ნაშრომზე: „Атлас к книге «История Армянского народа»[27]. ამ ატლასში შემავალი რუკებიდან ჩვენი საკითხისათვის საინტერესოა სამი რუკა: «სომხეთი I—IV სს.», «სომხეთი V — VII სს.» და «სომხეთი X—XI სს.». ჯერჯოდ, ამ რუკებზე ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს იბერიის (ქართლის) აღმოსავლეთი საზღვარი და შესაბამისად ალბანეთის დასავლეთი საზღვარი. ს. ერემიანის მიერ შედგენილი ამ რუკების გაცნობისას, ისეთი

---

[25] С. В. Ю ш к о в, К вопросу о границах древней Албании. Исторические записки А. Н. СССР, т. 1, 1937, გვ. 135.

[26] К. В. Т р е в е р, К вопросу о культуре Кавказской Албании-Изд. восточ. литературы, Москва, 1960, გვ. 1—2.

[27] часть первая, 7 карт. Ереван. Айпетрат, 1952.

შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს აღნიშნული სასაზღვრო ხაზი მთელი I—XI საუკუნეების განმავლობაში უცვლელი ყოფილიყო, იმ დროს, როდესაც ამ საზღვარმა უკვე IV—V საუკუნეებში არსებითი ცვლილებები განიცადა. ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით (იაკობ ხუცესი, ჯუანშერი, ლეონტი მროველი) დასავლეთი ალბანეთი resp. ქართული წყაროების ჰერეთი უკვე IV—V საუკუნეებში ქართლის სახელმწიფოში შემავალი ქვეყანა იყო. «XI საუკუნის მწერლის ჯუანშერის ცნობა მოწმობს, რომ ჰერეთი ვახტანგის სახელმწიფოში ერთ-ერთი საერისთაო იყო (ანასეული, ქცა, ჯუანშერი, 125), ხოლო მეორე მწერალი (ანონიმი) აღნიშნავს, რომ VIII საუკუნეში ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (წუქეთს) ისხდნენ «მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი და იყო მაშინ რომელი ერისთაობდა თუშთა და ხუნძთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუ-ხუასრო» (ანასეული, ქცა, გვ. 155). კიდევ უფრო ნიშანდობლივია ცნობა VIII საუკუნის ქართველთა მეფის არჩილის მოღვაწეობის შესახებ ჰერეთში. ის აშენებს ციხე-ქალაქებს (მათ შორის ნუხს), აწყობს ქვეყანას ადმინისტრაციულად, მისივ «ბრძანებით» (ე. ი. შემწეობით და ნებართვით) დაემკვდრნენ აქ, ჰერეთის აღმოსავლეთ ნაწილში—შაკიხში (შემდეგი დროის «შაქნი» ანუ შაქი) დასავლეთიდან ლტოლვილ მთავართა შვილები. არჩილსავე მიაწერს ეს წყარო ნუხელების გაქრისტიანებას (ანასეული, ქცა, 155).

როცა შემდეგ, საქართველოში ფეოდალური სამეფო-სამთავროები წარმოიშვა (VIII—IX სს.) და პოლიტიკური ჰეგემონობისათვის მათ შორის ბრძოლა გაჩაღდა, ჰერეთი ერთი იმ ქართული ერთეულთაგანი იყო, რომელიც ამ პროცესში ორგანულად მონაწილეობდა»... XI საუკუნის ოციან წლებში «კახეთის ქორიკოზმა კვირიკე დიდმა ჰერეთ-კახეთი პოლიტიკურად გააერთიანა, ადმინისტრაციულად მოაწყო ის და ამ ახალი ერთეულის მეფე იქმნა. ამით ჰერეთ-კახეთის პოლიტიკური შერწყმის პროცესი დასრულდა».[28] მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულ საისტორიო წყაროებში დაცული ეს ცნობები ს. ერემიანის ყურადღების გარეშე დარჩა, რის გამოც მის ატლასში წარმოდგენილ რუკებზედაც ალბანეთის დასავლეთი ნაწილი resp. ჰერეთი, ნუხიდან მოკიდებული ვიდრე გულგულამდე (თელავის ჩრდილოეთით), მთელი შაქის ოლქი, კაკ-ელისენი, ქისიყი, I—XI საუკუნეების მანძილზე უცვლელად ალბანეთის სამეფოს ფარგლებშია მოთავსებული. ასეთივე ხასიათის შეცდომაა დაშვებული ჰერეთ-ალბანეთის საზღვრების ჩვენებისას, 1959 წელს გამოსულ ჯ. ტრევერის წიგნში: «Очерки по истории и культуре Кавказской Албании»[29].

[28] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, „მიმომხილველი", III, 1953, გვ. 67—68.

[29] იხ. ნ. ლომოურის რეცენზია ამ წიგნზე: «ВДИ, 1960, № 3, გვ. 189.

ალბანეთის საზღვრების საკითხს ეხებიან დასავლეთ ევროპის მკვლევარნიც. მათი უმრავლესობა ალბანეთს წარმოგვიდგენს საკმაოდ ვრცელ ქვეყნად, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა თანამედროვე აზერბაიჯანისა და დაღისტანის ტერიტორია.

ედუარდ ეიხვალდი (1838 წ.) ალბანეთის საზღვრების განხილვისას უმთავრესად სტრაბონისა და პტოლემაიოსის ცნობებს ეყრდნობა. ე. ეიხვალდი შემდეგნაირ განსაზღვრას გვაძლევს ალბანეთის საზღვრებისას: აღმოსავლეთით — კასპიის ზღვა, დასავლეთით იბერია, ჩრდილოეთით — კავკასიონის ქედი, სამხრეთით სომხეთი[30]. როდესაც ე. ეიხვალდი გადადის პტოლემაიოსის ცნობების განხილვაზე, აქ იგი შედარებით უფრო აზუსტებს და აკონკრეტებს ზოგიერთი მხარის სასაზღვრო ხაზის მდებარეობას. ასე მაგალითად, ალბანეთის ჩრდილოეთი საზღვრის განმარტებისას, იგი აღნიშნავს, რომ ამ მხრიდან ალბანეთს სარმატია ემიჯნებოდა, და, რომ სასაზღვრო ხაზი მისდევდა მდ. სოანას, რომელსაც იგი მდ. სულაკთან აიგივებს[31].

ალბერტ ფორბიგერის (1844 წ.) მიხედვით, ალბანეთი მოიცავდა დღევანდელ შირვანს და დაღესტნის სამხრეთ ნაწილს. ე. ეიხვალდისაგან განსხვავებით, მას უფრო დეტალურად აქვს მოცემული ალბანეთის დასავლეთი საზღვარი. იგი აღნიშნავს, რომ ალბანეთს დასავლეთით იბერია ესაზღვრება, რომლისგანაც მას მდ. ალაზანი ჰყოფსო[32]. ამასთან დაკავშირებით, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა. ფორბიგერის ნაშრომის ერთი ადგილი, სადაც იგი პტოლემაიოსის ცნობებზე დამყარებით განიხილავს ალბანეთის დასავლეთ საზღვარს. იგი ერთგვარი გაკვირვებით და ეჭვით შენიშნავს, რომ პტოლემეოსი ერთობ გაფართოებულად წარმოგვიდგენსო ალბანეთის საზღვარს დასავლეთით: მისი აღწერით, მდ. ალაზანი ალბანეთის ტერიტორიაზე მიედინება და მას იმდენად თვითნებურად გაჰყავსო სასაზღვრო ხაზი იბერიასა და ალბანეთს შორის, რომ ეხლა საქართველოს კუთვნილ ქვეყანა კახეთს იგი ალბანეთისად სთვლისო. თვისი შრომის სხვა ადგილას, ა. ფორბიგერი პირდაპირ აღნიშნავს: „Ptol. rechnet den östlichen theil von Iberien,... schon zu Albanien“[34].

---

[30] E. Eichwald, Alte Geographie des Caspischen Meeres, des Kaukasus und sudlichen Russlands, II, Berlin, 1838, გვ. 342—346.

[31] E. Eichwald, დასახ. ნაშრომი, გვ. 435.

[32] A. Forbiger, Handbuch der alten Geographie, II, mit 3 karten, Leipzig, 1844, გვ. 449.

[33] A. Forbiger, დასახ. ნაშრომი, გვ. 449, სქოლიო 57.

[34] A. Forbiger, დასახ. ნაშრომი, გვ. 448, სქოლიო 51.

როგორც ვხედავთ, ა. ფორბიგერი ვერ იძლევა პტოლემაიოსის ცნობების სწორ ანალიზს, რაც იმით არის გამოწვეული, რომ იგი ალბანეთ-იბერიის საზღვარს განიხილავს არა ისტორიული პროცესის განვითარების მსვლელობაში, არამედ როგორც ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ უცვლელ ფაქტს.

კონრად მანნერტი (1795 წ.) ალბანეთის გეოგრაფიული ფარგლების გადმოცემისას, განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იბერიასა და ალბანეთს შორის გამავალ სასაზღვრო ხაზზე. ჯერ კიდევ იბერიის გეოგრაფიული აღწერისას, იგი აღნიშნავს, რომ იბერიას აღმოსავლეთით ალბანეთისაგან მდ. ალაზანი ჰყოფს და სრული დანამდვილებით, შეიძლება ითქვას, რომ ეს მდინარე პტოლემეს მიხედვით, მთლიანად ალბანეთს ეკუთვნის[35]. უფრო ქვემოთ, ალბანეთის დასავლეთი საზღვრის ჩვენებისას, კ. მანნერტი შენიშნავს, რომ სასაზღვრო ხაზი ალბანეთსა და იბერიას შორის მკაფიოდ არ არისო განსაზღვრული. კერძოდ, მას არ აკმაყოფილებს სტრაბონის გეოგრაფიის ის ადგილი, სადაც იგი წერს: „ალბანეთიდან შემოსასვლელი ჯერ კლდეებში არის გამოჭრილი. ხოლო შემდეგ გადადის ის ჭაობზე, რომელსაც ჰქმნის მდინარე ალაზონიოსი, გამომდინარე კავკასიონის ქედიდან“. აქ, მანნერტის აზრით, ზუსტად არ ჩანს სასაზღვრო ხაზის მდებარეობა; იგი იშველიებს პლინიუსს და მოჰყავს მისი ცნობა, რომელშიც პირდაპირ და გარკვევით არის ნათქვამი, რომ ალბანიას დასავლეთით იბერიისაგან მდ. ალაზანი ჰყოფს[36].

ფ. უკერტი (1846 წ.) ალბანეთის საზღვრების ჩვენებისას, ახალს არაფერს არ იძლევა ზემოთ დასახელებული დასავლეთ ევროპელ მკვლევართაგან განსხვავებით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი სასაზღვრო ხაზის მდებარეობის განსაზღვრისას (მაგ. იბერიისა და ალბანეთის საზღვარი), იგი სარგებლობს პტოლემესეული განედებით და სიგრძედებით[37].

კ. ბერის (1858 წ.) შეხედულებით, ალბანეთი ჩრდილოეთით მდ. სოანამდე აღწევდა, მდ. სოანას იგი სულაკთან აიგივებს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ კ. ბერიც, ა. ფორბიგერის მსგავსად, აღნიშ-

---

[35] K. Mannert, Geographie der Grichen, und Römer, IV, mit zwei karten, Nürnberg, 1795, გვ. 414.

[36] K. Mannert, დასახ. ნაშრომი, გვ. 422—423.

[37] F. A. Ukert, Geographie der Grichen und Römer, III, mit zwei karten, Weimar, 1846, გვ. 562.

ნავს (იმოწმებს კავკასიის ისტორიის მცოდნეთა შეხედულებებს), რომ კახეთი ალბანეთს ეკუთვნოდაო[38].

ალბანეთის საზღვრების განხილვა მოცემული აქვს აგრეთვე ჩეხ მკვლევარ ვ. ტომაშეკს (1894 წ.), თავის სტატიაში — „ალბანია", რომელიც მოთავსებულია პაული-ვისოვა-კროლის კლასიკურ სიძველეთა ენციკლოპედიაში. ვ. ტომაშეკის მიხედვით, ალბანეთის ჩრდილოეთი საზღვარია კავკასიონის მთავარი ქედი, კერძოდ, მისი აღმოსავლეთი განტოტება — კერაუნის მთები, რომლებიც დერბენდამდე ვრცელდებოდა. აღმოსავლეთი საზღვარი მისი აზრით, კასპიის ზღვა იყო: მდ. სულაკის შესართავიდან მტკვრის შესართავამდე; სამხრეთით — მდ. მტკვრის ქვემო დინება; დასავლეთით იორსა და ალაზანს შორის მდებარე ქედი[39].

ცალკე უნდა განვიხილოთ დასავლეთ ევროპელი მკვლევარის, ი. მარკვარტის (1901 წ.) შეხედულებანი ალბანეთის გეოგრაფიული მოცულობის შესახებ. ალბანეთის საზღვრები ი. მარკვარტს მოცემული აქვს VII საუკუნის სომხური გეოგრაფიის ვრცელი რედაქციის შესწავლის საფუძველზე. ალბანეთის (როგორც მარკვარტი აღნიშნავს, იგივე რანის ან არანის, რომელიც სპარსული ფორმაა სომხური „Alvank"-ის, არაბ.-„არრანი", ქართული „რანი") სამხრეთ საზღვრად მიაჩნია არაქსი და მტკვარი, დასავლეთის — მდ. ალაზანი, ჩრდილოეთის — კერაუნის მთები, ხოლო აღმოსავლეთის — კასპიის ზღვა[40]. საინტერესოა, რომ ი. მარკვარტი, ალბანეთის სამხრეთის საზღვრად ასახელებს მტკვარსა და არაქსს. აქ სავსებით სწორად იქცევა მარკვარტი: ითვალისწინებს რა ალბანეთის პოლიტიკურ ვითარებას, მან იცის, რომ გარკვეულ პერიოდამდე (კერძოდ, III საუკუნემდე) სასაზღვრო ხაზი გადიოდა მდ. მტკვარზე, ხოლო შემდეგში III—IV საუკუნეებიდან, სასაზღვრო ხაზმა გადაინაცვლა მდ. არაქსთან. ი. მარკვარტის განმარტებით, „საკუთრივ ალბანეთის სამეფო" მდებარეობდა კავკასიონსა და მდ. მტკვარს შორის. მაგრამ ი. მარკვარტი იქვე აღნიშნავს, რომ ალბანური მიწა-წყალი მდებარეობდა მტკვრის სამხრეთითაც. ეს იყო კასპიანა ანუ შემდეგდროინდელი ფაიტაკარანი, არცახი (მარკვარ-

---

[38] K. M. Baer, Der Alte lauf des Armenischen Araxes, იხ., Melanges Russes, Tires du bulletin historico-philologique de l'academie imperiale des sciences de st. — Petesburg, t., III, 4-e livraison, avec deux cartes, SPB, 1858, გვ. 462—463.

[39] Tomaschek, Albania, Paulys Real-Encyclopädie der classischen altertumswissenschaft, Erster Band, Stuttgart, 1894, გვ. 1303—1304.

[40] J. Marquart, Eransahr nach der Geographie des Ps. Moses Xorenaci, Berlin, 1901 გვ. 116.

ტის ლოკალიზაციით ყარაბაღის პროვინცია) და უტი, რომელიც როგორც ი. მარკვარტი განსაზღვრავს მდებარეობდა გუგარქის აღმოსავლეთით და არცახის ჩრდილოეთით[41].

ასეთია დასავლეთ ევროპის მეცნიერთა შეხედულებანი და მოსაზრებანი ალბანეთის გეოგრაფიული მოცულობის შესახებ. ი. მარკვარტის გამოკლებით, დას. ევროპის ზემოთ დასახელებულ მკვლევართა მიერ ნაჩვენებ ალბანეთის საზღვრებს გააჩნია ნაკლი. უპირველეს ყოვლისა, ეს ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ საზღვრები მათ მიერ დადგენილია ძალზე ზოგადად, არა აქვთ მოცემული თითოეული მხარის სასაზღვრო ხაზის ზუსტი, დეტალური განხილვა, და, რაც მთავარია, საზღვრების ჩვენებისას გათვალისწინებული არ არის ქვეყნის პოლიტიკური ვითარება და ისტორიული პროცესების განვითარების ცვალებადობა. ავიღოთ, მაგალითად ალბანეთის სამხრეთი საზღვარი. ე. ეიხვალდი[42], ა. ფორბიგერი[43], კ. მანნერტი[44], ფ. უკერტი[45] და ტომაშეკი[46] სამხრეთის საზღვრად სთვლიდნენ მდ. მტკვარს. სინამდვილეში კი, სამხრეთის სასაზღვრო ხაზი განიცდიდა ცვლილებას ქვეყნის პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ. თუ III საუკუნემდე საზღვარი მდ. მტკვარზე იდო, უკვე III—IV საუკუნეებიდან სასაზღვრო ხაზმა გადაინაცვლა მდ. არაქსზე. ამ გარემოებაზე ზემოთ დასახელებული ავტორები სრულებითაც არ ამახვილებენ ყურადღებას და აქედან გამომდინარე, მათ ალბანეთის ისტორიული საზღვრების გარეშე რჩებათ ისეთი ძირძველი ალბანური მიწა-წყალი, როგორიც იყო უტის, არცახის და ფაიტაკარანის ოლქები.

ალბანეთის გეოგრაფიული მოცულობის საკითხს შეეხო აგრეთვე თეიმურაზ ბაგრატიონი. იგი ასე წარმოგვიდგენს ალბანეთის ფარგლებს: „ალვანია არს ერთი უკვე ნაწილი ივერიისა, ესე იგი ყოველი კერძო კახეთისა, შაქისისა, რომელი ნაწილივე კახეთისა არს (აწ უწოდებენ შაქსა), შარვანი ანუ შირვანი (რომელისა აწ შირვანს უწოდებენ), ვიდრე ზღვამდე კასპიისა და ვიდრე დარუბანდამდე და იგიცა“[47].

დიმ. ბაქრაძის მიხედვით, ალვანია „შეიცავდა მთელს დაღისტანს და შირვანს“[48].

---

[41] J. Marquart, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.
[42] E. Eichwald, გვ. 435.
[43] A. Forbiger, გვ. 449.
[44] K. Mannert, გვ. 422.
[45] F. Ukert, გვ. 562.
[46] W. Tomaschek, გვ. 1303—1304.
[47] თეიმურაზ ბატონიშვილი, ისტორია ივერიისა, გვ. 20.
[48] დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფილისი, 1889, გვ. 276.

ალბანეთის საზღვრებზე უფრო ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, მივმართოთ უშუალოდ პირველ წყაროებს. ჩვენი განხილვის საგანს უმთავრესად სომხური და ქართული წყაროები შეადგენენ.

ალბანეთის გეოგრაფიული მოცულობის შესასწავლად და გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს VII საუკუნის ანანია შირაკელის სომხურ გეოგრაფიას. ამ გეოგრაფიის ორსავე რედაქციაში (მოკლესა და ვრცელში), მეტად საყურადღებო ცნობებია დაცული ალბანეთის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ. ალბანეთის გეოგრაფიული აღწერილობის გაცნობა დავიწყოთ ჯერ მოკლე რედაქციით.

ალბანია ანუ ალუანქი (*Ալուանք*) მდებარეობს იბერიის აღმოსავლეთით, კავკასიონთან ივი ესაზღვრება სარმატიას და ვრცელდება კასპიის ზღვამდე და სომხეთის ფარგლებამდე მდ. მტკვრისაკენ... ალბანია მოიცავს შემდეგ პროვინციებს: ეხნი (*Եխնի*), ბეხ (*Բեխ*), ქამბეჭანი (*Քամբեճան*), შაქე (*Շաքե*), ვოსტან-ი-მარწპან (*Ոստանի մարզպան*), დაშტი ბალასაკანი (*դաշտի բալասական*). გარდა ამისა, ალბანელებმა სომხებს ჩამოგლიჯეს ოლქები: შიკაშენი (*Շիկաշեն*), გარდმანი (*Գարդման*), კოლთი (*Կողթ*), ზავე (*Զաւե*), და კიდევ 20 სხვა ოლქი, რომლებიც მდებარეობს მდ. არაქსის მტკვართან შესართავამდე[49]. სომხური გეოგრაფიის ვრცელ რედაქციაში მოცემულია ზოგიერთი დამატებითი ცნობა მოკლე რედაქციისაგან განსხვავებით, რომელიც შეეხება ამა თუ იმ ოლქის გეოგრაფიული პუნქტის ადგილმდებარეობის განსაზღვრას. ასე მაგალითად, ამ გეოგრაფიის ვრცელ რედაქციაში ვკითხულობთ: ე. წ. «საკუთრივ ალბანეთი» მდებარეობს მდ. მტკვარსა და კავკასიონს შორის. ეხნის (*Եխնի*) ოლქი იბერიის მახლობლადაა, მდ. ალუანთან (*Ալուան*); ქამბეჭანი მდებარეობს მდ. მტკვართან (*եւ քամբեճան առ Կուրաւ*); ქამბეჭანის სამხრეთით ვარაზმანავარის ციხესიმაგრეა დაბა კუდრათით; მტკვრიდან აღმოსავლეთისაკენ, მდ. ალუანის მახლობლად მოთავსებულია ქალაქი გევგავი; კავკასიონის მახლობლად არის ბიხი. აღმოსავლეთით მდებარეობს შაქი და მდ. დეგარუ ამავე სახელწოდების ოლქთან; აღმოსავლეთითვეა ალბანეთის ქალაქი კავალაკი (*Կալաղակ*)[50]. 1963 წელს ს. ერემიანის მიერ გამოცემული VII საუკუნის სომხური გეოგრაფიის ტექსტის მიხედვით, ალბანეთის ზოგიერთი პროვინციის ადგილმდებარეობა, კ. პატკანოვისა და ა. სუკრის გამოცემასთან შედარებით, სხვანაირად არის განსაზღვრული.

---

[49] Армянская география VII века. Текст и перевод изд. К. П. Патканов, Спб., 1877, რუსული თარგმანის გვ. 40—41; სომხური ტექსტი, გვ. 17.

[50] Geographie de Moise de Corene d'Apres Ptolemee. Text Armenien, traduit en francais par le P. Arsene Soukry, Venise, 1881, ფრანგული თარგმანი. გვ. 39, სომხური ტექსტი, გვ. 28—29.

ასე მაგალითად, კამბეჩანი, თუ ვირწმუნებთ და მივიღებთ ერემიანისეულ აღდგენას ტექსტისას, მდებარეობდა მდ. იორთან (*Եւ Կամբեհան առ Իբրաւ*); პროვინცია «ვოსტან-ი-მარზპან»-ი და ალბანეთის მთავარი ქალაქი კაპალაკი (კაბალა) წარმოდგენილია ერთ მთლიან ოლქად (*Ոստան—ի—Մարզպան գաւառ և Կապաղակ [մայրա] քաղաք Աղուանից*); მდ. დეგარუს (ა. სუკრის გამოცემა) სახელწოდება ს. ერემიანის მიერ დადგენილ ტექსტში იკითხება — გეტარუდ (*Դեատառ գետ*) და სხვ[51].

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ნაწყვეტი VII საუკუნის სომხური გეოგრაფიის მოკლე და ვრცელი რედაქციიდან შეიცავს ე. წ. „საკუთრივ ალბანეთის სამეფოს“ (მარცხენა ნაპირის ალბანეთი) გეოგრაფიულ აღწერას. ეს უკანასკნელი კი, როგორც ამ გეოგრაფიის ვრცელს რედაქციაშია აღნიშნული, მოიცავდა მდ. მტკვარსა და კავკასიონს შორის მდებარე ტერიტორიას. აქ ჩამოთვლილი პროვინციებიდან ზოგიერთი ცნობილია სხვა წყაროებიდანაც და ხერხდება მათი ლოკალიზაციაც. ასე მაგალითად, აქ მოხსენებული „დაშტი ბალასაკანი“ არის იგივე ძველი კასპიანას ანუ ფაიტაკარანის ოლქი. ეს იყო ძველი ალბანური ტომის „კასპების“ ადგილსამყოფელი და მოიცავდა თანამედროვე თალიშის ოლქს და აგრეთვე ნაწილს მუღანისა და მილის (ძველი გარგარის) ველებისას. როდესაც გარგარის ველზე (თანამედროვე მილის ველი) წარმოიქმნა ქ. ფაიტაკარანი, რომელიც IV—V საუკუნეებში ალბანეთის მნიშვნელოვანი ეკონომიური ცენტრი იყო, მთელი მისი მიმდგომი კასპიანას ანუ ბალასაკანის ოლქი გადაიქცა მის საქალაქო ტერიტორიად, რის გამოც მოგვიანო ხანის სომხურ წყაროებში, მაგალითად, VII საუკუნის ანანია შირაკელის გეოგრაფიაში, კასპიანას (ბალასაკანის) ოლქი იწოდება ფაიტაკარანად[52], ხოლო VII—VIII საუკუნეებამდე, წყაროებში ფაიტაკარანად იწოდებოდა მხოლოდ ქალაქი; ოლქი კი რომელშიც იმყოფებოდა ფაიტაკარანი, სომეხ ავტორებთან ატარებს „კასპების ქვეყნის სახელწოდებას“[53]. ამის საილუსტრაციოდ, ჩვენ შეგვიძლია დავიმოწმოთ ფაუსტოს ბიზანტიელი. IV საუკუნის ამბებთან დაკავშირებით, ფაუსტოს ბიზანტიელი თავისი ისტორიის სპეციალურ თავში ლაპარაკობს „კასპების“ (*Կասպից*) ქვეყანაზე და ამ ქვეყანაში არსებულ ქ. ფაიტაკარანის მცხოვრებლებზე[54]. ფაიტაკარანი ლოკალიზდება თანამედ-

---

[51] Ս. Տ. Երեմյան, Հայաստանը ըստ «Աշխարհացույց»-ի, Երևան, 1963, გვ. 105, ამის შემდეგ ყველგან მივუთითებთ მოკლედ: ს. ერემიანი, სომხური გეოგრაფია.

[52] Армянская география VII века, გვ. 50—51.

[53] H. Hübschman, Die altarmenischen ortsnamen, Strassburg, 1904, გვ. 268—269.

[54] Փաւստոսի Բուզանդացւոյ, Պատմութիւն հայոց, Ս. Պետերբուրգ, 1883, გვ. 177.

როვე ორენყალას (ბაილაკანი) მიდამოებში[55]. რაც შეეხება თვით სახელწოდება „ფაიტაკარანს“, აქ უთუოდ მართალია ჰ. ჰიუბშმანი, რომელიც ფიქრობს, რომ აქ საქმე უნდა გვქონდეს ადგილობრივ, კასპეური წარმოშობის სახელთან[56].

სომხური გეოგრაფიის მოკლე რედაქციაში, როგორც დავინახეთ, მოხსენებულია კანტონი შიკაშენი (Շիկաշեն). ანანია შირაკელს, ეს ოლქი დასახელებული აქვს იმ კანტონთა რიცხვში, რომლებიც ალბანელებმა სომხებს ჩამოართვეს. ფაუსტოს ბიზანტიელი გვაწვდის ამ ოლქის სახელწოდების მეორე ვარიანტს—«შაკაშენს» (Շակաշեն)[57]. «შიკაშენი», უფრო სწორად «შაკაშენი» არის სტრაბონისეული «საკასენა»[58]. ამ ოლქის სახელწოდებაში ჩვენ ვხედავთ სკვითების (იგივე «საკების») ნაკვალევს ალბანეთის ტერიტორიაზე. შაკაშენი ლოკალიზდება თანამედროვე კიროვობადის რაიონში, აზერბაიჯანის სსრ. ამ სახელწოდებასთან დაკავშირებით, ზ. იამპოლსკი წერს: «Слово «шен» — «шени» живущие в армянском и грузинском языках, в связи с именами мест, приведенными античными авторами (Сака-сене, Камби-сене, Арак-сене и др.), является свидетельством правильности этих имен, их происхождения от «народа», имевшего в составе лексики это слово[59]».

შემდეგი ოლქი, რომელსაც სომხური გეოგრაფიის მოკლე რედაქცია იხსენიებს, ეს არის გარდმანი. ფაუსტოს ბიზანტიელი მას იცნობს გარდმანაზორის სახელწოდებით[60]. მოსე კალანკატუელის გადმოცემით, გარდმანი წარმოადგენდა ალბანეთის ცნობილი მთავრების, მიხრანიდების საგვარეულო ციხე-სიმაგრეს, რომელიც აგებულ იქმნა VI საუკუნის დასასრულს[61]. ქართულ წყაროებში შემონახულია გარდმანის მეორე სახელწოდებაც — „ხუზაშენი“. სუმბატ დავითის ძე მოგვითხრობს რა ბიზანტიის იმპერატორის, ჰერაკლე I ლაშქრობის შესახებ ამიერკავკასიაში, ერთ ადგილას, შენიშნავს, რომ ჰერაკლემ დატოვა რა ალყაშემორტყმულ თბილისთან ჯიბღუ ერისთავი, „თვით წარემართა ბაღდადს. და მივიდა გარდაბანს (resp.

---

[55] К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании გვ. 265.

[56] H. Hübschman, დასახ. ნაშრომი, გვ. 270.

[57] Փաւստոսի Բուզանդացւոյ, გვ. 176—177.

[58] სტრაბონი, XI, 8, 4.

[59] З. Ямпольский, «Вопросы истории Атропатены и Кавказской Албании позднескифской эпохи». Автореферат доклада. Москва, 1949, გვ. 2.

[60] ф. Բուզանդացւոյ, გვ. 176—177.

[61] М. Каганкатваци — История Агван, кн. II, гл. 17, გვ. 136.

გარდამანი), ვარაზ გაგელისასა, და დაილაშქრა ადგილსა მას, რომელსა ჰქუიან ხუზაშენი"[62].

სუმბატ დავითის ძის ქრონიკის ტექსტში დაცული ამ ცნობიდან აგრეთვე ირკვევა, რომ სომხურ წყაროებში მოხსენებულ ალბანეთის ოლქის გარდმანის (*Դարդման*), შესატყვისად ქართულ წერილობით წყაროებში იხმარებოდა „გარდაბანი". გარდაბნის ქვეყნის გეოგრაფიულ საზღვრებს ლეონტი მროველი შემდეგნაირად ადგენს: „გარდაბოსს მისცა ხუნანი და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მდინარე ბერდუჯისი (=ეხლანდელ მდ. დებედას), დასავლით ქალაქი გაჩიანი, და სამხრით მთა პირველ ხსენებული (ე. ი. სადაც ქართლის სამხრეთი საზღვარი იყო აღნიშნული — სომხითის მთები), და ჩრდილოთ მტკუარი"[63]. იგივე ლეონტი მროველი მოგვითხრობს: ფარნავაზმა „მესამე გაგზავნა ხუნანისა ერისთავად, და მისცა ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანთამდის, რომელ არს გარდაბანი"[64]. როგორც ვხედავთ, აქ, ორსავე შემთხვევაში, ერთი და იგივე საზღვრებია დასახელებული; ამრიგად, ლეონტი მროველის მიხედვით, გარდაბნის ქვეყანა ჩრდილოეთით ისაზღვრებოდა მტკვრითა და თბილისით, სამხრეთით — სომხითის მთებით, აღმოსავლეთით — მტკვრითა და ბერდუჯით, ხოლო დასავლეთით — ქალაქ გაჩიანით[65]. აღნიშნული ფარგლებით გარდაბნის ქვეყანა, ს. ერემიანის აზრით, ემთხვეოდა საქართველოს სსრ ბორჩალოს რაიონს[66]. რაც შეეხება სუმბატ დავითის ძის ქრონიკიდან ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ ნაწყვეტში მოხსენებულ გარდაბანს, მასში, ჩვენი აზრით, უნდა იგულისხმებოდეს გარდაბნის ქვეყნის ის ნაწილი, რომელიც ალბანეთის ფარგლებში იმყოფებოდა და, რომელიც სომხურ წყაროებში გარდმანის სახელწოდებით არის მოხსენებული. სომხური წყაროების გარდმანს ქართული გარდაბნის ქვეყნიდან ჰყოფდა მდ. ბერდუჯის ქვემო დინება და სასაზღვრო ციხე-სიმაგრე ხუნანი. ეს ალბანური ოლქი გარდ-

---

[62] ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1955, გვ. 375; იხ. აგრეთვე С. Т. Еремян—Заметки к тексту «Хроники Сумбата»—Извест. Арм. фил. А. Н. СССР, 1941, № 9, გვ. 27—28.

[63] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 8.

[64] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24.

[65] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1965, გვ. 31; შდრ. დ. მუსხელიშვილი, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII—XIII სს-ში, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბილისი, 1967, გვ. 63—64.

[66] С. Т. Еремян, Заметки к тексту «Хроники Сумбата», გვ. 28.

მანი resp. ხუზაშენი ლოკალიზდება თანამედროვე ყაზახის რაიონში, აზერბაიჯანის სსრ[67].

კოლთი (Կողթ), ანუ კოლთი, რომელსაც სომხური გეოგრაფიის მოკლე რედაქციის გარდა იხსენიებს ფაუსტოს ბიზანტიელი[68], მდებარეობდა, როგორც ამ წყაროებიდან ჩანს, მტკვრის მარჯვენა ნაპირის ალბანეთში, იგი წარმოადგენდა არცახის მხარის ერთ-ერთ ოლქს.

საინტერესოა სომხური გეოგრაფიის ვრცელ რედაქციაში მოხსენებული მდინარის «აღუანის» (Աղուանն), ანუ «ალუანის» ლოკალიზაციის გარკვევა. ამ მდინარის ადგილმდებარეობის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა კონტექსტშია იგი ნახსარი. სომხური გეოგრაფიის ვრცელ რედაქციაში, როგორც ვიცით, აღნიშნულია შემდეგი: ეხნის ოლქი იბერიის მახლობლადაა, მდ. ალუანთან (Աղուանն)[69]. ე. ი. ეს მდინარე იბერიის ახლო რაიონშია საძებარი. მდ. ალუანს ი. მარკვარტი, ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანად აიგივებს ანტიკური ავტორების Albanos-Albana-სთან,[70] მაგრამ, სამწუხაროდ, იგი არ იძლევა მისი ლოკალიზაციის ცდას. ს. იუშკოვს პლინიუსისა და პტოლემეოსის მდ. ალბანა (რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, უდრის სომხური გეოგრაფიის მდ. ალუანს) მიაჩნია დაღისტნის მდინარე სამურად[71], რაც ვფიქრობთ, არ უნდა იყოს სწორი. ს. იუშკოვის დასკვნას ეწინააღმდეგება უპირველეს ყოვლისა თვით მდ. ალუანის ანუ ალბანას ადგილმდებარეობის დახასიათება სომხური გეოგრაფიის ვრცელ რედაქციაში, სადაც ნათქვამია, რომ იგი მდებარეობს იბერიის მეზობლად არსებულ რაიონში, ხოლო მდ. სამური, რომელიც დაღისტანშია, ძალზე დაშორებულია იბერიისაგან, აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, არ შეიძლება ალუან-ალბანის სამურთან გაიგივება. საქმე იმაშია, რომ სომხური გეოგრაფიის ვრცელ რედაქციაში მოხსენებული ალუანი, რომელსაც შეესიტყვება ანტიკური მწერლების ალბანა, უნდა იყოს სომხური ფორმით გადმოცემული ქართული ალაზანი, რომელიც სწორედ იბერიის მიმდებარე რაიონშია. ამრიგად, შეგვიძლია მივიღოთ, რომ ალუან-ალბანა ეს არის ალაზანი[72].

---

[67] С. Т. Еремян, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

[68] Ф. Բուզանդացւոյ, გვ. 176—177.

[69] Soukry ფრანგული თარგმანი, გვ. 39, სომხური ტექსტი, გვ. 28—29.

[70] J. Marquart, Eranšahr nach der Geographie des Ps. Moses Xorenaci, გვ. 118.

[71] С. В. Юшков, «К вопросу о границах древней Албании» — გვ. 135—136.

[72] შდრ. С. Т. Еремян, «Мойсей Каланкатуйский о посольстве албанского князя Вараз-трдата к Хазарскому хакану Алп-Илитверу», Записки ин-та Востоковед. А. Н. СССР, 1939, т. VII, გვ. 149.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სომხური გეოგრაფიის მოკლე რედაქციის ვოსტან-ი-მარწპან (*Ոստանի մարզպան*) და ამავე გეოგრაფიის ვრცელი რედაქციის კავალაკი (*Կավաղակ*). ეს ორივე ტერმინი ერთი და იგივე გეოგრაფიული პუნქტის აღმნიშვნელად გვევლინება. კერძოდ, ისინი გამოხატავენ ალბანეთის ძველ დედაქალაქ კაბალას. სომხური გეოგრაფიის კავალაკი ეს არის პტოლემაიოსის ხაბალა და პლინიუსის კაბალაკი. ქ. კაბალა მოხსენებული აქვს აგრეთვე მოსე კალანკატუელს. ეს უკანასკნელი მოგვითხრობს რა 488 წ. ალუენის საეკლესიო კრების მოწვევის შესახებ, გვაცნობს ამ კრების დადგენილებას, რომელზედაც მეფისა და ბარდავის არქიეპისკოპოსის ხელმოწერათა შემდეგ, ჩვენ გვხვდება ხელმოწერა: «კაპალას (*Կապաղա*) ეპისკოპოსი მანასე»[73]. როგორც ვხედავთ, კაბალას სახელწოდება აქ გადმოცემულია «კაპალას» ფორმით. მოსე კალანკატუელის ისტორიის III წიგნში ქ. კაბალა იხსენიება VII საუკუნის ამბებთან დაკავშირებით, კერძოდ იქ, სადაც მოსე კალანკატუელი მოგვითხრობს ალბანეთის ქალკედონიტი კათალიკოსის ნერსესის შეჩვენების შესახებ: იმ პირთა შორის, რომელნიც გადაუდგნენ ნერსეს კათალიკოსს, ალბანეთის მემატიანე ასახელებს «კაპალაკას ეპისკოპოსს იოანნეს»[74]. «კაპალაკას ეპისკოპოსის იოანნეს» სახელს ჩვენ ვხვდებით აგრეთვე იმ საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის, რომელიც მოწვეულ იქნა ნერსეს კათალიკოსის დასჯის შემდეგ[75]. აქ უკვე კაბალა «კაპალაკას» ფორმითაა. კაბალა resp. ყაბალას იცნობენ ქართული საისტორიო წყაროებიც. კერძოდ, მას იხსენიებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი[76].

ქ. კაბალა, არა უგვიანეს I საუკუნიდან დაწყებული ვიდრე V საუკუნემდე წარმოადგენდა ალბანეთის არშაკიდი მეფეების რეზიდენციას. ხოლო მას შემდეგ, როდესაც V საუკუნეში ალბანეთის არშაკიდების დინასტიამ არსებობა შეწყვიტა (ეს მოხდა ირანის შაჰის ფირუზის (459—484) დროს, 464 წელს, როდესაც ვაჩე II იძულებული შეიქმნა ტახტიდან გადამდგარიყო)[77], კაბალა დროებით გადაიქცა ირანის სასანიდების მიერ დანიშნულ მარზპანთა ადგილსამყოფლად. ამის გამო მთელს იმ ოლქს,რომელშიც მდებარეობდა ქ. კაბალა, სომხური წყაროების მიხედვით, ეწოდა «ვოსტან-ი-მარზპან» (*Ոստանի մարզպան*)[78]. იგივე სახელწოდება, როგორც ჩანს, სულ მალე შეერქვა თვით ქ. კაბალასაც, და წყაროებშიც იგი იწოდებოდა «ვოსტან-ი მარზპანად» ან «ვოსტან-ი მარზ-

---

[73] М. Каганкатваци, кн. I, гл. 26, გვ. 65.

[74] М. Каганкатваци, кн. III, гл. 3, გვ. 238.

[75] М. Каганкатваци, кн. III, гл. 8, გვ. 243.

[76] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 339.

[77] А. Крымский, დასახ. ნაშრომი, გვ. 295.

[78] Армянская география VII века, გვ. 17, რუსული თარგმანის გვ. 40—41.

პანიანა»-დ, როგორც ამას VIII საუკუნის სომეხ ისტორიკოსს ლევონ-დისთან ვხვდებით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლევონდის «ხალიფთა ისტორიის» სომხურ ტექსტში, ეს სახელწოდება, რომელიც შედგება ორი სიტყვისაგან: «ვოსტანისაგან» და «მარზპანიანის-გან», წარმოდგენილია, განცალკევებულად; «ვოსტანი» და «მარზპანიანი» მიჩნეულია როგორც ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი გეოგრაფიული პუნქტი[79]. რაც აშკარა შეცდომაა და მიეწერება ტექსტის გვიანდელ გადამწერთ. ესევე შეცდომა გამეორებულია კ. პატკანოვისეულ რუსულ თარგმანშიც[80]. ლევონდის «ხალიფთა ისტორიას» თავდაპირველი სახით არ მოუღწევია; ცნობილია მისი მოგვიანო ხანის (XVII საუკ.) ხელნაწერები, ისიც მეტად არასახარბიელო სახით. ტექსტი ნაკლოვანი და დამახინჯებულია[81]. ს. ერემიანი «ვოსტან-ი-მარზპანს» აიგივებს რავენის ანონიმის «Castillum Tarsambaram»-თან, რომელსაც ასწორებს და კითხულობს, როგორც «Castillum Marsambaram-ს[82]. VI საუკუნეში, როდესაც იწყება პეროზ-აპატის resp. პეროზ-კავატის resp. ბარდავის აღზევება და ადგილი აქვს ხაზართა შემოსევებს, მარზაპანებმა თავიანთი რეზიდენცია გადაიტანეს ქ. ბარდავში, რომელიც უფრო ახლოს იყო ირანის საზღვრებთან.

ისტორიული კაბალის ლოკალიზაციის საკითხი კარგა ხნის განმავლობაში ზუსტად გარკვეული არ იყო. მის შესახებ გამოთქმული იყო მრავალი მოსაზრება. ასე მაგალითად, ცნობილი ორიენტალისტი გ. ლესტრენჯი თავის წიგნში: «The lands of the eastern caliphate» (კემბრიჯი, 1905), სხვათა შორის ამტკიცებდა, რომ «კაბალა მდებარეობს დერბენდის მახლობლად არსებულ მთებში » (გვ. 181). აკად. ა. კრიმსკი, ამის შესახებ აღნიშნავდა: გ. ლესტრენჯი ამ მეტად უცნაური დასკვნის გაკეთებისას შეცდომაში შეიყვანა იაკუთის გეოგრაფიული ლექსიკონის (XII ს.) და ირანელი გეოგრაფის ჰამადალახ ყაზვინის (XIV ს.) ბუნდოვანმა და ყოვლად გამოუსადეგარმა მითითებამ კაბალას ადგილმდებარეობის შესახებ. მართლაც, შემდეგში გ. ლესტრენჯი მიხვდა თავის შეცდომას და, როდესაც მან გამოსცა ჰამდალახ ყაზვინის ირანული ტექსტი, იქ ერთ-ერთ შენიშვნაში მან მიუთითა შერეფედინ-ალი-იეზდის თემურის ისტორიის ცნობაზე, რომელიც უარყოფდა კაბალას დერბენდის მეზობლად არსებობას, ხოლო ამავე ტექსტის ინგლისურ თარგმანში ლესტრენჯმა გარკვევით განმარტა, რომ «კაბალა მდებარეობს მდ. მტკვრის მახლობლად»-ო[83].

---

[79] Ղևոնդևայ Վարդապետի, Պատմութիւն, Ս. Պետերբուրգ, 1887, გვ. 132.

[80] Гевонд, История Халифов, спб, 1862, გვ. 92.

[81] Гевонд, დასახ. ნაშრ., წინასიტყვაობა, გვ. V.

[82] С. Т. Еремян, Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов по Tabula Peutingeriana, ВДИ, 1939, № 1, გვ. 89.

[83] А. Крымский, დასახ. ნაშრომი, გვ. 304.

ე. თაყაიშვილი (1897 წ.), ქართული წყაროების მიხედვით შედგენილ კავკასიის ისტორიულ რუკაზე, კაბალის ფიქსირებას ახდენდა ალბანეთის ფარგლებს გარეთ, კახეთში, თითქმის ალაზნის ზემო წელზე [84]. ანალოგიური შეხედულება განავითარა ნ. ყარაულოვმა (1908). იგი ვითომდაც IX—X საუკუნეების არაბი გეოგრაფების ცნობებზე დამყარებით, ამტკიცებდა, რომ ქ. კაბალა «მდებარეობდა მდ. ალაზნის ველზე, კავკასიონის მთავარი ქედის ერთ-ერთ ხეობაში[85]. შედარებით ახლოს მივიდნენ სინამდვილესთან ა. იანოვსკი და აკად. ბ. დორნი. ა. იანოვსკის (1846) აზრით, ქ. კაბალა მდებარეობს მდ. ტურიანის (კურაჩაის) აუზში, სადაც სახელწოდება კაბალა ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო. მან აქაური მუსლიმანური სასაფლაოს არქეოლოგიური გათხრაც კი ჩაატარა [86]. აკად. ბ. დორნმა (1875 წ.) უფრო დააზუსტა ქ. კაბალის ლოკალიზაციის რაიონი. იგი აღნიშნავდა: «Кабала лежит непосредственно перед соединением Карачая и Карасу, к юго-зап. от Ниджи; сохранившиеся доселе развалины местные жители называют Гавур-Каласи» [87].

უკანასკნელ ხანებში, დაზვერვით არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების შედეგად, საბოლოოდ დადგენილია, რომ ქ. კაბალა მდებარეობს აზერბაიჯანის სსრ, კუტკაშენის რაიონის, სოფ. ჩუხურ-კაბალას მახლობლად, სადაც დღემდე შემორჩენილია ძლიერი ციხე-სიმაგრის კედლები[88].

სომხური გეოგრაფიის მოკლე რედაქციის ალბანეთის ოლქი ბეხ (Բեխ), ჩვენი აზრით, უდრის ამავე გეოგრაფიის ვრცელი რედაქციის ბიხს, რომლის შესახებაც ნათქვამია, რომ მდებარეობს კავკასიონის მახლობლად[89]. ს. ერემიანის შეხედულებით, ალბანური ოლქი ბეხი ანუ ბიხი ლოკალიზდება თანამედროვე ზაქათალის რაიონში, სადაც მ. კალანკატუელის მითითებებით მდებარეობდა პუნქტი ბახალათ, პტოლემაიოსის Βακχια —77° სიგრძ. და 46° 36′ განედ[90].

ამავე პროვინცია ბეხს, როგორც ალბანეთში შემავალ კანტონს ასახელებს ლევონდი[91] „ბახალათი“ სომხური „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით წარმოადგენდა ალბანეთის საეპისკოპოსო ცენტრს[92]. შე-

---

84 Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып XXII, Тифлис, 1897, გვ. 64, გვ. 1.

85 СМОМПК, вып. XXXVIII, Тифлис, 1908, отд. 1, გვ. 128—129.

86 А. Яновский, О древней Кавказской Албании, გვ. 161—203.

87 Б. Дорн, «Каспий» — გვ. 345.

88 К. В. Тревер, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

89 Soukry, ფრანგული თარგმანი, გვ. 39, სომხური ტექსტი, გვ. 29.

90 С. Т. Еремян, Торговые пути Закавказья в эпоху сасанидов— გვ. 89.

91 Гевонд, История Халифов, Спб, 1862, გვ. 92.

92 Դիրք Թղթոց, Тифлис, 1901 გვ. 81.

საძლებელია, მართლაც, რომ ეს პროვინცია ბეხი resp. ბახალათ იყოს თანამედროვე ბახთალო ზაქათალის რაიონში.

ეხნის პროვინცია, რომელიც მდებარეობდა იბერიის მახლობლად, მდ. ალუანის (ჩვენი ლოკალიზაციით მდ. ალაზანი) აუზში[93], შესაძლებელია იყოს ლევონდის ისტორიაში მოხსენებული „ხენი“ ოლქი, რომელიც აგრეთვე ალბანეთში შედიოდა[94].

დამატებითი ცნობების უქონლობის გამო ძნელდება ალბანეთში შემავალი ისეთი გეოგრაფიული პუნქტების ლოკალიზაცია, როგორიც არის: ვარაზმანავარის ციხე-სიმაგრე (*Վարազմանաւառ բերդ*), და დაბა კუდრათი (*Կուդրաթ գիւղաքաղաք*). ს. ერემიანს შესაძლებლად მიაჩნია ვარაზმანავარის ციხე გააიგივეოს თანამედროვე კახეთის გეოგრაფიულ პუნქტ მანავთან[95], ხოლო დაბა კუდრათს იგი ათავსებს კახეთში მდებარე დღევანდელ დაბა კაჭრეთთან[96]. თვით ამგვარი ლოკალიზაციის უსაფუძვლობაზე, რომ არაფერი ითქვას, მცდარია ს. ერემიანის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც წმინდა იბერული მიწა-წყალი, მანავი და კაჭრეთი, VII საუკუნეში (როდესაც სომხური გეოგრაფიაა შედგენილი) ალბანეთის კუთვნილებად ცხადდება. ისტორიული წყაროების მოშველიება საჭიროც კი არაა იმის დასამტკიცებლად, რომ ალბანეთი მანავამდე და კაჭრეთამდე არასოდეს არ ვრცელდებოდა. ს. ერემიანის შეცდომა, აღნიშნული პუნქტების ლოკალიზაციის საკითხში, სავსებით ცხადია.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ალბანეთში მდებარეობდა აგრეთვე ქალაქი გევგავი (*Գըգաւ քաղաք*)[97]. სომხური გეოგრაფიის გევგავს უნდა შეესატყვისებოდეს, ჩვენი აზრით, ლევონდთან მოხსენებული „გეგავუ“, რომელიც აგრეთვე ალბანეთის ერთ-ერთ ოლქს წარმოადგენდა[98]. სომხური გეოგრაფიის ვრცელ რედაქციაში გევგავის ადგილმდებარეობა ასეა განსაზღვრული: მტკვრიდან აღმოსავლეთისაკენ, მდ. ალუანის (=მდ. ალაზანს) მახლობლად[99]. ს. ერემიანი ქალაქ გევგავს ათავსებს მდინარეების: იორისა და ალაზნის მტკვართან შეერთების ადგილის მახლობლად, მისგან ოდნავ ჩრდილო-აღმოსავლეთით[100].

---

[93] Soukry, ფრანგ. თარგმ. გვ. 39. სომხური ტექსტი, გვ. 28—29.

[94] Гевонд, გვ. 92.

[95] ს. ერემიანი, სომხური გეოგრაფია, გვ. 82.

[96] ს. ერემიანი, სომხური გეოგრაფია, გვ. 61.

[97] Soukry, ფრანგული თარგმანი, გვ. 39, სომხური ტექსტი, გვ. 29, ს. ერემიანი, სომხური გეოგრაფია, გვ. 105.

[98] Гевонд, გვ. 92.

[99] Soukry, ფრანგული თარგმანი, გვ. 39, სომხური ტექსტი, გვ. 29.

[100] ს. ერემიანი, სომხური გეოგრაფია, გვ. 47, იხ. აგრეთვე თანდართული რუკა.

მდ. დეგარუ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ს. ერემიანის მიერ აღდგენილ ტექსტში იკითხება-გეტარუდ (Գետարուդ գետ). აღნიშნული მდინარე ს. ერემიანის მიხედვით უდრის თანამედროვე აგრი-ჩაგს[101]; ხოლო რაც შეეხება თვით დეგარუს resp. გეტარუს მხარეს (Գետարուդ գաւառ), იგი მოიცავს დღევანდელი აჯინოურისა და ელდარის ველების ტერიტორიას, რომელიც შემოიფარგლებოდა სამხრეთით მდ. მტკვრით, დასავლეთით— მდ. ალაზნით, ჩრდილოეთით კი—მდ. აგრიჩაგთ[102].

სპეციალურად უნდა შევჩერდეთ შაქესა (Շաքե) და ქამბეჭანზე (քամբեճան). ორივეს, როგორც ზემოთ ვნახეთ, VII საუკუნის სომხური გეოგრაფია ალბანეთში შემავალ კანტონებად თვლის. შაქეს ანანია შირაკელი ათავსებს პროვინცია ბიხის (თანამედროვე ზაქათალის რაიონი) აღმოსავლეთით, ხოლო ქამბეჭანის შესახებ კი ამბობს, რომ იგი მოიცავდა მტკვრის მიმდგომ ადგილებს (եւ քամբեճան առ կուրուն)[103]. ალბანეთში ათავსებს შაქესა და ქამბეჭანს VIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ლევონდიც. იგი მოგვითხრობს რა ხაზარების ლაშქრობათა შესახებ ალვანეთში მეორე აბასიდი ხალიფას დროს (754—775), ჩამოსთვლის ალბანეთში შემავალ 10 პროვინციას, რომლებიც ხაზარებმა დაიპყრეს და მათ შორის ასახელებს შაკესა და კამბეჩანს[104].

ბუნებრივია ისმის კითხვა: რატომ შეაქვთ VII საუკუნის სომხური გეოგრაფიის ავტორს და VIII საუკუნის ისტორიკოსს ლევონდს შაქი და ქამბეჭანი (ანტიკური მწერლების «კამბისენე» და ქართული წყაროების «კამბეჩოვანი») ალბანეთის ფარგლებში»? ხომ ცნობილია ის ფაქტი, რომ ჰერეთი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ შაქი და კამბეჩოვანი VII—VIII საუკუნეებზე გაცილებით ადრე ქართლის სამეფოს საზღვრებშია? გ. მელიქიშვილი ჰერეთის ქართლის სამეფოს ფარგლებში შესვლას ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში ვარაუდობს; იგი წერს: «можно думать, что уже в III в. до н. э. территория Эрети (восточная часть совр. Кахети)... вошла в состав Картлийского государства... Несомненно, сильная в III в. д. н. э. Картли не оставила бы вне своих границ области с Картским (иберским) населением[105]».

მართალია, იყო პერიოდი (ძვ. წ. ა. II—I სს., მონათმფლობელური სომხური სახელმწიფოს ძლიერების დროს), როდესაც ქართლის ხელისუფალთ დაკარგეს კონტროლი ჰერეთის რაიონებზე; მაგრამ მომდევნო

---

[101] ს. ერემიანი, სომხური გეოგრაფია, გვ. 47.

[102] იქვე, იხ. აგრეთვე თანდართული რუკა.

[103] Soukry, ფრანგ. თარგმ. გვ. 39, სომხური ტექსტი, გვ. 28—29.

[104] Геводи, გვ. 92.

[105] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 297.

საუკუნეებში ახ. წ. ა. II საუკუნიდან, ქართლის სამეფო დიდად იფართოებს საზღვრებს და ჰერეთიც მისი გავლენის სფეროში ექცევა, მისი ორგანული შემადგენელი ნაწილი ხდება. მაინც და მაინც, ის კი უცილობელია, რომ ქართული წყაროების მიხედვით (იაკობ ხუცესი, ლეონტი მროველი, ჯუანშერი) IV—V საუუნეებში ჰერეთი ქართლის განუყოფელი ნაწილია და, მაშასადამე, VII—VIII საუკუნეებში შაქი და კამბეჩოვანი ველარ იქნებოდნენ ალბანეთის შემადგენლობაში, როგორც ამას სომხური გეოგრაფიის ავტორი ანანია შირაკელი და სომეხი ისტორიკოსი ლევონდი ამტკიცებენ. ამ ორი სომხური წყაროს ავტორთა ასეთი განცხადება, ვფიქრობთ აიხსნება თვით ამ წყაროთა თავისებურებით.

სომხური გეოგრაფიის შედგენის დროისა და მისი ავტორების საკითხის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. სომხური გეოგრაფია შემონახულია მრავალრიცხოვანი ხელნაწერების სახით, რომელთაგან ყველაზე უძველესი XIII საუკუნით თარიღდება[106]. ამ გეოგრაფიული ტრაქტატის თავდაპირველ ტექსტს ჩვენამდის სრული სახით არ მოუღწევია. არსებული ორი რედაქცია, მოკლე და ვრცელი, როგორც ეს ი. მარკვარტმა დაადგინა, წარმოადგენს შემოკლებულ კომპილაციებს, რომლებიც ამოღებული უნდა იყოს სრული ტექსტიდან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად[107]. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული რედაქციები მხოლოდ ნაწილობრივ იძლევიან შესაძლებლობას წარმოდგენა ვიქონიოთ გეოგრაფიის თავდაპირველი სომხური ტექსტის რაობაზე.

ძველი სომხური მწერლობის ამ მნიშვნელოვანი ძეგლის შესწავლისას, მკვლევარნი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ, უპირველეს ყოვლისა, მისი შედგენის დროის განსაზღვრის საკითხს. ამ საკითხს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც იგი წარმოადგენს ამოსავალ პუნქტს იმ მკვლევართათვის, რომელნიც სომხურ გეოგრაფიაში დაცული ცნობების საფუძველზე სერიოზულ დასკვნებს აკეთებენ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისა და გეოგრაფიის შესახებ.

როგორც ცნობილია, ჩვენამდე მიღწეული ხელნაწერების უმრავლესობის სათაურშივე გეოგრაფიის ავტორად მიჩნეულია მოსე ხორენელი, რომელსაც V საუკუნის მწერლად თვლიდნენ. ამის გამო, საკმა-

---

[106] Я. А. Манандян, Когда и кем была составлена «Армянская география», приписываемая Моисею Хоренскому, Византийский временник, том. 1 (XXVI), Москва, 1947, გვ. 127.

[107] J. Markwart, Изв. Русского археологического института в Константинополе, XV, 1911, გვ. 15, შენიშვნა 2.

ოდ დიდი ხნის განმავლობაში, მისი შედგენის დროზე მკვლევართ ეჭვიც კი არ ეპარებოდათ: ისინი ამ ნაწარმოებს V საუკუნეში შედგენილად თვლიდნენ. ამ ლიტერატურულ ტრადიციას შემდეგშიც მტკიცედ იცავდნენ ისეთი მკვლევარნი, როგორიც იყვნენ ლ. ინჭიჭიანი და გეოგრაფიის ვრცელი რედაქციის გამომცემელი (1881 წ.) ა. სუკრი. ლ. ინჭიჭიანი და ა. სუკრი, მიიჩნევდნენ რა სომხურ გეოგრაფიას V საუკუნის ნაწარმოებად, ამავე დროს აღიარებდნენ, რომ მასში მოიპოვება VI—VII საუკუნეების ჩანართები და ინტერპოლაციები[108].

მაგრამ ჯერ კიდევ 1789 წელს ფრანგმა მეცნიერმა ბარონმა სენტ-კრუამ ეჭვის ქვეშ დააყენა აღნიშნული დათარიღება. მან ყურადღება მიაქცია ერთ-ერთ იმ ანაქრონიზმს, რომელიც გეოგრაფიის მოკლე რედაქციაში გვხვდება. კერძოდ, როგორც სენტ-კრუა აღნიშნავდა, გეოგრაფიაში დაცულია ცნობა ქალაქ ბასრას შესახებ, რომელიც არაბებმა დაარსეს VII საუკუნეში. ამ ცნობაზე დაყრდნობით, სენტ-კრუა ვარაუდობდა, რომ სომხური გეოგრაფიული ტრაქტატი შედგენილი უნდა ყოფილიყო VII საუკუნის დასაწყისში[109].

მთელ რიგ ახალ ანაქრონიზმებზე გეოგრაფიის იმავე მოკლე რედაქციაში ყურადღება გაამახვილა აგრეთვე ცნობილმა ფრანგმა არმენოლოგმა სენ-მარტენმა, რომელმაც პირველად გამოსცა გეოგრაფიის სომხური ტექსტი ფრანგული თარგმანითურთ (1819 წ.). თავისი გამოცემის წინასიტყვაობაში სენ-მარტენი, იძლევა რა მის მიერ შემჩნეული ანაქრონიზმების დაწვრილებით კრიტიკას, მიდის იმ დასკვნამდე, რომ სომხური გეოგრაფია არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს V საუკუნის ნაწარმოებად; მისი აზრით, იგი უნდა მიეკუთვნოს IX საუკუნის დასასრულს, ანდა X საუკუნის შუა ხანებს[110].

პროფ. კ. პატკანოვი, რომელსაც ეკუთვნის ამ გეოგრაფიის მოკლე რედაქციის ტექსტის პუბლიკაცია (1877 წ.), ამ ძეგლს სთვლიდა VII საუკუნის პირველი ნახევრის ნაწარმოებად, ავტორად კი მას მიაჩნდა ცნობილი სომეხი მწერალი ანანია შირაკელი"[111].

---

108 Л. Инджиджьян. Древности Армении, გვ. 303—314; Soukry, გვ. VII—VIII.

109 Sainte—Croix, Sur la Geographie de Moise de Chorène, იხ., «Journal des Savants», Paris, 1789, აპრილი, გვ. 217.

110 J. Saint-Martin, Memoires historiques et geographiques sur L'Armenie, t. II, Paris, 1819, გვ. 301.

111 Армянская география VII века, წინასიტყვაობა, გვ. XIII, XVII.

ი. მარკვარტის აზრით, სომხური გეოგრაფია შედგენილი უნდა ყოფილიყო პირველი აბასელი ხალიფების დროს, ე. ი. VIII საუკუნის მეორე ნახევარში[112].

ი. მანანდიანის დასკვნით, ძველი სომხური გეოგრაფია უნდა ჩაითვალოს IX საუკუნის ნაწარმოებად[113]. პ. ინგოროყვას აზრითაც, სომხური გეოგრაფიის არსებული რედაქციები IX საუკუნეს ეკუთვნის[114].

საბოლოოდ, ძველი სომხური მწერლობის ისტორიის მკვლევარნი იმ აზრისკენ იხრებიან, რომ ეს გეოგრაფია მიიჩნიონ VII საუკუნის ნაწარმოებად, ხოლო მის ავტორად კი აცხადებენ ანანია შირაკელს[115]. მაგრამ აქვე საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სომხურ გეოგრაფიაში ნათლად ჩანს VII საუკუნეზე უფრო ადრინდელ წყაროთა ნაკვალევიც. მთავარი წყარო თვით გეოგრაფიაშივეა მითითებული. ეს არის IV საუკუნის მწერლის პაპი ალექსანდრიელის ნაშრომი, რომელიც დღეისათვის დაკარგულად ითვლება. თავის მხრივ პაპი ალექსანდრიელი სარგებლობდა კლავდიოს პტოლემაიოსის (II ს.) „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ დაცული ცნობებით. სომხური გეოგრაფიული ტრაქტატის ავტორის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა აგრეთვე VI საუკუნის მწერლის, კონსტანტინე ანტიოქელის ქრისტიანული ტოპოგრაფია. ამ ძირითად წყაროთა გვერდით, სომხურ გეოგრაფიაში შეიმჩნევა აგრეთვე სხვა დამატებითი წყაროების კვალიც, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ: ევსევი კესარიელის ქრონიკა, იოანე მალალას ქრონიკა, ფსევდო-კალისთენეს ალექსანდრეს ისტორია და სხვ.[116]. ჩვენთვის მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ ადრინდელ წყაროთა გავლენა კარგად ჩანს სომხური გეოგრაფიის იმ ნაწილშიაც, რომელიც ა/კავკასიას, კერძოდ კი, ჩვენთვის საინტერესო ობიექტს ალბანიას შეეხება[117]. ამრიგად, როგორც დავინახეთ, სომხური გეოგრაფიის ცნობების შესწავლისას, აუცილებელია გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ჩვენი ავტორის

---

[112] J. Marquart, Eransahr..., გვ. 5—6.

[113] Я. А. Манандян, Когда и кем составлена Армянская география, 134—135.

[114] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 465.

[115] М. Абегян, История древнеармянской литературы, том. I, Ереван, 1948, გვ. 323.

[116] Я. А. Манандян, Когда и кем составлена Армянская география, გვ. 129, 142.

[117] ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, 1924, წ. I, გვ. 37.

ნაშრომი შედგენილია სხვადასხვა დროისა და რიგის წყაროების საფუძველზე. აქედან გამომდინარე ცხადია, მხოლოდ ამ სხვადასხვა ქრონოლოგიური დანაშრევების მხედველობაში მიღებით გახდება შესაძლებელი სომხური გეოგრაფიის ცნობების გარკვევა. გარდა ამისა, სომხური გეოგრაფიის მონაცემთა ინტერპრეტაცია უნდა მოვახდინოთ ამ მონაცემების სხვა ავტორთა ცნობებთან შეჯერება-შედარების გზით.

რაც შეეხება ლევონდს, საკმარისია დაკვირვებით გავეცნოთ მისი „ხალიფთა ისტორიის" იმ ადგილს, რომელშიც ჩამოთვლილია ალბანეთში შემავალი კანტონები, რომ მასში აშკარად დავინახავთ VII საუკუნის სომხური გეოგრაფიის გავლენა. ამრიგად, ზემოთქმულის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სომხური გეოგრაფიისა და ლევონდის განცხადება, რომლის მიხედვითაც შაქე და ქამბეჭანი ალბანეთშია, უნდა მომდინარეობდეს ძველი, VII—VIII საუკუნეების წინადროინდელი წყაროებიდან და უნდა ასახავდეს იმ მდგომარეობას, როდესაც შაქე და ქამბეჭანი, როგორც ჰერეთის შემადგენელი ნაწილები, ქართლში არ შედიოდა[118]. კერძოდ, ჩვენი აზრით, VII—VIII საუკუნეების სომხური გეოგრაფიისა და ისტორიკოსის მეხსიერებაში ტრადიციულად ჯერ კიდევ ცოცხლობდა გადმოცემა იმ უძველესი ეპოქის შესახებ, როდესაც შაქესა და ქამბეჭანის ტერიტორიაზე მოსახლე ქართველთა მონათესავე ტომი ჰერები ალბანურ ტომთა გაერთიანებაში შედიოდნენ. შაქესა და ქამბეჭანს იცნობენ სხვა სომეხი ისტორიკოსებიც. მოსე კალანკატუელი თავისი ისტორიის II წიგნის VII თავში, ეხება რა სომეხთა კათალიკოსის იოანეს (533—551) ეპისტოლეს ალბანთა კათალიკოსის აბასისადმი, ასახელებს „შაქის ეპისკოპოსს ავაკუმს[119]. შაქეს ეპისკოპოსი მოხსენებულია აგრეთვე სომხურ „ეპისტოლეთა წიგნში"[120]. კირაკოს განძაკელი ქ. შაქეზე მოგვითხრობს ალბანეთში ხაზართა ლაშქრობასთან დაკავშირებით[121]. მ. კალანკატუელს ქამბეჭანის ოლქი (Կապիճան գաւառ) მტკვრის გაღმა (ჩრდილოეთით) ეგულება. თავის ნაშრომში, ერთ ადგილას იგი შენიშნავს: გარდმანის მთავარი ჯევანშირი თავისი სამკვიდრო ქვეყნის საზღვრებიდან გადავიდა მტკვრის მეორე მხარეს, კაპიჭანის ოლქში[122]. რადგანაც გარ-

---

118 შდრ. ნ. ლ ო მ ო ს ი, იბერიის (ქართლის) სამეფოს საზღვრების საკითხისათვის ანტიკურ პერიოდში, სოხუმის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1954, გვ. 10.

119 М. Каганкатваци, გვ. 93.

120 Գիրք թղթոց, გვ. 81.

121 Киракос Гандзакеци, История, перевод с древнеармянского Т. Т е р-Григорьяна, г. Баку, 1946, გვ. 101.

122 Մ. Կողանկատուացւոյ, Պատմութիւն Աղուանից Աշխարհի, Թիֆլիս, 1912, გვ. 213.

დმანი (თანამედროვე ყაზახი) მდებარეობს მტკვრის სამხრეთით, თავისთავად ცხადია, რომ აქედან მტკვრის მეორე მხარეს გადასვლა (სადაც მ. კალანკატუელის მიხედვით კაპიჭანის ოლქი იყო) ნიშნავდა მის ჩრდილო მხარეში მოქცევას.

შაქე resp. გიში ვახუშტი ბაგრატიონს შეტანილი აქვს კაკისა და ელისენის გეოგრაფიულ აღწერილობაში. იგი წერს: «ხოლო აწ კვალად ვიწყებთ ალაზნის შესართავიდამ. სად არს ხორანთა, მას ქვეით დიდს ალაზანს მოერთვის გიშის წყალი, რომელი გამოსდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს შორისს, და მოდის გიშამდე ჩრდილოდამ სამხრით, შერმე — აღმოსავლიდამ დასავლით. არამედ გიში არს მთის ძირს, რომელი იყო საერისთო წუქეთისა, და ეკლესია დიდი, გუნბათიანი, და იჯდაცა ეპისკოპოზი მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკიხისა» [123]. ვახუშტის ამ ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ შაქე resp. გიში მდებარეობდა თანამედროვე ნუხის რაიონში[124]. ამის შესახებ მიგვითითებს ნუხის მეზობლად დღემდე არსებული სოფელი შეკილი. პტოლემაიოსის რუკის ზოგიერთ კომენტატორს (აკად. ბ. დორნი) შესაძლებლად მიაჩნია თანამედროვე სახელწოდება «ნუხა»-ში დაინახოს პტოლემესეული ქალაქი „Niga"[125], მაგრამ ეს მეტად სადაოდ გამოიყურება. აკად. ა. კრიმსკის აზრით, პტოლემეს რუკაზე აღნიშნული ქალაქი „ϐσσικα"-თავისი ბგერობრივი შემადგენლობით, ასევე გეოგრაფიული სიგრძედებით და განედებით, შესაძლებელია იყოს სწორედ შექი[126]. საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ სომეხი მკვლევარი ა. გ. აბრამიანი შაქეს resp. გიშს ათავსებს იმ ადგილას, სადაც დღევანდელი მინგეჩაურია. იგი წერს: «сведения агванской и армянской надписей дают основание предположить, что храм в Мингечаури является не чем иным, как кафедральным храмом святого Егише, упомянутым автором «Истории агван» в местечке Гис или Гиш».[127]

უკანასკნელ ხანებში ისტორიულ ლიტერატურაში შექის resp. გიშის ადგილმდებარეობის შესახებ გამოითქვა სრულიად განსხვავებული მოსაზრებაც, რომელიც ეკუთვნის ზ. ბუნიატოვს. მისი შეხედუ-

---

[123] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლ ო მ ო უ რ ი ს ა და ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 95—96.

[124] იხ., З. И. Я м п о л ь с к и й — Древняя Албания III—I в. в. до н. э. Баку, 1962 г.; Dowsett C. J. F., The history of the Caucasian Albanians by Movses Dasxuranci, London, 1961, გვ. 5—6, სქოლიო 5.

[125] Б. Д о р н, «Каспий», გვ. 341.

[126] А. К р ы м с к и й—страницы из истории Азербайджана. Шеки—сборник — «Памяти акад. Н. Я. Марра», Москва-Ленинград, 1938, გვ. 370.

[127] А. Г. А б р а м я н. Дешифровка надписей Кавказских Агван. Ереван, 1964 г., გვ. 68.

ლებით, შექი მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა ნაპირას, თანამედროვე სომხეთის სსრ-ის, სისიანის რაიონის სოფელ შექის ადგილას[128]. ვფიქრობთ, ზ. ბუნიატოვის მოსაზრება უსაფუძვლოა, რადგან ისტორიულ წყაროებს, კერძოდ, ალბანეთის ისტორიის მემატიანეს, მ. კალანკატუელს, გარკვევით აქვთ აღნიშნული, რომ შექი resp. გიში მდებარეობდა უტის მხარეში (თანამედროვე ნუხის რაიონი, აზერბაიჯანის სსრ), ე. ი. მტკვრის მარცხენა ნაპირას.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ კამბეჩანისა და შაქის ქვეყნების იბერიისა თუ ალბანეთის სამეფოებისადმი კუთვნილების საკითხზე, მივმართოთ უშუალოდ პირველწყაროთა ჩვენებებს. დავიწყოთ კამბეჩანის ძველი ისტორიის შესახებ არსებული ზოგიერთი უმთავრესი ფაქტების განხილვით.

კამბეჩანი წარმოადგენდა იბერიის, ალბანეთისა და სომხეთის მოსაზღვრე თემს, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას მტკვრის ჩრდილოეთით: ყარაიის ველის ქვემოდან მოკიდებული ივრისა და ალაზნის ქვემო დინების აუზებს. ამ ტერიტორიაზე არსებული ქვეყნის აღსანიშნავად ქართულ საისტორიო წყაროებში უძველესი დროიდანვე იხმარებოდა წმინდა ქართული ტოპონიმი „კამბეჩოანი“, „კამბეჩანი“. აღნიშნული სახელწოდება ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში პირველად დასტურდება IX საუკუნის მწერლის არსენ საფარელის თხზულებაში: „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“. ამ ტოპონიმს არსენ საფარელი გადმოგვცემს „კანბეჩანის“ ფორმით[129]. ლეონტი მროველთან (XI ს.) ეს სახელწოდება გვხვდება „კამბეჩოანის“ სახით[130], ჯუანშერი (XI ს.) ხმარობს „კამბეჩოვანს“[131]. ხოლო სუმბატ დავითის-ძე (XI ს.) კი ამ ქვეყანას იხსენიებს „კამბეჩანის“ და „კამბეჩოანის“ სახელწოდებებით[132].

ანტიკური წყაროები კამბეჩანის ქვეყნის სახელწოდებას გადმოგვცემენ «კამბისენეს» (Καμβυσηνή) ფორმით[133], რომელიც წარმოადგენს ადგილობრივი ქართული სახელწოდების ბერძნულ ტრანსკრიფციას.

ტოპონიმი «კამბეჩანი» ზოგიერთ არაბ ავტორთანაც გვხვდება. ასე მაგალითად, ბალაძორი (IX ს.) თავის თხზულებაში ორჯერ ასახელებს კამბეჩანს: ერთგან როგორც არრანის მიწა-წყალზე მდებარე ქვეყანას,

---

[128] Буниятов З. М., Новые данные о нахождении крепости Шаки, ДАН Азер. ССР, 1959, т. XV, № 9, გვ. 871. მისივე, Азербайджан в VII—IX вв., Баку, 1965, გვ. 187.

[129] თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, I, თბ., 1892, გვ. 339.

[130] ქცბა, I, გვ. 45.

[131] იქვე, გვ. 199.

[132] იქვე, გვ. 373—374.

[133] სტრაბონი, XI, 4, 1.

ხოლო მეორეგან კი, იგი მას განსაზღვრავს, როგორც მტკვრის ჩრდილოეთით არსებულ ერთ-ერთ ოლქს. ორივე შემთხვევაში ბალაძორი კამბეჩანს მიიჩნევს შაქის მეზობელ მხარედ. ბალაძორთან ტოპონიმი «კამბეჩანი» დადასტურებული გვაქვს Qambizan-ის ფორმით, რომელიც იკითხება და გამოითქმის Qamibaran-ად[134]. ჯერ კიდევ ჰ. ჰიუბშმანი, ხოლო შემდეგ კი ვ. მინორსკი, ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანად აიგივებდნენ არაბულ «კამიბარანს» ქართული წყაროების «კამბეჩანთან»[135].

სახელწოდება «კამბეჩანი» დადასტურებულია აგრეთვე ადრე შუასაუკუნეების სომხურ საისტორიო მწერლობაში. VII საუკუნის სომხური გეოგრაფია, როგორც ზემოთ გნახეთ, მას «ქამბეჭანის» (*քամբեչան*) ფორმით იხსენებს[136]. მოსე კალანკატუელის «ალვანეთის ისტორიაში» ჩვენთვის საინტერესო ქვეყნის სახელწოდება შემონახულია «კამბეჭ-ის (*Կամբեճ*), «კაპიჭან»-ის (*Կապիճան*) და «კამბიჭან»-ის (*Կամբիճան*) ფორმებით[137]. VIII საუკუნის ისტორიკოსის ლევონდის თხზულებაში ქართული წყაროების «კამბეჩანის» შესატყვისად იხმარება «კამბეხჭანი» (*Կամբեխիճան*)[138]. სომხურ საისტორიო მწერლობაში დადასტურებულ კამბეჩანის ქვეყნის აღმნიშვნელ სახელწოდების სხვადასხვა ფორმებს, როგორც ვხედავთ, საფუძვლად უდევს ადგილობრივი ქართული ტოპონიმი. კერძოდ, სომხური «ქამბეჭან-კაპიჭანი» წარმოადგენს ქართული «კამბეჩანის» გადამახინჯებას სომხურ ნიადაგზე. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სახელწოდება «კამბეჩანს» მეტად მტკიცედ აქვს ფესვები გადგმული კამბეჩანის ქვეყნის ისტორიულ ტოპონიმიკაში. ამის საილუსტრაციოდ დამატებით შეგვიძლია მოვიტანოთ კიდევ ერთი მაგალითი. ეს არის ჟამთააღმწერელის თხზულებაში (XIV ს.) დადასტურებული ტოპონიმი «კამბეჩის ვაკენი»[139], რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა წარმოადგენდეს კამბეჩანის ქვეყნის სახელწოდების ერთ-ერთ ვარიანტულ სახესხვაობას. შესაძლებელია სწორედ აქედან მომდინარეობდეს სახელწოდება «კამბეჩანის» ვახუშტისეული ეტიმოლოგია, რომლის მიხედვითაც, ამ ტოპონი-

---

[134] Баладзори, Книга завоевания стран, перевод с арабского проф. П. К. Жузе, Баку, 1927, გვ. 5, 14.

[135] H. Hübschman, Die altarmenischen Ortsnamen. mit beiträgen zur historischen topographie Armeniens und einer karte, Strassburg, 1904, გვ. 211; v. Minorsky, Shekki, Encyklopaedie des Islam, Leipzig, 1927, გვ. 372.

[136] Армянская География VII века, სომხური ტექსტი, გვ. 17; Soukry, სომხური ტექსტი, გვ. 29.

[137] Մովսեսի Կաղանկատուացւոյ, Պատմութիւն Աղուանից Աշխարհի. Թիֆլիս. 1912- გვ. 60, 213, 349.

[138] Ղեւոնդայ Վարդապետի, Պատմութիւն, Ս. Պետերբուրգ. 1687, გვ. 132.

[139] ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1959, გვ. 274.

მის საწყისად მიჩნეულია ცხოველის (კამეჩის) სახელი: «ეწოდა პირველ კანბეჩოვანი, კანბეჩთა სიმრავლისათჳს»[140].

„კამბეჩანის“ resp. „კამბისენე-კამბისის“ ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით, ორიენტალისტურ ლიტერატურაში აკად. ვ. სტრუვეს მიერ გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებაც. კერძოდ, ვ. სტრუვე ვარაუდობს, რომ ანტიკურ მწერლებთან მოხსენებული მდინარის „კამბისის“ (=იორს ანუ მცირე ალაზანს) სახელწოდებას საფუძვლად უდევს სომხეთში და მის მეზობელ მხარეებში გავრცელებული მდინარის ღვთაების ანალოგიური სახელწოდება. მისივე აზრით, ამ ე. წ. მდინარის ღვთაების სახელწოდება „კამბისი“ შემონახული გვაქვს აქემენიანთა ერთ-ერთი პირველი მეფის კამბისის (529—523 წწ.) სახელში[141]. ვ. სტრუვეს ამ მოსაზრებას გამოეხმაურა ლ. მელიქსეთ-ბეგი. მან სამართლიანად უარყო აღნიშნული შეხედულება და აღნიშნა, რომ „კამბისი-კამბისენე“ ქართული „კამბეჩი“—„კამბეჩოვანი“-ს გადასხვაფერებაა ბერძნულ ნიადაგზე, რომლითაც აღინიშნება ივრის ხეობა ანუ შირაქის ველი, ვითარცა კამბეჩთა ქვეყანა. აღნიშნული ტოპონიმი, ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრით, ცხოველის სახელის შემცველია. ხოლო რაც შეეხება აქემენიანთა მეფის-კამბისის — სახელის კამბის — კამბისენეს (კამბეჩოვანის) სახელთან დამთხვევას, ეს, ლ. მელიქსეთ-ბეგის სიტყვით, სრულიად შემთხვევითი ამბავია[142].

✓ კამბეჩანის ქვეყანა დასახლებული იყო ქართველთა მონათესავე ჰერული მოდგმის ტომით.)(როგორც წერილობითი წყაროები მოწმობენ, უძველესი დროიდანვე მოკიდებული კამბეჩანი მჭიდროდ იყო დაკავშირებული იბერიასთან და ორგანულად მონაწილეობდა მის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.) ბერძნული წერილობითი წყაროების მონაცემების მიხედვით, შესაძლებლობა გვეძლევა თვალი მივადევნოთ კამბეჩანისა და იბერიის ურთიერთობის ისტორიას ძვ. წ. ა. I საუკუნიდან. უპირველეს ყოვლისა, მივმართოთ სტრაბონს, რომელსაც მოეპოვება საყურადღებო ჩვენებანი კამბეჩანის შესახებ. პირველად სტრაბონი კამბეჩანს resp. კამბისენეს ახსენებს ალბანეთის აღწერისას, იგი წერს: ალბანეთის სამხრეთით „არის მეზობლად მდებარე არმენია, რომელიც ნაწილობრივ დაბლობია, ნაწილობრივ მთია-

---

[140] ვ ა ხ უ შ ტ ი, «აღწერა», გვ. 98.

[141] В. В. Струве, Арийская проблема, Сборник «Советская этнография“, Изд. АН СССР, V—VI, М.-Л., 1947, გვ. 120—121.

[142] ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, პირველი აქემენიდები და ამიერკავკასიის მდინარეთა სახელწოდებანი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 91, 1960, გვ. 254,

ნი, როგორც მაგალითად, კამბისენე, სადაც იბერებსა და ალბანებს ხვდებიან არმენიელები"[143]. როგორც ვხედავთ, კამბისენე აქ წარმოდგენილია ისეთ პროვინციად, რომელიც სამ ნაწილად არის გაყოფილი, იბერია-სომხეთსა და ალბანეთს შორის, აქედან უდიდესი ნაწილი სწორედ იბერიის შემადგენლობაში არის სავარაუდებელი. საფიქრებელია ისიც, რომ უკვე ამ დროს (ძვ. წ. ბოლო საუკუნეებში) კამბეჩანი საკმაოდ კომპაქტურად იყო დასახლებული ქართველებით[144].

ერთი სხვა საბაბით, სტრაბონი კვლავ უბრუნდება კამბეჩანის საკითხს. იგი აღნიშნავს: „შესასვლელი იბერიიდან ალბანიაში არის უწყლო და ოღრო-ჩოღრო კამბიზენეზე, რომელიც მდ. ალაზონიოსთან არის"[145]. ამ ცნობიდან, გარდა იმისა, რომ ირკვევა კამბეჩანის გეოგრაფიული მდებარეობა, ჩანს აგრეთვე ისიც, რომ კამბეჩანის ქვეყნით ერთმანეთისაგან გაყოფილია იბერია და ალბანეთი.

სტრაბონის მომდევნო და უკანასკნელ ცნობას კამბეჩანის შესახებ ვხვდებით სომხეთის აღწერილობაში. სტრაბონი ამბობს: „არმენიის მხარეებია ფავენე, კომისენე და ორქისტენე, რომელიც იძლევა ცხენოსანთა დიდ ნაწილს. ხორზენე და კამბისენე უკიდურესი ჩრდილოეთის მხარეები არიან და განსაკუთრებით თოვლიანი. ესენი ეკვრიან კავკასიის მთებს და იბერიას და კოლხიდას"[146]. ამ ცნობაში ჩვენ ყურადღებას იპყრობს სტრაბონის მითითება იმის შესახებ, რომ კამბეჩანი სომხეთის ყველაზე უკიდურესი ჩრდილოეთი მხარეა. როგორ უნდა გავიგოთ სტრაბონის აღნიშნული ჩვენება? ხომ არ არის აქ მინიშნება იმის შესახებ, რომ კამბეჩანი საერთოდ სომხეთის შემადგენელ ნაწილად ვიგულოთ? ასეთ განმარტებას აძლევდა სტრაბონის ამ ჩვენებას ი. მარკვარტი. იგი აღნიშნავდა, რომ კამბეჩანი-კამბისენე წინათ, ტიგრან II დროს, დიდი სომხეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდაო![147]. სომხურ პროვინციად მიიჩნევდა კამბეჩანს გერმანელი მეცნიერი ჰ. ჰიუბშმანიც. იგი მიუთითებდა, რომ ბერძნულ-ლათინური წყაროების კამბისენე, სომხური „ქამბეჭანი" („კაპიჭანი", „კამბიჭანი", „კამბეჭი", „კამბეხჭანი"), ქართული

---

[143] სტრაბონი, XI, 4, I.

[144] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 123; დ. მუსხელიშვილი, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII—XIII სს-ში, გვ. 120.

[145] სტრაბონი, XI, 4, 5.

[146] სტრაბონი, XI, 14, 4.

[147] J. Marquart, Eranrsahr nach der Georgraphie des Ps. Moses Xorenac'i, Berlin, 1901, გვ. 118.

„კამბეჩოვანი“, არაბული „კამ̄ბარ̄ანი“ — სომხეთის უკიდურესი ჩრდილოეთი უხვთოვლიანი მხარეა[148]. სომხურ ოლქად არის გამოცხადებული კამბისენე ჟურნალ „Вестник древней истории“-ის კომენტარებშიც, რომელიც დართული აქვს 1947 წელს ხელახლა გამოქვეყნებულ სტრაბონის გეოგრაფიის რუსულ თარგმანს[149].

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი სტრაბონის (თუ მისი წყაროს) ცნობის ანალიზის დროს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გარკვეულ იქნას, თუ რა დროისა და რა ვითარების ამსახველია იგი. ამ საგულისხმო ფაქტორის გათვალისწინების შედეგად, გ. მელიქიშვილმა სრულიად ახლებური და სწორი განმარტება მისცა კამბეჩანის ისტორიული წარსულის ამ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს. გ. მელიქიშვილის აზრით, სომეხთა ბატონობას კამბეჩანზე მხოლოდ დროებითი ხასიათი ჰქონდა და მას არ შეეძლო მოეხდინა აქ რაიმე ეთნიკური ხასიათის ცვლილებები. თავის მოსაზრებას გ. მელიქიშვილი შემდეგი სახით აყალიბებს: იბერიის წინსვლას აღმოსავლეთისკენ, ჰერეთის მხარეებში, პირველ ხანებში აფერხებდა ძვ. წ. ა. II საუკუნეში წარმოქმნილი ძლიერი სომხეთის სახელმწიფო. როგორც ჩანს, სომხეთის სახელმწიფოს მესვეურებმა, გარკვეულ პერიოდში, ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს და შესძლეს თავიანთი გავლენის გავრცელება კამბეჩანზე; გ. მელიქიშვილი აქვე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მიუხედავად სომეხთა პოლიტიკური ბატონობისა, კამბეჩანში, ამ დროს ადგილი არ ჰქონია ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკურად გასომხებას. ძლევამოსილი ტიგრან II (95—55 წწ.) შემდეგ სომხეთი სუსტდება, ხოლო იბერიამ კი იწყო გაძლიერება. ამის შესაბამისად სომეხთა გავლენას ამ მხარეში ბოლო ეღება და ქართლი მტკიცედ და საფუძვლიანად ეუფლება მას.[150]. ამრიგად, როგორც ვხედავთ, სტრაბონის ზემოაღნიშნულ ცნობაზე დაყრდნობით, კამბეჩანი არ შეიძლება ჩაითვალოს სომხურ პროვინციად. ამ ცნობაში ჩვენ საქმე გვაქვს გარკვეული პერიოდის პოლიტიკური ვითარების ასახვასთან.

სომხეთის გავლენისა და კონტროლის შესუსტება კამბეჩანის თემზე თვით ტიგრან II-ის მეფობის დროსვე, მისი მმართველობის ბოლო ათეულ წლებში, დაწყებულა. პომპეუსის ლაშქრობათა პერიოდში, როგორც ეს ზოგიერთი ბერძნული წყაროს მონაცემიდან ჩანს,

---

148 H. Hübschman, Die altarmenischen Ortsnamen, გვ. 211—212

149 Вестник древней истории, 1947, № 4, გვ. 219, სქოლიო 6; ამის შესახებ იხ., აგრეთვე ა. აფაქიძე, შენიშვნები Scythica et Caucasica-ს ახალი გამოცემის გამო, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, 1948, XV—B, გვ. 184—186.

150 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 127.

კამბეჩანი, მთლიანად თუ არა, მისი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც, იბერიის შემადგენლობაში არის მოქცეული. ამ ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობს, ჩვენი აზრით, დიონ კასიოსის „რომის ისტორიაში“ (წიგნი XXXVII, თავი 3—4), დაცული ცნობა, რომელიც შეეხება ძვ. წ. 65 წ. პომპეუსის მიერ ალბანეთის ქვეყანაში შესაჭრელად არჩეული გზის მარშრუტს. როგორც ცნობილია, ალბანთა წინააღმდეგ მეორედ გალაშქრების დროს, პომპეუსი ალბანეთში შევიდა კამბეჩანის სივრცეებით. დიონ კასიოსის მოთხრობით, მან გადალახა მდ. კირნოსი (=მტკვარს) და გაემართა მდ. კამბისისაკენ (=იორს). მტკვრიდან ვიდრე იორამდე „პომპეუსს არავითარი ვნება არ შეხვედრია მოწინააღმდეგისაგან (ე. ი. ალბანელებისაგან — თ. პ.)“. ამის შემდეგ, რომაელებმა ისე მიაღწიეს მდ. აბანტამდე (=ალაზანს), რომ მთელს ამ მანძილზე მათ კვლავ არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. ადგილობრივი მოსახლეობა რომაელებს ნებაყოფლობით ეხმარებოდა, ხოლო თავის მხრივ კი, რომაელები არაფრით არ ავიწროვებდნენ მათ. მხოლოდ ალაზანზე გადასვლის შემდეგ გადაუღობეს გზა რომაელებს ალბანთა ჯარებმა, რომელთაც მეფის ძმა ოროისე ხელმძღვანელობდა. პირველი შეხვედრაც პომპეუსის ლეგიონებსა და ალბანეთის ჯარებს შორის, როგორც ეს დიონ კასიოსის აღწერიდან ჩანს, სწორედ ალაზნის გადაღმა მოხდა[151]. ი. მანანდიანის მოსაზრებით, აღნიშნული შებრძოლება უნდა გამართულიყო მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს, აწინდელ ზაქათალასა და ნუხას შორის[152]. დიონ კასიოსის თხზულებაში შემონახულ ამ საყურადღებო ცნობის განხილვის დროს, ჩვენს წინაშე ასეთი ხასიათის კითხვები წამოიჭრება: ალბანელებმა, რომელთაც პლუტარქეს გადმოცემით (Pomp., 35,1) საგანგებოდ გაამაგრეს მორებით (σταυροί) თავიანთი სახელმწიფოს მტკვრისპირა სასაზღვრო ხაზი, რატომ დატოვეს დაუცველად კამბეჩანის საზღვარი? რატომ ეხმარებოდა ნებაყოფლობით კამბეჩანის ადგილობრივი მოსახლეობა პომპეუსის ჯარს, ვიდრე ეს უკანასკნელი ალბანეთის ლაშქრამდე მიაღწევდა, ხოლო რომაელები კი მათ სრულიად არ აწუხებდნენ? შთაბეჭდილება ისეთია, რომ თითქოს მთელ კამბეჩანის მხარეს ალბანეთთან არა ჰქონდა კავშირი და იყო სხვა, ისიც ისეთი ქვეყნის ნაწილი, რომელსაც

---

151 დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო ნ. ლომოურმა, თბილისი, 1966, გვ. 62—65.

152 Я. А. Манандян, Круговой путь Помпея в Закавказье, ВДИ, 1939, № 4, გვ. 80.

არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია პომპეუსისათვის. ასეთი ქვეყანა კი, ჩვენი აზრით, იყო იბერია, რომლის შემადგენლობაშიც მოქცეული იყო კამბეჩანი და, რომელსაც პომპეუსთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების გამო, უკვე აღარ ძალუძდა წინ აღსდგომოდა ალბანეთისკენ მიმავალ რომაელთა ლაშქარს. ყველა ამ მომენტის გათვალისწინების შემდეგ, ვფიქრობთ, გასაგები უნდა გახდეს ის გარემოება, თუ რატომ ასე დაუბრკოლებლად მოქმედებდნენ რომაელთა ჯარები კამბეჩანის ტერიტორიაზე. ამრიგად, თუ მივიღებთ დიონ კასიოსის ცნობის ჩვენებურ გაგებას, მაშინ უნდა დაუშვათ, რომ უკვე პომპეუსის ლაშქრობათა პერიოდში კამბეჩანი იბერიას ეკუთვნის[153].

იბერია-კამბეჩანის ურთიერთობის ისტორიისათვის ახ. წ. ა. I საუკუნეში საყურადღებო ჩვენება მოეპოვება ლეონტი მროველს. ცნობა შეეხება ქართლში აზორკ და არმაზელის ორმეფობის ხანას (ახ. წ. ა. I ს. 70—80-იანი წლები), როდესაც ადგილი ჰქონდა ქართველთა ლაშქრობას სომხეთში. ლეონტი მროველის მოთხრობით, ქართლის მეფეებმა დაარბიეს „სომხითი“, „შირაკუნი და ვანანდი ბაგრევანამდე და ბჟსიანამდე“, „ჩატყუენეს დაშტი ვიდრე ნახჭევანამდე, და აღიღეს ტყუე... და გამოვლეს გზა ფარისოსისა“. როდესაც სომეხთა მხედართმთავარმა სუმბატ ბივრიტიანმა შეიტყო ამ ლაშქრობის ამბავი, მან სასწრაფოდ შეჰყარა სომეხნი და უკან დაედევნა ქართველებს, მაგრამ ეს უკანასკნელნი, როგორც მემატიანე მოგვითხრობს, უკვე „განსრულ იყვნეს მტკუარსა და მისრულ იყვნეს კამბეჩოანს, და დაებანაკათ იორსა ზედა და განიყოფდეს ტყუესა“... სომეხი მხედართმთავარი იძულებული შეიქმნა ქართლის მეფეებისათვის მოციქული მიეგზავნა და შეუთვალა, რომ მათ უკან დაებრუნებინათ სომეხი ტყვეები. აზორკ და არმაზელმა მტკვრის გადაღმა მდგომ სუმბატ ბივრიტიანს ასეთი პასუხი გაუგზავნეს: „აწ მოვედ ჩუენდა, მიიღე ნაწილი შენი, თუ-არა მოვიდეთ შენდა, სადაცა იყო

---

153 დიონ კასიოსის ამ ცნობას სხვანაირ ინტერპრეტაციას აძლევს ნ. ლომოური. მისი აზრით, პომპეუსი უკვე მტკვარზე გადასელისთანავე ალბანეთის ტერიტორიაზე შევიდა. მისი დასკვნით, იმ პერიოდში ალბანეთის ტერიტორია არა მარტო ალაზნის, არამედ იორის დასავლეთითაც ვრცელდება. იხ. მისი ნაშრომი, იბერიის (ქართლის) სამეფოს საზღვრების საკითხისათვის ანტიკურ პერიოდში, სოხუმის სახელმწიფო პედ. ინსტიტ. შრომები, ტ. VII, 1954, გვ. 7—8; დ. მუსხელიშვილი იზიარებს ნ. ლომოურის ინტერპრეტაციას დიონ კასიოსის ცნობის შეფასების საკითხში, თუმცა იგი გარკვეულ ეჭვებს მაინც გამოსთქვამს. მისი შეხედულებით, იორ-მტკვარ შორის ნაწილი კამბეჩნისა ძვ. წ. I-ს-ის შუა წლებისათვის ივერიელებს არ ეკუთვნის, მათ უნდა სჭეროდათ იორ-ალაზან შორისი ნაწილი, კამბეჩანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. იხ., დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, თბილისი, 1966, გვ. 33—34.

და ვერ განერე ხელთაგან ჩუენთა ცოცხალი“. მხოლოდ ასეთი მუქარით აღსავსე პასუხის მიღების შემდეგ გადალახა სუმბატ ბივრიტიანმა მტკვარი, შევიდა კამბეჩანში და შეებრძოლა ქართველებს[154]. მემატიანის მთელს ამ მოთხრობაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ კამბეჩანში დაბანაკებული ქართლის მეფეები თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ ქვეყანაში. კამბეჩანში მისულნი ისინი უკვე სამშვიდობოზე არიან, აქ იყოფენ ნაალაფევს, ხოლო სომეხთა მხედართმთავარი თავდაპირველად ვერც კი ბედავს მათ ქვეყანაში შემავალ კამბეჩანში შესვლას, იგი მათ მოციქულს უგზავნის. კამბეჩანი ამ დროს რომელიმე სხვა ქვეყნის ნაწილი რომ ყოფილიყო, იგი ქართლის მეფეებს რომ არ ჰკუთვნებოდათ, მაშინ სუმბატ ბივრიტიანი აღარ დააყოვნებდა კამბეჩანში შესვლას და დაწყებულ დევნას არ შეაჩერებდა მტკვართან, სადაც სწორედ კამბეჩანის სამხრეთი საზღვარი გადიოდა. ამაზევე უნდა მიგვითითებდეს ის სიტყვები, რომლებითაც ქართლის მეფეებმა მიმართეს სუმბატ ბივრიტიანს: „**აწ მოვედ ჩუენდა** (ე. ი. კამბეჩანში — თ. პ.), მიიღე ნაწილი შენი, თუ-არა, მოვიდეთ შენდა, სადაცა იყო (ე. ი. მტკვრის გადაღმა, სამხრეთით — თ. პ.)“. ამ სიტყვებიდან, ჩვენი აზრით, აშკარად ჩანს, რომ მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე კამბეჩანს ქართლის მეფეები თავისად თვლიან. ამრიგად, ლეონტი მროველის ზემოთ მოტანილ ჩვენებაზე დაყრდნობით, შესაძლებლობა გვეძლევა დავასკვნათ, რომ ახ. წ. ა. I საუკუნის 70—80-იან წლებში კამბეჩანი საკუთრივ ქართლის სამეფოს საზღვრებში არის შემოსული და, რომ აღნიშნულ ხანაში კამბეჩანში ქართლის პოლიტიკური ბატონობა არის სავარაუდებელი[155].

---

[154] ქცება, I, გვ. 45—46

[155] დ. მუსხელიშვილი ქართლის ცხოვრების ზემოხსენებულ ჩვენებაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ამ დროისათვის მტკვარ-იორს შორის ნაწილი კამბეჩანისა ჯერ კიდევ არ უნდა იყოს შემოსული საკუთრივ ქართლის სამეფოს საზღვრებში. საამისო არგუმენტად მას მოაქვს ერთი ადგილი იმავე ცნობიდან, რომლის მიხედვითაც კამბეჩანში მომხდარი ბრძოლის შემდეგ, «სუმბატ გამარჯუებული შემოვიდა ქართლად, და მოაოხრა ქართლი» (ქცება, I, გვ. 47). დ. მუსხელიშვილის აზრით, «აქედან თითქოს საგულისხმოა რომ კამბეჩანი ამ დროისათვის არ ითვლება ქართლად და ე. ი. ქართლის პოლიტიკური ბატონობა აქამდე ჯერ კიდევ ვერ აღწევს» (დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 35). დ. მუსხელიშვილის მიერ ციტანილი ამ არგუმენტის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ლეონტი მროველთან «კამბეჩანის» ცნების «ქართლისაგან» განსხვავებით მოხსენიება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ამ დროისათვის ქართლის სამეფოსაგან პოლიტიკურად განცალკავებულად მდგომ ქვეყანად მივიჩნიოთ. ლეონტი მროველი «კამბეჩანს» ისტორიულ-გეოგრაფიული გაგებით ხმარობს. ამ თვალსაზრისით კი, კამბეჩანი მართლაც ქართლის ერთ-ერთ ცალკე ქვეყანას წარმოადგენდა. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ დ. მუსხელიშვილის ნაშრომში ლეონტი მროველის მონაცემები კამბე-

მომდევნო საუკუნეებისათვის (II—IV სს.) იბერია-კამბეჩანის ურთიერთობის ამსახველი ფაქტები წერილობით წყაროებში თითქმის არ გვხვდება. ამ ხარვეზს ერთგვარად ავსებს ის არქეოლოგიური მასალა, რომელიც გაბოავლინა 1938—1939 წწ. ქიზიყის ექსპედიციამ სტეფანე მენთეშაშვილის ხელმძღვანელობით. ეს მასალა მოპოვებულია ნაქალაქარ ხორნაბუჯის მახლობლად, ძველ ანაგასა და ყოღოთოში. ყოღოთოს ორმოსამარხების ერთი ჯგუფი სწორედ ჩვენთვის საინტერესო ხანით, III—Vსს-ით თარიღდება. აღნიშნული არქეოლოგიური მასალა ნათლად გვიჩვენებს, რომ დროთა განმავლობაში იბერიასა და კამბეჩანს შორის უძველესი დროიდანვე არსებული ურთიერთობა სულ უფრო და უფრო მჭიდრო გამხდარა. გვიანანტიკური ხანის დასაწყისისათვის ყოღოთოს სამარხეული ინვენტარი თითქმის იბერულის იდენტურია[156]. ეს მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მონაცემი კი იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ აღნიშნული ხანისათვის კამბეჩანის იბერიასთან პოლიტიკური და კულტურული შერწყმა უკვე მომხდარი და დასრულებული ფაქტია. კამბეჩანი ამ დროს ეთნიკურად ქართული ქვეყანაა.

V საუკუნის მეორე ნახევარში კამბეჩანში ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი მოღვაწეობს. ჯუანშერის გადმოცემით, ვახტანგი კამბეჩანის ქალაქ ხორნაბუჯში საეპისკოპოსო კათედრას აარსებს[157]. ჯუანშერისავე მოწმობით, ვახტანგმა თავის შვილს დაჩის «მისცა... ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი; და ყოველი ქვეყანა მტკუარსა აღმოსავლით»[158]. ამ ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ კამბეჩანი საუფლისწულო მამულს წარმოადგენს, რგი უფლისწულ დაჩის კუთვნილი ქვეყანაა. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი კი თავის მხრივ იმაზე მიგვითითებს, რომ კამბეჩანის იბერიასთან პოლიტიკური შერწყმა მტკიცე საფუძველზეა დამყარებული. იმავე V საუკუნის II ნახევრისათვის, მოსე კალანკატუელის «ალვანეთის ისტორიაში», კამბეჩანის ისტორიის შესახებ მოიპოვება სრულიად განსხვავებული ჩვენება. ამ ჩვენების მიხედვით, კამბეჩანში ალბანეთის ღვთისმოსავი მეფე ვაჩაგან III მოღვაწეობს და, ისიც, აქ

ჩანის შესახებ მოწყვეტილია ერთმანეთისაგან და არჩეულია მათგან მხოლოდ ერთი, რომელიც სწორედ არ არის განმარტებული. ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ ლეონტი მროველის ყველა მონაცემი მთლიანობაში და დავინახეთ, რომ ისინი ადგენენ მხოლოდ ერთ ფაქტს: ჩვ. წ. I ს-ის 70—80-იან წლებში კამბეჩანი პოლიტიკურად ქართლში შემავალი მხარეა.

156 მ. სინაურიძე, გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის სამარხები ყოღოთოდან, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXVII—B, თბ., 1967, გვ. 122. 125.

157 ქცბა, I, გვ. 199.

158 იქვე.

საეპისკოპოსებს აარსებს. მოსე კალანკატუელი ასე მოგვითხრობს: «და დაადგინა (ე. ი. ვაჩაგან III) ადგილ-ადგილ ეპისკოპოსნი და ხუცესნი და მეთვალყურენი კამბეჩანში; ალბანეთშიაც იგივე ბრძანება რისხვით გასცა: დაედგინათ ეპისკოპოსნი, ხუცესნი და დიაკვანნი» (*«էւ կարգեալ տեղեաց տեղեաց եպիսկոպոս և երիցունս և հալեցողս ի կամբեճան. ի յԱղուանս իսկ զնոյն հրամանս ուստիւց կարգեալ՝ հաստատեր զեպիսկոպոսս և զերիցունս և զսարկաւագունս»*)[159].

როგორც ვხედავთ, აქ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს, ერთსა და იმავე ხანაში და ერთი და იგივე მხარეში ორი სხვადასხვა ქვეყნის მეფე მოღვაწეობს. როგორ უნდა შევათანხმოთ ერთმანეთთან ქართულ-სომხურ წყაროებს შორის ერთი შეხედვით არსებული ასეთი წინააღმდეგობა? უპირველეს ყოვლისა განვსაზღვროთ ის ქრონოლოგიური პერიოდი, როდესაც ადგილი უნდა ჰქონოდა ვახტანგ გორგასალისა და ვაჩაგან III მოღვაწეობას კამბეჩანში. ივ. ჯავახიშვილის აზრით, კათალიკოსობის დაწესება და საეპისკოპოსოებად დაყოფა იბერიაში უნდა მომხდარიყო 472—484 წლებში[160]. კ. კეკელიძემ შემდეგში უფრო დააზუსტა და ზედმიწევნით განსაზღვრა იბერიის ეპარქიებად დაყოფის თარიღი. მისი შეხედულებით, აღნიშნულ მოვლენას იბერიაში ადგილი ჰქონდა 467 წელს[161]. აქედან გამომდინარე ვახტანგ გორგასალს კამბეჩანში უნდა ემოღვაწნა და აქ ხორნაბუჯის საეპისკოპოსო კათედრა დაეარსებინა იმავე 467 წელს. რაც შეეხება ვაჩაგან III, როგორც ცნობილია, იგი ალბანეთის სამეფო ტახტზე ადის ვალარშ სასანელის (484—488 წწ.) დროს. კერძოდ, როგორც მკვლევარნი ვარაუდობენ, ვაჩაგან III-ის მეფობა ალბანეთში იწყება 487/8 წელს და გრძელდება ვიდრე 510 წლამდე[162]. ე. ი. ვაჩაგან III საქმიანობა კამბეჩანში მოსალოდნელია მხოლოდ 487/8 წლის შემდეგ. როგორც ვხედავთ, ვახტანგის მოღვაწეობა ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ვაჩაგან III საქმიანობას კამბეჩანში; ვაჩაგანის გამეფებამდე გაცილებით ადრე კამბეჩანს უკვე ვახტანგ გორგასალი ჰფლობს. ბუნებრივია ისმის კითხვა: რა ხელი აქვს ალბანეთის მეფეს ვახტანგის კუთვნილ ქვეყანაში? რატომ ატარებს იგი აქ

---

159 **Մովսէս Կաղանկատուացի. Պատմութիւն Աղուանից», Թիֆլիս**, 1912, გვ. 60.

160 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, მეოთხე გამოცემა, თბ., 1951, გვ. 348.

161 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, თბ., გვ. 340.

162 Б у н и я т о в, Азербайджан в VII—IX вв., Баку, 1965, გვ. 158; С. Т. Еремян, Политическая история Албании III—VII вв., Очерки истории СССР, III—IX вв., Москва, 1953, გვ. 314.

საეკლესიო ხასიათის ღონისძიებებს? რადგანაც კამბეჩანი აღნიშნულ ხანაში პოლიტიკურად იბერიის ფარგლებში იყო მოქცეული, იგულისხმება, ეკლესიურადაც იბერიას უნდა ჰკუთვნებოდა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში არსად გვხვდება საიმისო რაიმე მითითება ვახტანგ გორგასალის მიერ კამბეჩანის დაკარგვისა, ან ამ ქვეყნის ალბანთა მეფის მიერ დაპყრობის შესახებ.

მოსე კალანკატუელის ზემომოტანილი ცნობის განხილვის დროს, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის თავისებური და სპეციფიკური ვითარება, რომელიც კამბეჩანში არსებობდა. მართალია, ვახტანგ გორგასალის დროს კამბეჩანი ეთნიკური თვალსაზრისით ძირითადად ქართული ქვეყანაა, მაგრამ შესაძლებელია მის ზოგიერთ რაიონში, განსაკუთრებით კი ალბანეთის მოსაზღვრე მხარეში, ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ალბანური მოსახლეობის მცირე ჯგუფები. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, შეუძლებელი არაფერია იმაში, რომ კამბეჩანში მოსახლე ამ პატარა ალბანური ერთეულებისათვის ვაჩაგან III მართლაც გამოეგზავნა სამღვდელო პირნი. როგორც ჩანს, კამბეჩანის ზოგიერთ კუთხეში ჯერ კიდევ შერეული მრევლი იყო, რის გამოც საჭირო ხდებოდა, რომ აქ ზოგიერთ იერარქიულ პოსტზე ალბანელი სასულიერო პირი დაენიშნათ. თვით მოსე კალანკატუელიც ხომ პირდაპირ აღნიშნავს, რომ ვაჩაგანმა ეპისკოპოსნი და ხუცესნი დაადგინა არა მთელს კამბეჩანში, არამედ მხოლოდ „ადგილ-ადგილ (*տեղեաց տեղեաց*)»; მემატიანის ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ აქ საქმე ეხება კამბეჩანის მხოლოდ იმ მცირე სექტორს, რომელიც ალბანეთს ეკვროდა. მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე ერთი სხვა მნიშვნელოვანი მომენტიც. როგორც ცნობილია, V საუკუნეში ამიერკავკასიის ქვეყნებს (იბერია, სომხეთი, ალბანეთი) შორის სარწმუნოებრივ-დოგმატური ერთობა არსებობდა, ქართულ, სომხურ და ალბანურ ეკლესიებს ერთმანეთთან მჭიდრო კულტურული კავშირი ჰქონდათ დამყარებული. იბერიის ავტოკეფალური ეკლესიისა და იერარქიის ნაციონალიზაცია თანდათან ხდებოდა, იგი მხოლოდ VI საუკუნის გასულისათვის დამთავრებულა, კირიონ კათალიკოზის დროს, როდესაც მხოლოდ ერთს ეპარქიაში, ცურტავისაში, ვხედავთ სომეხ ეპისკოპოზს, ისიც, სწორედ, იმიტომ, რომ აქ შერეული მრეველი იყო, სომხებისა და ქართველებისა[163].

---

[163] კ. კეკელიძე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, გვ. 329.

ზემოთ აღწერილი ვითარების გათვალისწინების შემდეგ, ვაჩაგანის მიერ კამბეჩანში სასულიერო პირების გამოგზავნა სულ სხვა ელფერს იძენს. უპირველეს ყოვლისა, ეს ფაქტი სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ კამბეჩანი, ვაჩაგანის დროს, V ს. 80-იან წლებში, პოლიტიკურად ალბანეთს ეკუთვნოდა. მოსე კალანკატუელის ზემოხსენებული ცნობის დაკვირვებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ისტორიკოსი აშკარად განასხვავებს კამბეჩანს ალბანეთისაგან. იგი სავსებით უბრალოდ გვამცნობს ვაჩაგანის მიერ კამბეჩანში სამღვდელო პირების დადგენის ფაქტს, იმ დროს, როდესაც, იგივე ბრძანება ვაჩაგანს ალბანეთში, იმავე ისტორიკოსის სიტყვით, დიდი სისასტიკითა და რისხვით გაუცია. და ეს ჩვენის აზრით, გამოწვეული იყო იმით, რომ ალბანეთი ვაჩაგანის საკუთარი ქვეყანა იყო, კამბეჩანი კი არა. კამბეჩანიც რომ პოლიტიკურად ალბანეთის ნაწილი ყოფილიყო, მაშინ ისტორიკოსი ერთად აღნიშნავდა ორივე ფაქტს, იგი ამ შემთხვევაში მხოლოდ „ალბანეთს“ იხმარდა, მაგრამ იგი ასე არ მოქცეულა, მან შეგნებულად განასხვავა ეს ორი ცნება ერთმანეთისაგან, რადგანაც მის წინაშე სრულიად გარკვეული რეალური სინამდვილე იყო: კამბეჩანი პოლიტიკურად ალბანეთში არ შედიოდა, კამბეჩანსა და ალბანეთს შორის არსებობდა მკაფიო გეოგრაფიული, ეთნიკური და პოლიტიკური საზღვრები[164].

მომდევნო ხანებში (VI—VII სს.) კამბეჩანი ერთთავად ქართლის საზღვრებშია. ქართლის ხელისუფალნი დიდად ცდილობენ იმისათვის, რომ ამ განაპირა პროვინციაში კიდევ უფრო განამტკიცონ ქართული სახელმწიფოებრიობა. ამის ერთ-ერთ უტყუარ მოწმობას წარმოადგენს კამბეჩანში ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა: მხედველობაში გვაქვს ხირსის (აწინდელ სოფ. ტიბაანის ახლოს) სამნავიანი ბაზილკა, რომელსაც გ. ჩუბინაშვილი V ს. დასასრულითა და VI საუკუნის დასაწყისით ათარიღებს[165]. VI საუკუნის მეორე ნახევარში კამბეჩანში ადგილობრივი მთავრები სხედან, რომელნიც ქართლის ერისმთავრის უზენაეს ხელისუფლებას აღიარებენ[166]. VII საუკუნის 30-იან

---

164 დ. მუსხელიშვილს მოსე კალანკატუელის «ალვანეთის ისტორიაში» დაცული ამ ცნობიდან სხვანაირი დასკვნა გამოაქვს. იგი წერს: «თუ მოსე კალანკატუელს დავუჯერებთ V ს. 80-იანი წლებისათვის კამბეჩანი ალვანეთისაა. გამოდის ვახტანგს კამბეჩანი სულ უკანასკნელ წლებში დაუბრუნებია» (დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 67). ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას, როგორც ჩვენ ზემოთ ვნახეთ, მოსე კალანკატუელის აღნიშნული ცნობა არ უნდა იძლეოდეს.

165 Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, текст, Тбилиси, 1959, გვ. 69—71.

166 სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ქცება, I, გვ. 373—374.

წლებშიაც, როგორც ეს მოსე კალანკატუელის თხზულებიდან ჩანს, კაპიჭანის resp. კამბეჩანის ოლქი ქართლის ერისმთავარ ადარნასეს ექვემდებარება, იგი უშუალოდ ქართლის სახელმწიფოს საზღვრებში შედის[167]. ჯერჯერობით ამით დავამთავროთ ჩვენი მსჯელობა კამბეჩანის შესახებ; იბერია-კამბეჩანის ურთიერთობის საკითხებს ჩვენ ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით, ამჟამად კი ზემოთ მოტანილი ფაქტებიც სავსებით საკმარისია იმის მტკიცებისათვის, რომ VII—VIII საუკუნეებში კამბეჩანი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ვიგულვოთ ალბანეთის შემადგენლობაში, როგორც ამას VII საუკუნის სომხური გეოგრაფია და VIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ლევონდი გვიჩვენებენ. ზემოთ ჩვენ ცხადად დავინახეთ, რომ ამ საუკუნეებზე გაცილებით უფრო ადრინდელ პერიოდში კამბეჩანი უკვე იბერიის განუყოფელ და ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.

VII საუკუნის სომხური გეოგრაფიისა და VIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ლევონდის ცნობით, ალბანეთის შემადგენლობაში არის აგრეთვე ნაჩვენები შაქის ქვეყანაც. შაქის ისტორიას ჩვენ დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ, ამჯერად კი დავკმაყოფილდებით მხოლოდ ზოგიერთი იმ ცნობის მოტანით, რომლის მიხედვითაც VII საუკუნეზე ბევრად უფრო ადრე შაქი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ხელთ არის სომხური „ეპისტოლეთა წიგნის“ (*Գիրք թղթոց*, გვ. 182—183) მეტად საყურადღებო ჩვენება. როგორც ცნობილია, „ეპისტოლეთა წიგნში“ შემონახულია სია იბერიის იმ საეპისკოპოსო კათედრებისა, რომელთა წარმომადგენელნიც ესწრებოდნენ 506 წელს ქ. დვინში მოწვეულ საეკლესიო კრებას. და აი, ქართლის ეპისკოპოსთა შორის, ამ სიაში იხსენიება გიშის resp. შაქის ეპისკოპოსი ვინმე ეზრა[168]. ამ მნიშვნელოვანი ცნობიდან აშკარა ხდება, რომ უკვე 506 წლისათვის შაქის ეპისკოპოსი ქართლის კათალიკოსის იურისდიქციას ექვემდებარება, რაც თავის მხრივ იმის უტყუარი მოწმობაა, რომ აღნიშნულ ხანაში შაქის ქვეყანა ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ საზღვრებს შიგნით არის მოქცეული.

ჩვენს ხელთ არის აგრეთვე ჯუანშერის ქრონიკის (XI ს.) ერთი გვიანდელი ჩანართი (ბროსესეული, ბარათაშვილისეული და ფალავანდიშვილისეული ნუსხები), რომელიც მოგვითხრობს VII საუკუნის ქართლის ეკლესიის საზღვრების შესახებ. ამ ჩანართის მიხედვით,

---

[167] М. Каганкатваци, кн. II, гл. XXIX, გვ. 142; დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 81.

[168] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, გვ. 302.

VI მსოფლიო კრების (680—81 წწ.) ხანაში ქართლის (მცხეთის) ეკლესია, სხვა მხარეებთან ერთად, მოიცავდა აგრეთვე გაღმა-გამოღმა კახეთსა და შაქს[169].

შაქის შესახებ კიდევ უფრო ნიშანდობლივი ცნობა მოგვეპოვება VIII საუკუნისათვის (ლევონდის ცნობის საპირისპიროდ). ეს ცნობა შემონახულია VIII საუკუნის ანონიმურ მატიანეში, რომელიც ექსცერპტულად არის ჩართული ჯუანშერის ქრონიკაში. ამ ცნობის მიხედვით, ჰერეთის აღმოსავლეთი ნაწილი შაქი resp. შაკიხი VIII საუკუნის შუა ხანებში ქართლის ხელისუფალთა მფლობელობის ქვეშ არის მოქცეული. აქ მოღვაწეობს ქართველთა მეფე არჩილი. მემატიანის გადმოცემით, არჩილმა მთელი ის ტერიტორია რომელიც მდებარეობდა შაკიხიდან ვიდრე გულგულამდის (=ქართულ ჰერეთს) უბოძა დასავლეთიდან ლტოლვილ მთავართა შვილებსადარნასე ბრმის ძმისწულებს[170]. ამ ფაქტსვე ადასტურებს ვახუშტი ბაგრატიონიც[171]. ამრიგად, VIII საუკუნის ანონიმი მემატიანისა და ვახუშტის მონაცემები ყოველგვარ საფუძველს აცლიან ლევონდის იმ ცნობას, რომლის მიხედვითაც შაქი VIII საუკუნეში ალბანეთში არის საგულვებელი. როგორც დავინახეთ, აღნიშნულ ხანაში შაქი ერთი იმ ქართულ ერთეულთაგანი იყო, რომელიც ორგანულად მონაწილეობდა ქართლის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში[172].

სომხური გეოგრაფიისა და ლევონდის ცნობების განხილვასთან დაკავშირებით, ცალკე უნდა შევჩერდეთ წუქეთის საკითხზე. წუქეთი ჰერეთის ერთ-ერთ თემს წარმოადგენდა. ამ პროვინციას ზემოაღნიშნული ორივე სომხური წყარო სრულიად გარკვევით ქართლში ათავსებს[173]. რადგანაც ჩვენ ქვემოთ ხშირად მოგვიხდება წუქეთის ისტორიის საკითხებზე მსჯელობა, ამიტომ, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჰერეთის ამ პროვინციის ადგილმდებარეობის ზუსტ დადგენას. ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი და დ. მუსხელიშვილი სწორად, მაგრამ ერთობ ზოგადად განსაზღვრავენ წუქეთის ადგილმდებარეობას. მათი შეხედულებით წუქეთის ქვეყანა მდებარეობდა დღე-

---

[169] ქ ც ბ ა, I, გვ. 232.

[170] ქ ც ბ ა, I, გვ. 244.

[171] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბილისი, 1913, გვ. 147.

[172] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან. საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბილისი, 1966, გვ. 254; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ლეონტი მროველი, ქართველი ისტორიკოსი „ჰამბავთა მწერალი", მე-8 საუკუნისა, ენიმკ-ის მოამბე, X, თბილისი, 1941, გვ. 145.

[173] ს. ე რ ე მ ი ა ნ ი, სომხური გეოგრაფია, გვ. 104; Гевонд, გვ. 93.

ვანდელი საინგილოს ტერიტორიაზე (აზერბაიჯანის სსრ), იგი წარმოადგენდა ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს[174]. წუქეთის ლოკალიზაციის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული შეხედულებანიც. მ. ლორთქიფანიძის მოსაზრებით, „ეს წუქეთი, ვახუშტის აღწერით, თრუსოს ხეობაში ლოკალიზდება"[175]. თავისი დებულების შესამაგრებლად მ. ლორთქიფანიძეს მოაქვს ვახუშტის ვეოგრაფიიდან შემდეგი ადგილი („აღწერა", გვ. 113): „ხოლო ვალაგირისა ანუ ფაიქოძის დასავლით არს კასრის ხეობა, რომელი იწოდების აწცა დვალეთად. და აქუს სიგრძე დვალეთს ზეკარის კავკასიდამ ვიდრე ჩერქეზამდე. და მდინარე ამისი გამოსდის ზეკარისა და ზახა-თრუსოს შორის კავკასთა და მოდის სამხრიდამ ჩრდილოთ. ხოლო კასრის ხეობასა შინა მოერთვიან ამ წყალს, დიგორისა და ამის შორისის კავკასიდამ, ხევნი, და გარდავლენან მას ზედა გზანი დიგორს"[176]. როგორც ვხედავთ, ვახუშტის აქ მოცემული აქვს ოსეთის ტერიტორიის გარკვეული მონაკვეთის აღწერა და, ჩვენი აზრით, მას კავშირი არ უნდა ჰქონდეს წუქეთის გეოგრაფიულ მდებარეობასთან. როგორც ჩანს, მკვლევარმა ყურადღება მიაქცია, აქ მოხსენებულ გეოგრაფიულ სახელწოდებას — „კასრის ხეობა". ცნობილია, რომ ქართული წყარო არჩილ მეფეს (VIII ს.) მიაწერს „კასრის" აშენებას, მაგრამ ეს კასრი სულ სხვაა, იგი მდებარეობს თანამედროვე კახის რაიონში (აზერბაიჯანის სსრ) და არაფერი აქვს საერთო (ადგილმდებარეობის თვალსაზრისით) დვალეთის კასრის ხეობასთან. მ. ლორთქიფანიძის მიერ ვახუშტის გეოგრაფიიდან დამოწმებულ ციტატაში ხომ პირდაპირ აღნიშნულია, რომ „კასრის ხეობა... იწოდების აწცა დვალეთად"; მაშასადამე, შეუძლებელია დვალეთის ტერიტორიაზე მდებარე კასრის ხეობა გაიგივებულ იქნეს ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში არსებულ კასრთან, ხოლო აქედან გამომდინარე კი, საფუძველს ვერ ვხედავთ წუქეთის თრუსოს ხეობაში ლოკალიზებისათვის.

წუქეთის ლოკალიზაციის საკითხს შეეხო აგრეთვე ს. ერემიანი. მან უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ

---

174 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, თბ. 1949, გვ. 249; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 254; დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 67.

175 მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან (კახეთის სამთავრო VIII—IX სს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ. 1954, გვ. 17; მისივე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 144.

176 მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, გვ. 17, სქოლიო 3.

სომხური გეოგრაფიის ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში ამ პროვინციის სახელწოდება დამახინჯებულია, იქ იგი იხსენიება „ქეთ“-ის (քեթ) ფორმით[177]. როგორც ს. ერემიანი აღნიშნავს, ამ პროვინციის სახელწოდების სწორი წაკითხვა (ժուքեթ) მოცემული აქვს ლევონდს. და აი, ლევონდის ჩვენებაზე დაყრდნობით, სომხური გეოგრაფიის ახალ გამოცემაში მან იბერიის აღწერაში მოხსენებული პროვინცია „ქეთ“-ის ნაცვლად შეიტანა „წუქეთი“[178]. ტექსტის ასეთი აღდგენა საკმაოდ დასაშვებია, მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ს. ერემიანს თვით ამ წუქეთის ქვეყნის ლოკალიზაციის საკითხში. მისი აზრით, წუქეთი მდებარეობს მდ. იორის აუზში, ერწოსა და კუხეთს შორის. მისივე შეხედულებით, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობს გეოგრაფიული პუნქტი კაწარეთი, რომელიც „ეპისტოლეთა წიგნში“ მოხსენებულია „კასრის“ (կասր) სახელწოდებით[179]. ს. ერემიანის ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ წერილობით წყაროებში არ არსებობს არავითარი ისეთი მონაცემი, რომელიც საფუძველს მოგვცემდა წუქეთის მდ. იორის აუზში მოთავსებისათვის. რაც შეეხება კაწარეთს, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, იგი მდებარეობდა სუჯეთის ტერიტორიაზე და არასოდეს არ შედიოდა წუქეთის ფარგლებში.

პ. ინგოროყვას მიხედვით, კაკი ანუ წუქეთი (ქურმუხი, კასრი) აღმოსავლეთ ჰერეთში მდებარეობს. რადგანაც პ. ინგოროყვას მოსაზრებით, აღმოსავლეთ ჰერეთი არის იგივე ძველი წანარეთი, აქედან გამომდინარე მას წუქეთიც წანარეთის ერთ-ერთ კანტონად მიაჩნია[180].

წუქეთის ადგილმდებარეობის შესახებ პირველწყაროებში მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება. ჯუანშერის ქრონიკაში ჩართული VIII საუკუნის ანონიმი მატიანე, მოგვითხრობს რა არჩილის მოღვაწეობის შესახებ წუქეთში წერს: არჩილი „დაჯდა წუქეთს, და აღაშენა კასრი, ...და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი“[181]. ამ ცნობაში მოხსე-

---

[177] J. Saint-Martin, Geographie attribuée a Moyse de Khoren, Memoires historiques et geographiques sur l'Armenie, t. II, Paris, 1819, სომხური ტექსტი, გვ. 358, ფრანგული თარგმანი, გვ. 359.

[178] ს. ერემიანი, სომხური გეოგრაფია, გვ. 104.

[179] ს. ერემიანი, სომხური გეოგრაფია, გვ. 57, იხ. აგრეთვე თანდართული რუკა.

[180] პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ., 1963, გვ. 883.

[181] ქცბ., I, გვ. 243.

ნებული გეოგრაფიული პუნქტი კასრი, რომელიც როგორც აღვნიშ-
ნეთ თანამედროვე კახის რაიონში (აზერბაიჯანის სსრ) მდებარეობს,
ერთგვარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ წუქეთი ჰერეთის ჩრდილო-აღ-
მოსავლეთ მხარეს წარმოადგენდა. ამავე ცნობიდან ცხადი ხდება, რომ
წუქეთის მთავრის სამფლობელო მოიცავდა აგრეთვე დაღისტნის მთი-
ანეთის გარკვეულ ნაწილს, კერძოდ, ეს უნდა ყოფილიყო მდ. სამუ-
რის ზემო წელი, ე. წ. წახურის სამფლობელო.

წუქეთის ადგილმდებარეობის უფრო ზუსტი დადგენისათვის ად-
რინდელი ხანის ქართულ საისტორიო წყაროებში, სამწუხაროდ, სხვა
ცნობები თითქმის არ გაგვაჩნია. ამის გამო იძულებული ვართ მივ-
მართოთ გვიანდელი ხანის ცნობებს, უპირველეს ყოვლისა კი, ვახუ-
შტის გეოგრაფიას. უნდა აღინიშნოს, რომ წუქეთი იმთავითვე ცალ-
კე ქვეყანა იყო. ადრე შუასაუკუნეებში იგი ქართლის სამეფოში შემა-
ვალ ერთ-ერთ ფეოდალურ სენიორიას წარმოადგენდა; შემდეგში,
როდესაც ჰერეთი დამოუკიდებელ სამეფოდ ჩამოყალიბდა (IX—
X სს.), წუქეთი მის ერთ-ერთ საერისთავოდ გადაიქცა; უფრო გვიან,
როდესაც ჰერეთის სამეფო კახეთისას შეუერთდა, ხოლო კახეთის სა-
მეფო კი თავის მხრივ გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს
ფარგლებში მოექცა, წუქეთი კვლავ ცალკე ადმინისტრაციულ ერ-
თეულად განიხილებოდა. გვიანფეოდალური ხანის კახეთის სამეფოში
ჩატარებული რეფორმების შედეგად (XVI ს.), წუქეთი სამოურაოდ
ჩამოყალიბდა; საბოლოოდ, XVII საუკუნის დასაწყისში, წუქეთი მოს-
წყდა კახეთის სამეფოს და მის ტერიტორიაზე საფუძველი ჩაეყარა
ე. წ. ელისუს სასულთნოს. ყოველივე ამის გამო, წუქეთის საზღვრე-
ბი საუკუნეთა მანძილზე მეტ-ნაკლებად დაცული იყო და მკაფიო-
დაც განსაზღვრული. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ გვიანდელი
ცნობები, წუქეთის საზღვრებს რომ ეხება, გამოსადეგი უნდა იყოს
უფრო ძველი პერიოდისათვისაც და, კერძოდ, გამოყენებულ უნდა
იქნას წუქეთის თავდაპირველი საზღვრის დასადგენად.

ვახუშტს წუქეთის შესახებ ცნობები დაცული აქვს კაკ-ელისე-
ნის აღწერაში. აი, ეს ადგილიც: „ხოლო აწ კვალად ვიწყებთ ალაზ-
ნის შესართავიდამ. სად არს ხორანთა, მას ქვეით დიდს ალაზანს მოერ-
თვის გიშისწყალი, რომელი გამოსდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს
შორის, და მოდის გიშამდე ჩდილოდამ სამხრით, მერმე აღმოსავ-
ლიდამ დასავლით. არამედ გიში არს მთის ძირს, რომელი იყო საე-
რისთო წუქეთისა,... არამედ მიუხუნა შაბაზ კახეთს და ჰყო სასულტ-
ნოდ, და ამას ეწოდა წუქეთი, და აწ უწოდებენ ალის-სულთნად.
კვალად გიშის-წყლის შესართავს ზეით, ამ გიშის-წყალს მოერთვის

ჩდილოდამ ქურმუხის-წყალი; გამოსდის მასვე კავკასსა და მოდის ჩდილოდამ სამხრით. ამ წყალზედ არს ქურმუხი სიმაგრე დიდშენი, და აწ სახლი ალის-სულთნისა"[182]. ვახუშტის ამ ცნობიდან ირკვევა, რომ წუქეთი მდებარეობდა მდ. გიშის-წყლისა და მდ. ალაზნის ქვემო დინების ჩრდილოეთით, მისი ტერიტორია ძირითადად მოიცავდა მდ. ქურმუხის აუზს.

ვახუშტის გეოგრაფიის შემდეგ, იმ გვიანდელი ხანის წყაროთა შორის, რომელშიც წუქეთის ისტორიული გეოგრაფიისათვის მასალებია დაცული, დასახელებულ უნდა იქნას XVIII საუკუნის II ნახევარში შედგენილი „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა"[183]. ამ ნაშრომში ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ის თავი, რომელშიც მოცემულია „აღწერა ალის სულტანისა".

წუქეთის საზღვრების დასადგენად საყურადღებო ცნობებს შეიცავს XVI—XVII სს. რუს ელჩთა ჩანაწერები და XVIII საუკუნეში შედგენილი ე. წ. „ჭარის ომების ქრონიკა". წუქეთის ისტორიული გეოგრაფიისათვის გამოგვადგება აგრეთვე 1869—1874 წწ. „ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის" ჟურნალები[184]. ამ ჟურნალების მასალებში, რომელთაც კომისია სოფელ-სოფელ აგროვებდა დაკითხვების სახით, მოიპოვება მრავალი ისეთი ცნობა, რომელიც შეეხება წუქეთის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, მის საზღვრებს და სხვ.

ზემოაღნიშნულ წყაროებში არსებული მონაცემების საფუძველზე წუქეთის ანუ გვიანდელი ხანის ელისუს სასულთნოს საზღვრები შემდეგი სახით წარმოგვიდგება. ელისუს სასულთნო ორი ნაწილისაგან შედგებოდა: წახურის სამფლობელოსაგან და საკუთრივ ელისუს სასულთნოსაგან. წახურის სამფლობელოს ფარგლებში შედიოდა წახური და მის გარშემო მდებარე სოფლები მდ. სამურის აუზში: მუსლიახი, სიუგუტი, ხიახი, მიხიხი, კურდული და გილმისი. ესენი არიან ე. წ. წახურის ჯგუფის სოფლები. სოფელთა ამავე ჯგუფს მიეკუთვნებოდა აგრეთვე ზერნა და ლექეთი, რომლებიც კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით, მდ. ყაფიჩაჲს აღმოსავლეთით მდებარეობენ[185]. ამ სოფლებიდან ყველაზე უძვე-

---

[182] ვ ა ხ უ შ ტ ი, «აღწერა», გვ. 95—96.

[183] ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა, თბილისი, 1936.

[184] საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (ც. ს. ს. ა.). ფონდი 236, აღწერა I, საქმეები: №№ I, 10, 11, 12, 13, 14; აღწერა 2. საქმეები №№ 3, 22, 21, 88.

[185] И. Л и ш е в и ч, Бывшее Елисуйское султанство, Сборник сведений о Кавказских горцах, вып. VII, Тифлис, 1873, გვ. 9—10.

ლესი და მნიშვნელოვანი წახური იყო. იგი წარმოადგენდა სულტანთა თავდაპირველ რეზიდენციას. შემდეგში, როდესაც წახურელი ლეკები კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალზეც გაბატონდნენ (XVII საუკუნის დასასრული), სულტნის რეზიდენციამ სოფ. ელისუში გადმოინაცვლა (მდ. ქურმუხის აუზი). აქედანვე წარმოდგა მათი ტიტული — «ელისუს სულთანი». ქართულ საისტორიო წყაროებში წახურის სამფლობელო ცნობილია «წუქეთის»[186], «წახეთის»[187], «ზახურის»[188], სახელწოდებით. თვით სულთანი, როგორც ეს წყაროებიდან ჩანს, იწოდებოდა შემდეგნაირად: «წახეთის სულთანი»[189], «ალის სულთანი»[190], «ზახურის მფლობელი» («Захурской владетель»)[191]; XVIII საუკუნის ჭარის ომების ქრონიკის ავტორი მას იხსენიებს «უწმია-სულტანის», «წახურის უწმიას[192]» სახელწოდებებით. წახურის სამფლობელო (მდ. სამურის ზემო წელი), როგორც ზემოთ ვნახეთ, ჯერ კიდევ VIII საუკუნეში, არჩილის მეფობის დროს, ქართლის სამეფოში შემავალ წუქეთის სამთავროს ეკუთვნოდა. XVI საუკუნეში ამ ადგილებს ისევ კახეთის მეფე ჰფლობს. 1588—1589 წწ. მოსკოვის ხელმწიფის, თეოდორე ივანეს-ძის, კარზე მყოფი ქართველი ელჩები: თავადი ყაფლანი, კირილე ბერი და ხურშიტი აცხადებდნენ, რომ წახურის (Сафурской) მთავარი კახეთის მეფე ალექსანდრეს ქვეშევრდომია. აი მათი სიტყვები: «ყოზანიჩითგან ყაზიყუმუხისა და სამურამდე (до Сафурского) 4 დღის სავალია. ხოლო Сафурской კი ალექსანდრე მეფის ქვეშევრდომია. სამურიდან ივერიამდე ორი დღის სავალი მანძილია»[193]. რუსი ელჩებიც (1596—1599 წწ.), როდესაც წახურზე ლაპარაკობენ, მას განმარტავენ როგორც ქართველთა კუთვნილ მიწა-წყალს («Грузинские земли город Цакур»)[194].

საკუთრივ წუქეთს resp. ელისუს სასულთნოს წახურის სამფლობელოს სამხრეთით მდებარე ტერიტორია ეკავა. ჩრდილოეთით მას საზღვ-

---

186 ვახუშტი, «აღწერა», გვ. 96.

187 არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, არჩილიანი, ტ. II, ალ. ბარამიძის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1937, გვ. 82; ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 165.

188 არჩილიანი, ტ. II, გვ. 82.

189 ეგნატაშვილი ბერი, გვ. 165.

190 ვახუშტი, «აღწერა», გვ. 96.

191 Абас-Кули-Ага Бакиханов — Кудси, Гюлистан-Ирам, Баку, 1926, გვ. 128.

192 Хроника войн Джара в XVIII столетии, Изд. Аз. Г. Н. И. И., Баку 1931, გვ. 15, 23.

193 С. Белокуров, Сношения России с Кавказом, вып. I, 1889, გვ. 59.

194 С. Белокуров, იქვე, გვ. 293.

რავდა კავკასიონის მთავარი ქედი, დასავლეთით მდ. ყაფიჩაჲ, სამხრეთით მდინარეები ალაზანი და ეგრი-ჩაჲ (გიშის-წყალი), აღმოსავლეთით მდ. ყანი-ყობი («სისხლიანი ღელე», «სისხლის ხევი»), რომლის გადაღმა უკვე შაქის ქვეყანა იწყებოდა. რომ წუქეთის აღმოსავლეთი საზღვარი მდ. ყანი-ყობამდე აღწევდა, ეს კარგად ჩანს XVII საუკუნის რუსი ელჩების: თავადი მიშეცკისა და «დიაკი» კლუჩარევის ცნობებიდან: «Ноября в 11 день стого стану пошли и пришли на рубеж Теймураза царя земли с Шаховою землею, владенья рясского салтана (წუქეთი), на реку Кан»[195]. რუსი ელჩების ამ განცხადებიდან სრულიად აშკარაა, რომ მდ. ყანის აქეთა მხარე წუქეთის სულთნის სამფლობელოს შეადგენდა. წუქეთი, როგორც ამას VIII ს. ანონიმი მემატიანე გვაცნობს, უკვე V საუკუნეში, ვახტანგ გორგასალის დროს, ქართლის სამეფოში შემავალი ქვეყანა იყო[196].

მარჯვენა ნაპირის ალბანეთს (მტკვრისა და არაქსის შუამდინარეთი) შეადგენდა არცახისა (მთიანი ყარაბაღი) და უტის (ბარის ყარაბაღი) ოლქების ტერიტორია, რომლებიც ძვ. წ. II საუკუნიდან მონათმფლობელური ე. წ. „დიდი სომხეთის" სახელმწიფოს მფლობელობის ქვეშ მოექცნენ. „დიდი სომხეთის" მიერ დაპყრობას ვერ გადაურჩა ვერც მესამე ალბანური ოლქი კასპიანა ანუ ფაიტაკარანი. ამ ოლქთა ჩამოშორების შემდეგ სასაზღვრო ხაზი ალბანეთსა და სომხეთს შორის გადიოდა მდ. მტკვარზე. უტი, არცახი და ფაიტაკარანი სომხეთის მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდნენ ახ. წ. IV საუკუნემდე, რის შემდეგაც ისინი ისევ ალბანეთმა შეიერთა. თითქმის ექვსი საუკუნის განმავლობაში „დიდი სომხეთის" სახელმწიფოს მფლობელობის ქვეშ ყოფნამ დიდი გავლენა მოახდინა ამ ძირძველი ალბანური ოლქების განვითარებაზე. უპირველეს ყოვლისა, ამ ოლქებში ადგილი ჰქონდა გასომხების პროცესს. IV—V საუკუნეებში მთელი არცახის ოლქი უკვე გასომხებული იყო. ასევე დაემართა VI საუკუნისათვის უტის ოლქის მნიშვნელოვან ნაწილსაც. თუ რამდენად შორს იყო წასული ამ ოლქებში გასომხების პროცესი, ამას ნათლად ადასტურებს VIII საუკუნის სომეხი მწერლის, სტეფანოს სიუნელის ერთი მეტად საყურადღებო ცნობა. სტეფანოს სიუნელი, თავის ცნობილ ტრაქტატში — „კომენტარიები დიონისე ფრაკიელის გრამატიკისა" — როდესაც ჩამოსთვლის სომხური ენის დიალექტებს, იგი სხვა-

---

[195] Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию 1640—1643 гг., Тифлис, 1928, გვ. 161; წუქეთის (ელისუს სასულთნოს) საზღვრების შესახებ დაწვრილებით იხ., თ. პაპუაშვილი, ჭარ-ბელქანი (კაკ-ენისელი) XIX საუკუნის პირველ მესამედში, ხელნაწერი, თბ., 1954, გვ. 24—39.

[196] ქ ც ბ ა, I, გვ. 243.

თა შორის, ასახელებს „არწახურ დიალექტსაც“[197]. ამრიგად, როგორც ვხედავთ, არცახის ოლქის ალბანური მოსახლეობისათვის გაბატონებულ ენად გამხდარა სომხური, რაც თავის ძრრივ დაკავშირებული იყო ამ ალბანურ ქვეყანაში სომხური ეკლესიის გავლენის გავრცელებასთან და სომხეთის პოლიტიკურ ბატონობასთან. ვფიქრობთ, ანალოგიურ მოვლენას ექნებოდა ადგილი დანარჩენ ორ ალბანურ ოლქშიც.

IV საუკუნეში ადგილი აქვს უტის, არცახის და ფაიტაკარანის პროვინციების სომხეთისაგან ჩამოშორებას და მათი ისევ ალბანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში გადასვლას. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის ფაუსტოს ბიზანტიელი. მისი გადმოცემით, IV საუკუნის მეორე ნახევარში სომეხთა მეფე არშაკს გადაუდგნენ გუგარქის, ძორის, კოლბის, გარდმანაზორის და აგრეთვე არცახის ქვეყნის მფლობელნი[198]. აქ, როგორც ვხედავთ, უტის ოლქი უშუალოდ არც არის მოხსენებული გადადგომილთა შორის. სამაგიეროდ იხსენიება გარდმანაზორის resp. გარდმანის მფლობელი, რომელიც VII საუკუნის სომხური გეოგრაფიის ცნობით უტის ოლქში შედიოდა[199]. სომეხთა მეფეს აუჯანყდნენ აგრეთვე კასპების ქვეყნისა და ქ. ფაიტაკარანის მცხოვრებნი[200]. სომეხთა მეფის არშაკის მემკვიდრის, პაპის, მმართველობის წლებში ადგილი აქვს ამ დაკარგული ოლქების უკან დაბრუნების ცდას. ფაუსტოს ბიზანტიელის გადმოცემით, სომხეთის სპარაპეტმა მუშეღ მამიკონიანმა ისევ დაიპყრო და „დიდ სომხეთს“ შეუერთა ჩამოშორებული ოლქები: არცახი, უტი, შაკაშენი, გარდმანაზორი და კოლთი. ამ დაპყრობების შედეგად მუშეღ მამიკონიანმა მდ. მტკვარი კვლავ გახადა საზღვრად ალბანეთსა და სომხეთს შორის -ო[201]. მაგრამ ეს იყო მხოლოდ დროებით. სულ მალე სომეხთა მეფის, პაპის, ვერაგულად მოკვლის (374) შემდეგ, „დიდი სომხეთი“ დაშალა და უტის, არცახის და ფაიტაკარანის პროვინციები საბოლოოდ ალბანეთს შეუერთდა[202]. ამით დასრულდა მტკვრის მარცხენა და მარჯვენა ნაპირის ალბანეთის ერთ მთლიან ალბანურ სახელმ-

---

[197] Н. Адонц-Дионисий Фракийский и армянские толкователи, Петербург, 1915, გვ. 187.

[198] Фавстос Бузанд-История Армении, перевод М. А. Геворгяна. Под. ред. С. Т. Еремяна, Ереван, 1953, кн. IV, гл. 1, გვ. 123.

[199] Армянская география VII века, სომხური ტექსტი, გვ. 20, რუს. თარგ. გვ. 51.

[200] Фавстос Бузанд, кн. V, гл. XIV, გვ. 162.

[201] Фавстос Бузанд, кн. V, гл. XIV, გვ. 192.

[202] Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908 г., გვ. 226.

წიფოდ გაერთიანების პროცესი. სასაზღვრო ხაზმა მდ. მტკვრიდან არაქსზე გადაინაცვლა. ამიერიდან სომხურ წყაროებშიც ალბანთა მეფეები გვევლინებიან, როგორც მარჯვენა ისე მარცხენა ნაპირის ალბანეთის მფლობელებად. ასე მაგალითად, მოსე კალანკატუელი, ალბანეთის მეფის ვაჩაგან III (V ს. მეორე ნახევარი) შესახებ გარკვევით მიუთითებს, რომ იგი ფლობდა მტკვრის ორსავე ნაპირის ალბანეთს[203]. განცალკევებით დგას ამ მხრივ VII საუკუნის სომხური გეოგრაფია. მის ავტორს უტის, არცახის და ფაიტაკარანის პროვინციები მაინც „დიდი სომხეთის" გეოგრაფიულ აღწერაში შეაქვს და იქვე შენიშნავს: ეს ოლქები სომხებს ალბანელებმა ჩამოართვეს და ეხლა ისინი ფლობენ[204]. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, VII საუკუნის სომხური გეოგრაფიის ავტორის ეს განცხადება ტენდენციურია. იგი ივიწყებს ამ ძირძველი ალბანური მიწა-წყლის თავდაპირველ ისტორიას და ემყარება მხოლოდ იმ ადრინდელ წყაროთა ცნობებს, რომლებიც ასახავენ იმ მდგომარეობას, როდესაც უტის, არცახის და ფაიტაკარანის ქვეყნები ე. წ. „დიდი სომხეთის" პოლიტიკური ბატონობის ქვეშ იყო მოქცეული. აღსანიშნავია, რომ სომხური სახელმწიფოებრიობის ისტორიის ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური მომენტი დიდხანს ცოცხლობდა სომეხთა მეხსიერებაში. კარგად ახსოვდათ ეს, ჯერ კიდევ VI საუკუნის II ნახევარში, ამიტომ იყო, რომ ცნობილი სარდალი ბახრამ ჩუბინი, იმ მიზნით, რათა სასანიდების წინააღმდეგ საბრძოლველად თავის მხარეზე გადმოებირებინა სომეხი ნახარარები — ისტორიკოს სებეოსის (VII ს.) გადმოცემით — მათ ეფიცებოდა, რომ სასანიდებზე გამარჯვების შემთხვევაში იგი აღადგენდა ძველ სომხეთის სამეფოს და სომხებს დაუმტკიცებდა „მთელ სომხურ მიწა-წყალს კავკასიამდე და ალვანიის კარებამდე"[205]. XIX საუკუნის პირველი ნახევრის სომხური ფეოდალურ-კლერიკალური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელს ლ. ინჯიჯიანსაც თავის 1822 წელს გამოცემულ შრომაში — „ძველი სომხეთის აღწერა" — უტის, არწახისა და ფაიტაკარანის პროვინციები სომხეთის სამეფოს შემადგენლობაში აქვს შეტანილი. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, ლ. ინჯიჯიანი, ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულ პოლიტიკურ მომენტს ითვალისწინებდა და არა იმას, რომ ეს მიწა-წყალი საერთოდ წმინდა სომხური იყო. მის ნაშრომში უტის, არწახის და ფაიტაკარანის აღსანიშნავად ნახმა

---

[203] М. Каганкатваци, кн. I, гл. XVII, г,. 35—36.

[204] Soukry, სომხური ტექსტი, გვ. 33, ფრანგული თარგმანი, გვ. 44—45.

[205] История епископа Себеоса, перевод С. Малхасянца, гз. 37. Ереван, 1939

რია გამოთქმა — „სომხური ალბანეთი“ (Ադուանք Հայոց)[206]. ამ გამოთქმით ხაზი ესმება ორ გარემოებას: ერთი ის, რომ ეს მიწა-წყალი წარმოშობით ალბანური იყო, მეორე კი ის, რომ ადგილი ჰქონდა აქაური ალბანური მოსახლეობის გასომხების პროცესს.

ალბანეთის ისტორიული გეოგრაფიისათვის მნიშვნელობას მოკლებული არ უნდა იყოს ის ცნობები, რომლებიც დაცულია ქართულ წყაროებში. ეს ცნობები შენახულია ლეონტი მროველის თხზულების იმ ნაწილში, სადაც მოცემულია კავკასიელი ტომების ეთნარქ-ეპონიმთა განსახლების სქემა. ცნობილია, რომ ლეონტი მროველის მიერ მოცემულ კავკასიელი ტომების ეთნარქ-ეპონიმთა განსახლების სქემაში ასახულია გარკვეული ეპოქის ისტორიული ვითარება. ჩვენს ყურადღებას ამ სქემაში იპყრობს ეთნარქ-ეპინნიმები: მოვაკანი და ბარდოსი. ლეონტი მროველი წერს: „ხოლო მოვაკანს მისცა მტკუარსა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნის შესართავითგან ვიდრე ზღუამდე. და მან აღაშენა ქალაქი მოვაკნეთი და დაემკვიდრა მუნ“.

„ხოლო ბარდოსს მისცა მტკუარს სამხრით, ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე სადა შეკრბებიან მტკუარი და რაჯსი. ამან ბარდოს აღაშენა ქალაქი ბარდავი და დაეშენა მუნ“[207]. ლეონტი მროველის თხზულების ეს ცნობები შეიცავენ ისტორიული ალბანეთის გეოგრაფიულ საზღვრებს. დავიწყოთ მოვაკანის წილის გეოგრაფიული მოცულობის განხილვით. მოვაკანის ქვეყანა მდებარეობდა მტკვრის ჩრდილოეთით. მცირე ალაზნის შესაყარს ქვევით (ე. ი. აღმოსავლეთით) ვიდრე ზღვამდე იყო მოვაკანი, ხოლო მცირე ალაზნის ამოღმართ (ე. ი. დასავლეთით) ვიდრე გულგულამდე იყო ჰერეთი[208]. თუ ჩვენ ჰერეთს (ჰეროსის წილს) ქართლის შემადგენლობაში ჩავთვლით, მაშინ ლეონტი მროველის ზემოთ მოტანილი ცნობების მიხედვით, მოვაკანის წილის საზღვრები ასე წარმოგვიდგება: დასავლეთით იბერია, აღმოსავლეთით — კასპიის ზღვა, სამხრეთით — მდ. მტკვარი. ეს არის მტკვრის მარცხენა ნაპირის ალბანეთის ანუ ე. წ. „საკუთრივ ალბანეთის სამეფოს“ საზღვრები, რომლებიც მოცემულია ანანია შირაკელის გეოგრაფიაში[209]. ლეონტი მროველის სქემის მიხედვითაც, ალბანეთი ვრცელდებოდა აგრეთვე მტკვრის სამხრეთითაც, სადაც მოთავსებული იყო ბარდოსის წილი: დასავლეთით იგი იწყებოდა მდ. ბერდუჯიდან და აღმოსავლეთით აღწევს იმ ადგილამდე, საცა ერთმა-

---

[206] Ղ. Ինճիճեան, Սուրբ գրութիւն Հին Հայաստանեայց—Վենետիկ. 1822, გვ. 539.

[207] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 5.

[208] ქ ც ბ ა , I, გვ. 5.

[209] Soukry, სომხური ტექსტი, გვ. 28—29, ფრანგული თარგმანი 39.

ნეთს შეერთვიან მტკვარი და არაქსი. ლეონტი მროველის ბარდოსის წილს შეესაბამება სომხური გეოგრაფიის უტისა და არცახის ქვეყნები. უტი (ბარის ყარაბაღი) შეიცავდა 7 ოლქს, აქედან საკუთრივ უტის ოლქში მდებარეობდა ქ. პარტავი, რომელიც უდრის ლეონტი მროველის ბარდავს. უტის აღმოსავლეთით მდებარეობდა არწახი (მთიანი ყარაბაღი) თავისი 12 ოლქით[210]. საყურადღებოა, რომ სახელწოდება „მოვაკანი" დაცულია აგრეთვე VII ს. სომხურ გეოგრაფიაშიც. ეს უნდა იყოს „მუკანი" (*Մուկան*) რომელიც ანანია შირაკელს დასახელებული აქვს „კავკასიის კუსტაკში" შემავალ ოლქთა შორის[211]. როგორც ჩანს, გეოგრაფიულ სახელწოდება „მოვაკანს" resp. „მუკანს" ზოგადი მნიშვნელობა ჰქონდა ჰერეთის აღმოსავლეთით მდებარე ალბანეთში შემავალი ქვეყნის აღსანიშნავად.

ჰერეთ-ალბანეთის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ წერილობით წყაროებში მცირე ცნობებია დაცული. მცირე ცნობების საფუძველზე მეტად ძნელდება ცალკეულ ალბანურ ტომთა პირვანდელი საცხოვრისის დადგენა. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ მთელი საშუალო საუკუნეების განმავლობაში ადგილი ჰქონდა ალბანური მოდგმის ტომების ასიმილაციას, რის გამოც ბუნებრივია, მათი სახელწოდება გაჰქრა ისტორიული სარბიელიდან. სტრაბონის გეოგრაფიაში დაცულ ცნობას (XI, 4, 6) იმის შესახებ, რომ ალბანეთში „ეხლა (ე. ი. I ს. ახ. წ. ა.) ერთი (მეფე) განაგებს ყველას, ხოლო უწინ ცალკეულები მეფობდნენ ცალკეული საკუთარი ენის მიხედვით", და რომ, „მათ (ე. ი. ალბანელებს) აქვთ 26 ენა (ე. ი. 26 სხვადასხვა ტომია), იმიტომ, რომ ერთმანეთს არ ერევიან", — ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც მისი მეოხებით ცხადი ხდება, რომ ალბანეთი ეთნიკურად ერთობ ჭრელ ქვეყანას წარმოადგენდა, ხოლო რაც შეეხება იმას, თუ სახელდობრ რომელი ეთნიკური ერთეულები იგულისხმებოდნენ კონკრეტულად ამ 26 ტომის ქვეშ, ამის თაობაზე სტრაბონი და აგრეთვე სხვა ავტორებიც, სამწუხაროდ, მეტად ძუნწ ცნობებს გვაწვდიან. ამ საკითხზე წყაროთა სიმცირით გამოწვეული ხარვეზი შეიძლება ნაწილობრივ მაინც შეივსოს ტოპონიმიკური მასალით.

ანტიკური, ძველი სომხური და ძველი ქართული საისტორიო წყაროების ცნობები ცხადყოფენ, რომ კავკასიის ალბანეთის მოსახლეობა არ ყოფილა ერთგვაროვანი, მის ტერიტორიაზე სხვადასხვა

---

[210] Soukry, სომხური ტექსტი, გვ. 33, ფრანგული თარგმანი, გვ. 44—45.

[211] Армянская география VII века, სომხური ტექსტი, გვ. 22, რუსული თარგმ. გვ. 57—61.

ეთნიკური ჯგუფები მოსახლეობდა. მაშასადამე, აუცილებლად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან: ტერიტორია, რომელზედაც წმინდა ალბანური მოდგმის ტომები მოსახლეობდნენ და ტერიტორია, რომელიც ალბანთაგან განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს ეკავათ. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უძველეს წყაროებში თვით მცნება „ალბანელები“ და „ალბანეთი“ წმინდა პოლიტიკური ხასიათისაა და გარკვეულ პერიოდში იგი აღნიშნავდა ალბანელთა მეთაურობით შექმნილ სხვადასხვა ტომთა პოლიტიკურ გაერთიანებას. შეიძლება თუ არა წარმოვიდგინოთ, რომ კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროებიდან მოყოლებული ვიდრე იბერიამდე, მხოლოდ ერთი მოდგმის ტომი — ალბანელები მოსახლეობდნენ, რომ ამ ვრცელ ტერიტორიაზე არსებული ეს დიდი პოლიტიკური გაერთიანება მხოლოდ ერთი მოდგმის ტომის — ალბანელების ორგანიზაციას წარმოადგენდა?, ვფიქრობთ, ეს გამორიცხულია. ვიმეორებთ, ამ შემთხვევაში ტერმინები „ალბანელები“ და „ალბანეთი“ პოლიტიკური, კრებითი მნიშვნელობისაა. მაშასადამე, ამ პოლიტიკური გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ სხვადასხვა ტომთა სახელებს ფარავს პოლიტიკური, კრებითი შინაარსის სახელწოდება — „ალბანელები“, „ალბანეთი“. ამიტომ, როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ ალბანეთის ძველი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ, არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ აქ, უძველეს პერიოდში, ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობდა ალბანური და არაალბანური მოსახლეობა.

მოსე ხორენელის გადმოცემით, ალბანეთის მკვიდრი მოსახლეობა ძირითადად ოთხი ტომისაგან შედგებოდა. იგი წერს: «სისაკის გვარეულობამ ალუანთა ველი და მისი მთიანეთი მდ. რახსიდან ვიდრე ჰნარაკერტის ციხემდე დაიმკვიდრა. ამ ქვეყანას სისაკის ბუნების კეთილი თვისებების გამო ალუანქი ეწოდა, რადგან თვითონ მას ალუს ეძახდნენო. სისაკის გვარის ერთ-ერთი ჩამომავალთაგანი არრანი ვალარშაკ პართველმა ამ ქვეყნის მფარველად დანიშნა ათი ათასიანი ლაშქრით. ამბობენ, რომ არრანის შთამომავალთაგან წარმოდგა უტიელთა, გარდმანელთა, წავდეელთა და გარგარელთა ტომებიო» (*զազգն Ուտեացւոց և Գարդմանացւոց և Ծաւդեացւոց և Գարգարացւոց իշխանութիւնն*)[212]. ეს გადმოცემა შემონახულია აგრეთვე მოსე კალანკატუელის «ალვანეთის ისტორიაში» იმ განსხვავებით, რომ ალბანელთა მითური წინაპრის, არრანის შთამომავალთაგან წარმომდგარი ტომებიდან იქ დასახელებულია მხოლოდ ორი: უტიელები და გარდმანელები[213]. მ. ხორენელის და

---

[212] *Մովսէսի Խորենացւոյ, Պատմութիւն Հայոց, Թիֆլիս*, 1913, გვ. 106.
[213] М. Каганкатваци, кн. I, гл. IV, зд. 5.

მ. კალანკატუელის ეს ცნობა, ვფიქრობთ, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ალბანურ ტომთა გაერთიანებაში უტიელები, გარგარები, გარდმანელები და წავდეელები წარმოადგენდნენ ძირითად და წამყვან ტომებს.

უტიების resp. უდინების განსახლების ტერიტორია მოიცავდა მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროს, მდ. ალაზნის შესართავს ქვემოთ. საფიქრებელია, რომ უტიები resp. უდინები იყვნენ ალბანელების ყველაზე უფრო ახლობელი, შეიძლება ითქვას, პირდაპირი შთამომავალნი. ჩვენ ზემოთ, ერთხელ უკვე მოვიტანეთ ზ. იამპოლსკის საყურადღებო დებულება იმის შესახებ, რომ ტერმინები „უტიების ქვეყანა" — „უტიები" და „ალბანეთი" — „ალბანელები" — სინონიმები არიან, რომ ალბანეთის მკვიდრი ადგილობრივი მოსახლეობა თავის თავს „უტიებს" უწოდებდა[214].

ბ. ინგოროყვას აზრით, ოდესღაც მრავალრიცხოვანი ალვანთა ეროვნების ნაშთი არის უდების ტომი, რომელიც დღეს მოსახლეობს ნუხის მაზრის ორ სოფელში: ვართაშენში და ნიჯში, ალვანიის ძველი ქალაქის კაბალას რაიონში. უდები არიან ნაშთი ალვანიის ერთ-ერთი მთავარი ტომისა — „უტი", რომელთა დიალექტი წარმოადგენდა ძველი ალვანიის სალიტერატურო ენას[215].

აკად. ა. შანიძის შეხედულებით — «современные Удины-потомки древних «утиев» или албанцев..., что удинский язык—это один из новоалбанских диалектов, или, что тоже, албанский, это есть литературный язык древних удин, т. е. древнеудинский». აკად. ა. შანიძეს თავის დებულების კიდევ უფრო შესამაგრებლად მოაქვს აგრეთვე გეოგრაფიული მონაცემები, იგი წერს: «Географические данные тоже говорят в пользу мнения о том, что современные удины — потомки древних «утиев» или албанцев: удины живут недалеко от Мингечаура, где найдены албанские надписи, а именно, Варташен находится в каких-нибудь 50 километрах к северо-востоку от него по прямой линии, а Нидж-в 55-и километрах, причем от Варташена до Ниджа 25 километров, тоже по прямой линии»[216]. რომ ტერმინი «უტი» იყო ალბანეთის თავდაპირველი, ძველი, ადგილობრივი სახელწოდება ეს კარგად ჩანს მ. კალანკატუელის მატიანის ანალიზიდა-

---

[214] З. И. Ямпольский, К изучению летописи Кавказской Албании გვ. 154.

[215] ბ. ინგოროყვა, კავკასიის ალვანთა დაკარგული ანბანი, გაზ. «კომუნისტი», 1927 წ. 22/I.

[216] А. Шанидзе, Язык и письмо Кавказских Албанцев. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1960, № 1, გვ. 189.

ნაც. ასე მაგალითად, მატიანეში ორჯერ არის ნათქვამი, რომ საეკლესიო ისტორიაში კარგად ცნობილი დასახლებული პუნქტი გისი (resp. გიში) მდებარეობს უტის ოლქშიო. ერთგან, I წიგნის XXVII თავში, რომელიც შეიცავს ისტორიულ მოთხრობას მესროპისა და მისი თანამოღვაწეების შესახებ, აღნიშნულია, რომ იერუსალიმიდან დაბრუნებულმა, სომხეთისაკენ მიმავალმა მესროპმა მიაღწია აღმოსავლეთის საზღვარს უტის ოლქში და საცხოვრებლად მოეწყო ერთ დაჭაობებულ და დახავსებულ ადგილას, რომელსაც გისი ეწოდებოდა[217]. მეორეგან, II წიგნის XXXIII თავში, მ. კალანკატუელი მოგვითხრობს ვინმე წმინდა მამის, ისრაელის შესახებ, რომელიც მიემართება «უტის ოლქში მდებარე სოფელ გისში», ვითომ-ცდა წმ. მაშტოცის მიერ აქ ჩაფლული უფლის ჯვარის საპოვნელად[218]. ამრიგად, ალბანეთის მემატიანის წარმოდგენით, გისი (გიში) უტის ტერიტორიაზე მდებარეობს. გისი resp. გიში, resp. შაქი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ლოკალიზდება თანამედროვე ნუხის რაიონში.

ამავე მემატიანის მიხედვით უტის ტერიტორიაზე იმყოფებოდა ქ. ხალხალაც[219], რომელიც წარმოადგენდა ალბანეთის მეფეების საზამთრო სადგომს, იგი მდებარეობდა ალბანეთისა და იბერიის საზღვარზე[220]. ეს ხალხალა ლოკალიზდება თანამედროვე სოფელ ხილხილის (ხეილიხანი) რაიონში, მდ. ძეგამის აუზში. მ. კალანკატუელი აგრეთვე აღნიშნავს, რომ უტის ულქში მდებარეობდა სოფელი კალანკაიტუკი[221]. მეტად საყურადღებოა ალვანეთის მატიანის შემდეგი ადგილი. მემატიანის მოთხრობით, ხაზართა შემოსევით შეეიწროებული ქ. ბარდავის მცხოვრებთა ნაწილი „თავის შეფარების მიზნით, გაეშურა მთიან ოლქ არწახში. როდესაც ეს მოწინააღმდეგემ შეიტყო, დაედევნა მათ და დაეწია მთის ძირში, დიდ სოფელ კალანკაიტუკის პირდაპირ, იმავე უტის ოლქში“[222]. გამოდის, რომ არწახიც უტის ტერიტორიაზეა. ისტორიკოსს მ. ბარხუდარიანის აზრით, ამ ნაწყვეტში ლაპარაკი შეეხება თანამედროვე მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის (აზერბაიჯანის სსრ) ტერიტორიას[223]. ამრიგად, მ. კალანკატუელის „ალვანთა ისტორიის“ მიხედვით, უტის ტერიტორიაზე მდებარეობს: გისი (გიში), ქ. ხალხალა, სოფ. კალანკაიტუკი, თანამედ-

---

217 М. Каганкатваци, кн. I, гл. XXVII, гл. 70.
218 М. Каганкатваци, кн. II, гл. XXXIII, гл. 174.
219 М. Каганкатваци, кн. I, гл. XXXIX, гл. 73.
220 М. Каганкатваци, кн. II, гл. II, гл. 80.
221 М. Каганкатваци, кн. II, гл. X, гл. 102.
222 М. Каганкатваци, кн. II, гл. XI, гл. 106.
223 З. Ямпольский, К изучению летописи Кавказской Албании, гл. 156.

როვე მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მიწები. აშკარაა, რომ ამ შემთხვევებში, ტერმინი „უტი“, ჩვენ გვევლინება თავისი თავდაპირველი, ძველი მნიშვნელობით და აღნიშნავს საერთოდ ალბანეთს. ე. ი. თავდაპირველად, „უტი“ — „უტიელები“ — და „ალბანეთი“ — „ალბანელები“ იდენტური ცნებები იყო. შემდეგში ეთნიკურმა ტერმინმა „უტიმ“ თანდათანობით, სხვა უფრო ვიწრო მნიშვნელობა მოიპოვა. „უტი“, — როგორც ეს ანანია შირაკელის გეოგრაფიაშია აღნიშნული, — განიხილებოდა, როგორც ალბანეთის მიერ მიტაცებული სომხეთის მიწა-წყლის ნაწილი, რომელიც მდებარეობდა მდ. არაქსის დასავლეთით, არცახსა და მტკვარს შორის[224].

ისტორიულ ლიტერატურაში უტიების resp. უდინების ადგილსაცხოვრისი შედარებით კარგად არის განსაზღვრული. ჯერ კიდევ კ. ნეიმანი აღნიშნავდა, რომ ძველი უტიები ცხოვრობდნენ «მტკვარსა და არაქსს შორის, ფაიტაკარანის დასავლეთით»[225]. ჰ. ბიუბშმანი უტის ტერიტორიის ლოკალიზაციას ახდენდა მტკვრის სამხრეთით, მისი აზრით, ეს არის იგივე «ოტენე» (Otene), რომელიც იხსენიება პლინიუსთან და პტოლემაიოსთან[226]. ა. იანოვსკის შეხედულებით, უტიელთა ეთნიკური ჯგუფების გარკვეული ნაწილი, ახ. წ. ა. I საუკუნეში, მტკვრის ჩრდილოეთითაც სახლობდა, აქ მათ ეკავათ შექის რაიონი[227]. უფრო ზუსტად განსაზღვრავს უტიელთა განსახლების არეს ვ. მინორსკი. მისი სიტყვით, სტრაბონისეული (XI, 7, I) οὐίτιοι და პლინიუსის (NH, VI, 13) Otene მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. კერძოდ, უტის ტერიტორია, ვ. მინორსკის წარმოდგენით, მოიცავდა აწინდელი კიროვობადის (განჯა), შამქორის და თოუზის რაიონებს[228]. ა. ბოლტუნოვას მოსაზრებით, «Утии (позднейшие удины) жили в низовьях и прилегающих частях долин рек Куры и Тертера (область Отена античных писателей, округ Ути армянской анонимной «Географии» VII в. н. э.)[229].

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მდ. ტერტერის ქვემო წელზე ეგულება უტის მიწა-წყალი კ. ტრევერსაც[230]. უკანასკნელ ხანს უტი-

---

224 Армянская география VII века, გვ. 51.

225 K. I. Neumann, Die Fahrt des Patrokles auf dem Kaspischen Meere und der alte Lauf des Oxos, Hermes, bd. XIX, hf. 2, 1884, გვ. 172.

226 H. Hübschmann, Die altarmenischen Ortsnamen, გვ. 270—275.

227 А. Яновский, О древней Кавказской Албании, გვ. 166.

228 V. Minorsky, Shekki, EI, გვ. 372.

229 А. И. Болтунова, Племена, обитавшие на территории Азербайджана в I тысячилетии до н. э., Очерки истории СССР, I, Москва, 1956, გვ. 225.

230 К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании, გვ. 46.

ების ტერიტორიალური განსახლების შესახებ გამოითქვა სრულიად განსხვავებული შეხედულება, რომელიც ეკუთვნის ს. ერემიანს. მისი ვარაუდით, საესებით დასაშვებია უტიელთა ეთნიკური ჯგუფების არსებობა ალაზნის შუა დინების გადაღმაც, მდ. მაჭის-წყლის აუზში. როგორც ს. ერემიანი აღნიშნავს, შუასაუკუნეებში, როდესაც ეს ტერიტორია საქართველოს საზღვრებში მოექცა, აქ მცხოვრები უტიები ასიმილირებულ იქმნენ ქართველების მიერ. ს. ერემიანისავე შეხედულებით, ადგილობრივი ფეოდალური მფლობელიც, — მაჭის ერისთავი (მაჭელი), — წარმოშობით უდინი იყო, რომელიც შემდეგში გაქართველდა[231]. ჩვენ არ მიგვაჩნია შესაძლებლად უტიების სამოსახლო მტკვრის ჩრდილოეთით ასე შორს გავრცელებულად წარმოვიდგინოთ: როგორც ზემოთ ვნახეთ, უტიები მტკვრის ჩრდილოეთით მხოლოდ შექის რაიონში არიან სავარაუდებელნი, ამის იქით აღარ ვრცელდებოდნენ. და საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ წერილობით წყაროებში არ გვხვდება რაიმე ისეთი მონაცემი, რომლის მიხედვითაც დასტურდებოდეს უტიელთა ეთნიკური ჯგუფების არსებობა მდ. მაჭის-წყლის აუზში. უტიების სამოსახლოს ძირითადი ბირთვი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე იყო, მდ. ტერტერის აუზში. ამდენად, ს. ერემიანის მოსაზრება იმის შესახებ, რომ უტიელთა გარკვეული მასები მდ. მაჭის-წყლის აუზშიც არის საძებნი, არ არის დამაჯერებელი.

მეორე ძირითადი ეთნიკური ერთეული ალბანურ ტომთა კავშირში მ. ხორენელის გადმოცემით, გარგარები იყვნენ. იმავე მ. ხორენელს, თავის ისტორიაში, მოეპოვება საინტერესო ცნობა, რომლის მიხედვითაც შეიძლება დაახლოებით მაინც განისაზღვროს გარგართა განსახლების არე. ეს ცნობა დაცულია მ. ხორენელის ისტორიის II წიგნის მე-85 თავში, რომელშიც მოთხრობილია სომეხთა მეფის თრდატ III (287—330) ბრძოლებზე ალვანეთში. და აი, იქ აღნიშნულია, რომ მეფე თრდატი სრულიად სომხეთის ლაშქრით დაეშვა გარგარის (გარგარაცის) ველზე[232]. როგორც ამ ცნობიდან ჩანს, III—IV საუკუნეებისათვის გარგარები ჯერ კიდევ იხსენიებიან გარგარაცის ველის რაიონში. გარგარაცის ველად კი, როგორც ცნობილია, იწოდებოდა უტის ოლქი ქ. ბარდავითურთ[233]. ეს კი უდრის თანამედროვე ბარის ყარაბაღს. გარგარის ველს იხსენიებს ალბანეთის მემატიანეც თრდატ სომეხთა მეფის ალვანეთში ლაშქრობასთან დაკავ-

---

[231] С. Т. Еремян, Страна «Махелония» надписи Кааба-И—Зардушт, ВДИ, 1967, № 4, გვ. 53—54.

[232] М. Хоренский, История Армении, новый перевод Н. О. Эмина, Москва, 1893, გვ. 131.

[233] Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, გვ. 424.

შირებით[234]. გარგარის ველი ქ. ბარდავის ზონაში აღნიშნული აქვს თომა არწრუნს (*Ի դաշտն Գարգարացւոց... Ի քաղաքն Պարտաւ*)[235]. გარგართა ადგილსაცხოვრისზე უნდა მიგვითითებდეს მდინარე კარკარ-ჩაჲს (გარგარჩაჲ) სახელწოდებაც, რომელსაც სათავე ყარაბაღის მთებში უდევს. აღნიშნულ ფაქტზე ყურადღება გაამახვილა ნ. ადონცმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მტკვრის ერთ-ერთ შენაკადს ქ. ბარდავის მახლობლად ეწოდება *Կարկար*[236]. ზემოთ მოტანილი სომხური წყაროების მონაცემები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ გარგარები ძირითადად მტკვრის სამხრეთით, მდ. კარკარ-ჩაჲს აუზში მოსახლეობდნენ.

კ. ტრევერს, ალბანურ გაერთიანებაში შემავალ ტომთა შორის, გარგარები ერთ-ერთ ყველაზე უფრო უძველეს და გამოჩენილ ტომად მიაჩნია. ის ფაქტი, რომ მოსე ხორენელის გადმოცემით, მესროპ-მაშტოცის მიერ შექმნილ ალბანურ დამწერლობას საფუძვლად დაედო გარგარული კილოკავი[237], კ. ტრევერის შეხედულებით იმას უნდა მოწმობდეს, რომ გარგარები ყველაზე კულტურული და წამყვანი ეთნიკური ერთეული იყო ალბანური მოდგმის ტომთა შორის. კ. ტრევერის მოსაზრებით, თვით სახელწოდება „ალბანელები", ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, სწორედ გარგარების მიმართ უნდა ხმარებულიყო[238]. მოსე ხორნელის ზემოაღნიშნულ ცნობაზე დამყარებით, ანალოგიურ დასკვნას აკეთებს აგრეთვე ს. იუშკოვი, იგი აღნიშნავს, რომ ერთ-ერთ ძირითადსა და ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს, ალბანელ ტომთა შორის, გარგარები წარმოადგენდნენ[239].

გარდმანელთა ტომის საცხოვრისი სავარაუდებელია იქ, სადაც შემდეგში გარდმანის ფეოდალური სამთავრო აღმოცენდა (თანამედროვე ყაზახის რაიონი).

წერილობით წყაროებში შემონახულია სახელწოდებები კიდევ რამოდენიმე ტომისა, რომელნიც, როგორც ფიქრობენ, აგრეთვე ალბანურ ტომთა კავშირში შედიოდნენ. ესენი იყვნენ ლეგები[240], და გელები[241]. ლეგები ალბანეთის ჩრდილოეთ მთიან რაიონებში მოსახლეობდნენ, მდ. სამურის აუზში[242]; გელების მიწა-წყალი კი თალიშისა და

---

[234] М. Каганкатваци, кн. I, гл. XII, გვ. 21.

[235] История, СПБ, 1887, გვ. 190.

[236] Н. Адонц, დასახ. ნაშრ. გვ. 424.

[237] М. Хоренский, кн. II, гл. 54.

[238] К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании გვ. 49.

[239] С. В. Юшков, К вопросу о границах древней Албании, გვ. 145.

[240] სტრაბონი, XI, 5, 1.

[241] სტრაბონი, XI, 7, 1.

[242] К. Тревер, დასახ. ნაშრ. გვ. 47; С. В. Юшков, დასახ. ნაშრ. გვ. 145.

გილანის მთების ფერდობებზე მდებარეობდა. ისტორიული ტრადიციის თანახმად, გელები წარმოადგენდნენ აწინდელი გილანელების წინაპრებს[243].

ზემოთ ჩამოთვლილი ეთნიკური ჯგუფები (უტიები, გარგარები, გარდმანელები, ლეგები, გელები), ჩვენი აზრით, წარმოადგენდნენ ალბანური მოდგმის ძირითად ტომებს. წერილობითი წყაროების მიხედვით, კავკასიის ალბანეთის ტერიტორიაზე დასტურდება აგრეთვე უცხო ეთნიკური ერთეულების მიერ შექმნილი სამოსახლო კერების არსებობა. ერთ-ერთი ასეთი სამოსახლო კერის შექმნა დაკავშირებულია საკების ტომთან. ეს სკვითური წარმოშობის ტომი, როგორც ფიქრობენ, ძვ. წ. ა. VII საუკუნის შუახანებში უნდა შეჭრილიყო ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე. მათ ადგილსაცხოვრისად მიჩნეულია პროვინცია, რომელსაც სტრაბონი საკასენეს სახელწოდებით იხსენიებს. სტრაბონი, ასე მოგვითხრობს: „საკები კიმერიელების... მსგავსად აწყობდნენ ლაშქრობებს, ზოგს შორეულს და ზოგს ახლოს. მათ დაიპყრეს ბაქტრიანა და ზოიპოვეს არმენიის საუკეთესო მიწა, რომელსაც თავისი (სახელის) მიხედვით მისცეს სახელწოდება — საკასენე"[244]. სტრაბონის ამ ჩვენებასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი საკების ამ „საუკეთესო მიწის" ადგილმდებარეობის შესახებ. ნაწილობრივ აქ იგივე სტრაბონი გვშველის, რომელიც მიუთითებს, რომ „არაქსენეს დაბლობის" შემდეგ — „რომელზედაც მდინარე არაქსი მიმდინარეობს ალბანის განაპირა (მხარეებისაკენ) და ერთვის კასპიის ზღვას" — „არის საკასენე, ეს ემეზობლება ალბანიას და მდინარე მტკვარს"[245]. სტრაბონის აღნიშნული მითითება საშუალებას გვაძლევს დაახლოებით განვსაზღვროთ საკების ეთნიკური ჯგუფის საცხოვრისი: იგი ეკვროდა ალბანელთა ტერიტორიას და მოიცავდა მტკვრის სანაპიროებს. სტრაბონის ამ ცნობას ადასტურებს პლინიუსიც. იგი აღნიშნავს, რომ მოსხების მიწა-წყალი ვრცელდება „...მდინარე იბერამდე, რომელიც ერთვის მტკვარს, მათ ქვემოთ კი არიან საკასენები"[246].

საკების (საკასენების) ადგილსაცხოვრისს ი. მარკვარტი ძალზე ზოგადად განსაზღვრავდა. მისი აზრით, საკასენე მდებარეობდა უტის ოლქის ტერიტორიაზე[247]. შემდეგში ს. ერემიანმა შედარებით უფრო

---

[243] К. В. Тревер, დასახ. ნაშრ., გვ. 47; А. И. Болтунова, დასახ. ნაშრ., გვ. 225.

[244] სტრაბონი, XI, 8, 4.

[245] სტრაბონი, XI, 14, 4.

[246] Plin,. VI, 29.

[247] J. Marquart, Eransahr., გვ. 121.

ზუსტად დაადგინა საკების განსახლების ტერიტორია. მისი შეხედულებით, საკები მოსახლეობდნენ აწინდელი კიროვობადისა (განჯა) და ნუხის (შექი) რაიონებში[248].

ცალკე უნდა შევჩერდეთ იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა დიდ ეთნიკურ ჯგუფებზე, რომელთა გამაერთიანებელ სახელწოდებად უნდა მივიჩნიოთ ქართულ საისტორიო წყაროებში დადასტურებული ეთნონიმი „ჰერები". ეს ე. წ. ჰერული ტომები, ეთნიკური და კულტურული თვალსაზრისით, ძალზე ახლოს იდგნენ აღმოსავლურ-ქართულ ტომებთან — ქართებთან და კახებთან. თავდაპირველად ჰერული ტომები, როგორც ამას წერილობითი წყაროების მონაცემები მოწმობენ, ალბანურ გაერთიანებაში არიან სავარაუდებელნი. მაგრამ შემდეგში, დროთა განმავლობაში, ისინი თანდათანობით იბერიის სახელმწიფოს შემადგენლობაში ექცევიან.

ჰერული მოდგმის ტომთა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ წავდეელები. როგორც ზემოთ ვნახეთ, მოსე ხორენელს წავდეელები (*Ծաւդեացւոց*) დასახელებული ჰყავს ლეგენდარული არრანის შთამომავალთაგან წარმომდგარ ტომთა რიცხვში (ე. ი. ალბანურ გაერთიანებაში შემავალ ძირითად ტომთა რიცხვში).

სომხურ წყაროებში წავდეელების შესახებ ცნობები მეტად მწირია. ამიტომ მკვლევარნი წავდეელთა საცხოვრისის გარკვევისას დიდი სიძნელეების წინაშე დგანან. წყაროთა სიმწირით აიხსნება ის ამბავი, რომ დღემდე, შეიძლება ითქვას, დადგენილი არ არის წავდეელთა განსახლების ტერიტორია, არ არის გარკვეული მათი როლი ჰერეთ-ალბანეთის ისტორიაში. სომეხ ისტორიკოსთაგან, რომელნიც იხსენიებენ წავდეელებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ V საუკუნის მწერალი ელიშე, ავტორი საისტორიო თხზულებისა სომხეთის თავგადასავლის შესახებ V საუკუნეში, ე. წ. ვარდანელთა აჯანყებებთან დაკავშირებით. ელიშე თავის თხზულებაში ჩამოსთვლის რა კავკასიაში მობინადრე ხალხებს: სომხებს, იბერებს, ალბანელებს და ლბინებს (*Լիւնաց*), ამათ მომდევნოდ იგი ასახელებს წავდეელებს (*Ծաւդիից*) და თანაც აღნიშნავს, რომ მის დროს ეს ხალხები უკვე ქრისტიანები იყვნენო[249]. წავდეელთა ქვეყანას ელიშე უწოდებს — *Ծաթեից*-ს (წოთეიც) — ე. ი. რომ გადმოვაქართულოთ მივიღებთ წოთეთი-წავდეეთი[250]. სხვა რაიმე ცნობა, რომელიც შესაძლე-

---

248 С. Т. Еремян, Вопросы истории, исторической географии и этнографии Восточного Закавказья, История СССР, М.,-Л., 1939, გვ. 208.

249 Եղիշեի, Պատմութիւն Վարդանանց եւ սուրբ Աղձեւացեաց օրինակի, Մոսկուա, 1892, გვ. 15—16.

250 Եղիշեի, გვ. 49.

ბლობას მოგვცემდა განგვესაზღვრა წავდელთა ქვეყნის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ელიშეს თხზულებაში არ მოიპოვება. წადების (Ծաղ) ტომს იცნობდა აგრეთვე X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი, ურჰას (ედესის) ეპისკოპოსი, უხთანესი. უხთანესის თხზულება სამი ნაწილისაგან შედგებოდა: 1. სომხეთის ისტორია; 2. ისტორია ქართველთა განყოფისა სომეხთაგან და 3. მოქცევა წადებისა. მაგრამ სამწუხაროდ, უხთანესის შრომის ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერს (1675 წლის — ეჩმიაძინის მონასტრისა) სწორედ ჩვენი საკითხისათვის საინტერესო ის III ნაწილი აკლია, რომელშიც მოთხრობილი ყოფილა წადების მოქცევის ამბავი. იგი დღემდე დაკარგულად ითვლება. როგორც თვით უხთანესი ამბობს თავისი შრომის შესავალში, III ნაწილში მას მოთხრობილი ჰქონია წადების მონათვლის ამბავი, მათ ქვეყანაში შემავალი ოლქების, მთავარი სოფლების, ქალაქების და ციხე-სიმაგრეების შესახებ[251].

საყურადღებო ცნობა აქვს შემონახული XIII საუკუნის სომეხ მწერალს მხითარ აირივანელს თავის „ქრონოგრაფიულ ისტორიაში". 821 წლის ქვეშ იგი შენიშნავს: „კათალიკოსს ტერ დავითის დროს, ვინმე მღვდელი ფარსმანი გამოეყო სომხებს და მან იბერიელთა სარწმუნოებაზე მოაქცია წოდეელები ანუ წადის მცხოვრებნი, რომელნიც ეხლა (ე. ი. XIII საუკუნეში — თ. პ.) ბერძნები არიანო" (ე. ი. მართლმადიდებელი ქრისტიანები — ქალკედონიტები — თ. პ.)[252].

აკად. მ. ბროსე უხთანესის შრომის ფრანგული გამოცემის შესავალში აღნიშნავს: „წადებზე ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი. რადგანაც წადები მოსე ხორენელის მიხედვით, არრანის შთამომავალნი არიან, ამიტომ ისინი უეჭველად ბინადრობდნენ სიუნის გარეთ, უტის აღმოსავლეთით ანდა თვით უტში, ე. ი. მტკვრის ერთ-ერთ სანაპიროზე, იმ ადგილას, სადაც ის ტოვებს იბერიას და მიედინება კასპიის ზღვისაკენ. ეს დასაშვებად მიმაჩნია, თუმცა ამის დამტკიცება არ შეიძლება, რომ რაღაც დარჩენილი უნდა იყოს ამ ხალხისაგან შამახიის ორ სოფელში, სადაც შემონახულია უტიების ენა"[253]. სხვა შრომაში, მხითარ აირივანელის „ქრონოგრაფიულ ისტორიაში" წადებზე დაცულ ცნობასთან დაკავშირებით, მ. ბროსე უფრო აკონკრეტებს თავის

---

[251] Deux historiens Armeniens, Kiracos de Ganntzac, XIII*E* s., Histoire d'Armenie; Oukhtanes d'Ourha, X*E*., Histoire en trois parties; Traduit par M. Brosset. 2-e livraison. S. Petersbourg, 1871, გვ. X.

[252] Mkhitar D'Airivank, Histoire chronologique, Traduite de l'Armenien, par M. Brosset. St.—Petersbourg, 1869, იხ., Memoire L'Akademie imperiale des sciences de St. — Petersbourg, VII*E* serie, Tome XIII, № 5, გვ. 83.

[253] M. Brosset, Deux historiens Armeniens, გვ. XI—XII.

მოსაზრებებს წადების ტომის შესახებ. იგი წერს: „ნაკლებად ცნობილი წადების ქვეყანა უნდა მდებარეობდეს ფაიტაკარანის სომხურ პროვინციაში, მტკვრის მარჯვენა ნაპირას. ცნობილია, რომ 150 ოჯახი, ბერძნული ორთოდოქსალური რელიგიის ამღიარებელნი, ეხლაც ცხოვრობენ შემახიის ორ სოფელში — ვართაშენში და ნიჯში. ესენი არიან უტიელები"[254]. როგორც ვხედავთ, მ. ბროსე წავდეების ეთნიკურ წარმოშობას უკავშირებს უტიელებს. ამ დებულებაში სიმართლის გარკვეული ნაწილი შეიძლება იყოს იმდენად, რამდენადაც უტიელები და წავდეელები იბერიულ-კავკასიური მოდგმის ტომები იყვნენ საერთოდ კი, ისინი დამოუკიდებელ ეთნიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ და მათი ერთმანეთში გაიგივება არ შეიძლება. ვერ გავიზიარებთ მ. ბროსეს მოსაზრებას წადების ქვეყნის ლოკალიზაციის საკითხზე. სომხურ და ქართულ წყაროებში დაცული ცნობები არავითარ საფუძველს არ იძლევა წადების ქვეყნის ფაიტაკარანის პროვინციაში მოთავსებისათვის. ესეც რომ არ იყოს, მ. ბროსე თავის თავთან გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის. ნიჯი და ვართაშენი, სადაც ბროსეს აზრით, წადების შთამომავალნი უტიები resp. უდინები ცხოვრობენ, მდებარეობს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე: ვართაშენი რაიონულ ცენტრს წარმოადგენს, ნიჯი კი შედის კუტკაშენის რაიონში. ხოლო ფაიტაკარანი კი, სადაც ბროსე ათავსებს წადების ქვეყანას, გეოგრაფიულად საკმაოდ დაშორებული რაიონია ნიჯიდან და ვართაშენიდან. იგი მდებარეობს თანამედროვე მილის ველის (ძველი გარგარის ველი) რაიონში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. კერძოდ, არქეოლოგ ა. იესენის მიხედვით, ფაიტაკარნი ლოკალიზდება სოფელ ტაზაკენდის ტერიტორიაზე, ორენ-ყალის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 7—8 კმ-ით დაშორებით[255]. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სომხური წყაროების „წადები" (წავდეები) — „წოთები" უნდა იყოს ანტიკური მწერლების, კერძოდ, პლინიუსის, „სოდები" — „Sodi"[256]. სამწუხაროდ, არც პლინიუსი იძლევა რაიმე კონკრეტულ ცნობას „სოდების" განსახლების ტერიტორიის დასადგენად.

წადების ისტორიის ზოგიერთი საკითხის გარკვევაში დიდ დახმარებას გვიწევს ქართული საისტორიო წყაროები. კერძოდ, სომხურ წყაროებში მოხსენებული „წადები" — „წოთები" და პლინიუსის „სოდები", ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია დავუკავშიროთ ქართული წყა-

---

[254] M. Brosset, Mkhitar D'Aïrivank, გვ. 83, სქოლიო 2.

[255] А. А. Иессен, Новые данные по работам Орен-калинской экспедиции, МИ Азерб., т. II, Баку, 1957, გვ. 28.

[256] Plinius, NH, кн. IV, гл. 10.

როების „სოჯებს“ — „სუჯებს“. ამ მხრივ, ყველაზე საყურადღებო ცნობები სოჯების (სუჯების) შესახებ დაცულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში, საიდანაც ირკვევა, რომ სუჯების ქვეყანა IV საუკუნეში ნინოს სამისიონერო მოღვაწეობის ასპარეზად ქცეულა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში (შატბერდული ტექსტი) ვკითხულობთ — „და ნინო შთავიდა კხოეთა და დადგა კაწარეთს. და მონათლნა კხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით. და გარდავიდა კახეთა და დადგა ქცელ დაბაჲს. და მოიყვანნა კახნი მთავარნი და მონათლნა“. ჭელიშური ტექსტი ოდნავ განსხვავებულ ვარიანტს იძლევა: „და ნინო კუალად წარვიდა კაუხეთად და დადგა კაწარეთს და მონათლნა კაოხნი და სუჯნი ერითურთ მათით. და კუალად გარდავიდა დიდაღ კახეთად. დადგა სანატრელი იგი ქველ დაბას. და მოიყვანნა კახნი მთავარნი, ამათვე მეფეთა ნათესავნი, და ნათელსცა და განიშორა ნათლვაჲ მათი“[257]. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს II ნაწილში, რომელიც შეიცავს ნინოს ცხოვრებას, უფრო დაწვრილებით არის მოთხრობილი სუჯებისა და მათი დედოფლის მოქცევის ამბავი. ✓ნინოს ცხოვრების ჭელიშურ ტექსტში ვკითხულობთ: „და იყო მათვე ჟამთა შინა მირიან მეფისათა, რაჟამს მოინათლა სოჯი დედოფალი და მისთანა მთავარნი მრავალნი ხელსა შინა ნინოჲსსა ბოდს შინა“[258]. „დედოფალი ეგე სოჯი, რამეთუ აღიძრა ეგე შურითა საღრმთოჲთა დალეწად კერპთა და მოქცევად ერისა, მათისა საერისთავოჲსა და წარავლინა მსწრაფლ სივნიეთად ძმისა და ასულისა და გუასპურაგნად სტერეონისსა და მოიყვანნა იგინი და ნათელ-იღეს ყოველთა ბ ო დ ს შ ი ნ ა და იცნეს ღმერთი და ძალი მისი“[259]. დასასრულ მემატიანე გადმოგვცემს სუჯების ისტორიისათვის მეტად საინტერესო დეტალს: სუჯების დედოფალმა მცხეთის სიონს შესწირა „ქალაქნი კნინ (!) ბარათიანი (რაბათიანი — თ. პ.) და დაბაჲ დიდი ბოდისი“[260]. სუჯების ქვეყნის სახელწოდება შემონახულია აგრეთვე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში — „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“. როდესაც გიორგი II (1072—1089) ვეჟინის ციხეს ალყა მოხსნა, მან, მემატიანის სიტყვით, „ლაშქართა თურქთასა, რომელ ჰყვა, მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქუეყანა იორის პირი კახეთი“[261]. როგორც ჩანს, სუჯების ქვეყნის სახელწოდება — „სუჯეთი“, ჯერ კიდევ ცოცხლობდა

---

257 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1963, გვ. 89.

258 ი ქ ვ ე, გვ. 99.

259 ი ქ ვ ე, გვ. 101.

260 ი ქ ვ ე, გვ. 99.

261 ქ ც ბ ა, I, გვ. 322.

დავითის ისტორიკოსის დროს. ასეთია ის ცნობები, რომელნიც შემონახულია წადების — წოდების resp. სოდები — სოჯების შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებში. ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა გავნსაზღვროთ სუჯების საცხოვრისი. ვიფიქროთ, არ შევცდებით, თუ სუჯებისა და მათი ქვეყნის ლოკალიზაციას მოვახდენთ მდ. იორის შუა დინების აუზში. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შემდეგი ადგილი: „ნინო შთავიდა კხოეთა და დადგა კაწარეთს: და მონათლნა კხოელნი და სოჯნი“[262]. აქედან სავსებით აშკარად ჩანს, რომ IV საუკუნეში, ნინოს დროს, კაწარეთის რაიონი ყოფილა სოჯების განსახლების ტერიტორია. კაწარეთი ანუ გვიანდელი საისტორიო წყაროების სამება, როგორც ცნობილია მდებარეობს მდ. იორის მარცხენა ნაპირას, სოფ. ხაშმის ჩრდილო დასავლეთით, 7—8 კმ მანძილზე. უფრო ზუსტად: კაწარეთი resp. სამება მდებარეობს მარცხენა ნაპირას ე. წ. სამების ხევისა, რომელიც მარცხნიდან ერთვის ე. წ. ლაფიანწყალს — ივრის ტოტს. დღეს გეოგრაფიული ტერმინი „კაწარეთი“ უკვე დავიწყებასაა მიცემული, მის ნაცვლად იხმარება „სამება“. საყურადღებოა, რომ ვახუშტი ბაგრატიონი (ე. ი. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში) როგორც გეოგრაფიის ტექსტში, ისე რუკაზე არ უწოდებს მას სახელწოდებას — „კაწარეთი“, არამედ იხსენიებს „სამებაღ“. იგი წერს: „ნინო-წმინდას ზეით ერთვის იორს სამების ხევი... ამ ხევზედ არს ეკლესია დიდ-შენი გუმბათიანი სამებისა“[263]. ადრინდელ საისტორიო წყაროებში, გარდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სა, კაწარეთი („კაწარელი“) დამოწმებულია სომხურ „ეპისტოლეთა წიგნში“. 500—507 წ. დვინში მომხდარ ქართველ-სომეხ-სივნიელთა საეკლესიო კრების ოქმებში, სხვათა შორის, მოხსენებულია 24 ქართველი ეპისკოპოსის სახელიც და მათ შორის: ბოდბელ, ჭერემელ, გიშელ ეპისკოპოსებთან ერთად „კაწარელიც“ (*Կասդրացի*).[264] XV საუკუნის ძეგლში — „წესი და განგებაჲ კურთხევისათვის მეფისა დროსა, თუ ვითარ დაჰსხდნენ მღუდელთ მთავარნი ს“დ საქართველოჲსანი“ — აღნიშნულია, რომ კაწარელი ე. ი. კაწარეთის საეკლესიო ეპარქიის ეპისკოპოსი, ჯდებოდა XX ადგილზე[265]. „კაწარელი“ იხსენიება ა. ს. ბელოკუროვის მიერ გამოქვეყნებულ 1589 წლის ერთი საბუთის ფრაგმენტში, რომე-

---

[262] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 89.

[263] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ. თბილისი, 1941, გვ. 90.

[264] Գիրք թղթոց, გვ. 182—183.

[265] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი I, ტფილისი, 1907, გვ. 78—95; თ. ჟორდანია-ქრონიკები, I, გვ. 45—46.

ლიც შეიცავს ცნობებს, კახეთის საეპისკოპოსოების და ეპისკოპოსების შესახებ[266]. კახეთის სხვა მღვდელთმთავრებთან ერთად „კაწარელი“ დასახელებულია 1567 წლის ერთ საბუთშიც [267]. როგორც ვხედავთ, XVI საუკუნეში გეოგრაფიული სახელწოდება „კაწარეთი“ ჯერ კიდევ დომინანტობს. მხოლოდ მერმინდელი დროის, XVII—XVIII სს. ქართულ საისტორიო წყაროებში იგი საერთოდ ჩანს უფრო „სამების“, ვიდრე „კაწარეთის“ სახელწოდების ქვეშ.

მეტად საყურადღებოა, რომ ვახუშტის მიხედვით, სამების ხევი „არს საზღვარი ჰერეთისა და კახეთისა“[268]. რადგანაც „კაწარეთი“ resp. „სამება მდებარეობს სამების ხევის მარცხენა ნაპირას, ამიტომ ბუნებრივია, რომ იგი ჰერეთის ფარგლებში ექცევა. ჰერეთის საზღვრებში აქვს ნაჩვენები „კაწარეთი“ აკად. ივ. ჯავახიშვილს — კოშკის, ზიარის, ფხოველის, ვეჟინის ციხესა და დაბა ბოდინთან ერთად[269]. აქედან გამომდინარე, სუჯებიც ჰერეთის ტერიტორიაზე უნდა ვიგულისხმოთ. მათი გავრცელების არე, რა თქმა უნდა, მარტო კაწარეთის რაიონის ფარგლებით არ შემოიისაზღვრებოდა, იგი ვრცელდებოდა კაწარეთის (იორის) აღმოსავლეთითაც და აღწევდა „დაბაჲ დიდი ბოდის“-ამდე (თანამედროვე ბოდბე, სიღნაღის რაიონი). ეს მტკიცდება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობიდან, რომლის მიხედვით, სუჯების დედოფალმა „დაბაჲ დიდი ბოდისი“ შესწირა მცხეთის სვეტისცხოველს[270]. ე. ი. ბოდბეც სუჯეთის ქვეყანაში ყოფილა. სუჯები რომ მდ. იორის აუზში მოსახლეობდნენ, ეს კარგად ჩანს აგრეთვე, დავითის იტორიკოსის სიტყვებიდან — „მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქუეყანა იორის პირი კახეთი“[271]. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ: სომხური წყაროების „წადები-წოთები“ და ანტიკური მწერლების „სოდები“, უდრის ქართული საისტორიო წყაროების სოჯი resp. სუჯებს. ისინი ლოკალიზდებიან მდ. იორის შუა დინების აუზში. თავდაპირველად წადები resp სუჯები ალბანურ ტომთა კავშირში შედიოდნენ უტიელებთან, გარგარებთან და გარდმანელებთან ერთად. შემდეგში კი ადგილი აქვს წადების resp. სუჯების ეთნიკურ-პოლიტიკურ შერწყმას იბერებთან. ეს პროცესი IV საუკუნეში ძირითადად დასრულებულად შეგვიძლია ვიეარაუდოთ. ამის საბუთს გვაძ-

---

266 Сношения России с Кавказом, т. I, М., 1889 г. с XXII—cXXIII

267 Д. Пурцеладзе, Грузинские церковные грамоты, გვ. 103.

268 ვ ა ხ უ შ ტ ი, «აღწერა», გვ. 90.

269 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1948, თბილისი, გვ. 44.

270 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 99.

271 ქ ც ბ ა, I, გვ. 322.

ლევს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა: მირიანის დროს ნინოს სამისიონერო მოღვაწეობა სუჯეთის ტერიტორიაზე. ქრისტიანული რელიგიის გავრცელება სუჯეთში ნიშნავდა ქართული კულტურის, ქართული ენის გავრცელებას, რამაც თავის მხრივ, საბოლოო ჯამში, გამოიწვია იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური ბატონობის დამყარება სუჯების ქვეყანაში. ამრიგად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში დაცულია მეტად ძვირფასი ცნობები, რომლებიც ასახავენ იბერიის (ქართლის) სახელმწიფოს პოლიტიკური გავლენის გავრცელების ერთ-ერთ ეტაპს აღმოსავლეთ პერიფერიაზე, კერძოდ კი, ჰერეთის ტერიტორიაზე მდებარე წადების resp. სუჯების ქვეყანაში.

წადების resp. სუჯების ტომის ისტორიასთან დაკავშირებით, კიდევ უნდა განვიხილოთ ერთი საკითხი. ჩვენ ზემოთ, ერთხელ უკვე მივუთითეთ, რომ X საუკუნის სომეხ მწერალ უხთანესს, თავისი თხზულების III ნაწილში, რომელიც დღეისთვის დაკარგულად ითვლება, მოთხრობილი ჰქონია წადების მოქცევის ისტორია. XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მხითარ აირივანელი კი თავის „ქრონოგრაფიულ ისტორიაში“ 821 წლის ქვეშ პირდაპირ მიუთითებს: ვინმე მღვდელი ფარსმანი გამოეყო სომხებს და იბერთა სარწმუნოებაზე მოაქცია წოდეელები ანუ წადის მცხოვრებნი[272]. რა უნდა იგულისხმებოდეს ზემოხსენებულ სომეხ მწერალთა ცნობაში? ჩვენთვის ხომ ცნობილია ის ფაქტი, რომ „მოქცევაჲ“ ქართლისაჲს“ მიხედვით, სუჯები IV საუკუნეში გაქრისტიანდნენ? V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ელიშეც აღნიშნავს, რომ მის დროს წავდეელების ქვეყანა ქრისტიანებით იყო დასახლებული[273]. ვფიქრობთ, რომ უხთანესის და მხითარ აჲრივანელის ცნობები წადების მოქცევის შესახებ ასახავენ არა მათ თავდაპირველ გაქრისტიანებას, არამედ მომდევნო პერიოდის ამბავს და გულისხმობს წადების გაქალკედონიტებას. VII საუკუნის დამდეგს სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების შედეგად, იბერიაში ქალკედონიზმი იმარჯვებს, სომხეთი კი მონოფიზიტობას ანუ ანტიქალკედონიტობის მედგარ დამცველად რჩება. ჰერეთ-ალბანეთი, მათ შორის სუჯებიც, სომხურ სარწმუნოებას ე. ი. მონოფიზიტიზმს მიემხრო. და აი, 821 წელს, როგორც მხითარ აჲრივანელი გადმოგვცემს, წადები resp. სუჯები გამოეყვნენ სომხებს და აღიარეს იბერთა სარწმუნოება — ქალკედონიზმი. ამრიგად, IX საუკუნეში ადგილი აქვს ჰერეთის ტერიტორიაზე მოსახლე წადების resp. სუჯების ტომის გაქალკედონიტებას, „გაქართველებას“. ჰერეთის მთლიანი, საბოლოო გაქალკე-

---

272 Mkhitar D'Airivank, Histoire chronologique, გვ. 83.

273 Եղիշեի. გვ. 15—16.

დონიტება — „გაქართველება“ ხდება მომდევნო X საუკუნეში — ჰერეთის მთავრის იშხანიკისა და დედოფალ დინარის დროს. თხზულების III ნაწილშიც, რომელიც წადების მოქცევის ისტორიას შეიცავდა, სწორედ ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული წადების გაქალკედონიტების ამბავი უნდა ყოფილიყო მოთხრობილი. ამასთან დაკავშირებით, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ უხთანესის თხზულების წადების resp. სუჯების მოქცევის ისტორიის შემცველი III ნაწილის განადგურება, ჩვენი აზრით, ზემოთ მოთხრობილი საეკლესიო ბრძოლის ანარეკლი უნდა იყოს და სომხური ეკლესიის მესვეურთა ნახელავად უნდა ჩაითვალოს. წადების resp. სუჯების გამოყოფა სომხური ეკლესიიდან და იბერთა სარწმუნოებაში გადასვლა რა თქმა უნდა, მათში გამოიწვევდა მტრულ გრძნობებს წადების resp. სუჯების მიმართ[274].

ჰერეთის ტერიტორიაზე, მის ძთიანეთში, მოსახლეობდნენ, როგორც ირკვევა, სომხურ წყაროებში მოხსენებული ლბინებისა და ჭილბების ტომები.

ფაუსტოს ბიზანტიელი თავისი ისტორიის III წიგნის მე-7 თავს იწყებს IV საუკუნის 30-იანი წლებში მასკუტების მეფის სანესანის მიერ სომხეთში მოწყობილი ლაშქრობის ამბით. იგი მოგვითხრობს: მასკუტთა მეფე სანესანი ფრიად განრისხებული, განიმსჭვალა მტრობით სომეხთა მეფის ხოსროს მიმართ და შეჰყარა ლაშქარი ჰონებისა, თავასპარებისა, ხეჭმატაკებისა, იემახების, გლუარების, გუგარების, ჭილბების (*ճղբաց*), ბალასიჭების და აგრეთვე მრავალი სხვადასხვა მომთაბარე ტომებისაგან[275]. როგორც ვხედავთ, ფაუსტოს ბიზანტიელი ჭილბებს იხსენიებს კავკასიური წარმოშობის ტომთა შორის.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ჭიღბებისა და ლბინების შესახებ ელიშე. თავის თხზულების IV თავში ელიშე მოგვითხრობს რა ირანელთა ბატონობის წინააღმდეგ იმ აჯანყების მზადების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა სომხეთში 451 წელს ვარდან მამიკონიანის ხელმძღვანელობით, აღნიშნავს: იეზდიგერდ II დავალებით, სომხეთის მარზპანმა ვასაკ სიუნელმა დაიწყო ჯარების შეგროვება სხვადასხვა ქვეყნებში, რომელთაც ირანელ მხედრობასთან ერთად უნდა ჩაექროთ აჯანყება სომხეთში. და აი, აქ, ელიშე ჩამოთვლის იმ ხალხებს და ტომებს, რომელთა ნახარარებს და ბელადებს უნდა მიეშველებინათ ვასაკისათვის ლაშქარი. ესენი იყვნენ: იბერები, ლბინები (*Լինաց*) და ჭიღბები (*ճղբաց*), აგრეთვე ვატის (*Վասն*), გავის (*գաւ*), გლუარის (*դղուար*), ხერსანის (*Խրսան*), ხეჭმატაკების (*հեճմատակ*), ფასიხის (*Փասխ*), ფოსოხის (*Փոսխ*), ფიუქოვანის (*Փիւքուան*) და თავასპარების ქვეყნები[276].

[274] შდრ. M. Brosset, Deux historiens Armeniens, გვ. XII.

[275] ф. Ռուզանեղացւոյ, გვ. 14.

[276] Եղիշեի, გვ. 87.

მომდევნო VII თავში ელიშე ეხება 451 წლის შემდეგ მომხდარ ამბებს. იგი გადმოგვცემს, რომ 452 წელს, სომხების დავალებით, მათმა მოკავშირე ჰონებმა ააოხრეს იმ ხალხებისა და ტომების ქვეყნები, რომელნიც 451 წელს ირანელებს ეხმარებოდნენ სომხების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ტომების და ქვეყნების რიცხვში ელიშე ასახელებს: ალანებს, ლბინებს (*Լփնաց*), ჭილბებს (*Ճղբաց*), ხეჭმატაკებს, თავასპარებს და ხიბიოვანებს[277]. ამრიგად, ელიშესაც ჭილბები და ლბინები მოთავსებული ჰყავს კავკასიური მოდგმის ტომთა შორის. რაიმე ხელშესახები, კონკრეტული ცნობა ჭილბების და ლბინების ზუსტი ლოკალიზებისათვის მას არ მოეპოვება.

ანანია შირაკელს თავის გეოგრაფიაში ჭილბები (*Ճիւղալք*) წანარებთან და დიდოელებთან ერთად შეტანილი აქვს სარმატიაში მცხოვრებ ხალხთა რიცხვში[278]. რაც შეეხება ლბინების ტომის სახელწოდებას, სომხურ გეოგრაფიაში იგი შემონახულია დეფექტური წაკითხვით — *Փիլք*, ნაცვლად *Լփնիք*-ის[279].

ლბინებსა და ჭილბებს იცნობს აგრეთვე მოსე კალანკატუელი. ჭილბებთან დაკავშირებით მას მოთხრობილი აქვს ერთი მეტად საინტერესო ეპიზოდი, რომელსაც ადგილი ჰქონდა IV საუკუნეში ქ. ცრიში. ქ. ცრი აუჯანყდა ალვანეთის მეფეს და ირანის მეფის ერთგული შეიქმნა. ქალაქს უმალვე ირანელები დაუფლებიან. აქ მათ შეხვედრიათ ერთი ქრისტეანი ჭილბელი ყრმა (*Ճիղբ մանուկ*), რომელიც ირანელებს შეუპყრიათ და მოუთხოვიათ ქრისტიანული რელიგიის უარყოფა და იძულებით ცეცხლთაყვანისმცემლობის მიღება. მაგრამ ჭილბელი ყრმა ქრისტიანობის ერთგული დამცველი აღმოჩნდა და ცეცხლთაყვანისმცემლობის მიღებაზე ირანელებს მტკიცე უარით უპასუხა, რის გამოც მას თავი მოჰკვეთეს[280]. ზემოთ მოთხრობილ ეპიზოდში ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ჭილბების ქვეყნის მცხოვრებთა შორის ქრისტიანობის გავრცელების ფაქტი.

აკად. ა. მანანდიანი სომხური წყაროების «ჭილბებს» და «ლბინებს», ვფიქრობთ სამართლიანად აიგივებს ანტიკური მწერლების, კერძოდ, პლინიუსის «სილვებთან» და «ლუპენებთან»[281]. აკად. ივ. ჯავახიშვილიც მიუთითებდა, რომ «პლინიუს სეკუნდუსის lupenii-ს სომხები *Լփինք*-ს

---

[277] Եղիշեի, გვ. 118.

[278] Soukry, სომხური ტექსტი, გვ. 26—27, ფრანგული თარგმანი. გვ. 36,

[279] Soukry, გვ. 27.

[280] Մ. Կաղանկատուացւոյ. გვ. 49—50.

[281] A. Manandian, Beiträge zur albanischen Geschichte, Leipzig, 1897, გვ. 31.

უწოდებენო»[282]. პლინიუსი აღნიშნავს: «ალბანეთის საზღვრებს გადაღმა (იქით), მთების მთელი წინა ნაწილი (უკავიათ) ველურ ტომებს სილვებს. მათ ქვემოთ კი (ცხოვრობს) ლუბიენების ანუ ლუპენების ტომიო»[283]. როგორც ვხედავთ, პლინიუსის მიხედვით, სილვები და ლუპენები ცხოვრობენ ალბანეთის საზღვარს გადაღმა მთებში. თუ ამ საზღვრად მდ. ალაზანს მივიჩნევთ (პლინიუსი იბერიისა და ალბანეთის სახღვრად ხომ მდ. ალაზანს სდებს), მაშინ სილვები და ლუპენები ალაზნის ზემო წელის მიდამოებში უნდა ვიგულისხმოთ. პლინიუსთან მოხსენებულ სილვებს და ლუპენებს უნდა შეესატყვისებოდნენ აგათანგელოსის ბერძნული ვერსიის σιλβανοι და λιφιννοι[284]. სომხური წყაროების ლბინებს resp. ლუპენებს უნდა აღნიშნავდეს ე. წ. «პევტინგერის ტაბულის» «Lupones»[285] და რავენის ანონიმის «Patria Lepon»[286]. ლბინებს resp. ლუპენებს უნდა უკავშირდებოდეს სახელის მიხედვით, პტოლემაიოსის რუკაზე, სამხრეთით, კავკასიონის მთის ძირში, იბერიასა და ალბანეთს შორის აღნიშნული პუნქტი -- «სოფელი ლუბიონი» (λούβιον κώμη 75° 40″ სიგრძედი და 46° 50″ განედი)[287]. ქართლის ცხოვრების ძველ სომხურ თარგმანში ლბინების სახელწოდება გვხვდება *l,բինաj*-ის ფორმით[288]. პლინიუსის ცნობებზე დაყრდნობით ა. იანოვსკი ცდილობდა მოეხდინა სილვების და ლუპენების ლოკალიზაცია. იგი მათ ძირითადად შექის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ათავსებდა, მაგრამ იგი ამავე დროს იმასაც ვარაუდობდა, რომ სილვებს მთელი ალაზნის ველიც უნდა სჭეროდათო[289]. აკად. ივ. ჯავახიშვილი მეტად ზოგადად განსაზღვრავდა ლბინების საცხოვრისს. იგი წერს: «Лубены или липоны (именуемые также лепон), как это видно со слов Плиния (VI, 26), жили в Албании, на склонах кавказского хребта, следовательно, были также

---

282 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, თბ. 1950, გვ. 52.

283 Plinius, NH, кн. 6, гл. 10.

284 Paul de Lagarde, Agathangelus und die Akten Gregors von Armenien, Göttingen, 1887, 9, 71.

285 Tab. Peut. Segm. XI, 5—K. Miller: Itineraria Romana, Römische Reisewege an der Hand der Tabula Peutingeriana, Stuttgart, 1916.

286 Anonymi Ravennatis, Cosmographia, ed. M. Pinder et Parthey, Berolini, II, 12, p. 68.

287 ნ. ლ ო მ ო უ რ ი, კვლავდიოს პტოლემაიოსი, «გეოგრაფიული სახელმძღვანელო», ცნობები საქართველოს შესახებ, იხ. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტ. ნაკვ. 32, 1955, გვ. 46.

288 ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ი. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1953, გვ. 81.

289 А. Я н о в с к и й, О древней Кавказской Албании, გვ. 164.

соседями грузин, иверов с востока»[290]. სხვა მკვლევართაგან, რომელნიც შეეხნენ სილვების resp. ჭილბების ლოკალიზაციის საკითხს, უნდა მოვიხსენიოთ კ. კრეტშმერი [291] და კ. ტრევერი, რომელთა მიხედვითაც, სილვები მოსახლეობდნენ კავკასიონის ქედის აღმოსავლეთ კალთებზე, დაღისტნის ტერიტორიაზე. კერძოდ, კ. ტრევერი მიუთითებს, რომ ჭილბები ცხოვრობდნენ ანდიის კოჰსუს ზემო წელზე[292]. ლბინების ლოკალიზაციის საკითხს შეეხო აგრეთვე ს. იუშკოვი. იგი წერს: «Лбния или страна Лбинов находилась севернее Агвании. Столица Лбнии находилась в глубине страны, примерно в 12 днях пути, т. е. она была расположена в верховьях Самура или в центральном его течении»[293].

კ. კრეტშმერის, ს. იუშკოვის და კ. ტრევერის შეხედულებანი ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწორი.

ლბინებისა და ჭილბების საცხოვრისის განსაზღვრისათვის მეტად საინტერესოა მ. კალანკატუელის «ალვანეთის ისტორიაში» დაცული ერთი ცნობა, ეს ცნობა შეეხება ალბანეთის მთავრის, ვარაზ-თრდატის ელჩობას ხაზართა ხაკან ალფ-ილიტვერთან 684—685 წლებში. მოსე კალანკატუელი მოგვითხრობს, რომ 684 წ. 22 დეკემბერს, აღნიშნული ელჩები ეპისკოპოსს ისრაელის ხელმძღვანელობით «გამოვიდნენ ქ. პეროზ-აპატიდან (=ბარდავს), გადალახეს დიდი მდინარე მტკვარი და გაემგზავრნენ. გასცდნენ რა ალბანეთის საზღვრებს, მეთორმეტე დღეს მათ მიაღწიეს (ე. ი. 685 წ. 3 იანვარს) ლბინების (ტომის) ქალაქს (*ի քաղաքն Լփնաց*)... ქალაქში ღამის გათევების შემდეგ, ისინი აქედან გადავიდნენ ჭილბების (ტომის) ქვეყანაში (*լաջխարհն ճղբաց*), რომელიც მდებარეობს დიდი მთის ძირში[294]«. მ. კალანკატუელის ამ ცნობიდან, აშკარად ჩანს, რომ ლბინებისა და ჭილბების ქვეყნები მდებარეობდა ალბანეთის საზღვრებს გარეთ, დიდი მთის (ე. ი. კავკასიონის ქედის) ძირში. ამრიგად, ჭილბების და ლბინების საცხოვრისად უნდა მივიჩნიოთ კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი კალთები. კერძოდ ისინი სავარაუდებელნი არიან მდ. ალაზნის ზემო წელის მიდამოებში. ასეთი მოსაზრებას ჯერ კიდევ მ. ბროსე გამოსთქვამდა. მ. ბროსეს მოცემული აქვს მეტად გონებამახვილური დაკვირვება ალაზნის ზემო დინების აუზში დღემდე შემორჩენილი ისეთ ტოპონიმიკურ სახელწოდებაზე, როგორიც არის «ლოფოტის წყალი». მისი აზრით, «ლოფოტის წყალში» დაცული უნდა იყოს

---

290 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, გვ. 251.

291 K. K r e t s c h m e r, Silvi, PWK.

292 К. В. Т р е в е р, დასახ. ნაშრომი, გვ. 211.

293 С. В. Ю ш к о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 138—139.

294 Մ. Կաղանկատուացւոյ, გვ. 269—270.

სომხური წყაროების «ლფნიქ» და პლინიუსის ლუბიენები თუ ლუპენები [295]. ეს მოსაზრება შემდეგში გაიმეორა (თუმცა მ. ბროსე არ მიუთითებია) ს. ერემიანმა. იგი წერს: «Страну Лбинов (Лпник) следует искать к северо-востоку от марзпанской Картли, у подножия главного Кавказского хребта, именно в верхнем течении реки Алазань, в районе сел. Алвани, Аранта и щилда, т. е. — левобережная часть Кахети, неразделенной частью которой она становится позже».[296]. საყურადღებოა აგრეთვე პროფ. ს. ერემიანის დაკვირვება ეთნონიმ ჭილბზე. მისი შეხედულებით ჭილბების ტომის სახელი უნდა იყოს შემონახული მდ. ჩელთისა და სოფ. შილდის სახელწოდებებში[297]. თუ გავითვალისწინებთ, რომ შილდა გეოგრაფიულად სწორედ კავკასიონის ქედის ძირში, მის სამხრეთ კალთებზე მდებარეობს, მაშინ ს. ერემიანის მოსაზრება დამაჯერებლად მოგვეჩვენება. ასევე მტკიცედ არის აღბეჭდილი ჰერეთის ისტორიულ ტოპონიმიკაში ლბინების ტომის ნაკვალევი. ისტორიულად განპირობებული უნდა იყოს მდ. ალაზნის ზემოწელზე ისეთი ტოპონიმიკური სახელწოდებების არსებობა, როგორიცაა ალვანი, ალონი, არანთა, ალავერდი; დასასრულ ლოფოთა. ყველა ეს გეოგრაფიული სახელწოდებანი საკმაოდ ძველია. თითქმის ყველა მოხსენებულია ვახუშტის «გეოგრაფიაში», ხოლო «ლოფოთას» ჯერ კიდევ ჯუანშერი იცნობს[298]. ლბინების ტომთან დაკავშირებით ვ. მინორსკიმ ყურადღება გამახვილა აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ტერიტორიაზე მდებარე სოფელ ჭარის ერთ-ერთი უბნის სახელწოდებაზე — წილბანზე. ვ. მინორსკის აზრით, ტოპონიმ წილბანში აშკარად ჩანს ლბინების ტომის ნაკვალევი ჰერეთის ტერიტორიაზე[299]. წილბანი ვახუშტი ბაგრატიონს შეტანილი აქვს ელისენის სოფლების სიაში[300].

ლბინებისა და ჭილბების გამოსვლა ალბანურ ტომთა გაერთიანებიდან და მათი შერწყმა აღმოსავლურ ქართულ ტომებთან — კახებთან, ძალზე ადრე უნდა მომხდარიყო. ყოველ შემთხვევაში, სომეხ ისტორიკოსს ელიშესთან (V საუკუნის მეორე ნახევარი) ისინი უკვე აღარ იგულისხმებიან ალბანურ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში. ელიშე მათ

---

[295] M. Brosset, Introduction, St. — Petersbourg, 1858, p. X.

[296] С. Т. Еремян, Торговые пути Закавказья в эпоху сасанидов, ВДИ 1939, № 1, გვ. 85—86.

[297] С. Т. Еремян, М. Каланкатуйский о посольстве албанского князья Вараз - Трдата к хазарскому хакану Алп-Илитверу, გვ. 149.

[298] ქცბა, I, გვ. 200.

[299] В. Ф. Минорский, История Ширвана и дербенда X—XI вв., Москва, 1963, გვ. 28, სქოლიო 38.

[300] ვახუშტი, «აღწერა», გვ. 208.

განიხილავს, როგორც ალბანეთისაგან სავსებით დამოუკიდებელ ცალკე ეთნიურ-პოლიტიკურ ერთეულს[301].

ლბინების საკითხთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ლეონტი მროველის თხზულების მეორე ნაწილში — „მოქცევა მირიან მეფისა და მისთანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულის მიერ“ — დაცული ერთი ცნობა. ფარავნის ტბასთან მოსულ ნინოს შემოხვდებიან მწყემსები. ერთ-ერთ მათგანს ნინო ეკითხება: „რომლისა სოფლისანი ხართ? ხოლო მან მიუგო და რქუა, ვითარმედ: „დაბით ელარბინით და საფურცლით, და ქინძარელნი, რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“[302]. ამ ცნობაში ყურადღებას იპყრობს „დაბა „ელარბინი“. ჩვენთვის საინტერესო ადგილი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ჭელიშურ ნუსხაში ასე იკითხება: „ზოგნი დაბით და ზოგნი საფურცლით და ზოგნი ქინჯარელნი და რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“[303]. როგორც ვხედავთ, აქ გეოგრაფიული ტერმინი „ელარბინი“ გამოტოვებულია. შატბერდულ ნუსხაში ეს ადგილი არ არის შემონახული, მასში შესაბამისი ფურცელი აკლია. აღსანიშნავია, რომ პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი გვაძლევს „ქართლის ცხოვრების“ ამ ადგილის სხვანაირ წაკითხვას. იგი სიტყვას „დაბას“ მიიჩნევს ცალკე გეოგრაფიულ სახელწოდებად, სრულიად დამოუკიდებელს „ელარბინი“-საგან. ლ. მელიქსეთ-ბეგი ასე აღადგენს ტექსტს: „ვართ ჩვენ დაბით (და) ელარბინით (?) და საფურცლით, და ქინძარელნი და რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“[304]. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ ტექსტის ასეთ გასწორებას. სიტყვა „დაბა“ აქ ნახმარია არა გეოგრაფიული პუნქტის მნიშვნელობით, არამედ დასახლებული ადგილის, სოფლის მნიშვნელობით, რომელიც ერთვის „ელარბინს“ და განსაზღვრავს მას. გეოგრაფიული პუნქტის — „ელარბინის“ ადგილმდებარეობა ლ. მელიქსეთ-ბეგისათვის უცნობია[305]. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ელარბინი“ უნდა იყოს ქართული ფორმით გადმოცემული სომხური წყაროების „ლრბნიკი“ ანუ „ლფნიქი“, რომელიც როგორც ზემოთ

---

301 ნიჩრის, გვ. 87.

302 ქ ც ბ ა — I, გვ. 85—86.

303 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 116.

304 Л. М е л и к с е т-Б е к, По поводу одного из анахронизмов в грузинских летописях — Христянский восток, том. III, вып. II, 1914, გვ. 203.

305 М е л и к с е т-Б е к, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

აღვნიშნეთ, ალაზნის ზემო დინებაზე ლოკალიზდება. ეს რომ ასეა, მტკიცდება იქიდან, რომ XII საუკუნის მეორე ნახევარში, ქართლის ცხოვრების ძველ სომხურ ენაზე მთარგმნელს, ლეონტი მროველის თხზულების შესაბამისი ადგილის გეოგრაფიული ტერმინი — „ელარბინი“ გადააქვს „ლრბინად“ (*Լրբնաւ*), ე. ი. ისე, როგორც ეს სომხურ საისტორიო წყაროებში იხმარებოდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სომეხ მთარგმნელს ფრაზაში: „დაბით ელარბინით“, შეცდომით სიტყვა „დაბა“ ცალკე გეოგრაფიულ სახელად მიუჩნევია და გადააქვს: «*ի դարբաւ, ի լրբնաւ*»[306]. აქვე უნდა გავიხსენოთ, მოსე კალანკატუელის „ალვანთა ისტორიაში“ დამოწმებული „ლბინების ქალაქი“, რომელშიც ღამე გაათიეს ხაზართა ხაკანთან მიმავალმა ვარაზ-თრდატის ელჩებმა. არც მოსე კალანკატუელთან და არც სხვა სომხურ წყაროებში, არ არის დაცული ამ ქალაქის სახელწოდება. ხომ არ არის შესაძლებელი, რომ ამ ქალაქს სწორედ „ელარბინი“ ერქვა? ქვეყნის მთავარი ქალაქი რომ ამავე ქვეყნის სახელწოდებას ატარებდეს, ასეთი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება: ქართლი, ჰერეთი, მოვაკანი და სხვ. ამ მოსაზრებას სრულებით არ ეწინააღმდეგება ლეონტი მროველის ამავე ცნობაში აღნიშნული ამბავი იმის შესახებ, რომ „დაბით ელარბინით“ (ე. ი. ჩვენი ლოკალიზაციით ალაზნის ზემო წელიდან) მოსულ მწყემსს ვხედავდეთ ფარავნის ტბასთან. კახეთის სინამდვილეში ცხვრის ფარების გარეკვა ფარავნის ტბის გარშემო მდებარე საზაფხულო საძოვრებზე, ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ვახუშტი ბაგრატიონი ხომ ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს: „ხოლო ტბა ფანავრისა არს დიდი და თევზით სავსე, არამედ არა გემოიანი, რამეთუ ზაფხულს დგების გარემოს მისსა მრავალნი არვენი, ჯოგნი, მროწლენი, ხვასტაგნი ქართლისა და კახეთისანი“[307]. ამრიგად, ეთნოპოლიტიკური სახელი „ლრბნიკი“ — „ლფნიქი“ გადმოცემული ადგილობრივი, ქართული ფორმით — „ელარბინი“ — შემონახულია ზემოთ მოხსენებული ქართველი ისტორიკოსის, ლეონტი მროველის მიერ.

ჩიბერიის (ქართლის) მოსაზღვრე ჰერული ტომების: წადების resp. სუჯების, ჭილბების და ლბინების resp. ელარბიელთა ისტორიის შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს თვალი მივადევნოთ იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ეთნიკური ჯგუფების კულტურულ-ეთნიკური შერწყმის პროცესს აღმოსავლურ ქართულ ტომებთან—ქართებთან და კახებთან. ეს პროცესი უფრო დააჩქარა ამ ტერიტორიაზე ქრისტიანო-

---

306 ქართლის ცხოვრების ძველ სომხური თარგმანი, ილ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოცემა, თბილისი, 1953, გვ. 81.

307 ვ ა ხ უ შ ტ ი , «აღწერა», გვ. 43.

ბისა და ქართული ეკლესიის გავლენის გავრცელებამ, ქართული ენის გაბატონებამ. იორ-ალაზნის აუზის ადგილობრივი მოსახლეობის ქართებთან და კახებთან კულტურულ-ეთნიკური შერწყმის პროცესი ძალზე ადრე უნდა დაწყებულიყო, ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში, კერძოდ ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში, როდესაც ადგილი აქვს ქართლის სამეფოს ჩამოყალიბებას. პროფ. გ. მელიქიშვილის სიტყვით — «Уже на заре существования восточно-грузинской государственности в состав Картлииского царства входили также западные области древней Албании»[308]

ჩვ. წ. IV საუკუნისათვის ეს პროცესი ძირითადში დასრულებლად არის სავარაუდებელი[309]. ეს ე. წ. ჰერული ტომების სამოსახლო ტერიტორია შემდეგში, ქართული წყაროების მიხედვით, ჰერეთად იწოდება. ეს სახელი მან მიიღო ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა ყველაზე დიდი გაერთიანების — ჰერების სახელწოდებისაგან. ანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი ალბანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშიც, სადაც არცახისა და უტის ადგილობრივმა ალბანურმა მოსახლეობამ განიცადა კულტურულ-ეთნიკური ასიმილაცია მეზობელ სომხებისაგან. ეს პროცესი გრძელდება მომდევნო საუკუნეებშიც, კერძოდ VII საუკუნის შემდეგაც, როდესაც ალბანეთის ტერიტორიაზე გაჩაღებულია ბრძოლა მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის. მონოფიზიტური სარწმუნოების ენად ხდება ძველი სომხური სალიტერატურო ენა (გრაბარი), ხოლო დიოფიზიტურისა კი ძველი ქართული სალიტერატურო ენა. ასეთ პირობებში, როგორც აკად. ა. შანიძე აღნიშნავს. «албанская национальная церковь все более стала приходить в упадок, пока ее остатки не слились окончательно с армянской церковью (к югу от Куры) или с грузинской (к северу от куры и до Нухи). Этот процесс продолжался в течение нескольких столетий (VIII—XIII вв. и дальше)»[310].

ამის შედეგად, VII საუკუნიდან ალბანური დამწერლობა თანდათანობით გამოდის ხმარებიდან და მისი ხსენებაც ქრება. ამიტომაც იყო რომ VII საუკუნეში, ისტორიკოსს მოსე კალანკატუელს, უტის ოლქში შემავალ სოფელ კალანკატუიკის მკვიდრს (ბარდავის მახლობლად, თანამედროვე ჯრაბერდის რაიონი), თავისი «ალვანეთის ისტორია» შეეძლო დაეწერა მხოლოდ ძველ სომხურ სალიტერატურო ენაზე. აკად. ნ. მარი, ეხებოდა რა აღნიშნულ პერიოდისათვის ალბანეთის მოსახლეობის ასიმილირებას ქართველებისა და სომხების მიერ, აღნიშნავდა: «В Албании

---

308 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 296.

309 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, გვ. 68.

310 А. Ш а н и д з е, Язык и письмо Кавказских Албанцев, გვ. 169.

также развертывалась борьба халкедонитов с антихалкедонитами, причем ни те, ни другие не спасали албанской национальности: халкедонитство подготовляло путь к господству грузии, а антихалкедонитство — армян. Западняя ее часть, так сказать грузинская Албания, действительно, и огрузинилась: это древняя область Эретия, позднее вошедшая в пределы Кахетии. В X веке в Эрети халкедонитство восторжествовало окончательно... Восточная, resp. юговосточная часть Албании, судя по армянским источникам, значительно раньше сделалась достоянием антихалкедонитской церкви Армении»[311].

ნ. მარის შეხედულება ჰერეთის შერწყმის საკითხზე, ჩვენი აზრით, გარკვეული კორექტივის შეტანას საჭიროებს. როგორც დავინახეთ, ნ. მარი ჰერეთის „გაქართველებაში“ გადამწყვეტ როლს ანიჭებს რელიგიურ მომენტს (ქალკედონიანობა). ამ ფაქტორის როლს, რა თქმა უნდა, ვერც ჩვენ გამოვრიცხავთ, მაგრამ აქვე განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჰერეთის კახეთთან შერწყმის საქმეში ძირითადი და გადამწყვეტი ფაქტორის როლი, ჩვენი აზრით, შეასრულა ჰერული ტომების ეთნიკურმა ვინაობამ. ჩვენი შეხედულებით, ჰერეთის კახეთთან შერწყმის პროცესი უფრო იმ გარემოებამ დააჩქარა, რომ ჰერული ტომები, ეთნიკური თვალსაზრისით, ძალზე ახლოს იდგნენ აღმოსავლურ-ქართულ ტომებთან — ქართებთან და კახებთან. ამავე საკითხის შესახებ აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს: „ალბანეთმა ვერ მოასწრო ერთ მთლიან პოლიტიკურ (და ეთნიკურ-კულტურულ) ერთეულად ჩამოყალიბება, ალბანეთი დიდი ხანია საცილობელი ქვეყანა იყო სომხეთსა და საქართველოს შორის. აღნიშნული ხანისათვის (ლაპარაკია XI საუკუნეზე — თ. ბ.) მისი ერთი (სამხრეთ-აღმოსავლეთი) ნაწილი გასომხების გზაზე იდგა, მეორე (ჩრდილო-დასავლეთი) ნაწილი საქართველოს შერწყმოდა“[312].

როდესაც ვმსჯელობთ ალბანეთის მოსახლეობის ეთნიკური განვითარების შესახებ, არ შეიძლება არ შევეხოთ, ალბანეთის ისტორიის ზოგიერთ მკვლევართა შეხედულებებს ამავე საკითხზე. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ზ. იამპოლსკის შრომები აზერბაიჯანელი ხალხის წარმოშობის შესახებ. ზ. იამპოლსკი თავის სტატიაში— «Материалы о пройсхождении Азербайджанского народа» — ბერძნულ-ლათინური და სომხური წყაროებიდან ამოკრეფილი ცნობების

---

311 Н. Марр, «Аркаун, монгольское название христян в связи с вопросом об армянах халкедонитах», СПБ, 1905 г., გვ. 6—7.

312 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, მნათობი, 1954 წ. № 6, გვ. 123.

მიხედვით, ჩამოთვლის ალბანეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ იმ ტომებს, რომელთაც მისი აზრით, გარკვეული წვლილი შეიტანეს აზერბაიჯანელი ხალხის წარმოქმნასა და ჩამოყალიბებაში. ესენია მადიანიტები, კასპიები, უტიები, ყადუსიები, გელები, ჩრდილო ალბანეთში — თალები[313]. როგორც ვხედავთ, ზ. იამპოლსკის მიერ სავსებით იგნორირებულნი და უგულებელყოფილნი არიან იბერიის მოსაზღვრე, ალბანეთის დასავლეთ სექტორებში მცხოვრები, ჰერული ტომები: თვით ჰერები, სოჯები, ჭილბები და ლბინები, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ ალბანეთის ისტორიის განვითარებაში. ზ. იამპოლსკი წყაროთა არაპირდაპირი მონაცემების მიხედვით, ცდილობს დაადგინოს ადგილობრივი ალბანეთის მოსახლეობის რაოდენობა. მისი გამოანგარიშებით, ძვ. წ. I საუკუნეში მოსახლეობის რიცხვი აღწევდა 800 000 კაცს. IX საუკუნეში მოსახლეობის რაოდენობას უმატნია, იგი შეადგენდა არა ნაკლებ ერთ მილიონ კაცს[314]. ამის შემდეგ, ზ. იამპოლსკი, აღნიშნავს, რომ საშუალო საუკუნეებში ალბანეთის ნიადაგზე ადგილი ჰქონდა უცხო ტომების: ხაზარების, არაბების, ოგუზების, მონღოლების ჩართვას ანუ მისი გამოთქმით ინფილტრაციას[315]. ამ გარედან მოსული უცხო ტომების რაოდენობა ზ. იამპოლსკის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით ასე წარმოგვიდგება: VII—VIII საუკუნეებში აზერბაიჯანში შემოსეულ ხაზართა რიცხვი არ აღემატებოდა 12.000 კაცს; 1025 წელს აზერბაიჯანში ჩამოსახლებულა ოგუზთა ტომის 4000 ოჯახი. 1070 წელს თურქსელჯუკთა სულტნის ალფარსლანის შემოსევისას, მისი ლაშქარი შედგებოდა 15.000 კაცისაგან, ხოლო XIII საუკუნეში, როდესაც ფეოდალურ დაქუცმაცებულ აზერბაიჯანს ორგზის შემოსევიან მონღოლები— მათ ლაშქარში ყოფილა 30.000 კაცი[316]. ადგილობრივი მოსახლეობისა და გარედან მოსული უცხო ტომების ამ ციფრობრივი მაჩვენებლების ურთიერთ შედარების შემდეგ ზ. იამპოლსკი აღნიშნავს: «древнее население Азербайджана и его потомки всегда составляли абсолютное большинство по сравнению с пришельцами извне. И поэтому прав был А. Бакиханов, который в статье, опубликованной в газете «Кавказ» еще в 1848 году утверждал, что жители Азербайджана XIX в. являются потомками древних местных племен. Пришельцы всегда составляли абсолютное меньшинство населе-

---

313 Известия А. Н. Азер, ССР, 1956, № 1, გვ. 95.

314 З. Ямпольский, იქვე, გვ. 95.

315 З. Ямпольский, —Атропатена и Кавказская Албания в III—I в. в. до н. э. Автореферат докторской диссертации, Москва, 1952, გვ. 12.

316 З. Ямпольский, Матер. о пройсхождении Азербайджанского народа, გვ. 95—96.

ния Азербайджана»[317]. სხვა შრომაში, ზ. იამპოლსკის თავისი შეხედულება ალბანეთის მოსახლეობის ეთნიური განვითარების შესახებ, უფრო მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული იგი წერს: «в средние века иноплеменные включения (инфильтрация) на почву Албании... составляли этногенетическое меньшинство по сравнению с наличным населением Албании и не только не уничтожили этноса, сложившегося к моменту их инфильтрации, но не могли внести коренных изменений в этнический облик жителей Албании»[318].

ჩვენ ზემოთ საკმაოდ დეტალურად განვიხილეთ ზ. იამპოლსკის კონცეფცია აზერბაიჯანის ხალხის წარმოშობის შესახებ. ჩვენი აზრით, ზ. იამპოლსკი ცალმხრივად აშუქებს საკითხს. არსებითი ნაკლი ამ კონცეპციისა მდგომარეობს იმაში, რომ მხედველობის გარეშეა დატოვებული და არ არის გათვალისწინებული ალბანეთის მეზობელი ხალხების — იბერიისა და სომხების როლი ალბანეთის მოსახლეობის ეთნიკურ განვითარებაში. როგორც ზემოთ დავინახეთ, სომხები და იბერები ის ხალხები იყვნენ, რომელთაც ალბანეთის მოსახლეობის ეთნიკურ სახეში შესძლეს შეეტანათ ძირფესვიანი ცვლილებები. ვფიქრობთ, სავსებით მართალი იყო აკად. ნ. მარი, რომელიც ეხებოდა რა კავკასიის ალბანეთის მკვიდრი მოსახლეობის დეეთნიზაციის პროცესს, აღნიშნავდა: «армянское национальное обьединение вместе с грузинским национальным обьединением разделило между собою и растворило в себе албанов»[319].

შემდეგში, აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბების პროცესში, მონაწილეობას ღებულობდა ძველი ალბანეთის სწორედ ეს მოსახლეობა, რომელმაც განიცადა რა ქართული და სომხური კულტურის ძლიერი გავლენა, მიიღო ისლამი და საურთიერთო ენად გადაიქცა თურქული— აზერბაიჯანული.

ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომების ეთნიკური წარმოშობის საკითხის გარკვევა მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენს და ქართულ ისტორიოგრაფიაში იგი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი. ეს გარემოება, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმ წყაროთა სიმცირით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა. მკვლევარის განკარგულებაში ჯერჯერობით, ძირითადად, ისევ ეთნონიმური, ტოპონიმიკური და ონომასტიკური მასალა რჩება, რომელიც ჩვენამდე მოღწეულია ანტიკურ (ბერძნულ-რომაული), ძველ სომხურსა და ძველ ქარ-

---

[317] З. Ямпольский, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

[318] З. Ямпольский—Атропатена и Кавказская Албания, გვ. 12.

[319] Вступительная лекция в Лазаревском Преднеазнатском институте—Тексты и разыскания по Кавказской филологии — 1. Ленинград, 1925 г., გვ. 9.

თულ წყაროებში. ჰერეთის ტერიტორიის არქეოლოგიურ შესწავლას ჯერ იმ დონემდე არ მიუღწევია, რომ მას შეეძლოს საგრძნობი დახმარების გაწევა ჰერული ტომების ეთნოგენეზისის დადგენაში.

წერილობით წყაროებში ეთნონიმი «ჰერი» ახ. წ. ა. II საუკუნიდან ჩნდება. აღნიშნული ეთნონიმი პირველად კლავდიოს პტოლემაიოსის (IIს.) «გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში» გვხვდება. სატომო სახელი «ჰერი» პტოლემაიოსთან იხსენიება „Γέρροι"-ის ფორმით. გერები პტოლემაიოსს მოხსენებული ჰყავს კავკასიელ ტომთა შორის შემდეგი თანმიმდევრობით: ტუსკები (Τοῦσκοι), დიდურები (δῖδουροι), უდები (οὔδαι), ოლონდები, ისონდები, გ ე რ ე ბ ი (Γέρροι), სანარები (Σαναραῖοι)[320]. როგორც ვხედავთ, გერები resp. ჰერები ახ. წ. ა. II საუკუნეში ცხოვრობდნენ თუშების (ტუსკები), დიდოელების (დიდურები), უდებისა და წანარების (სანარები) გარემოცვაში. პტოლემაიოსთან მოხსენებული «გერებისა» და ქართული წყაროების «ჰერების» იგივეობის შესახებ მოსაზრება ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა. იგი აღნიშნავდა: ის ტომი, რომელსაც ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში «ჰერნი» ეწოდებოდა, ბერძნულ მწერლობაში Γέρροι-ს სახელით იყო ცნობილიო[321]. ს. ჯანაშია, მართალია, მიუთითებდა, რომ სატომო სახელი «ჰერი» მარტოოდენ ძველ ქართულ მწერლობას აქვს დაცული, მაგრამ იგი იქვე დასძენდა: ხომ არ უდრის მას ანტიკური მწერლობის «გერ»-ები, თუ ჰ-გ-ს ეს შესატყვისობა შესაწყნარებელიაო[322]. ბერძნული «გერ»-ების და ქართული «ჰერ»-ების იდენტურობას სავსებით შესაწყნარებლად თ ვ ლ ი დ ა აგრეთვე ლ. მელიქსეთ-ბეგი[323].

ჰერები დამოუკიდებელ ეთნიკურ ერთეულად მოხსენებულნი არიან აგრეთვე იპოლიტე რომაელის მიერ 234—235 წლებში დაწერილ თხზულებაში — «წარმომავლობის წიგნი» (Liber Generations), რომელიც მეცნიერებაში «იპოლიტეს ქრონიკის» სახელით არის ცნობილი[324]. «იპოლიტეს ქრონიკაში» იაფეტის შთამომავალ სხვა ტომთა შორის (მიდიელები, ალბანელები, გარგარები, არმენიელები..., ტიბარენები, ხალი-

---

[320] ნ. ლ ო მ ო უ რ ი, კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო" (ტექსტი თარგმანითურთ, წინასიტყვაობა და განმარტებები), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 44.

[321] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, თბ., 1950, გვ. 50, 52.

[322] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 101.

[323] Л. М. М е л и к с е т - Б е к о в, К истории Удин, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXIII, თბ., 1942, გვ. 46.

[324] Hippolytus Werke, vierter Band, Die chronik, hergestellt von A. Bauer, durchgeschen und herausgegeben von Dr. R. Helm, nebst einem beitrag von J. Markwart, Leipzig, 1929.

ბები, მოსინიკები, კოლხები და სხვა), ქართველებისაგან (იბერები) ცალკე დასახელებულნი არიან ჰერები — Ἐρραῖοι-ს ფორმით[325]. Ἐρραῖοι «იპოლიტეს ქრონიკაში» მოხსენებულნი არიან ალბანელებისა და გარგარების შემდეგ. როგორც სამართლიანად შენიშნავს კ. კეკელიძე, «იპოლიტეს ქრონიკის» Ἐρραῖοι-ს ქვეშ «подразумеваются жители того сектора Грузии, который назывался ჰერეთი (hEpému)»[326]. მეტად საყურადღებოა, რომ წმინდა ქართული ეთნიკური სახელწოდება «ჰერნი», — უკვე III საუკუნეში, იპოლიტე რომაელის გენეალოგიურ სქემაში მოხვდა Ἐρραῖοι-ს ფორმით. ვფიქრობთ, მისი წყარო არ უნდა ყოფილიყო მწიგნობრული, რადგან იპოლიტემდე, აღნიშნული ეთნონიმი, ასეთი სახით, სხვა ბერძენ მწერლებთან არ გვხვდება. არსებობს «იპოლიტეს ქრონიკის» სომხურად გადამუშავებული ვარიანტი, შესრულებული 628—640 წლებში უცნობი ავტორის მიერ[327]. ნიშანდობლივია, რომ „იპოლიტეს ქრონიკის» სომხურ რედაქციაში Ἐρραῖοι resp. ჰერნი-ს შესატყვისად დასახელებულია Lphinkh[328] ანუ ლბინები resp. ელარბიელნი. «იპოლიტეს ქრონიკის» სომხურად გადამუშავებულ რედაქციაში ჰერების ნაცვლად Lphinkh-ის ანუ ლბინების მოხსენება, ჩვენი აზრით, სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, რადგან, როგორც ეს ზემოთ გვაქვს აღნიშნული, ლბინები ჰერულ ტომს წარმოადგენენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ი. მარკვარტის აზრით, «იპოლიტეს ქრონიკაში» მოხსენებული ეთნონიმ Ἐρραῖοι-ის ნაცვლად უნდა იკითხებოდეს Ἀρραῖοι, რომლებშიც, მისი ვარაუდით, იგულისხმება ალბანიის, არრანის, მცხოვრებნი[329]. ი. მარკვარტის მიერ მოცემული ეთნონიმ Ἐρραῖοι-ს ასეთი შესწორება, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს გამართლებული, რადგან «იპოლიტეს ქრონიკაში» ალბანიის მცხოვრებთა აღსანიშნავად, Ἐρραῖοι-საგან სრულიად დამოუკიდებლად, იხმარება ცალკე სატომო სახელი Ἀλβανοι. IV საუკუნეში, ალბათ იპოლიტე რომაელის გავლენით, ეთნიკური ტერ-

---

325 „იპოლიტეს ქრონიკის“ ლათინურ თარგმანში, Ἐρραῖοι-ს შესატყვისად იხმარება Erreí, იხ. В. В. Латышев, II, вып. II, გვ. 445—446, ВДИ, 1949, № 3, გვ. 249.

326 К. Кекелидзе, Идея братства Закавказских народов по генеалогической схеме грузинского историка XI века Леонтия Мровели. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ. 1955, გვ. 98.

327 Անտուն ժամանակագրութիւն. Վենետիկ, 1904; იპოლიტეს ნაწარმოების ამ სომხურ ვერსიის გერმანული თარგმანი, შემსრულებული ი. მარკვარტის მიერ, ბერძნულ-ლათინურ ვერსიებთან ერთად შევიდა იპოლიტეს თხზულებათა ზემოთ დასახელებულ გერმანული გამოცემის IV ტომში, გვ. 393—558.

328 Hippolytus Werke, Vierter Band, Die chronik... nebst einem beitrag Von J. Markwart, გვ. 554.

329 Hippolytus werke IV, Die chronik... nebst einem beitrag von J. Markwart, გვ. 552—553.

მინი Ἐρραῖοι განმეორებული აქვს ევსევი კესარიელს. Ἐρραῖοι მას, იპოლიტეს მსგავსად მოხსენებული ჰყავს იაფეტის შთამომავალ ტომთა შორის, ალბანელებისა და გარგარების შემდეგ[330].

ყურადღებას იპყრობს IV საუკუნეში შედგენილი რომაული საგზაო რუკა, ე. წ. Tabula Peutingeriana, რომლის ერთ-ერთ სეგმენტზე აღნიშნულია ტომი Hiroae — «ჰიროე[331]». როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნინიშნავს, ადგილმდებარეობის მიხედვით საფიქრებელია, რომ აქ იგივე ტომი იგულისხმებოდეს, რომელსაც ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში «ჰერნი» ეწოდებოდა[332]. რავენელი უცნობი ავტორის მიერ 650 წლის ახლო ხანებში შედგენილ «კოსმოგრაფიაში» Hiroae-ს შესატყვისად გვხვდება Eroon[333], რომლის ქვეშაც, როგორც ეს სამართლიანად არის აღიარებული სამეცნიერო ლიტერატურაში, იგულისხმება ქართული წყაროების «ჰერეთი»[334].

ჰერებს, როგორც გარკვეულ ეთნიკურ ერთეულს, იხსენიებს აგრეთვე VIII—IX საუკუნეების ბიზანტიელი მწერალი გიორგი სინგელოზი თავის „ქრონიკაში". გიორგი სინგელოზის „ქრონიკა" შეიცავს მსოფლიო ისტორიას ადამიდან ვიდრე დიოკლეტიანეს დრომდე. იგი აგვიწერს რა იაფეტის სამფლობელოს და მის მოდგმას, ჩამოსთვლის იაფეტისაგან წარმოშობილ ტომებს, რომელნიც „გაბნეული არიან მიდიიდან ვიდრე დასავლეთის ოკეანემდე და ჩრდილოეთის მიმართულებით შემდეგნაირად: მიდიელები, ალბანელები, გარგარები ჰ ე რ ე ლ ე ბ ი (Ἐρραῖοι), არმენიელები, ამაზონები, კოლები, კორზენები..."[335] და სხვა. როგორც ვხედავთ, აქ Ἐρραῖοι ისეთ კონტექსტში არიან მოხსენებულნი, რომ მათ ქვეშ უდავოდ ჰერთა ტომი უნდა ივარაუდებოდეს. ასეთია ის ცნობები, რომელნიც მოიპოვება ბერძნულ-ლათინურ და ბიზანტიურ წყაროებში ეთნონიმ „ჰერის" შესახებ. უცხოურ წყაროებიდან ამოკრეფილი ეს მონაცემები, სამწუხაროდ, ვერ გვიქმნი-

---

[330] В. В. Латышев, Известия древних писателей о Скифии и Кавказе, I, ВДИ, 1948, № 3 (25), გვ. 221.

[331] Tab. peut., Segm., XI,4—XII,1, K. Miller: Itineraria Romana.; J. Markwart, Skizzen zur historischen topographie und geschichte von Kaukasien, ჟურნალი «Handes Amsorya», 1927, 11—12, გვ. 831, Taffel I.

[332] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, გვ. 52; С. Т. Еремян, Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов по Tabula Peutingeriana, ВДИ, 1939, № 1 (6), გვ. 82, 86, 90.

[333] Annonymi Ravennatis, Cosmographia II, 8, გვ. 61—62.

[334] С. Т. Еремян, დასახ. ნაშრ. გვ. 86, 90.

[335] გ ე ო რ გ ი კ ა, IV, ნაკვეთი I, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1941, გვ. 62.

ან სრულ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა ეთ-ნიკური შინაარსის შემცველი იყო სატომო სახელი „ჰერი“.

გადავიდეთ იმ მონაცემების განხილვაზე, რომლებიც მოიპოვება ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში ჰერთა ვინაობის შესახებ. უპირველეს ყოვლისა, მივმართოთ XI საუკუნის ქართველი ავტორის, ლეონტი მროველის, საისტორიო შრომას „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, რომელშიაც შემონახულია საყურადღებო გადმოცემები საქართველოს ტომთა როგორც ეთნიკური მონათესაობის, ისე მათი მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-კულტურული თანამშრომლობის შესახებ. „სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა“, — ვკითხულობთ ლეონტი მროველის თხზულებაში, — „ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძისწული იაფეთისი, ძისა ნოესი“[336]. თარგამოსს რვა შვილი ჰყავდა, რომელთაგან „პირველსა ერქუა ჰაოს, მეორესა ქართლოს, მესამესა ბარდოს, მეოთხესა მოვაკან, მეხუთესა ლეკ, მეექუსესა ჰეროს, მეშვიდესა კავკას. მერვესა ეგროს“[337].

ლეონტი მროველის გენეალოგიის მიხედვით ქართების მამამთავარი ქართლოსია, ხოლო მისი შვილები კი არიან: მცხეთოსი, გარდაბოსი, კახოსი, კუხოსი და გაჩიოსი[338]. ჰეროსი ქართლოსი ძმაა, თარგამოსის მეექვსე შვილი[339].

როგორც ვხედავთ, ლეონტი მროველს კავკასიაში მობინადრე ტომები ერთი წინაპრისაგან გამოჰყავს და მათ იაფეთის შთამომავლობად აღიარებს. მაგრამ ჩვენთვის, აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ლეონტი სავსებით აშკარად, განსხვავების ნიშანს სვამს „ქართველებსა“ (ქართები) და ჰერებს შორის. მას კავკასიის ხალხთა გენეალოგიურ შტოში ქართებისაგან სრულიად განცალკევებით მოხსენებული ჰყავს ჰერეთის მამამთავარი ჰეროსი და ამის შესაბამისად ჰერებიც. ჰეროსი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მას ქართლოსის ძმად მიაჩნია და არ ჰყავს იგი შეყვანილი ქართების მამამთავარ ქართლოსის შთამომავალთა რიცხვში. ისმის კითხვა — გამოგვადგება თუ არა ჩვენ ეს იმის საბუთად, რომ ჰერები მივიჩნიოთ ქართებისაგან დიამეტრალურად განსხვავებულ, სხვა ეთნიკურ ერთეულად? და საერთოდ საინტერესოა რა წყაროებით სარგებლობდა ლეონტი მროველი თავისი გენეალოგიური სქემის შედგენისას, ორიგინალურია ეს სქემა თუ ნასესხებია იგი სხვა მწერალთა ნაშრომებიდან? ჩვენი აზრით, ლეონტი მროველის მიერ

---

336 ქ ც ბ ა, 1, გვ. 3.
337 ი ქ ვ ე, 1, გვ. 4.
338 ი ქ ვ ე, გვ. 8.
339 ი ქ ვ ე, გვ. 4.

ჰერების ქართველებისაგან ცალკე მოხსენება აიხსნება იმით, რომ მეთერთმეტე საუკუნის ისტორიკოსს, ლეონტი მროველს, არკვევდა რა კავკასიის ხალხთა გენეალოგიისა და შთამომავლობის საკითხებს, ხელთ ჰქონდა ისეთი წყარო, რომელშიც ჰერები ცალკე ეთნიკურ ერთეულად იყვნენ წარმოდგენილნი. ქართველი ხალხის წარმოშობის ისტორიაზე მომუშავე ლეონტი მროველმა მონახა სათანადო წყაროები და ისესხა მათგან გარკვეული, მისი კონცეპციისათვის საჭირო ცნობები. ერთ-ერთ ასეთ წყაროს, როგორც კ. კეკელიძემ გამოარკვია, უნდა წარმოადგენდეს იპოლიტე რომაელის „ქრონიკა" და მისი სომხურად გადამუშავებული ვარიანტი. კ. კეკელიძის აზრით, ლეონტი მროველის გენეალოგიური სქემა ყველაზე ახლოს დგას იმ სქემასთან, რომელიც მოცემულია „იპოლიტეს ქრონიკაში" და მის სომხურ ვერსიაში[340]. აღნიშნულ სქემაში კი, როგორც ზემოთ დავინახეთ, ჰერები resp. Ἕρραῖοι ქართველებისაგან (ქართები) დამოუკიდებელ, ცალკე ეთნიკურ ერთეულად არიან მოხსენებულნი. ვფიქრობთ, სწორეთ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ „მამათა და ნათესავთა ცხოვრებაში" ჰერები შეტანილნი არ არიან ქართლოსის უშუალო შთამომავალთა რიცხვში: ლეონტი მროველის ისტორიული კონცეპციის მიხედვით, ჰერები ქართების მსგავსად განცალკევებულ ეთნიკურ ჯგუფს ჰქმნიან, ისინი ქართლოსის ძმის ჰეროსის ჩამომავალნი არიან. შეიძლება ითქვას: ლეონტი მროველმა, ჰერთა ეთნიკური ვინაობის გარკვევისას, საქმის ნამდვილი ვითარება მსხვერპლად მოუტანა თავის მწიგნობრულ სქემას.

უნდა აღინიშნოს, რომ ლეონტი მროველი არ იყო პირველი მწერალი, რომელმაც ჰერების ეთნოგენეზისის საკითხი წამოაყენა. მას ამ შემთხვევაში წინამორბედი ჰყავს ექვთიმე მთაწმინდელის სახით. ჯერ კიდევ X საუკუნეში, ექვთიმე მთაწმინდელმა მოგვცა იპოლიტეს ქრონიკის ეპიფანე კვიპრელისეული (გარდაიცვალა 403 წ.) რედაქციის საკუთარი გადამუშავება და შეიტანა იგი მის მიერვე თარგმნილ მაქსიმე აღმსარებლის (გარდაიცვალა 662 წ.) თხზულებაში, „ნეტარისა თალასეს მიმართ", რომელიც ცნობილია Questiones ad Thallasium-ის სახელით, ეს თხზულება კითხვა-მიგების სახითაა დაწერილი; ოცდამეცხრე კითხვა-მიგება ეხება სხვადასხვა ტომთა და ერთა გენეალოგიას. აღსანიშნავია, რომ ეს ოცდამეცხრე კითხვა-მიგება მაქსიმე აღმსარებლის დასახელებულ თხზულების ბერძნულ დედანში არ მოიპოვება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ექვთიმე, როგორც ცნობილია, მეტად ორიგინალური მთარგმნელია, იშვიათია მის მიერ შესრულებულ თარგმანთა შორის ისეთი, რომელიც დედანს ადექვატურად გადმოგვცემს, ის

---

[340] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები. ტ. III, გვ. 98—99.

ან ამოკლებს მას, ანდა უმატებს სხვა წყაროებიდან. ოცდამეცხრე კითხვა-მიგება, როგორც აკად. კ. კეკელიძე ამტკიცებს, მთლიანად მომდინარეობს იპოლიტე რომაელის „Liber Generationis"-დან[341]. იპოლიტეს „ქრონიკის" ამ ექვთიმესეულ რედაქციაშიც, ჰერები ქართველებისაგან ცალკე არიან მოხსენებულნი, სემის შთამომავალ ტომთა შორის, 46-ე ადგილას, სემის შთამომავლად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, ცალკე ტომებად არიან აქვე აღნიშნულნი ქართველნი, მეგრელნი და აფხაზნი[342]. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ: საშუალო საუკუნეების ქართველ მწერლებს: ექვთიმე მთაწმინდელს და ლეონტი მროველს, როგორც ჩანს, ჰერების ეთნიკური წარმოშობის შესახებ არ გააჩნდათ საჭირო ცნობები. ჰერების ეთნოგენეზისის საკითხისათვის მათ გამოიყენეს ბერძნული წყარო, ე. წ. „იპოლიტეს „ქრონიკა", სადაც ჰერები ქართველებისაგან ცალკე არიან მოხსენებულნი. ეს ცნობა მათ შეიტანეს თავიანთ თხზულებებშიც, რა თქმა უნდა, თავისებურად გააზრებული. ვფიქრობთ, ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ლეონტი მროველი ჰერებს არ მიიჩნევს ქართლოსის შთამომავლებად. მისი კონცეფციით ქართლოსი და ჰეროსი ძმები არიან: აქედან გამომდინარე, იგი მთელი თავისი თხზულების მანძილზე ჰერეთსა და ქართლს თანასწორ ერთეულებად სახავს.

ჰერთა ეთნიკური ვინაობის საკითხში XVIII საუკუნის ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი მთლიანად ლეონტი მროველის კონცეფციას ეყრდნობა. იგიც ჰერებს თარგამოსიანთა შორის ქართველთა გან განცალკევებით იხსენიებს. ვახუშტის მიხედვითაც, ჰეროსი არის თარგამოსის მეექვსე შვილი, ქართლოსის ძმა[343] და ჰერთა ეპონიმი (მამამთავარი) ჰეროსი (ე. ი. ჰერები) არც მას შეჰყავს ქართლოსის (ე. ი. ქართების) შთამომავალთა რიცხვში[344]. ვახუშტი ბაგრატიონი, მართალია, იმეორებს ლეონტი მროველის სქემას, მაგრამ ჰერებთან დაკავშირებით იგი ამავე დროს ყურადღებას ამახვილებს ერთ მეტად საგულისხმო მომენტზე. მისი წარმოდგენით, მას შემდეგ, რაც ჰერების მამამთავარი ჰეროსი „მოვიდა წილსა თჳსსა ქვეყანასა.. .და დაიპყრა ქვეყანა წილ-ხდომილი თჳსი", თვით იგი და მისი „ნათესავნიც" (ე. ი. ჰერები) იმთავითვე „ი ყ ვ ნ ე ნ მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა ს ა შ ი ნ ა

---

[341] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველს ქართულს მწერლობაში — ეტიუდები, I, თბ., 1956, გვ. 173.

[342] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, იქვე, გვ. 171.

[343] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია. განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ. ნაწილი I, ტფილისი, 1885, გვ. 28.

[344] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

ქართლოსისა და მცხეთელ მამასახლისისა«[345]. ვახუშტი ღრმად არის დარწმუნებული აგრეთვე იმაში, რომ უკვე ქართველთა პირველი მეფის ფარნავაზის დროს, რომელმაც ისტორიული ტრადიციით შექმნა ქართული სახელმწიფოებრიობა, ჰერები თავიანთი რჯულით, ენითა და მწიგნობრობით „ქართველები“ იყვნენ[346].

ასეთია ძირითადად, ის ცნობები, რომლებიც დაცულია საშუალო საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში ჰერთა ეთნოგენეზისის შესახებ.

მომდევნო ხანების ქართულ ისტორიოგრაფიაშიც, არა ერთი მკვლევარი დაინტერესებულა იბერიის მოსაზღვრე კავკასიის ალბანეთის დასავლეთ რაიონებში მოსახლე ჰერული ტომების ეთნიკური კუთვნილების საკითხით. ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს ა. ხახანაშვილი სტრაბონის ცნობებზე დაყრდნობით, ასეთ დასკვნას აკეთებდა: «Свидетельство Страбона о широких границах Албании и разноплеменности ея населения подтверждается показаниями позднейших историков. Из всех этих сведений мы почерпаем один несомненный факт: часть Албании, известная в грузинской летописи под именем Гереты (нынешный Закатальский округ) была заселена грузинами»[347].

აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: „ალბანიის ერთი ნაწილი, სახელდობრ იბერიის მოსაზღვრე ადგილი, ქართველი მოდგმის ერით იყო დასახლებული“[348].

აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „უძველესი დროიდან საინგილო, ისევე როგორც აწინდელი კახეთის დიდი ნაწილი და ჩრდილოდასავლეთი ადერბაიჯანი (ყოფილი შაქის ოლქი, ანუ ნუხის მაზრა), დასახლებული იყო ქართველთ მონათესავე ტომებით, რომელთა საერთო ქართული სახელი — ჰერეთი უკვე V საუკუნეში არის დამოწმებული“[349].

პროფ. ვ. დონდუა მიუთითებს: «Албания» в географическом представлении древних писателей (Страбон и др.) занимала территорию, западные сектора которой, смежные с Иберией, несомненно занимали картвельские племена: кахи (или часть кахов), эры (ჰერნი) позднейшие ингилои»[350].

---

[345] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, წ. გვ. 146.

[346] ვ ა ხ უ შ ტ ი, იქვე, გვ. 3—4.

[347] А. С. Х а х а н о в, Экспедиции на Кавказ, 1892, 1893 и 1895 гг. Материалы по археологии Кавказа, выпуск 7, Москва, 1898 г., გვ. 31.

[348] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი. 1, მეოთხე, გამოცემა, თბ., 1951, გვ. 51.

[349] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, გვ. 67.

[350] В. Д о н д у а, Некоторые замечания на коллективный труд—„История Армянского народа» — მიმომხილველი ტ. III, 1953, გვ. 313.

✓ აკად. გ. მელიქიშვილს ჰერები ერთ-ერთ ალბანურ ტომად მიაჩნია[351]. ასეთსავე აზრს ჰერთა ეთნიკური ვინაობის შესახებ უფრო მკაფიოდ ანვითარებს დ. მუსხელიშვილი. ეს უკანასკნელი ეხება რა დღევანდელი კახეთის ძველი მოსახლეობის ეთნიკური სახის ჩამოყალიბების პროცესს, აღნიშნავს, რომ უძველესი დროიდანვე ერთმანეთის გვერდი-გვერდ ცხოვრობდა ქართული და არაქართული მოსახლეობა. კერძოდ, მისი შეხედულებით, არაქართული, ალვანური მოდგმისანი იყვნენ ჰერები, სოჯები და სხვ., რომელთაც ქართული წყაროები ჩვეულებრივ ჰერებს უწოდებდნენ[352].

ჰერთა წარმოშობის საკითხს შეეხო აგრეთვე სტ. მენთეშაშვილი, რომელიც არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ჰერეთის ტერიტორიაზე მდებარე ძველ ანაგასა და ყოღოთოში. აქ აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ნაშთების შესწავლის საფუძველზე, სტ. მენთეშაშვილი მიუთითებდა, რომ ძველ ანაგისა და ყოღოთოს კულტურის მატარებელი ხალხის ვინაობის შესახებ გაკვრით გამოთქმული აზრი მათი ალბანელობის შესახებ (შარიფოვი, იესენი, გ. ნიორაძე) დაზუსტებას მოითხოვს; სახელდობრ, იგი შენიშნავდა, რომ „ეს ე. წ. ალბანეთის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხი, რომელიც აღნიშნული კულტურის მატარებელი იყო, ძველი კამბეჩოვანელები (ქართველები) არიან“[353].

მეტად საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული ჰერების ეთნოგენეზისის შესახებ რ. რამიშვილს. საკითხის დასმის წესით იგი შენიშნავს, რომ შესაძლებელია კახებსა და ჰერებს შორის (resp. იბერებსა და ჰერებს შორის) არც კი იყოს საძებნი მნიშვნელოვანი ეთნიკური სხვაობა. მართალია ჰერეთის იბერიზაციაზე — გაქართველებაზე, როგორც ამას რ. რამიშვილი აღნიშნავს, ჯერ კიდევ ნ. მარი მიუთითებდა (Аркаун... გვ. 6—8), მაგრამ მისი აზრით აქ უფრო პოლიტიკურ „იბერიზაციასთან“ უნდა გვქონდეს საქმე, ხოლო ეთნიკური „იბერიზაცია“, შედარებით უმტკივნეულო პროცესად უნდა წარმოვიდგინოთ. რ. რამიშვილს ჰერები იბერების მონათესავე შტოდ მიაჩნია და ჰერეთის „იბერიზაციაში“ იგი პირველ რიგში პოლიტიკური და აქედან გამომდინარე კულტურული გავლენის გავრცელებას ხედავს.

---

351 Г. Меликишвили, К истории дервней Грузии, Тбилиси, 1959, 122.

352 დ. მუსხელიშვილი, კახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები — გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის გაერთიანებული 1 სამეც. სესიის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1965 წ., გვ. 17.

353 სტ. მენთეშაშვილი, ძველი ანაგისა და ყოღოთოს კულტურის მატარებელი ხალხის ვინაობისათვის — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია. 1941 წ. 18 და 20 ოქტომბერი, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1941,წ., გვ. 18—19.

ხოლო რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ლეონტი მროველის კონცეპციით ჰერეთი თარგამოსიანთა შორის ქართველთაგან განცალკევებითაა მოხსენებული, ეს რ. რამიშვილის აზრით, შეიძლება ჯერ კიდევ არ ლაპარაკობდეს დიდ ეთნიკურ განსხვავებულობაზე ქართებსა და ჰერებს შორის, ზუსტად ისევე, როგორც მეგრელების (ეგრისელების) იმავე კონტექსტში ცალკე მოხსენებას არ შეუძლია ეჭვი დაბადოს მეგრელებისა და ქართების ახლო ეთნიკურ ნათესაობაში. ჰერებისა და იბერიების ეთნიკურად ახლო ნათესაობის შესახებ ასეთი მსჯელობის შემდეგ, რ. რამიშვილი გვთავაზობს ასეთ სამუშაო ჰიპოთეზას: ხომ არ შეიძლება ისტორიული ჰერების რამდენადმე სახეშეცვლილ ნაშთად წარმოვიდგინოთ თანამედროვე ინგილოები, რომლებიც, როგორც ცნობილია, დღესაც ცხოვრობენ ისტორიული ჰერეთის აღმოსავლეთ პროვინციაში[354].

ჩვენ ვიზიარებთ რ. რამიშვილის მოსაზრებას ჰერებისა და იბერების ეთნიკურად ახლო ნათესაობის შესახებ. მაინცდამაინც საისტორიო მეცნიერებას არ მოეპოვება იმის საბუთი, რომ ჰერეთის ტერიტორიაზე მობინადრე ჰერული ტომები უფრო შორს იდგნენ იბერებისგან, ვიდრე, ვთქვათ, მეგრელ-ჭანები, სვანები, კახები, მესხები და სხვ. პირიქით, როგორც უცხოურ, ასევე ქართულ წყაროებში, ისეთი ცნობებია დაცული, რომლებიც უფრო სარწმუნოდ ხდის ჰერებისა და იბერების ნათესაობას. ერთ-ერთ ასეთ საგულისხმო ცნობაზე ჯერ კიდევ რ. რამიშვილმა გაამახვილა ყურადღება. ეს არის ადგილობრივ და უცხოურ გადმოცემებში დაცული ცნობა ჰერებისა და იბერებისათვის საერთო ეთნარქის — იასონის არსებობის შესახებ[355]. აკად. ს. ჯანაშიას აზრით, აზოს (იაზონის) შესახებ გადმოცემები, რომლებიც სხვადასხვა ვარიანტებით დაცულია ჰეროდოტესთან, ტაციტთან, პლინიუსთან და სტრაბონთან, ადგილობრივი კავკასიური წარმოშობისა უნდა იყოს. მხოლოდ, კავკასიელთა ეთნარქის შესახები თხრობის ზოგიერთი ელემენტი შეიძლება მივაწეროთ ბერძნებს[356]. ხოლო, რაც შეეხება აზოს (იაზონის) შესახებ თხრობის იმ ელემენტებს, რომელნიც დადასტურებულია ანტიკური მწერლობის მიერ ალბანებისათვის, იგი, აკად. ს. ჯანაშიას აზრით, გატანილია ჰერების მიერ[357].

---

[354] Р. М. Рамишвили, Материалы по истории Картлийсского Царства во второй половине первого тысячилетия до н. э. (Камарахевский могильник). Автореферат. Тб., 1960, გვ. 27—28.

[355] რ. მ. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

[356] ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 75—76.

[357] ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 101.

ჰერებისა და იბერების ახლო ეთნიკური მონათესაობის დასასაბუთებლად მნიშვნელოვან მონაცემებს შეიცავს აგრეთვე მატერიალური კულტურის ძეგლები (არქეოლოგიური მასალა. მონუმენტური ძეგლები). ს. ჯანაშიას აზრით, უკვე ძვ. წ. ა. I ათასწლეულის დასაწყის საუკუნეებში აღმოსავლურ-ქართული გვიანი ბრინჯაოს კულტურული რაიონი მოიცავდა ალაზნის გაღმა მხარესაც[358]. აღნიშნული ფაქტი, ჩვენი აზრით იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ უძველესი დროიდანვე ჰერეთის ტერიტორიაზე მობინადრე ჰერული ტომები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ქართული კულტურის შექმნაში და ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან. ჰერების ეთნიკური კუთვნილების საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს ის არქეოლოგიური მასალა, რომელიც უკანასკნელ ხანებში მოპოვებულ იქმნა იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე[359]. ამ მასალის შესწავლა ცხადყოფს, რომ ძვ. წ. ა. II—I ათასწლეულის მიჯნაზე და მის მომდევნო ხანებში ჰერეთის ტერიტორიაზე გავრცელებული მატერიალური კულტურა თავისი წარმოშობით მჭიდროდ არის დაკავშირებული კახეთის, კუხეთის და შიდა ქართლის მატერიალურ კულტურასთან და აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, იგი უფრო მეტ საერთოს პოულობს მათთან, ვიდრე იმ არქეოლოგიურ კულტურებთან, რომლებიც გავრცელებული იყო ჰერეთის აღმოსავლეთით და სამხრეთით[360].

ზემოაღნიშნულ დებულებას — ჰერებისა და იბერების ახლო ეთნიკური მონათესაობის შესახებ — მხარს უჭერს აგრეთვე ძველი ჰერეთის ტერიტორიაზე არსებული ხუროთმოძღვრული ძეგლების ანალიზი. გ. ჩუბინაშვილის შეხედულებით, აღნიშნულ ძეგლთა არქიტექტურული ფორმები, მხატვრული ხერხები და თავისებურებანი ანალოგიებს პოულობენ კახეთის ხუროთმოძვრების ძეგლებთან, ე. ი. მათ გააჩნიათ ისეთივე საერთო ნიშნები, როგორითაც ხასიათდება საერთოდ მთელი კახეთის არქიტექტურა. [361]. გ. ჩუბინაშვილი, აღნიშნავს რა იმ გარემოებას,

---

358 ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, თბ., 1946, გვ. 27.

359 კ. ფიცხელაური, იორ-ალაზნის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთაუძველესი კულტურა, თბ., 1965.

360 К. П. Пицхелаури, Локализация археологических культур на территории Восточной Грузии (конец II и начало I тысячелетия до н. э.), ხელნაწერი, 1969, გვ. 83—84.

361 Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959; მისივე, Пещерные монастыри Давид-Гареджи, Тбилиси, 1948.

რომ ისტორიული კახეთის ფარგლები მოიცავდა აგრეთვე ჰერეთის ტერიტორიასაც, დაასკვნის: «На всей территории Кахетии в намеченных границах (ე. ი. ჰერეთიანად—თ. ბ.)... имеется большое количество архитектурных памятников с древнейшего времени, т. е. с IV—VI веков, которые поражают исследователя своей художественно-строительной культурой, входяшей в общую сокровищницу художественного наследия Грузии». იქვე, სქოლიოში გ. ჩუბინაშვილი უმატებს: «Необходимо здесь же подчеркнуть, что не только памятники за-алазанской Кахетии, но так же и районов тари, Кахи, Нухи характеризуются общими чертами архитектуры Кахети древнейшего или нового времени»[362].

ჰერების და იბერების ახლო ეთნიკურ მონათესაობას სხვა ისტორიული რეალიებიც ამაგრებენ. ამ მხრივ, ჩვენ გვსურს გავიხსენოთ ადრე ფეოდალური ჰერეთის სამთავროს ისტორიიდან ერთი მეტად ანგარიშგასაწევი ფაქტი. როგორც ცნობილია VII საუკუნის დამდეგიდან ვიდრე X საუკუნემდე ჰერეთში წარმოებდა შეუპოვარი ბრძოლა ქალკედონიტებსა და ანტიქალკედონიტებს (სომხური მონოფიზიტობა) შორის (ამის შესახებ დაწვრილებით საუბარი გვექნება ქვემოთ). ეს იყო ამავე დროს ბრძოლა ქართულსა და სომხურ გავლენას შორის ქალკედონიზმის გამარჯვება ამ მხარეში მოასწავებდა ქართული ენის, ქართული კულტურის და ქართველთა პოლიტიკური ბატონობის კიდევ უფრო განმტკიცებას, ხოლო ანტიქალკედონიზმის გაბატონებას კი მოჰყვებოდა ჰერეთის მოსახლეობის გასომხება. X საუკუნის შუა წლებისათვის ამ ბრძოლიდან გამარჯვებული ქალკედონიტობა გამოვიდა, რაც ჰერეთში ქართული სახელმწიფოებრიობის გამარჯვებას მოასწავებდა. სომხურმა ელემენტმა ჰერეთში მტკიცედ ვერ გაიდგა ფესვი, მთელი ამ ხნის (VII—X სს.) განმავლობაში ჰერეთის ქართულმა მოსახლეობამ შეინარჩუნა თავისი სახე. X საუკუნეში ჰერეთის გაქალკედონიტება იყო ჰერეთის ისტორიული განვითარების ბუნებრივი შედეგი. ჰერეთის ისტორიის ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ჰერეთის ხელისუფალთა პირადი რელიგიური განწყობილების თუ მიდრეკილების ამბავი. ამ მოვლენის საფუძვლები თვით ჰერეთის მოსახლეობის წიაღში უნდა ვეძებოთ. ამ ფაქტში აშკარად მჟღავნდება ადრეფეოდალური ჰერეთის სამთავროს ეროვნული სიმტკიცე, ჰერებისა და იბერების ახლო ეთნიკური მონათესაობა. ჰერეთის ისტორიის ამ უაღრესად სახიფათო ჟამს მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილება

---

[362] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 2—3.

გადამწყვეტი მნიშვნელობისა აღმოჩნდა. ეთნიკურმა სძლია სარწმუნოებრივს. სწორედ ეთნიკურმა ვინაობამ შეასრულა გადამწყვეტი როლი სარწმუნოებრივი მოძენტის არჩევისას.

ზემოთ მოტანილი მონაცემები ჰერებისა და იბერების ახლო ეთნიკური მონათესაობის შესახებ[363], ჩვენი აზრით, იმას გვიკარნახებენ, რომ ვიცნოთ: ჰერებში ჩვენ საქმე გვაქვს არამარტო იბერიის პოლიტიკურ-კულტურული გავლენის გავრცელებასთან, არამედ თვით ქართულ სუბსტრატთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჰერების ეთნოკულტურული სახის ფორმირებაში ქართული ელემენტი მონაწილეობდა არა როგორც გარეგანი, უცხო ფაქტორი, არამედ როგორც შინაგანი, ორგანული ფაქტორი. ქართული ელემენტი ჰერეთისათვის ნიადაგქვეშა ფენა იყო. ქართულმა სუბსტრატმა განსაზღვრა მნიშვნელოვანწილად ჰერების ეთნიკური ტიპი. იმ კულტურულ-ისტორიული კავშირებიდან, რომლებიც ძველ ჰერებს დამყარებული ჰქონდათ მეზობელ ხალხებთან (იბერები, ალბანელები, სომხები და სხვ.), ყველაზე უფრო ღრმა და მჭიდრო იყო მათი ურთიერთობა ქართულ სამყაროსთან. ჰერებისა და იბერების უმჭიდროესი კულტურულ-ისტორიული თანამშრომლობის მოწმობანია ჰერეთში არსებული ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, ქართული სოციალური წყობა, ქართული ჩვევები, ეთიკა, სარწმუნოება, ენა. ჰერების და იბერების ამ კულტურულ-ისტორიული თანამშრომლობის სრულყოფილად წარმოჩენა ჰერეთის ისტორიის ერთ-ერთი მთავარი საკითხია.

ᲩᲰერეთის ისტორიის შესწავლა ამ მხარის ტერიტორიის დაუდგენლად შეუძლებელია, ამიტომ საკუთრებით მიზანშეწონილი იქნება განვიხილოთ რამდენიმე საკითხი ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიიდან. უპირველეს ყოვლისა კი გვინდა შევჩერდეთ მის ისტორიულ საზღვრებზე.

ჰერეთის ისტორიული საზღვრების შესასწავლად VII საუკუნის ანანია შირაკელის სომხურ გეოგრაფიაში მეტად მცირე ცნობები მოიპოვება. ასეთივე მდგომარეობაა სხვა სომხურ საისტორიო წყაროებშიც: მ. კალანკატუელი, ლევონდი და სხვა. აღნიშნულ საკითხს ძირითადად ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებებიდან ვეცნობით.

ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლი არის ვრცელი ტერიტორია, „ხუნანიდან ვიდრე ზღუამდე სპერისა“[364]. იმავე ლეონტი მრო-

---

363 აღნიშნული მონაცემები, რა თქმა უნდა, სრული არაა, მათი გამრავლება კიდევ შეიძლება ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, ეპიგრაფიკული და სხვა მასალებით.

364 ქ ც ბ ა, 1, გვ. 8.

ველის გადმოცემით, ქართლის დასავლეთ საზღვარს შეადგენდა „ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი“ (თანამედროვე დებედა)[365].

ლეონტი მროველისავე მოთხრობით, როდესაც ფარნაოზ მეფემ ქართლის სამეფო რვა საერისთაოდ (სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქად) დაჰყო, აღმოსავლეთში კახეთის საერისთაო დააწესა: „და გაგზავნა მეორე კახეთისა ერისთავად, და მისცა არგვითაგან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი“[366]. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ლეონტი მროველის მიხედვით თავდაპირველად ჰერეთი ქართლის ფარგლებს გარეთაა. ამიტომ საჭიროა დადგინდეს ისტორიული ქართლის (იბერიის) და ჰერეთის საზღვარი, უკანასკნელის ქართლის სამეფოს ფარგლებში შესვლამდე. იბერიის აღმოსავლეთი და შესაბამისად ჰერეთის დასავლეთი საზღვრის საკითხი არა ერთხელ ყოფილა განხილული საქართველოს ისტორიის მკვლევართა მიერ.

აკად. დ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის I წიგნში, იბერიის აღმოსავლეთი საზღვრის შესახებ, აღნიშნავდა „აღმოსავლეთით იბერიას ალბანია საზღვრავდა. მომიჯნავე ქვეყნად, როგორც სტრაბონი წერს, კამბიზენე იყო. იგი ქართულს კამბეჩოანს უდრის, ხოლო სომხურის „ქამბეჯანს“. იბერიიდან ალბანიაში მიმავალი გზა უწყლო და უსწორმასწორო კამბეჩოანზე ძევსო (დამოწმებულია სტრაბონი — თ. პ.). შესაძლებელია ეს ადგილი ეხლანდელი შირაქის მინდვრები იყოს... იბერიის აღმოსავლეთის საზღვარი პლინიუსს უფრო ნიშანდობლივ აქვს აღნიშნული: მდინარე მტკვრიდან მოყოლებული მთელ მინდვრებზე ალბანელები მოსახლეობენ, შემდეგ კი იბერები: ალბანელებს და იბერებს მდინარე ალაზანი ჰყოფს, რომელიც კავკასიის მთებიდან ჩამოდის და მდინარე მტკვარს ერთვისო, მოგვითხრობს პლინიუსი. მაშასადამე, იბერიისა და ალბანიის აღმოსავლეთ საზღვრად ალაზანი და კამბეჩოანი ყოფილა“[367].

აკად. ს. ჯანაშია ეხებოდა რა იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკურ გეოგრაფიას უძველეს პერიოდში, აღმოსავლეთი საზღვრის შესახებ წერდა: „აღმოსავლეთის საზღვრის შესახებ ცნობები მცირეა და ნაკლებ ნიშანდობლივი, აქ საკმაოდ მიგვაჩნია მივიღოთ აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, პლინიუსის ჩვენებაზე დამყარებული, რომ ეს საზღვარი მდ. ალაზანზე გადიოდა. ჩვენი მხრით დავუმატებთ მხოლოდ: არაგვი, როგორც აღმოსავლეთის საზღვარი სავსებით გამორიცხულია უკვე სტრაბონის ცნობითაც, რომ კავკასიის „ზოგი ტო-

---

365 ქ ც ბ ა, 1, გვ. 4.

366 ქ ც ბ ა, 1, გვ. 24.

367 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, 1, გვ. 422—423.

ტი სამხრეთისაკენ ვრცელდება, გარემოიცავს შუა იბერიას და უერთდება არმენიისა და მოსხურ მთებს“ (წ. XI, თ. 11—15). კავკასიონის ამ სამხრეთის ტოტებიდან ერთი, უეჭველია, ციგგომბორის ქედია. სტრაბონის ცნობა გვავალებს მივიღოთ, რომ იბერიას ეკუთვნოდა არა მარტო ტერიტორია ციგ-გომბორის ქედის დასავლეთით, არამედ მის აღმოსავლეთითაც“[368].

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ძველი ქართლის პოლიტიკური გეოგრაფიის განხილვის ცდა მოცემული აქვს აგრეთვე ს. კაკაბაძეს. ჩვენთვის საინტერესო აღმოსავლეთ საზღვრის შესახებ, ს. კაკაბაძე შემდეგს წერს: «აღმოსავლეთით იბერია საზღვრავდა ალბანიას. სტრაბონი არ უჩვენებს გარკვევით იბერიისა და ალბანიის განმსაზღვრელ ხაზს, მაგრამ პლინიუსი პირდაპირ ამბობს, რომ იბერებს ალბანებიდან ალაზანი ყოფსო (Natur. Hist. VI, 26). სტრაბონის გეოგრაფიიდან ჩანს კიდევ, რომ იბერია აღმოსავლეთით, უკეთ აღ. სამხრეთით, კამბეჩოვანამდის უწევდა». ამის შემდეგ ს. კაკაბაძე სტრაბონის ცნობაზე დაყრდნობით, არკვევს კამბეჩოვანის მდებარეობას. იგი აღნიშნავდა: «თვით კამბეჩოვანის მდებარეობის გამოსარკვევად მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ სტრაბონი... მდ. ალაზანს ალბანიიდან მომდინარედ გულისხმობს. მეორე ადგილს ის გარკვევით ამბობს, რომ «ალბანიიდან სომხეთისაკენ გასასვლელი გზა უწყლო და მკაცრ კამბისენით მიდისო ალაზნისაკენ». გზა ალბანიიდან სომხეთისაკენ, მაშასადამე, უდაბური ადგილით მიდიოდა და მდ. ალაზანზე გადიოდა. ცხადია ასეთ გზას წარმოადგენს ეხლანდელი შირაქის ველი და ალაზნად აქ შემდეგდროინდელი იორი უნდა იგულისხმებოდეს. მართლაც ქართ. ცნ-ბის მესამე ნაწარმოების — «მეფეთა ცხოვრების» — მიხედვით კამბეჩოვანი უწევდა მდ. იორამდის. «ხოლო ესე ყოველნი ჩრდილონი განსრულ იყუნეს მტკუარსა და მისრულ იყუნეს კამბეჩოანს და დაებანაკათ იორსა ზედა» (ქცბა, I, 45). აქ ნაგულისხმევი უკან მსვლელობა ქართველების და მათი მოკავშირეების ჯარისა სწარმოებდა ნახჭევანიდან ჩრდილოეთით მტკვრამდის და მტკვარზე გასვლის შემდეგ ჩრდილო-დასავლეთით იორისაკენ. საყურადღებოა, რომ მდ. იორს ალაზნის სახელით იცნობს «მამათა და ნათესავთა ცხოვრების» ავტორიც, რომელიც იორს მცირე ალაზანს უწოდებს, განსარჩევველად მეორე ნამდვილი ალაზნისაგან... ყველა ზემოთ მოხსენებულის მიხედვით გამოდის, რომ უძველესი სახელი იორისა უნდა ყოფილიყო ალაზანი. სტრაბონი ამ სახელით იცნობს ამ მდინარეს და კამბეჩოვანიც უწევდა მდ. იორამდე და მდებარეობდა მის აღმოსავლეთით... ამისდა მიხედვით — დაასკვნის საბოლოოდ ს. კაკაბაძე — ჩვენ შეგვიძლია

---

368 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები ტ. II, თბილისი, 1952, გვ. 252.

ვიგულისხმოთ, რომ იბერიის აღმოსავლეთ საზღვარს I საუკუნეში იორი შეადგენდა»[369]. ანალოგიური მცდარი შეხედულება იბერიის აღმოსავლეთი საზღვრის შესახებ განვითარებული აქვს ალბანეთის ისტორიის მკვლევარს ზ. იამპოლსკის. ეს უკანასკნელი მსჯელობს რა კავკასიის ალბანეთის ისტორიულ გეოგრაფიაზე, სხვათა შორის აღნიშნავს: «При определении рек Албании, упоминаемых Страбоном, Плинием, Плутархом, Птоломеем и др., необходимо учитывать, что современная Иора и Современная Аалазань, по данным грузинских источников, одинаково именовались «Алазань»[370].

სხვა შრომაში, ზ. იამპოლსკი, როდესაც ეხება სტრაბონისეულ მდინარე ალაზონიუსის ლოკალიზაციის საკითხს წერს: «В научной литературе (Е. А. Пахомов, «История Грузии» и др.) эту реку принято считать современной Алазанью. Фактически у Страбона речь идет о реке Иоре. Это позволяет внести исправление в широко распространенное представление (Томашек, Юшков и др.) о современной Алазани, как о пограничной реке между Албанией и Иберией в период, когда албанцы, иберы и армяне вели совместную борьбу против рабовладельческих легионов Рима, возглавляемых Лукуллом (69 г. до н. э:) и Помпеем (66—65 г.г. до н. э.)»[371].

ს. კაკაბაძის და ზ. იამპოლსკის ამ მცდარ შეხედულებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკურ მწერლობაში (დიონ კასიუსი, XXXVII, 3, 5; პომპონიუს მელა, III, 5; პლინიუსი, NH, VI, 39), როგორც ცნობილია, სრულიად გარკვევით, მდ. იორის შესატყვისად «კამბიზი» იხმარებოდა; ასევე ქართულ წყაროებში იორის აღმნიშვნელად ალაზანი არსად არ გვხვდება. ერთგან ლ. მროველი თავის თხზულებაში იორის ნაცვლად ხმარობს «მცირე ალაზანს», მაგრამ იქვე არშიაზე მემატიანის მიერ მითითებულია, რომ «მცირე ალაზანი» «იორია»[372] ე. ი. აქაც, ამ შემთხვევაშიც, მემატიანე ერთმანეთისაგან აშკარად განარჩევს იორსა და ალაზნის სახელწოდებებს. თავისი თხზულების სხვა ადგილას ლეონტი მროველი[373] და აგრეთვე სხვა ქართველი ისტორიკოსები: ჯუანშერი[374],

---

[369] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, წიგნი 1, 1924 წ., გვ. 29—31.

[370] Вопросы истории Атропатены и Кавказской Албании позднескифской эпохи — Москва, 1949 г., გვ. 3.

[371] З. Я м п о л ь с к и й, Атропатена и Кавказская Албания — გვ. 6.

[372] ქ ც ბ ა, 1, გვ. 5.

[373] ქ ც ბ ა, 1, გვ. 45.

[374] ქ ც ბ ა, 1, გვ. 201, 219.

დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი[375], ვახუშტი ბარგატიონი[376], სავსებით განასხვავებენ ერთმანეთისაგან იორსა და ალაზანს, ისინი არსად არ ხმარობენ იორსა და ალაზანს, როგორც იდენტურ გეოგრაფიულ ცნებებს. ზემოთქმულის გათვალისწინების შემდეგ, ს. კაკაბაძის და ზ. იამპოლსკის მოსაზრებანი იბერიისა და ალბანეთის სასაზღვრო ხაზის შესახებ უსაფუძვლო ხდება.

აკადემიკოს კ. კეკელიძე იბერიის აღმოსავლეთ საზღვრად მიიჩნევს მდ. ალაზანს[377].

პ. ინგოროყვა ანტიკური ხანის წყაროებზე დაყრდნობით, მიუთითებს, რომ საზღვარი იბერიისა და ალვანიისა გადიოდა „კამბიზენეზე" — ე. ი. კამბეჩოანზე, ეხლანდელ ქიზიყზე[378].

ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ მკვლევართა მოსაზრებანი ვერ გვიქმნიან ნათელ წარმოდგენას იბერია-ჰერეთის სასაზღვრო ხაზზე. სახელდობრ, ისინი აღნიშნულ სასაზღვრო ხაზს ადგენენ ძალზე ზოგადად და არ გვაძლევენ მის ზუსტსა და დეტალურ განხილვას.

იმისათვის, რომ უფრო ზუსტი და კონკრეტული იყოს ჩვენი შეხედულება ქართლისა და ჰერეთის თავდაპირველ საზღვარზე (ე. ი. ჰერეთის ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შესვლამდე), უმჯობესია მოვიტანოთ ყველა ის ცნობა, რომელიც მოიპოვება ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებებში ჰერეთის ადგილმდებარეობის შესახებ.

ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლოსის წილის აღმოსავლეთ საზღვარს შეადგენდა „ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი"[379]. თვითონ ჰეროსის — ე. ი. ჰერეთის ეპონიმის სამფლობელოს კი შეადგენდა: „ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქჳან გულგული. და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა, უწოდა სახელი თვისი ჰერეთი. და ამის გამო ჰქვიან ჰერეთსა ჰერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქვიან ხორანთა"[380]. ჰერეთის დასავლეთი საზღვარი უფრო ნათლად ირკვევა იქ, სადაც ლეონტი მროველს მოცემული აქვს კუხოსისა და კახოსის სამფლობელოთა აღწერილობა: „კუხოსს

---

375 ქ ც ბ ა, 1, გვ. 322.

376 ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა", გვ. 88—89.

377 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, მიმომხილველი, 1926, 1 თბ., გვ. 16.

378 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ლ. მ რ ო ვ ე ლ ი, ქართველი ისტორიკოსი «ჰამბავთაშწერალი» მე-8 საუკუნისა, ენიმკ-ის მოამბე, X, 1941, გვ. 123.

379 ქ ც ბ ა, 1, გვ. 4.

380 ქ ც ბ ა, 1, გვ. 5.

მისცა ბოსტან ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, (...შესარ)თავადმდე, მთასა კახეთისასა და მტკვარს შუა; ხოლო კახოს მისცა კავკასიისა და კახეთის მთასა შორის, არაგვითგან ვიდრე ტყეტბადმდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისა"[381].

ვახუშტი ბაგრატიონი იძლევა ზოგიერთ დამატებით ჩვენებებს ჰერეთის ადგილმდებარეობის შესახებ. ვახუშტი მოგვითხრობს: „ხოლო რაჟამს მოვიდა ჰეროს წილ'ა თვისსა ქვეყანასა, აღაშენა ქალაქი ორთა ალაზანთა შესაკრებელთა შორის, და უწოდა სახელითა თვისითა ჰერეთი, და დაიპყრა ქვეყანა წილ-ხდომილი თვისი: სამხრით ხორანთიდგან მტკვრამდე და კავკასამდე, საზღვარი მოვაკანისა; ჩრდილოთ ხუნანიდან გულგულამდე და კავკასამდე; აღმოსავლით კავკასი, დასავლით მტკვარი. ამათ შორისი ქვეყანა არს ჰერეთი"[382]. ჩვენთვის საინტერესო ჰერეთის დასავლეთი საზღვარი, ლ. მროველთან შედარებით, უფრო ზუსტად აქვს ნაჩვენები ვახუშტს იქ, სადაც მას კახეთისა და კუხეთის საზღვრების შესახებ აქვს ლაპარაკი: „და მისცა კახოს საზღვარი: აღმოსავლით მთა კავკასი, სამხრეთით საზღვარი ჰერეთისა, თურდო-შტორის-ხევი, ვიდრე კავკა'სამდე; დასავლით მთა კახეთისა, რომელსა განჰკვეთს, ერწო-თიანეთს, იორის მდინარე, და მერმე მზღვრის მდინარე არაგვი, და ჩრდილოთ მთა კავკასი. და ამათ შორისი ქვეყანა არს კახეთი. ხოლო კუხოს მისცა საზღვარი: აღმოსავლით მთა კახეთისა; სამხრით საზღვარი ჰერეთისა, რომელ არს ხუნანის გამოსწვრივ გულგულამდე; დასავლით მტკვარი და არაგვი; ჩრდილოთ იგივე მთა კახეთისა. და ამათ შორის ქვეყანას ეწოდა კუხეთი"[383]. ვახუშტის გეოგრაფიაში კახეთისა და ჰერეთის საზღვრის შესახებ მოიპოვება კიდევ რამოდენიმე დამატებითი ცნობა. ვახუშტი გადმოგვცემს: „ნინოწმიდას ზეით ერთვის იორს სამების ხევი..., ესევე ხევი არს საზღვარი ჰერეთისა და კახეთისა"[384]. „ლოპოტის-წყლის შესართავს ზეით ალაზანს მოერთვის თურდოს-ხევი, გამომდინარე შუა-მთიდამ. ამ ხევზედ არს გულგულა, რომელსა ეწოდა პირველ ტყეტბა. ეს ხევი არს საზღვარი ჰერეთისა და კახეთისა"[385]. „კვალად თურდოს-ხევის შესართავს ზეით ალაზანს მოერთვის შტორის-ხევი, გამოსდის თუშეთსა და ამას შორის კავკასსა... ამ შტორის-ხევისა და თურდოს-ხევის ჩრდილოთი

---

381 ქ ც ბ ა, 1, გვ. 9.

382 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, მეორე გამოცემა, ზ. ჭიჭინაძისაგან, თბილისი, 1913 წელი, გვ. 146.

383 ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა", გვ. 86.

384 ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა", გვ. 90.

385 ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა", გვ. 100.

ქვეყანა არს კახეთი, ამათ სამხრითი — ჰერეთი"[386]. ამრიგად ვახუშტის მიხედვით, გულგულა ანუ ტყეტბა მდებარეობს სწორედ იმ ადგილის მახლობლად, სადაც ალაზანს თურდოს ხევი შეერთვის სამხრეთიდან, ხოლო ჩრდილოეთიდან მდინარე შტორი. ბოსტან-ქალაქისა და გარეჯის მთის აღწერისას, ვახუშტი აღნიშნავს: „არამედ ესე ადგილნი ნაგებს ზეით (ე. ი. რუსთავს ზეით — თ. პ.) არს ძველად კუხეთისა, რომელსა მისცა დედამან კუხოსს. ხოლო ნაგებს ქვეითა ჰერეთისა არს, და აწ უწოდებენ ყარაიას, და გარეჯის მთას მასვე ძველს სახელს"[387]. ვახუშტის ამ უკანასკნელი ცნობის მიხედვით, ყარაია და გარეჯის მთა ჰერეთში შედის. ვახუშტს ყარაიის შესახებ დაცული აქვს მეორე ცნობაც, რომელიც თითქოს განსხვავდება პირველისაგან. კუხეთის საზღვრების აღნიშვნისას, როდესაც ჩამოსთვლის მასში შემავალ პუნქტებსა და მხარეებს, იგი ამბობს: „ეწოდა კუხეთი, კუხოსის სახელის გამო, არამედ აწ უწოდებენ თიანეთს, საგურამოს ანუ თეძმის-ხევს... კვალად გრდანი, მარტყოფი, ლილო, დიდუბე, სამგორი, ჩადივარი, ომანისხევი, ყარაღაჯი და ნაგები ღა ყარაია"[388]. აღნიშნული ცნობის მიხედვით კი, ყარაია კუხეთში შედის. ერთი შეხედვით ეს ორი განსხვავებული ცნობა, როგორც ლ. ჭილაშვილი აღნიშნავს, ეთანხმებიან ერთმანეთს. „როდესაც ვახუშტი ამბობს „ნაგებს ქვეეით ჰერეთისა არს"-ო, არ იგულისხმება, რომ საზღვარი კუხეთისა უშუალოდ ნაგებს (რუსთავს) ეკვრის. უფრო ადრე ვახუშტი ნაგების საზღვრებს ჩამოთვლიდა და აღნიშნავდა, რომ „საზღვარი ამისი (რუსთავისა — ლ. ჭ.) არს: დასავლით მტკვარი, ჩრდილოთ ხევი ლოჭინისა, აღმოსავლით მთა გარეჯისა, ვიდრე მწარე წყლამდე, სამხრით მწარე წყალი (ვახუშტი, „აღწერა", გვ. 50). ამ ცნობაზე დაყრდნობით იგულისხმება, რომ ვახუშტი, სადაც ამბობს, ნაგებს ქვეეით ჰერეთისაო, ნაგების ქვედა (სამხრეთის) საზღვრად ვარაუდობს მწარე წყალს. მის ქვეეით კი ჰერეთია. ჰერეთისავეა ყარაიას ის ნაწილიც, რომელიც მწარე წყლის სამხრეთით მდებარეობს"[389]. მწარე წყალი დღევანდელ ტოპონიმიკაში აღარ გვხვდება, ამიტომ მისი ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა ძნელია. დაახლოებით კი, როგორც ეს ვახუშტის გეოგრაფიის ტექსტიდან ჩანს, იგი რუსთავის ცოტა ქვეეით, მარცხნიდან შეერთვოდა მტკვარს.

თუ გავითვალისწინებთ ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბაგრატიონის ყველა ზემოთ მოტანილ მონაცემებს, მაშინ ჰერეთის დასავლეთი საზღვრის კოორდინაცია შემდეგნაირად წარმოგვიდგება: იგი

---

[386] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა", გვ. 101.
[387] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა", გვ. 51.
[388] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა", გვ. 86.
[389] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958, გვ. 12—13.

იწყებოდა ხუნანთან (ვახუშტის მიხედვით ხუნანი, როგორც ცნობილია, მდებარეობს ქცია-მტკვრის შესართავში. უკანასკნელ ხანებში ხუნანის ლოკალიზაციის შესახებ გამოითქვა აზრი, რომ იგი მდებარეობდა მდ. აღსტაფის მტკვართან შეერთების ადგილას, მდ. მტკვარის მარჯვენა ნაპირას სადგურ ფოილოდან სამხრეთით დაახ. 6 კმ-ზე, მთა კალა-ბოზის უკიდურეს დას. ნაწილში)[390], ქ. ხუნანიდან საზღვარი გადიოდა მტკვრის გასწვრივ იმ ადგილამდე, სადაც მას მარცხნიდან მდ. მწარე-წყალი შეერთვის. ამის შემდეგ საზღვარი მიჰყვებოდა მწარე-წყალს, რომელიც გადასერავდა ყარაიის ველს და მიაღწევდა მდ. ითრამდე, იქ სადაც მას სამების ანუ ხაშმის ხევი ერთვის. აქედან სამების ხევით გომბორის გადასასვლელამდე, შემდეგ მიჰყვებოდა თურდოს ხეობას ალაზნამდე (აქვე მდებარეობდა გულგულა ანუ ტყეტბა— ლეონტი მროველის მიერ მითითებული ჰერეთის სასაზღვრო პუნქტი) და აქედან ზევით მდ. შტორის დინების აყოლებით, ვიდრე კავკასიონის ქედამდე[391].

ჰერეთის ჩრდილოეთ საზღვრად კავკასიონის ქედი ითვლება. სამხრეთი საზღვარი ლეონტი მროველის გარკვეული მითითების თანახმად (რომ ჰერეთი არის „ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ“) მტკვარზე იდო. კერძოდ, სასაზღვრო ხაზი იწყებოდა „მცირესა ალაზნისა შესართავითგან“ ე. ი. ხორანთიდან და მიჰყვებოდა მტკვარს ვიდრე ხუნანამდე. რაც შეეხება აღმოსავლეთ საზღვარს, იგი მოითხოვს გარკვეულ დაზუსტებას. ლეონტი მროველს და ვახუშტი ბაგრატიონს ეს საზღვარი ნაჩვენები აქვთ იორ-ალაზნის შესართავთან, ხორანთასთან. ე. ი. მათი მიხედვით, ამ წერტილზე გადიოდა სასაზღვრო ხაზი, რომელიც ჰერეთს გამოჰყოფდა მოვაკანისაგან. ჰერეთის აღმოსავლეთი საზღვრის დადგენაში დიდად გვშველის ვახუშტის „საქართველოს ცხოვრებაში“ დაცული ცნობა, რომელიც შეეხება კვირიკე დიდის მიერ (XI საუკუნის დასაწყისი) კახეთ-ჰერეთს სამეფოში ჩატარებულ ადმინისტრაციულ რეფორმებს: კვირიკემ „ჰერეთს დასვა“ ერისთავი „მაჭისა და მისცა მაჭის წყლის ქვეით და ალაზნის აღმოსავლეთი შაკიხითურთ და ხუნზახითურთ“[392]. ე. ი. ვახუშტის ამ ცნობის მიხედვით, ჰერეთის ფარგლებში შედის ალაზნის აღმოსავლეთით მდებარე შაკიხი ანუ შემდეგი დროის შაქი, resp. გიში. აქედან გამომდინარე საფიქრებელია, რომ ჰერეთის აღმოსავლეთი საზღვარი მდებარეობდა ნუხის რაიონში. ჰერეთის ამ აღმოსავლეთი საზღვრის მდებარეობა უფრო ნათელი გახ-

---

390 ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 195.

391 შდრ. ნ. ლ ო მ ო უ რ ი, იბერიის (ქართლის) სამეფოს საზღვრების საკითხისათვის ანტიკურ პერიოდში, გვ. 8—9; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, უჯარმა, გვ. 15.

392 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 151—152.

დება მას. შემდეგ, როდესაც გავეცნობით ვახუშტის გეოგრაფიაში მოცემულ ხორანთისა და ვიშის აღწერას. ვახუშტი წერს: „ხოლო აწ კვალად ვიწყებთ ალაზნის შესართავიდამ. სად არს ხორანთა, მას ქვეით დიდს ალაზანს მოერთვის გიშის წყალი, რომელი გამოსდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს შორის, და მოდის გიშამდე ჩდილოდამ სამხრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლით. არამედ გიში არს მთის ძირს, რომელი იყო საერისთაო წუქეთისა, და ეკლესია დიდი გუნბათიანი და იჯდაცა ეპისკოპოზი, მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკიხისა"[393]. ლეონტი მროველის და ვახუშტი ბაგრატიონის ზემოთ მოტანილ ცნობების გათვალისწინებით, ჰერეთის აღმოსავლეთი საზღვრის კოორდინაცია ასეთი იქნება: იგი იწყებოდა იორისა და ალაზნის შესართავთან, ხორანთასთან, შემდეგ საზღვარი მიდიოდა ალაზნის პირს ჩრდილოეთის მიმართულებით იმ ადგილამდის, საცა ალაზანს გიშის წყალი ერთვის. აქედან სასაზღვრო ხაზი მდ. გიშის წყალს გასწვრივ მისდევდა ჯერ აღმოსავლეთის, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთის მიმართულებით, მის სათავემდე, რომელიც კავკასიონის მთავარ ქედში იდო.

ასეთი სახით წარმოგვიდგება ისტორიული ჰერეთის საზღვრები. ამრიგად, ქართული წყაროების ჰერეთი მოიცავდა: გარე კახეთის ნაწილს, ქიზიყს, დიდ ნაწილს შიდა კახეთისას, გაღმა-მხარს, საინგილოს და ჩრდილო-დასავლეთ აზერბაიჯანს (ყოფილი შაქის ოლქი ანუ ნუხის მაზრა), ჰერეთშივე, კერძოდ მის მთიანეთში, არის სავარაუდებელი „ხუნზახი" და „დიდოეთი"[394].

ზემოთ ნაჩვენები ჰერეთის ისტორიული საზღვრები, რა თქმა უნდა ერთდროული წარმონაქმნი არ არის. ჰერეთის გეოგრაფიული ოდენობის საზღვრები დროთა განმავლობაში ცვალებადი იყო, ამიტომ სხვადასხვა დროს იგი სხვადასხვანაირად უნდა იყოს გაგებული. საერთოდ, წერილობით წყაროებში ხშირად კახეთის, კუხეთის და ჰერეთის საზღვრები ერთმანეთშია არეული, რის გამოც ზოგიერთი პუნქტი ნაჩვენებია ხან ერთში, ხან მეორეში. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა „საშსავე ტერმინს „კახეთი", „კოხეთი" (ანუ „კუხეთი") და „ჰერეთი" სხვადასხვა დროს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონ-

---

[393] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა", გვ. 95—96.

[394] ვ ა ხ უ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 151; ჰერეთის ტერიტორიალური მოცულობის საკითხთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ არ იყო სწორი დიმიტრი ჯანაშვილის (1843—1905) შეხედულება, რომლის მიხედვითაც ისტორიული ჰერეთის ფარგლები ძირითადად საინგილოს მიწაწყლით შემოისაზღვრებოდა. დიმიტრი ჯანაშვილის აზრით, ჰერეთს შეადგენენ: ზაქათალისა (საინგილო), ნუხისა და აღტაშ-არეშის მაზრები. ამის შესახებ იხილეთ მისი ნარკვევი: „გეოგრაფიული და ისტორიული აღწერა ჰერეთისა", ჟურნალი, „მოგზაური", 1901 წ., №№ 4, 5, 6—7, 8—9, 10, 11, 12; 1902, №№ 2, 3, 5, 7—8; 1903, №№ 1—2, 3—4.

და იმისდა მიხედვით, თუ საითგან იყო კახეთის იმდროინდელი ქორეპისკოპოზის ანუ მთავრის გვარეულობა, ზოგჯერ ჰერეთი თითქმის მთელ კახეთს ეწოდებოდა, ხშირად კახეთი ჰერეთსაც შეიცავდა"[395].

ჰერეთის ლოკალიზაციის საკითხთან დაკავშირებით უნდა შეეხოთ აკად. ი. ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომელიც მას დამყარებული აქვს იაკობ ხუცესის თხზულების ანალიზზე. ივ. ჯავახიშვილი წერს: „ჩვენ მოგვეპოვება მეხუთე საუკუნის საუცხოო საისტორიო თხზულება, რომელიც სწორედ ჰერეთს ეხება. იქ მოთხრობილია ჰერეთის მთავრის ვაზრქენისა და მისი მეუღლის შუშანიკის ამბავი... სწორედ ამ 474—484 წლებში ჰერეთის მთავრის კარის ეკლესიის ხუცესის იაკობის მიერ დაწერილი თხზულებიდან ჩანს, რომ „ჰერეთი" აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლის, ანუ იბერიის სამეფოს უკიდურესი სამხრეთი თემი იყო. სამხრეთიდან საქართველოში მომავალი პირველად სწორედ ჰერეთს მიადგებოდა, როგორც მაგ. სპარსთა სამეფო კარიდან წარმოსული ქართლისა პიტიახში ვაზრქენი „ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა ქუეყანისა ჰერეთისასა"-ს შევიდა პირველად, სანამ ცურტავს მიაღწევდა... იაკობ ხუცესის ცნობიდან მაინცდა მაინც უცილობლად მტკიცდება, რომ „ეთნოგრაფიული ჰერეთი" აღმოსავლეთ საქართველოს სწორედ მტკვრის სამხრეთით მდებარე, უკიდურესი სამხრეთის თემი იყო"[396].

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი ერთმანეთში აიგივებს „ქართველთა საპიტიახშოს" და „ჰერეთის სამთავროს". გარდა ამისა, მას ჰერეთი მიაჩნია მტკვრის სამხრეთით მდებარე, აღმოსავლეთ საქართველოს უკიდურეს სამხრეთის თემად. უნდა აღინიშნოს, რომ არც ქართულსა და არც სომხურ წყაროებში — არშუშა, ვარსქენი და ი'ალ არშუშა, არსად არ არიან მოხსენიებულნი, როგორც ჰერეთის პიტიახშები ან მთავარნი. ყველგან ისინი ცნობილნი არიან, როგორც ქვემო ქართლის პიტიახშნი. ასე მაგალითად, კორიუნი, არშუშას ტაშირის პიტიახშად იცნობს[397], ხოლო მოსე ხორენელს იგი გუგარქის პიტიახშად ჰყავს დასახელებული[398]. ასევე, არცერთ ქართულ წყაროში ჰერეთი მტკვრის სამხრეთით არ არის ლოკალიზებული. თვით იაკობ ხუცესი თავის თხზულებაში არსად არ ამბობს იმას, რომ ვარსქენი ჰერეთში „სამხრეთიდან" შემოვიდა; ის გადმოგვცემს მხოლოდ შემდეგს: „იჯმნა

---

[395] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948 წ., თბილისი, გვ. 37.

[396] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორა, 1, გვ. 208—209.

[397] Կորիւն, Պատմութիւն վարուց և մահուան սրբոյն Մեսրոպայ, Վենետիկ, 1894, գ. 32.

[398] Մ. Խորենացի, գ. 340—341.

მეფისგან სპარსთაჲსა პიტიახშმან და ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანისა მას ჰერეთისასა, ზრახვა ყო“, აქ და გადაწყვიტა — წარმოჰმართოს თავის სამფლობელოში მონა და აცნობოს თავისიანებს დაბრუნება თვისი, რათა ისინი „წინა მიეგებნენ მას“[399]. აუცილებელი არ იყო, რომ სპარსეთიდან მომავალი ადამიანი საქართველოში „სამხრეთის“ გზით შემოსულიყო. შესაძლებელი იყო მაგალითად, რომ ის აღმოსავლეთიდან, — კამბეჩოვან-კახეთ-იორის გზით შემოსულიყო, და ეს, რომ შესაძლებელი იყო, ამას ჯუანშერის მატიანე ადასტურებს. ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ ვახტანგ გორგასალის დროს, სპარსეთის მეფე ხუასრო, თავისი ჯარითურთ, საქართველოს აღმოსავლეთიდან შემოესია, რომ მან ჯერ „შემსურნა ქალაქი კამბეჩოანი, და ჰერემისა ციხე; და ველის ციხე“, ხოლო შემდეგ „მოიწივნეს კახეთად, დაიბანაკეს იორსა ზედა“[400]. ესეც რომ არ იყოს, ლეონტი მროველი ხომ პირდაპირ ამბობს: ჰერეთი იყო „ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ“ და არა იბერიის სამეფოს უკიდურესი სამხრეთი თემი[401].

იაკობ ხუცესის თხზულებაში ჰერეთის შესახებ დაცული ცნობების არასწორ ინტერპრეტაციას იძლევიან ჩვენის აზრით, ი. აბულაძე, ე. თაყაიშვილი და ლ. მელიქსეთ-ბეგი. ილ. აბულაძე წერს: „ჰერეთი ქართლის საპიტიახშოს ისეთივე ეგთეული გვგონია, როგორც ვთქვათ ტაშირი იყო; შუშანიკის ქართულ მარტვილობაში მოხსენებული ჰერეთი... ქვემო-ქართლის შემადგენელი ნაწილია... იგი ქართლის საპიტიახშოს შემადგენელი ნაწილია“[402]. ე. თაყაიშვილი აღნიშნავს: „იმ დრო (V საუკ. მეორე ნახევარი — თ. პ.) ჰერეთი და ქართლი შეადგენდა ერთ საპიტიახშოს, რომელიც ირანს ემორჩილებოდა, ირანის მეფის პიტიახშის განკარგულებაში იყო“[403]. ლ. მელიქსეთ-ბეგი შუშანიკის მარტვილობის ვარსქენს თვლის ჰერეთ-გუგარქის პიტიახშად[404]. ილ. აბულაძის, ე. თაყაიშვილის და ლ. მელიქსედ-ბეგის მოსაზრებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მართალია იაკობ ხუცესის დროს ჰერეთი უკვე ქართლის სახელმწიფოში შემავალი ქვეყანა იყო,

---

399 ი ა კ ო ბ ც უ რ ტ ა ვ ე ლ ი, მარტვილობა შუშანიკისი, ილ. აბულაძის გამოცემა; თბ., 1938, გვ. 5.

400 ქ ც ბ ა, 1, გვ. 201.

401 შდრ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ეტიუდები, ტ. IV, თბ., 1957, გვ. 346—347; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, უჯარმა გვ. 16.

402 ი ა კ ო ბ ც უ რ ტ ა ვ ე ლ ი, მარტვილობა შუშანიკისი, ილ. აბულაძის გამოცემა, გვ. 056—057.

403 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ? მნათობი, 1948 წ., № 8, გვ. 96.

404 ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი — საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები, კატალოგი, 1, თბილისი, 1949, გვ. 21.

მაგრამ არცერთ წყაროში არსად მოიპოვება ისეთი რაიმე მოწმობა, რომლის მიხედვითაც ჩანდეს, რომ ჰერეთი ქვემო ქართლის საპიტიახშოს უშუალო შემადგენელი ნაწილი იყო, საპიტიახშოს ისეთივე ერთეული, როგორც ტაშირი იყო. ჰერეთი საპიტიახშოს მოსაზღვრე ქვეყანა იყო მხოლოდ[405]. მივმართოდ უშუალოდ წყაროებს. ლეონტი მროველის გადმოცემით, ქვემო ქართლის პიტიახშის (ფეროზის) სამფლობელოს (IV ს.) შეადგენდა: „სამშვილდითგან მიღმართ ქუეყანანი ვიდრე თავადმდე აბოცისა“[406]. ჯუანშერის ცნობით, არჩილის დროს (VIII საუკ.) პიტიახში (ნათესავი ფეროზისა) მთავრობდა — „თრიალეთს, ტაშირს და აბოცს“[407]. იგივე ჯუანშერი აღნიშნავს, რომ ვარსქენი არის „სომხითის“ ე. ი. ქვემო ქართლის მთავარი[408]. VII საუკუნის სომხური გეოგრაფია ქვემო ქართლის ანუ გუგარქის საპიტიახშოს შემადგენელ ნაწილად აცხადებს: „ძოროფორ“-ს, „წობოფორს“, „კოლბოფორს“, „ტაშირს“, „თრიალეთს“, „კანგარს“, „არტაანს“, „ჯავახეთს“ და „კლარჯეთს“[409]. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ზემოთ მოტანილ წყაროთა ცნობების მიხედვით, ჰერეთი არსად არ ჩანს ქვემო ქართლის საპიტიახშოს ფარგლებში შემავალ ერთეულად. გ. მელიქიშვილი, გარკვეული სიფრთხილით, მაინც აღნიშნავს, რომ: „во владения Варскена входила, по крайней мере, одна часть Эрети; вследствие чего «Картлис цховреба» и некоторые другие источники именуют его «Эриставом Рани»[410].

იმის დასამტკიცებლად, რომ ქვემო ქართლის პიტიახშის სამფლობელოში ჰერეთის ერთი ნაწილი მაინც შედიოდა, ვერ გამოგვადგება „ქართლის ცხოვრებაში“ ვარსქენის რანის ერისთავად მოხსენების ფაქტი. მეტად ძნელია იმის თქმა, რომ V საუკუნეში „ჰერეთის“ ცნება, ჰფარავდა „რანს“, რომლის ერისთავადაც „ქართლის ცხოვრება ვარსქენს ასახელებს. როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, გეოგრაფიული ტერმინი „რანი“ იხმარებოდა მარჯვენა ნაპირის ალბანეთის აღსანიშნავად (მტკვარსა და არაქსს შუა რომ მდებარეობდა) — იგი ლეონტი მროველის ბარდოსის წილს შეესაბამებოდა. წყაროებში ვარსქენი რანის ერისთავად იწოდება იმიტომ კი არა, რომ რანი ქვემო ქართლის საპიტიახშოში შედიოდა, არამედ იმიტომ, რომ ვარსქენი —

---

405 შდრ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები 1, გვ. 267.

406 ქ ც ბ ა, 1, გვ. 131.

407 ქ ც ბ ა, 1, გვ. 241.

408 ქ ც ბ ა, 1, გვ. 216.

409 Армянская География VII века, სომხური ტექსტი, გვ. 20, რუსული თარგანი გვ.

410 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 461.

ქვემო ქართლის პიტიახში, იმავე დროს არის „ერისთავი რანისა“. უფრო მეტიც, როგორც აკად. კ. კეკელიძე ამტკიცებს, ვარსქენი ამავე დროს იყო გამგე მთელი კავკასიის კუსტაკისა. ასე მაგალითად, — „ის იწყებს ომს კასპიის ჩრდილო-აღმოსავლეთის სანაპიროებზე მცხოვრებ ჰუნებთან; ქვემო ქართლის პიტიახშისაგან ეს გაუგებარია, კავკასიის კუსტაკის გამგისათვის კი — მოვალეობაა. ის ოთხ თვეს ანდომებს თავისი სამშართველოს შემოვლას; ეს აღმოსავლური ამიერკავკასიისათვის ბუნებრივია, ქვემოქართლის საპიტიახშოსათვის კი გადაჭარბებული. ვარსქენი არა მარტო თვითონ დადის შორეულ „ჩორდს“ (დარუბანდს), ცოლსაც კი ემუქრება, იქ გაგაძევებო. ისე გამოდის, თითქოს ჩორდი მისი საგამგებლოა. კავკასიის კუსტაკის უფროსისათვის ეს ასეც იყო, ქვემო ქართლის პიტიახშისათვის არასდროს[411] ამრიგად, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ისტორიული წყაროების მიხედვით, ჰერეთი ქვემო ქართლის საპიტიახშოს ფარგლებში ნაგულისხმევი არასოდეს არ ჩანს.

საჭიროდ მიგვაჩნია სპეციალურად შევჩერდეთ თვით ტერმინ „ჰერეთის“ საკითხზე. იგი ქართულ წყაროებში გვხვდება ორი ვარიანტით — „ჰერეთი“ და „ერეთი“.

ჰერეთს (*հերեթ*) იცნობს აგრეთვე ქართლის ცხოვრების სომეხი მთარგმნელიც[412]. ჰერების ეთნარქი — „ჰეროს“ (*հերոս*) ქართლის მთავართა სიაში მოხსენებულ აქვს მხითარ აჯრივანელს[413]. ეპონიმ ჰეროსს (*հերոս*) და მისი კუთვნილი ქვეყნის სახელწოდება ჰერეთს (*հերեթու*) ხმარობს აგრეთვე XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი სტეფანე სივნიელი. ჰეროსი და ჰერეთი მას დასახელებული აქვს თავისი ნაშრომის „სისაკანის ისტორიის“ ორბელთა ისტორიის შემცველ მე-66 თავში[414]. ცნობილია თუ არა სახელწოდება „ჰერეთი“ სომხურ მწერლობაში? ამის შესახებ პროფ. ი. აბულაძე აღნიშნავს: „საგულისხმოა, რომ სახელწოდება „ჰერეთი“ ალვანეთისა თუ მისი გაქართველებული ნაწილისათვის, მხოლოდ ქართული წყაროებითაა ცნობილი. ზოგადი ჰერეთისათვის სომხურ მწერლობაში *Աղուանք* (ალვანეთია) ცნობილი. არც საქართველოს ჰერეთისათვის გვაქვს ეს სახელი

---

411 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, აშუშა პიტიახშის ბეჭდის წარწერის გაგებისათვის, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, გვ 153.

412 ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი ი. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1953, გვ. 19, 27, 68, 218, 221.

413 М х и т а р А й р и в а н е ц и, Хронографическая история. Армянский текст и русский перевод К. Патканова, ТВОИРАО, часть XIV, спб, 1869, გვ. 246.

414 S a i n t - M a r t i n, Memoire Historiques et Geographiques sur L'Armenie, Tome second, Paris, 1819, გვ. 56, 62.

(ჰერეთი) აღმნიშვნელად სომხურში"[415]. მაგრამ იქვე სქოლიოში, ი. აბულაძე სომხურთან მიმართებით ერთ მოვლენას მაინც აღნიშნავს. კერძოდ, იგი ყურადღებას აქცევს VI საუკუნის სომეხი ფილოსოფოსის, დავით უძლეველის სამშობლო სოფელ „ჰერეთს"-ს და წერს: „სადღესასწაულო წიგნში დავითი „ჰარქ" კუთხის სოფელ „ჰერეთიდან" (հերեթն) იხსენიება. ასოღიკი დავითის სამშობლო სოფლად ამავე კუთხის სოფ. „ჰერეანს" ასახელებს... დავითის სამშობლო „ჰერეთი" შესაძლოა ჩვენი ჰერეთი იყოს, ვინაიდან ჯერ ერთი, ამ კუთხიდან თუ არა, მისი მეზობელი მხარეებიდან მაინც, არა ერთი სომეხი მოღვაწეა ცნობილი იმდროინდელ სომხურ სინამდვილეში, და მეორეც, დავითს, როგორც აკად. ნ. მარმა აღნიშნა, ენობრივად ქართულ სამყაროსთან სიახლოვე ახასიათებს"[416]. საინტერესოა ამავე საკითხზე პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მოსაზრება, იგი წერს „დამაფიქრებელია დავით უძლეველის სადაურობის აღმნიშვნელი ზედწოდება „ჰერტანელი"... თითქოს ტომობრივი სახელიდან „ჰერ" არის წარმოებული გეოგრაფიული სახელწოდებები, როგორც სომხეთში („ჰერ და ზარეანდ"), ისე საქართველოში („ჰერეთი და კახეთი"), და ეგების „ჰერტანელი" შეიცავდეს „ჰერთა სახლის", resp. „ჰერთა ქვეყნის" ცნებას იმის ანალოგიით, როგორც არიან: „მაჰქრ-ტუნ", „მარაც-ტუნ", „ანგელ-ტუნ", „ვრაც-ტუნ" და სხვა; მოკლედ, რომ ვთქვათ დავით უძლეველის ზეწოდება „ჰერტანელი", რომელიც XI საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ასოღიკის მიერ (მსოფლიო ისტორია, II, 2) „ჰერეან"-ადაც არის ტრანსკრიბირებული „ჰერტანი"-ს ნაცვლად, ეგების ამეღავნებდეს რაიმე მითითებას დავით უძლეველის ანუ რომელიმე სომეხ ფილოსოფოს დავითის კავშირზე ჰერეთთან, ანდა ჰერეთიდან მისი წარმოშობის ანარეკლს წარმოადგენდეს"[417].

სომხურ მწერლობაში ჰერეთის აღმნიშვნელ სახელწოდების ძიების დროს, ჩვენი აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკაში" და კირაკოს განძაკელის „ისტორიაში" მოხსენებულ ჰერგის (հերգ) პროვინციას[418]. კირაკოს განძაკელის თხზულებაში დასახელებულ ჰერგის მხარეს («ի հերք դաւառ») ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში ყურადღება მიაქცია ლუკა ინჯიჯიანმა. მაგრამ მან ჰერგის ადგილმდებარეობის შესახებ გადაჭრით ვერა-

---

[415] ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, მარტვილობა შუშანიკისი, გვ. 057.

[416] ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 057—058.

[417] ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, დავით უძლეველი და. დავით გარეჯელი—საიუბილეო კრებული კ. კეკელიძეს, გვ. 213.

[418] М х и т а р Г ö ш—Албанская хроника, Баку, 1960, გვ. 15; Կիրակոսի Վարդ. Գանձակեցւոյ, Պատմութիւն հայոց արարեալ, Թիֆլիս, 1910, გვ. 171.

ფრის თქმა ვერ შესძლო. იგი აღნიშნავდა მხოლოდ: „მე არ ვიცი სად მდებარეობს ჰერგი, სომხეთში თუ ალბანეთშიო“[419]. შემდგომში ამავე საკითხს შეეხო ლ. ალიშანი, რომელმაც 1865 წელს ვენეციაში გამოსცა კირაკოს განძაკელის ისტორია; იგი წერდა, რომ კირაკოსის „ჰერგი“ შესაძლოა იყოს „ჰერეთი“, ალვანეთის ქვეყანა, კერძოდ კი სიღნაღის მხარე — ჰაოსის ძმის, ჰეროსის წილი[420]. მ. ბროსე არ იწყნარებდა ლ. ალიშანის ასეთ მოსაზრებას. ის მიუთითებდა, რომ კირაკოსის „ჰერგის“ ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ე. წ. „პერს-არმენიის“ პროვინციაში შემავალი რაიონი და ქალაქი ჰერი, რომელიც მდებარეობს ურმიის ტბის სამხრეთით[421]. ჰერგის ლოკალიზაციის საკითხმა XX საუკუნეშიც მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. სომეხი მკვლევარი ტ. ტერგრიგორიანი, კირაკოს განძაკელის „ისტორიის“ რუსული გამოცემის კომენტარებში წერს: «Область h'Ерг, в более древнее время называвшаяся h'Ерет, (или h Еретия), находилась на границе древней Албании и Иберии. Территория ее в настоящее время входит в современные Белаканский, Закатальский и Кахский районы Азербайджанской ССР»[422].

ზ. მ. ბუნიატოვის აზრით, მხითარ ცოშთან დამოწმებული — herk“ — შესაძლოა იყოს „ჰერეთი“[423]. ზემოთ დასახელებულნი მკვლევარნი, თავიანთ მოსაზრებას „ჰერგ-ჰერეთის“ იგივეობაზე, უმთავრესად ამ სიტყვების გარეგნულ მსგავსებაზე ამყარებენ. უმჯობესია გავეცნოთ კირაკოს განძაკელის ისტორიის თვით იმ ადგილს, სადაც „ჰერგის“ მხარეა მოხსენებული. მასთან დაკავშირებით, კირაკოს განძაკელს მოთხრობილი აქვს ერთი მეტად საინტერესო ეპიზოდი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1194 წ. ქ. განძაში. ალბანეთის კათალიკოსად ამ დროს ითვლებოდა ტერ-სტეფანოსი (1156—1195). ვინაიდან აზერბაიჯანი ამ დროს თურქ-სულჯუკებს ჰქონდათ დაპყრობილი, კათალიკოსს არ გააჩნდა მუდმივი რეზიდენცია, იგი თავს აფარებდა ჩარეკის ციხის მიდამოებში არსებულ ერთ-ერთ გამოქვაბულში და აქედან ხელმძღვანელობდა თავის სამწყსოს (ჩარეკი მდებარეობს ძველი გარდმანის ტერიტორიაზე, ეხლანდელი ყაზახის რაიონი, აზერბაიჯანის სსრ). ქ. განძის მუსლიმან მფლობელთ სძულდათ ქრისტიანები და სასტიკად სდევნიდნენ მათ. ამიტომ კათალიკოსს და საერთოდ

---

419 Ղ. Ինճիճեան, Սոորագրութիւն Հին Հայաստանեայց, Վենետիկ, 1822, გვ. 525.

420 Կիրակոսի Վարդ. Գանձակեցւոյ გვ. 90, სქოლიო 1.

421 M. Brosset, Deux historiens Armeniens, I-re Livr., გვ. 89, სქოლიო 4.

422 Гандзакеци, История, Баку, 1946, прим. 610, გვ. 264.

423 Мхитар-Гош — Албанская хроника, გვ. 30, შენიშვნა 81.

ქრისტიანებს ქალაქში თავისუფლად შესვლა არ შეეძლო. და აი, ერთხელ, როგორც კირაკოსი მოგვითხრობს, განძის ემირმა ვინმე ქურჯი ბატრადინმა, ალბანთა კათალიკოსს, ტერ-სტეფანოსს ნება დართო, რომ მოახლოებული ქრისტიანული ნათლისღება ქალაქში საჯაროდ აღენიშნა. ამ ამბით გახარებულმა კათალიკოსმა თავი მოუყარა მთელი თავისი ეპარქიის ეპისკოპოსთ და მოძღვართ (ვარდაპეტებს) და ქალაქისაკენ გაემართა. ქრისტიანული რელიგიის დღესასწაულზე დასასწრებლად მოვიდა განძის მთელი მუსლიმანური მოსახლეობა თვით ემირის, ქურჯი ბატრადინის თანხლებით. როდესაც კათალიკოსმა ქრისტიანული წესის თანახმად, დაიწყო წყლის კურთხევა და მირონცხება, ამ ამბავმა გონს მოიყვანა დამსწრე მუსლიმანები. განრისხებულთ იქვე შეიპყრეს კათალიკოსი და თვით ემირიც და საპყრობილეში მოათავსეს. მომხდარი ამბის შესახებ მათ შეატყობინეს ათაბაგს, რომელმაც ემირი მმართველობიდან გადააყენა, ხოლო ტერ-სტეფანოსი კი, მიიღო რა მისგან დიდძალი ფული ოქროთი და ვერცხლით, გაანთავისუფლა. დააღწია რა თავი საფრთხეს, ტერ-სტეფანოსი გაეშურა ხაჩენისაკენ და ვეღარ ბედავდა განჯის მიდამოებში გამოჩენას. ადგილობრივმა ქრისტიანულმა მონასტრებმა დაინახეს რა, რომ ტერ-სტეფანოსი ვერ ბედავს მათთან მისვლას, კათალიკოსად ბეჟგენი აირჩიეს. როდესაც ეს ამბავი ტერ-სტეფანოსმა შეიტყო, მან შეაჩვენა ისინი, ხოლო თვითონ კი გადახვეწილმა საბოლოოდ თავი შეაფარა ჰერგის ოლქს და იქვე გარდაიცვალა[424]. ისმის კითხვა, სად შეიძლებოდა შეეფარებინა თავი მუსლიმთაგან დევნილს და თავისი თანამემამულეთაგანაც გადაყენებულ კათალიკოსს? ერთადერთი ქვეყანა ამ დროს ამიერკავკასიაში, სადაც მშვიდობიანობა სუფევდა და ქრისტიანებს მუსლიმანთაგან საფრთხე არ ემუქრებოდათ იყო საქართველო (სომხეთი და ალბანეთი თურქ სელჯუკებს ჰქონდათ დაპყრობილი). ვფიქრობთ, რომ ის ქვეყანა, სადაც საბოლოო თავშესაფარი ჰპოვა ტერ-სტეფანოსმა იყო სწორედ ჰერეთი, კერძოდ კი ჰერეთის „მრავალმთის“ უდაბნოები. ეს უკანასკნელი, მას შემდეგაც კი, როდესაც X საუკუნეში ჰერეთში საბოლოოდ გაიმარჯვა ქალკედონიზმ-დიოფიზიტიზმის პოზიციებმა, საუკუნეთა განმავლობაში წარმოადგენდა ანტიქალკედონიტთა სალოცავ ადგილს და დიდი მიმზიდველობით სარგებლობდა სომხურ-ალბანურ მონოფიზიტური საზოგადოებრიობის თვალში. ამის დადასტურებაა ამ მხარეში არსებული სომხური ეპიგრაფიკული ძეგლები[425]. თუ გავითვალისწინებთ ზემო აღნიშნულ ამ მნიშვნელოვან გარემოებას, მაშინ

---

[424] Կիրակոսի Վարդ. Գանձակեցւոյ, გვ. 90.

[425] ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი — გარეჯის „მრავალმთის“ სომხური ეპიგრაფიკა — ენიმკ-ის მოამბე, 1940, ტ. V—VI, გვ. 153—174.

ჩვენი დასკვნა მიუღებლად აღარ მოგვეჩვენება. ამრიგად, შეიძლება დავუშვათ, რომ სომხურ მწერლობაში ჰერეთის აღმნიშვნელი სახელი იყო „ჰერგი“.

საისტორიო მეცნიერებაში დღემდე საბოლოოდ დადგენილი და გარკვეული არ არის „ჰერეთის“ ეტიმოლოგია. სპეციალისტები მას სხვადასხვანაირად განმარტავენ. მისი ახსნის ცდა ჯერ კიდევ XIII საუკუნეში მოცემული აქვს სომეხ ისტორიკოსს სტეფანე სიუნიელს. სტეფანე სიუნიელი სახელწოდება „ჰერეთს“ უკავშირებდა ქართულში არსებულ გვარს — ერისთავს. იგი წერდა: „რამეთუ ჩუელება არს გუართა და გუარის — მთავართა ადგილის სახელს უხმობენ, ვითარცა მთიულნი და ჰერეთის გამო ერისთავნი, ჯავახეთის გამო ჯავახნი ანუ ჯაეახიანნი, კახეთის გამო კახნი გინა კახელნი და სხუანი მრავალნი ვიდრე დღევანდლამდე“[426]. სენ-მარტენი, რომელმაც 1819 წელს პარიზში გამოსცა სტეფანე სიუნიელის „ორბელთა ისტორია“ შენიშნავდა: სახელწოდება „ჰერეთი“ ერისთავთან კი არ უნდა იქნეს დაკავშირებული, არამედ „ჰერისთავთან“, რაც ნიშნავს ჰერეთის მმართველსო“[427].

სატომო სახელ «ჰერთან» დაკავშირებით აკად. ნ. მარი ყურადღებას აქცევს დაღისტანში მცხოვრებ ანდიების ტომში შემონახულ ეთნიკურ ტერმინს «hiri-ol»-ს, რომელიც ოსების აღმნიშვნელ სახელს წარმოადგენს. გამოყოფს რა ამ ეთნიკურ ტერმინში ფუძე «hir-i»-ს, რომელიც მისი აზრით, წარმოადგენს სატომო სახელის, — «ჰერის», — დიალექტურ სახესხვაობას, აკად. ნ. მარი წერს: ჰერიდან წარმოსდგება ქართული გეოგრაფიული ტერმინი Her-eə-i — ჰერია, რომელიც მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ოლქის სახელწოდებაა. ვახუშტის გეოგრაფიის მიხედვით იგი შედის ქართლის-Qarə-l-i — შემადგენლობაში. ეს ოლქი (ე. ი. ჰერეთი — თ. პ.) ესაზღვრებოდა კუხეთს და თავდაპირველად, რა თქმა უნდა, ეთნოგრაფიულ ქართს. ამის შემდეგ, ნ. მარი ასე სვამს საკითხს: იმ დროს, როდესაც კუხებისა და ქართების მიმართ საკითხი დგას მხოლოდ იმის შესახებ — თუ ჩრდილო კავკასიის იაფეტიდთა რომელ ჯგუფს მიეკუთვნებიან ისინი და როგორი რეალური ეთნიური ურთიერთობა ჰქონდათ მათ ქართველებთან — სამხრეთ კავკასიის იაფეტიდებთან, her'-ების ანუ hir'-ების მიმართ კი, მხედველობაში ვიღებთ რა იმ ამბავს, რომ ეს ფუძე შემთხვევით არა ჰგავს ოსების ეროვნულ სახელს ir-ს, შეიძლება ასეთი კითხვაც დაგვებადოს: იყვნენ თუ არა ისინი თავ-

---

[426] სტეფანე სიუნიელის „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია. საისტორიო მოამბე, თბილისი, 1952, № 6, გვ. 54.

[427] M. J. Saint-Martin, Memoires Historiques et Geographiques sur L'Armenie, II, Paris, 1819, გვ. 194.

დაპირველად საერთოდ იაფეტიდები? და რომ იქნებ, ისე როგორც ეხლა ანდიებში hir-i-ol, ასევე ქართველებში მტკვრისპირა ოლქის მოსახლეობის აღმნიშვნელი სახელწოდება her'-ები ანუ hir'-ები, გაცილებით უფრო ადრე, კავკასიისათვის ისტორიულ დროში, რეალურად აღნიშნავდა ოსებს — არიო ევროპიელებს, ირონებს. თვით hir-i-ol-ის ფუძე თითქოს იმას უნდა მოწმობდეს, რომ ანდიელებმა იგი მიიღეს ქართველებისაგან, მაგრამ უფრო სარწმუნოა, რომ ეს ტერმინი ანდიებში ჩეჩენ-ინგუშების გზით შევიდა. ყოველ შემთხვევაში, — დაასკვნის საბოლოოდ აკად. ნ. მარი — ეთნიკური ტერმინი her ‖ hir კავკასიაში არსებობდა ანდიური ფორმის hiri-ol-ის წარმოქმნამდე დიდი ხნით ადრე[428]. ნ. მარის აზრით, ეს er-ir. წარმოადგენს შესაბამის სოციალ-ეკონომიურ წარმონაქმნის, საზოგადოდ-კოლექტივის, ხალხის აღმნიშვნელ სახელწოდებას. აქედან გამომდინარე, ნ. მარის აზრით, სატომო სახელი her-hir ძველი ქართული ოლქის Her-eš-ის ანუ ერ-იის სახელწოდების ფუძეში, სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ჰერების ქვეყანას (—eš)[429]. ასეთია ნ. მარის კონცეპცია სახელწოდება „ჰერეთის" შესახებ.

თავისებური თეორია აქვს შემუშავებული „ჰერეთის" შესახებ აკად. კ. კეკელიძეს. ეს თეორია ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: „კლასიკურ მწერალთა იბერია სულ სხვაა, ვიდრე ქართლი... კლასიკური მწერლების იბერიის ქართლური სახელი უნდა იყოს ჰერეთი. ქართულმა ძველმა მწერლობამ სახელი იბერია არ იცის, იმას ჩვენ ძველად, ყოველ შემთხვევაში საქართველოს გაერთიანებამდე ვერსად ვერ ვხვდებით; სამაგიეროდ ჩვენში იხმარება ტერმინი ჰერეთი, რაც კლასიკურმა მწერლებმა და სომხებმა არ იციან. ეს ჰერეთი შეიცავს იმავე ტერიტორიას, რასაც კლასიკური მწერალთა იბერია. თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმ გარემოებას, რომ ჰერეთის საზღვრებში შედიოდა კახეთი და კუხეთი, ასე რომ ჰერეთი ზოგჯერ თითქმის მთელს კახეთს — კუხეთს ეწოდებოდა, უკვე XI საუკუნეში ჰერეთის საზღვრებს შეადგენდა: აღმოსავლეთით ალაზანი, ჩრდილოეთით კავკასიის ქედი, სამხრეთით მტკვარი და დასავლეთით კასპი... მაშასადამე, გეოგრაფიულად იბერია და ჰერეთი ერთმანეთს ჰფარავენ, ისინი ფონეტიკურადაც ჰფარავენ ერთმანეთს. ბერძნულს Ἰβηρία -ში ძირი არის br|vr, საიდანაც აკად. ნ. მარს გამოჰყავს სხვადასხვა ფონეტიკური კომბინაციები, დასავლეთ საქართველოს ყველა, ქართველ ტომთა მიერ დასახლებული, ადგილების სახელწოდება, როგორც მაგ. იმერეთი, სამე-

---

[428] Н. Я. Марр. — Кавказские племенныя названия и местные паралели — Российская Академия наук. 5. Петроград, 1922, გვ. 15—16.

[429] Н. Я. Марр. Избранные работы, том, I, Ленинград, 1933, გვ. 328.

გრელო, გურია, სპერი resp. ისპირი და სხვ. უეჭველია, აქედანვე უნდა იყოს წარმომდგარი ჰერეთიც. ამ სახელში ეთი არის ადგილის აღმნიშვნელი სუფიქსი, ბერძნებს, მათ რომ ეს სახელი სცოდნოდათ, უნდა გამოეთქვათ ის როგორც ჰერია, რაც იგივე ბერძნული Ἰβηρία ან ჰვერიაა... ჰვერიადან რომ ჰერია წარმომდგარიყო, ე-ნის წინ ვ-ინი უნდა დაკარგულიყო (ასეთი დაკარგვა შესაძლებელია). ამნაირად, დაასკვნის კ. კეკელიძე, — ფონეტიკურად და გეოგრაფიულად ქართული ჰერეთი უნდა იყოს კლასიკურ მწერალთა იბერია"[430].

ანალოგიური დებულება „ჰერეთის" სახელწოდების შესახებ ჯერ კიდეე 1912 წელს წამოაყენა ს. კაკაბაძემ[431], მაგრამ შემდეგში, მან ეს დებულება უარყო. თავის რეცენზიაში, პროფ. კ. კეკელიძის მონოგრაფიაზე: „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები", ს. კაკაბაძე წერს: „ამ დებულების წამოყენებას თავის დროზე ჰქონდა მნიშვნელობა; ის წარმოადგენდა საკითხის განვითარების ერთ-ერთ საფეხურს. მაგრამ ეხლა ამ დაძველებულ დებულების კვლავ წამოყენება, ძიების განვლილი საფეხურების შემდეგ, სრულს შეუწყნარებლობას წარმოადგენს. კ. კეკელიძე უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ ჰერეთის ტერიტორია ქართველების უძველესი წარმოდგენითაც („მამათა და ნათესავთა ცხოვრება" — V ს.) მდებარეობდა აღმოსავლეთით, მცირისა ალაზნის (იორის) შესართავთაგან, ვიდრე ტყეტბამდე („რომელსა აწ ჰქუან გულგულა"). იბერია კი შიგნით ამ ტერიტორიისა არ მოდიოდა. ეჭვს გარეშეა, მაშასადამე, რომ იბერია სხვაა და ჰერეთი სულ სხვაა"[432].

აკად. ს. ჯანაშიას აზრით, სატომო სახელი „ჰერი" მარტოოდენ ძველ ქართულ მწერლობას აქვს დაცული. „ჰერეთს" ეძახდნენ ჩვენი წინაპრები მეზობელ ალბანეთს, მაშინ როცა ყველა სხვა მეზობელი ხალხისათვის ეს სახელი ამ მნიშვნელობით უცნობი იყო (შეიძლება მხოლოდ ეჭვი არსებობდეს, ხომ არ უდრის მას ანტიკური მწერლების „გერ"-ები, თუ ჰ/გ-ს შესატყვისობა შესაწყნარებელია). ბუნებრივი იქნება ამიტომ ვიფიქროთ, რომ სახელი „ჰერი" ასევე გადატანილი იქმნა მერმინდელ მოსახლეობაზე, როგორც სახელი „სომეხნი"[433].

აკად. ნ. ბერძენიშვილს ქართული წყაროების ჰერი (ჰერნი) შესაძლებლად მიაჩნია დაუკავშიროს ურარტული წყაროების საკმაოდ მო-

---

430 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ—ქრონოლოგიური საკითხები, მიმომხილველი, 1926, 1. გვ. 16,

431 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, წმ. ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, ტფილისი, 1912.

432 საისტორიო მოამბე, 1925 წ., წიგნ. II, გვ. 130—131.

433 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, გვ. 101.

ზრდილი ოლქისა და ტომის სახელწოდებას — ერიახი-ს (Eriani). გ. მელიქიშვილის მიხედვით, ერიახის ადგილმდებარეობა თანამედროვე ლენინაკანის რაიონშია საძებარი. გარდა ამისა, გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ ვინაიდან „ქართლის ცხოვრებაში“ სახელწოდება „ჰერეთი“ (ჰერების ქვეყანა) ხანდისხან გვხვდება ერეთის ფორმით, ამის გამო ეს ტერმინი უფრო მეტად უახლოვდება ურარტულ ერიახის[434].

ჩვენი მხრით, ჰერეთის სახელწოდების სადაურობის და რაობის ასახსნელად გადაჭრით რაიმეს თქმა, მეტად გვიძნელდება, მაგრამ ერთ მომენტს მაინც აღვნიშნავთ. ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილია, რომ ეთნიკური სახელი „ჰერეთი“ ქართველურ სამყაროს დავუკავშიროთ. ამ მიმართულებით ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ „ჰერ“ ფუძით ნაწარმოებ სახელებს ქართულში. კერძოდ, ხომ არ უკავშირდება სატომო სახელი „ჰერი“ უძველეს ქართულ ტერმინს ერს?! საყურადღებოა აგრეთვე ის, რომ ჯერ კიდევ XIV საუკუნეში მთის თავისუფალი მოსახლეობა თავის თავს „ჰეროვანს“ უწოდებს. ესევე სიტყვა შემონახულია მეგრულშიც „ჰერებამის“ ფორმით, რაც „მშვენიერს“, „სასიამოვნოს“ ნიშნავს. „ერები“ მეგრულად აღნიშნავს დიდ ოჯახს[435]. აქედან გამომდინარე, ხომ არ არის შესაძლებელი, რომ ჩვენთვის საინტერესო სახელ „ჰერეთში“ — ეთნიკურს გარდა, სოციალური აზრიც დავინახოთ?.. ჩვენი მოსაზრება შეიძლება მიუღებელი არ მოგვეჩვენოს, თუ გავითვალისწინებთ ჰერეთის სოციალური განვითარების ზოგიერთ მომენტს: ჰერეთში, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, დიდი ხნის განმავლობაში ძლიერად იყო წარმოდგენილი თავისუფალ მწარმოებელთა ფენა, რომლის აღსანიშნავად, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, იხმარებოდა ადგილობრივი, ძველი ქართული სახელწოდება „ერი“. და აი, ქვეყანას, რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, გარკვეულ პერიოდში, „ერი“ შეადგენდა, ეწოდა „ჰერ-ეთი“. ასე რომ სახელწოდება „ჰერეთი“ — სოციალური შინაარსის შემცველი ცნებაც უნდა იყოს.

ისევე, როგორც ზოგი სხვა ქვეყნის სახელებს, ასევე „ჰერეთსაც“ რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, ვიწრო და ზოგადი. „ჰერეთი“ თავისი ვიწრო მნიშვნელობით მოიცავს ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ ფარგლებს. როგორც დ. მუსხელიშვილმა გაარკვია „ჰერეთს“ ვიწრო მნიშვნელობით იცნობს იაკობ ხუცესი, ლეონტი მროველი, ჯუანშერი. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირია აგრეთვე

---

[434] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, К истории древней Грузии, გვ. 122.
[435] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, გვ. 224.

ტერმინ „ჰერეთის“ ხმარება მთელი „ალვანეთის“ შესატყვისად[436]. ასეთივე მოვლენა შეიმჩნევა ისტორიულ წყაროებშიც. ასე მაგალითად, „ქართლის ცხოვრებაში“ ჰერეთის ზოგადი მნიშვნელობით, მთელი ალბანეთის აღსანიშნავად, ხმარება დასტურდება „მატიანე ქართლისაჲ“ს ტექსტში[437]. როგორც ჩანს „ჰერეთის“ ხმარება „ალბანეთის“ შესატყვისად IX—X საუკუნეებზე ადრე დადასტურებული არ არის[438]. პროფ. ილ. აბულაძე აღნიშნავს: „ჰერეთი ჩვენს მწერლობაში მარტო გაქართველებული ალვანეთის სახელწოდება არ ყოფილა ხოლმე, არამედ იგი, როგორც ჩანს, X საუკუნის ახლოს ალვანეთის ზოგადი სახელწოდება ყოფილა“[439]. IX საუკუნეში არსენ საფარელი თავის შრომაში „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“ იხსენიებს ჰერთა კათალიკოსს — ალვანთა კათალიკოსის მნიშვნელობით[440]. ჰერეთი ზოგადი მნიშვნელობით, ე. ი. მთელი ალვანეთის შესატყვისად, გვხვდება აგრეთვე IX—X საუკუნეების სომხურიდან ნათარგმნ ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში. ესენია: „წამება წმიდათა მღვდელთ მოძღუართა სომხითისათა არისტაკესი, ორთანესი, ოსკისი, გრიგორისი, დანიელისი“ და „სიტყუანი წამებისათვის წმინდისა ოსკისი და მოყუასთა მისთა“[441]. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ქართული წყაროების „ჰერეთი“, გარკვეულ დროს, IX—X სს. უდრიდა მთელ ალბანეთს. როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ჰერეთის ის ფართო საზღვრები, რომლის შესახებაც IX—X საუკუნეების ქართულ-სომხურ წყაროებში ცნობები მოიპოვება, ამ გეოგრაფიული სახელწოდების ცნების მერმინდელი გაფართოება უნდა იყოს, და ვფიქრობთ, პოლიტიკურ ნიადაგზე, ჰერეთის ხელისუფალთა სამფლობელოს გაფართოების წყალობით მომხდარი.

ქართული წყაროები „ალვანეთსაც“ იცნობდნენ. ეს კარგად ჩანს „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“, სადაც ვკითხულობთ — დავით აღმაშენებელს „მაშინ ორნი ოსთა მეფენი და კახთა მეფე და ალვანთა მეფე, წანართა მეფე, სამნი ტაოელთა მეფენი და სომეხთა მეფე და ტრაპიზონელნი და შარვან-შაჰენი, ესენი ჩაესხნენ ნაჭარმაგევს“[442].

---

[436] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, 1, გვ. 267; ა. შ ა ნ ი ძ ე, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1960, № 1, გვ. 168.

[437] ქ ც ბ ა, ანასეული; გვ. 161, 162.

[438] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

[439] ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, მარტვილობა შუშანიკისი, გვ. 056.

[440] თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 319, 321.

[441] ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში. გამოკვლევა და ტექსტები, თბილისი, 1944, წ., გვ. 66, 12.

[442] ხელმწიფის კარის გარიგება, ე. თაყაიშვილის გამოცემა, 1920, გვ. 20.

როგორც ვხედავთ, აქ „ალვანთა“ მეფე „ჰერთა“ მეფის მაგივრადაა ნახმარი. „ალვანეთს“ იცნობს ერთი ქართული „საკითხავი“, რომელიც აგათანგელოსის თხზულების თარგმანს წარმოადგენს. იგი „ჩართულია ... ერთს ხუცურ ხელნაწერში, რომელიც დაწერილია XI საუკუნის ხელით დავით აღმაშენებლისათვის“[443].

---

443 თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, 1, გვ. 19; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24—25.

თავი II

ჰერეთის ისტორიის ძირითადი ეტაპები უძველესი დროიდან ვიდრე VII საუკუნემდე

ჰერეთის ტერიტორია უძველესი დროიდან დასახლებული იყო ქართველთა მონათესავე ჰერული ტომებით: თვით ჰერებით, ლბინებით resp. ელარბიელნით, ჭილბებით, სოჯებით. ჩვენს ხელთ არსებული, ძირითადად არქეოლოგიური, მასალების მიხედვით ირკვევა, რომ აღნიშნული ტომები ჰერეთის ტერიტორიაზე განსახლებულნი ჩანან, უფრო ადრეული პერიოდიდან თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ძვ. წ. ა. I ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისიდან მაინც[1]. ჰერული ტომები თავდაპირველად ალბანურ ტომთა მეთაურობით შექმნილ პოლიტიკურ გაერთიანებაში შედიოდნენ[2]. ჰერეთის ისტორიის ამ უძველესი პერიოდის შესახებ წერილობით წყაროებში მცირე ცნობებია დაცული. ამ ცნობების მიხედვით, ჰერული ტომების პირველი მოხსენიება და მათი გამოჩენა ისტორიულ ასპარეზზე დაკავშირებულია ე. წ. „აქემენიდურ ხანასთან“ (ძვ. წ. VI—IV სს.). ამ მიმართებით, ერთი მეტად საყურადღებო ჩვენება შემონახული გვაქვს ლეონტი მროველის თხზულების იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს სპარსელთა ჰეგემონიის ამსახველ ამბებს (ქცბა, I, გვ. 11—16). უპირველეს ყოვლისა,

---

[1] სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, ძველი ანაგისა და ყოღოთოს კულტურის მატარებელი ხალხის ვინაობისათვის, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნერო სესია, 1941 წლის 18 და 20 ოქტომბერი, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1941, გვ. 18—19; Р. М. Рамишвили, Материалы к истории Картлийского царства во второй половине I тысячелетия до н. э. (Камарахевский могильник), Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тбилиси, 1960, გვ. 25.

[2] А. Ш а н и д з е, Новооткрытый алфавит Кавказских Албанцев и его значение для науки, ენიმ-ის მოამბე, ტ. IV, თბ., 1938, გვ. 54; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, უჯარმა, გვ. 24; რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, კამარახევის სამაროვანი, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, II, თბ., 1959, გვ. 40.

რამოდენიმე სიტყვით შევჩერდეთ ლეონტი მროველის თხზულების ამ მონაკვეთში მოთხრობილი ამბების დათარიღების საკითხზე. როგორც ცნობილია, ეს ამბები ლეონტი მროველს მოთხრობილი აქვს ხაზართა შემოსევების (ქცბა, I, გვ. 11—12) შემდეგ. სამეცნიერო ლიტერატურაში (გ. კლაპროტი, კ. პატკანოვი, გ. მელიქიშვილი და სხვ.) უკვე აღიარებულია, რომ ხაზართა შემოსევების ქვეშ ლეონტი მროველთან უნდა იგულისხმებოდეს სკვითური ტომების ცნობილი შემოჭრა ამიერკავკასიის ქვეყნებში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძვ. წ. ა. VIII—VII სს. ხაზართა (=სკვითების) შემოსევების შემდეგ, ლეონტი მროველი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აგვიწერს ჯერ სპარსელთა ძლიერების ხანას, შემდეგ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა პერიოდს (336—328 ძვ. წ. ა.), ხოლო ამ უკანასკნელს კი მოსდევს ასურასტანის (სელევკიდების სამეფო) და „ბერძენთა“ (პონტოს სამეფო) ძლიერების ეპოქის ფაქტების გადმოცემა[3]. ასე რომ, ვფიქრობთ, ყველა მონაცემი არსებობს იმის მტკიცებისათვის, რომ ლეონტი მროველის „მამათა და ნათესავთა ცხოვრების“ იმ ნაწილში, სადაც სპარსელთა ბაძლიერების შესახებ არის საუბარი, ასახული უნდა იყოს აქემენიდთა სპარსეთის მძლავრობისა და წარმატებების ხანა (ძვ. წ. ა. 558—330). და აი, როგორც აღვნიშნეთ, თავისი თხზულების სწორედ ამ ნაწილში აქვს მოთხრობილი ლეონტი მროველს ჰერეთის პოლიტიკური ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ფაქტი. ლეონტი გვაუწყებს: სპარსეთის მეფე აფრიდონმა მთელი თავისი ქვეყანა სამ შვილს გაუნაწილა. ერთ-ერთ მათგანს, სახელად იარედს, მისცა სპარსეთი. მასვე წილად ერგო ქართლის მფლობელობა. იარედის დროს, ქვეყნის შიგნით, ძმათა შორის ურთიერთბრძოლა ამტყდარა. ამ ბრძოლას თვით იარედი შეეწირა. ამ „მარჯუე ჟამით“ კარგად ისარგებლეს „ქართლოსიანებმა“ და, როგორც ლეონტი გადმოგვცემს, „ეზრახნეს ოვსთა, გარდმოიყვანეს ოვსნი და პოვეს ერისთავი სპარსთა ველსა გარე, და კნისობდა, და მოკლეს იგი. და რომელ პოვეს სპარსი, ყოველი მოსწყუეტეს ოვსთა და ქართველთა, და განთავისუფლდეს ქართველნი, ხ ო ლ ო რ ა ნ ი დ ა ჰ ე რ ე თ ი დ ა რ ჩ ა ს პ ა რ ს თ ა“[4]. მოტანილ ხაწყვეტში ჩვენს ყურადღებას იპყრობს მემატიანის სიტყვები: „რანი ღა ჰერეთი დარჩა სპარსთა“. ტერმინ „რანის“ ქვეშ აქ ალბანეთი იგულისხმება, ხოლო „ჰერეთი“ კი, ბუნებრივია ჰერული ტომების სამოსახლოს აღნიშნავს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, რა თქმა უნდა, ერთობ ძნელია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად

---

[3] Г. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, зз. 35.

[4] ქ ც ბ ა, I, зз. 13—14.

შეესაბამება რეალურ-ისტორიულ სინამდვილეს ლეონტის მონათხრობის ესა თუ ის დეტალი, მითუმეტეს, რომ მოქმედ პირთა სახელებში (აფრიდონი, იარედი) აშკარად შეიმჩნევა ირანული ეპოსის გავლენაც (შდრ. „შაჰნამეს“: ფერიდუნი და ირეჯი). მაგრამ ერთი რამ მაინც ცხადია: ქართული წყაროს ამ ჩვენების მიხედვით, ალბანეთი და ჰერეთი სპარსეთის მიერ დამორჩილებულ ქვეყნებად მოჩანან. ხოლო ამ სპარსეთის ქვეშ კი თუ გავიზიარებთ ჩვენ მიერ ზემოთ მოცემულ დათარიღებას და აგრეთვე გავითვალისწინებთ ზოგად ისტორიულ პერსპექტივას, უნდა ვიგულისხმოთ აქემენიდების სახელმწიფო. როგორც ჩანს, ძვ. წ. VI საუკუნის შუახანებში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსულმა აქემენიდების სპარსეთის ძლიერმა სახელმწიფომ თავის ექსპანსიის ორბიტაში ჰერული ტომებიც მოაქცია. ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ლეონტის ზემოაღნიშნული ჩვენება დასტურდება იმ პარალელური მასალით, რომელიც ძველ ბერძნულ წყაროებში მოიპოვება. მხედველობაში გვაქვს ჰეროდოტეს ცნობა, რომლის მიხედვითაც დარიოს I (521—485) მიერ შექმნილ მეთერთმეტე სატრაპიაში, სხვა დამორჩილებულ ტომებთან ერთად, შედიოდნენ ალბანური მოდგმის კასპიები[5], როგორც კ. ტრევერმა დაადგინა, ძვ. წ. ა. V საუკუნეში ტერმინ „კასპიებით“ აღინიშნებოდა არა მარტო უშუალოდ კასპიების ტომი, არამედ საერთოდ ალბანურ გაერთიანებაში შემავალი ტომები[6]. ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, სარწმუნოდ ხდის ლეონტი მროველის ჩვენებას. ქართულ წყაროებში შემონახული ეს მითითება, უნდა შეიცავდეს შორეულ გამოძახილს იმ უძველესი ეპოქის შესახებ, როდესაც ჰერული ტომები ჯერ კიდევ ალბანურ გაერთიანებაში იმყოფებოდნენ. - ჰერული ტომების გამოსვლა ალბანურ გაერთიანებიდან და მათი პოლიტიკური შერწყმა იბერებთან ძალზე ადრე დაიწყო. განსაკუთრებით ინტენსიური ხდება ეს პროცესი ძვ. წ. ა. IV საუკუნის დასასრულისა და III საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც, ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, წარმოიქმნა ქართლის (იბერიის) ადრეკლასობრივი სახელმწიფო. უნდა აღინიშნოს, რომ „არ შეიძლება გამოირიცხოს ჰერების როლი იბერიის სამეფოს ჩამოყალიბების პროცესში. ამ მხრივ განსაკუთრებით მჭიდროდ დაუკავშირდა ჰერების ისტორია და პოლიტიკური ცხოვრება საქართველოს აღმოსავლეთი პროვინციის — კახეთის ისტორიას“[7]. ქართლის (იბერიის) სამეფოს ხელისუფალნი იმთავითვე იწყებენ ზრუნვას მათი მონათესავე და უშუ-

---

[5] ჰ ე რ ო დ ო ტ ე, III, 92.

[6] К. В. Т р е в е р, Очерки по истории и культуре Кавказской Албании, გვ. 50—51.

[7] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, კამარახევის სამაროვანი, გვ. 40.

ალოდ მოსაზღვრე ჰერული ტომების თავიანთი გავლენის სფეროში მოქცევისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ძვ. წ. ა. II—I სს., როდესაც იწყება ალბანური სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება[8], ჰერული ტომები ამ პოლიტიკური წარმონაქმნის ორბიტაში, საფიქრებელია, უკვე ალარ იგულისხმებოდნენ. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ჰერული ტომების იბერებთან შერწყმის პროცესი? ა. აფაქიძე, ჰერული კულტურის ძეგლთა შესწავლის საფუძველზე, ამ პროცესს ასე სახავს: „უნდა ვიფიქროთ, რომ V—IV სს. ჰერებს უკავიათ მტკვრის შუა დინების მიდამოები; რა თქმა უნდა, ამ დროისათვის იბერებიც მოღწეულნი არიან და იწყება ჰერთა „შევიწროება“ აღმოსავლეთით. ეს მეტად რთული პროცესი ჩანს. უკვე აქ, მერმინდელ იბერიის ტერიტორიაზე, იწყება შეერთება ჰერთა და იბერთა, იწყება შერევა მონათესავე ტომთა ორი არაერთდროული ნაკადისა. ამიტომ არის, რომ ჰერთა განდევნა კი არ დაწყებულა, დაიწყო მსხვილ ტომთა გაერთიანება იბერთა — ქართთა მეთაურობით, რაც იგივეა, რასაც სამეფოს შექმნის პროცესს უწოდებენ... ამ პროცესში შესაძლოა ჰერთა ტალღა სამხრეთ-აღმოსავლეთით უფრო ინტენსიურად გავრცელებულიყო. რაც უფრო შორს მიდიოდა ქართების ჰეგემონია, მით უფრო შორს მიდიოდა ჰერთა ტალღაც, ჰერთა კულტურაც, ისე, რომ ძვ. წ. ა. ბოლოსათვის მას უკვე ჯეირან-ქეჩმასა და ჩოხურ-იურტამდე მიუღწევია“[9]. ა. აფაქიძის აზრით, აღმოსავლეთ კახეთში მსხდომი „კავკასიური მოდგმის ჰერთა სამხრეთ-აღმოსავლეთით გავრცელებისათვის ხელი მაინცდამაინც არ უნდა შეეშალათ აგრეთვე კავკასიური მოდგომის ხალხებს, რომლებიც ამ და საერთოდ ძველი ალბანეთის მიწა-წყალს ფლობდნენ. ე. ი. ჰერთა „მიგრაციაც“ მეგობრულ გარემოში მიმდინარეობდა. ამან თავისებური შედეგიც გამოიღო. უნდა დაწყებულიყო ორმხრივი ასიმილაცია. ამ პროცესში აღმოსავლეთ კახეთის მახლობლად მსხდომ ალბანელთა ნაწილი ჰერთა მიერ იქნა ასიმილებული, ხოლო უფრო ღრმად ალბანეთში გაჭრილი ჰერების ასიმილაცია, პირიქით, ალბანელებმა მოახდინეს და ამ გზით თანდათან შეიქმნა საფუძველი ჰერთა საერისთავოს ან შეიძლება საპიტიახშოს ჩამოყალიბებისათვის. ასეთ ვითარებაში სრულიად ბუნებრივია ჰერულ ან ჰერთა კულტურის ძეგლებს ვხვდებოდეთ არა მარტო ჰერეთში, არამედ იბერიასა და ალბანიაში“[10].

---

[8] К. В. Тревер, К вопросу о культуре Кавказской Албании, Москва, 1960, გვ. 2—3.

[9] ა. აფაქიძე, ანტიკური ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959, გვ. 272—273.

[10] ა. აფაქიძე, ანტიკური ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 273.

ქართის ტომის აღმოსავლეთისაკენ (ჰერეთის ტერიტორიისაკენ) გავრცელების შესახებ ზოგიერთ სარწმუნო მითითებას გვაძლევს ტოპონიმიკური მასალა. მაგალითისათვის ავიღოთ ჰერეთის ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული პუნქტი — კახი (აზერბაიჯანის სსრ, კახის რაიონი), რომელიც იმის ნათელი მოწმობაა, თუ სადამდე მიეღწევიათ ქართლის მოდგმის კახებს[11].

იბერიის პოლიტიკური გავლენის ზრდა ჰერეთის ტერიტორიაზე წერილობითი წყაროების მიხედვითაც დასტურდება. ლეონტი მროველის თხზულებაში მოიპოვება ცნობები, საიდანაც ჩანს ქართლის სახელმწიფოს პოლიტიკურ მესვეურთა საქმიანობა ჰერეთის ტერიტორიაზე. კერძოდ, უკვე მეოთხე მეფე ფარნაჯომ ნებროთიანის დროს (ძვ. წ. ა. II საუკუნის პირველი ნახევარი), ყვარლის წყალზე (ალაზნის შენაკადი) საფუძველი ჩაეყარა ქალაქ ნეკრესს (აწინდელ შილდასთან). ლეონტის გადმოცემით, „ამან ფარნაჯომ მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება... და იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“[12]. იმავე ლეონტი მროველის მოთხრობით, ქ. ნეკრესის მშენებლობა დასრულებულა მეცხრე მეფის არშაკ მირვანის ძის დროს (ძვ. წ. ა. I საუკუნის მეორე ნახევარი): „ამან არშაკ განაშენა ნელქარ, ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრესი“[13]. ქ. ნეკრესი ჩვენ მიერ ზემოთ ნაჩვენებ ჰერეთის ფარგლებში თავსდება. კერძოდ, იგი მდებარეობდა ჰერული ტომების — ჭილბების ტერიტორიაზე. ამრიგად, როგორც ვხედავთ უკვე ძვ. წ. II საუკუნიდან ჰერეთის ჩრდილო რაიონები ქართლის სამეფოს შემადგენლობაში არიან მოქცეულნი[14].

რაც შეეხება ჰერეთის სამხრეთ რაიონებს, კამბეჩანსა და მის მიმდგომ მხარეებს, აქეთკენ იბერიის წინსვლა, ძვ. წ. ა. II ს. და I ს. პირველ ნახევარში, ერთგვარად ფერხდება მეზობელი სომხური სამეფოების შემოტევის გამო. ზემოთ ჩვენ მოვიტანეთ სტრაბონის ცნობა (XI, 14, 4) იმის შესახებ, რომ ერთიანმა და ძლიერმა სომხურმა სამეფომ შესძლო კამბეჩანში შეჭრა და მისი ხელში ჩაგდება. მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო. სულ მალე სომხეთის ჰეგემონიას ამ მხარეში ბოლო ეღება და უკვე ძვ. წ. ა. I საუკუნის 60-იან წლებში, პომპეუსის ლაშქრობათა პერიოდში, როგორც ეს დიონ კასიოსის „რომის ისტორიაში“ დაცული ცნობების (XXXVII, თავი 3—4) ანალიზიდან ჩანს, კამბეჩანი იბერიას ეკუთვნის. იბერიის სამეფოს შემადგენ-

---

[11] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, უჯარმა, გვ. 41.
[12] ქ ც ბ ა, I, გვ. 29.
[13] ქ ც ბ ა, I, გვ. 33.
[14] Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, გვ. 127, 297—298.

ლობაშია და იბერიის მეფეთა ბატონობას ექვემდებარება კამბეჩანი ახ. წ. ა. I საუკუნის 70—80-იან წლებშიც. ამაზე მიგვითითებს ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ჩვენება ლეონტი მროველის თხზულებიდან[15], რომელიც შეეხება ქართლში აზორკ და არმაზელის (=მითრიდატ II) მეფობის ხანას. ამრიგად, ზემომოტანილი ცნობები მოწმობენ, რომ ჰერეთის შემოერთება იბერიის სამეფოსადმი თანდათანობით ხდებოდა. ძვ. წ. ა. III საუკუნის დასაწყისიდან დაწყებულმა ამ პროცესმა ძველი წელთაღრიცხვის დასასრული ხანისათვის უკვე მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო: ჰერეთის ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი, კერძოდ მისი ჩრდილოეთი და სამხრეთი რაიონები, იბერიის სამეფოს ფარგლებში მოექცა. შემოსაერთებელიღა რჩებოდა მხოლოდ ჰერეთის განაპირა, აღმოსავლეთი რაიონი.

ახ. წ. ა. I—II საუკუნეები ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკური ძლიერების ხანაა. როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები მოწმობენ, რომ ამ ხანაში ადგილი აქვს ქართლის ხელისუფალთა ძალაუფლების ძალზე დიდ ტერიტორიაზე გავრცელებას. იბერიის მმართველებმა მაქსიმალურად გამოიყენეს ხელსაყრელი საგარეო ვითარება (ბრძოლა რომსა და პართიას შორის) ამიერკავკასიაში თავიანთი პოზიციების განმტკიცებისათვის, რამაც თავისი გამოხატულება, პირველ რიგში, რათქმა უნდა, საზღვრების გაფართოებაში ჰპოვა[16]. საზღვრები გაფართოვდა აღმოსავლეთის, კერძოდ, ჰერეთის მიმართულებითაც. როგორც ბერძენ-რომაელ მწერლებთან (ტაციტუსი, დიონ კასიოსი) შემონახული ზოგიერთი ცნობიდან ჩანს, აღნიშნულ ხანაში იბერიის მეფეები მიისწრაფიან არა მარტო ჰერეთის იმ დარჩენილი ტერიტორიის შემოერთებისაკენ, რომელიც ჯერ კიდევ ალბანეთის ფარგლებში იმყოფებოდა, არამედ ისინი საერთოდ მთელ ალბანეთზე გაბატონებასაც კი ლამობენ. ჰერეთის შემოერთებისათვის წარმოებულ ბრძოლას, ზოგიერთ შემთხვევაში, აშკარა სამხედრო შეტაკებების ხასიათიც კი მიეღია. ამაზე მიგვითითებს ტაციტუსის ცნობა, რომელიც ახ. წ. ა. I საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისს (51 წ.) შეეხება. ტაციტუსის მოთხრობით, იბერიის მეფე ფარსმან I (ახ. წ. ა. I ს. 30—60-იანი წლები) ომი ჰქონია ალბანეთის მეფესთან და ამ ომში იგი რომაელებისაგან დახმარებასაც კი თხულობდა[17]. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ალბანეთის ფარგლებში მყოფი ჰერეთის აღმოსავლეთი რაიონების შემოერთება უნდა ყოფილიყო. უფრო მეტიც, ტაციტუსის ზემოხსენებულ ცნობაზე დაყრდნო-

---

[15] ქ ც ბ ა, 1, გვ. 45—46.

[16] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 337—338.

[17] Cornellius Tacitus, Annales, XII, 45.

ბით გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ ფარსმან I მიისწრაფოდა ალბანეთზე სრული გაბატონებისაკენ. მისი აზრით, აღნიშნულ ხანაში, ძლიერი იბერიის სახელმწიფო დიდ საშიშროებას უქმნიდა ალბანეთის დამოუკიდებლობას[18].

ალბანეთში ლაშქრობას ადგილი ჰქონია მომდევნო ხანაშიც, იბერიის მეფის ქართამის დროსაც (ახ. წ. ა. I საუკუნის დასასრული — 80—90-იანი წლები). როგორც ჩანს, ალბანეთის წინააღმდეგ მოწყობილ ამ ლაშქრობაში ქართამს რომაელთა რაზმებიც გამოუყენებია. ამასთან დაკავშირებით, გ. მელიქიშვილმა ყურადღება გააამახვილა ბეიუკ-დაშის (ქ. ბაქოდან 70 კმ-ის დაშორებით) ლათინურ წარწერაზე, რომელშიაც იმპერატორ დომიციანეს (81—96 წწ.) ხანისათვის იხსენიება რომაელთა XII ლეგიონის ცენტურიონი ლ. იულიუს მაქსიმუსი[19]. გ. მელიქიშვილის შეხედულებით, აღნიშნულ ხანაში (I ს. 80—90-იანი წლების მიჯნა) რომაელთა რაზმების გამოჩენა ალბანეთის ტერიტორიაზე დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იბერების ლაშქრობასთან ალბანეთის წინააღმდეგ. ეს რაზმები აქ მოქმედებდნენ იბერთა მეფის დამხმარე ჯარების სახით[20].

II საუკუნის 30-იან წლებში კვლავ შეინიშნება იბერიის აშკარა მტრული აქტები ალბანეთის მიმართ. როგორც დიონ კასიოსი მოგვითხრობს, იბერიის მეფე ფარსმან II (ქართულ წყაროების ფარსმან ქველი, II ს. 30—50-იანი წლები) იმიერკავკასიიდან ალანები გადმოუყვანია და ისინი ალბანეთისათვის შეუსევია[21].

ზემომოტანილი ფაქტები ცხადყოფენ, რომ იბერიის მეფეები (ფარსმან I, ქართამი, ფარსმან II) ახ. წ. ა. I—II საუკუნეებში აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებენ ალბანეთის მიმართ. ასეთი გააქტიურება, ჩვენი აზრით, ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო იბერიის მეფეთა მისწრაფებით: თავიანთი პოლიტიკური ძალაუფლების სფეროში მოექციათ ალბანეთის ფარგლებში დარჩენილი ჰერეთის აღმოსავლეთი რაიონების მიწა-წყალი. თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ამას და აგრეთვე მხედველობაში მივიღებთ იბერიის მტკიცე სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობას აღნიშნულ ხანაში, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწორედ ახ. წ. ა. I—II საუკუნეები უნდა მივიჩნიოთ იმ

---

[18] Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 341—342.

[19] ამ წარწერის შესახებ იხ. З. И. Ямпольский, Вновь открытая латинская надпись у горы Беюк-Даш, ВДИ, 1950, № 1; Л. А. Ельницкий. Северочерноморские заметки, III, Римляне у Каспийских ворот, ВДИ, 1950, № 1; К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказкой Албании, გვ. 342—345.

[20] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 351—352.

[21] Cassius Dio, LXIX, 15, 1—2.

პერიოდათ, როდესაც უნდა მომხდარიყო ჰერეთის საბოლოო და მთლიანი შემოერთება-შემომტკიცება.

მესამე საუკუნის შუა ხანებისათვის ჰერულ ტომებს: ლბინებს და ჭილბებს, იბერებთან ერთად იხსენიებს X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი უხთანესი. იგი მოგვითხრობს იმ ბრძოლის შესახებ, რომელსაც აწარმოებდნენ კავკასიის ხალხები და რომი III საუკუნეში სასანიდი მეფის, არდაშირ პაპაკანის წინააღმდეგ. უხთანესის გადმოცემით, სომხეთის მეფე ხოსრომ, ვალარშ II შვილმა შესძლო სასანიდების ჯარის განადგურება. ამ ბრძოლისათვის ხოსროს ლაშქარი შეუკრებია აგრეთვე ალბანეთიდან, იბერიიდან, ლბინების, ჭილბების და კასპიების ტომებიდანაც. მასვე ეხმარებოდა აგრეთვე რომის იმპერატორი ფილიპე არაბი[22]. აქ უხთანესი, როგორც ჩანს, ცდება, როდესაც იგი იხსენიებს არდაშირს (226—241), რადგანაც ფილიპე არაბის დროს (244—249) სასანიანთა ირანში, უკვე მეფობდა შაბურ I (242—272). ამ შაბურ I თანამედროვე იბერიაში იყო მეთვრამეტე მეფე ამაზასპ I. უხთანესის მიერ მოთხრობილ ამბებს ეხება ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველიც. ლეონტი მროველი სამწუხაროდ არ იხსენიებს ჰერულ ტომებს — ლბინებს და ჭილბებს, სამაგიეროდ იგი გვაწვდის ზოგიერთ დამატებით ცნობებს, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ზემოაღნიშნული ბრძოლის მსვლელობის შესახებ. ლეონტის გადმოცემით, ქართლის მეფე ამაზასპ I ირანული ორიენტაციისა ყოფილა („შეიყუარნა სპარსნი“-ო), რის გამოც მას გადაუდგნენ სამეფოს მთელი რიგი ერისთავები — „ორნი ერისთავნი“ ეგრისისანი, ერთი ოძრხისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა“. აღნიშნულმა ერისთავებმა მხარი დაუჭირეს ირანის წინააღმდეგ მებრძოლ სომეხთა მეფეს, რომელმაც თავის მხრივ, ლეონტის გადმოცემით, „მოირთო ძალი საბერძნეთისცა“ (აქ უნდა იგულისხმებოდეს უხთანესის მიერ ნახსენები რომის იმპერატორი ფილიპე არაბი). მოწინააღმდეგეთა შორის მომხდარ ბრძოლაში, სპარსელები და მათი მოკავშირე ამაზასპი, მცირერიცხოვანი ქართველთა ლაშქრით, განადგურებულ იქნენ. ბრძოლაში მოიკლა თვით ამაზასპიც[23]. ზემოთ მოტანილი ქართულ-სომხურ წყაროების ცნობებიდან, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ III საუკუნეში, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჰერული ტომები უკვე აქტიურ როლს თამაშობენ.

მომდევნო საუკუნეში, მირიანის მეფობის ხანაში (IV საუკუნის I ნახევარი), ქართლის სამეფოს აღმოსავლეთი პერიფერია, ჰერეთი,

---

[22] M. Brosset, Deux historiens armeniens, 1re livrais., გვ. 250.

[23] ქ ც ბ ა, გვ. 57.

კვლავაც სახელმწიფო ხელისუფალთა შეუნელებელი ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ლეონტი მროველის მოთხრობით, ჯერ კიდევ მირიანის მცირეწლოვანობის დროს, როდესაც, მას მამამ „დაუტოვა მამამძუძედ და განმგებლად წარჩინებული ერთი, რომელსა ერქუა სახელად მირვანოზი“, „ამან მირვანოზ ჰმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს ყოველთასა მოამტკიცნა ზღუდენი ნეკრესისა ქალაქისანი“[24]. აქ, როგორც აშკარად ვხედავთ, ნეკრესს, რომელიც ჰერეთის ტერიტორიაზე მდებარეობს, მემატიანე უკვე განიხილავს „სიმაგრეთა ქართლისათა“ შორის, ე. ი. ქართლის ქვეყანაში შემავალ ქალაქად.

საყურადღებოა იმავე ლეონტის ჩვენება მირიანის მეფობის დასაწყის ხანას რომ შეეხება. ლეონტის გადმოცემით, სპარსეთის ხელმწიფე ქასრე სასანიანმა „ორმოცი ათასი მხედარი სპარსი რჩეული... დასხნა ჰერეთს და მოვაკანს და სომხითს“[25]. როგორც ვხედავთ, ქართლის განაპირა აღმოსავლეთ პროვინციაში ჰერეთში, ირანელთა ჯარი დგას. ცოტა უფრო ადრე, III საუკუნის შუახანებში, შაბურ I დროს, როგორც ზემოთ დავინახეთ, ირანელთა ქართლში დამკვიდრების ცდები იბერებმა და ჰერებმა რომაელთა დახმარებით (უხთანესის ცნობა) ერთგვარად გააქარწყლეს. ამჯერად კი, შაბურ II დროს (310—379), როგორც ჩანს, სასანიანთა ირანს გარკვეული წარმატებებისათვის მიუღწევია. ამით უნდა აიხსნებოდეს, ჩვენი აზრით, ირანელთა ჯარის დგომა ჰერეთში.

მირიანის დროს ჰერეთში ქართლის პოლიტიკური ძალაუფლების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხარეში ქრისტიანობის გავრცელებას. ქართულ საისტორიო წყაროებში დაცული ცნობებიდან ირკვევა, რომ ნინოს სამისიონერო მოღვაწეობის ობიექტთა შორის ერთ-ერთი ძირითადი რაიონი ჰერეთიც ყოფილა. საამისო ცნობებს ჩვენ გვაწვდიან „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანის და „წმ. ნინოს ცხოვრების“ შატბერდულ-ჰელიშური ნუსხები და აგრეთვე ლეონტი მროველი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, ჟალეთის შემდეგ ნინო „შთავიდა კხოეთა და დადგა კაწარეთს და მონათლნა კხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით“[26]. ჰელიშურ ტექსტში „კხოეთას“ ნაცვლად „კაუხეთია“ ნახმარი, ამის შესაბამისად „კხოელნის“ მაგიერ „კაოხნი“, ხოლო „სოჯნი“-ს მაგიერ კი „სუჯნი“[27]. ამის შემდეგ ნინო „გარდავიდა

---

[24] ქ ც ბ ა, 1, გვ. 65.

[25] ქ ც ბ ა, 1, გვ. 65.

[26] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 89.

[27] ი ქ ვ ე.

კახეთა და დადგა ქცელ დაბას. და მოიყვანნა კაცნი მთავარნი. და მონათლნა. და დასნეულდა და წარმოემართა მცხეთად. და ვითარცა მოიწია კხოეთსს, დაბასა, რომელსა ჰრქვიან ბოდინი, ვერღარა ეძლო სლვად"[28]. ჭელშურ ტექსტში ვკითხულობთ: „გარდავიდა დიდად კახეთად. და დადგა სანატრელი იგი ქველ დაბას. და მოიყვანნა კაცნი მთავარნი, ამათვე მეფეთა ნათესავნი, და ნათელსცა და განიშორა ნათლვაჲ მათი. ხოლო მას ჟამსა ვინაჲთგან დასნეულდა და წარემართა და მიიწია კოხეთად, დაბას, რომელსა ეწოდების ბოდისი, და ვერღარა უძლო სლვად"[29]. ჭელიშურ ნუსხაში ვრცლად არის მოთხრობილი აგრეთვე, ნინოს მიერ ჰერეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სუჯებისა და მათი დედოფლის მოქცევის ამბავი[30]. განაგრძობს რა თხრობას ნინოს შესახებ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მატიანე აღნიშნავს: „ვითარ მოიწია ქუეყანასა კხოეთისასა (ჭელიშ. კოხეთისსა), დაბასა ბუდს (ჭელიშ. ბოდისი), დასნეულდა სნეულებითა მით, რომლითაცა მოცაკუდა"[31]. ამავე ამბების შესახებ ლეონტი მროველი ასე მოგვითხრობს: ჟალეთიდან „წმინდა ნინო წარემართა წარსვლად რანს, მოქცევად ფეროზისა. და ვითარცა მიეახლა კუხეთს, დაბასა ბოდისასა, დაყენა მუნ დღენი რაოდენნიმე და მოვიდოდეს მისსა კახეთით, ჰკითხვიდეს და აღიარებდეს სწავლასა მისსა სიმრავლე ერისა. მაშინ დასნეულდა მუნ"[32]. ხოლო როდესაც ნინო გარდაიცვალა „მივიდეს და დამარხეს ძლევით შემოსილი გუამი მისი ადგილსავე ზედა კუხეთს, დაბასა ბოდისსა, რამეთუ მუნ ითხოვა თვით დაფლვა მეფისაგან"... „აღასრულა ესე ყოველი ღმრთივ-განბრძნობილმან მირიან მეფემან" და „განამტკიცა ყოველი ქართლი და ჰერეთი სარწმუნოებასა ზედა"[33].

საკითხის სისრულით გაშუქებისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმ ცნობების მოტანა, რომელიც შემოუნახავს XII საუკუნის მწერალს, არსენ ბერს თავის თხზულებაში — „ცხოვრება წმინდა ნინოსი". არსენ ბერს სხვადასხვა ლიტერატურული წყაროების მოშველიებით, ლეონტი მროველის „ნინოს ცხოვრება" გადაუმეფრასტებია და მოუცია მისი ახალი რედაქცია. თვით არსენი ამბობს: „მიწყია ლიტონითა სიტყვითა (აღწერად) იგი პირი, რომელი ძუელსა შინა სწერია, არცა შემიმატებია, არცა დამიკლია, არამედ ძალი სიტყვისაჲ და გამოცხადებაჲ საქმისაჲ მოკლედ და მარტივად წარმომითქუამს". ავ-

---

[28] ი ქ ვ ე.
[29] ი ქ ვ ე.
[30] ი ქ ვ ე, გვ. 99—102.
[31] ი ქ ვ ე, გვ. 104.
[32] ქ ც ბ ა, 1, გვ. 126.
[33] ქ ც ბ ა, 1, გვ. 128.

ტორი მართალია იმაში, რომ არ დაუკლია მისთვის, რაც ძველსა შინა ეწერა, ის სავსებით ამოუწურავს, მაგრამ ვერ დავეთანხმებით ავტორს, როდესაც ამბობს, რომ ძველისათვის არ შემიმატებია რაო. შემატებული ფაქტობრივი მასალა მას ბევრი აქვს[34]. ეს შემატება ეტყობა მისი თხზულების იმ ნაწილსაც, რომელშიაც მოთხრობილია ქრისტიანობის გავრცელება ჰერეთში. მასში ვკითხულობთ: „და მერმე შთავიდა კახეთად და კაწარეთს და მოიყვანნა სარწმუნოებად კუხნი და სუჯნი, და გარდავიდა ქველდაბას და მოუწოდა მთავართა კახეთისათა და უქადაგა სარწმუნოებაჲ ქრისტესი. ხოლო მათდა პირველივე უწყებული იყო ყოველი იგი სასწაული, რომელ იქმნა და ნათლისღებაჲ მეფისაჲ და მთავართა და ერისა მისისა. და სიხარულით შეიწყნარეს სწავლაჲ მისი და მოიქცეს და ნათელიღეს ხელითა მისვე იაკობ მღდლისაჲთა და მუნით მივიდა კხუ©თს დაბასა, რომელსა ეწოდების ბოდისი და მოვიდა მისსა დედოფალი კახეთისა სუჯი და მისთანა მსახურნი, და მხედრები და მონათა და მხევალთა სიმრავლე და უქადაგა და ასწავლა მათ სარწმუნოებაჲ ქრისტესი“[35].

ამრიგად, როგორც ამ ქართული წყაროებიდან ამოკრებილი ცნობებიდან აშკარად ჩანს, ნინოს სამოქმედო ასპარეზის ფარგლებში ერთ-ერთ ძირითად მონაკვეთს ჰერეთის ტერიტორია შეადგენდა. საინტერესოა ის მარშრუტი, რომლითაც ნინო მიემართება ჰერეთის ტერიტორიაზე: კაწარეთიდან (ლეონტი მროველი მას არ ასახელებს) იგი გადადის „დიდად კახეთად“, აქ იგი ერთ-ერთ „ქცელ დაბას“? (ჭელიშ. „ქველ დაბას“) დასნეულდა. უნდა აღინიშნოს, რომ ნინოს მისიონერული საქმიანობის ფარგლები ერთნაირად როდია ლოკალიზებული „მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს“ მატიანესა, ნინოს ცხოვრების შატბერდულ-ჭელიშურ რედაქციებსა და ლეონტი მროველის „მამათა და ნათესავთა“ ცხოვრებაში. ეს პირველ რიგში სწორედ ამ „ქცელ (თუ ქველ) დაბაზე“ ითქმის. არ ჩანს რომელი პუნქტი უნდა იგულისხმებოდეს მის ქვეშ. ამ პუნქტის ადგილმდებარეობის საკითხით ჯერ კიდევ ნინოს ცხოვრების არსენ ბერისეული რედაქციის გამომცემელი პ. კარბელაშვილი დაინტერესებულა. მისი შეხედულებით, „ქცელ (ქველ) დაბა“ კისისხევია (წინანდალთან). იგი წერს „ქველდაბა უნდა ყოფილიყო ეხლანდელი წინანდალი ანუ ყისისხევი, რადგან ხაშმიდან დაწყებული გზა-გზა სოფლები იყო: პატარძეული, ნინოწმინდა, თუალი, აქედან გომბორის მთაზედ გზა გადიოდა ყისის ხევისაკენ, დღეს სო-

---

[34] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1, თბ. 1951, გვ. 293.

[35] ცხოვრება წმინდა ნინოსი, საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის გამოცემა, № 10, პ. კარბელაშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1903, გვ. 40—41.

ფელი ქველდაბა მდებარეობს ქსნის ხეობაში, დაბაკნეთს ახლო"[36]. ს. ერემიანის აზრით ქართული წყაროების ქველ დაბა უნდა იყოს VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში მოხსენებული „ქუშედა" (*քուշեդա*)[37]; მისი შეხედულებით, ქველ დაბა არის თანამედროვე ძველ დაბა, რომელიც მდებარეობს თიანეთის აღმოსავლეთით. როგორც ს. ერემიანი აღნიშნავს, ქველ დაბა წარმოადგენდა „დიდი კახეთის" ცენტრს[38].

ქველ დაბიდან ნინო წარმოემართა მცხეთისაკენ და გზად გამოუვლია ბოდინში (ჭელშ. ბოდისი) resp. ბოდბეში. ქველ დაბიდან ბოდბემდე ნინოს დიდი გზა უნდა გაევლო, კერძოდ თითქმის მთელი აწინდელი შიდა კახეთი და, რა თქმა უნდა, იგი ამ ტერიტორიაზეც იქადაგებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას[39].

ნინოს რომ ჰერეთის ტერიტორიაზედაც განუხორციელებია თავისი საგანმანათლებლო მისია, ეს ჩანს იქიდანაც, რომ ზოგიერთი წყარო მას „ჰერეთის განმანათლებლად" თვლის. კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს „ნინოს ცხოვრების" ის ტექსტი, რომელიც წარმოადგენს არსენ ბერის (XII ს.) თხზულების პერიფრაზულ რედაქციას, ავტორი მისი უცნობია. „ცხოვრების" უძველესი ნუსხა შემონახულია XIII საუკუნიდან. და აი, მასში ვკითხულობთ: „ესრეთ პატივით და კრძალულებით პატივსცეს წმიდასა და ნეტარსა მოციქულსა და განმანათლებელსა ქართლისასა, კახეთისასა და ჰერეთისასა, სამგზის სანატრელსა ღმერთივ დიდებულსა ნინოს"[40].

წმ. ნინოს სამოციქულო მოღვაწეობის უკანასკნელი ეტაპის შესახებ პროფ. ს. კაკაბაძეს „მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს" ანალიზის საფუძველზე გამოთქმული აქვს განსხვავებული შეხედულება. იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ნინოწმინდის ტეტრაკონქი აგებულია იმ ადგილას, სადაც გარდაიცვალა ნინო. ს. კაკაბაძე აღნიშნავს: „მოქცევაჲ ქართლისაჲს" გადმოცემით ნინო მოვიდა რა კუხ(ეთ)ში, გაჩერდა კაწარეთს და ამის შემდეგ იგი გადავიდა კახ(ეთ)ში. კახეთიდან მცხეთისაკენ მიმავალი ნინო გზაში გარდაიცვალა კუხ(ეთ)ის პროვინციის სოფელ ბოდისში. და აი, ს. კაკაბაძის აზრით, სოფელ ბოდისის და სოფელ ბოდბეს ერთმანეთთან გაიგივება შეუძლებელია, რადგან ამ უძველეს ეპოქაში კახეთის სახელწოდებით ცნობილი იყო თანამედროვე

---

[36] ცხოვრება წმინდა ნინოსი, პ. კარბელაშვილის გამოცემა გვ. 41.

[37] J. Saint-Martin, Memoires historiques et geographiques sur l'Armenie, t. II, გვ. 358—359.

[38] ს. ერემიანი, სომხური გეოგრაფია, გვ. 89—90; იხ. თანდართული რუკა.

[39] დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 43—44.

[40] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია, I შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 231.

კახეთის მხოლოდ მთიანი ჩრდილოეთი ნაწილი, ხოლო მდინარეების არაგვისა და მტკვრის აღმოსავლეთით ვიდრე გომბორის ქედამდე გადაჭიმული იყო კუხ(ეთ)ი, კუხეთის აღმოსავლეთით კი მდებარეობდა ქართული ჰერეთი ე. ი. ალბანეთის ნაწილიო. სოფ. ბოდბე, განაგრძობს ს. კაკაბაძე, მდებარეობს ჰერეთის ტერიტორიაზე, სოფელი ბოდისი კი, სადაც გარდაიცვალა ნინო, იმყოფება კუხ(ეთ)ში. ყოველივე აქედან გამომდინარე, ს. კაკაბაძე ამტკიცებს, რომ სოფ. ბოდისი არის ძველი სახელწოდება სოფ. ნინოწმინდისა, რომელმაც თავისი სახელი მიიღო მირიანის მიერ IV საუკუნეში, ნინოს გარდაცვალების ადგილას, მის საპატივცემულოდ აგებული ტაძრისაგანო[41]. ს. კაკაბაძეს ბოდბე—ბოდისის იგივეობის უარყოფად და ბოდისის ნინოწმინდაში გადმოტანისათვის საბუთად მაინცდამაინც ვერ გამოადგება ის ფაქტი, რომ ბოდისი, სადაც ნინო გარდაიცვალა, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით კუხეთშ. ., ხოლო ბოდბე კი, რომელთანაც ჩვეულებრივად ბოდისს ანუ ბოდინს აიგივებენ, ჰერეთის ტერიტორიაზეა. ჩვენ ზემოთ, ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოს სამი მხარის, „კახეთის“, „კოხეთის“ ანუ „კუხეთის“ და „ჰერეთის“ საზღვრები ერთმანეთში ირევა, რის გამოც ერთი და იგივე პუნქტი ხან ერთშია ნაჩვენები, ხან მეორეში. ასე მაგ. ჩვენთვის საინტერესო პუნქტი დაბა ბოდი resp. ბოდინი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ორივე ნუსხის (შატბერდ. და ჭელიშ.) და ნინოს ცხოვრების ჭელიშისეული ხელნაწერისდა მიხედვით იყო „ქუეყანასა კოხეთისსა“ (resp. კუხეთში)[42], ნინოს ცხოვრების შატბერდისეული ვარიანტით კი „კახეთისა ქუეყანასა“[43]. ქართლის ცხოვრების მიხედვითაც, დაბა ბოდისი ხან კუხეთშია,[44] ხან კახეთში [45]. ვფიქრობთ, ასეთი აღრევა ამ პუნქტის ადგილმდებარეობის ჩვენებისას, გვიანდელი გადამწერლების საქმე უნდა იყოს. ეს გარემოება კი აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბოდი resp. ბოდინის ლოკალიზაციის გარკვევისას. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ქართლის ცხოვრების რუმიანცევისეული (1703 წლამდე), თეიმურაზისეული (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი) და საეკლესიო მუზეუმის (1748 წლის) ნუსხების მიხედვით დაბა ბოდი ჰერეთში ითვლებოდა

---

[41] С. Какабадзе, Нинощминдский памятник, Бюллетень Кавказского историко-археологического института в Тифлисе, № 4, Тифлис 1928 г., გვ. 6.

[42] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1, გვ. 89, 104, 161.

[43] ი ქ ვ ე, გვ. 161.

[44] ქ ც ბ ა, ანასეული, გვ. 77, 82.

[45] ქ ც ბ ა, ანასეული, გვ. 80.

(ამ ნუსხებში ჰერეთი“ გვხვდება „ერეთის“ ფორმით)[46]. ნიშანდობლივია აგრეთვე ისიც, რომ ვახუშტი ბაგრატიონიც, თავის საქართველოს ისტორიის I ნაწილში დაბა ბოდს ჰერეთში უჩვენებს. იგი აღნიშნავს: „არამედ ვინაიდგან ეთქვა წმინდასა ნინას მუნ დაფლვა თვისი სიმდაბლისათვის, დაფლეს დაბასა ჰერეთისასა ბოდას“[47].

როგორც დავინახეთ, ჰერების გაქრისტიანების ამბავს ქართულ წყაროებში საკმაოდ დიდი ყურადღება აქვს დათმობილი. ეს კი იმის მაჩვენებლად უნდა ჩავთვალოთ, რომ ჰერების ქრისტიანიზაციას სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფალნი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ქართლის სახელმწიფოს მიერ ქრისტიანულ-მისიონერული მოღვაწეობის მისწრაფებათა აღმოსავლეთით, ჰერეთისაკენ მიმართვა ბუნებრივიც იყო, რადგან სამხრეთი, სამხრეთ-დასავლეთი და დასავლეთი მოქცეული იყო უკვე ქრისტიანიზებულ სახელმწიფოთა გავლენის სფეროში; ამ მხარეებში თავიანთი მოღვაწეობა გაეშალათ ბიზანტიას, ანტიოქიას და სომხეთს. მისიონერული მოღვაწეობისათვის სარბიელი რჩებოდა მხოლოდ ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. და აი, სწორედ აქეთკენ წარიმართა ქართლის ეკლესიის ექსპანსია, რომელსაც აქეზებდა და მხარს უჭერდა სახელმწიფოც. ამ მიმართებით, მეტად დამახასიათებელია ნინოს მისიონერული ექსპედიციის მარშრუტი: ჯერ ჩრდილოეთით მთეულებში (წობენამდე), ხოლო შემდეგ კი აღმოსავლეთით — ჰერეთისაკენ. ჰერეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელების ფაქტიდან აშკარად ჩანს, თუ როგორ იბრძოდა ქართლის სამეფო ხელისუფლება და ქრისტიანული ეკლესია იმისათვის, რათა საბოლოოდ თავისთან გაიერთიანებინა მონათესავე ჰერული ტომები: ჰერები, სოჯები, ელარბიელნი და ჭილბები. ეს ბრძოლა თავის მხრივ დაკავშირებული იყო ქართველი ხალხის შემდგომი კონსოლიდაციის საკითხთან. საშუალო საუკუნეებში რელიგიური ნიშანი, ე. ი. ამა თუ იმ საეკლესიო ორგანიზაციისადმი დაქვემდებარება, ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტი იყო, რომლის მიხედვითაც განისაზღვრებოდა ინდივიდისა თუ კოლექტივის შესაბამის ეთნიურ ერთობაში წევრად ყოფნა. ჰერების ქრისტიანიზაციის შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს ვიმსჯელოთ არა მარტო მათ კულტურულ-პოლიტიკურ ორიენტაციაზე, არამედ მათ ეთნიკურ თვითშეგნებაზედაც, მათ შეგნებაზე იმის შესახებ, თუ რომელ ეთნიურ წრეში შედიან. და აი, ქრისტიანობის მთავარი დამნერგავი, ქრისტია-

---

[46] ქ ც ბ ა, ანასეული, გვ. 128, სქოლიო.

[47] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, დ. ბაქრაძის გამოცემა, ტფილისი, 1885, გვ. 73.

ნული კულტურის უახლოესი ცენტრი, ჰერეთისათვის იყო ქართლი; აქედან მიდიან მისიონერები, აქედან წარმოებს ქრისტიანობის პროპაგანდა და აქედანვე ხორციელდება შესაბამისი სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი. აღებულ პერიოდში (IV საუკუნის პირველი ნახევარი) ჰერეთის გაქრისტიანებაში ქართლის გარდა, სხვა რომელიმე ქრისტიანულ-საეკლესიო ცენტრის მონაწილეობა გამორიცხულია. მომდევნო საუკუნეებში (VI საუკუნიდან) კი ჰერეთში ქართულ ეკლესიას გარკვეულ მეტოქეობას უწევს სომხური მონოფიზიტური — ანტიქალკედონიტური ეკლესია, მაგრამ აქაც, ბრძოლაში გამარჯვებული მაინც ქართული ე. ი. ქალკედონიტური ეკლესია გამოდის (X ს.). ჰერეთის ქრისტიანიზაცია მოასწავებდა ძლიერი იდეოლოგიური ბერკეტის შექმნას ჰერების ქართველებთან ეთნიკურად საბოლოოდ შერწყმისათვის.

IV საუკუნის I ნახევარში, ლეონტი მროველის ცნობების მიხედვით, ჰერეთი ქართლის სახელმწიფოში შემავალ ქვეყნად ითვლება. „და მეფობდა მირიან მუნ ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს. და აქუნდა ეგრისიცა, ვიდრე ეგრის წყლამდე“[48]. „ესე ყოველი ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს ზედა მოურთეს მირიან მეფესა“[49]. ასევე, თავისი თხზულების სხვა ადგილსაც, ლეონტი მროველი კატეგორიულად აცხადებს: „და მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს“[50].

საყურადღებოა აგრეთვე „ანდერძი მირიან მეფისა ძისა თვისისა მიმართ რევისა და ცოლისა თვისისა ნანაჲსა“, რომელიც შემონახულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში (II ნაწილი, ნინოს ცხოვრების შემცველი) და ლეონტი მროველთანაც[51]. მირიანი საგანგებოდ ავალებს თავის მემკვიდრეებს ჰერეთის ტერიტორიაზე მდებარე ბოდბის, ნინოს სამარხავი ადგილის, დაცვას, „რათა არა შეირყიოს უკუნისამდე იგი ადგილი“ „ყამთა შეცვალებისაგან“: „აჰა ესერა მე წარვალ, ვინაჲცა მოვედ, და შენ, ნანა, უკუეთუ მოგეცეს შენ ღმრთისამიერი ყამი ცხოვრებისა შემდგომად ჩემსა, განყავ სამეფო ჩემი ორად. და მიიღე ბოდს სამარხოსა წმიდისა ნინოჲსსა, რათა ჯამთა სიგრძემან და შეცვალებამან არაოდეს შეარყოს ადგილი იგი“[52].

ფრიად საინტერესოა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორის გამოთქმა „ყოველი ქართლი“ (ტელიშ. „ერთობილი ქართლი“), რომელ-

---

[48] ქ ც ბ ა, I, გვ. 70.
[49] ქ ც ბ ა, I, გვ. 67.
[50] ქ ც ბ ა, I, გვ. 65.
[51] ქ ც ბ ა, 1, გვ. 129.
[52] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1, გვ. 162.

საც ის ხმარობს IV საუკუნისათვის, ნინოს გარდაცვალების ამბავთან დაკავშირებით. იგი მოგვითხრობს: „მაშინ შეიძრნეს ორნი ესე ქალაქნი: მცხეთა და უჟარმაჲ და ყოველი ქართლი (ჭელიშ. „ერთობილი ქართლი") სიკუდილისა მისისათვის. და მოვიდეს და დაჰმარხეს ძლევით შემოსილი გუამი მისი ადგილსავე ზედა ბუდს, დაბასა ჯხოეთისასა"[53]. როგორც ვხედავთ, ბოდბეში, ე. ი. ჰერეთში, „ყოველი ქართლი" შეკრებილა. ჩვენი აზრით, ეს იმას უნდა მოასწავებდეს, რომ აღებული ხანისათვის ჰერეთი ერთ-ერთი იმ ქართულ ქვეყანათაგანია, რომელიც „ყოველი ქართლის" პოლიტიკურ-ეთნიკურ ორგანიზმში შედის. საეჭვოუდებელია, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ავტორის (IX ს.) წარმოდგენით, ტერმინი „ყოველი ქართლი" resp. „ერთობილი ქართლი" IV საუკუნეში უკვე ჰფარავს, საკუთრივ ქართის გარდა, სხვა ტომების ცნებასაც: კახებისა, მესხებისა, ჰერებისა და სხვ. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ IV საუკუნეში „იბერიის სამეფო ქართლს, კახეთს, ჰერეთს და მესხეთს შეიცავდა"[54].

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული საკითხების შესახებ სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებანი და ლეონტი მროველის ცნობების არადამაჯერებელი ინტერპრეტაცია მოცემული აქვს პ. ინგოროყვას. პ. ინგოროყვა თავის მონოგრაფიაში — „ლეონტი მროველი — ქართველი ისტორიკოსი „ჰამბავთა მწერალი" VIII საუკუნისა" წერს: „ლეონტი მროველს ქართლი (იბერია) და ჰერეთი (დასავლეთი ალვანია) ორ სხვადასხვა ქვეყნად მიაჩნია, სხვადასხვა ეროვნულ-კულტურულ კოლექტივად... ლეონტი მროველს ჰერეთი ჯერ კიდევ მიაჩნია საქართველოდან — „ქართლის" — ქვეყნიდან (ე. ი. იბერიიდან) განკერძოებულ მხარედ. საინტერესოა შემდეგი პარალელი. ლეონტი მროველს კავკასიის ხალხთა გენეალოგიურ შტოში ცალკ-ცალკე ჰყავს წარმოდგენილი (ენებისა და დიალექტების მიხედვით) შამამთავარნი ქართლისა, ეგრისისა და ჰერეთისა. მაგრამ ეგრისი ითვლება საქართველოს განუყოფელ ნაწილად, ჰერეთი კი — არა ასეთი შეხედულება შეუძლებელია გამოეთქვა ქართველ მწერალს VII—VIII საუკუნეზე უფრო გვიან ხანაში.

VIII საუკუნიდან მოკიდებული ჰერეთი საბოლოოდ შედის ქართული კულტურის გავლენის ზონაში, ქართული ქვეყნების კოლექტივში"[55]. ამავე შრომის სხვა ადგილას კი პ. ინგოროყვა აღნიშნავს: „ლეონტი მროველის თხზულებაში წარმოდგენილია კავკასიის ხალხთა გენეალოგიური შტო, რომელშიც ენებისა და დიალექტების მიხედ-

---

[53] ი ქ ვ ე, გვ. 90.
[54] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 272.
[55] ენიმკ-ის მოამბე, X, 1941, გვ. 116, 123.

ვით, ცალკე ერთეულებად არიან წარმოდგენილნი: ქართები (იბერები), ეგრისელები (მეგრელ-სვანები) და ჰერები.

ეროვნულ-კულტურული და სახელმწიფოებრივი ურთიერთობა ამ ტომებისა ლეონტი მროველს ასე აქვს წარმოდგენილი: ჰერების ქვეყანა, ლეონტი მროველის შეხედულებით, არ არის ნაწილი ქართლისა, ჰერეთი ცალკე სახელმწიფოებრივ-კულტურული კოლექტივია; ხოლო ეგრისი განუყოფელი ნაწილია ქართლის (იბერიის)"[56]. პ. ინგოროყვას მტკიცება, რომ თითქოს ლეონტი მროველის ჩვენებით ჰერეთი საქართველოს პოლიტიკურ ნაწილს არ შეადგენს და, რომ ჰერეთი მხოლოდ VIII საუკუნიდან შედის ქართული ქვეყნების კოლექტივში, დაუსაბუთებლად გამოიყურება. საამისო რაიმე არგუმენტი არც ლეონტი მროველის თხზულებაში და არც სხვა რომელიმე ქართულ საისტორიო წყაროში არსად არ მოიპოვება. პირიქით, ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ლეონტი მროველთან დაცული პირდაპირი ცნობებით, ჰერეთი მირიანის დროს, IV საუკუნის პირველ ნახევარში, „ქართველთა საკუთრებას შეადგენდა. ამ დროისათვის, ჰერეთი უკვე საბოლოოდ არის მოქცეული ქართლის სამეფოს პოლიტიკური და კულტურული გავლენის სფეროში. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ლეონტი მროველს კავკასიის ხალხთა გენეალოგიურ შტოში ცალკე ჰყავს წარმოდგენილი ჰერეთის მამამთავარი, ეს ჩვენ ვერ გამოგვადგება იმის საბუთად, რომ ჰერები მივიჩნიოთ ქართლისაგან დიამეტრალურად განსხვავებულ, სხვა „ეროვნულ-კულტურულ კოლექტივად".

(მირიანის მეფობის მომდევნო ხანაში, მისი შემკვიდრეების დროს, ჰერეთი ყოველთვის ქართლის შემადგენლობაშია. > ასე მაგალითად, ლეონტი მროველის გადმოცემით, როდესაც მირიანის ერთ-ერთ მემკვიდრეს, მეოცდაშვიდე მეფე, ვარაზ-ბაქარ მირდატისძეს განუდგნენ კლარჯნი და „მიერთნეს ბერძენთა", მაშინ, „დარჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი თვინიერ კლარჯეთისა და ჰერეთი და ეგრისი"[57] ქართულ საისტორიო წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით ჰერეთის ტერიტორიაზე ქართლის სამეფოს ხელისუფალნი მშენებლობასაც აწარმოებენ. ლეონტი მროველის მოთხრობით, ვარაზ-ბაქარის მემკვიდრემ, მეოცდარვე მეფე, თრდატმა „აღაშენა ეკლესია ნეკრესისა"[58]. ნეკრესის ეკლესიის მშენებლობის შესახებ, ცნობა და-

---

[56] ი ქ ვ ე, გვ. 130; პ. ინგოროყვას ამ მოსაზრების შესახებ იხ., აგრეთვე დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, უჯარმა, გვ. 64—65.

[57] ქ ც ბ ა, 1, გვ. 136—137.

[58] ქ ც ბ ა, I, გვ. 137.

ცულია აგრეთვე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში. ამ ცნობით, ეს ეკლესია აშენებულია ბაკურის ძმის, მირიანის შვილიშვილის თრდატ-მეფისა და მთავარეპისკოპოსის იობის დროს, რომელიც წინათ დიაკონად ყოფილა სომხეთის კათალიკოზ ნერსეს I პართელთან (353 — 373). „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ვკითხულობთ: „და დაჴდა მეფედ ძმაჲ მისი თრდატ და მთავარეპისკოპოსი იყო ნერსჱ სომეხთა კათალიკოზისა დიაკონი იობ. და მეფემან რუჲსთვისა რუჲ გამოიღო და ეკლესიისა საფუძველ დადვა, და მოს ზევე ნეკრესს კახეთისასა ეკლესიაჲ აღიშენა განსრულებით“[59]. „მოქცევაჲ ქართლისა “-ს და ლეონტი მროველის ცნობები ნეკრესის ეკლესიის მშენებლობის შესახებ, რომ სინამდვილეს შეეფერება, ამის მოწმობაა ნეკრესის მონასტრის (6—9 კმ-ზე სოფ. შილდიდან) არქიტექტურულ კომპლექსში დღემდე შემორჩენილი უძველესი, სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევები, რომელსაც აკად. გ. ჩუბინაშვილი IV საუკუნის მესამე მეოთხედით ათარიღებს[60].

IV საუკუნის მეორე ნახევარში და V საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც ცნობილია, ქართლის სამეფოს საგარეო ურთიერთობა გართულებულია. ძლიერდება სასანიანთა ირანის შემოტევები. ქართლის მეფის ხელისუფლების შეზღუდვის მიზნით, ირანელები აქ ჰქმნიან სპეციალურ დაწესებულებას — სპიტიახშოს. ქართლის მეფე ირანის შაჰისაგან ვასალურ დამოკიდებულებაშია. ქართლში სასანიანთა ირანის პოლიტიკური ბატონობის დამკვიდრება, რა თქმა უნდა, გარკვეულ ზეგავლენას მოახდენდა ჰერეთის ბედზეც.

V საუკუნის პირველი ნახევრისათვის, ჰერეთის ისტორიის შესახებ ქართულ წყაროებს შემოუნახავთ ერთი მეტად საყურადღებო ცნობა. კერძოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მემატიანე, ვახტანგ გორგასალის მამის მეფობისათვის აღნიშნავს: „და მერმჱ მეფობდა მირდატ და მთავარებისკოპოსი იყო გლონოქორ (ფელიშ. ბოლნოქონ). და ესე მთავარებისკოპოსი ერისთვადცა იყო ბარაზბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს“[61]. ჩვენთვის, ჰერეთის ისტორიის მკვლევარისათვის, ამ ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: შესაძლებლობა გვეძლევა გავეცნოთ V საუკუნის პირველი ნახევრის ჰერეთის ერისთავს, ვინმე გლონოქორს. ვინაიდან მთავარეპისკოპოსი გლონოქორ, ჩვენ ამავე დროს გვეკლინება, როგორც ჰერეთის ერისთავი,

---

[59] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 91

[60] გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, Архитектура Кахетии, ტექსტი, თბილისი, 1959, გვ. 44—45.

[61] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 92.

აქედან გამომდინარე ცხადია, რომ მის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი ჰერეთშიც გატარდებოდა. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, უფრო დაწვრილებით გავეცნოთ მის ვინაობას და მოღვაწეობას. ამ გლონოქორს, სხვათა შორის, არ იხსენიებს მხითარ აჯრივანელი, ქართლის ეპისკოპოსთა იმ სიაში, რომელიც მას მოცემული აქვს თავის „ქრონოგრაფიულ ისტორიაში"[62]. იგი არც „ქართლის ცხოვრებაში" ჩანს. აქ მის მაგიერ ვხვდებით ვინმე შინქარანს resp. ბინქარანს. ამასთან დაკავშირებით, აკად. კ. კეკელიძე წერს: „სახელი ამ შინქარანისა ძალიან დამახინჯებულია სხვადასხვა წყაროში, ის ერთსა და იმავე წყაროშიც კი სხვადასხვანირად იწერება...

„ქართლის ცხოვრების" სხვადასხვა რედაქციაში პირველი ნაწილი ამ სახელისა იწერება 15-ჯერ როგორც ბინქარ, 6-ჯერ როგორც შინქარ; ცხადია, თავდაპირველი ფორმაა ბინქარ, ეჭვი არაა, ხუცური დამწერლობის ნიადგაზე, -ბ შეცვლილია შ-დ. 15 შემთხვევაში ფუძეს „ბინქარ" ბოლოში მიმატებია „ან" და ამ გზით წარმომდგარა „ბინქარან". ამ ბინქარანს „მოქცევაჲ ქართლისაჲ" სულ არ იცნობს, მის მაგიერ ის ლაპარაკობს ვიღაც გლონოქორ resp. ბოლნოქონის შესახებ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ ერთი და იგივე სახელი გვაქვს, რომლის: 1) თავში ბ შეცვლილია—გ-ნით. ეს შეიძლება დამწერლობის ნიადაგზედაც მომხდარიყოს... 2) დაბოლოება ქორ-ქონ უნდა იყოს „ქარან" (ბინქარან-შინქარან), ასე რომ თავდაპირველად ყოფილა სახელი „ბლონქარან", რომლისაგან ბგერათა აღრევის თუ შეცვლისა და თავისებური „გახმაურების" გამო, წარმომდგარა „გლონოქორ-ბინქარან-ბინქარ-შინქარან სახელები". ერთი სიტყვით, — დაასკვნის აკად. კ. კეკელიძე, — „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ბლონოქორ resp. გლონოქორ და „ქართლის ცხოვრების" ბინქარ-ბინქარან — შინქარან არის ერთი და იგივე პირი, რომლის თავდაპირველი სახელი უნდა იყოს ბლონქარან"[63]. მთავარეპისკოპოსის და ამავე დროს ქართლისა და ჰერეთის ერისთავის, გლონოქორის resp. ბლონქარანის მოღვაწეობის შესახებ ჯუანშერს თავის თხზულებაში მოეპოვება ზოგიერთი საყურადღებო ცნობა. იგი მოგვითხრობს: როდესაც მეფე მირდატი გარდაცვლილა, მისი შვილი ვახტანგი შვიდი წლისა ყოფილა. მის ქვრივს, ბარზაბოდ პიტიახშის ასულს, სყვდუხტს შეშინებია — ვაი თუ შამა ჩემმა შური იძიოს ირანელების შევიწროვებისათვის ქართლში არჩილისა და მირდატის დროსო, ამიტომ გამგზავრებულა ბარ-

---

[62] Мхитар Лиривансци — История Хронографическая.

[63] კ. კეკელიძე, ვინ არის „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს გლონოქორ?" — ეტიუდები, III, გვ. 39.

დავს, სადაც მამა მისი იჯდა, უთხოვნია მისთვის შებრალება და ამავე დროს შეეედრებია „რათა არა აიძულოს დატევება ქრისტეს სჯულისა“. ბარზაბოდ პიტიახშს შეუწყალებია თავისი ასული და თანაც ასე უპასუხნია: „იძულებით არცავის ქართველსა სხუასა დაგაგდებინებ სჯულსა ქრისტესსა, არამედ მივგზავნნე ცეცხლის-მსახურნნი ქალაქსა თქუენსა და იყვნენ მუნა ეპისკოპოსნი მათზედა სჯულისა ჩუენისანი. და ვინცა ქართველი ნებითა თვისითა აღირჩევდეს სჯულსა ჩუენსა, ნუ აყენებთ... მაშინ ბარზაბოდ წარმოგზავნა ცეცხლისმსახურნი მცხეთას და მათ ზედა ეპისკოპოსად ბინქარან, და დასხდეს მოგუთას“[64]. ჯუანშერის გადმოცემით, ეს ცეცხლის-მსახურთა ეპისკოპოსი ბინქარანი, „ასწავებდა ქართველთა სჯულსა თვისსა, არამედ არავინ ერჩდა წარჩინებულთაგანი, არამედ წურილი ერი მიიქცა მრავალი ცეცხლისმსახურებასა..., ამისათვის მწუხარე იყო საგდუხტ დედოფალი, არამედ მძლავრებისაგან სპარსთა ვერას იკადრებდა“[65]. მაგრამ ბინქარანს აღმოუჩნდება მოწინააღმდეგე, რომელიც მას ბრძოლას უმართავს და ნაწილობრივ გამოასწორებს ბინქარანის მიერ ქრისტიანობისათვის მიყენებულ ზიანს. საგდუხტსა და ვახტანგს მოუყვანიათ საბერძნეთიდან „მღდელი ჰეშმარიტი მიქაელ“ და დაუდგენიათ ის „ეპისკოპოსად ზემოსა ეკლესიასა“. „ესე მიქაელ ეპისკოპოსი წინაღუდგა ბინქარან მაცდურსა, რამეთუ ასწავებდა ყოველთა ქართველთა სჯულსა ჰეშმარიტსა. ამან იპყრნა სარწმუნოებათა ზედა ყოველნი წარჩინებულნი ქართლისანი და ერიცა უმრავლესი“. ბინქარანი მაინც განაგრძობდა თავის საქმეს და „მცირედნი ვინმე წურილისა ერისაგანი“ კვლავ იხრებოდნენ ცეცხლთაყვანისმცემლობისაკენ[66]. შემდეგში, როდესაც ვახტანგ გორგასალმა შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ცეცხლთაყვანისმცემლობას, „შეაგდო საპყრობილესა შინა ბინქარან მაცდური“, რაც ბიზანტიის კეისარსაც აცნობა. ბინქარანი გაქცეულა ციხიდან, ის „გარდახუეწილა“ და თავისთვის უშველია, თუმცა, როგორც კი მიუღწევია „საზღვართა ქართლისათა“ მომკვდარა[67]. ჯუანშერის მიერ აღწერილ ამ სარწმუნოებრივ მოვლენებს, ვფიქრობთ, ადგილი ექნებოდა ჰერეთშიც. მთავარეპისკოპოსი გლონოქორი resp. ბლონქარანი თავისი მოღვაწეობით ხომ უშუალოდ იყო დაკავშირებული ჰერეთთან. იგი ამავე დროს საერო მოხელეა,

---

[64] ქ ც ბ ა, I, გვ. 144—145.
[65] ქ ც ბ ა, I, გვ. 145.
[66] ქ ც ბ ა, I, გვ. 145
[67] ქ ც ბ ა, I, გვ. 178—179.

კერძოდ, როგორც ამას „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მემატიანე გვიამბობს, იგი „ერისთვადცა იყო ბარზაბოდ პიტიახშისაგან... ჰერეთს“[68].

V საუკუნის პირველი ნახევრის ჰერეთის ისტორიული განვითარება გადაჯაჭვულია ამიერკავკასიის ხალხების საგარეო ურთიერთობის ფაქტებთან. ირანელების გაძლიერებული იერიშები, რომელთაც განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი მიიღეს იეზდიგერდ II დროს (438—457), ჰერულ ტომებსაც შეხებიათ. ირანისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი ქვეყნები ვალდებულნი იყვნენ შაჰისათვის სამსახური გაეწიათ მხედრობის გამოყვანითა და ფულადი სახსრების გაღებით. იეზდიგერდ II მეფობის ჟამს ირანს დიდ საფრთხეს უქმნიდნენ თავიანთი შემოსევებით ხიონიტები (კუშანები). მათ წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობა დიდძალ სახსრებს მოითხოვდა და მთელი მისი სიმძიმე ამიერკავკასიის ხალხებს დასწოლია ზურგს. სომეხი ისტორიკოსი ელიშე გვიამბობს: იეზდიგერდ II ამიერკავკასიის ხალხებს მოწოდებანი დაუგზავნა, რითაც აუწყებდა მათ, რომ დაუყოვნებლივ გამოეყვანათ მხედრობა და მონაწილეობა მიეღოთ კუშანების წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში. ელიშე სათითაოდ ჩამოსთვლის ამიერკავკასიის ყველა იმ ხალხებს, რომელთაც ასეთი შინაარსის მოწოდება მიიღეს. და აი, ელიშე სომხების, იბერების და ალბანების შემდეგ ასახელებს ჰერულ ტომებს, ლბინებს (*լինաց*) resp. ელარბიელნი და წავდეებს (*Ծաւդեից*) resp. სუჯებს[69].

ამიერკავკასიის ხალხების საბოლოოდ დაქვემდებარების მიზნით, ირანის მთავრობის წინაშე იეზდიგერდის მეფობის მე-12 წელს, ე. ი. 449 წ. რჯულის ერთობის საკითხიც დაისვა. ამ ქვეყნების არისტოკრატიას მოსთხოვეს ქრისტიანობის უარყოფა და ირანელთა ზოროასტრული სარწმუნოების, ცეცხლთაყვანისმცემლობის მიღება. იეზდიგერდ II ამ განზრახვათა სისრულეში მოყვანას ადგილობრივი ფეოდალური ძალების საშუალებით აპირებდა. როგორც ლაზარე ფარპელი გვიამბობს ამ მიზნით შაჰმა იეზდიგერდმა სასანიანთა სატახტო ქალაქ ქტეზიფონში გაიწვია ამიერკავკასიის სამივე სამეფოს თავი კაცები და მუქარით აიძულა ისინი მიეღოთ ზოროასტრის რჯული[70], რის შემდეგ დიდად პატივნაცემი (სოფლებისა და აგარაკების ბოძება) ისინი ხელმწიფემ უკან გამოისტუმრა, და, როგორც ელიშე გვიამბობს, თან გამოაყოლა ცეცხლ-მსახურთა ანუ მოგვების დასები ირა-

---

68 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 92.

69 Եղիշէի. გვ. 15—16.

70 ლ ა ზ ა რ ე ფ ა რ პ ე ლ ი, სომხეთის ისტორია, თბილისი, 1904, გვ. 47—53 (სომხურად).

ნული სარწმუნოების დასანერგავად. ელიშეს ცნობით, მოგვების რიცხვი 700-ს აღემატებოდა. იშვიათი მხატვრული ოსტატობით და ექსპრესიით აგვიწერს ელიშე ფანატიკოსი მოგვების გამგზავრებას ამიერკავკასიისაკენ. მოგვთა მრავალრიცხოვანი ბრბოების ყიჟინა არემარეს აყრუებდა. გზაში, სანამ სომხეთის საზღვრებს მიაღწევდნენ, მოგვები წილს ყრიდნენ და წინასწარ გებულობდნენ, თუ რომელ ჯგუფს რომელი ქვეყანა შეხვდებოდა თავიანთი მოძღვრების საქადაგებლად. ამას იმიტომ სჩადიოდნენ, — გვიამბობს ელიშე — რომ შაჰის ბრძანება მარტო სომხეთს კი არ შეეხებოდაო, არამედ იბერების, ალბანების, ლბინების (*լփնաց*) და წოდების (*ծոփեից*) resp. სოჯების ქვეყნებსაც[71], როგორც ვხედავთ, იეზიდგერდ II ბრძანებით, ცეცხლმსახურნი ანუ მოგვები მაზდეანობის გასავრცელებლად ჰერული ტომების, ელარბიელთა და სუჯების ქვეყანაშიც გამგზავრებულან. ამრიგად, ქართულ-სომხურ წყაროებში შემონახული ცნობებიდან აშკარა ხდება, რომ სასანიანთა ირანის ბატონობის სიმძიმე ჰერეთსაც განუცდია.

სახელგანთქმული ვახტანგ გორგასლის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოღვაწეობის შესახებ ჰერეთში, — როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, ორი სხვადასხვა დროისა და წარმოშობის მოწმობა მოგვეპოვება[72]. XI საუკუნის მწერლის, ჯუანშერის მიხედვით, ჰერეთი ვახტანგის სახელმწიფოში ერთ-ერთი საერისთაო იყო. ჯუანშერი გვიამბობს, რომ ვახტანგმა „მოიყვანა ძე მისი... დაჩი... და დაადგა გვირგვინი, და დაუტევა მეფედ, და დაუტევნა მის თანა შვიდნი წარჩინებულნი მისნი“. და აი, ამ შვიდ წარჩინებულთა შორის ერთ-ერთი იყო „გრიგოლი, ერისთავი ჰერეთისა“[73]. მეორე მწერლის (ანონიმის) ცნობით, რომელიც ექსცერპტის სახით ჩართულია იმავე ჯუანშერის თხზულებაში (ბ. ინგოროყვა მას უწოდებს ჯუანშერის მატიანის პირველ წყაროს და ათარიღებს VIII საუკუნით)[74], ვახტანგი თავის კაცს სვამს წუქეთს: ისხდნენ „წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი“[75]. ამ ცნობიდან აშკარად ჩანს ვახტანგ გორგასალის პოლიტიკური და ადმინისტრაციული მოღვაწეობა ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში, წუქეთში.

---

[71] **Եղիշեի**, გვ. 49—51.

[72] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბილისი, 1966, გვ. 254.

[73] ქ ც ბ ა, I, გვ. 185.

[74] გ. მ ე რ ჩ უ ლ ე, თბილისი, 1954, გვ. 79.

[75] ქ ც ბ ა, I, გვ. 243.

ვახტანგ გორგასალის სახელთან არის დაკავშირებული ჰერეთში ქალაქების, ეკლესიების, საეპისკოპოსო საყდრების აგება და საერთოდ მრავალი დიდ კულტურულ ღონისძიებათა გატარება. როგორც ჯუანშერი გვიამბობს, ვახტანგს იმ თორმეტი ეპისკოპოსიდან, რომელიც მას იბერიის სხვადასხვა საეკლესიო ცენტრში დაუსვამს, „დასუა — ერთი ჰერემს, მისსავე აღშენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი იგი მანვე აღაშენა"; და ერთიც — ხორნაბუჯს"[76]. როგორც ვხედავთ, ვახტანგს ჰერეთის ტერიტორიაზე აღუშენებია ქალაქი ჰერემი, აქვე აუგია ორი ეკლესია; საეპისკოპოსო საყდარი შეუქმნია ქალაქ ხორნაბუჯს, კამბეჩანში. ჰერეთის ტერიტორიაზე ვახტანგ გორგასლის მიერ გაჩაღებულ ენერგიულსა და ინტენსიურ საქმიანობაზე მიუთითებს აგრეთვე ჯუანშერის მოწმობა იმის შესახებ, რომ ვახტანგიმ „ძესა მისსა პირმშოსა პირველისა ცოლისასა, დაჩის, მისცა ქალაქი ჰერემისა და ნეკრესისა, და ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი და ყოველი ქუეყანა მტკუარსა აღმოსავალით"[77]. ჯუანშერის ეს ჩვენება საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ აქ ხაზი ესმება ჰერეთის ტერიტორიაზე სამი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრის არსებობას: ჰერემისას, ხორნაბუჯისას და ნეკრესისას. ახალი ქალაქებისა და საეპისკოპოსოების დაარსება, ტაძრების მშენებლობა — მოწმობს ჰერეთის ეკონომიურ და კულტურულ დაწინაურებას. ვახტანგ გორგასალის ეპოქაში, ჰერეთის ტერიტორიაზე არსებული საეპისკოპოსო კათედრების შესახებ ცნობები ჯუანშერის გარდა, შემონახულია, აგრეთვე სომხურ წყაროებშიც: ე. წ. „ეპისტოლეთა წიგნში" და X საუკუნის სომეხ ისტორიკოსთან, უხთანესთან. ამ წყაროებში დაცულია იმ ქართველ ეპისკოპოსთა სია, რომელნიც მონაწილეობას ღებულობდნენ 506 წ. ქ. დვინში მომხდარ იბერიის, სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიათა მღვდელთმთავრების გაერთიანებული კრების მუშაობაში.

„ეპისტოლეთა წიგნი" (*Գիրք թղթոց*) წარმოადგენს ეპისტოლარულ, დოგმატიკურ-პოლემიკურ და კანონიკური ხასიათის ოფიციალურ კრებულს, რომელიც აღმოცენდა სომხეთში VII—VIII საუკუნის დასაწყისში, დიოფიზიტიზმსა და მონოფიზიტიზმს შორის წარმოებული მედგარი ბრძოლის პროცესში. იგი შეიცავს სომხური ეკლესიის მიწერ-მოწერის საბუთებს ასურთა, ბერძენთა და ქართველთა

---

[76] ქ ც ბ ა, I, გვ. 199.
[77] ქ ც ბ ა, I, გვ. 199.

ეკლესიებთან სარწმუნოებისა და საეკლესიო წეს-წყობილების შესახებ, V საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე XIII საუკუნემდე. მისი ძირითადი (პირვანდელი) ფენის მოცულობა და რედაქცია მიეკუთვნება კომიტას კათალიკოსს, რომელიც ცნობილია როგორც რიფსიმეს ტაძრის აღმაშენებელი VII საუკუნის დასაწყისში (618)[78]. არსებული გამოცემით, „ეპისტოლეთა წიგნი"[79] შეიცავს სულ 98 ნაწარმოებს, რომელთა სარჩევი მოცემულია შესავალ ნაწილში (გვ. XII—XVIII). ხოლო იმის გამო, რომ უნიკალური ხელნაწერი შიგადაშიგ ოდნავ დაზიანებული იყო, „ეპისტოლეთა წიგნი" სავსებით აღდგენილ ვერ იქმნა; ამიტომაც გამოცემაში სათანადო დეფექტიანი ადგილები მრავალწერტილებითაა ფიქსირებული[80]. „ეპისტოლეთა წიგნში" დაცული დოკუმენტებიდან ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელობა აქვს სომეხთა კათალიკოსის აბრაამისა და ქართლის კათალიკოზის კირიონის მიმოწერას სომხეთისა და ქართლის ეკლესიათა განყოფის შესახებ VI—VII საუკუნეთა მიჯნაზე. კერძოდ, ამ მიმოწერიდან ჩვენი განხილვის საგნად ხდება სომეხთა კათალიკოზის აბრაამის მესამე ეპისტოლე ქართლის კათალიკოსის კირიონისადმი[81], განსაკუთრებით კი ამ ეპისტოლეს ის ნაწილი, სადაც მოცემულია ქართლის საეპისკოპოსოთა ჩამოთვლა. როგორც სომეხთა კათალიკოსის აბრაამის სიტყვებიდან ირკვევა, ეს დოკუმენტი VII საუკუნის დასაწყისისათვის არსებულა ბერძნულიდან სომხურად თარგმანის სახით. ბერძნული თარგმანი კი, თავის დროზე შესრულებული იქნებოდა სომხური ორიგინალიდან ბერძნულიდან მისი სომხურ ენაზე გადმოთარგმნა, გამოწვეული ყოფილა იმით, რომ სომხური ორიგინალი დაკარგულა აჯანყების დროს[82]. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ივ. ჯავახიშვილს, „ეპისტოლეთა წიგნში" დაცული ეს მესამე ეპისტოლე კათალიკოს აბრაამისა, მაინც უტყუარად მიაჩნია. ამას იგი უპირველეს ყოვლისა, იმით ასაბუთებს, რომ კათალიკოსი კირიონიც არ უარყოფს მის არსებობას; ეს დოკუმენტი ნატყუარი რომ ყოფილიყო, ამაზე კირიონი აუცილებლად მიუთითებდა თავის მოწინააღმდეგეს. ამ წერილის და მასში მოცემულ ეპისკოპოსთა სიის უტყუარობის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ მის ნაკლოვანებას არ მალავს თვით ავტორი ამ ეპისტოლესი. კათალიკოსი აბრაამი პირდაპირ აღნიშნავს, რომ მის დროს ეს

---

[78] Н. Адонц, Ампелий, епископ Херсонский (К критике армянской книги послании) — Христ. Восток, т. II, вып. 2, Спб., 1913, გვ. 175—176.

[79] **Գիրք թղթոց, Թիֆլիս,** 1901.

[80] ლ. მელიქსეთ-ბეგი, სომხური „ეპისტოლეთა წიგნის" ახალი ვარიანტი და პეტრე იბერიელის მოწაფე იოანე მაიუმელი, მუზეუმის მოამბე, ტ. XI, 1941, თბილისი, გვ. 42.

[81] **Գիրք թղթոց,** გვ. 180—184.

[82] **Գիրք թղթոց,** გვ. 183.

წერილი არ არსებობდა სომხურ ენაზე, და, რომ იგი გადმოღებულია ბერძნულიდან. კათალიკოს აბრაამს სურვილი რომ ჰქონებოდა, თავისი მტკიცებისათვის, რათაც არ უნდა დასჯდომოდა, უფრო დამაჯერებელი სახე მიეცა, მას, რასაკვირველია, შეეძლო მოეცა, დიდი დაბრკოლების გარეშე, სრულიად ნათელი და ზუსტი ჩამოთვლა მის დროს საქართველოში არსებული საეპისკოპოსოებისა. ყველა ამ მოსაზრებათა შემდეგ, აკად. ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის, რომ როგორც საეპისკოპოსოთა სია, ისე მთელი მესამე ეპისტოლე, ავთენტურად უნდა ჩაითვალოს და მეცნიერებაში ნდობის ღირსად იქნეს მიჩნეული[83]. ივ. ჯავახიშვილის ასეთი დამოკიდებულება „ეპისტოლეთა წიგნისადმი", რა თქმა უნდა, მაინც არ გვანთავისუფლებს იმ გარკვეული სიფრთხილისაგან, რომელიც ამ კრებულში დაცული დოკუმენტებით სარგებლობისას უნდა გამოვიჩინოთ. სიფრთხილე განსაკუთრებით საჭიროა ქართლის საეპისკოპოსოთა ნუსხაში მოცემული სახელწოდებების აღდგენისას, რადგანაც ქართულიდან სომხურად, სომხურიდან ბერძნულად და მერე ბერძნულიდან სომხურად თარგმნისას, ეს სახელები ისეთი დამახინჯებული ტრანსკრიპციითაა მოცემული, რომ ზოგიერთს ან სულ ვერ გაიგებს ადამიანი, ან დიდის ვაი-ვაგლახით.

სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების შესახებ „ეპისტოლეთა წიგნში" მოთავსებული მიწერ-მოწერა საფუძვლად უდევს, X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის უხთანესის სპეციალურ ტრაქტატს სათაურით: „ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან"[84]. სხვა დოკუმენტთა შორის, უხთანესის თხზულებაში დაცულია ჩვენი საკითხისათვის საყურადღებო, ქართლის ეპისკოპოსთა ნუსხის შემცველი, კათალიკოს აბრაამის მესამე ეპისტოლე კირიონისადმი. ეს მიწერ-მოწერა თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორდება, მხოლოდ მასალის ცოტაოდენი სხვა დალაგებით და ზოგიერთი შემოკლებით ანდა გადამახინჯებით. მეთოდი, რომელსაც იყენებს უხთანესი „ეპისტოლეთა წიგნის" გამოყენებისას, მეტად უბრალოა: ამა თუ იმ დოკუმენტს იგი უმძღვარებს პატარა შესავალს, მერმე მოაქვს თვით დოკუმენტი, ხოლო ამის შემდეგ იგი იძლევა მის ახსნა-განმარტებას. დოკუმენტის ციტირებას ახდენს არა მთლიანად, არამედ ექსცერპტების სახით, რაც მისთვის აუცილებელია. შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად, უხთანესი თავისი წყაროდან იწერს ზუსტად. არის, რასაკვირველია, განსხ-

---

[83] И. А. Джавахов, история церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века. I—II. Известия Императорской Акад. Наук, VI серия, № 5, 1908, СПБ, გვ. 445—446.

[84] Պատմութիւն բաժանման Վրաց ի Հայոց. ի Վաղարշապատ, 1871.

ვავებული წაკითხვის შემთხვევებიც, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში, სწორედ უხთანესთან არის შემონახული თავდაპირველი, უფრო ძველი წაკითხვა, ვიდრე პირველწყაროში. რადგანაც სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების შესახებ მიმოწერას ჩვენამდის პირვანდელი სახით არ მოუღწევია, ამიტომ მისი აღდგენისათვის აუცილებლად საჭიროა ორივე ძეგლით სარგებლობა: „ეპისტოლეთა წიგნით“ და უხთანესის ტრაქტატით.

აბრაამის III ეპისტოლე დაცულია აგრეთვე ძველი სომხური მწერლობის ისეთ ძეგლში, როგორიც არის „სარწმუნოების ბეჭედი“[85]. როგორც ფიქრობენ, ეს კრებული თავდაპირველი სახით შედგენილი უნდა იყოს პატრიარქ კომიტასის დროს (615—628), ხოლო VIII საუკუნეში იგი შევსებულ იქმნა ზოგიერთი ახალი მასალით. სამწუხაროდ ამ კრებულში შესულ აბრაამის III ეპისტოლეს სწორედ ჩვენთვის საინტერესო საეპისკოპოსოთა სიის შემცველი ადგილი აკლია, რის გამოც ჩვენ მოკლებულნი ვართ ამ ტექსტთან შედარების შესაძლებლობას.

„ეპისტოლეთა წიგნში“ და უხთანესის თხზულებაში დაცული, აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მესამე ეპისტოლეში მოტანილი ქართველ მღვდელმთავართა და სამწყსოს სახელებიდან, ჩვენს ყურადღებას იპყრობენ ისინი, რომელნიც ჰერეთის ტერიტორიაზე იგულისხმებიან[86]. აი, ამ მღვდელმთავართა და საეპისკოპოსო კათედრების სახელწოდებანი:

ეპისტოლეთა წიგნი—*Եպրաս եպիսկոպոս Կիսդաղ* (გვ. 97)
უხთანესი—არ იხსენიება.
ეპისტოლეთა წიგნი—*Ղազար եպիսկոպոս Փողդրիղ* (გვ. 97)
უხთანესი—*Ղազար եպիսկոպոս Բողկդնլա* (გვ. 86).
ეპისტოლეთა წიგნი—*Զաքարիաս եպիսկոպոս Կասդրացի* (გვ. 97.)
უხთანესი—*Զաքարիաս եպիսկոպոս Կաստացի* (გვ. 86).
ეპისტოლეთა წიგნი—*Փոկաս եպիսկոպոս Տսևրմիղ* (გვ. 97).
უხთანესი—*Փոկաս եպիսկոպոս Աստերմիւղայ* (გვ. 86).
ეპისტოლეთა წიგნი—*Եսայեն եպիսկոպոս Բորդոնա* (გვ. 98).
უხთანესი—*Ըսանդինե եպիսկոպոս Բորդանայ* (გვ. 86).

---

[85] **Կնիք հաւատոյ, հրատ. Կարապետ եպիսկոպոսի, Եջմիածին, 1914**

[86] 1968 წელს ზ. ალექსიძის მიერ გამოცემულ იქნა „ეპისტოლეთა წიგნის“ ის ნაწილი, რომელიც შეეხება ქართლისა და სომხეთის საეკლესიო ურთიერთობის საკითხებს. ამ გამოცემაში შესულია ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტიც — უფალ აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მესამე ეპისტოლე კირიონ ქართლის კათალიკოსისადმი. აბრაამის III ეპისტოლეს განხილვისას ვსარგებლობთ ზ. ალექსიძის მიერ გამოცემული სომხური ტექსტით. იხ. ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბილისი, 1968, გვ. 91—100

როგორც ქართლის საეპისკოპოსო ნუსხის ამ ნაწყვეტიდან ჩანს, გადამწერთაგან ტექსტი ძალზე დამახინჯებულია და საჭიროებს აღდგენას. ზოგიერთი სახელის აღდგენა და შესწორება, რა თქმა უნდა, სათუო იქნება. ამათგან, პირველი საეპისკოპოსო კათედრის სახელწოდება „ეპისტოლეთა წიგნში“ იკითხება შემდეგნაირად: ეზრას ეპისკოპოსი კისდადისა (უხთ. არ იხსენიება). ივ. ჯავახიშვილი, ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანად ამ სახელწოდებაში ხედავს გიშელს (*Կիսդադ—Կիզադ—Կիշադ*)[87]. და მართლაც სომხურ წყაროებში გიში გვხვდება, „გისის“ (მოსე კალანკატუელი, კირაკოს განძაკელი) „კიშის“ ფორმით, რომელიც ძალზე უახლოვდება „კისდადს“. ს. კაკაბაძეს რატომღაც ჰგონია, რომ „კისდად“ შეიძლება იყოს დამახინჯებული ახიზა[88].

ქართლის ეპისკოპოსთა სიის ზემოთ მოტანილ ნაწყვეტში მეორე ადგილას იხსენიება ლაზარ ეპისკოპოსი ფოზდბილი (უთხ. ქოლკდნლ) ვფიქრობთ, სავსებით აშკარაა, აქ უნდა იგულისხმებოდეს ბოდბელი[89].

შემდეგი ეპისკოპოსი, რომელიც ამავე ნუსხაშია აღნიშნული, არის ზაქარია ეპისკოპოსი კასდრელი (უხთ. კასტაცი). ივ. ჯავახიშვილს კასდრელი მიაჩნია კარსნის ეპისკოპოსად[90]. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში უფრო სწორი და მისაღები უნდა იყოს კ. კეკელიძის, ლ. მელიქსეთ-ბეგის და ს. კაკაბაძის მოსაზრება. დასახელებული მკვლევარნი კასდრელს აიგივებენ კაწარელთან[91].

ჩვენთვის საინტერესო მეოთხე საეპისკოპოსო კათედრის სახელწოდება „ეპისტოლეთა წიგნში ასეა წარმოდგენილი — ფოკას ეპისკოპოსი ტსერმილი (უხთ. ასტერმიულ). ეჭვს არ იწვევს, აქ უნდა იყოს „ჭერემელი“[92]. უნდა აღინიშნოს, რომ *Տսերմիլ* გადმოგვცემს ქართული სახელწოდების — „ჭერემელის“ — სავსებით სწორ ბერძნულ ტრანსკრიფციას ՀՀերμηλ. ამასთანავე, აშკარა ხდება, რომ ეს სახელწოდება სომხურ ტექსტში გადმოღებულია არა ქართულიდან, არამედ ბერძნულიდან, რომელმაც არ იცის ქართული და სომხური ენებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ბგერა „ჭ“. ეს სახელი პირდაპირ

---

87 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 302.

88 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, I, თბილისი, 1924, გვ. 51.

89 შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 302; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ეტიუდები, IV, თბილისი, 1957, გვ. 333; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ: ნაშრ. გვ. 51.

90 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, 1, გვ. 302.

91 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 333; ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი, კაწარეთი, საისტორიო მოამბე, წიგნი II, ტფილისი, 1924, გვ. 165; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

92 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 302; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 333; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ. 51.

ქართულიდან რომ ყოფილიყო გადმოღებული, შესატყვისი ბგერა „ჭ“ სომხურ ტექსტშიაც გვექნებოდა[93]. ამით დასტურდება აბრაამ სომეხთა კათალიკოსის განცხადება იმის შესახებ, რომ VII საუკუნის დასაწყისში ეს სია მას ხელთ ჰქონდა ბერძნულ ენაზე. რაც შეეხება სომხურ დედანს, იგი დაკარგულია 572 წელს სომხეთში მომხდარი აჯანყების დროს[94].

უკანასკნელი ეპისკოპოსი, რომელიც აბრაამის III ეპისტოლეს ზემომოტანილ ნაწყვეტში იხსენიება, არის — ესტგენ ეპისკოპოსი ქორზონისა (უხთ. ქორზანის). ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ ამ საეპისკოპოსოს სახელწოდებაში უნდა იგულისხმებოდეს ქორჯანი[95]. პირადად ჩვენ, შესაძლებლად მიგვაჩნია დავუშვათ: „ეპისტოლეთა წიგნის“ და უხთანესის ქორზონი — ქორზანი, ხომ არ არის დამახინჯებულად გადმოცემული ხორნაბუჯი?[96].

მ. ბროსე, რომელმაც გამოსცა უხთანესის თხზულება ფრანგულ ენაზე, ყურადღებას აქცევს აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მესამე ეპისტოლეში დაცულ ქართლის ეპისკოპოსთა ნუსხას. უხთანესის ქორზანს (ჩვენი ინტერპრეტაციით — ხორნაბუჯი) იგი აღდგენს Khrotzen-ად. ხოლო რაც შეეხება სახელწოდებებს: „ქოღკდნლ“-ს და „ასტერმიულ“-ს, რომელთაც ჩვენ ვკითხულობთ როგორც „ბოდბელს“, და „ჰერემელს“, ბროსე ვერ იძლევა მათ აღდგენას, იგი მათ ღიად ტოვებს[97].

აბრაამის III ეპისტოლეში შემონახულ ქართლის საეპისკოპოსოთა სახელწოდებების აღდგენის ცდა მოცემული აქვს აგრეთვე ი. მარკვარტს. კერძოდ, ჩვენთვის საყურადღებო ეპარქიის სახელწოდება „ფოზდბილი“, მისი აზრით, უნდა იყოს „ბოდბელი“, ხოლო „ტსერმილი“ კი მას „ჰერემელად“ მიაჩნია[98].

თუ გავიზიარებთ ქართლის საეპისკოპოსოთა სახელწოდებების ჩვენ მიერ ზემოთ მოცემულ ინტერპრეტაციას, მაშინ, („ეპისტოლეთა წიგნის“ და უხთანესის თხზულების მიხედვით, ჰერეთის ტერიტორიაზე,

---

[93] И. А. Джавахов, История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века, გვ. 445; Л. М. Меликсет-бек, Graeco-Byzantina в древнеармянском Liber Epistolarum, Византийский временник, т. XII, Москва, 1957, გვ. 265—266.

[94] Н. Адонц-Ампелий, епископ Херсонский, გვ. 184.

[95] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 302.

[96] შდრ. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 333; ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშ., გვ. 51-52

[97] M. Brosset, Deux Historiens Armeniens, 2e Livr., გვ. 323,

[98] J. Markwart, Die Bekehrung Iberiens und die beiden ältesten dokumente der iberischen kirche, Caucasica, 1931, fasc. 7, Leipzig, გვ. 163—164.

ვახტანგ გორგასალის ეპოქაში დასტურდება ხუთი საეპისკოპოსოს არსებობა: კაწარეთი, ჰერემი, ბოდბე, ხორნაბუჯი და გიში. ამრიგად, როგორც დავინახეთ, ჩვენ წინაშეა სომხური წყაროების მეტად საყურადღებო ჩვენებანი, რომელთა მიხედვითაც, ჰერეთი, ვახტანგ გორგასალის ეპოქაში, აქ გატარებული სახელმწიფოებრივი რეფორმების შედეგად, ძირითადად და მთლიანად (ნუხის ოლქის ჩათვლით) ქართლის სახელმწიფოს უშუალო და ორგანული შემადგენელი ნაწილია. ჰერეთის საეპისკოპოსოები ქართლის კათალიკოზის იურისდიქციას ექვემდებარებიან, გაბატონებული ენა აქ ქართულია, კულტურაც ქართული და პოლიტიკურადაც ჰერეთი ქართლშია.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი სია ჰერეთის საეპისკოპოსო კათედრებისა სრული არ უნდა იყოს. მომდევნო საუკუნეებში მათი რიცხვი კვლავ იზრდება. ასე მაგალითად, VI საუკუნის II ნახევრისათვის წერილობით წყაროებში იხსენიება ქალაქ ნეკრესის საეპისკოპოსო, რომელსაც განაგებდა იოანე ზედაზნელის თანამოღვაწე აბიბოსი[99]. VII საუკუნის დასაწყისისათვის ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა ჰერეთის ტერიტორიაზე დავადასტუროთ კიდევ ერთი საეპისკოპოსო კათედრა. კერძოდ, „ეპისტოლეთა წიგნში“ იხსენიება ბახალათის საეპისკოპოსო[100]. ს. ერემიანის მოსაზრებით, „ეპისტოლეთა წიგნის“ ბახალათი უნდა იყოს თანამედროვე ზაქათალის რაიონში მდებარე პუნქტი ბახთალო[101]. ბახთალო მდებარეობს გვიანფეოდალური ხანის კახეთის ცნობილი ქალაქის ზაგემის ტერიტორიაზე. მართალია, ბახთალოში დღემდე შემორჩენილია მხოლოდ გვიანდელი ხანის არქიტექტურული ძეგლი — ბახთალოს ღვთისმშობლის ეკლესია, რომელსაც გ. ჩუბინაშვილი XVI საუკუნით ათარიღებს[102], მაგრამ ეს გარემოება არ გამორიცხავს იმას, რომ ბახთალო ანუ ბახალათი მნიშვნელოვანი საეპისკოპოსო ცენტრი ყოფილიყო ადრეფეოდალურ ხანაშიც, მით უმეტეს, რომ, ჩვენი აზრით, „ეპისტოლეთა წიგნში“ VII საუკუნის დასაწყისისათვის მოხსენებული „ბახალათი“-ს გაიგივება თანამედროვე ბახთალოსთან რეალურ საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს.

---

[99] ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1955, გვ. 189.

[100] Դիրք բղբոց. გვ. 81.

[101] С. Т. Еремян, Идеология и культура Албании III—VII вв., Очерки истории СССР (III—IX вв), Москва, 1958, გვ. 324.

[102] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 459—461. А. С. Хаханов, Экспедиции на Кавказ 1892, 1893 и 1895 г., Материалы по археологии Кавказа, вып. VII, Москва, 1898. გვ. 32—33.

ადრეფეოდალური ხანის ჰერეთის საეპისკოპოსო კათედრების საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს სოფელ ლექეთის ტეტრაკონქი. ლექეთი მდებარეობს კახის ჩრდილო-დასავლეთით, კახ-ზაქათალის შარაგზიდან 5 კმ-ის დაშორებით. ლექეთის ტაძარი თარიღდება VIII საუკუნით. ამ ძეგლისათვის დამახასიათებელია მთელი კომპოზიციის უაღრესად მაღალი ხარისხი, როგორც მხატვრული თვალსაზრისით, ასევე ტექნიკური შესრულების მხრივ[103].

1939 წელს პ. ბარანოვსკის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოირკვა[104], რომ ტეტრაკონქი მხოლოდ ერთ-ერთი იყო იმ მრავალრიცხოვან ნაგებობათა შორის, რომლებიც ლექეთისა და ლექეთქოთუქლის ტერიტორიაზე მდებარეობდა. თუ ვიმსჯელებთ პ. ბარანოვსკის მიერ შედგენილი გეგმით, აქ, ტეტრაკონქის გარდა, იყო ერთი მცირე ტაძარი, სასახლე, აბანო, ქარვანსარაჲ (?) და სხვა დანიშნულების მქონე ნაგებობები, რომელთა რიცხვი ცხრამდე აღწევს და რომელნიც გარშემორტყმული იყო გალავნით[105]. აღნიშნული ნაგებობები ცოტა უფრო მოგვიანო ხანით, IX საუკუნით, თარიღდებიან[106]. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი მთელს იმ ტერიტორიას, რომელზეც ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლები მდებარეობენ, დღემდე „ქილისე მიულქ“-ს უწოდებენ, რაც საეკლესიო სამფლობელოს ნიშნავს[107]. როგორც ჩანს, აქ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს დიდ სამონასტრო კომპლექსთან. ყოველივე აქედან გამომდინარე, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ ლექეთშიც, VIII—IX საუკუნეებში[108], საეპისკოპოსო კათედრის არსებობა? ადრეფეოდალური ხანის საისტორიო წყაროებში ლექეთი არსად გვაქვს დამოწმებული. არ იცნობს მას არც ვახუშტი. იგი მთელ იმ ვრცელ ტერიტორიას, რომელიც მდებარეობდა მდინარეების: ბელაქნის-წყალის, გიშის-წყალის, ალაზნისა და კავკასიონის მთავარ ქედს შორის, უწოდებს ელისენს[109]. ამ ტერი-

---

[103] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 130—132; 226—227.

[104] П. Д. Барановский, Памятники в селениях Кум и Лякит, Сб. Архитектура Азербайджана, Эпоха Низами, Москва-Баку, 1947.

[105] Л. А. Кальнинг-Михайловская, Охрана и изучение памятников архитектуры. Практика реставрационных работ, т. 1, Москва, 1950, გვ. 32, ნახ. 23.

[106] М. Усейнов, Л. Бретаницкий, А. Саламзаде, История Архитектуры Азербайджана, Москва, 1963, გვ. 32,

[107] Д. Шарифов, Город Кум, Низами, Сборник второй, Баку, 1940, გვ. 140—141.

[108] პ. დ. ბარანოვსკი ლექეთის ტერიტრაკონქს VII საუკუნით ათარიღებს, იხ. მისი ნაშრომი: Памятники в селениях Кум и лякит, გვ. 31—33.

[109] ვახუშტი, «აღწერა», გვ. 96.

ტორიაზე მდებარეობს ლექეთიც. უფრო ზუსტად თუ განვსაზღვრავთ ლექეთის ადგილმდებარეობას, მაშინ იგი წუქეთის ტერიტორიაზე თავსდება, მდ. ყაფიჩაჲს აღმოსავლეთით, მის მარცხენა მხარეს. ამ ამბებთან კავშირში აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ 1898 წელს ა. ხახანაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლექეთში უნდა ყოფილიყო ელისენის, წუქეთის და შაქის საეპისკოპოსო ცენტრი[110]. ა. ხახანაშვილის ეს თავისთავად საგულისხმო მოსაზრება, ჩვენი აზრით, გარკვეული კორექტივის შეტანას საჭიროებს. როგორც ცნობილია, ვახუშტის მიხედვით, ელისენი, წუქეთი და შაკიხი (შაქი) ექვემდებარებოდა გიშის ეპისკოპოსის იურისდიქციას[111]. ამიტომ, თუ ჩვენ დავუშვებთ VIII—IX საუკუნეებში ლექეთის დამოუკიდებელი საეპისკოპოსოს არსებობას, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ მის სამწყსოში მხოლოდ წუქეთი შედიოდა; მომდევნო ხანაში, როგორც ჩანს, ლექეთის ცალკე ეპარქია გაუქმდა, ხოლო მისი სამწყსო კი გიშელის იურისდიქციას დაუქვემდებარეს.

ჰერეთის საეპისკოპოსოებს საქართველოს საეკლესიო იერარქიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ. „განგება დარბაზობისა"-ს (XV ს.) მიხედვით, ბოდბელს (ქისიყელი) მეშვიდე ადგილი ეჭირა, კაწარელს — მერცე, ჰერემელს — ოცდამეთორმეტე, ხოლო გიშელს კი — ოცდამეხუთმეტე[112].

სამეცნიერო ლიტერატურაში (ნ. ადონცი, ს. კაკაბაძე, ს. ჯანაშია და სხვა) აღნიშნულია, რომ საეპისკოპოსო კათედრების ჩამოყალიბება ხშირ შემთხვევაში ემთხვევა უკვე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ერთეულებს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ჰერეთის ტერიტორიაზე არსებულ ეპარქიათა ფარგლების მოხაზვას, მათი საზღვრების დადგენას. საამისოდ მეტად მცირე ცნობები გაგვაჩნია, რის გამოც, ჩვენ ხშირად იძულებული ვართ მივმართოთ გვიანდელ წყაროთა მონაცემებს.

დავიწყოთ კაწარეთის ეპარქიით. კაწარეთის შესახებ პირველი ლიტერატურული ცნობა დადასტურებული გვაქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს- მატიანეში (IX ს.). ამ ცნობის მიხედვით, IV საუკუნეში კაწარეთი წარმოადგენდა ნინოს სამისიონერო მოღვაწეობის ერთ-ერთ ობიექტს; კაწარეთში დასადგურებულმა ნინომ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია ივრის დინების აუზში მოსახლე ჰერული ტომები —

---

[110] Материалы по археологии Кевказа, VII, გვ. 35.

[111] ვ ა ხ უ შ ტ ი, «აღწერა», გვ. 95—96.

[112] ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, ტექსტები გამოსცა ი. დოლიძემ, თბილისი, 1965, გვ. 48—49.

სუჯები[113]. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს აღნიშნული ცნობა, ჩვენი აზრით, გარკვეულ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ კაწარეთი სუჯეთის ქვეყნის ერთგვარ ცენტრად ვიგულვოთ. კაწარეთის მიდამოებში ქრისტიანობის გავრცელებას მალე მოჰყვა იქ ქრისტიანული ტაძრის აგება. ეს არის კაწარეთის (ხაშმის) სამება — ბაზილიკური ტიპის ნაგებობა — რომელიც გ. ჩუბინაშვილის დათარიღებით აგებული უნდა იყოს V საუკუნის დასასრულს ან VI საუკუნის დასაწყისში[114]. დაახლოებით ამავე ხანებში კაწარეთი საეპისკოპოსო კათედრალად იქცა. ამას ადასტურებს „ეპისტოლეთა წიგნის“ ზემოაღნიშნული ჩვენება, რომლის მიხედვითაც, 506 წლის დვინის საეკლესიო კრებას, სხვა ქართველ მღვდელმთავრებთან ერთად, კაწარელი (Կատրացի) ეპისკოპოსიც, ვინმე ზაქარია, დასწრებია. [კაწარეთის რაიონი, როგორც ჩვენ ზემოთ დადგენილი გვაქვს, წარმოადგენდა სუჯების განსახლების ტერიტორიას. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ კაწარელის სამწყსო ძირითადად სუჯეთის ქვეყანას (ივრის შუა წელი) მოიცავდა. თუ სადამდის ვრცელდებოდა ჩრდილოეთით კაწარეთის ეპარქიის საზღვრები, ამის დადგენაში ვახუშტი გვშველის. იგი წერს: სამებას (=კაწარეთს) „ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამას ზეითის ქვეყნისა ერწომდე“[115]. ამრიგად, ჩვენი ვარაუდით, ადრეფეოდალური ხანის კაწარეთის ეპარქიაში შედიოდა ივრის შუა წელი და იგი მისწვდებოდა, როგორც ვახუშტი მოწმობს, ერწომდე[116]. XVIII ს. II ნახევარში კაწარეთის საეპისკოპოსო გაუქმებულ იქმნა. მისი სამწყსო გაინაწილეს ნინოწმინდელმა მიტროპოლიტმა და ყოვლად სამღვდელო რუსთველმა[117].

ჭერემის საეპისკოპოსოს იურისდიქციაში იმთავითვე შიდა კახეთი იყო მოქცეული. ვახუშტის გადმოცემით, როდესაც ვახტანგ გორგასალმა V ს. მეორე ნახევარში ჭერემში ქალაქი ააშენა, მანვე აქ „დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი შიგნით კახეთისა“[118]. ერთი ნაგვიანევი ხანის საბუთით, ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა უფრო კონკრეტული წარმოდგენა ვიქონიოთ ჭერემის ეპარქიის ფარგლებზე. ეს არის თეიმურაზ II და ერეკლე II მიერ 1757 წლის გაცემული გუჯარი, რომელიც შეეხება საჭერემლო მამულების განაწილებას. 1757 წელს, რო-

---

113 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 89.

114 Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 55—65.

115 ვ ა ხ უ შ ტ ი, «აღწერა», გვ. 90.

116 შდრ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, კაწარეთი, გვ. 165.

117 ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, საბა ტუსიშვილის «ანდერძისებრნი ღუწანი», ქართული ხელოვნება, 1950, № 3, გვ. 233.

116 ვ ა ხ უ შ ტ ი, «აღწერა», გვ. 99.

დესაც ჰერემის საეპისკოპოსო გაუქმებულ იქნა, მისი სამწყსო გადაეცა ალავერდელს, ბოდბელ მიტროპოლიტს და ნინოწმინდელს. ამ განაწილების დროს, ნათლად გამოვლინდა ჰერემის ეპარქიის საზღვრები. კერძოდ, როგორც ამ საბუთიდან ჩანს, ჰერემელის სამწყსო განლაგებული ყოფილა ჰერემის ხევის ორივე ნაპირზე, წინანდლიდან მოყოლებული ვიდრე ვეჯინამდე (წინანდალი, კონდოლი, კისისხევი, კალაური, ურიათუბანი, ზეგანი, ველ'ციხე, ჩუმლაყი, ვეჯინი). ჰერემელსავე ეკუთვნოდა აგრეთვე უშუალოდ ჰერემის ხევის ზემო წელზე მდებარე სოფლები: ფხოველი, ზიარი, ქოდალა, დარჩიეთი, მელაანი, შიბლიანი[119].

ნეკრესის ეპარქიაში ალაზნის გაღმა-მხარის გარდა, შედიოდა აგრეთვე ჰერეთის მთიანეთი — „დიდოეთი"[120]. ნეკრესის საეპისკოპოსო საკმაოდ ძლიერ ფეოდალურ ერთეულს წარმოადგენდა და იგი ერთობ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჰერეთის სამხედრო-პოლიტიკურსა თუ სასულიერო-საეკლესიო ცხოვრებაში. განსაკუთრებით დიდი იყო მისი დამსახურება ჰერეთის მთიანეთის მოსახლეობის გაქრისტიანებაში და, ამის შესაბამისად, იქ ქართველთა პოლიტიკურ-კულტურული გავლენის გავრცელებაში. VI საუკუნის ერთ-ერთი ნეკრესელი ეპისკოპოსის (აბიბოსის) ასეთ დამსახურებას საგანგებოდ აღნიშნავენ XI საუკუნის ქართველი მემატიანენი: ლეონტი მროველი და ჯუანშერი[121]. ვახუშტის ეპოქაში (XVIII ს.), როგორც ჩანს, ნეკრესის ეპარქიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკარგული თავისი ძველი მნიშვნელობა. ვახუშტი გადმოგვცემს: „არს აწცა საეპისკოპოზო, და ზის ეპისკოპოზი, არაბედ აღარ არ'ს ქალაქი. ამასვე აქუს დროშა სასპასპეტო, და არიან სადროშონი მისნი გაღმა-მხარნი ელისენით და მემარჯვენე"[122].

ვახუშტის განმარტებით, ბოდბელი ეპისკოპოსი იყო „მწყემსი ქისიყისა და ვიდრე კონდოლამდე"[123]. ვახუშტის მიერ წარმოდგენილი ბოდბის ეპარქიის ასეთი ფართო საზღვრები, ჩვენი აზრით, მერმინდელი გაფართოების შედეგი უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ ადრეფეოდალურ ხანაში კამბეჩანის (ქისიყის) ქვეყნის გარკვეული ნაწილი ეპარქიალურად ხორნაბუჯის საეპისკოპოსოში შედიოდა. სამწუხაროდ, ხორნაბუჯის ეპარქიის მოცულობის დასადგენად წერილობით წყაროებში რაიმე პირდაპირი ცნობა არ გაგვაჩნია. ჩვენს ხელთ არის მხოლოდ ჯუანშერისა და „ეპისტოლეთა წიგნის" ჩვენებანი ხორნაბუჯში

---

119 ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, გუჯრები, ქუთაისი, 1891, გვ. 101—102.
120 ვ ა ხ უ შ ტ ი, «აღწერა», გვ. 99.
121 ქ ც ბ ა, I, გვ. 126, 229.
122 ვ ა ხ უ შ ტ ი, «აღწერა», გვ. 99.
123 ვ ა ხ უ შ ტ ი, «აღწერა», გვ. 97.

საეპისკოპოსო ცენტრის არსებობის შესახებ ვახტანგ გორგასალის ეპოქაში. თუ სადამდის სწვდებოდა აქაური ეპისკოპოსის იურისდიქცია, ამის თაობაზე მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება. თუ ჩვენ აქ ერთხელ კიდევ გავიხსენებთ სამეცნიერო ლიტერატურაში შემუშავებულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ საეპისკოპოსო კათედრები თან ემთხვეოდნენ ქვეყნის შიგნით არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს, მაშინ შეიძლება დავუშვათ: ხორნაბუჯის ეპარქიის ფარგლები მეტ-ნაკლებად უნდა დამთხვეოდა ხორნაბუჯის საერისთაოს საზღვრებს. ვახუშტის მიხედვით ხორნაბუჯის საერისთაოში კი შედიოდა შემდეგი ტერიტორია: „ქისიყი და გარე კახეთი კუხეთის საზღურამდე, ალაზანსა და მტკვარს და ჰერეთის მთის შიგნითი"[124]. ხორნაბუჯის ეპარქიის ფარგლების დადგენისას მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე ისიც, რომ მისი უახლოესი მომიჯნავე დასავლეთიდან იყო ბოდბის ეპარქია. ვახუშტი წერს: „ხორნაბუჯის დასავლით არის ბოდბის-ხევი, პირველ წოდებული ბოდა, გამომდინარე ცივის მთისა; მოდის ჩდილოდამ სამხრით და ვერ მდინარებს ველსა ზედა სიმცირით. ამ ხევსა ზედა არს ბოდბეს ეკლესია— ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ქისიყისა და ვიდრე კონდოლამდე"[125]. როგორც ვხედავთ, ორ მეზობელ ეპარქიათა შორის მდებარე საზღვარი მიჰყვებოდა ბუნებრივ ხაზს — ბოდბის ხევს. ყოველივე აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, სრული საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ ვივარაუდოთ: ხორნაბუჯის ეპისკოპოსის სამწყსოში უნდა შესულიყო ხორნაბუჯის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მიწა-წყალი, ივრისა და ალაზნის (მისი მარჯვენა მხარე) ქვემო წელი, ვიდრე იორ-ალაზნის შესართავამდე, ხორანთამდე. XIII საუკუნეში, ხვარაზმელთა და მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევების შედეგად, ხორნაბუჯის საერისთაო დაეცა, რასაც, ბუნებრივია, ხორნაბუჯის საეპისკოპოსოს მოშლაც უნდა მოჰყოლოდა. ვფიქრობთ, ამით უნდა იყოს გამოწვეული ის გარემოება, რომ გვიანდელ წყაროებში მთელი ქისიყი (კამბეჩანი) ეპარქიალურად ბოდბის საეპისკოპოში შემავალ ქვეყნად არის ნაგულისხმევი (იხ. ზემოთ ვახუშტის ცნობა).

V საუკუნის მეორე ნახევრის ჰერეთის საგარეო ურთიერთობის ფაქტებიდან აღსანიშნავია ვახტანგ გორგასალის მეფობის ბოლო წლებში — ჰერეთში ირანელების შემოსევა. ჯუანშერი გვიამბობს: „და მოვიდა ხუასრო მეფე და შემუსრნა ქალაქი კამბეჩოანი, და ჰერმისა ციხე, და ველისციხე"[126]. აქ ჯუანშერთან შეცდომა უნდა იყოს დაშვებუ-

---

[124] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 151.
[125] ვ ა ხ უ შ ტ ი, «აღწერა», გვ. 97.
[126] ქ ც ბ ა, I, გვ. 201.

ლი, რადგანაც ვახტანგის მეფობის ბოლო ხანებისათვის ირანში იყო არა ხუასრო, არამედ კავად I (488—531).

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ V საუკუნის I ნახევარში, იეზდიგერდ II დროს (438—457), ჰერულ ტომებში, ირანის ხელისუფლების მიერ ადგილი ჰქონდა ცეცხლთაყვანისმცემლობის პროპაგანდას. ამას, როგორც ჩანს, თავისი შედეგებიც გამოუღია. V საუკუნის დასასრულს, როგორც ჯუანშერი გადმოგვცემს, ჰერეთში, სახელდობრ „ჰევსა ლოპოტისასა, ქვეყანასა მას კლდით მოზღუდვილსა, იყვნეს სოფლისა მის კაცნი ცეცხლისა და წყლის მსახურ, და სავსე იყო ხევი იგი სიმრავლითა კაცთათა ვიდრე ნოსრამდე“[127]. ამრიგად, როგორც ვხედავთ, მიუხედავად, ვახტანგ გორგასალის ენერგიული ბრძოლისა მაზდეიზმის წინააღმდეგ, ლოპოტის ხევში, იქ, სადაც ჩვენი ლოკალიზაციით, ერთ-ერთი ჰერული ტომი, — ლბინები, ცხოვრობდნენ, V საუკუნის ბოლოსათვის, ჯერ კიდევ ყოფილან ცეცხლისმსახურნი. ეს ცნობა ჯუანშერს ძველი წყაროდან უნდა ჰქონდეს ამოღებული, რადგანაც როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, — „აქ, „სოფელი“ ხევის მნიშვნელობით არის ნახმარი და გამოთქვამი „სოფლისა მის კაცნი“ ლოპოტის ხეობის მოსახლეობის აღმნიშვნელია. ამ სიტყვას კი ასეთი მნიშვნელობა მხოლოდ IX ს-მდე ჰქონდა“[128]. ამ ცნობაში საყურადღებოა აგრეთვე, ჯუანშერის მითითება ლოპოტის ხევის მოსახლეობის სიმრავლეზე. საინტერესოა ისიც, რომ აქ იხსენიება ერთ-ერთი განაპირა დასახლებული პუნქტი „ნოსარა“, რომელიც გვიანდელ ხანაში უკვე აღარ გვხვდება, ეს უნდა იყოს იგივე „ნოსორნა“ სოფელი, მელიქიზედეკ კათალიკოსის 1020 წლის სიგელში რომ არის აღნიშნული[129]. მისი ადგილმდებარეობა გაურკვეველია. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ნოსარა უეჭველია ლოპოტის ხევის ან აღმოსავლეთით, ან დასავლეთით, ან ჩრდილოეთით იქნებოდა“[130].

ვახტანგ გორგასალის მემკვიდრის, დაჩი უჯარმელის (VI საუკუნის პირველი წლები) შესახებ ჯუანშერი მოგვითხრობს: „ამანვე მეფემან დაჩი დაჰპატიჟა მთეულთა კახეთისათა, რათა აღიარონ ქრისტე, ხოლო მათ არა ინებეს, და განდგეს ყოველნი ნოპატელნი“[131]. ამ ცნობიდან აშკარად ჩანს: დაჩი უჯარმელს, და საერთოდ ქართლის მმართველ წრეებს, გარკვეული პოლიტიკური ინტერესები აიძულებს იზრუნონ ჰერეთის მთიანეთში მცხოვრებ „ნოჰპატელებზე“ და გაქრისტიანების გზით, მოაქციოს ისინი ქართული სახელმწიფოებრიობის პო-

[127] ქ ც ბ ა, I, გვ. 20.
[128] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ერის ისტორია, I, გვ. 287.
[129] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 33.
[130] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ერის ისტორია, II, გვ. 45.
[131] ქ ც ბ ა, I, გვ. 20

ლიტიკური გავლენის სფეროში, რომ ამით, ეს ჰერული ტომები უფრო მტკიცედ შეიყვანოს ქართლის ეთნო-კულტურულ სამყაროში. პოლიტიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით, ამ ცნობიდან ნათლად დასტურდება, რომ VI საუკუნის დასაწყისისათვის, ჰერეთის მთიანეთი „ნოჰპატი“ ქართლის სახელმწიფოში შემავალი ქვეყანა იყო.

VI საუკუნის მეორე და მესამე მეოთხედში აღმოსავლეთ საქართველოში ადგილი აქვს ძველი ქართული კულტურის სარბიელზე გარკვეული კვალის აღმბეჭდველ ე. წ. სირიელ მოღვაწეთა ჩამოსვლას. აკად. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, „სირიელი“ მოღვაწენი დიოფიზიტური მიმართულების წარმომადგენელნი იყვნენ[132]. აკად. კ. კეკელიძემ კი დაარღვია სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული აზრი, თითქოს „სირიელი“ მოღვაწენი დიოფიზიტები ყოფილიყვნენ. იგი წერს, რომ ეს მოღვაწენი ეროვნებით იყვნენ ქართველნი, სარწმუნოებით კი მონოფიზიტები. მათ გადაუტანიათ მთელი სიმწვავე იმ დევნილობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სირიაში VI საუკუნის მანძილზე. ისინი გამოექცნენ სირიაში მონოფიზიტობის დევნას და ქართლში მოვიდნენ სხვადასხვა დროს[133]. „სირიელ“ მამათა მეტსახელები, მათი მოღვაწეობის ადგილის მიხედვით შერქმეული, გვაძლევს გარკვეულ მასალას, რომლითაც შესაძლებელი ხდება გამოიყოს ჰერეთში მოღვაწე მამათა ჯგუფი. ტრადიციული რწმენით, რომელიც უკვე „მოქცევაჲ ქართლისაჲ-“ს ქრონიკაშია მოცემული, იოანე ზედაზნელს სულ 12 მოწაფე ჰყოლია, მაგრამ სამწუხაროდ ქრონიკის ავტორი არ იძლევა მათ სახელებს[134]. მოიპოვება ორი ნუსხა ამ მამებისა. ერთი შემონახულია შიო მღვიმელის ცხოვრებაში, სადაც ნათქვამია: ანგელოზმა შთაუდვა იოანეს აღმოსავლეთ საქართველოში გამომგზავრების წინ „ათორმეტი ქარტა, რომელსა ეწერა ათორმეტთა ძმათა სახელი, რომელნი იგი უფალმან გამოირჩივნა: შიო, დავით, იოსებ, ანტონი, თეოდოსიოს, თათა, პიროს, ელია, პიმენ, ნათან, აბიბოს, იოანე“[135]. იოანე ზედაზნელის ცხოვრების ვრცელ რედაქციებს წინ უძღვის რამდენადმე განსხვავებული ნუსხა, რომელიც ამავე დროს მამათა ზედწოდებებსაც იძლევა. იქ ნათქვამია: „სახელები წმინდათა მოწაფეთა იოანე ზედაძნელისათა: დავით გარეჯელი, სტეფანე ქიზიყელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონი მარტომყოფელი, ისე წილკნელი, თათა სტეფანწმინდელი. ელია დიაკონი, შიო

---

[132] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 351—377.

[133] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, ეტიუდები, I, გვ. 43—44.

[134] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 94.

[135] ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 80.

მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმბოელი, პიროს ბრეთელი, აბიბო ნეკრესელი[136]. მეორე ნუსხაში მოხსენებული გეოგრაფიული პუნქტებიდან ჰერეთს უნდა მიეკუთვნოს: გარეჯა, ნეკრესი, ქისიყი (სახელდობრ ხირსა, თუ გადმოცემას დავუჯერებთ)[137]. გამოდის, რომ „სირიელ“ მოღვაწეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ინტენსიურ საქმიანობას ეწეოდნენ ჰერეთის ტერიტორიაზედაც. განსაკუთრებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული თავისი მოღვაწეობით ჰერეთთან დავით გარეჯელი, რომელიც როგორც ცნობილია, დაეყუდა ჰერეთის მრავალმთაში და აქვე გარდაიცვალა. დავით გარეჯელის ბიოგრაფი გვიამბობს დავითი „წარვიდა ადგილთა უდაბნოთა და ურწყულთა სჯად თავისა თვისისა, რაითა წუთ ერთითა ჭირითა მოიპოოს საუკუნოჲ იგი და წარუვალი შუებაჲ და განსუენებაჲ. ამისათვისცა აღირჩია აქა სჯაჲ გარეგან უდაბნოთა შინა. ამისთვის ეწოდების უდაბნოსა მას გარესჯა“[138]. ალაზნის გაღმა, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობებზე, ნეკრესში დაემკვიდრა აბიბოსი, რომელმაც შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ირანელების მიერ ჰერეთში დანერგილ ცეცხლთაყვანისმცემლობას და VI საუკუნის შუა წლებში ამ ბრძოლას კიდევაც შეეწირა. „წამებაჲ აბიბოს ნეკრესელისაჲ“-ს არქეტიპულ რედაქციაში, რომელიც IX საუკუნეში კათალიკოზს არსენ დიდს დაუწერია, ვკითხულობთ: „რაჲმეთუ დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა და იგინი ხელმწიფე იყვნეს ჩუენ'სა ამას სოფელსა, და ბილწსა მას კერპთ მსახურობასა — ცეცხლისა მის თაყუანისცემასა და მსახურებსა — აღასრულებდეს მარადის... ხოლო ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ეპისკოპოსი, ხევისა, კახეთისა, აღიძრა ნეტარი შურითა საღრმთოთა და ვერ თავს იდვა უცხოჲსა მის სამსახურებელსა მახლობლად მისსა ყოფად და დაასხა მცირედ წყალი ხენეში და დაშრიტა იგი. ეს რა ცნეს უსჯულოთა მათ სპარსთა..., შემდგომად მრავლისა გუემისა და საკრველთა სატანჯველთაჲსა ქვითა განტჯნეს იგი, ნეტარი, აბიბოს, და მოკლეს“[139]. უნდა აღინიშნოს, რომ „სირიელ“ მამათა ცხოვრების აღწერილობათა შორის, აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებას ყველაზე მეტად შეუნარჩუნებია არქაული სახე, რის გამოც მასში საერთოდ ბევრი საყურადღებო ისტორიული რეალიებია დაცული. მოქმედება წარმოებს იმ დროს, როდესაც „დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა და იგინი ხელმწიფე იყვნეს ჩუენსა ამას სოფელსა“,

---

[136] ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 2. სქოლიო.

[137] საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882, გვ. 301.

[138] ცხოვრება დავით გარეჯელისა, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1955, გვ. 151.

[139] წამებაჲ აბიბოს ნეკრესელისაჲ, ილ. აბულაძის გამოცემა, გვ. 189, 193.

ე. ი. VI საუკუნეში. აბიბოსი არის ქალაქ ნეკრესის ეპისკოპოსი. ნეკ-
რესი კი ჰერეთშია. აბიბოსი შეურაცხყოფს ცეცხლთაყვანისმცემელ-
თა სალოცავს და მას ამისათვის აპატიმრებენ, მაგრამ ვინაიდან მაშინ
ქართლის და მაშასადამე აგრეთვე ჰერეთის, მოსახლეობის უზენაესი
მსაჯულის ფუნქცია ეკუთვნოდა ქართლის მარზპანს, რომლის მუდმივი
რეზიდენცია თბილისი იყო, ამიტომ „მიწერეს მსწრაფლ ზენა სოფლად
მარზპანისა საქმე ესე"[140]. მარზპანის ბრძანებით, აბიბოსი მასთან წა-
იყვანეს. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ აქ ჰერეთი, რომლის ტერიტორია-
ზედაც ნეკრესი მდებარეობს, ქართლის უშუალო, ორგანულ შემადგე-
ნელ ნაწილად იგულისხმება, და, რომ აბიბოს ნეკრესელის ცხოვრების
აღმწერლის, IX საუკუნის (860—887) ქართლის კათალიკოსის,
არსენ I დიდის წარმოდგენით[141], უკვე VI საუკუნეში ქართლის ცნება
ჰფარავს ჰერეთს.

ჰერეთის განაპირა რაიონში, ქიზიყში, სამოღვაწეოდ ეფუძნება
სტეფანე ხირსელი. გარდა ამისა, მამა ანტონი, მას შემდეგ რაც დაშორ-
და იოანე ზედაზნელს, მარტყოფში საბოლოოდ დამკვიდრებამდე, აქტი-
ურ საქმიანობას ეწეოდა ჰერეთის სხვადასხვა პუნქტებში: არტოზანს,
ლოპოტის ხევსა და სხვაგან. ამის შესახებ მეტად საყურადღებო მასა-
ლებია დაცული დავით იმამყული-ხანის 1722 წლის დიდ გუჯარში, რო-
მელიც მიუცია მას ღვთაების ანუ მამა ანტონ მარტომყოფელის მონას-
ტრისადმი. ამ გუჯარში შემონახული უნდა იყოს ანტონ მარტომყო-
ფელის ცხოვრების ტექსტი, რომელსაც ჩვენამდის არ მოუღწევია. მარ-
თალია, იგი თხრობის სახითაა შესული XVIII საუკუნის საბუთში, მაგ-
რამ იგი შედგენილი უნდა იყოს უძველესი დროიდან მომდინარე, ცო-
ცხალ სამონასტრო ტრადიციათა მიხედვით, და ამდენად, შეიძლება მისი
ცნობების გამოყენება. აქ მოთხრობილია, რომ „ოდესღაც განეშორა
წმინდა ესე მამა ანტონი საკუირველისა იოანეს,... გამოვლო ესე ქვეყა-
ნა მთანი და მაღნარნი. გარდავლინა იალნო და შთავიდა შინა კახე-
თად, სადა იყოფოდა არსენი იყალთოდ და წმიდა და ნეტარი შიო არ-
ტოზნად, სადა აწ ეკლესიაცა მისი შენ არს და ქვაბნი არიან მრავლად გა-
მოკვეთილნი. იყოფოდა ჟამ რამდენმე, ხოლო მუნითაცა წარვიდა და
ჩავლინა ალავერდად და მიიწია სადაცა მრავალ ღვაწლმრავლობით გა-
ნენათლა ალაგი იგი ყოვლად ნეტარსა იოსებს. მივიდა მისთანა და გა-
ნაძლიერნეს ურთიერთსა ცხოვრება თვისი... განეშორა მათგან და ჩავ-
ლნა ალაზანნი და შევლნა ხევნი ლოპოტოსანი და მუნ პოვნა ადგილნი
უკაცურნი. დაადგრა ჟამ რავდენმე მარტოებით, ხოლო ვინადგან ღმერ-

---

[140] ი ქ ვ ე , გვ. 189—190.

[141] ქ. ქ ე კ ე ლ ი ძ ე , საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, გვ. 21—22.

თი, რომლისა სახელი კურთხეულ არს, არა დაფარა საფასე იგი დიდძალი და სასანთლე მრავალ მნათობური, შემოკრიბეს ძმანი მრავალნი სოფლისა დამტევნელნი და იყოფოდეს სწავლასა მისსა შინა... და აგრეთვე კუალად გამოვლინა ალაზანნი და შემოვიდა უვალთა ტყეთა და უკაცურთა ალაგთა ახმეტისათა და პოვა ადგილნი გონებისა თვისისა"[142]. როგორც ვხედავთ, ზემოთ მოტანილი ღვთაებრ გუჯრის ნაწყვეტი იძლევა საკმაო მითითებებს ჰერეთის იმ პუნქტების შესახებ, სადაც მიმდინარეობდა იოანე ზედაზნელის მოწაფის, ანტონ მარტომყოფელის სათანადო საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ჰერეთში ღამკვიდრებულმა „სირიელმა მამებმა დიდად შეუწყვეს ხელი ქართლის ქრისტიანული ეკლესიის გაძლიერებას ცეცხლთაყვანისმცემლობასთან ბრძოლაში და აგრეთვე სამონასტრო ცხოვრების და მისი ორგანიზაციის დამყარებაჩამოყალიბებას. მათ მიერ ჰერეთში დაარსებული მონასტრები წარმოადგენდნენ განათლებისა და კულტურული შემოქმედების მნიშვნელოვან კერებს არა მარტო ჰერეთისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის.

VI საუკუნის ოციან წლებში (523 და 532 წლებს შუა), როგორც ცნობილია, ვახტანგ გორგასალის შთამომავლობამ სამეფო ხელისუფლება დაკარგა და ქართლი ირანელთა მფლობელობის ქვეშ ექცევა. ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები ჰერეთსაც შეხებია. „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მემატიანე პირდაპირ აღნიშნავს: „და ვითარცა მეფობაჲ დაესრულა ქართლსა შინა, სპარსნი გაძლიერდეს და ერეთი და სომხითი დაიპყრეს, ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს"[143]. ამავე ხანის ამბებს უნდა ჰგულისხმობდეს მეორე ქართველი მემატიანე სუმბატ დავითის ძე, რომელიც გვიამბობს: „მას ჟამსა მცხეთას კათალიკოსი იყო სჯიმონ-პეტრე; და მცხეთა აღთხელდებოდა და ტფილისი აღშენდებოდა, არმაზი შემცირდებოდა და კალაჲ განდიდდებოდა. და სპარსნი უფლებდეს ქართლს, კახეთს, ჰერეთს, სომხითს, სივნიეთს, ასპურანგს"[144]. აქ სუმბატის წყარო უნდა იყოს „მოქცევაჲ ქართლისაჲ"[145]. როგორც ვხედავთ, ჰერეთი ირანელთა მფლობელობის ქვეშ არის მოქცეული და აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ ჰერეთშიც ადგილი ექნებოდა ირანელთა პოლიტიკისათვის და დაპყრობილ ქვეყნებში მათ მიერ შექმნილი რეჟიმისათვის დამახასიათებელი ღონისძიებების გატარებას. ირანელთა ჰერეთში საქმიანობის შესახებ

---

142 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე , ისტორიული საბუთები, წიგნი I, ტფილისი, 1913, გვ. 28—2

143 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 94.

144 ქ ც ბ ა , I, გვ. 373.

145 შდრ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 95.

საყურადღებო ჩვენებებს შეიცავენ არაბული წყაროებიც (ბალაძორი, ალ ფაკიჰი). ამ წყაროთა ჩვენებებიდან ირკვევა, რომ ირანელებს, ჰერეთში მტკიცედ ფეხის მოკიდების მიზნით, აქ სამხედრო-თავდაცვითი ნაგებობების შექმნაზედაც კი უზრუნიათ. კერძოდ, როგორც ბალაძარი (IX ს.) გადმოგვცემს, ირანის შაჰს ხოსრო I ანუშირვანს (531—578) შაქისა და კამიბარანის (=კამბეჩანს) „კარნი“ აუგია[146].

შაქში სათანადო ზეკარის აგება ნიშნავდა მდ. გიშის-წყლის ხეობის გამაგრებას და ჩაკეტვას. ხოლო რაც შეეხება კამიბარანის resp. კამბეჩანის „კარის“ აშენებას, აქ, ჩვენი აზრით, უნდა იგულისხმებოდეს ხორნაბუჯის ციხის გამაგრება. ერთი ქართული წყაროს (სუმბატ დავითის-ძე) ჩვენებიდან ჩვენ ვიცით, რომ ხორნაბუჯის ციხეში VI საუკუნეში ირანელთა ჯარი იდგა[147]. ბალაძორის ცნობებს ადასტურებს აგრეთვე ალ ფაკიჰი (X ს.) რომელიც ასევე საგანგებოდ აღნიშნავს ხოსრო I ანუშირვანის მიერ „შაქის კარების“ აშენებას[148].

ჰერეთში სასანელთა ბატონობის საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს ე. წ. ზაქათლის „გრძელი კედელი“, რომლის ნაშთები ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე დღემდე არის შემორჩენილი. აღნიშნულ კედელს ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იანი წლებში ყურადღება მიაქცია ა. ხახანაშვილმა. იგი აღნიშნავდა, რომ ზაქათალის მხარეში საკულტო დანიშნულების ძეგლთა გარდა, არქეოლოგიური თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს იწვევს ცნობილი კედელი, რომელიც გადმოგვცემს თანახმად, კავკასიონის მთავარი ქედის პარალელურად მიემართებოდა: მდ ყანი-ყობიდან დაწყებული ვიდრე სოფელ კატეხამდე[149]. ეს მატერიალური კულტურის ძეგლი შემდეგში სპეციალურად შეისწავლა ე. პახომოვმა. როგორც ე. პახომოვის მონაცემებიდან ჩანს, კედელი იწყებოდა ბელაქანსა და ზაქათალას შუამდებარე პუნქტიდან და 30 კმ-ის მანძილზე მიემართებოდა შემდეგი მიმართულებით: კატეხი, მაწეხი, თალა, მუხახი, გულლუგი[150]. ძეგლის არქიტექტურული ანალიზის საფუძველზე და აგრეთვე წერილობითი წყაროების (უმთავრესად არაბული) მოშველიებით, ე. პახომოვი ამ თავდაცვითი

---

[146] Баладзори, Книга завоевания стран, текст и перевод. Перевод с арабского проф. П. К. Жузе, Баку, გვ. 5.

[147] ქცბა, I, გვ. 373.

[148] Н. А. Караулов, Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане, СМОМПК, вып. 31, Тифлис, 1902, გვ. 15.

[149] А. С. Хаханов, Материалы по археологии Кавказа, вып. VII, გვ. 37.

[150] Е. А. Пахомов, Закатальская «длинная стена», Труды Азербайджанского Гос. университета, серия историческая, вып. 1, Баку, გვ. 68—88.

დანიშნულების მქონე ნაგებობას V—VII საუკუნეებით ათარიღებს და მას მიაკუთვნებს სასანელთა ბატონობის ხანას[151].

ზემომოტანილი ფაქტებიდან აშკარად ჩანს ირანის მთავრობის განზრახვა: ჰერეთის ქართლისაგან ჩამოცილება და მისი საკუთრად მიტაცება[152]. მაგრამ ირანელებმა ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შესძლეს. ქართული საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ VI საუკუნის განმავლობაში ჰერეთი პოლიტიკურად ისევ ქართლში შემოდიოდა. კერძოდ, VI საუკუნის მეორე ნახევარში, ჯუანშერის ჩვენებით, ჰერეთში სხედან დაჩი უჯარმელის შთამომავალნი, რომელნიც ქართლის ერისმთავრის გუარამის პოლიტიკური იურისდიქციის ფარგლებში შედიან: „და შვილნი ბაკურ მეფისანი, ნათესავნი დაჩისანი, ვახტანგის ძისანი, რომლისადა მიეცა მეფობა ვახტანგ მეფესა, იგინი დარჩეს კახეთს. და დაიპყრეს კუხეთი და ჰერეთი იორითგან..., და იყვნეს მორჩილებასა გუარამ კურაპალატისასა“[153]. როგორც ვხედავთ, ვახტანგის ჩამომავლები „ივრის ჰერეთში“ სხედან[154]. სხვა წყაროს ჩვენებითაც ირკვევა, რომ იმავე VI საუკუნის მეორე ნახევარში ჰერეთში შეშავალი კამბეჩანის ქვეყნის მმართველნი ქართლის სახელმწიფოებრივი ორგანიზმის საერთო სისტემაში შედიან და, როგორც ჩანს, აქაური მმართველნი ქართლის ერისმთავართან ნათესაურადაც არიან დაკავშირებულნი. საამისო მითითებებს ჩვენ სუმბატ დავითის-ძესთან ვხვდებით. იგი გვიამბობს: „და ოთხნი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს: ხოლო ერთი მათგანი, სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად, და ესე არს, ერისთავი ქართლისა და მამა ბაგრატიონთა. და ესე ქართლისა ბაგრატონიანნი შვილის შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი. ხოლო ძმა მისი, სახელით საჰაკ, წარვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს. სხუანი ორნი იგი ძმანი ამათნი, სახელით ასამ და ვარაზვარდ, წარვიდეს კამბეჩანს, და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი და დაიპყრეს კამბეჩანი, და დასხდეს იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს. და ამა ჟამამდე შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა“[155]. მოტანილი ცნობიდან ჩანს, რომ კამბეჩანს ქვეყანაში დამკვიდრებულნი არიან ქართლის ერისმთავარ გუარამის ორი ძმა, ასამი და ვარაზვარდი[156]. ამავე ცნობიდან ნათელი ხდება, რომ ასამისა და ვარაზვარდის გამთავრება კამბეჩანში

---

151 Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრ., გვ. 88—90.

152 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, I დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 122.

153 ქცბა, I, გვ. 219.

154 დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 77.

155 ქცბა, I, 373.

156 შდრ. დ. მუსხელიშვილი, გვ. 77—78.

აჯანყების შედეგად მომხდარა და, რომ ამ აჯანყებას კამბეჩანში ირანელთა ბატონობის დამხობაც მოჰყოლია.

§ I. ჰერეთ-სომხეთის ურთიერთობის საკითხისათვის ადრეფეოდალურ ხანაში

VII საუკუნის დამდეგს (608 წ.) ადგილი აქვს სარწმუნოებრივ-საეკლესიო განხეთქილებას ქართლსა და სომხეთს შორის. ქართლის ეკლესია მტკიცედ დგება დიოფიზიტიზმ-ქალკედონიზმის პოზიციებზე, ხოლო სომხეთის ეკლესია კი საბოლოოდ მიემხრო მონოფიზიტიზმ-ანტიქალკედონიზმს. წერილობითი წყაროების მონაცემებიდან ირკვევა, რომ მონოფიზიტიზმ-ანტიქალკედონიზმისათვის მხარი დაუჭერია აგრეთვე ჰერეთ-ალბანეთსაც. ამ ამბების შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ამ ჟამებთა ცილება იქმნა ქართველთა და სომეხთა შორის სარწმუნოებისთვის; ხოლო კვირიონ ანუ სვიმეონ კათალიკოსმან ქართლისამან განდევნა ცოორტავის ეპისკოპოსი შუშანიკის საფლავი — საგან და მწვალებლობისათვის სომეხთასა და იქმნა უმეტესი განყრილება. ხოლო ჰერეთი იქმნა სომეხთა წვალებისად ბიდრეკილი. ესრეთ სწერენ ეკლესიის მემატიანენი ქართველნი“[157]. IX საუკუნის ქართველი ისტორიკოსი არსენ საფარელი თავის პოლემიკურ ტრაქტატში — „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“ მოგვითხრობს: როდესაც სომხებმა დაჰგმეს „რჯული ბერძენთა“ (ე. ი. ქალკედონიზმი — თ. პ.), მაშინ „ქართლი ყოველი და მეოთხედი სომხითისა განეყენნეს... სომეხთაგან, არამედ ჰერნი და სივნიელნი ჟამ ერთ განეყენნეს და კუალად შეერინენ“-ო[158]. არსენ საფარელის ამ ცნობიდან ჩანს, რომ ჰერეთ-ალბანეთის სომხური სარწმუნოებისადმი მიმხრობა ერთბაშად არ მომხდარა. თავდაპირველად ჰერეთი, ქართლის მსგავსად, ქალკედონიზმს მიმხრობია. ამასვე გვაუწყებს სომეხთა კათალიკოზი ანანია მოკელი (X ს.). იგი აღნიშნავს, რომ დასაწყისში ჰერეთ-ალბანეთი წინაღუდგა სომეხთა სარწმუნოებას (მონოფიზიტიზმს—თ. პ.), ისინი მიჰყვნენ კირიონს და მცირეოდენი ხნით შეუერთდნენ მას, ვიდრე კომიტას კათალიკოზის ტახტზე ასვლამდე. ხოლო კომიტას კათალიკოზმა (615—628) შესძლო ჰერეთ-ალბანეთის სომხურ სარწმუნოებაზე გადაყვანა[159]. თუ როგორ მოახერხა კომიტას სომეხთა კათალიკოზმა ჰერეთ-ალბანეთის სარწმუნოებრივად თავისთან გაერთიანება, ამის შესახებ საყურა-

---

[157] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, დ. ბაქრაძის გამოცემა, ტფილისი, 1885, გვ. 108.

[158] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 323.

[159] იხ. ჟურნალი «Արարատ», 1897, մարդ, გვ. 137.

რადღებო დეტალებს გვაწვდის არსენ საფარელი. იგი გვამცნობს: „დაჯდა კომიტოს, რომელი იდო მდიდარ და მოხარკე სამოსელთა და სახედართა ზედა, რომელიცა თუალთაგან პატიოსანთა ბივრილთა შეამკობდა თავსა კუჩრთხისასა. ამან უფროჲს ყოველთასა შესძინა ცილობასა ქალკიდონისასა, და მისცა შვიდი საეპისკოპოსო ხელთა ქუჩშე ჰერთა[160] კათალიკოზისასა და შეიერთა იგი და შეჩუჩნებად სცა კრება ქალკიდონისა"[161]. როგორც ვხედავთ, სომხური მონოფიზიტური ეკლესიის მეთაურს, კომიტასს, ალბანთა კათალიკოზისათვის შვიდი საეპისკოპოსო უბოძებია და ამ გზით მთელი ჰერეთ-ალბანეთი მონოფიზიტურ რწმენაზე გადაუყვანია. რა თქმა უნდა, ძალზე ძნელია იმის დადგენა, თუ რამდენად შეეფერება რეალურ სინამდვილეს არსენ საფარელის მიერ მოთხრობილი ეს ფაქტი, მაგრამ ამ ცნობიდამ ერთი რამ მაინც სრულიად აშკარაა: სომხური ეკლესია და საერთოდ სომხეთის სახელმწიფოს მესვეურნი ენერგიულ ღონისძიებებს მიმართავენ ჰერეთ-ალბანეთში თავისი გავლენის გავრცელებისათვის. სხვა საკითხია, თუ რამდენად აღწევენ ისინი ამას.

ჰერეთ-სომხეთის ურთიერთობა ჰერეთის ისტორიის ერთი მეტად საყურადღებო საკითხთაგანია. ამდენად, ამ ურთიერთობის ამსახველი ფაქტების წარმოჩენას და მათ სწორ გაანალიზებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ადრეფეოდალური ხანის ჰერეთ-სომხეთის ურთიერთობის შესახებ არსებული ფაქტებიდან, უპირველეს ყოვლისა, გავიხსენოთ დავით გარეჯელის ცხოვრების არქეტიპულ და მეტაფრასულ რედაქციებში შემონახული ერთი მეტად საინტერესო ისტორიული რეალია. კერძოდ, იქ მოთხრობილია, რომ VI საუკუნეში, გარეჯის უდაბნოში (ე. ი. ჰერეთში), დავით გარეჯელთან შემთხვევით მოვიდა ვინმე ბუბაქარ ბარბაროზი, „ნათესავით ადგილთაგან რუჲსთავისთა". და აი, როგორც ჰაგიოგრაფი გვაუწყებს, დავით გარეჯელმა ამ ბუბაქართან საუბარი გაბა სომხურ ენაზე — „ხოლო წმიდაჲ იგი (დავითი) ეტყოდა მას (ბუბაქარს) სომხურითა ენითა"-ო[162]. ამ ცნობიდან სპეციალისტთა ყურადღებას იპყრობს დავით გარეჯელის სომხურ ენაზე საუბარი.

ჰერეთ-სომხეთის ურთიერთობის შესახებ ცნობები შემონახულია, აგრეთვე არსენ საფარელის თხზულებაში (IX ს.). არსენ საფარელი, გვიამბობს რა VII საუკუნის სომეხი მონოფიზიტი მოღვაწის იოვანე მაირავანელის შესახებ, აღნიშნავს: „თეოდორე რშტონთა უფალმან, ერისთავმან სომხითისამან, მელი სპილენძისა მჭურვალი დასდვა ნი-

---

[160] არსენ საფარელი აქ «ჰერეთს» ხმარობს მთელი ალბანეთის შესატყვისად-თ. ბ.

[161] თ. ყორდანია, ქრონიკები, I, გვ. 321.

[162] ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 168—169.

შნად შუბლსა მისსა (ე. ი. იოვანე მაირავანელის — თ. ბ.) წვალებისათჳს, ორთა თანა მონაზონთა მოყუასთა მისთა და წარვიდა ოტებული კავკასიის მთასა და მუნით უკუმოიქცა მსწრაფლ, რამეთუ არა შეწყნარეს იგი მთეულთა მათ კაცთა, რამეთუ იყვნეს იგი კერპთ მსახურ, და გარდმოვიდა კანბეჩანს და დაემკვიდრა ჴევსა შინა მცირესა, რომელსა ჰრქჳან ჴევი სომხითისა და მრავალნი დაიმოწაფნა არა თუ მას შინა ოდენ, არამედ ამიერ მტკურისა, არარტას, გარდმანს, ძოროთორს და სომხითს და მრავალნი ქმნნა მონაზონ უწესოჲთა მით მოძღურებითა და აღივსო ქუეყანა წვალებისა ღუარძლითა"[163]. ამ ცნობიდან მკვლევართა ინტერესს იწვევს, სომეხთა ერისთავის თეოდოროს რშტუნის (635—658 წწ.) მიერ, სამშობლოდან განდევნილი იოვანე მაირავანელის კამბეჩანში დროებითი დამკვიდრების ფაქტი.

ჰერეთ-სომხეთის ურთიერთობას ასახავს „მატიანე ქართლისაჲ-"ს (XI ს.) შემდეგი ცნობა: „ჰერეთსავე, მეფობამდე იშხანიკისსა, პირველნი ყოველნი იყვნეს მწუალებელნი... და დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებელად, დინარ დედოფალმან"[164]. „მატიანე ქართლისა-"-ს ამ მონაცემებს იმეორებს ვახუშტი ბაგრატიონი თავის „ქმნულება და ცხოვრება კახეთისა და ჰერეთისა"-ში. იგი წერს: „იშხანიკისამდე იყო ჰერეთი მწვალებელი... ხოლო ამან დინარ დედოფალმან მოაქცია ჰერეთი სომეხთა წვალებისაგან მართლმადიდებლობისა და აღმსაარებლად"[165]. როგორც ვხედავთ, „მატიანე ქართლისაჲ"-ს ავტორი და ვახუშტი ბაგრატიონი საქმეს ისე წარმოგვიდგენენ, თითქოს იშხანიკის მეფობამდე (ე. ი. X საუკუნემდე) ჰერეთის მოსახლეობა მწვალებლობას მისდევდა, ე. ი. სომხურ მონოფიზიტურ სარწმუნოებას (ანტიქალკედონიზმს) აღიარებდა, და იშხანიკის დედამ, დინარ დედოფალმა, ისინი მართლმადიდებლობას (ქალკედონიზმს) შემოუერთა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგიერთი მკვლევარი ჰერეთ-სომხეთის ურთიერთობის ამსახველ ზემომოტანილ ფაქტებს გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ასე მაგალითად, ნ. მარი, ეყრდნობოდა რა ზემოაღნიშნულ ცნობებს, აღნიშნავდა, რომ ჰერეთში, ქვეყნის კოლონიზაციის საქმეში ქართველებს წინ სომხები უსწრებდნენ. მისი აზრით, X საუკუნეში, როდესაც ჰერეთში ქალკედონიტობამ საბოლოოდ გაიმარჯვა და მოხდა ამ მხარის «გაქართველება», ფაქტიურად აქ სომხები ქართველდებოდნენ. იგი წერს: «В Эретии, в колонизации края грузинам предшествовали армяне, так что в

---

[163] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 331—332.

[164] ქ ც ბ ა, I, გვ. 266.

[165] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 149.

грузин обращались армяне, собственно обармянившиеся албанцы, если на одном показании жития Давида Гареджийского строить этнографическую характеристику всего края... В житии Давида Гареджийского подробно расказан случай обращения «варвара» Бубакара, с которым святой беседовал по армянски (სომხურითა ენითა)»[166].

ჰერეთ-სომხეთის ურთიერთობის საკითხებს უკანასკნელ ხანებში სპეციალურად შეეხო სომეხი მკვლევარი ა. მნაცაკანიანი. იგი საგანგებო ყურადღებას აქცევს ქართულ საისტორიო წყაროებში შემონახულ იმ ცნობებს, რომლებიც ჰერეთ-სომხეთის ურთიერთობას ასახავენ. განიხილავს რა დავით გარეჯელის ბუბაქარ ბარბაროზთან სომხურ ენაზე საუბრის ფაქტს, აღნიშნავს: ქართული წყაროების თანახმად, იბერიის სულიერი წინამძღოლი დავით გარეჯელი კამბეჩანში (sic!)[167], ე. ი. ჰერეთში, იძულებული იყო სომხურად ელაპარაკა. ა. მნაცაკანიანის აზრით, ეს არის ფაქტი, რომელიც ცხადად გვიჩვენებს ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სურათს VI საუკუნეში. თავისი დებულების კიდევ უფრო შესამაგრებლად ა. მნაცაკანიანს მოაქვს ნ. მარის მოსაზრება ამ საკითხზე, რომელიც ჩვენ ზემოთ უკვე მოვიტანეთ[168].

მნაცაკანიანის შეხედულებით, კამბეჩანის ერთდროს სომეხთადმი კუთვნილებაზე და მისი სომხური მოსახლეობით დასახლებაზე მიგვითითებს აგრეთვე IX საუკუნის ქართველი ისტორიკოსის არსენ საფარელის ცნობა (იხ. ზემოთ), რომელიც შეეხება VII საუკუნის სომეხი სასულიერო მოღვაწის იოვანე მაირავანელის დროებით საქმიანობას კამბეჩანში. მისი აზრით, ამ ცნობიდან ჩანს, რომ VII საუკუნეშიაც კამბეჩანი სომხებით იყო დასახლებული, მის ხევთაგან ერთ-ერთს ეწოდება „ჰევი სომხითისა“ (*հայոց ձոր*), სადაც დროებით დამკვიდრდა იოვანე მაირავანელი, რომელმაც დაარსა იქ სკოლა და თავისი სექტა და ამავე დროს კავშირი დაამყარა გარდმანთან და სომხებით დასახლებულ სხვა გარეშემო ადგილებთან. ა. მნაცაკანიანის საბოლოო დასკვნით, კამბეჩან-ჰერეთის სომხური მოსახლეობა განუყოფელი იყო სომხეთისაგან და ამ ამბავმა გასტანა XI საუკუნემდე, რო-

---

[166] Н. Марр, Аркаун, Монгольское название христиан, в связи с вопросом об армянах-халкедонитах, византийский временник, т. XII, Спб, 1906, გვ.7.

[167] ა. მნაცაკანიანი აქ ფაქტიური ხასიათის შეცდომას უშვებს. ჰაგიოგრაფის ცნობით, მამა დავითის სომხურად საუბარს ადგილი ჰქონდა არა კამბეჩანში, არამედ გარეჯის მრავალმთის სანახებში.

[168] Ա. Շ. Մնացականյան, Ադվանից Աշխարհի գրականության հարցերի շուրջը. Երևան, 1966, გვ. 51.

მლის შემდგომაც, ქართული ეკლესიის გავლენით, მან იწყო ქართველებთან შერწყმა[169].

ჰერეთ-სომხეთის ურთიერთობაზე მსჯელობისას, რა თქმა უნდა, ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ ჰერეთის ქვეყანას სომხეთი ძლიერად ეჭიდებოდა და ცდილობდა იქ თავისი პოზიციების განმტკიცებას[170], მაგრამ მთავარი აქ იმის დადგენა და გარკვევაა, თუ რა რეალური შედეგები მოჰქონდა სომხეთის ამ მცდელობას; საჭიროა გაირკვეს: ადგილი ჰქონდა თუ არა ჰერეთში სომხური ელემენტის რამოდენადმე მაინც მყარად დამკვიდრებას, რომ მას აქ გამოეწვია ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური სახის შეცვლა?.

გადავიდეთ ზემოაღნიშნული ფაქტების ანალიზზე. დავიწყოთ დავით გარეჯელის სომხურ ენაზე საუბრის ფაქტით. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს: ჩვენი აზრით, ყოვლად შეუძლებელია ამ ერთი პატარა დეტალით გადავწყვიტოთ VI საუკუნის ჰერეთში გაბატონებული ენისა და კულტურის საკითხი, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი აკეთებს (მ. ბროსე[171], ნ. მარი, ა. მნაცაკანიანი). ამ შემთხვევაში სავსებით მართალი იყო ს. კაკაბაძე, რომელიც აღნიშნავდა: „მარტო ფაქტი დავით გარეჯელის დალაპარაკებისა სომხურად ბარბაროსთან, რაც მოხსენებულია სათანადო ცხოვრების როგორც არქეტიპულ, ისე მეტაფრასტულ რედაქციაში, თავის თავად არაფერს ამტკიცებს“[172]. აქვე უნდა გავიხსენოთ ის ამბავიც, რომ „სირიელი“ მამები, და მათ შორის დავით გარეჯელიც, როგორც ეს სრული სიცხადით აჩვენა კ. კეკელიძემ, ეროვნებით „პირწავარდნილი ქართველები“ იყვნენ და თითოეულმა მათგანმა მშვენივრად იცოდა ქართული ენა[173]. ამასაც რომ თავი დავანებოთ, საკითხავია: სად წავიღოთ ის ცნობილი ქვის სტელა წმ. ევსტატეს რელიეფით, რომელიც სწორედ იმავე დავით გარეჯის უდაბნოს ერთ-ერთი გამოქვაბული მონასტრის, ნათლიმცემლის ეკლესიის მთავარი შესასვლელის წირთხლში არის ჩატანებული და რომელზედაც მოთავსებულია ქართული ექვსსტრიქონიანი წარწერა ასომთავრულით? წარწერა ასე იკითხება: „ესე ჯოვარი მე, მარზოჯნ, ავმართე

---

169 **Ս. Շ. Մնացականյան**, დასახ. ნაშრ., გვ. 52—53.

170 შდრ. დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 117.

171 M. Brosset, Histoire de la Georgie, Introduction, St.-Petersburg, 1858, გვ. X.

172 ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, ს. კაკაბაძის გამოცემა, ტფილისი, 1928, გვ. 16.

173 კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, გვ. 40—42.

სალოცველად ჩემდა და ცოლისა და შვილთათვის"[174]. ჯვრის მხატვრული ანალიზი, სიუჟეტი (გამოსახულია წმ. ევსტატეს ნადირობის სცენა), ტანსაცმელი, ევსტატეს ვარცხნილობა და სხვა რეალიები გ. ჩუბინაშვილს საფუძველს აძლევს ეს ქართულწარწერიანი სტელა VI—VII საუკუნით დაათარიღოს[175]. როგორც ვხედავთ, აქ ჩვენ სწორედ იმავე ხანასთან (VI ს.) გვაქვს საქმე, როდესაც დავით გარეჯელი მოღვაწეობდა. გეოგრაფიული გარემოც იგივეა: გარეჯის მრავალმთის სანახები, სწორედ ის ადგილები, სადაც ბუბაქარ ბარბაროზი ნადირობის დროს შემთხვევით წააწყდა დავით გარეჯელს. დასკვნა ერთია: VI საუკუნეში, როდესაც ჰერეთის მრავალმთის სანახებში საფუძველი ჩაეყარა დიდ სამონასტრო ორგანიზაციას, აქ საეკლესიო ღვთისმსახურება იმთავითვე ქართულ ენაზე წარმოებდა და ადგილობრივი მოსახლეობის სალაპარაკო-სასაუბრო ენაც ქართული იყო.

2) მოკლედ შევეხოთ არსენ საფარელის ცნობას იოვანე მაირავანელის კამბეჩანში მოღვაწეობის შესახებ. იოვანე მაირავანელი, სომხური მონოფიზიტური ეკლესიის ცნობილი მოღვაწე, კათალიკოს კომიტასისა (615—628) და სომხეთის მმართველ თეოდოროს რშტუნის (635—658) თანამედროვე იყო. იცავდა რა სომხური ეკლესიის ოფიციალურ რწმენას, იგი ამავე დროს გამოირჩეოდა თავისი დამოუკიდებელი და თავისუფალი აზროვნებით, რის გამოც მას ხშირად სდევნიდნენ სამშობლოდან[176]. არსენ საფარელის ზემოაღნიშნული ცნობა სწორედ ამ ამბებს უნდა ასახავდეს. არსენ საფარელის ცნობაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს შემდეგი ადგილი: კავკასიის მთიელებიდან უკუმოქცეული იოვანე მაირავანელი „გარდმოვიდა კანბეჩანს და დაემკვიდრა ხევსა შინა მცირესა". როგორც ვხედავთ, იოვანე მაირავანელის საქმიანობის ასპარეზი კამბეჩანში შემოიფარგლებოდა მხოლოდ ერთი მცირე ხევით. მისი მოღვაწეობა ძირითადად კამბეჩანის ფარგლებს გარეთ იყო გაჩაღებული, მტკვრის მარჯვენა მხარეს: „ამიერ მტკურისა, არარატს, გარდმანს, ძოროთორს და სომხითს". კირაკოს განძაკელის (XIII ს.) მოწმობით, კათალიკოს ეზრას (630—641) დროს

---

174 თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბილისი, 1962, გვ. 53—54.

175 Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, Тбилиси, 1948, გვ. 31—33, ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბილისი, 1956, გვ. 11—12.

176 М. Абегян, История древнеармянской литературы, т. I, Ереван, 1948, გვ. 304—305

სომხეთიდან გაძევებული იოვანე მაირავანელი თავს უმთავრესად ქედაბეკის[177] ციხის მიდამოებში აფარებდა, სადაც, როგორც ჩანს, მას მონასტერიც კი დაუარსებია[178]. ასე რომ, იოვანე მაირავანელის მოღვაწეობას კამბეჩანში დროებითი, ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. ასეთ ვითარებაში კი მისი საქმიანობა კამბეჩანში, რა თქმა უნდა, ვერ გამოიწვევდა ადგილობრივი მოსახლეობის გასომხებას.

შევუდგეთ «მატიანე ქართლისაჲ»-ს და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობების განხილვას. უნდა აღინიშნოს, რომ «მატიანე ქართლისაჲ»-ს და ვახუშტის ჩვენებანი, ჰერეთში სომხური სარწმუნოების-მონოფიზიტიზმის — გავრცელების შესახებ, ზუსტად ვერ გამოხატავენ ისტორიულ სინამდვილეს. ვახუშტისა და «მატიანე ქართლისაჲ»-ს აღნიშნული ცნობა ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს მთელი სამი საუკუნის განმავლობაში (ე. ი. VII საუკუნის დამდეგიდან, როცა მოხდა სარწმუნოებრივი განხეთქილება სომხეთსა და ქართლს შორის და როცა ჰერეთმაც სომხურ სარწმუნოებას — მონოფიზიტიზმს — დაუჭირა მხარი — ვიდრე X საუკუნემდე, როცა აქ ქალკედონიზმი იმარჯვებს) ჰერეთში სომხური სარწმუნოება ბატონობდა უცილობლად და შემდეგ X საუკუნეში, იშხანიკისა და დინარის დროს, უცბად ქალკედონიზმი იმარჯვებს. ქართული წყაროების არასიზუსტეზე ამ საკითხში ჯერ კიდევ თვით ნ. მარი მიუთითებდა. იგი წერს: «В X-м веке в Эретии халкедонитство восторжествовало окончательно. Грузинския летописи дело излагают так, будто до этого времени, т. е. до царствования Ишханика прежние (жители области) были еретики (антихалкедониты), Ишханик же был племяник эристава эриставов Гургена, и мать его царица Динара обратила их в православие (халкедонитство). Но такое внезапное обращение немыслимо без того, чтобы в стране халкедонитство было распространено и раньше»[179].

არასწორი შეხედულებისა იყო ამ საკითხზე დ. ბაქრაძე, რომელიც წერს, რომ „Закатальский округ составлял часть Герети, населенного грузинами, исповедывавшего до X в. армянскую веру“[180].

---

[177] ქედაბეკის ციხე მდებარეობს დასახლებულ პუნქტ ქედაბეკის მახლობლად, აწინდელი ქედაბეკის რაიონში, აზერბაიჯანის სსრ, კიროვობადიდან 56 კმ-ის დაშორებით, მდ. შამქორ-ჩაჲს მარცხენა ნაპირზე.

[178] Киракос Гандзакеци, История, Баку, 1946, გვ. 35—36.

[179] Н. Марр, Аркаун, გვ. 7.

[180] Д. Бакрадзе, Заметки о Закатальском округе, Записки КОИРГО, кн. XIV, вып. I, Тифлис, 1895, გვ. 255; იხ., აგრეთვე: დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 117—118.

პირიქით, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, თვით სომხური წყაროების მონაცემებიდან აშკარად ჩანს, რომ ჰერეთში ამ პერიოდში (VII—X სს.) მონოფიზიტიზმმა მტკიცედ ვერ მოიკიდა ფეხი, მან ვერ შესძლო აქ ქართული კულტურის აღმოფხვრა. აქ მან ვერ მოიპოვა მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გაბატონებული მდგომარეობა.

VII საუკუნის დამდეგიდან ვიდრე X საუკუნის შუა ხანებამდე, ჰერეთ-ალბანეთში წარმოებდა ბრძოლა ქალკედონიტებსა და ანტიქალკედონიტებს შორის. ქალკედონიტობის გამარჯვება ამ მხარეში მოასწავებდა ქართული კულტურის და ქართველთა პოლიტიკური ბატონობის კიდევ უფრო განმტკიცებას, რადგან, როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, იმ დროს, „ქართველს“ წარმოადგენდა ყველა ის, ვინც ქალკედონიტი იყო (კავკასიაში თუ მის მეზობლად) და ვინც საეკლესიო მსახურებას ქართულ ენაზე ისმენდა“[181]. ჰერეთ-ალბანეთში ანტიქალკედონიტობის დამყარებას კი მივყავდით აქ სომხური ეკლესიის პრიორიტეტის გავრცელებისაკენ. აღნიშნული ბრძოლა ატარებდა შეუპოვარსა და მედგარ ხასიათს; რადგან ორივე ქვეყანას გააჩნდა კონფესიურად განსხვავებული საკმაოდ მძლავრი საეკლესიო ორგანიზაცია. გარდა ამისა, როგორც ქართლი, ისე სომხეთი წარმოადგენდნენ მეურნეობრივად მაღალ განვითარებულ, კულტურულად გამოკვეთილ და ისტორიული ტრადიციებით ძლიერ სახელმწიფოებს. VII—X საუკუნეების განმავლობაში ჰერეთ-ალბანეთში, მეზობელი ქალკედონიტური ქართლის გავლენით და აგრეთვე ამიერკავკასიაში ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური გავლენის გაძლიერებასთან დაკავშირებით, დრო და დრო სხვადასხვა სიძლიერით, თავს იჩენდა ხოლმე ქალკედონიტური განწყობილებანი. ასე მაგალითად, ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლე პირველის (610—641 წწ.) ლაშქრობათა პერიოდში, როდესაც მათი მოკავშირე ხაზართა ლაშქარი ალბანეთში შეიჭრა და თბილისაც ალყა შემოარტყეს (628 წ.), ალბანეთის მმართველმა წრეებმა შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი იმით ჰპოვეს, რომ აღიარეს ბიზანტიის იმპერატორის სუზერენული უფლებანი. ჰერაკლემ ალყაშემორტყმული თბილისი დაუტოვა ხაზართა ხაკანს, ჯიბღუ ერისთავს, თვითონ კი სამხრეთისაკენ გაემართა. და აი აქ, სომხეთისა და ალბანეთის საზღვარზე, მის წინაშე წარსდგა ალბანეთის მთავარი, ვარაზ-გრიგოლი მიხრანიდი, რომელმაც თავი ბიზანტიის ვასალად ცნო და ამავე დროს აღიარა თავისი ახალი სუზერენის რელიგია, ე. ი. დაჰგმო სომხური მონო-

---

[181] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, «მნათობი», 1954, № 6, გვ. 121.

ფიზიტური სარწმუნოება და ქალკედონიტობაში გადავიდა. ქართველი ისტორიკოსის, სუმბატ დავითის ძის სიტყვით (ქართლის ცხოვრების მარიამისეული ნუსხის მიხედვით), „ნათელ-სცა ერეკლე ვარზა გრიგოლისი და ყოველსა ერსა მისსა“[182]. ვარაზ გრიგოლის მონათვლაზე მოგვითხრობს აგრეთვე მოსე კალანკატუელი. მისი სიტყვით, ვარაზ გრიგოლი მოუნათლავს ალბანეთის კათალიკოს ვიროს (596—630)[183]. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არის აღიარებული, კათალიკოსი ვირო ქალკედონიტი იყო[184], და საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მისი დროიდან მოკიდებული ალბანეთის ეკლესია აქტიურად დგება ქალკედონიზმის პოზიციებზე[185].

განსაკუთრებით აქტიურად წამოყვეს თავი ჰერეთ-ალბანეთში ქალკედონიტურმა ელემენტებმა VII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს და VIII საუკუნის დასაწყისში. მათი გააქტიურება ამჯერადაც გამოწვეული იყო ქალკედონიტური ქართლის მხარდაჭერით და ბიზანტიის პოლიტიკური ბატონობის განმტკიცებით ამიერკავკასიის ქვეყნებში. ეს არის ხანა, როდესაც ალბანეთში, იოანე დრასხანაკერტელის, მოსე კალანკატუელის და კირაკოს განძაკელის ცნობებით, მბრძანებლობს დედოფალი სპრამა (ვარაზ თრდატის მეუღლე); სრულიად ალვანეთის კათალიკოსის პოსტი უკავია ქალკედონიტ ნერსეს-ბაკურს (684—704). მათი მმართველობის ბოლო წლებისათვის, სომხურ წყაროებში სომხეთის კათალიკოსად იხსენიება ელია არჭიშელი (703—717)[186]. მთელი 171/2 წლის მანძილზე, რომლის განმავლობაშიც ალვანეთის ეკლესიის სათავეში ქალკედონიტი ნერსეს-ბაკური იდგა, ჰერეთ-ალბანეთში ქალკედონიტები ბატონობდნენ, რაც სომხეთის საერო და სასულიერო წრეების შეშფოთებასა და დიდ წინააღმდეგობას იწვევდა. მივმართოთ სომხურ წყაროებს. იოანე დრასხანაკერტელი გვიამბობს: „ხოლო დიდი მამამთავრის ელიას დროს ვინმე ნერსესი, რომელიც მაშინ მთავარ ეპისკოპოსად იყო ალვანეთს, უღვთოობის ცდუნებაში ჩავარდა თვით და ერეტიკოსად იქცა... მასთან ერთად მისი თანახმა შეიქნა ვინმე დედოფალიც (იგულისხმება სპრამა — თ. პ.), რომელიც მაშინ ალვანე-

---

[182] ქცბა, I, გვ. 375.

[183] М. Каганкатваци, кн. II, гл. XVII, გვ. 137.

[184] З. М. Бунятов, О деятельности католикоса Албании Виро, Сб., Ближний и Средний Восток, Москва, 1962, გვ. 17.

[185] N. Akinean, Wiroc, katolikosi Aluanic , „Handes Amsorya», Wienna, 1954, გვ. 473—474.

[186] М. Каганкатваци, кн. III, гл. III—IV; К. Гандзакеци, История, გვ. 101; იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, ილ. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1937, გვ. 14—16.

თის მბრძანებელი იყო და ასე ორივე ისინი შეერთდნენ და შეეცადნენ გადაეყვანათ მთელი ქვეყანა ლეონის წერილის კაცმსახურ გმობაზე"[187]. ალვანეთის ქალკედონიანობაზე გადასვლას დიდი წინააღმდეგობა შეაგებეს სომხური მონოფიზიტური ეკლესიის მესვეურებმა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან მათ ემუქრებოდათ საფრთხე თავიანთი გავლენის დაკარგვისა ჰერეთ-ალბანეთში. სომხეთის ანტიქალკედონიტური (და მაშასადამე, პოლიტიკურად ანტიქართული და ანტიბიზანტიური) ელემენტები ჰერეთ-ალბანეთში შერყეული პოზიციების განმტკიცებასა და დაკარგული გავლენის კვლავ აღდგენას ცდილობენ არაბული ხელისუფლების დახმარებითა და გამოყენებით. მოსე კალანკატუელის თხზულებაში დაცულია სომეხთა კათალიკოზის ელიას ეპისტოლე, რომელიც მას გაუგზავნია VIII საუკუნის დამდეგს ხალიფა აბდ-ალ-მალიქისადმი (685—705). ეს ეპისტოლე შემდეგი შინაარსისაა: „ჩვენს დამორჩილებულ ქუეყანას ყოვლისმპყრობელ ღვთისაგან წილად ხვდა თქვენი სამსახური და, ალვანელებთან ერთად, ქრისტეს ღვთაებრიობის ერთი სარწმუნოების აღსარება. ალვანელების ეხლანდელი კათალიკოსი კი, რომელიც ბარდავში ზის, შეუთანხმდა ბერძენთა კეისარს, იხსენიებს მას ლოცვებში და აიძულებს ქვეყანას შეუერთდნენ მას სარწმუნოებრივად. დაე, ყოველივე ეს ცნობილი იყოს თქვენთვის, და ნუ უგულებელყოფ ამას, რადგანაც მას ჰყავს თანამოზიარე, ერთი წარჩინებული დედაკაცი (იგულისხმება ალვანეთის დედოფალი სპრამა. თ. პ.). ბრძანეთ თქვენი დიდი უფლებით მათი დასჯა, მათი შეცოდებისათვის ღვთის წინააღმდეგ". მოსე კალანკატუელი გვაწვდის აგრეთვე ხალიფა აბდ-ალ-მალიქის პასუხს კათალიკოს ელიას ეპისტოლეზე. აი ისიც: „წავიკითხე შენი გულწრფელი წერილი, ღვთისკაცო ელია სომეხთა კათალიკოსო, და შენდამი წყალობის გამო, გავგზავნე ჩემი სანდო მსახური დიდძალი ჯარით. ვბრძანეთ განმართვა (გასწორება) შენი სჯულის მიხედვით ალვანელთა შორის, რომელნიც აჯანყებულან ჩვენი ბატონობის წინააღმდეგ. ჩვენი მსახური განახორციელებს ჩვენს განაჩენს შენი თანდასწრებით ბარდავში: იგი ჯაჭვით დაბამს ნერსეს და იმ დედაკაცს, და გამოიყვანს მათ სამეფო კარზე, რათა ყველა მეამბოხემ დაინახოს მათი მოქმედების შერცხვენა"[188]. იგივე მოსე კალანკატუელი გვიამბობს, რომ ბარდავში ჩამოსული სომეხთა კათალიკოსი ელია, მართლაც უშუალოდ მონაწილეობდა ალვანეთის კათალიკოს ნერსეს-ბაკურისა და ალვანეთის დედოფალ

---

[187] იოანე დრასხანაკერტელი, გვ. 14—15.

[188] М. Каганкатваци, кн. III, гл. V—VI, გვ. 239—240, თარგმანი ს. ჯანაშიასი, შრომები, II, გვ. 408—409.

სპრამას წამებაში, რომელთაც დიდი სიმტკიცე გამოუჩენიათ ქალკედონიალური რწმენის დაცვისას[189]. იოვანე დრასხანაკერტელი მოგვითხრობს: „აი ასე გონივრულად იმათ ხორციელ ვნებათა მეოხებით სიკვდილი სულსა განაგდო დიდმა მამამთავარმა ელიამ და აღმოფხვრა ბოროტი. მერმე სხვა მთავარეპისკოპოსს დაასხა ხელნი მწვალებელ ნერსესის ნაცვლად და დაამტკიცა“[190]. ეს ახალი კათალიკოსი ალვანეთისა, მოსე კალანკატუელის და კირაკოს განძაკელის გადმოცემით, იყო ვინმე სიმონი, რომელსაც აღმოუფხვრავს ნერსეს მიერ ქვეყანაში აღძრული შფოთი, დაუნერგავს ცთომილ სამწყსოში „ჭეშმარიტი სარწმუნოების“ მრავალი წესი, ე. ი. მას ისევ აღუდგენია სომხური მონოფიზიტობა. გარდა ამისა, მისივე ბრძანებით, მდინარე ტერტერში ჩაუყრიათ ნერსესის ბიბლიოთეკის „მწვალებლური“ წიგნები[191]. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ალვანეთში დიოფიზიტიზმს და მონოფიზიტიზმს შორის წარმოებულ სარწმუნოებრივ-საეკლესიო ბრძოლის უშუალო მონაწილედ წარმოგვიდგება საკუთრივ ჰერეთის ზოგიერთი ხელისუფალიც. საამისო დამამტკიცებელ საბუთებს ისევ მოსე კალანკატუელთან ვხვდებით. ალვანეთის ქალკედონიტი კათალიკოსის, ნერსეს-ბაკურის დამხობის შემდეგ, სომეხთა კათალიკოსმა ელიამ ჰერეთ-ალვანეთის საეკლესიო და საერო მმართველ წრეებს ჩამოართვა სიგელი, წერილობითი პირობა, რომ ისინი ამიერიდან ერთგულ იქმნებიან წმ. გრიგოლის სარწმუნოებისა და იერარქიულადაც სომეხთა საკათალიკოსო ტახტს დაემორჩილებიან (ეს ხდება 700—704 წწ.)[192]. ცალკე, ასეთსავე წერილობით პირობას უდებენ ხალიფას ჰერეთ-ალბანეთის წარჩინებულნი ერისკაცნი, „რომელთა სახელებსაც სათითაოდ იწერენ ხალიფა აბდ-ალ-მალიქის დავთარხანაში, იმისათვის, რომ ვინიცობაა რომელიმე მათგანმა აღიაროს ორი ბუნება (ე. ი. ქალკედონიტობა — თ. პ.), ასეთი პირები განადგურებულ იქნან მახვილითა და წარტყვევნით, ასე დამყარდა მშვიდობა ალვანეთის ყველა ტაძარში“-ო გვიამბობს ალვანეთის მემატიანე მოსე კალანკატუელი[193]. ჩვენთვის აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ორივე საბუთს, როგორც სომეხთა კათალიკოს ელიასადმი ბოძებულ სიგელს, ასევე არაბთა ხალიფა აბად-ალ-მალიქისადმი

---

189 М. Каганкатваци, кн. III, гл. VII, გვ. 240—241.

190 Иоанн Драсханакертели, გვ. 16.

191 М. Каганкатваци, кн. III, гл. VII, გვ. 241; К. Гандзакеци, История, გვ. 101.

192 М. Каганкатваци, кн. III, гл. VIII, გვ. 241—245.

193 М. Каганкатваци, кн. III, гл. X, გვ. 246—247.

მიცემულ წერილობით პირობას, ხელს აწერს „კამბეჩანში მცხოვრები ვარაზ-იოანნის გვარეულობის წევრი, ვინმე ვაჰანი«[194]. ისმის კითხვა: რაიმე კავშირი ხომ არ უნდა ჰქონდეს, მოსე კალანკატუელთან მოხსენებულ, კამბეჩანში მცხოვრებ ამ ვარაზ-იოანნის გვარეულობას სუმბატ დავითის ძესთან მოხსენებულ, ასევე კამბეჩანში მცხოვრებ, ასამ და ვარაზვარდის საგვარეულოსთან, რომელნიც კამბეჩანში მკვიდრდებიან VI საუკუნის მეორე ნახევარში, ქართლის ერისმთავარ გუარამის დროს, და რომელნიც, როგორც ცნობილია, აქ XI საუკუნემდე მმართველობდნენ?.

ამრიგად, როგორც ზემოთ დავინახეთ, სომხური მონოფიზიტური ეკლესია და სომხეთის სახელმწიფოს მესვეურნი ყოველნაირად ცდილობენ თავისი გავლენის შენარჩუნებას ჰერეთ-ალბანეთში. ამჯერად, VIII საუკუნის დასაწყისში, მათ ეს ნაწილობრივ კიდევაც მოუხერხებიათ და არაბული ხელისუფლების დახმარებით კვლავ აღუდგენიათ რელიგიური ერთობა სომხეთსა და ჰერეთ-ალბანეთს შორის. მაგრამ, უკვე IX საუკუნის ოციანი წლების დასაწყისისათვის ჩვენ ვხედავთ, რომ სომხური მონოფიზიტური ეკლესიის გავლენას ჩამოშორებია და ქალკედონიტურ რწმენაზე გადასულა ჰერეთში შემავალი სუჯეთის ქვეყანა. მხითარ აჲრივანელი (XIII ს.) თავის ««ქრონოგრაფიულ ისტორიაში» 821 წლის ქვეშ აღნიშნავს: კათალიკოს ტერ დავით II (806—833) დროს, ვინმე «მღვდელი ფარსმან კაკალელი (*կակաղեցի*), გამოეყო სომხებს და მან იბერიელთა (*'ի վիրս*) სარწმუნოებაზე მოაქცია წონდეელები (*ժոնդեացիսն*), ანუ წადის (*ժադն*) მცხოვრებნი, რომელნიც ეხლა (ე. ი. XIII საუკუნეში—თ. პ.) ბერძნები (ე. ი. ქალკედონიტები—თ. პ.) არიან»-ო[195]. როგორც ჩვენ ზემოთ დადგენილი გვაქვს, სომხური წყაროების «წადების»—„წოთების» ქვეშ იგულისხმებიან ჰერული ტომები «სოჯები» resp. «სუჯები». მხითარ აჲრივანელის ცნობაში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მღვდელ ფარსმანის ზედწოდება «კაკალელი» (*կակաղեցի*). მ. ბროსე მას კითხულობს «de Cacaz-ად»[196], ხოლო კ. პატკანოვს ეს ზედწოდება გადმოაქვს როგორც — «Какагский»[197]. ხომ არ გვაქვს აქ ჩვენ დამახინჯებული სახით გადმოცემული «კაწარელი»? ეს მოსაზრება შეიძლება სარწმუნოდ მოგვეჩვენოს, თუ გავიხსენებთ, რომ სუჯები, როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, სწორედ კაწარელის სამწყსოში შედიოდნენ. ამრიგად, მხითარ აჲრივანელთან ჩვენ შემონახული

[194] М. Каганкатваци, кн. III, гл. VIII, გვ. 243, Гл. X, გვ. 247.

[195] Մխիթար Այրիվանեցի, Պատմութիւն հայոց, Մ, 1860, გვ. 54.

[196] M. Brosset, Mkhitar D'Airivank, გვ. 83.

[197] Хронографическая история составленная отцом Мехитаром, Вардапетом Айриванским, перевод с армянского с предисловием и примечаниями К. Патканова, Санктпетербург, 1869, გვ. 402.

გვაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ უკვე 821 წლისათვის, ჰერეთის საკმაოდ მოზრდილი ოლქი—სუჯეთი—სამუდამოდ ჩამოშორდა სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას და კვლავ მოძმე იბერიელთა სარწმუნოებას შეუერთდა.

IX საუკუნის 80—90-იან წლებში სომეხ ანტიქალკედონიტთა ბანაკი ისევ კრიტიკული მომენტის წინაშე აღმოჩნდა. კათალიკოსი გეორგ II გარნელი (877—897) არაბებს ტყვედ ჩაუვარდა. როგორც სტეფანოზ ორბელიანი გადმოგვცემს, ამ ხელსაყრელი ვითარებით კარგად ისარგებლეს ალბანეთის ეკლესიის მეუფეებმა. სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიებს შორის კვლავ განხეთქილება ჩამოვარდნილა. ალბანელები თვითონვე ახდენდნენ საკუთარი კათალიკოსის ხელდასხმას და თითქმის მთელი 69 წლის განმავლობაში (ე. ი. X ს. შუა ხანებამდე) სომხური ეკლესიისაგან განზე იდგნენ[198].

ამრიგად, როგორც ზემოთ დავინახეთ, VII—X საუკუნეების განმავლობაში ჰერეთში ანტიქალკედონიტთა და ქალკედონიტთა შორის წარმოებდა მეტად მწვავე ბრძოლა, რაც საბოლოო ანგარიშით, სხვა არა იყო რა, თუ არა პოლიტიკური ორიენტაციისათვის ბრძოლის გამოძახილი. X საუკუნის შუა წლებისათვის ამ ბრძოლიდან გამარჯვებული ქალკედონიტობა გამოვიდა, რაც ჰერეთში ქართული სახელმწიფოებრიობის გამარჯვებას მოასწავებდა (იხ. ქვემოთ). მთელი ამ ხნის მანძილზე ანტიქალკედონიზმმა აქ ღრმად ვერ გაიდგა ფესვები. ჰერეთის ქართული მოსახლეობა რომ გასომხებულიყო და კულტურულად გაუცხოებულიყო, მაშინ სავსებით გაუგებარი იქნებოდა VII—X საუკუნეებში ჰერეთის საკულტო დანიშნულების მატერიალური კულტურის ძეგლებზე ქართული წარწერების არსებობა. ეს იმ დროს, როდესაც ჰერეთში ამ პერიოდის არცერთი სომხური წარწერა არ ვიცით. მოვიტანოთ ეს ქართული წარწერები:

VII საუკუნის ერთი ქართული წარწერა დავით გარეჯიდან (ქვის სტელა, „ჯვარი") ჩვენ ზემოთ უკვე მოვიტანეთ[199].

IX საუკუნის სამი წარწერა შემონახულია აკურის მამადავითის ეკლესიის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფასადებზე:

I—ქ. წმიდაო ღმრთისმშობელო შეიწყალე ტბლ და შვილნი მისნი; მოსწრაფებაჲ ქმნა [და] აღაშენა [წმიდაჲ] ესე საყდ[არი] შენჲ.

---

[198] Histoire de la Siounie par Stephannos Orbelian, traduite de L'armenien par M. Brosset, Premier livraison, Saint-Petersbourg, 1864, chap. LII, გვ. 162—163.

[199] იხ. თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი. კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, გვ. 53—54.

II— წმიდაჲ ღმრთისმშობელო შეეწიე ერისთავთ ერისთავსა (?) დვლთა(?) და ძეთა მისთა...

III — განუსვენენ უფალო სულსა გიორგის ძეთასა. სამივე ეს წარწერა თავისი პალეოგრაფიული ნიშნებით IX ს-ით თარიღდება და მიეკუთნებიან ტაძრის აგების დროსვე ე. ი. IX ს[200].

IX საუკუნის ქართული წარწერა დაცულია აგრეთვე საბუეში, წმინდა შიოს ეკლესიაში. ტაძრის ცენტრალური სათავსოს აღმოსავლეთის კედელში გაჭრილი სარკმლის გვირგვინზე გამოსახულია რელიეფური ჯვარი, რომლის მარჯვენა მკლავთან, თავისუფალ არეზე შემორჩენილია მცირე წარწერა, რომელიც IX საუკუნით თარიღდება. წარწერის შინაარსი ასეთია:“ ქრისტე, სტეფანეჲ შეიწყალე“[201].

შედარებით უფრო გამრავლდა ქართული წარწერები ჰერეთში X საუკუნეში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ამ დროს ქალკედონიზმი უკვე ოფიციალურად იქნა აღიარებული ჰერეთში. კახთუბნის „ყველაწმინდაში“, რომელიც გურჯაანის მიდამოებში მდებარეობს, საკურთხევლის აფსიდის შელესილობის ქვემო ფენაზე, გვიანდელი შელესილობის ჩამოცვენის გამო გამოჩენილია ამოკაწვრით შესრულებული წარწერების ფრაგმენტები: ერთი ასომთავრულია და შინაარსი გაურკვეველი (იქნებ — სახელი „ხარება“?), მეორე წარწერა ნუსხურია და ასე იკითხება: „ქრისტე შეიწყალე მარლე (?) მშ... ქრისტე შეიწყალე ივანეჲ“. ორივე წარწერა პალეოგრაფიული ხასიათით X საუკუნეს მიეკუთვნება[202]. პალეოგრაფიული ხასიათით X საუკუნე'ს მიეკუთვნება ქართული წარწერები სოფ. ფშაველის ეკლესია „კოხტა ღვთისმშობლის“ კრამიტებზე. მრგვალ კრამიტზე მოთავსებული წარწერა იკითხება: „მ᾽ა (მამა?) დავითი“, ხოლო ბრტყელ კრამიტზე კი წარწერა იკითხება „ა᾽ში“[203].

ჰერეთის განაპირა მხარეში, კამბეჩანში მდებარე ხირ'სის წმ. სტეფანეს ეკლესიის კედლის წყობაში დატანებულ ქვაზე ამოჭრილი წარწერა 996 წლით თარიღდება. წარწერის შენახული ნაწილი ორი სტრიქონისაგან შედგება, მაგრამ ორივე სტრიქონი დაზიანებულია. იგი იკითხება ასე: „ერისთვობა [ასა]... [ქორონიკ] ონი იყოჳ სივ, ამინ“[204].

დაბა კაკში მდებარე კასრის საყდრის ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ამოჭრილ ქართულ წარწერას ა. ხახანაშვილი X საუკუნით ათარიღებს (950)[205].

---

200 თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 8—9.
201 თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, ი ქ ვ ე, 126—127.
202 თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, იქვე, გვ. 108.
203 თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 131—132.
204 თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.
205 А. Х а х а н о в, Экспедиции на Кавказ, Материалы по археологии Кавказа, вып. VII, зз. 32.

შუა კამბეჩანში, მაღაზანას გამოქვაბულთა კომპლექსში, შენახულია გამოქვაბული ეკლესია მოხატულობით. კომპოზიციების განმმარტებელი წარწერების გარდა, მოხატულობაზე შერჩენილია ისტორიული ხასიათის წარწერის ნაწყვეტიც, რომელიც 970 წლით თარიღდება. იგი შეიცავს მხატვრის ვედრებას: „[...მ] მხატოვარ [ი] შემიწყალენ, ცოდ [ვანი] შ[ემინდვენ]. მწერალ[ი] ლ[ო] ცვ[ასა] (მომიხსენეთ); ქორონ [იკონსა] რე (?)“[206].

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი VII—X სს. ქართული წარწერები ჰერეთიდან აშკარად მეტყველებენ იმაზე, რომ ამ პერიოდში ჰერეთში ისევ ქართული ენა იყო გაბატონებული და საეკლესიო მღვდელთმსახურებასაც ჰერული მოსახლეობა ქართულ ენაზე ისმენდა. ეს კი თავის მხრივ იმის მოწმობაა, რომ სომხურმა სარწმუნოებამ — მონოფიზიტიზმმა ვერ შესძლო სერიოზული ზიანი მიეყენებინა ჰერეთში ღრმად გამჯდარი ქართული კულტურისა და გავლენისადმი. აღსანიშნავია, რომ უფრო გვიანაც, ქალკედონიზმ-დიოფიზიტიზმის საბოლოოდ გამარჯვების ხანაში, ქართული ფეოდალური სახელმწიფო მტკიცედ დარაჯობდა ჰერეთს, რათა დაეცვა იგი მონოფიზიტიზმის (ანტიქალკედონიზმის) გავლენისაგან. ეს დაცვა იმაში გამოიხატა, რომ XI—XII საუკუნიდან ნინოწმინდელ მღვდელმთავარს განსაკუთრებული ფუნქცია დაეკისრა: მონოფიზიტური პროპაგანდისაგან უზრუნველყოფის მიზნით, სადარაჯოდ დგომა „ათორმეტთა უდაბნოთა მაკურთხეველი არქიმანდრიტის“ პოსტზე, ე. ი. ნინოწმინდელი ეპისკოპოსის იურისდიქცია გავრცელებულ იქმნა გარეჯის მრავალმთის უდაბნოებზე[207].

---

[206] თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

[207] ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, დავით უძლეველი და დავით გარეჯელი, იხ. საიუბილეო კრებული—კ. კეკელიძეს, თბილისი, 1959, გვ. 209—210.

თავი III

ჰერეთი VIII—XII საუკუნეებში

ფეოდალური საქართველოს ისტორიაში VIII—IX საუკუნეთა მიჯნა დიდმნიშვნელოვანი ტეხილით აღინიშნება. ამ დროს საქართველოში ადგილი აქვს ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნასა და ჩამოყალიბებას. ეს ის ხანაა, როდესაც არაბებმა ქართლში ერისმთავრობა მოსპეს და ერთიმეორის მიყოლებით წარმოიქმნენ ისეთი დიდრონი სამთავროები, როგორიც იყვნენ კახეთის, ჰერეთის, აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთის. VIII საუკუნის მიწურული და IX საუკუნის დასაწყისი, ეს არის ქართლის უკანასკნელი ერისმთავრების, არჩილისა და მისი შვილების, ,ოანესა და ჯუანშერის, მმართველობის ხანა. ამ პერიოდის შესახებ „მატიანე ქართლისაჲ“ მოგვითხრობს: „ხოლო ამიერითგან იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ხუასროანთამან (ასე უწოდებს მემატიანე ქართლის ძველ სამეფო დინასტიას. ამასთანავე იგი „ხუასროიანებად“ სთვლის აგრეთვე ქართლის ერისმთავრებსაც, ე. ი. სეფეწულებად წარმოშობით — თ. პ.). პირველად, უფლება სარკინოზთა განდიდნა და მიერითგან მიეცა ყოველი ესე ქუეყანა ჟამითი-ჟამად რბევასა და ოხრებასა. მეორედ, იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას. და უკეთუ ვინმე გამოჩნდის შვილთა შორის ვახტანგისთა, რომელიმცა ღირს იყო მეფედ, იქმნის შემცირებულ სარკინოზთაგან“[1]. მემატიანის ამ ცნობაში შესანიშნავად არის გადმოცემული საერთო აზრი ქართლში მიმდინარე მოვლენებისა. კერძოდ მემატიანის ცნობა, რომ „იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა“, რეალურად ასახავს ქართლის ტერიტორიაზე ცალკეული ფეოდალური სამთავროების წარმოქმნას არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის პირობებში.

---

[1] ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, I, ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1955, გვ. 250.

(არაბთა ბატონობის დროს, როგორც აღვნიშნეთ, სხვა ქართული სამთავროების გვერდით, ჰერეთის სამთავროც წარმოიშვა.)

საკითხი ჰერეთის სამთავროს ჩამოყალიბებისა, ე. ი. საკითხი იმის შესახებ, თუ როდის და რა პირობებში მოხდა ჰერეთის დამოუკიდებელ ფეოდალურ სამთავროდ გაფორმება, წყაროთა სიმცირის გამო, მიეკუთვნება ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ რთულ პრობლემათა რიცხვს.

ჰერეთის ფეოდალური სამთავროს ჩამოყალიბების პროცესს ჩვენ შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ჯერ კიდევ VI საუკუნიდან. ჯუანშერის ჩვენებით სავარაუდებელია, ვიგულისხმოთ, რომ VI საუკუნის მეორე ნახევარში ჰერეთი დაჩი უჯარმელის შთამომავალთა სამფლობელოს წარმოადგენს, რომელიც ჯერ კიდევ ქართლის ერისმთავარის გვარამის პოლიტიკური იურისდიქციის ფარგლებში შედის. „და შვილნი ბაკურ მეფისანი, ნათესავნი დაჩისნი, ვახტანგის ძისანი, რომლისადა მიეცა მეფობა ვახტანგ მეფესა, იგინი დარჩეს კახეთს. და დაიპყრეს კუხეთი და ჰერეთი იორითგან, და დასხდეს უჯარმოს, და იყვნეს მორჩილებასა გუარამ კურაპალატისასა“[2]. აღსანიშნავია, რომ ჰერეთის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი დაჩი უჯარმელის სამფლობელოს შეადგენდა ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის დროს. ჯუანშერის მოწმობით, ვახტანგმა „ძესსა მისსა პირმშოსა პირველისა ცოლისასა, დაჩის, მისცა ქალაქი ჰერემისა და ნეკრესისა, და ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი, და ყოველი ქუეყანა მტკუარსა აღმოსავლით“[3]. სხვა წყაროს ჩვენებითაც ირკვევა, რომ VI საუკუნეში ჰერეთი და ჰერეთში შემავალი ზოგიერთი ადმინისტრაციული ერთეული ცალკე სამფლობელოს წარმოადგენდა. საამისო მითითებებს ჩვენ სუმბატ დავითის ძესთან ვხვდებით. იგი გვიამბობს, რომ ქართლის ერისმთავრის, გუარამ ბაგრატიონის ორნი იგი ძმანი, „სახელით ასამ და ვარაზვარდ, წარვიდეს კამბეჩანს და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი და დაიპყრეს კამბეჩანი, და დასხდეს იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს. და ამა ჟამამდე შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა“[4]. როგორც ვხედავთ, ჰერეთის ერთ-ერთ კანტონში კამბეჩანში, დამკვიდრებულნი არიან ასამი და ვარაზვარდი, ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელნი.

ამრიგად, VI საუკუნის II ნახევრისათვის, ქართლში „უკვე ახალ ნიადაგზე ადგილობრივ ფეოდალურ სახელმწიფოებრიობას გარკვეული წარმატებისათვის მიუღწევია და აშკარად ჩანს, ან უკვე წარმოქმნილ ან

---

[2] იქვე, გვ. 219.
[3] იქვე, გვ. 199.
[4] იქვე, გვ. 373.

ჯერ ჩანასახად მოცემულ, ახალ ფეოდალურ პოლიტიკურ ერთეულების კონტურები"[5].

VII საუკუნეშიც ჰერეთი, მასში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებით, როგორც ზოგიერთი არაბული წყაროს ჩვენებიდან ჩანს, ცალკე პოლიტიკურ ორგანიზმს წარმოადგენს, რომელნიც ალბათ ჯერ კიდევ, ქართლის ერისმთავრის უზენაესობას აღიარებენ. ბალაძორი მოგვითხრობს: ხალიფა ოსმანის (644—656) ბრძანებით, სალმან-იბნ-რაბ-ია ალ-ბახილი არრანს შემოესია. სალმანი გაემართა იმ ადგილისაკენ, სადაც არაქსი მტკვარს ერთვის. აქედან მან გადალახა მტკვარი, დაიპყრო ყაბალა და შაკკანისა და კამიბარანის მფლობელებთან ზავი დადო იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელნი ხარკს გადაიხდიდნენ[6]. ბალაძორის ცნობაში მოხსენიებული „შაკკანი"-ს ქვეშ შაქის ქვეყანა იგულისხმება, ხოლო „კამიბარანი" კი, როგორც ზემოთა გვაქვს აღნიშნული, უნდა შეესატყვისებოდეს ქართულ „კამბეჩანს"[7]. ამგვარად, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ჰერეთში შემავალი ორი ადმინისტრაციული ერთეულის ხელისუფლებთან, რომელნიც ქართლის ერისმთავრისაგან დამოუკიდებლივ ზავს სდებენ არაბთა ხალიფას წარმომადგენელთან.

მეტად მნიშვნელოვან ეტაპს ჰერეთის დამოუკიდებელ ფეოდალურ ერთეულად ჩამოყალიბების პროცესში წარმოადგენს VIII საუკუნის 40—50-იანი წლები, არჩილის მოღვაწეობის ხანა. უნდა აღინიშნოს, რომ არჩილის მოღვაწეობის პერიოდი ქართულ ისტორიოგრაფიაში ზუსტად არ არის განსაზღვრული. ვახუშტი ბაგრატიონის ქრონოლოგიით არჩილი მოღვაწეობდა 668—718 წლებში. მისი შეხედულებით, არჩილის წამებას ადგილი ჰქონდა 718 წელს[8]. დ. ბაქრაძე არჩილის ზეობის განსაზღვრისას მთლიანად ვახუშტი ბაგრატიონს ეყრდნობა და ისიც არჩილის მოღვაწეობის ხანას 668—718 წლებზე სდებს[9]. არჩილის მთავრობის ისტორიას ვრცლად იხილავს პ. ინგოროყვა. მისი აზრით, „პირ-

---

[5] ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 81—82; დ. მუსხელიშვილი, ზემოაღნიშნულ ცნობებზე დაყრდნობით, ვარაუდობს, რომ აღებული პერიოდისათვის (VI ს. II ნახევარი) ქართლის აღმოსავლეთ პერიფერიაზე შეიქმნა ერთი დიდი პოლიტიკური ერთეული: კახეთ-ჰერეთი (კუხეთიანად), რომლის შიგნით არსებობდა შედარებით უფრო წვრილი, საერისთაოების მსგავსი, ერთეულები (დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 76—78). ჩვენ კი უფრო იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომ ამ დროისათვის ჰერეთი და ჰერეთში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულები, ცალკე სამფლობელოს წარმოადგენდა.

[6] Баладзори. «Книга завоевания стран», перевод с арабского проф. П. К. Жузе, Баку, 1927, გვ. 14.

[7] V. Minorsky, Shekki, Encyklopaedie des Jslam, Leipzig, 1927, გვ. 372.

[8] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, გვ. 116—117.

[9] დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან მე-X საუკ. დასასრულამდე), ტფილისი, 1889 წ., გვ. 199.

ველწყაროების ანალიზის საფუძველზე შესაძლო ხდება საკმაო ზედმიწევნილობით დადგენილ იქნეს არჩილის მთავრობის წლები: მე-8 საუკუნის 30-იანი წლებიდან — 50-იან წლებამდე (ან უფრო მიახლოვებით 732—759 წლები)"[10]. არჩილის მოღვაწეობის ხანის საკითხს ეხება კ. კეკელიძე. იგი წერს: „როდის ეწამა არჩილ მეფე? ეს საკითხი მეტად ბუნდოვანი და ძნელად გასარკვევია ჩვენს ისტორიაში. საქმე ისაა რომ, გარდა ჯუანშერისა, სხვა ძველი ისტორიკოსები არჩილს არ იხსენიებენ. ამით აიხსნება, რომ მის გარდაცვალებას ჩვენი მკვლევარნი სხვადასხვა დროს უჩვენებენ: ვახუშტი ბატონიშვილით (მასთან ერთად ბროსეთი, ბაქრაძით, ჯანაშვილით) არჩილი (გამეფებული 668 წ.) გარდაიცვალა 718 წელს, მ. საბინინით 744 წ., აკად. ივ. ჯავახიშვილი, მართალია, არჩილ მეფეს სულ არ იხსენიებს, მაგრამ, ვინაიდან მისი შვილის ჯუანშერის ამბავს 761—771 წლებში სდებს, არჩილის წამებას, მისი კონცეფციით, არაბთა მეორე შემოსევისას (737—741) უნდა ჰქონოდა ადგილი. არჩილი მეფობს 50 წლის შემდგომ არაბების არა პირველ, არამედ მეორე, მურვან იბნ-მუჰამედ-ყრუს დროს, შემოსევისას (737 წ.). არაბთა მხედართმთავარი ჰიჰუმი, რომელსაც ასიმ ეწოდება, არის, როგორც Marquart-მაც აღნიშნა, ჰაზიმ ხუზაიმა, რომელიც რაშიდმა დანიშნა მერვე-მეცხრე საუკუნეთა მიჯნაზე. არჩილი შვილია სტეფანოზისა, ეს შეიძლება იყოს სტეფანოზი აბო თბილელის მარტვილობისა. ასე, რომ არჩილის წამებას ადგილი ჰქონდა მერვე საუკუნის გასულს (737+50), 787 წლის შემდგომ"[11]. ანალოგიურ შეხედულებას გამოსთქვამს არჩილის მარტვილობის შესახებ მ. ლორთქიფანიძე: „როგორც ცნობილია, არჩილის წამებას ადგილი ჰქონდა მურვან ყრუს შემოსევიდან 50 წლის შემდეგ... მურვან ყრუს ლაშქრობიდან 50 წ. სწორედ ამ დროზე მოდის, ხოლო არაბი სარდლის სახელი ასიმი, როგორც მას ქართველი მემატიანე უწოდებს, შეიძლება იყოს ხუზაიმა იბნ ხაზიმის დამასინჯება"[12]. უკანასკნელ ხანებში არჩილის მოღვაწეობის პერიოდის ქრონოლოგიურად განსაზღვრას სპეციალურად შეეხო დ. მუსხელიშვილი. მისი დასკვნით, „არჩილ „მეფე" არის კახეთ-ჰერეთის ხელისუფალი. იგი მოღვაწეობს დაახლოებით 705—745 წლებში"[13]. როგორც ვხედავთ,

---

[10] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ლეონტი მროველი — ქართველი ისტორიკოსი, „ჰამბავთა მწერალი", მე-8 საუკუნისა — ენიმკის მოამბე, X, თბ., 1951, გვ. 143.

[11] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, მესამე გამოც. თბ. 1951 წ., გვ. 222—223.

[12] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან (კახეთის სამთავრო VIII—XI სს.) მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954 წ. გვ. 15—16.

[13] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 99.

არჩილის ზეობის თარიღი ზუსტად არ არის დადგენილი და მის შესახებ მკვლევართა შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. არჩილის მოღვაწეობის ხანის საკითხში ჩვენ ვემყარებით აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ დადგენილ თარიღს. მისი შეხედულებით, არჩილი ქვეყანას მართავდა VIII საუკუნის 40—50-იან წლებში და მეფის სახელსაც კი ატარებდა[14]. VIII საუკუნის 40-იან წლებში არჩილის ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებულია კახეთ-ჰერეთი, ქართლი, მესხეთი, ლაზიკის ნაწილი და დაღისტანის ნაწილიც კი[15].

ქართული წყარო არჩილის სახელს უკავშირებს ფართო მასშტაბის სახელმწიფოებრივი მშენებლობის წარმოებას ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, წუქეთში.

არჩილის ჰერეთში მოღვაწეობისა და ენერგიული საქმიანობის შესახებ ცნობები დაცულია VIII საუკუნის ანონიმურ მატიანეში, რომელიც ექსცერპტის სახით ჩართულია ჯუანშერის თხზულებაში[16]. „და დაჯდა წუქეთს, და აღაშენა კასრი, და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე. და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი“[17]. გეოგრაფიული პუნქტი კასრი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლოკალიზდება თანამედროვე კახის რაიონში. კერძოდ, იგი მდებარეობს სოფელ თოფახის სამხრეთ-დასავლეთით. აქ, მაღალ ქედზე, ე. წ. საყარაულოს მთაზე დღემდე შემორჩენილია ძველი ეკლესიის ნაშთი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა კასრის საყდარს უწოდებს. არჩილის მიერ ლაკუასტის ხევში აშენებული ციხე უნდა იყოს იგივე ციხე ლაკვათისა, რომელსაც გვიან ლაგოეთი resp. ლაგოდეხი ეწოდა. ვახუშტის აღწერით, ლაკვათის ციხე მდებარეობდა მაწის-წყლის ჩრდილოეთით, ერთ-ერთ ველზე: „მაწის-წყლის ჩრდილოთ არს ველსა ზედა ციხე ტრაწაყალისა და აწ უქმი. ამას ზეით, ჩრდილოთ კერძ, ველსა ზედა, ციხე ლაკვათისა, მდ. მეფის არჩილისა-

---

[14] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფო VIII საუკ. შუა წლებში, საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო თბილისი, 1958, გვ. 120.

[15] Н. Б е р д з е н и ш в и л и, В. Дондуа, Грузинские земли в VII—IX вв. Очерки истории СССР (III—IX вв)., Москва, 1958, გვ. 506.

[16] ამ ანონიმის შესახებ იხილეთ პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი — ქართველი ისტორიკოსი „ჰამბავთა მწერალი“ მე-8 საუკუნისა, ენიმიკის მოამბე, X, თბ., 1941, გვ. 143; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, მიმომხილველი, III, თბ., 1953, გვ. 67; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 90—93.

[17] ქ ც ბ ა, I, გვ. 243.

გან ქმნულ, და აწ ლაგოეთად წოდებული"[18]. ზემომოტანილი ცნობიდანვე ირკვევა, რომ წუქეთში ყოფილა არჩილის ვასალის, ერისთავ აბუხუასროს რეზიდენცია. ამ ქართულ საერისთაოში, თუშების გარდა, მოქცეულნი ყოფილან აგრეთვე ნაწილობრივ იმიერკავკასიის მთიელებიც, კერძოდ ხუნზები (თანამედროვე ავარიელები). არჩილი ჰერეთში აშენებს აგრეთვე ციხე-ქალაქს, ნუხპატს: „და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა"[19]. არჩილსავე მიაწერს ეს წყარო ნუხპატელების გაქრისტიანებას: „ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მხეცის-ბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი"[20]. ნუხპატელების გაქრისტიანების ცდას, როგორც ვიცით ჯერ კიდევ ადგილი ჰქონდა VI საუკუნის დასაწყისში, ვახტანგ გორგასალის მემკვიდრის, დაჩი უჯარმელის დროს. მაგრამ მაშინ ნუხპატელებმა ამ ამბავს აჯანყებით და განდგომით უპასუხეს. როგორც ჩანს VIII საუკუნეში, არჩილს, ჰერეთის მთიანეთში, ნუხპატელებში, ქრისტიანობის დამკვიდრებისათვის უფრო ენერგიული და გადამწყვეტი ზომები მიუღია.

არჩილის სახელთან არის დაკავშირებული ჰერეთის ადმინისტრაციული მოწყობაც. არჩილის შემწეობით და ნებართვით[21] VIII საუკუნის შუა წლებში ჰერეთში მკვიდრდებიან სამხრეთ-დასავლეთი რაიონებიდან ლტოლვილი ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს (ადარნასე „ბრმის" ძმისწულების) წარმომადგენელნი. VIII საუკუნის ანონიმური მატიანის ტექსტში, იმ ადგილას, სადაც მოთხრობილია ბაგრატიონთა ქართლში მოსვლის შესახებ, ვკითხულობთ: „გარდამოვიდა არჩილ ეგრისით, და დაჯდა ნაციხარსა ხიდრისასა. ვაშინ მოვიდა მისა მთავარი ერთი, რომელიც იყო ნათესავისაგან დავით წინასწარმეტყველისა, სახელით ადარნასე, ძმისწული ადარნასე ბრმისა, რომლისა მამა მისი მზახებულ იყო ბაგრატიონიანთადვე, და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერისთავად არეთა სომხითისათა, და ტყვეობასა მას ყრუისასა შთასრულ იყო იგი შვილთა თანა გუარამ კურაპალატისთა კლარჯეთს, და მუნ დარჩომილ იყო. ითხოვა არჩილისაგან და რქუა: „უკუეთუ ინებო და მყო მე ვითარცა მკვიდრი შენი, მომეც ქუეყანა". და მისცა შულაველი და არტანი"[22]. აქედან ცხადია, რომ „ადარნასე ბრმის" ძმისწული (დედანში სწერია „დისწული", შესწორებულ ქართლის ცხოვრებაში

---

[18] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა", გვ. 98.
[19] ქ ც ბ ა, I, გვ. 244.
[20] ქ ც ბ ა, I, გვ. 244.
[21] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, გვ. 68.
[22] ქ ც ბ ა, 1, გვ. 243.

„ძმისწული“. ე. თაყაიშვილის აზრით, ერთიცა და მეორეც შეცდომაა, უნდა იყოს ძისწული) ადარნასე მოსულა კლარჯეთიდან და მას უთხოვია არჩილ მეფისათვის ქვეყანა, რათა გამხდარიყო მისი ვასალი, არჩილს შეუწყნარებია ადარნასეს თხოვნა და მიუცია მისთვის შულავერი და არტაანი.

იმავე ანონიმის ცნობით (რომელიც ჩართულია ჯუანშერის ქრონიკაში), ადარნასე ბრმას ჰყოლია კიდევ სამი ძმისწული და ისინიც არჩილის სამფლობელოში შემოხიზნულან და მისი ვასალები გამხდარან. „ხოლო ძმისწულნი ადარნასე ბრმისანი, რომელთა დასწუნეს მამის ძმასა თუალნი, წარმოვიდეს ტარონით შაკიხად, სამნი ძმანი, და დაემკვიდრნეს მუნ, ბრძანებითა არჩილისითა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძი, უმკვიდრო ქმნილ იყო. ხოლო ჰერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილ იყო, და დაემკვიდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის“[23]. ამ ცნობაში ჩვენთვის საინტერესოა ის გარემოება, რომ ბაგრატიონთა ამ შტოს დამკვიდრება მომხდარა ქართული ჰერეთის ტერიტორიალურ ფარგლებს შიგნით: შაკიხიდან (შემდეგი დროის შაქი), ე. ი. ნუხის რაიონიდან ვიდრე გულგულამდის.

არჩილისავე დროს ადგილი ჰქონდა ემიგრაციის მესამე ტალღას კლარჯეთიდან, და რაც უფრო საყურადღებოა ჩვენთვის, ამჯერადაც ემიგრაციის აღნიშნული ტალღა მიმართულია ჰერეთის ტერიტორიისაკენ. ჯუანშერის ქრონიკაში ჩართული VIII საუკუნის ანონიმი მოგვითხრობს: „მასვე ჟამსა პიტიახშნი ვინმე არა შეეშუნეს კლარჯეთს, სხუად წარვიდეს ნახევარნი მათგანნი, და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელსა ერქუა კალმახი, და აღაშენეს ციხედ. ხოლო ნახევარნი მოვიდეს კახეთად არჩილის თანა. ერთსა მათგანსა მისცა ცოლად ნათესავისაგან აბუხუასროსა, რამეთუ დაქურივებულ იყო იგი და არა ესუა ქმარი, და მიუბოძა წუქეთი ციხით და კასრითურთ“[24]. ცნობიდან აშკარა ხდება, რომ კლარჯეთის ერთ-ერთი პიტიახშისათვის არჩილს უბოძებია წუქეთი (ანუ შემდეგი დროის — „წახეთი“ — ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე) და ამავე დროს ცოლად მიუცია წუქეთის მთავარის (რომელიც, როგორც ცნობილია, ამავე დროს იყო „თუშთა და ხუნძთა ერისთავი“) აბუხუასროს ქვრივი ნათესავი. ჰერეთის ისტორიის ამავე მოვლენების შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს: „არამედ ჰერეთი დაიპყრეს ძმისწულთა ადარნასე ბრმისათა, რომელთა დასწვნეს თვალნი მამისძმისა და არჩილ მოწამემან მიუბოძა ამას შაკიხი და

---

[23] ქ ც ბ ა, 1, გვ. 244; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოცემა მესამე, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1949, ნაკვეთი 27, გვ. 35—36.

[24] ქ ც ბ ა, I, გვ. 244.

ცოლი აბუხოსროსი და ამის ძეთა დაიპყრეს შაკიხიდან გულგულამდე"[25]. როგორც ვხედავთ, ვახუშტი VIII საუკუნის ანონიმისაგან განსხვავებულ ცნობას იძლევა. თუ პირველ წყაროში, ჩვენ საქმე გვაქვს აბუხოსროს ქვრივ ნათესავთან, რომელიც არჩილმა ცოლად მისცა კლარჯეთის ერთ-ერთ პიტიახშს, წუქეთთან ერთად, ვახუშტისთან ჩვენ გვხვდება უშუალოდ აბუხოსროს ცოლი, რომელსაც არჩილი აძლევს ადარნასეს შაკიხთან ერთად, და ამ ადარნასესა და აბუხოსროს ცოლის ძენი იპყრობენ ჰერეთს — შაკიხიდან გულგულამდე. არ ჩანს, თუ რა წყაროებით სარგებლობდა ვახუშტი და საერთოდ უნდა აღვნიშნოთ რომ ჩვენ მეტად გვიძნელდება უპირატესობის მინიჭება ზემოთ მოტანილი ორი სხვადასხვა წყაროს ამ სხვადასხვა ჩვენებისადმი. ამრიგად, ზემოთ მოტანილი ცნობები ქართული წყაროებიდან, შესაძლებელია, გვიხატავენ ჰერეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულს, უკვე VIII საუკუნის პირველ ნახევარში. შემდეგში, ჰერეთის ცალკე ჯერ სამთავროს, ხოლო შემდეგ სამეფოს არსებობის პერიოდში მის მმართველ დინასტიაში შედიოდნენ შაქში, არჩილის დროს დამკვიდრებულ ბაგრატიონთა ამ შტოს წარმომადგენელნი.

VIII საუკუნის სამოციან წლებში ჰერეთ-ალბანეთში ადგილი აქვს ხაზართა აგრესიას. ამ ფაქტს აგვიწერს სომეხი ისტორიკოსი ლევონდი. იგი მოგვითხრობს, რომ მეორე აბასიდი ხალიფა მანსურის დროს (754—775), ხაზართა ხაკანის მრავალრიცხოვანი ლაშქარი მხედართმთავარ რაჟ-თარხანის წინამძღოლობით შემოესია ალვანეთსა და ქართლს. ლევონდი წერს: „ხაზარები მოედვნენ მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე მხარეს და დაიპყრეს მრავალი ოლქები: ხეჯარი, ქაღა, ვოსტან-ი-მარზპანიანი, ჰაბანდი, გეღავუ, შაქე, ბეხი, ხენი, კამბეჩანი, ხოზმაზი — ყველა ესენი ალვანეთის ოლქებია. მათ აიღეს აგრეთვე ქართლის სამთავროს შვიდი ოლქი—შუჩქი, ქვეშკაფორი, ჩელთი, წუქეთი, ველი'ციხე, თიანეთი და (ხ)ერკი, და მრავალი ტყვითა და ალაფით უკან გაბრუნდნენ"[26]. ლევონდის ამ ცნობიდან ირკვევა, რომ ხაზარებს დაულაშქრიათ ჰერეთის შემდეგი ოლქები: შაქი, კამბეჩანი, წუქეთი და ველისციხე. ყურადღებას იპყრობს ლევონდის მიერ შაქისა და კამბეჩანის ალვანეთის ფარგლებში მოხსენება (ამის შესახებ იხილეთ ზემოთ).

ჰერეთში არაბთა მფლობელობის საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს „მატიანე ქართლისაჲ"-ს შემდეგი ცნობა: „და ვითარ

---

[25] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბილისი, 1913, გვ. 147.

[26] История халифов вардапета Гевонда, писателя VIII века. СПБ, 1862, გვ. 92—93.

გარდახდეს ამას შინა წელიწადი მრავალნი, მოვიდა ამირა აგარიანი, რომელი მთავრობდა სომხითს, ქართლს და ჰერეთს, სახელით ხუასრო; ამან აღაშენა ტფილისი ქალაქი, მოოხრებული ხაზართაგან"[27]. როგორც ჩანს, აქ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს თბილისის ერთ-ერთ ამირასთან, რომლის განკარგულებასაც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად, ჰერეთიც ექვემდებარებოდა. მემატიანეს გადმოცემით, ამ ამბავს ადგილი ჰქონდა ქართლში ხაზართა შემოსევებისა და მათ მიერ თბილისის აღების (ე. ი. 764 წ.) შემდეგ, როდესაც „გარდახდეს ამას შინა წელიწადი მრავალნი"-ო. აქედან გამომდინარე, შეიძლება დაახლოებით მაინც განისაზღვროს ის პერიოდი, როდესაც ჰერეთი თბილისის ამირა ხუასროს განკარგულების ქვეშ უნდა ყოფილიყო მოქცეული. ჩვენი აზრით, ეს პერიოდი უნდა დამთხვეოდა აბასელი ხალიფების: მანსურის (754--775) ან მაჰდის (775—785) ზეობას. როგორც მ. ლორთქიფანიძეს აქვს დადგენილი, ქართულ წყაროებში (კერძოდ, იოანე საბანის-ძის „აბო თბილელის მარტვილობაში"), ხალიფა ალ-მანსურის და ქართლის ერისმთავრის ნერსეს დროს (772 წ.), იხსენიება თბილისის ერთ-ერთი უცნობი ამირა[28]. ისმის კითხვა: ხომ არ არის „მატიანე ქართლისაჲ"-ს ეს აგარიანი ამირა ხუასრო სწორედ ის უცნობი ამირა, რომლის სახელსაც იოანე საბანის ძე არ გვამცნობს?[29].

აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, „როცა საქართველოში ფეოდალური სამეფო-სამთავროები წარმოიშვა (VIII—IX სს.) და პოლიტიკური ჰეგემონობისათვის მათ შორის ბრძოლა გაჩაღდა, ჰერეთი ერთი იმ ქართული ერთეულთაგანი იყო, რომელიც ამ პროცესში ორგანულად მონაწილეობდა"[30].

ვახუშტი ბაგრატიონი ჰერეთის ცალკე პოლიტიკურ ერთეულად წარმოქმნას უკავშირებს ქართლის ერისმთავარ ჯუანშერის გარდაცვალებას და კახეთის მთავარ გრიგოლის განდგომას. იგი წერს: „და შემდგომად ჯუანშერის სიკუდილისა დაიპყრეს სრულად ჰერეთი (ლაპარაკია ადარნასე „ბრძის" ძმისწულებზე) და იწოდეს მეფედ. დასხნეს ერისთავნი ვითარცა იწერვის: ერისთავი შტორისა, ერისთავი ხორნაბუჯისა, ერისთავი ვეჯინისა, ერისთავი მაჭისა"[31]. ვახუშტის ქრო-

---

27 ქ ც ბ ა, I, გვ. 251.

28 მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, თბილისის საამიროს ისტორიიდან, მიმომხილველი, II, თბილისი, 1951, გვ. 187, 199.

29 ჩვენი აზრით, ამავე ამირა ხუასროს უნდა ჰგულისხმობდეს ვახუშტის ნაგვიანევი ცნობა: „მურვან ყრუს შემდგომად შემუსრეს ხაზართა (ტფილისი), და აღაშენა ამირ აგარიანმა" (ვახუშტი, „აღწერა", გვ. 52).

30 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, მიმომხილველი, III, გვ. 68.

31 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 147.

ნოლოგიით, ერისმთავარი ჯუანშერი გარდაიცვალა 787 წელს, ე. ი. ამავე ხანებში ვარაუდობს ჰერეთში ადარნასე „ბრმის“ ძმისწულების გამეფებას და კახეთის მთავრის გრიგოლის განდგომასაც. ვახუშტი მოგვითხრობს: „ხოლო წელსა ქს. ღპზ, ქრ. ზ. მოკუდა ჯუანშერ ერისთავთ-ერისთავი და შემდგომად მისსა განდგა გრიგორი მთავარი და ამან დაიპყრა კახეთი, კუხეთი და გარდაბანი... ესე გრიგორი მთავრობდა ლზ წელთა მეგობრობასა შინა ჰერეთის მეფეთათა, რამეთუ ჰერეთი დაიპყრეს ჟამთა ამათვე ადარნასეს ძმისწულთა და გამეფდა მუნ“[32]. ამრიგად, თუ დავეყრდნობით ვახუშტის ცნობებს, VIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჰერეთი უნდა ვიგულისხმოთ უკვე დამოუკიდებელ ფეოდალურ ერთეულად, რომელსაც სათავეში ედგა მმართველი დინასტია, ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტო (ადარნასე „ბრმის“ ძმისწულებისა). როგორც ზემოთ ვნახეთ, VIII საუკუნის ანონიმი ამ ამბავს VIII საუკუნის შუა წლებში, არჩილის დროს გულისხმობს. აქ ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ ვახუშტის მიხედვით, ჰერეთის ხელისუფალი თავიდანვე მეფედ იწოდება. როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ჰერეთის ხელისუფალნი მეფის ტიტულს მხოლოდ IX საუკუნეში ღებულობენ.

პ. ინგოროყვას აზრით, თავდაპირველად ჰერეთის სათავეში დგას მთავარი, „პატრიკი“, რომელიც უფრო გვიან „მეფის“ ტიტულს ღებულობს[33].

შაქში (ჰერეთში) დამკვიდრებული ამ სამი ძმის (ადარნასე ბრმის ძმისწულების) ზუსტი წარმოშობისა და გენეალოგიის დადგენა ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვან სიძნელეს წარმოადგენს. ამ საკითხის კვლევას ჯერ კიდევ ხელი მიჰყო ი. მარკვარტმა. 1903, ხოლო შემდეგ, 1930 წლებში გამოქვეყნებულ შრომებში ი. მარკვარტი აღნიშნავდა, რომ ადარნასე ბრმის ძმისწულები, ეს სამი ძმა, რომელნიც არჩილის დროს, შაკიხში — (ჰერეთში) დამკვიდრდნენ, ეკუთვნოდნენ ცნობილი სომეხი ფეოდალის — გრიგოლ მამიკონიანის შთამომავლობას, რომელთაც 748 წელს თვალები დასთხარეს პატრიკიოზ აშოტ ბაგრატუნს, რომელმაც ამ უბედურების შემდეგ კიდევ 13 წელს იცოცხლა და გარდაიცვალა 761 წელს. თავის დებულების კიდევ უფრო შესამაგრებლად ი. მარკვარტს მოჰყავს სომეხი ისტორიკოსის ლევონდის ცნობა იმის შესახებ, რომ სწორედ არჩილის დროს, სომხეთიდან ეგრისში თავი შეაფარა არა-

---

[32] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 147—148.
[33] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 34.

ბებისაგან დევნილმა არტავაზდ მამიკონიანმა[34]. ი. მარკვარტის ამ დებულების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ქართული წყაროს ჩვენება, რომელშიც პირდაპირ აღნიშნულია, რომ სამი ძმა დაემკვიდრა შაქში, და არა ეგრისში.

აღნიშნულ საკითხზე, 1919 წელს, მოსაზრება გამოსთქვა ფრანგმა მეცნიერმა ი. ლორენმა. ლორენი შაკიხში დამკვიდრებულ სამ ძმას მიიჩნევს აშოტ-ბრმის ბიძაშვილებად, რომლებიც 750—772 წლებში გამოგდებულ იქნენ ამ აშოტის ვაჟის მიერ და წარმოვიდნენ საქართველოში[35]. ვერ დავეყრდნობით ვერც ი. ლორენის მიერ მოტანილ ამ ფაქტს, რადგან თუ საქმე მიდგება საქართველოში შემოსულ ემიგრანტთა სხვადასხვა დინებაზე, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ ქართულ წყაროებში მოთხრობილი იმ ორი საემიგრაციო ტალღის შესახებ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა იმავე არჩილის მოღვაწეობის ხანაში, სწორედ ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე — ჰერეთში, ერთი — ტარონიდან, ხოლო მეორე — კლარჯეთიდან.

ზემოთ აღნიშნული საკითხის კვლევაში თავისი წვლილი შეიტანა აგრეთვე აკად. ე. თაყაიშვილმა. ე. თაყაიშვილმა სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის ცნობებზე დაყრდნობით, დაადგინა, რომ ის ადარნასე (ძის წული ადარნასე ბრიმისა), რომელიც არჩილის ვასალი გამხდარა, იყო ძე ვასაკისა, სომხის მთავრის აშოტის შვილისა; ეს აშოტი დაბრმავებულ იქნა თავად მამიკონიანების მიერ 748 წელს. ე. თაყაიშვილის აზრით, ქართულ წყაროში სახელები არეულია (ეტყობა გადამწერის მიერ), მაგრამ სწორედ არის აღნიშნული ადარნასეს ჩამომავლობა ბრმა წინაპრისაგან, ხოლო ეს ბრმა წინაპარი ყოფილა აშოტი და არა ადარნასე. როგორც ე. თაყაიშვილი ფიქრობს, ეს ადარნასე ბაგრატიონი თავისი ნებით კი არ მისულა არჩილ მეფესთან, არამედ იძულებული ყოფილა დაეტოვებინა თავისი მიწა-წყალი სხვა ბაგრატიონების, ან, შეიძლება, მამიკონიანების ძალმომრეობის გამო[36]. მართალია, ე. თაყაიშვილი აღარ განიხილავს შაქში დამკვიდრებულ ადარნასე ბრმის ძმისწულების, სამი ძმის გენეალოგიას, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან დაადგინა ადარნასე ბრმის ძისწულის, ადარნასეს წარმოშობა, უკვე ცხადი ხდება, რომ ისი-

---

[34] J. Marquart, Osteuropäische und ostasiatische streifzüge, Leipzig, 1903, გვ. 396, 414-416; მისივე, Südarmenien und die Tigrisquelen. Wien, 1930, გვ. 291—292, სქოლიო 1.

[35] J. Laurent, L'Armenie entre Byzance et l'Islam, Paris, 1919, გვ. 110.

[36] ე. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოცემა მესამე, თბილისი, 1949, გვ. 36—37.

ენიც ბაგრატიონთა დინასტიის ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელნი იყვნენ. ე. ი. თუ მივიღებთ და გავიზიარებთ ე. თაყაიშვილის ზემომოტანილ დებულებას, მაშინ ჯუანშერის ქრონიკაში ჩართული ანონიმის ცნობა, ჰერეთში „ადარნასე ბრმის“ ძმისწულების დამკვიდრების შესახებ, გარკვეულ შესწორებას მოითხოვს. კერძოდ, აღნიშნული ცნობის „ადარნასე ბრმის“ ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ სომხეთის მთავარი აშოტ III ბრმა ბაგრატიონი (გარდაიცვალა 761 წ.), ხოლო ამის შესაბამისად კი, „ადარნასე ბრმის“ ძმისწულები უნდა მივიჩნიოთ ამ აშოტ III ბრმის ძმისწულებად. ყოველივე ამის საფუძველზე ქართული ანონიმური წყარო მეტად საყურადღებო დეტალის შემცველად გვევლინება: გამოდის, რომ აშოტ III დაბრმავებაში, რომელსაც სომხური ისტორიოგრაფია (ლევონდი) მთლიანად მამიკონიანებს მიაწერს[37], მონაწილეობა მიუღიათ აგრეთვე მის ძმისწულებსაც, ამის შესახებ ანონიმი ხომ პირდაპირ გვაცნობს: „ძმისწულნი ადარნასე ბრმისანი (=აშოტ III ბრმას), რომელთა დასწუნეს მამის ძმასა თუალნი, წარმოვიდეს ტარონით შაკიხად, სამნი ძმანი“[38]. შესაძლებელია, სწორედ ამ ნიადაგზე მოხდა მათი ტარონიდან წამოსვლა.

ბაგრატიონებად უნდა მიიჩნევდეს შაქში დამკვიდრებულ აღნიშნულ სამ ძმას აკად. ნ. ბერძენიშვილი, რომელიც წერს, რომ „გიში (გიშის წყალზე, შაქში, აწინდელი ნუხის ჩრდილოეთით) VIII საუკუნიდანვე ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს ადგილსამყოფელი იყო ჰერეთში“[39].

ჰერეთის ბაგრატიონთა შტოზე ვრცლად ჩერდება პ. ინგოროყვა თავის გამოკვლევაში „რუსთველიანა“. იგი წერს: „ბაგრატიონთა დინასტიის გამთავრება ჰერეთში გადმოცემული აქვს ორ ქართველ მემატიანეს; ანონიმს VIII საუკუნისა და სუმბატ დავითის ძეს, XI საუკუნისა. ამ ორი წყაროს შედარებითი შესწავლიდან ირკვევა, რომ ბაგრატიონთა დამკვიდრება ჰერეთში მომხდარა VIII საუკუნის მეორე ნახევარში; სუმბატის ქრონიკაში შენახულია ჰერეთის პირველი ბაგრატიონების სახელებიც: ასამ (ასათ) და ვარზა-ვარდ“. ხოლო იქვე სქოლიოში პ. ინგოროყვა შემდეგს აღნიშნავს: „თარიღის შესახებ სწორი ცნობა შეუნახავს ანონიმს, სუმბატის ქრონიკაში აქ დაშვებულია პროქრონიზმი“[40]. სავსებით სწორია პ. ინგოროყვა, როდესაც ბაგრატიონთა ჰერეთში დამკვიდრების თარიღად VIII საუკუნის მეორე ნახევარს თვლის. ხოლო რაც შეეხება მის დებულებას იმის

[37] Гевонд, История Халифов, Спб, 1862, გვ. 87.
[38] ქცბა, I, გვ. 244.
[39] ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, გვ. 69.
[40] პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ., 1963, გვ. 112—113.

შესახებ, რომ, თითქოს, VIII საუკუნის ანონიმში და სუმბატის ქრონიკაში მოთხრობილია ერთი და იგივე ამბავი (ბაგრატიონთა ჰერეთში დამკვიდრება), რომ სუმბატის ქრონიკაში შენახულია ჰერეთის პირველი ბაგრატიონების სახელები (ასამ და ვარზა-ვარდ), და, რომ სუმბატის ქრონიკაში დაშვებულია პროქრონიზმი, იგი დაზუსტებას მოითხოვს. სინამდვილეში აქ ჩვენ სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. VIII საუკუნის ანონიმი და XI საუკუნის მემატიანე სუმბატ დავითის ძე, ამ შემთხვევაში, სხვადასხვა ისტორიული მოვლენის შესახებ მოგვითხრობენ. ანონიმთან საუბარია ტარონიდან მოსული ბაგრატიონების (ადარნასე ბრმის ძმისწულების) საერთოდ ჰერეთში (უფრო სწორედ, საკუთრივ ქართული ჰერეთის ტერიტორიალურ ფარგლებს შიგნით, შაკიხიდან resp. შაქიდან, ე. ი. ნუხის რაიონიდან, ვიდრე გულგულამდის) დამკვიდრებაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა VIII საუკუნის მეორე ნახევარში. სუმბატ დავითის ძე კი აგვიწერს სხვა ვითარებას, იგი სრულიად გარკვევით გადმოგვცემს VI საუკუნის ამბავს, როდესაც ქართლის ერისმთავრის, გურამ ბაგრატიონის ორი ძმა „სახელით ასამ და ვარაზვარდ, წარვიდეს კამბეჩანს, და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი და დაიპყრეს კამბეჩანი, და დასხდეს იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს"[41]. სხვა ადგილას იგივე სუმბატ დავითის ძე წერს: „ხოლო ასამ და ვარაზვარდ წარვიდეს კამბეჩოანს, და გარდაუქციეს ერი ვეზანს, ერისთავსა ბაჰარ ჩუბინისსა, და ვეზან მოკლეს, და დაიპყრეს მათ კამბეჩოანი"[42]. პირველწყაროს ჩვენება იმდენად ნიშანდობლივი და კონკრეტულია, რომ მისი თარიღის (VI საუკუნე) სისწორეში ეჭვის შეტანა უსაფუძვლო იქნებოდა. ამაზე მიგვითითებს მემატიანის მიერ მოხსენებულ ისტორიულ პირთა სახელებიც. გარდა გურამ ერისმთავრისა, აქ იხსენიება ბაჰრამ ჩუბინე. სასანური ირანის ცნობილი მხედართმთავარი, აზერბაიჯანის მარზპანი, ბაჰრამ-ბარ-ბაჰრამგუშნასპი (ჩუბინედ წოდებული), სწორედ VI საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა. იგი ჰორმიზდ IV (579—590) და ხოსრო II ფარვიზის (590—628) თანამედროვე იყო[43]. სუმბატ დავითისძის ჩვენებიდან ნათლად ჩანს აგრეთვე ისიც, რომ ასამს და ვარაზვარდს, დაუპყრიათ არა საერთოდ მთელი ქართული ჰერეთი, არამედ, მხოლოდ მისი ერთი კანტონი, კამბეჩანი (ჩვეან ხორნაბუჯის ერის-

---

[41] ქცბა, I, გვ. 373.

[42] ქცბა, I, გვ. 374.

[43] В. Н. Пигулевская, Византия и Иран на рубеже VI и VII веков, Москва-Ленинград, 1946, გვ. 80—113; Л. Н. Гумилев, Бахрам ЧУБИН (опыт критики источников). Проблемы востоковедения, 3. Москва, 1960, გვ. 228—241.

თავის სამფლობელო), რომელიც შესაძლოა ამ დროს ცალკე ფეოდალურ ერთეულსაც წარმოადგენდა.

ბაგრატიონებად თვლიან შაქში დამკვიდრებულ ადარნასე ბრმის ძმისწულებს დასავლეთ ევროპის ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერნიც. ამათგან აღსანიშნავნი არიან ვ. მინორსკი[44] და კ. თუმანოვი[45].

კ. თუმანოვმა სპეციალურად გამოიკვლია „ადარნასე ბრმის" (=აშოტ III ბრმას) ძმისწულების ვინაობის საკითხი. ლევონდის „ხალიფთა ისტორიის" ტექსტის კრიტიკული შესწავლის საფუძველზე მან დაადგინა, რომ ის სამი ძმა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს აშოტ III დაბრმავებაში ((748 წ.) და შემდეგ შაკიხში resp. შაქში დამკვიდრდნენ არჩილ მეფის ბრძანებით, იყვნენ სუმბატ VI კუროპალატის (გარდაიცვალა 726/7 წ.) შვილები; ხოლო სუმბატ VI და აშოტ III ბრმა კი იყვნენ ბიძაშვილები. კ. თუმანოვის აზრით, ქართულ წყაროში სიტყვა „ძმისწული" ნახმარია არა ვიწრო და ზუსტი გაგებით, არამედ ფართო მნიშვნელობით. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ლევონდი არაფერს ამბობს სუმბატ VI შვილების მონაწილეობაზე აშოტ III დაბრმავებაში, ეს მისი აზრით, აიხსნება იმით, რომ ლევონდი ოფიციალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელი იყო და იგი თავის ნაშრომს ბაგრატიონების დავალებით სწერდა[46].

თუ შაქში დამკვიდრებული სამი ძმის ბაგრატიონთა დინასტიის ერთ-ერთი შტოსადმი კუთვნილების ფაქტი დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, სამწუხაროდ ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი თუ სახელდობრ ვინ იყვნენ შაქის მფლობელი ამ სახლის წარმომადგენელნი. ქართულ წყაროებში არ არის ცნობები მათი მოღვაწეობის შესახებ, არ არის შემონახული მათი სახელები. მართლაც, თუ ჩვენ ყურადღებით განვიხილავთ ქართულ წყაროებს, დავინახავთ, რომ მასში მთელი IX საუკუნისა და აგრეთვე X საუკუნის გარკვეულ წლებამდე, კახთა ქორეპისკოპოზის კვირიკე I (892—918) და ჰერეთის პატრიკ ადარნასემდე (917 წლამდე), ჰერეთის ისტორიის შესახებ თითქმის არავითარი ცნობები არ მოიპოვება. ამის შესახებ, ჯერ კიდევ ვახუშტი ჩიოდა: „გარნა არა არს უწყებული, თუ რავდენნი მეფენი ისხდენ და სახელნი მათნი, ვიდრე კვირიკეს ვ ქორიკოზისამდე. არამედ ამ შლილობაებთა შინა იყუნენ იგინი მშვიდობით და ოდესმე მოვიდიან მძლავრნი, მისცემდინ ხარკთა და დაიმშვიდიან: ხოლო წელს ქს. შიზ. ქრ.

---

[44] V. Minorsky, Caucasica IV, BSOAS, XV, 3, 1953, გვ. 506—508.

[45] C. Toumanoff, The early Bagratids., Le Museon, LXII, 1—2, Louvain, 1949, გვ. 44—48.

[46] C. Toumanoff, დასახ. ნაშრ. გვ. 47—48.

რლზ მოიხსენების სახელი ადარნასე პატრიკისა"[47]. სხვა ადგილას, ამავე საკითხის შესახებ წერს: „არამედ აქამომდე (იგულისხმება კვირიკე I ქორეპისკოპოსამდე — თ. პ.) ჰერეთთა მეფეთა სახელნი არა არიან წარმოჩენილნი და ქმნულებანი მათნი და არა მოიხსენა, ვინადგან იყუნენ მშვიდობით და თვისად"[48]. როგორც ჩანს, ვახუშტის არ გააჩნდა ზემოაღნიშნული საკითხების შესახებ საკმაო ცნობები. ქართული წყაროების სიმცირით გამოწვეული ხარვეზი ჰერეთის ისტორიაში, ნაწილობრივ შეიძლება შეივსოს სომხურ წყაროთა მონაცემებით.

სომხურ-არაბული წყაროების მიხედვით, IX—X საუკუნეებში, ჰერეთ-ალბანეთში აშკარად შეიმჩნევა შაქის მფლობელი სახლის დაწინაურება-აღზევება. შაკიხის ანუ შაქის მფლობელთა ეს საგვარეულო სახლი, საფიქრებელია, ეკუთვნოდა ბაგრატიონთა სწორედ იმ შტოს (ადარნასე „ბრძის" ძმისწულებისა), რომელიც შაქში, როგორც ეს ზემოთ მოტანილ ქართულ საისტორიო წყაროებში შემონახული ცნობებიდან დავინახეთ, მკვიდრდება ჯერ კიდევ VIII საუკუნის შუა წლებში, არჩილის დროს. ვინაიდან ქართველი მემატიანის ცნობით, შაქის მფლობელთა ხელისუფლება ვრცელდებოდა აგრეთვე მთელს ქართულ ჰერეთზე — შაქიდან ვიდრე გულგულამდე[49], აქედან გამომდინარე, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია დავუშვათ, რომ IX—X საუკუნეებში ქართული წყაროების „ჰერეთი" და სომხურ-არაბული წყაროების „შაქი" იდენტურ გეოგრაფიულ ცნებებს წარმოადგენდნენ.

არაბულ-ქართული წყაროების შესწავლის საფუძველზე, არაბული წყაროების შექისა და ქართული ჰერეთის იდენტურობის შესახებ ვარაუდს გამოსთქვამს აგრეთვე დ. მუსხელიშვილი[50]. როგორც სომხურ, ისე არაბულ წყაროებში, IX საუკუნის დასაწყისიდან იხსენიება მეტად ენერგიული პიროვნება საჰლ იბნ სუმბატი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის არრანის საქმეებში. თუმცა ეს ცნობები მეტად ეპიზოდურია, ისინი მეტ-ნაკლებად მაინც შუქს ჰფენენ ისტორიულ მოვლენათა მსვლელობას არრანში. საჰლის ზუსტი წარმოშობა არ არის ნათლად დადგენილი. X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი თომა არწრუნი საჰლ-სუმბატს უწოდებს შაქის მფლობელს[51]. საყურადღებოა, რომ 983 წელს სპარსული გეოგრაფიის, „ჰოდუდ ალ-ალამის", ავტორი

---

[47] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 147, 149.

[48] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 149.

[49] ამ ამბების შესახებ იხ. აგრეთვე: V. Minorsky, Caucasica IV, გვ. 505—503; მისივე, История Ширвана и Дербенда X—XI веков, 1963, გვ. 116—117.

[50] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 106—109.

[51] Թովմայ Վարդապետի Արծրունւոյ, Պատմութիւն Տանն Արծրունեաց, 1887, გვ. 191.

ლაპარაკობს რა შაქზე, იგი იქვე მოიხსენიებს „სუმბატმანს“ — ქალაქს, რომელიც მდებარეობდა შაქის ერთ-ერთ მხარეში, დიდი და ძლიერი ციხე-სიმაგრით. სახელი „სუმბატმანი“, როგორც მინორსკი განმარტავს, ნიშნავს სუმბატის სახლს, და როგორც ჩანს, აქ ნახსენებია იმისათვის, რომ ხაზი გაესვას და მიეთითოს საჰლის წინაპართა სახლს[52]. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საისტორიო წყაროების მიხედვით, 700—800-იან წლებში შაქში ადგილი არ ჰქონია სხვა რაიმე ცვლილებას, გარდა იმისა, რომელზეც მოგვითხრობენ ქართული წყაროები, VIII საუკუნის ანონიმი და ვახუშტი (ვგულისხმობთ არჩილის დროს შაქში ადარნასე ბრმის ძმისწულების, სამი ძმის, დამკვიდრების ფაქტს), მაშინ შეიძლება დავუშვათ, რომ საჰლ-იბნ სუმბატი წარმოშობით ეკუთვნოდა ტარონიდან მოსულ და შაკიხში დამკვიდრებულ ამ სამი ძმის ოჯახს, ე. ი. საჰლ-იბნ სუმბატი, სომხურ-არაბული წყაროების მიხედვით შაქის მფლობელი, ეკუთვნოდა ბაგრატიონთა დინასტიის ერთ-ერთ შტოს[53]. სახელწოდება იბნ სუმბატი შეიძლება იყოს ამ სამი ძმის ოჯახის საგვარეულო სახელი, და შეიძლება იგი მიგვითითებდეს ან ერთ-ერთი ძმის სახელზე, ან რაც უფრო მეტად მოსალოდნელია, მათი მამის სახელზე. ხოლო თუ ვენდობით და მივიღებთ ვახუშტის ცნობას იმის შესახებ, რომ არჩილმა ადარნასეს შაკიხთან ერთად მისცა აბუხოსროს ცოლი, რომელთა შვილებმა დაიპყრეს ტერიტორია „შაკიხიდან გულგულამდე“, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იბნ სუმბატი იყო ამ ადარნასეს და აბუხოსროს ქვრივის — ერთ-ერთი შვილის სახელი. საჰლ-იბნ სუმბატის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს მოსე კალანკატუელის „ალვანეთის ისტორიის“ ნაკლებად ცნობილი ნაწყვეტის ერთი ადგილი, რომელიც სულ სხვანაირად აშუქებს საჰლ სუმბატის წარმოშობას. როგორც ცნობილია, მოსე კალანკატუელის ისტორიის გამოცემული ტექსტი შესრულებულია იმ აკადემიური ხელნაწერიდან, რომელიც გადაწერა შახატუნმა XVII საუკუნის ზაქარია სარკავაგის ხელნაწერიდან. თავის მხრივ, ზაქარია სარკავაგმა იგი გადმოწერა XIII საუკუნის ხელნაწერიდან. ნ. ემინისა და კ. შახნაზარიანის ტექსტებიც, როგორც ჩანს, მომდინარეობდნენ იმავე ზაქარია სარკავაგის ხელნაწერიდან. შემდეგში, არქიმანდრიტ ხაჩიკ დადიანის მიერ მ. კალანკატუელის „ალვანეთის ისტორიის“ ხელნაწერთა ურთიერთ შედარებისას გამოირკვა, რომ ტექსტს III წიგნში, როგორც ბეჭდურ გამოცემაში,

---

[52] V. Minorsky, BSOAS, XV, 3, 1953, გვ. 506.

[53] შდრ. V. Minorsky, BSOAS, XV, 3, 1953, გვ. 506—508; C. Toumanoff, Le Museon, LXII, 1—2, 1949, გვ. 54.

ასევე ხელნაწერშიც აკლდა 835—840 წლების ამბების აღწერა. აღმოჩნდა, რომ ძველი ხელნაწერიდან ამოვარდნილი ყოფილა ორი ფურცელი, რომელიც გადამწერს, ზაქარია სარკავაგს ვერ შეუმჩნევია. ეს დაკარგული ორი ფურცელი შემდეგში მატენადარანში აღმოაჩინა იმავე ხ. დადიანმა და გამოსცა ჟურნალ „არარატში"[54].

მ. კალანკატუელის ისტორიის ტექსტის ამ ორი ფურცელის დაკარგვა შეამჩნიე'ს აგრეთვე დასავლეთის მეცნიერებმაც — კერძოდ, დოვსეტმა, რომელმაც ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ხელნაწერის მიხედვით, 1957 წელს ლონდონში გამოაქვეყნა ამ უცნობი ნაწყვეტის სომხური ტექსტი ინგლისური თარგმანითურთ[55]. და აი, მ. კალანკატუელის ისტორიის ამ უცნობ ნაწყვეტში აღნიშნულია, რომ საჰლ-სუმბატი ეკუთვნოდა, არმირხის სამეფო საგვარეულოს[56]. ეს არმირხ-არან შაჰი კი, — როგორც მ. კალანკატუელი გადმოგვცემს, წარმომადგენელი იყო ალბანეთის ძველი სამეფო დინასტიისა, რომელიც VI საუკუნის დასასრულს და VII საუკუნის დასაწყისში თითქმის ერთიანად ამოწყვიტეს გარდმანის მფლობელმა მიხრანიდებმა. კერძოდ მ. კალანკატუელი ალვანეთის ისტორიის II წიგნის XVII თავში მოგვითხრობს: მიხრანიდების წარმომადგენელმა „ვარდან მამაცმა" გულში მტრობა ჩაიდო ალბანეთის ძველი სამეფო დინასტიის მიმართ. მან ვერაგულად მიიპატიჟა ისინი სადილზე და სულ ერთიანად ამოხოცა. ცოცხლად დატოვა მხოლოდ ერთი მათგანი, თავისი სიძე არმირხ ერან (ანუ არან) შაჰი[57]. და აი, სწორედ ამ არმირხ-არან შაჰის შთამომავლობას მიაკუთვნებს საჰლ-სუმბატს მ. კალანკატუელის ისტორიის უცნობი ნაწყვეტი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთელი ეს გენეალოგიური ლეგენდა გვიანდელი შეთხზულია და გადამწერლების მიერ ჩართული ისტორიკოსის მოთხრობაში. მათ ყალბად და ტენდენციურად დაუკავშირეს საჰლ-სუმბატის წარმოშობა ალბანეთის ძველ სამეფო დინასტიას იმ მიზნით, რომ ლეგიტიმური გაეხადათ საჰლ-სუმბატ ბაგრატიონის ალბანეთის (არრანის) ტახტზე ყოფნა.

---

[54] 1897 წ. აპრილი, გვ. 161, ვალარშაპატი; ამის შესახებ იხ., М. М. Альтман, исторический очерк города Гянджи, г. Баку, გვ. 15; З. М. Буниятов, Еще раз о неизданных страницах «Истории-Агван» Моисея Каганкатваци, Известия А. Н. Азерб. ССР, Серия общест. наук, 1961, № 4, გვ. 3—9.

[55] C. J. F. Dowset, A neglected passage in the history of the Caucasian Albanians, BSOAS, XIX, 3, 1957, გვ. 456—468.

[56] C. J. F. Dowset, დასახ. ნაშრ., სომხური ტექსტი, გვ. 459, ინგლისური თარგმანი, გვ. 460.

[57] М. Каганкатваци, История АГВАНЬ, СПБ, 1861, кн. II, Гл. XVII გვ. 136.

უადრესი მითითება საჰლ-იბნ-სუმბატზე დაცულია მ. კალანკატუელთან 822 წლის ქვეშ. როგორც მოსე კალანკატუელი მოგვითხრობს, შაქის resp. ჰერეთის მთავარმა, საჰლ-სუმბატმა, თავისი ვაჟის ადარნასეს (ატერ-ნერსეჰ-ფილიპიან) დახმარებით ილაშქრა მარჯვენა ნაპირის ალბანეთის მფლობელთა წინააღმდეგ. საჰლ-სუმბატმა და ადარნასემ, მარჯვენა ნაპირის ალბანეთის მფლობელთა მიხრანიდების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლების ვარაზ-თრდატისა და სტეფანოზის ვერაგულად ამოხოცვის შემდეგ, დაიპყრეს მათი ქვეყანა და დაეუფლენ მთელ მათ მემკვიდრეობას[58]. აღნიშნული მკვლელობა — როგორც ამას ივიე მ. კალანკატუელი მოგვითხრობს — უშუალოდ ჩაიდინა საჰლის ვაჟმა ადარნასემ. მანვე ცოლად შეირთო უკანასკნელი მიხრანიდის, ვარაზ-თრდატის, ქალიშვილი სპრამა. ჩვენ არაფერი ვიცით იმის შესახებ (ყოველ შემთხვევაში მ. კალანკატუელი არაფერს გვეუბნება), მოქმედებდა თუ არა ეს ადარნასე საჰლ-სუმბატის დავალებით ან მისი ხელშეწყობით. მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ბოროტმოქმედებაში გარკვეული როლი შეასრულა საჰლმაც. ამას გვფიქრებინებს თუნდაც ის გარემოება, რომ ტიტული „არრანშაჰისა“ ანუ „რანთა მეფისა“, რომელსაც ეს უკანასკნელი მიხრანიდი ვარაზ-თრდატი ატარებდა, მიიღო არა უშუალო მკვლელმა, ე. ი. ადარნასემ, არამედ მისმა მამამ, შაქის მფლობელმა საჰლ-იბნ-სუმბატმა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რადგან ვარაზ-თრდატი უკანასკნელი მიხრანიდი იყო, ცხადია, საჰლ-სუმბატი ვეღარ იქნებოდა მიხრანიდების საგვარეულოდან, როგორც ამას მ. ბროსე ფიქრობდა[59].

ამრიგად, IX საუკუნის პირველ მეოთხედში, შაქის resp. ჰერეთის მთავრები თავიანთ პოლიტიკურ გავლენას ავრცელებენ მარჯვენა ნაპირის ალბანეთზედაც. მოსე კალანკატუელს თავის თხზულებაში მოთხრობილი აქვს შაქის მთავარ საჰლ-სუმბატის არაბების წინააღმდეგ ბრძოლის ზოგიერთი დეტალი. ასე მაგალითად, 822 — 823 წლების ქვეშ მ. კალანკატუელი გვიამბობს: ბარდავში გამაგრებულ არაბებს დაუნგრევიათ ალვანეთის ერთ-ერთი ოლქი ამარასი და ტყვედ წაუყვანიათ დაახლოებით 1000 კაცი. როდესაც ეს შეიტყო „მამაცმა და მშვენიერმა მთავარმა“ საჰლ-სუმბატმა, იგი უმალვე გაემართა მათ წინააღმდეგ, გაფანტა ისინი და გაანთავისუფლა ტყვეები[60]. საჰლ-იბნ-სუმბატის ბრძოლაზე არაბების წინააღმდეგ მოგვითხრობს აგრეთვე ბალაძორიც. მისი გადმოცემით, ხალიფა ალ-მამუნის დროს (813—

---

[58] М. Каганкатваци, кн. III, гл. XIX, гл. 267, гл. XXII, гл. 278.

[59] იხ. მისი მიხრანიდების გენეალოგია Addit. et eclairis..., გვ. 430.

[60] М. Каганкатваци, кн. III, гл. XIX, гл. 267, гл. XXII, гл. 278.

833), პატრიკი საჰლ-იბნ-სუმბატი (საყურადღებოა, რომ საჰლ-იბნ-სუმბატი პატრიკიოზის ტიტულს ატარებს. ჰერეთის ხელისუფალთათვის ეს უჩვეულო არ არის, უფრო გვიან ასეთ ტიტულს X საუკუნეში ატარებს ჰერეთის მეფე ადარნასე, ხოლო XI ს. დასაწყისში გვხვდება კვირიკე მაგისტროსი. ამაზე ქვემოთ) თავს დაესხა ჰაიდარ იბნ-ყაუს, ალ-აფშინის წარმომადგენელს, და მოკლა მისი მდივანი. თვით აფშინის წარმომადგენელმა კი ძლივს უშველა თავს გაქცევით[61]. აღნიშნულ ხანაში ჰერეთში (შაქში) ადგილი ჰქონია აჯანყებას არაბთა აგრესიის წინააღმდეგ. ამის შესახებ გვიამბობს XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსის, ახმედ იბნ ლუთფულაჰის (მუნაჯიმ-ბაშის), თბზულებაში (ჯამი ად-დუვალ) დაცული XI ს. უცნობი არაბი ავტორის ქრონიკა — „თარიხ ალ-ბაბ ვა შირვან". მასში აღნიშნულია, რომ 820 წელს შაქელები აჯანყდნენ ხალიდ-იბნ-იაზიდის წინააღმდეგ და მოკლეს მისი წარმომადგენელი (ამილ). ხალიდი დაიძრა მათ დასასჯელად, დაამარცხა ისინი და მრავალნიც დახოცა. შაქელებმა ზავი ითხოვეს; ამაზე ხალიდი დათანხმდა იმ პირობით, რომ შაქელებს ყოველწლიურად ხარკი უნდა გადაეხადათ 500 ათასი დირჰემის რაოდენობით. ხალიდმა მათგან მძევლები წაიყვანა და წავიდა[62]. არაბების შემოსევას ჰერეთში ამ პერიოდში, კერძოდ, აშოტ კურაპალატის მოღვაწეობის (786—826) უკანასკნელ წლებში (825), ქართული წყაროებიც აღნიშნავენ. „მატიანე ქართლისაჲ"-ში, ვკითხულობთ: „შემდგომად ამისსა მოვიდა ხალილ იზიდის ძე არაბიელი და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი"[63]. ხალილ-იზიდის ძე, ანუ ხალიდ იბნ-იაზიდი, სომხეთში ამირად იყო ხალიფა ალ მამუნის დროს (813—833)[64]. არაბების წინააღმდეგ ბრძოლის უფრო ორგანიზებულად წარმოების მიზნით, შაქის მთავარს, საჰლ-სუმბატს, მეზობელ სომეხ მთავრებთან ერთად (სიუნის მთავარი ვასაკი), მჭიდრო ურთიერთობა დაუმყარებია ხურამიტთა მოძრაობის ბელად बაბეკთან. ცნობილია, რომ ხურამიტების აჯანყება ანტიარაბული მოძრაობის ხასიათის მატარებელიც იყო. ამიტომ, პირველ ხანებში बაბეკს შეუერთდნენ ფეოდალებიც, რომელთაც გლეხთა აჯანყების წარმატებები გამოიყენეს ხალიფას მოხელეების თავიანთი ტერიტორიიდან განსადევნად. როდესაც ფეოდალებმა მიზანს მიაღწიეს, და ხურამიტთა ბრძოლაც გარკვეულ საზღვარს მიუახლოვდა, ფეოდალებმა უღალატეს बაბეკს და მის წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა.

---

[61] Б а л а д з о р и, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

[62] იხ. „თარიხ ალ-ბაბ ვა შირვან", § 2, წიგნში В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 44.

[63] ქ ც ბ ა, 1, გვ. 253.

[64] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია II, თბ., 1948, გვ. 93.

სომხეთისა და ალბანეთის ფეოდალები ჰერეთის მთავარ საჰლ-იბნ-სუმბატის მეთაურობით გამაგრდნენ ციხე-სიმაგრე გოროზში (აწინდელი გორისი) და 12 წლის განმავლობაში (831—843) ფლობდნენ მთიანი ყარაბაღის ხეობებს. საჰლ-სუმბატი არ ცნობდა არც ბაბეკს და არც არაბებს[65]. ფეოდალთა ღალატმა და ხალიფას მიერ მთელი ძალების მობილიზაციამ ბრძოლის სასწორი არაბთა სასარგებლოდ გადახარა. ბაბეკის აჯანყება დამარცხდა. ერთი წლის ალყის შემდეგ, 837 წელს, ხურამიტთა ცენტრი სამხრეთ აზერბაიჯანში ბააზზი დაეცა. ბაბეკმა მოასწრო გაქცევა და თავი შეაფარა შაქის resp. ჰერეთის მთავარ საჰლ-სუმბატთან, როგორც თავის ყოფილ მოკავშირესთან. მაგრამ ამ უკანასკნელმა გასცა იგი და შეპყრობილი ბაბეკი არაბთა ხალიფას წარუდგინა.

აღნიშნული სამსახური დიდად დაუფასეს არაბებმა საჰლ-სუმბატს. მასუდი გვამცნობს, რომ ამ სამსახურისათვის საჰლმა მიიღო სამეფო კაბა, გვირგვინი და ცხენი. ამავე დროს იგი განთავისუფლებულ იქნა გადასახადებისაგან[66]. განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან სომხური წყაროები. მ. კალანკატუელის „ალვანეთის ისტორიის“ უცნობ ნაწყვეტში აღნიშნულია: იმის გამო, რომ საჰლ სუმბატმა დაატყვევა აჯანყებული ბაბეკი — ეს მკვლელი, ქვეყნის ამომგდები და სისხლისმსმელი მხეცი — მან მიიღო ბრძანებლობა სომხეთზე, ალბანეთზე და საქართველოზე, რომ მას ემეფა ყველა მათზეო[67]. მ. კალანკატუელის ეს ცნობა, რა თქმა უნდა, ერთობ გაზვიადებულია და მისი დაჯერება არ შეიძლება. მეორე სომეხი ისტორიკოსი, თომა არწრუნი, ლაპარაკობს რა საჰლ-სუმბატის ამ დამსახურებაზე, მას იხსენიებს მხოლოდ შაქის მფლობელად, იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ საჰლ-სუმბატი არის შაქის მფლობელი, რომელმაც შეიპყრო ბაბეკი[68]. ამავე ამბის შესახებ სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი შემდეგ ცნობას გვაწვდის: ხალიფამ აფშინი გაგზავნა ძლიერი ლაშქრით ბაბეკის წინააღმდეგ. აფშინმა დაამარცხა ბაბეკის ლაშქარი. საჰლ-სუმბატის ძემ ტყვედ ჩაიგდო ხელში ბაბეკი, რისთვისაც აფშინისაგან გამოსასყიდად მოითხოვა ვერცხლის მილიონი მონეტა, ბაბეკს მოსჭრეს ხელები და ჩამოახრჩესო[69].

---

[65] Очерки истории СССР, IX—XIII, вв. 1953, გვ. 647.

[66] C. J. F. Dowset, BSOAS, XIX/3, 1957, გვ. 462.

[67] C. J. F. Dowset, დასახ. ნაშრ., სომხური ტექსტი, გვ. 459, ინგლისური თარგმანი, გვ. 460.

[68] Թովմայ Վարդապետի Արծրունեաց, გვ. 191.

[69] Всеобщая история Вардана Великого, გვ. 101.

მიუხედავად საჰლ-სუმბატის ასეთი პოლიტიკისა, 852 წელს, არაბებმა ისარგებლეს პირველივე ხელსაყრელი შემთხვევით, იგი თავის ვაჟ ადარნასესთან ერთად დააპატიმრეს და ამიერკავკასიის სხვა მთავრებთან ერთად, როგორც მოსე კალანკატუელი მოგვითხრობს ბაღდადში გაამგზავრეს როგორც ტყვე[70]. აღსანიშნავია, რომ ქართული წყაროები შედარებით ნაკლებად ლაპარაკობენ IX საუკუნეში ჰერეთ-არაბების შორის ბრძოლაზე. არ უნდა იყოს მთლად ზუსტი ვახუშტი, როდესაც წერს, რომ „ამ შლილობაებთა შინა იყუნენ იგინი მშვიდობით და ოდესმე მოვიდიან მძლავრნი, მისცემდიან ხარკთა და დაიმშვიდიან"[71]. ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ცნობები ვახუშტის ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ.

განსაკუთრებით დიდ სიძლიერეს მიაღწია, შაქის resp. ჰერეთის სამთავრომ IX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, გრიგოლ ჰამამის დროს.

ისტორიულ ცნობათა სიმცირე საშუალებას არ გვაძლევს ზუსტად დავადგინოთ გრიგოლ ჰამამის წარმოშობა. თავის დროზე მ. ბროსე ჰერეთის მთავარ ჰამამის შესახებ შენიშნავდა: „ჩვენ არ ვიცით არც მისი წარმოშობა, არც მისი შთამომავლობა და არც მისი დინასტიის ხანგრძლივობა"-ო[72]. ა. კრიმსკი გრიგოლ ჰამამს საჰლ-სუმბატის შვილიშვილად მიიჩნევს[73]. ზ. ბუნიატოვი არ იზიარებს ა. კრიმსკის ამ მოსაზრებას. იგი აღნიშნავს, რომ წყაროთა სიძუნწის გამო ძნელია ზუსტად განისაზღვროს ჰამამის წარმოშობა და იქვე დასძენს: „თუმცა შესაძლებელია იგი მივაკუთვნოთ არრანის მმართველ არანშაჰიკთა სახლის წარმომადგენლებს"-ო[74]. მივმართოთ უშუალოდ პირველწყაროს. უპირველეს ყოვლისა, გავიხსენოთ მოსე კალანკატუელის ერთი ზემომოტანილი ცნობა 822 წლის ამბებს რომ შეეხება. ამ ცნობის მიხედვით, 822 წელს საჰლ-სუმბატმა და მისმა ვაჟმა ადარნასემ ვერაგულად ამოხოცეს მიჰრანიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლები: ვარაზ-თრდატი და სტეფანოზი. საჰლის ვაჟმა ადარნასემ ცოლად შეირთო ვარაზ-თრდატის ქალიშვილი სპრამა[75]. და აი, ამის შემდეგ, მოსე კალანკატუელი გვაძლევს ადარნასე საჰლის ძისა და მიჰრანიან სპრამას მემკვიდრეთა სიას. ალბანეთის მემატიანე შემდეგი სახით წარმოგვი-

---

[70] М. Каганкатваци, кн. III гл. XX, გვ. 271, гл. XXII, გვ. 278.

[71] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 147.

[72] Histoire de la Siounie par Stephannos Orbelian, Premier livraison,, გვ. 173.

[73] А. Крымский, Страницы из истории Азербайджана, Шеки, сборник «Памяти Н. Я. Марра," Москва-Ленинград, 1938, 374.

[74] З. Бунятов, Азербайджан в VII—IX вв., Баку, 1965, გვ. 189—190.

[75] М. Каганкатваци, кн. III, гл. XIX, გვ. 267; Гл. XXII, გვ. 278.

დგენს ადარნასესა და სპრამას შთამომავლობას: მათ ჰყავთ ორი ძე — გრიგორი და აბუსეთი; გრიგორს ჰყავს ხუთი ძე: აბული, საჰაკი (სევადა), სხვების სახელები უცნობია. საჰაკ-სევადას ჰყავს ორი ძე: გრიგორი და დავითი[76]. როგორც ვხედავთ, ამ სიაში ორი გრიგორია მოხსენებული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამათგან ერთ-ერთი უნდა იყოს სწორედ ის ჰამამ ბაგრატიონი, რომელიც საჰლ-სუმბატის შემდეგ შაქის resp. ჰერეთის მთავარი ხდება. ამრიგად, ჩვენი აზრით, გრიგოლ ჰამამი ეკუთვნოდა საჰლ-სუმბატის საგვარეულო სახლს. კერძოდ, იგი წარმომადგენელი იყო საჰლ-სუმბატის ვაჟის — ადარნასეს შთამომავლობისა. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ მაინც ცხადია: საჰლ-სუმბატი და გრიგორ ჰამამი რაღაცნაირად იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი დინასტიურად და მემკვიდრეობით სცვლიან ერთმანეთს ჰერეთ-ალბანეთის ტახტზე.

ალბანეთის მემატიანე მოსე კალანკატუელი შაქის ამ მთავრის სახელს ორნაირად აღნიშნავს. ერთგან იგი მას „ჰამამს“ უწოდებს[77], ხოლო სხვა ადგილას კი, იგი მას გრიგორით იხსენიებს[78]. როგორც ა. კრიმსკი შენიშნავს, ნათლობის სახელი „გრიგორი“(რომელიც ნაწარმოებია ბერძნული ზმნის ფორმიდან —εγρήγορα— და ნიშნავს „ფხიზელს, მზრუნველს“) გადმოუთარგმნიათ არაბულ ენაზე „ჰამამ“-ის სახით (რაც ნიშნავს იმავე „ფხიზელს, მზრუნველს“[79]).

თუ როდის უნდა ჩასდგომოდა სათავეში გრიგოლ ჰამამი ჰერეთის სამთავროს, ამის შესახებ მოსე კალანკატუელს პირდაპირი ცნობები არ მოეპოვება. მას მეტად ბუნდოვნად აქვს მოთხრობილი, რომ „ღვთისმოსავმა ჰამამმა... აღადგინა ალბანეთის სამეფო მაშინ, როდესაც აშოტ ბაგრატუნმა აღადგინა სომხეთის სამეფო. ეს ამბავი ერთსა და იმავე დროს მოხდა“-ო[80]. აქედან შესაძლებლობა გვეძლევა დაახლოებით მაინც გამოვარკვიოთ გრიგოლ ჰამამის მმართველობის დაწყების თარიღი. როგორც ცნობილია, არაბთა ხალიფამ სპარაპეტი აშოტ ბაგრატუნი თავდაპირველად (859 წ.) დანიშნა შირაკის მფლობელად და სომხეთის მმართველად. ხალიფამ მას ჩააბარა სომხეთის გადასახადებისა და შრომითი ვალდებულებების მოწესრიგება. მოკლე ხნის განმავლობაში მთავარმა აშოტ ბაგრატუნმა შესძლო ქვეყნის დაწყნარება და დროულად აგზავნიდა გადასახადებს ხალიფას ხაზინაში. 875

---

[76] М. Каганкатваци, кн. III, гл. XXII. გვ. 278—279.
[77] М. Каганкатваци, кн. III, гл. XXI, გვ. 273.
[78] М. Каганкатваци, кн. III, гл. XXII, გვ. 278—279.
[79] А. Крымский, დასახ. ნაშ, გვ. 374, სქოლიო 6.
[80] М. Каганкатваци, кн. III, гл. XXI, გვ. 273—274.

წელს სომხეთის საეკლესიო კრებამ აშოტ I სომხეთის მეფედ გამოაცხადა. 886 წელს ხალიფამ აშოტ ბაგრატუნს სამეფო გვირგვინი გამოუგზავნა და ოფიციალურად აღიარა სომხეთის მეფედ[81]. ამრიგად, 875 წელი, როდესაც ფაქტიურად მოხდა სომხეთის სამეფოს დამოუკიდებლობის აღდგენა, შეიძლება მივიღოთ გრიგოლ ჰამამის მმართველობის დაწყების თარიღად.

მოსე კალანკატუელის ცნობების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, ა. კრიმსკის დადგენილი აქვს, რომ გრიგოლ ჰამამის მფლობელობის ქვეშ შაქის გარდა, გაერთიანებული ყოფილა მარჯვენა ნაპირის ალბანეთიც. მასვე ექვემდებარებოდა წანარეთიც[82]. ამდროინდელი „წანარეთი" (IX ს.), როგორც ცნობილია, პოლიტიკური აზრით კახეთის სამთავროს გულისხმობს[83]. როგორც ჩანს, იმ ბრძოლაში, რომელიც ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის მიმდინარეობდა ამ დროს, ჰერეთმა შესძლო კახეთის სამთავროს ნაწილის მითვისება. მოსე კალანკატუელი გრიგოლ ჰამამს „ალბანეთის სამეფოს აღმდგენელს" უწოდებს. ამ „ალბანეთის სამეფოს აღდგენაში" ისტორიკოსი იმ ფაქტს უნდა გულისხმობდეს, რომ ჰამამი ერთდროულად ფლობდა, როგორც მტკვრის მარცხენა ნაპირის ალბანეთს, შაქს, ქართულ ჰერეთთან ერთად, ასევე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს (რანის) ნაწილსაც. სახელდობრ აწინდელი მთიანი ყარაბახის რაიონებს.

1893 წელს, მოსე კალანკატუელის გადმოცემით, გრიგოლ ჰამამს მიუღია „მეფის" ტიტული[84]. ამრიგად, IX საუკუნის უკანასკნელ წლებში ჰერეთის სამთავროს ხელისუფალნი უკვე მეფის ტიტულს ღებულობენ. ეს გრძელდება ჰერეთის სამეფოს დამოუკიდებელი არსებობის მთელს მანძილზე. ამიერიდან ჰერეთი უკვე სამეფოა. ჰერეთის ხელისუფალთა სამფლობელოს პოლიტიკური საზღვრების ესეოდენი გაფართოებით უნდა იყოს გამოწვეული ის ფაქტი, რომ ქართული წყაროების „ჰერეთი", გარკვეულ დროს, IX — X საუკუნეებში, იხმარებოდა მთელი ალბანეთის აღსანიშნავად. პროფ. ილ. აბულაძე აღნიშნავს: „ჰერეთი ჩვენს მწერლობაში მარტო გაქართველებული ალვანეთის სახელწოდება არ ყოფილა ხოლმე, არამედ იგი, როგორც ჩანს, X საუკუნის ახლოს, ალვანეთის ზოგადი სახელწოდე-

---

[81] История Армянского народа, I, под редакцией Б. Н. Аракеляна и А. Р. Иоаннисяна, Ереван, 1951, გვ. 125—127.

[82] А. Крымский, Страницы из истории Азербайджана. Шеки, გვ. 375.

[83] ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 378, 403; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბილისი, 1963, გვ. 155—161.

[84] М. Каганкатваци, кн. III, гл. XXI, გვ. 273.

ბა ყოფილა"[85]. მოვიტანოთ სათანადო მაგალითები. IX საუკუნეში, არსენ საფარელი თავის ნაშრომში — „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა" — წერს: „შემდგომად აბრაჰამისა დაჯდა კომიტოს, რომელი იყო მდიდარ და მოხარკე სამოსელთა და სახედართა ზედა, რომელიცა თუალთაგან პატიოსანთა ბივრილთა შეამკობდა თავსა კუმრთხისასა. ამან უფროს ყოველთასა შესძინა ცილობასა ქალკიდონისასა, და მისცა შვიდი საეპისკოპოსო ხელთა ჭეშე ჰერთა კათალიკოზისასა და შეიერთა იგი და შეჩუმნებად სცა კრება ქალკიდონისაჲ"[86]. იმავე შრომის სხვა ადგილას ვკითხულობთ: „და რამეოდ სომხითმან ბრძანება მიიღო სპარსთა მეფისაგან ხელით დასხმაჲ ეპისკოპოსობისა თავით თუსით. ესე რაჲ ცნეს ჭეშმარიტად კერიონ კათალიკოზმან აბაზ ჰერთა კათალიკოზმან და იქმნა ცილობა შორის სომხითისა და ქართლისა"[87]. აშკარაა, რომ არსენ საფარელი „ჰერთა კათალიკოზს" ხმარობს ალვანეთის კათალიკოსის მნიშვნელობით. ჰერეთი ზოგადი მნიშვნელობით, ე. ი. მთელი ალვანეთის შესატყვისად, გვხვდება აგრეთვე IX—X საუკუნეების სომხურიდან ნათარგმნ ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში. ესენია: „წამებაჲ წმინდათა მღვდელთ-მოძღუართაჲ სომხითისათა არისტაკესი, ორთანესი, ოსკისი, გრიგორისი, დანიელისი" და „სიტყუანი წამებისათვის წმინდისა, ოსკისი და მოყუასთა მისთაჲ". საილუსტრაციოდ დავკმაყოფილდეთ თითო ადგილის მოტანით აღნიშნული ძეგლებიდან, პირველ მათგანში ვკითხულობთ: „და ვითარ მოიწია ჰამბავი აღსრულებისაი ნეტარისა მეფისა თრდატისი, საკუვითა მისივე სანატრუკისითა და სხუათა ვიეთმე მტყუვართა კაცთა ჰერეთისათა მოკლეს ნეტარი გრიგორის... ველსა მას ვატნეანსა მახლობლად ზღუასა კასპთასა"[88]. აქ კონტექსტიდან ნათლად ჩანს „ალვანთა" შესატყვისად — „ჰერეთის" ხმარება. ესეც რომ არ იყოს, სომხური დედნის შესაბამისს ადგილას, ჰერეთის ნაცვლად „*Աղուանից*» არის ნახმარი[89]. მეორე ძეგლში — „სიტყუანი წამებისათვის წმიდისა ოსკისი და მოყუასთა მისთაჲ" — ვკითხულობთ: „რომელცა ისმინეს ესე მახლობელთა დედუფლისათა, რომელ მოსრულ იყვნეს მის თანა ჰერეთით[90]"... აქ, სომხური დედნის შესაბამის ადგილას,

---

[85] ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, მარტვილობა შუშანიკისი, გვ. 056; ი. აბულაძის შემდეგ ასეთივე მოსაზრება გამოთქვა დ. მუსხელიშვილმა; მათ არ მოუცია ამ მოვლენის ახსნა ჰერეთის პოლიტიკური ისტორიის ფაქტებით.

[86] ქრონიკები, I, გვ. 321.

[87] ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი, I, გვ. 319.

[88] ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბ., 1944, გვ. 66.

[89] ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ი ქ ვ ე.

[90] ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ი ქ ვ ე, გვ. 12.

ჰერეთის შესატყვისად „Աղանաց“-ია ნახმარი, მაგრამ როგორც აკად. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს „ქართველ მთარგმნელს, ან სომხური დედანი ამ ადგილას წარყვნილი უნდა ჰქონოდა და յԱղուանից աշխարհէ წერებულიყო, რაც მას შეეძლო კიდევაც ჰერეთად გადმოეთარგმნა, ან თითონ აერია და յԱլանաց-ის მაგიერ յԱղուանից-ი წაეკითხა“[91]. ის მაინც ცხადია, რომ აქ ჰერეთი Աղուանաց-ის შესატყვისად გვაქვს და არა Ալանաց-ისა.

(ქართულ-სომხური და არაბული წერილობითი წყაროების ცნობები ჰერეთის ადრეფეოდალური სამთავროს პოლიტიკური ძლიერების შესახებ აღნიშნულ ხანაში (VIII—IXსს.) დასტურდება ჰერეთის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების სიმრავლითაც. ჰერეთის პოლიტიკური დაწინაურების, ეკონომიური სიმძლავრის და მაღალი კულტურული განვითარების ცოცხალი მოწმეა ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე შემონახული შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლები.)

(უპირველეს) ყოვლისა) უნდა აღინიშნოს ჰერეთის განაპირა აღმოსავლეთ მხარეში მდებარე ორი ძეგლი — ყუმის ბაზილიკა (VIII ს.) და ლექეთის ტეტრაკონქი (VIII—IX სს.).[92] ორივე ძეგლი ამჟამად აზერბაიჯანის სსრ, კახის რაიონში მდებარეობს.)

(ჰერეთის პოლიტიკური ძლიერების განვითარებისა და კულტურული აყვავების უტყუარი მოწმეა ისეთი მონუმენტური ძეგლი, როგორიცაა აკურის მამა დავითი. იგი 855 წელს არის აშენებული[93].)

IX ს. ე. ი. ჰერეთის კულტურულ-პოლიტიკური აღმავლობის პერიოდში არის შექმნილი ისეთი ბრწყინვალე მხატვრულ-არქიტექტურული ძეგლები, როგორიცაა — ვურჯაანის (კახთუბნის) „ყველაწმინდა“ (IX ს.)[94], ვანჩაძიანის „ყველაწმინდა“ (IX ს.)[95], ნეკრესის მონასტრის გუმბათოვანი ეკლესია (IX ს.)[96], ვაჩნაძიანის სასახლის ეკლესია (IX ს.)[97], ვარცანის „ღვთისმშობლის“ ტაძარი შილდასთან (IX ს.)[98], ხირსის „სტეფანწმინდა“ (IX ს.)[99]. დასასრულს, (IX საუკუნეშია შექმნილი ჰერეთის განაპირა მხარეში, კამბეჩანში, მხატვრუ-

---

[91] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სომხური საისტორიო მწერლობა, I, გვ. 21.

[92] Г. Ч у б и н а ш в и л и, Архитектура Кахети, Тб., 1959, გვ. 130—132; 226—227.

[93] Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 110—123.

[94] ი ქ ვ ე, გვ. 273—286.

[95] ი ქ ვ ე, გვ 319—320.

[96] ი ქ ვ ე, გვ. 321—325.

[97] ი ქ ვ ე, გვ. 187—188.

[98] ი ქ ვ ე, გვ. 349—354.

[99] ი ქ ვ ე, გვ. 325—339.

ლი თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი ქართული არქიტექტურისა, ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძარი — ოზაანის „ამაღლება“[100].

ჰერეთის ტერიტორიაზე ჩრავლად არის დაცული აგრეთვე საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები: ესენია საერო და სასულიერო ფეოდალების სასახლეები: ვაჩნაძიანის ფეოდალის სასახლე, ე. წ. „პალატი“ (IX ს.). ფეოდალის სასახლე ვანთაში (IX ს.), ფეოდალის სასახლე ველისციხეში (IX ს.), ნეკრესელის სასახლე (IX ს.), ჰერემელის სასახლე (IX ს.)[101]. ყველა ეს სასახლე წარმოადგენს ორსართულიან შენობებს, სადაც ქვედა სართულში თავმოყრილია სამომსახურო ბინები, ხოლო ზედა სართული კი წარმომადგენლობის ადგილი იყო. აკად. გ. ჩუბინაშვილის სიტყვით, ჰერეთის „სასახლეების ხუროთმოძღვრებაში ჩვენ საქმე გვაქვს სრულად განვითარებულ მხატვრულ შემოქმედებასთან, რომელსაც თავისი ტრადიციები აქვს, რომ მასში განსაზღვრულ ამოცანებს აყენებენ, და რომ მათ სწყვეტენ სრულიად დამოუკიდებლად“[102]. აღსანიშნავია, რომ IX საუკუნის მატერიალური კულტურის ძეგლების ასეთი სიუხვით, არცერთი სხვა ფეოდალური სამთავრო არ ხასიათდება.

გრიგოლ ჰამამის გარდაცვალების შემდეგ (დაახლ. 897 წ.) ჰერეთის სამეფოს ჩამოსცილდა მარჯვენა ნაპირის ალბანეთში მდებარე სამფლობელოები. ამის შემდეგ ამ მხარის ისტორიის განვითარება თვალნათლივ დამოუკიდებელი სახით წარიმართა. 1003 წ. ეს სამფლობელოები (შთიანი ყარაბახი) ერთმანეთში გაიყვეს სომხეთის მეფე გაგიკ I და განჯის ამირა ფადლუნმა. რაც შეეხება საკუთრივ შაქის resp. ჰერეთის სამეფოს, აქ ჩვენ X საუკუნის დასაწყისიდან ისევ გრიგოლ ჰამამის შთამომავლობას ვხედავთ (ე. ბაგრატიონთა დინასტიის იმ შტოს წარმომადგენლებს, რომელნიც აქ VIII საუკუნეში დამკვიდრდნენ). X საუკუნის ერთი სომხური წყაროს (ანანია მოკელის წერილები, ამის შესახებ იხ. ქვემოთ) ჩვენებიდან ირკვევა, რომ გრიგოლ ჰამამის შემდეგ ტახტზე ადის ჯერ მისი შვილი ადარნასე, ხოლო შემდეგ კი მისი შვილიშვილი იშხანიკ ადარნასეს ძე. ანანია მოკელის ერთ-ერთ წერილში(958 წ.) ვკითხულობთ: „რამეთუ ეპყრა ტახტი მეფობისა იმქამად იშხანიკს, უფალ ადარნასეს-ძეს, ალბანთა კეთილმსახურ მეფის ნეტარ ჰამამის შვილიშვილს“[103]. ამ ცნობიდან აშკარად ჩანს,

---

[100] Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 354—363.

[101] იქვე, გვ. 546—561.

[102] გ. ჩუბინაშვილი, ქართული საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში, თსუ, მოამბე, III, 1923, გვ. 126.

[103] Արարատ, 1897, մարտ, გვ. 131.

რომ გრიგოლ ჰამამის მეფობას უშუალოდ მოსდევს ჯერ ადარნასეს, ხოლო შემდეგ იშხანიკის მეფობა. ამათ უნდა შეესაბამებოდეს ქართული წყაროების, კერძოდ, ვახუშტისა და „მატიანე ქართლისაჲ“-ს ადარნასე პატრიკი და იშხანიკი. ვახუშტი წერს: „ხოლო წელსა ქს. შიზ, ქრ. რლზ მოიხსენების სახელი ადარნასე პატრიკისა და ძისა მისისა, დინარ დედოფლის ქმრისა და ძისა მათისა იშხანიკისა, რომელიცა აღვსწერეთ რიგოვანად თავის რიგსა ზედა“[104]. როგორც ვხედავთ, ვახუშტი თვლის, რომ დინარ დედოფალი არის ადარნასე პატრიკის მეუღლე, ხოლო იშხანიკი კი მათი ძეა[105].

X საუკუნის ჰერეთის ისტორიის ზოგიერთი მომენტის აღდგენა ხერხდება უკვე ქართული წყაროების მოშველიებით. X საუკუნის დასაწყისისათვის ქართული წყაროები ჰერეთის მფლობელად აღნიშნავენ ადარნასე პატრიკს, ამ ადარნასე პატრიკის პიროვნებით ჯერ კიდევ მ. ბროსე დაინტერესებულა, მაგრამ, როგორც ჩანს, ცნობების უქონლობის გამო, მას მისი წარმოშობა ვერ დაუდგენია, რადგან ქართლის ცხოვრების ფრანგული თარგმანის ერთ-ერთ შენიშვნაში იგი წერს, რომ „ამ პერსონაჟის გენეალოგია უცნობია“-ო[106]. ადარნასე პატრიკს, როგორც კახთა ქორეპისკოპოსის კვირიკე I (892—918) თანამედროვეს, იხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონი. ადარნასე პატრიკის შესახებ გვიამბობს „მატიანე ქართლისაჲ“. ადარნასე პატრიკი უნდა იგულისხმებოდეს X საუკუნის დასაწყისის (906 წ.) ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საალმშენებლო წარწერის „ჰერთა მეფეში“[107]. დასასრულ, შაქის resp. ჰერეთის მეფე ადარნასეზე მოგვითხრობს აგრეთვე არაბული წყაროც. კერძოდ, მასუდი (X ს.) აღნიშნავს, რომ წანარეთის სამეფოს მახლობლად იმყოფებიან შაქელები, ქრისტიანული რელიგიის აღმიარებელი ტომი... შაქის მეფედ ამ ჩვენი წიგნის შედგენის დროისათვის იყო ადერნერსე იბნ-ჰამამი[108]. როგორც ცნობილია, მასუდიმ თავისი თხზულების (მურუჯ ად-ძახაბ) წერა დაასრულა 943 წელს[109]. ე. ი. თუ მასუდის ამ ცნობას დავეყრდნობით,

---

[104] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 147.

[105] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 192; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს აზრითაც, დინარ დედოფალი არის ჰერეთის პატრიკის ადარნასეს ცოლი, ხოლო იშხანიკი კი მათი შვილია, იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გვ. 84.

[106] M. B r o s s e t, Histoire de la Georgie, I, გვ. 277, შენიშვნა 3.

[107] რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, IV, თბილისი, 1955, გვ. 112.

[108] М а с у д и, Луга золота и рудники драгоценных камней, II, гл. XVII, СМСМПК, вып. 38, Тифлис, 1908, გვ. 57.

[109] В. Ф. М и н о р с к и й, История Ширвана и Дербенда, გვ. 188.

ადარნასე 943 წლისათვის ჯერ კიდევ შაქის მეფედ იხსენიება. ამრიგად, ადარნასე პატრიკის მმართველობის წლები დაახლოებით ასე შეიძლება განისაზღვროს: X საუკუნის დასაწყისიდან, ვთქვათ, 906 წლიდან (როდესაც იგი პირველად იხსენიება ერედვის ეკლესიის წარწერაში) ვიდრე 943 წლამდე. ჩვენ მიერ დადგენილი ადარნასე პატრიკის ზეობის წლები, რა თქმა უნდა, პირობითი და სავარაუდოა, რადგან პერიოდი 906—943 წწ. შეიძლება ცოტა დიდი იყოს ერთი მეფობისათვის. აღსანიშნავია, რომ ა. კრიმსკიც მასუდთან მოხსენებულ შაქის მეფე ადერნერსე იბნ-ჰამამს აიგივებს ქართული წყაროების ჰერეთის მეფე ადარნასე პატრიკთან[110]. ვ. მინორსკის აზრით, ჰერეთის მეფე ადარნასე პატრიკი იყო უშუალო ან გვერდითი შთამომავალი საჰლ-სუმბატისა[111].

ადარნასე პატრიკის დროს, ჰერეთის სამეფოს ენერგიულად შემოუტია კახეთის ქორეპისკოპოსმა კვირიკე I (892—918). ვახუშტი მოგვითხრობს: „შეემტერა კვირიკე ქორიკოზი კახეთისა ადარნასე პატრიკსა ჰერეთის პყრობელსა და ვინად-განა შეიწყნარა კვირიკეევე ამირ აგარიან-მან და მოიცა ამირისგან კვირიკემ ძალი“[112]. კვირიკე I თავისი მმართველობის ბოლო წლებში (ვახუშტის ქრონოლოგიით 915 წ.) აწყობს ლაშქრობას ჰერეთის მმართველ ადარნასე პატრიკის წინააღმდეგ. საამისოდ იგი დაუკავშირდა „აფხაზთა მეფე“ კონსტანტინეს. ვახუშტის სიტყვით, „ხოლო შემდგომად მტრად ადარნასესა მოიყვანა კვირიკემ მეფე აბხაზთა კონსტანტინე ქს. შღე, ქრ. რლე. მერმე დაზავდენ ვეჯინს, ვითარცა აღვსწერეთ“[113]. მოკავშირეებმა ჰერეთი დაიპყრეს და გაინაწილეს. ამ ამბავს უფრო ვრცლად გადმოგვცემს „მატიანე ქართლისაჲ“: „უხმო კვირიკე ქორეპისკოპოსმან კონსტანტი აფხაზთა მეფესა. ჩავიდეს ჰერეთად და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა. აფხაზთა მეფე მოადგა ზედათკერძო, და კვირიკე ქუემოთ, და ვითარ მისწურეს წაღებად, მაშინ ადარნასე პატრიკი მოვიდა, პარასკევის ჯუარსა მიპყრა ზავისა პირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი, და კვირიკეს ორჭობი, ვითარ დაიზავნეს, და შემოიქცეს. მოვიდა კონსტანტი, აფხაზთა მეფე ილოცა ალავერდს წმინდის გიორგის წინაშე, და შემოსა ხატი მისი ოქროთა. ხოლო ლაშქარი მისი უმრავლესი წარავლინა გზასა გარესა და ფრიად პატივ-სცა კვირიკე

---

[110] А. Крымский, Страницы из истории Азербайджана. Шэки, გვ. 376—377.

[111] V. Minorsky BSOAS, XV/3, 1953, გვ. 511.

[112] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 149.

[113] ვახუშტი, იქვე; ამის შესახებ აგრეთვე იხ., მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 162.

ქორეპისკოპოსმან, და წარვიდა ქუეყნად თვისად"[114]. კონსტანტინე „აფხაზთა მეფის" ჰერეთში ლაშქრობის შესახებ უნდა მოგვითხრობდეს X საუკუნის დასაწყისის (906 წ.) ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა. წარწერაში ვკითხულობთ: „...ხელმწიფობასა ღმრთივ დამყარებულისა წმინდისა კონსტანტინე მეფისასა, რომელმან ბრძანა და ჩავიდა ჰერეთს შიგან, ჰერთა მეფეი გააქცია და მუნით მშუიდობით იქცა. ცისკრად ალავერდს ილოცა: მწუხრ ბრეძას გადაჰხთა. მეორედ კუალად ავიდა, ვეჯინის ციხე დალეწა"[115]. როგორც ვხედავთ, წარწერაში მოთხრობილი ამბავი, რომელიც თანამედროვის მიერ არის აღბეჭდილი, ადასტურებს „მატიანე ქართლისაჲ"-ს ცნობას და ავსებს მას ზოგიერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მონაცემებითაც. წარწერის ცნობებიდან სრულიად ახალია შემდეგი: კონსტანტინეს, რომ ცისკრად ალავერდს ულოცია, მწუხრს იგი ქართლში გადმოსულა: „მწუხრი ბრეძას გადაჰხთაო". ზავს ეტყობა საკითხი საბოლოოდ არ გადაუწყვეტია და საომარი მოქმედება ხელახლა დაწყებულა. ამას წარწერის მეხუთე სტრიქონის ბოლო სიტყვები გვამცნობს: „მეორედ კულა ავიდა ვეჯინისა ციხე დალეწა"[115]. ამრიგად, როგორც ზემოთ დავინახეთ, კახთა ქორეპისკოპოსს კვირიკე I და აფხაზთა მეფე კოსტანტის, კოალიციური ლაშქრობის შედეგად, დაუპყრიათ ჰერეთის მნიშვნელოვანი პუნქტები: არიში, გავაზნი და ორჭობი. ამათგან „არიში და გავაზნი" კოსტანტი აფხაზთა მეფეს მიუთვისებია, ხოლო ორჭობი კი კვირიკეს[117]. არიში (დღევანდელი მთისძირი) და გავაზი (დღევანდელი ახალსოფლი) ალაზნის მარცხენა ნაპირზე, გალმამხარში მდებარეობენ[118]. ორჭობის ადგილმდებარეობა გაურკვეველია[119]. მაგრამ რადგანაც იგი ადარნასე პატრიკის სამფლობელო ყოფილა, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ იგიც ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. როგორც ვახუშტი ბაგრატიონის მონათხრობიდან ჩანს, ადარნასე პატრიკს, რამოდენიმე ხნის შემდეგ, აღნიშნული პუნქტები ისევ უკან დაუბრუნებია. მან ისარგებლა კახეთის სამთავროს გარეპოლიტიკური ვითარების გართულებით (საჯი ამირების შემოსევა), ფადლა II ქორეპისკოპოსის დროს (ვახუ-

---

114 ქ ც ბ ა, I, 264.

115 რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, გვ. 112

116 რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, გვ. 112

117 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 105.

118 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები, XII—XIII სს-ში, გვ. 86, ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958, გვ. 50.

119 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 49.

შტის ქრონოლოგიით 918—929 წწ.)[120], და „კვალად დაიპყრა კვირიკესა და კონსტანტინე მეფისა-განმ მიღებულნი ჰერეთისა თვითვე"[121].

ადარნასე პატრიკის შემდეგ ჰერეთის სამეფო ტახტზე ვხედავთ იშხანიკს. იშხანიკთან ერთად, ამ დროს, ჰერეთის მმართველად გვევლინება დედამისი — დინარ დედოფალი, ადარნასე პატრიკის მეუღლე. დინარ დედოფალი წარმომობით ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა (კლარჯეთის შტო) სახლის წარმომადგენელი იყო. იგი იყო ასული ადარნასე II (გარდაიცვალა 896 წ.). მისი ძმა კი იყო ცნობილი გურგენ IV, დიდი, ერისთავთ-ერისთავი, მაგისტროსი (გარდაიცვალა 941 წ.)[122]. ასე რომ, როგორც ვხედავთ, იშხანიკის წარმომობა დედის მხრივაც საკმაოდ ბრწყინვალე ჩანს.

იშხანიკის მმართველობის წლების ზუსტად განსაზღვრა ვერ ხერხდება. ამ მხრივ, მეტად ძვირფას სინქრონულ მასალას გვაწვდის „მატიანე ქართლისაჲ". მოგვითხრობს რა ჰერეთში იშხანიკის და დინარის მეფობაზე, მემატიანე იქვე აღნიშნავს, რომ მათი თანამედროვენი ბარდავსა და აზერბაიჯანში იყვნენ სალარიდები- „და სალართა დაეპყრა მაშინ ბარდავი და ადარბადაგანი"[123]. ამრიგად, ირკვევა, რომ იშხანიკის მეფობა ჰერეთში ემთხვევა იმ დროს, როდესაც აზერბაიჯანში ბატონობდა სალარიდების ანუ მუზაფირიდების დინასტია. აღნიშნული დინასტია დეილემის მთავართა საგვარეულოდან მომდინარეობდა. სალარიდების სახელმწიფო ჩამოყალიბდა X საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში. დაახლოებით 941 წელს, მარზუბან-იბნ-მუჰამმად მუზაფირიდმა (941—957) და მისმა ძმამ ვაჰსუდანმა დაიპყრეს სამხრეთი აზერბაიჯანი. ამის შემდეგ მათი ძალაუფლება ვრცელდება ჩრდილოეთი და დასავლეთი მიმართულებით. მარზუბანმა თავის დედაქალაქად არდებილი აირჩია. იგი ღრმად შემოიჭრა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე და დაიკავა ბარდავი და დვინი. მან ხელში ჩაიგდო აგრეთვე განჯაც, რომელსაც 971 წლამდე, მის მიერ დაყენებული კაცი განაგებდა[124]. მარზუბანის მიერ შექმნილმა სახელმწიფომ სულ 40 წელი იარსება (941—981 წწ.)[125].

---

[120] ამის შესახებ იხ. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან (კახეთის სამთავრო VIII—XI სს). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 31, თბ., 1954, გვ. 28.

[121] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 150.

[122] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, ტაბულა II.

[123] ქ ც ბ ა, 1, გვ. 266.

[124] V. M i n o r s k y, Caucasica, IV, BSOAS, XV/3, 1953, გვ. 514—515.

[125] М. Х. Ш а р и ф л и, Феодальные государства Азербайджана второй половины IX—XI вв., автореферат докт. диссертации, Баку, 1965, გვ. 49.

მარზუბან იბნ მუჰამედ მუზაფირიდის დროს, 955 წლისათვის, იბნ-ხაუკალი (X ს.) შექის resp. ჰერეთის მეფედ იხსენიებს იშხანიკს[126]. 958 წლისათვის ჰერეთის მეფე იშხანიკს იხსენიებს აგრეთვე ანანია მოკელი (X ს.) თავის ერთ-ერთ წერილში[127]. ამრიგად, 958 წლისათვის იშხანიკი ჯერ ისევ ცოცხალია და მეფობს ჰერეთში. თუ ვივარაუდებთ, რომ ამის შემდეგ იშხანიკს შეეძლო კიდევ ეცოცხლა რამოდენიმე წელი, და არ გარდაიცვალა იმავე 958 წელს, მაშინ იშხანიკის მმართველობის წლები შეიძლება გავაგრძელოთ 60-იან წლებამდე. საბოლოოდ იშხანიკის მმართველობის პერიოდი ასე შეიძლება განისაზღვროს: 943 წლიდან (ჩვენ მიერ დადგენილი პირობითი თარიღი ადარნასე პატრიკის მეფობის ბოლო წლებისა) ვიდრე დაახლოებით X საუკუნის 60-იან წლებამდე.

იბნ-ხაუკალის თხზულებაში შემონახულია სია მარზუბან იბნ-მუჰამმადის იმ ამიერკავკასიელი ვასალებისა, რომელნიც ხარკს იდიდებენ მუზაფირიდების სასარგებლოდ 955 წლისათვის[128]. ხარკისა და დაქვემდებარების აკრეფას აწარმოებდა მარზუბან ეს-სალარის ვეზირი აბუ-ლ-კასიმ ალი იბნ ჯაფარი, რომელიც მარზუბან იბნ-მუჰამმადის ფინანსებს მართავდა. და აი, ამ მოხარკეთა სიაში მოხსენებულია შაქის (ჰერეთის) მმართველი იშხანიკიც. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იბნ-ხაუკალის თხზულების ტექსტში შექის ამ მეფის სახელი გადმოცემულია „ასხას"-ის ფორმით, რაც ეჭვს არ იწვევს „იშხან"-ად უნდა გავიგოთ. სავსებით სამართლიანია ვ. მინორსკის მიერ მოცემული ამ სახელის აღდგენა. იგი მას კითხულობს როგორც „იშხანიკ"ს[129] ეს თვით იბნ-ხაუკალის თხზულების ამ ადგილის კონტექსტიდანაც გამომდინარეობს: ჯერ მოხსენებულია შირვანის მფლობელი, შემდეგ შაქის მფლობელი, ხოლო ამათ მომდევნოდ კი დასახელებულია წანარეთის მეფე. საყურადღებოა ისიც, რომ ჰერეთის მეფის იშხანიკის არაბული ზედწოდება ყოფილა აბუ აბდ ალ-მალიქი[130].

იბნ-ხაუკალის თხზულებაში სამწუხაროდ ზუსტად აღნიშნული არ არის თუ რა რაოდენობისა და რა სახეობის იყო იშხანიკზე და-

---

[126] Ибн-Хаукаль, Книга путей и царств, СМОМПК, вып. 38, გვ. 105.

[127] Արարատ, 1897, մարտ, გვ. 144.

[128] Ибн-Хаукаль, СМОМПК, вып. 38, გვ. 104—106; იხ. აგრეთვე: V. Minorsky, Caucasica, IV, 519—520; М. Х. Шариф ли, Феодальные государства Азербайджана второй половины IX—XI вв., გვ. 45—46 З. Буниятов, Азербанджан в VII—IX, გვ. 139—140.

[129] V. Minorsky, Caucasica, IV, გვ. 519, 521.

[130] Ибн-Хаукаль, СМОМПК, вып. 38, გვ. 105; V. Minorsky, Caucasica IV, გვ. 519.

კისრებული ხარკი. იქ აღნიშნულია, რომ შაქის მფლობელ იშხანიკის მიერ ხარკის გადახდა ხდებოდა ბარზუბანის ვეზირთან — აბუ-ლ-კასიმ ალი იბნ-ჯაფართან შეთანხმებით[131]. დაახლოებითი წარმოდგენა ამ საკითხზე შეიძლება ვიქონიოთ იმავე იბნ-ხაუკალის მიხედვით. მარზუბანის მოხარკეთა სიის ბოლოში მას აღნიშნული აქვს, რომ ამიერკავკასიის ვასალური ქვეყნებიდან მუზაფირიდების ხაზინაში შემოსული გადასახადების რაოდენობა აღწევდა 10.000.000 დირჰემს. ამ გადასახადების აკრეფა კი ხდებოდა ფულის, სამეურნეო დანიშნულების საგნების, სასაპალნე საქონლის, სამკაულებისა და სხვ. სახით[132].

ამრიგად, იბნ-ხაუკალის ოხზულებაში ჰერეთის ისტორიის შესახებ შემონახულია ზოგიერთი საყურადღებო ცნობა. ირკვევა, რომ ამიერკავკასიის სხვა ფეოდალურ მფლობელებთან (შირვანის, ხაჩენის, წანარეთის, სომხეთის და სხვ.) ერთად, ჰერეთის მეფეც დეილემის მთავრების (სალარიდების) ვასალურ დამოკიდებულებაში ყოფილა და უხდიდა მას ხარკს. როგორც ჩანს, მუზაფირიდების ექსპანსია გარკვეული სახით ჰერეთსაც შეეხო. მაგრამ ასეთმა მდგომარეობამ დიდხანს ვერ გასტანა. დეილემელი მუზაფირიდების მიერ შექმნილი სახელმწიფო ორგანიზაცია ერთობ ეფემერული იყო. მარზუბან იბნ მუჰამმადის გარდაცვალების (957) შემდეგ, სალარიდების სახელმწიფოში შინა ფეოდალური ომები ატყდა; ვასალთა უმრავლესობა უკვე აღარ ექვემდებარებოდნენ მათ და შეუწყვიტეს ხარკის მიცემაც[133].

ქართული წყაროები იშხანიკისა და დინარ დედოფლის ჰერეთში მმართველობის ხანას უკავშირებენ ჰერთა „მოქცევას“ სომხური „მწვალებლობისაგან“ (ე. ი. მონოფიზიტობიდან) მართლმადიდებლობაზე (ე. ი. დიოფიზიტიზმ-ქალკედონიზმზე). „მატიანე ქართლისაჲ“ გვიამბობს: „და ჰერეთსავე, მეფობამდე იშხანიკისსა, პირველნი ყოველნი იყვნეს მწუალებელნი; ხოლო იშხანიკ დისწული იყო გურგენ ერისთავთ ერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებელად, დინარ დედოფალმან“[134]. ამავე ამბავს უახლოესი ბიოგრაფიონი ასე გადმოგვცემს: „იშხანიკისამდე იყო ჰერეთი მწვალებელი... ხოლო ამან დინარ დედოფალმან მოაქცია ჰერეთი სომეხთა წვალებისა-გან მართლ-

---

131 Ибн-Хаукаль, СМОМПК, 38, გვ. 105; V. Minorsky, Caucasica, IV, გვ. 519.

132 Ибн-Хаукаль, იქვე; V. Minorsky, იქვე, გვ. 520.

133 М. Х. Шарифли, Феодальные государства Азербайджана..., გვ. 47—48.

134 ქცბა, I, გვ. 266.

მადიდებლობისა და აღმსაარებლად“[135]. როგორც ვხედავთ, „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი და ვახუშტი ბაგრატიონი, „ქრონიკებისათვის“ დამახასიათებელი სტილით, სულ რაღაც რამოდენიმე სიტყვით მოგვითხრობენ ჰერეთის ისტორიის ამ მეტად დიდმნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ნარატიული წყაროები ძალზე ნაკლულად აშუქებენ X საუკუნის 40—50-იანი წლების ჰერეთის ისტორიის საკითხებს. „მატიანე ქართლისაჲ“ და ვახუშტი თუ აღნიშნული ხანის წინა და მომდევნო პერიოდის ჰერეთის ამბებს კიდეც რამდენადმე მაინც ვრცლად მოგვითხრობენ, X საუკუნის 40—50-იანი წლებისათვის განსაკუთრებით სიტყვაძუნწი ხდებიან. ამასთან ეს წყაროები გვიანდელია. არ მოგვეპოვება იშხანიკისა და დინარის თანამედროვე არც ერთი ისეთი წყარო, რომელშიც ასახული იქნებოდა ჰერეთის ისტორიის მოვლენები. არა და, X საუკუნის 40—50-იანი წლები ერთი ბრწყინვალე ფურცელია ჰერეთის ისტორიაში. აღნიშნულ ხანაში, სამსაუკუნოვანი ბრძოლის შემდეგ, ჰერეთში საბოლოოდ იმარჯვებს ქალკედონიზმი. ასეთ ვითარებაში, მიუხედავად მათი ტენდენციურობისა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჰერეთის ისტორიის ამსახველ სომხურ წყაროებს. ისინი შედარებით ვრცლად და დაწვრილებით ეხებიან X საუკუნის 40—50-იანი წლების ჰერეთის ცხოვრებას და საინტერესო ფაქტებით ავსებენ მას. ამ მხრივ, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ სომეხთა კათალიკოსის ანანია მოკელის (941—965) ეპისტოლეთა კრებული, რომელსაც — როგორც ამას სტეფანოზ ორბელიანი (XIII ს.) გადმოგვცემს — «Հաւատոյ Նամակ» Havato namac) ეწოდებოდა[136]. იგი წარმოადგენს საერწმუნოებრივი საკითხების შესახებ სომხური ანტიქალკედონური ეკლესიის საჭეთამპყრობელის მიერ დაწერილ კორესპონდენციებს. X საუკუნის 40—50-იან წლებში ანანია მოკელმა პირადად იმოგზაურა ჰერეთ-ალბანეთში, როდესაც აქ ჰამამის შვილიშვილი იშხანიკი მეფობდა. ანანია მოკელის ეს მოგზაურობა აღწერილია თავისივე ხელით დაწერილ ეპისტოლეებში. ანანია მოკელი „თვითმხილველი“ და „თანადამხვდურია“ აღებული ხანის ჰერეთში მომხდარი ამბებისა. ასე, რომ ანანია მოკელის ეპისტოლეთა კრებულს ჰერეთის ისტორიისათვის პირველხარისხოვანი დოკუმენტური წყაროს მნიშვნელობა ენიჭება. არა მარტო რელიგიურ-დოგმატური საკითხების შესწავლისათვის, არამედ საერთოდ ჰერეთის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ანანიას წერილებს. მასში შემონახულია მრავალი ძვირფასი ცნობა ჰერეთის მეფის

---

[135] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 149.

[136] Histoire de la Siounie par Stephannos Orbelian, I, გვ. 165.

ნშხანიკის შესახებ, მოცემულია უაღრესად ზუსტი და უტყუარი თარიღები ჰერეთში მომხდარი ამბებისა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ანანია მოკელის ცნობები ჰერეთის შესახებ დღემდე გამოყენებული არ ყოფილა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ანანია მოკელის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან ჩვენამდე მოაღწია სულ ოთხმა წერილმა. ამათგან სამი ეპისკოპოს ხოსროვ ანძელელის წინააღმდეგ მიმართულ რელიგიურ პოლემიკას წარმოადგენს, ხოლო მეოთხე კი შეეხება სომხეთის და ალბანეთის ეკლესიების ურთიერთ დამოკიდებულების საკითხებს. ყველა ეს ეპისტოლეები დაწერილია 954—965 წლების განმავლობაში. ამას გარდა დანამდვილებით ვიცით, რომ ანანია მოკელს სხვა მრავალი წერილებიც ჰქონია, ან, როგორც თვითონაც აღნიშნავს, „უამრავი კორესპონდენცია", რომლებიც ამჟამად დაკარგულად ითვლება და რომელნიც თავის დროზე არ შეუტანიათ „ეპისტოლეთა წიგნის" სახელწოდებით ცნობილ კრებულში.

ჰერეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესწავლისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ანანია მოკელის მიერ 958 წელს დაწერილი ეპისტოლე. მისი სათაურია: *«Տնան Անանիայի հայոց կաթողիկոսի՝ Յաղագս ապստամբութեան ուանն Աղուանից ոչ ընդ ժամանակս ժամանակս Լևալ իցն ձեռնադրութիւնն Արտաքոյ սուրբ Լուսաւորչի աթոռոյն»* (უფლისა ანანიასი, სომეხთა კათალიკოზისა, აჯანყებისათვის ალვანთა სახლისა, სადაც დროგამოშვებით ხდებოდა ხელდასხმა წმიდის განმანათლებლის ტახტის გარეშე)[137]. ეს ეპისტოლე, შეიძლება ითქვას, ერთგვარ ტრაქტატს წარმოადგენს, რომელშიც განხილულია ალბანეთისა და სომხეთის ეკლესიების ურთიერთობა უძველესი დროიდან ვიდრე X საუკუნის 50-იან წლებამდე (ჩათვლით).

მეტად რთულ პირობებში მოუხდა ანანია მოკელს საკათალიკოსო საყდრის დაკავება (941 წ.). ამ დროს კვლავ ახალი სიძლიერით იფეთქა ბრძოლამ ქალკედონიტებსა და ანტიქალკედონიტებს შორის. სომხური მონოფიზიტური ეკლესიის საჭეთმპყრობლის შეშფოთებას განსა-

---

[137] იხ. ჟურნალი «Արարատ», 1897 թ. մարտ, გვ. 129—144. (ქვემოთ ყველგან მიეუთითებთ შემოკლებით „ანანია მოკელი"); ამ სათაურით ეს ეპისტოლე გამოცემულია გალუსტ ტერ-მკრტჩიანის მიერ ეჩმიაძინის მუზეუმის ფონდში დაცული ორი ხელნაწერის მიხედვით. როგორც გამომცემელი აღნიშნავს, ხელნაწერი გვიანდელი ხანისაა. იგი გადმოღებული ყოფილა 1765—1767 წლებში კონსტანტინეპოლში არსებული დედნიდან. თუ სად ინახება ამჟამად ეს დედანი, ცნობილი არ არის (ამის შესახებ იხილეთ: Գալուստ Տ. Մկրտչեան, Անանիա Մոկացի, «Արարատ», 1897 թ., փետրուար, გვ. 91—96).

კუთრებით ის გარემოება იწვევდა, რომ მრავალი წლის განმავლობაში (სომეხთა კათალიკოსის გეორგ II გარნელის (877—897) დროიდან მოყოლებული) ალბანეთის ქვეყანაში ქალკედონიტები ბატონობდნენ. ნათ სათავეში იდგა ასევე ქალკედონურ მოძღვრებაზე მოქცეული კათალიკოსი საჰაკი (927—945). ანანია მოკელი, თავისი კათალიკოსობის პირველსავე წელს (ე. ი. 941 წ.), თხოვნით მიმართავს ვასპურაკანის მეფე გაგიკ არწრუნს (908—943), რათა მან ბრძანების წერილი გაგზავნოს ალბანთა ქვეყანაში და აიძულოს იქაური კათალიკოსი საჰაკი კვლავინდებურად სომხეთის ეკლესიას დაემორჩილოს[138]. როგორც ჩანს, აღნიშნულ ბრძანებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან 943 წლის ქვეშ ანანია მოკელი აღნიშნავს: ალბანთა კათალიკოსი საჰაკი „ქალკედონის მოძღვრებაზე მოქცეულ მეფის შეგობრად თვლიდა თავის თავს"-ო. ეს მეფე კი, როგორც იმავე ანანია მოკელის ცნობებიდან ირკვევა, იყო ჰერეთის მმართველი იშხანიკი. ანანია წერს: „რამეთუ ეპყრა ტახტი მეფობისა იმჟამად (ე. ი. 943 წელს — თ. პ.) იშხანიკს, უფალ ადარნესეს-ძეს, ალვანთა კეთილმსახურ მეფის ნეტარ ჰამამის შვილიშვილს და იყო მოქცეული ქალკედონის მოძღვრებაზე და დავიწყებული ჰქონდა მამათა აღსარება"[139]. როგორც ვხედავთ, 943 წელს იშხანიკი უკვე ჰერეთის ტახტზე ზის. საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ 943 წლისათვის ჰერეთში ქალკედონიზმის გამარჯვება უკვე მომხდარი და დასრულებული ფაქტია. ამრიგად, ანანია მოკელის წყალობით, ჩვენ ხელთ გვაქვს ჰერეთში ქალკედონიზმის გამარჯვების ზუსტი და უტყუარი თარიღი.

943 წელს ანანიამ გადაწყვიტა პირადად გამგზავრებულიყო ალბანთა ქვეყანაში, რათა „შეერთებინა გამდგარი წევრი". ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევენ ვასპურაკანის მეფე გრიგორ გაგიკის-ძე არწრუნი, დერენიკად წოდებული, და თვით სომხეთის მეფე აბასი (928 — 953). ანანია გვიამბობს: ისინი (სომხეთის მეფე აბასი და ვასპურაკანის მფლობელი გრიგოლ დერენიკი — თ. პ.) „გვამხნევებდნენ ჩვენ არ წარგვეკვეთა სასო და არ გაგვეშვა ხელიდან სამწყსო უარყოფილი, ცხვარი დაკარგული, ალბანეთის მამამთავარი"[140]. მეტად მრავლისმეტყველი სიტყვებია. ნათლად ჩანს, თუ როგორი მონდომებით ცდილობენ სომხეთის სახელმწიფოს მესვეურნი ჰერეთ-ალბანეთში თავისი გავლენის შენარჩუნებას. ანანია მრავალრიცხოვანი ამალით გზას გაუდგა. მაგრამ მიაღწია რა სივნიეთის ქვეყანას, აქ მას მოულოდნელად

---

138 ანანია მოკელი, გვ. 130—131.
139 ანანია მოკელი, გვ. 131.
140 ანანია მოკელი, გვ. 131.

ავის მაცნე მოუვიდა და შეატყობინა სომხეთის დედოფლის, უფალ სომეხთა მეფის აბასის მეუღლის, გარდაცვალების ამბავი. ანანია იძულებული შეიქმნა უკან დაბრუნებულიყო შირაკის მხარეში და მომავლისათვის გადაედო ალბანთა კათალიკოსის საჰაკის „სისწორის (სიკეთის) გამორკვევა“ [141].

ანანიას მოსვენებას არ აძლევდა ჰერეთ-ალბანეთში ქალკედონიტების ბატონობა. იგი მრავალგზის მიმართავს თხოვნით სომხეთის მეფე აბასს, რათა მან მიიღოს ძირეული, გადამჭრელი და რადიკალური ღონისძიებანი ჰერეთ-ალბანეთში აღმოცენებულ ქალკედონური ერესის აღმოსაფხვრელად[142]. ამასობაში, როგორც ანანია გადმოგვცემს, გარდაიცვალა (945 წ.) ალბანეთის კათალიკოსი საჰაკი. მის ნაცვლად ალბანეთის ეკლესიის მესვეურებმა საკათალიკოსო ტახტზე საჰაკის ნათესავი გაგიკი აიყვანეს. მისი „ხელთდასხმა“ (კურთხევა) მოხდა სომხეთის კათალიკოსისაგან სრულიად დამოუკიდებლად, რამაც სომხური ეკლესიის საჭეთმპყრობლის საშინელი პროტესტი გამოიწვია. მან მოუწოდა ალბანეთის მთავრებს, რათა მათ არ შეეწყნარებინათ ქალკედონიტი საჰაკის მიმდევარი გაგიკი და მის ნაცვლად დაედგინათ ვინმე ჰუნანი, რომლის კურთხევაც, როგორც წესი, უნდა მომხდარიყო სომხეთში. ანანიას მოთხოვნით ჰუნანი სომხეთში მიემგზავრება[143]. აქ იგი, ანანიას სიტყვები რომ ვიხმაროთ, „დიდი პატივით, მზრუნველობით და ძმური სიყვარულით“ მიიღეს ვასპურაკანის მეფე გრიგორ დერენიკმა (არწრუნი) და თვით სომხეთის მეფე აბასმა. აკურთხეს რა კათალიკოსად ჰუნანი, იგი ძვირფასი საჩუქრებით დატვირთული ისევ ალბანეთში დააბრუნეს. როდესაც სომეხთა მიერ კათალიკოსად „ხელდასხმული“ ჰუნანი ალბანეთში ჩავიდა, იგი ადგილობრივმა ქალკედონურმა წრეებმა არ მიიღეს, ისინი კანონიერ კათალიკოსად კვლავინდებურად ისევ მათ მიერ არჩეულ გაგიკს აღიარებდნენ. ანანია საგონებელში ჩავარდა, იგი საშინელმა მწუხარებამ მოიცვა, რადგან აშკარად ხედავდა, თუ როგორ ჰკარგავდა სომხური მონოფიზიტური ეკლესია თავის გავლენას ჰერეთ-ალბანეთში. აი, მისი სიტყვები: „ხოლო აქ კვლავ მოგვადგა ჩვენ დრო ეჭვებისა, კვლავ მწუხარება, ისევ ზრუნვა და დაუწყნარებელი ტკივილები გულისა... რამეთუ რომელ თვალებს უნახავთ მწყემსი მწყემსთან წაჩხუბებული და კრავნი ნაწილ-ნაწილ დაგლეჯილნი (აქ ანანია გულისხმობს სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას — თ. პ.) და არ შესცოდებია. ვინ

---

[141] ანანია მოკელი, გვ. 132.
[142] ანანია მოკელი, გვ. 132.
[143] ანანია მოკელი, გვ. 133.

დაინახა მინდორი სავსე პატარა მკვდრებით და არ იგლოვა საუკუნოდ მათი დაღუპვა. ვინ დაინახა წმინდა მაგიდაზე ობობას გაჭიმული ქსელი (იგულისხმება ქალკედონური მოძღვრება—თ. ბ.) და არ იტირა, რამეთუ შეერთება (კავშირი) გარყვნილებად ითვლებოდა". ხოლო ყველა ამ „უბედურებას და შეჭირვებას", ანანიას სიტყვით, ადგილი ექონდა ალბანთა ქვეყანაში[144].

949 წელს ანანია მოკელი, იმ იმედით, რომ ადგილზე შესძლებდა ენერგიული ღონისძიებების მიღებას ქალკედონიზმის წინააღმდეგ, მიემართება ალბანეთის ქვეყანაში. იგი ჩადის ხაჩენში, სადაც მისი ინიციატივით მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ალბანეთის „კანონიერი" კათალიკოსის არჩევის საკითხი. კრება რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდებოდა და აშკარად გამოხატავდა სომხური მონოფიზიტური ეკლესიის საწინააღმდეგო მიმართულებას. ამ გარემოებას ვერც თვით ანანია მალავს და აღნიშნავს: „გვებრძოდნენ ჩვენ მრავალ დღეს სხვადასხვა მიზეზით"-ო[145]. კრების მონაწილეთა უმრავლესობამ უარყო სომეხთა მიერ ხელდასხმული კათალიკოსი ჰუნანი და ალბანეთის საკათალიკოსო ტახტზე აირჩია მათ მიერ ადრევე დადგენილი გაგიკი. ანანიამ ვერაფერი გააწყო. მან აშკარად დაინახა, რომ მას უკვე აღარ ძალუძდა ჰერეთ-ალბანეთში მტკიცედ ფეხმოკიდებულ ქალკედონური ძალების მოდრეკა და იგიც იძულებული შეიქნა თანხმობა მიეცა საეკლესიო კრებისათვის გაგიკის არჩევაზე. ამას ანანია თავის ეპისტოლეში პირდაპირ აღიარებს: „იძულებული შევიქენით ჰუნანი, ჩვენგან კურთხეული, გაგვენთავისუფლებინა და გაგიკი, — რომელიც თუნიერ ღმრთისა და წმინდა კანონთა იყო დადგენილი (sic),—აგვერჩია"[146]. იმედგაცრუებული ანანია. „დიდი წუხილითა და სასტიკი ჰმუნვით", ბრუნდება სომხეთში, შირაკის მხარეში[147].

949 წლის ხაჩენის საეკლესიო კრებამ ნათლად გამოავლინა, თუ რა მძიმე დღეებსა და კრიტიკულ მომენტს განიცდიდა სომხური მონოფიზიტური ეკლესია ჰერეთ-ალბანეთში. საეკლესიო კრების მთელი მსვლელობა ცხადად მეტყველებდა იმაზე, თუ რა ძლიერად იყო უკვე შერყეული სომხეთის სახელმწიფოსა და ეკლესიის პოზიციები ჰერეთ-ალბანეთში. ეს იყო არა მარტო კრიტიკული მომენტი, არამედ, ჩვენი აზრით, ეს სანახევროდ მარცხიც იყო. სწორედ ამ ფაქტის ღრმა შეგნებით იყო ნაკარნახევი ანანია მოკელის კომპრომისი ჰერეთ-ალბანეთის ქალკედონური წრეების მიმართ.

---

144 ანანია მოკელი, გვ. 133.
145 ანანია მოკელი, გვ. 134.
146 ანანია მოკელი, გვ. 135.
147 ანანია მოკელი, გვ. 139.

ამრიგად, როგორც ზემოთ დავინახეთ, მიუხედავად იმისა, რომ ანანია მოკელი თვით ჩავიდა ალბანეთის ქვეყანაში და გარკვეული მუშაობა ჩაატარა ქალკედონიზმის წინააღმდეგ, მან მაინც ვერ შესძლო აქ ქალკედონური რწმენის აღმოფხვრა. საკათალიკოსო საყდარზე ასვლიდან (941 წ.) 17 წლის გასვლის შემდეგ, 958 წლისათვის, ანანია გადმოგვცემს რა ალბანეთის კათალიკოსის გაგიკის გარდაცვალების ამბავს[148], იგი იქვე აღნიშნავს, რომ ალბანეთის მეფე და იქაური მთავრები განუდგნენ ქალკედონიზმს და თავიანთი ახლად არჩეული კათალიკოსი დავით ხოტაკერელი გაგზავნეს შირაკში, რათა ეკურთხებინა იგი სომეხთა კათალიკოსს. ანანია წერს: „აღმობრწყინდა (მონოფიზიტიზმი, სომხური ეკლესიის რწმენა—თ. პ.) ალბანეთის ქვეყნის ძლიერთა გულებში, მეფეში, რომელსაც ერქვა იშხანიკი, ძე უფალ ადარნესესი, და ალბანთა იშხანთა-იშხან სენექერიმში და მის მეუღლეში, მის დასა, უფალ სენექერიმსა-ძისა ხაჩენის მთავარ გრიგორისა, გოროზის მთავარ ვაჩაგანსა, აღმოსავლეთის იშხან უფალ გურგენსა და სხვა მრავალ დიდებულში... აირჩიეს დავით ხოტაკერელი და წარგზავნეს შირაკის მხარეში... და დიდი ბრწყინვალებით აკურთხებინეს იგი ჩვენ სიმდაბლეს ალბანთა ქვეყნის კათალიკოსად"[149]. ზემომოტანილ ცნობაში ,უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ანანიას ჩვენება იმის შესახებ, რომ იშხანიკი 958 წელს ისევ სომხური ეკლესიის მხარეზე გადასულა (ე. ი. ისევ მონოფიზიტიზმი მიუღია—თ. პ). ანანიას ეს ჩვენება იმდენად მოულოდნელია და იმდენად არ შეესაბამება იგი ანანიასავე მიერ თავის ეპისტოლეში აღწერილ მოვლენათა ლოგიკურ მსვლელობას, რომ მკვლევარს მის სისწორეში ეჭვიც კი შეიძლება დაებადოს. ანანია, როგორც თვითონაც აღნიშნავს, 17 წლის განმავლობაში დაუცხრომლად ებრძოდა ჰერეთ-ალბანეთში გაბატონებულ ქალკედონიზმს, მიმართავდა მის წინააღმდეგ ენერგიულ ღონისძიებებს და მაინც ვერაფერს გახდა: მან ვერ მოახერხა ჰერეთ-ალბანეთის სასულიერო და საერო ხელისუფალთა რწმენის „შეცვლა". და აი, ეხლა, 958 წლისათვის, იგივე ანანია აცხადებს, რომ ყოველგვარი ღონისძიებების მიუღებლად, იშხანიკი უცბად სომხური ეკლესიის მხარეზე გადავიდაო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ანანიას ეს ჩვენება უფრო მეტად მისი პირადი რელიგიური განწყობილებიდან უნდა მომდინარეობდეს, ვიდრე რეალური სინამდვილის ასახვიდან. იგი შედეგი უნდა იყოს ანანიას სარწმუნოებრივი მრწამსისა. მონოფიზიტობის მხურვალე დამცველი ანანიას სახით, ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მოღვაწესთან, რო-

---

[148] ანანია მოკელი, გვ. 140.

[149] ანანია მოკელი, გვ. 144.

ნელიც შეურიგებელ პოლიტიკას აწარმოებდა ქალკედონური მიმდინარეობისა და მისი მიმდევარი ყველა პიროვნების მიმართ. კიდევაც რომ ვირწმუნოთ და მივიღოთ ანანიას ზემოაღნიშნული ცნობა, ერთი რამ მაინც ცხადია: იშხანიკის კვლავ სომხური ეკლესიის მხარეზე გადასვლა უკვე ვეღარ შეაჩერებდა მოვლენათა მსვლელობას საკუთრივ ქართულ ჰერეთში. აქ ქალკედონიზმს უკვე ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული და მთელი ეს მხარე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართულ ეკლესიასთან. ჩვენს ამ მოსაზრებას მხარს უჭერს თვით ანანიას ზემომოტანილი ცნობაც. ანანია, როგორც ზემოთ დავინახეთ, აქ ლაპარაკობს არა საერთოდ მთელს ჰერეთზე, არამედ მის გარკვეულ ნაწილზე — მარჯვენა ნაპირის ალბანეთზე. კერძოდ, ანანიას მეედველობაში აქვს ხაჩენისა (ე. ი. მთიანი ყარაბაღი) და ვოროზის ზხარეები. როგორც ჩანს, ჰერეთის მეფის იშხანიკის სამფლობელო, საკუთრივ ქართული ჰერეთის გარდა, პოლიტიკურად მოიცავდა აგრეთვე ხაჩენ-ვოროზის მიწა-წყალსაც.

ჩვენ ზემოთ ვრცლად განვიხილეთ ანანია მოკელის 958 წლის ეპისტოლე. ამ განხილვიდან აშკარად დავინახეთ, რომ ანანია მოკელი, სომხური ანტიქალკედონური ეკლესიის საჭეთმპყრობელი, სომხეთისა და ჰერეთის ეკლესიებს შორის ჩამოვარდნილ განხეთქილებაში, რა თქმა უნდა, ბრალს სდებს ქალკედონური მიმართულების მიმდევარ პიროვნებებს, — ალბანთა ქალკედონიტ კათალიკოსებს საპაკს და გაგიკს, ჰერეთის მეფე იშხანიკს, — რადგან, მისი გაგებით, აღნიშნულმა პირებმა და მათმა მომხრეებმა არ ისურვეს სომხური ეკლესიის მესვეურებისათვის ყურის გდება და განუდგნენ გრიგოლ განმანათლებლის რჯულს. ანანია მოკელი ტენდენციურად უდგება ამ საკმაოდ რთულ პრობლემას, იგი უგულვებელყოფს ამ უთანხმოების პოლიტიკურ თუ კულტურულ-ეროვნულ საფუძვლებს და ყოველივეს მხოლოდ დოგმატიკურ საკითხებში შეუთანხმებლობით ხსნის. სინამდვილეში კი, ჰერეთში წარმოებული შეუპოვარი დ თანმიმდევრული ბრძოლა ქალკედონიზმსა და ანტიქალკედონიზმს შორის პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. ეს ბრძოლა ჰერეთში დამთავრდა ქართველი ქალკედონიტების გამარჯვებით. X საუკუნის 40-იან წლებში ჰერეთში ქალკედონიზმის გამარჯვება, ჩვენი აზრით, იყო ამ მხარის ისტორიული განვითარების ბუნებრივი შედეგი. ეს ფაქტი იმის მომასწავებელი იყო, რომ ჰერეთის პოლიტიკური ორიენტაცია მიმართული იყო ქართლისაკენ და არა სომხეთისაკენ. ქართულმა გავლენამ სძლია სომხურს. ქართლისა და ჰერეთის ურთიერთისაკენ მისწრაფებამ, რაც სავსებით ბუნებრივი იყო მათ შორის არსებული ხანგრძლივი პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის პირობებში, X საუკუნეში თავისი გამოხატულება იმა-

შიც ჰპოვა, რომ აღდგენილ იქმნა ძველი რელიგიური ერთიანობა მოძ-
ბე ჰერთა და ქართველთა შორის.

X საუკუნის 40-იანი წლებისათვის ჰერეთში ქალკედონიზ-
მის გამარჯვება იყო აქაურ ხელისუფალთა მიერ წარმოებული
შორსმჭვრეტელური პოლიტიკის შედეგი და არა ამ ხელისუ-
ფალთა პირადი რელიგიური განწყობილებისა თუ მიდრეკილების ამ-
ბავი. კერძოდ, ჩვენი აზრით, აშკარა შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა,
რომ ამ ისტორიულ მოვლენას ხელი შეუწყო მხოლოდ და მხოლოდ
ისეთმა ფაქტორებმა, როგორიც იყო დინარ დედოფლის წარმოშობა,
მისი რეგენტობა და მისი მხურვალე ქალკედონიტობა. ასეთი არასწო-
რი შეხედულებისაა ამ საკითხზე, მაგალითად, სომეხი მკვლევარი ა.
მნაცაკანიანი. იგი წერს: „ირკვევა, რომ ჰამამის ძე ადარნასე დაქორ-
წინებული იყო ქართველთა ერისთავთ-ერისთავის გურგენის დაზე—
დინარაზე, რომელიც ქალკედონიტი იყო. ალბანეთის სამეფო კარი,
რომელიც ჰამამის მიერ ძლიერად იყო ჩაკეტილი მწვალებელთათვის,
ამჯერად უკვე გახსნილად შეიმჩნევა, აქ აღწევს რძალი დინარი და ავ-
რცელებს თავის ქალკედონიტურ იდეებს. ჩანს მისმა მეუღლემ ადარ-
ნასემ შესძლო მისი შეკავება, მაგრამ შემდგომში, საფიქრებელია ადარ-
ნასეს სიკვდილის შემდეგ, დინარი გაბატონდა თავის შვილზე იშხანიკ-
ზე და მისი დახმარებით მთელ ჰერეთს რწმენა შეაცვლევინა“[150]. ა. მნა-
ცაკანიანის ამ შეხედულების გაზიარება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება.
მარტო დინარი, თავისი შვილის იშხანიკის დახმარებით, ვერ შესძლებ-
და მთელი ჰერეთის ქალკედონიზმზე მოქცევას. ეს მოვლენა აღმოცე-
ნებული იყო მეტად ფართო ნიადაგზე და მისი საფუძვლები თვით ჰე-
რეთის მოსახლეობის წიაღში უნდა ვეძებოთ. ამ ფაქტის ახსნა უნდა
ვეძებოთ ჰერეთის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში, მის ში-
ნაურ ყოფა-ცხოვრებაში და სოციალურ-პოლიტიკურ ძალთა შეფარდე-
ბაში. სომხურმა სარწმუნოებამ ჰერეთში მტკიცედ ვერ მოიკიდა ფეხი.
ამ ქვეყანაში სომხურ ელემენტს უფრო ტომი დახვდა, რომელიც ეთნი-
კური წარმოშობით ქართველთა მონათესავე იყო. სომხურმა ელემენ-
ტმა ვერ დაჩრდილა ჰერეთის მკვიდრნი, მათ უცვლელად შეინარჩუნეს
თავისი ეთნიკური სახე მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით[151].

---

[150] Ա. Շ. Մնացականյան, Աղվանից պետության գրականության հարցերի շուրջ, Երևան, 1966, գլ. 206—207.

[151] ჰერეთის დედოფალ დინარასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ძველი რუსული მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი — „თქმულება დინარაზე“ (XV—XVI სს). როგორც ცნობილია, სამეცნიერო ლიტერატურაში მტკიცედ არის დამკვიდრებული შეხედულება, დინარისა და თამარ მეფის იგივეობის შესახებ. დებულება იმის შესახებ, რომ დინარა თამარ მეფეა, პირველად მ. ბროსემ წამოაყენა 1853 წელს

იშხანიკის შემდეგ ვახუშტი ბაგრატიონი ჰერეთის მეფედ არავის არ ასახელებს. მისი წარმოდგენით იშხანიკზე წყდება ჰერეთის მფლობელი დინასტია. იგი გარკვევით აღნიშნავს: „ხოლო ჰერეთს მომკუდარ იყო იშხანიკ და არღარა ვინ იყო მკვიდრი, თვინიერ დინარ დედოფლისა[152]“. ქართულ წყაროებში X საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული ვიდრე XI საუკუნის დასაწყისამდე ჩვენ ჰერეთის ისტორიის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. როგორც ჩანს, ვახუშტის ხელთ არ ჰქონია საკმაო ცნობები ჰერეთის ისტორიის ამ მონაკვეთის გასაშუქებლად. სომხური წყაროები სულ სხვა სურათს გვიშლიან. თუ დავე-

---

(M. Броссе, Сведения о грузинской царице Тамаре, в древней русской литературе, Ученыя записки имп. Академии наук по первому и третьему отделениям, т. 1, вып. 4, СПБ, გვ. 478—490). უკანასკნელი ასი და მეტი წლის მანძილზე „დინარას“ შესახებ მდიდარი ლიტერატურა შეიქმნა. მკვლევარნი პერიოდულად უბრუნდებოდნენ ამ ნაწარმოებს და ისევ და ისევ, სხვადასხვა ფაქტებისა და მოსაზრებების მოტანით უფრო აღრმავებდნენ და ამტკიცებდნენ მ. ბროსეს მიერ წამოყენებულ შეხედულებას. განცალკევებით დგას ამ მხრივ ეპისკოპოსი კირიონი (გიორგი საძაგლიშვილი). 1910 წელს მან უარყო მ. ბროსეს მიერ წამოყენებული დებულება და აღნიშნა, რომ ნაწარმოებში ასახულია X საუკუნის ჰერეთის დედოფლის დინარის ამბავი. თუ „ქართლის ცხოვრებაში“ უფრო დაწვრილებითი ცნობები დინარაზე არ მოგვეპოვება, ეს იმიტომ, რომ ჰერეთის სამეფოს თავის მატიანე ჰქონდა, რომელიც „სამწუხაროდ ჯერჯერობით უცნობია“. კირიონის აზრით, „რუსმა მწიგნობარმა, რომელმაც ეს მოთხრობა გადაიღო, დაამახინჯა საკუთარი სახელები, როგორც ეს ხშირად ხდება რუსულ წერილობით ძეგლებში. ქართული მატიანის ცნობით, დინარა მმართველ ადარნასე მესხის ქალიშვილია, მან კი ადარნასე მესხი ალექსანდრე მელეხად აქცია“. (Епископ Кирион, Культурная роль Иверии в истории Руси, Тифлис, 1910, გვ. 111—112). კირიონის შემდეგ, რუსი მკვლევარი ლ. შეპელიოვა აგრეთვე უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ თქმულებაში მოთხრობილი იყო ჰერეთის დედოფლის დინარის ამბავი. მისი აზრით, ქართველ ელჩებს რუსეთის სახელმწიფოს კარზე შეეძლოთ ჩაეტანათ ამბავი იმის შესახებ, რომ X საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობდა დედოფალი დინარი, რომელმაც თავისი შვილის იშხანიკის დახმარებით ჰერეთი მართლმადიდებლობაზე მოაქცია (Л. С. Шепелева, Культурные связи Грузии с Россией в X—XVII веках, Труды отдела древне-русской литературы А. Н. СССР, т. IX, Москва-Ленинград, 1953, გვ. 307—312.). უკანასკნელ ხანებში „დინარას“ პრობლემას ერცლად შეეხო თ. ბუაჩიძე. მან დაარღვია საგანგებო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრება დინარისა და თამარ მეფის ოგივეობის შესახებ. მისი შეხედულებით, „მოთხრობა დინარაზე“ არ ემყარება თამარზე არსებულ ქართულ ისტორიულ ქრონიკებს, ეს ქრონიკები არაა მისი შექმნის უშუალო წყარო. დინარას გაიგივება თამართან შეუძლებელია. თამარის ისტორიული პიროვნება და მოთხრობაში მოცემული დინარას მხატვრული სახე მთავარსა და გადამწყვეტში ერთმანეთს ვერ უთავსდება „(თ. ბუაჩიძე, „დინარას“ პრობლემისათვის, მნათობი, 1968, № 5, გვ. 163). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თ. ბუაჩიძე გადაჭრით არ აყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი დედოფლის ამბავია ასახული ნაწარმოებში. პირადად ჩვენ ამ საკითხის შესახებ გადაწყვეტილად ვერაფერს ვიტყვით. ეს პრობლემა ერთობ რთულია და საგანგებო კვლევა-ძიებას მოითხოვს.

[152] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 151—152.

ყრდნობით მოსე კალანკატუელის გენეალოგიურ სქემას შაქის მეფე იშხანიკი უმემკვიდროდ არ კვდება. მას ჰყოლია ოთხი შვილი: იოანე, გრიგორი, ადერნერსე და ფილიპი. იგი შაქის resp. ჰერეთის მეფის სევად-იშხანის გარდაცვალების შემდეგ (დაახლოებით 960 წ), მის მემკვიდრედ იხსენიებს უფროსს შვილს, იოანე სენექერიმს[153]. იოანე სენექერიმი, როგორც ეს არაბი გეოგრაფის, იბნ-ხაუკალის თხზულებიდან ჩანს, იყო წანარეთის მეფე. იგი წერს, რომ სანხარიბი იყო წანარების მეფე—ქრისტიანი თავისი რელიგიით[154]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იბნ-ხაუკალის თხზულების ტექსტში, ნაცვლად — სენხერიბ იბნ-სევადისა გვხვდება „სანხარიბ იბნ-სევარე". როგორც ჩანს, აქ ტექსტი დამახინჯებულია[155]. შაქის მეფის იშხანიკის გარდაცვალების შემდეგ, იოანე სენექერიმს მემკვიდრეობით ერგო აგრეთვე შაქი resp. ჰერეთი. ასე რომ, იოანე სენექერიმი ჩვენ გვეელინება როგორც გაერთიანებული წანარეთისა და შაქის resp. ჰერეთის სამეფოს ხელისუფალი. იოანე სენექერიმმა შემოიერთა აგრეთვე მარჯვენა ნაპირის ალბანეთის ზოგიერთი მიწა-წყალიც. როგორც ვხედავთ, იოანე სენექერიმს აღუდგენია შაქის სამეფოს ის ფარგლები, რომელიც მისი წინაპრის გრიგოლ-ჰამამის დროს იყო (დაახ. 886 წ.)[156]. ამიტომ არის, რომ ალბანეთის მემატიანე მოსე კალანკატუელი, რომელიც, როგორც ჩანს, მისი თანამედროვე იყო, იოანე სენექერიმს ისეთივე ეპითეტით ამკობს როგორითაც თავის დროზე გრიგოლ ჰამამს იხსენიებდა — „ალბანეთის სამეფოს აღმდგენელი". მოსე კალანკატუელი, როგორც ამ სასიხარულო ამბის თვითმხილველი, დიდი აღფრთოვანებით ლაპარაკობს ამ იშხანის შვილზე — ოხანეს სენექერიმზე, რომელმაც შეესძლო ალბანეთის სამეფოს კვლავ აღდგენა. მ. კალანკატუელი მოგვითხრობს, რომ სპარსეთის მეფემ უხვად დაასაჩუქრა სენექერიმი, უბოძა მას თავისი მამის გვირგვინი და ცხენი. იმავე დროს, დავით მაგისტროსმა მას გაუგზავნა სამეფო გვირგვინი და ბრწყინვალე პორფირი პატივისცემის ნიშნად[157]. „სპარსეთის მეფის" ქვეშ მოსე კალანკატუელი გულისხმობს აზერბაიჯანის სალარიანთა დინასტიის წარმომადგენლებს (დეილემის მთავართა საგვარეულო), რომელთაც დაპყრობილი ჰქონდათ საბჭრეთი აზერბაიჯანი და ბარდას ოლქი. მტრულად იყვნენ რა განწყობილნი შირვანშაჰებისა და განჯელი შედადიდების მიმართ, მათ მხარი დაუჭირეს და

---

153 М. Каганкатваци, кн. III, гл. XXII, гл. 279.

154 Ибн-Хаукаль, СМОМПК, вып. 38, гл. 99.

155 А. Крымский, Страницы из истории Азербайджана, Шеки, гл. 378.

156 Крымский, დასახ. ნაშრომი, გვ. 378.

157 М. Каганкатваци, кн. III, гл. XXII, гл. 279.

იცნეს შაქის მეფე იოანე სენექერიმი[158]. ამავე მოტივებით იყო ალბათ ნაკარნახევი დავით მაგისტროსის მიერ იოანე სენექერიმის მეფედ ცნობა. მ. კალანკატუელის მიერ მოხსენებული დავით მაგისტროსი კი უნდა იყოს ქართული წყაროების დავით III დიდი ერისთავთ-ერისთავი კურაპალატი, ტაოკლარჯეთის მეფე, რომელიც თავდაპირველად მაგისტროსის ტიტულს ატარებდა, და რომელიც სწორედ X საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა[159]. კერძოდ, მაგისტროსის პატივით არის მოხსენებული იგი ოშკის ტაძრის საამშენებლო წარწერაში. მაგისტროსისვე პატივით იხსენიებს მას პარხალის სახარების გადამწერი იოანე ბერაი 973 წელს[160].

დავით III მიერ შაქის მეფისათვის სამეფო გვირგვინის გაგზავნა შემთხვევითი ამბით არ იყო განპირობებული. ეს იყო ღრმად მოფიქრებული პოლიტიკა, აღნიშნული ნაბიჯით იგი გარკვეულად ხელს ადებდა ჰერეთს. დავით მეფის ეს პოლიტიკა შემდეგში წარმატებით გააგრძელეს გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს მეფეებმა — ბაგრატ III დაწყებული, რაც დაგვირგვინდა იმით, რომ დავით აღმაშენებელის დროს ჰერეთი საბოლოოდ შემოვიდა საქართველოს ერთიან სახელმწიფო ორგანიზაციაში.

იოანე სენექერიმის, როგორც შაქის მფლობელის შესახებ, ჩვენ სხვა ცნობები არ გაგვაჩნია. მოსე კალანკატუელის „ალვანეთის ისტორია“ 999 წელზე წყდება. როგორც ჩანს, მოსე კალანკატუელი თავისი ისტორიის უკანასკნელ ფურცლებს შაქისა და წანარეთის ამ მეფის სიცოცხლეშივე წერდა[161]. იოანე სენექერიმის შემდეგ, ე. ი. X ს. ბოლოს და XI საუკუნის დასაწყისიდან, არც ქართულ და არც სომხურ წყაროებში ჰერეთის მეფე, აღარ იხსენიება, როგორც ჩანს, ამ დროს, მართლაც შემწყდარა ჰერეთის მფლობელთა დინასტია, რამაც აუცილებლად გარკვეული როლი შეასრულა XI საუკუნის დასაწყისში ბაგრატ III და კახთა ქორეპისკოპოსს დავითს (976—1010) შორის ჰერეთის დასაპყრობად წარმოებულ ბრძოლაში.

„IX—XI სს. ამიერკავკასიაში დიდმნიშვნელოვანი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური პროცესი მიმდინარეობდა. ფეოდალური ურთიერთობა მოწიფულობის ასაკში შედიოდა და ამის შესაბამისად მცირე პოლიტიკურ ერთეულთა გამსხვილების ტენდენციები თავს

---

158 Очерки истории СССР, IX—XII вв., გვ. 649—650.

159 სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბ., 1949, წ. ტაბულა II.

160 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სამი ისტ. ქრონიკა, წინასიტყვაობა, გვ. LII—LIII.

161 А. К р ы м с к и й, Страницы из истории Азербайджана, Шеки, გვ. 381.

იჩენდა"[162]. XI საუკუნის დამდეგისათვის, როდესაც ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა, კახეთი და ჰერეთი კვლავ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. ამიერიდან გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს მონარქების ყურადღება მიმართული იყო კახეთისა და ჰერეთის შემოერთებისაკენ. ჩვენს ყურადღებას სპეციალურად ჰერეთის შემოერთების ამბავი იპყრობს.

როგორც „მატიანე ქართლისაჲ" მოგვითხრობს, 1008 წელს ბაგრატ III „წარემართა ზემოთა ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლო ჯიდი მცხეთისა, და მოერთნეს თანა აფხაზნი და ქართველნი. დადგა თიანეთს, და იწყო შემუსრვად კახეთისა. და ვერ წინააღუდგა დავით, რამეთუ იყო ძალი მისი ურიცხჳ; იწყო ბრძოლად ციხეთა და მას ჟამსა აღიღო ქუეყანა ჰერეთის, და განაჩინა მთავრად აბულალ და წარმოვიდა შინა".[163]. როგორც ვხედავთ, ამ დროს, ჰერეთში მეფე უკვე აღარ იხსენიება (დინასტია შემწყდარა), ამიტომ არის, რომ ბაგრატ III აქ თავის „მთავარს" აყენებს მმართველად. გაემგზავრა თუ არა ბაგრატ III შინისაკენ, მაშინვე მოხდა ჰერეთის განდგომა. ჰერეთის ფეოდალებმა არ სცნეს აფხაზთა მეფის, ბაგრატ III მიერ ჰერეთში მმართველად დაყენებული „მთავარი აბულალი" და დავით ქორეპისკოპოსს მიემხრნენ. ამ უკანასკნელმა აღარ დააყოვნა და ჰერეთი შემოიერთა. ამის შემდეგ, ბაგრატ III იძულებული შეიქმნა 1010 წელს ხელახლა ელაშქრა ჰერეთში და „აღიღო მეორედ ჰერეთი". მეორედ ლაშქრობის დროს, კახეთს გარდაცვლილი ქორეპისკოპოსის დავითის მაგიერ ახლა უკვე კვირიკე III მეფობდა. ამ ამბებს „მატიანე ქართლისაჲ" ასე გადმოგვცემს: «და მათვე ჟამთა, რა ჟამს წარმოვიდა ბაგრატ აფხაზთა მეფე, კუალად მიიქცეს კაცნი ჰერეთისნი და მიერთნეს დავითს, აღიღო დავით ჰერეთი. შემოდგომად მცირედისა ჟამისა მიიცვალა. კუალად გამოვიდა ყოვლითა სპითა თვისითა ბაგრატ, აღიღო მეორედ ჰერეთი. დაიჭირა დინარ დედოფალი თჳსად. იწყო ძებნად კახეთსა, და ძალითა მისითა მიუწდომელთა ორ წელ წარიხუნა ყოველნი ციხენი კახეთისანი. შეაწყუდია კვირიკე ბოჭორმას, და დაუყენნა ციხესა გარშემო მცველნი წელიწდამდი, წარიღო ბოჭორმაცა. და დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი, წარმოიყვანა კვირიკე და დაიჭირა თჳსსა კარსა ზედა"[164]. ვახუშტი მოგვითხრობს: „ხოლო შემდგომად დავითისა (მოკუდა დავით ქს. ჩი, ქრ. ხლ. — ე. ი. 1010 წ.) დასჯდა ძე მისი კვირიკე ქო-

---

162 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი", 1954, № 6, გვ. 191.

163 ქცბა, I, გვ. 279.

164 ქცბა, I, გვ. 279.

რიკოზად. ესე კვირიკე შეიპყრა მეფემან ბაგრატ და დაიპყრა კახეთი თვით, ხოლო ჰერეთს მომკუდარ იყო იშხანიკ და არღარა ვინ იყო მკვიდრი, თვინიერ დინარ დედოფლისა: მოვიდა ბაგრატ მეფე, დაიპყრა თვით ჰერეთი და წარიყვანა დინარ დედოფალი და დასხნა ერისთავნი თვისნი"[165].

„მატიანე ქართლისაჲ"-ს ავტორის და ვახუშტის ზემომოტანილ ცნობებში ყურადღებას იპყრობს 1010 წლისათვის ჰერეთში დინარ დედოფლის მოხსენება. გამოდის, რომ 1010 წლისათვის დინარ დედოფალი ისევ ცოცხალია, რაც, ჩვენი აზრით, ძალზე საეჭვოა. ივ. ჯავახიშვილი, გადმოგვცემს რა ბაგრატ III მიერ ჰერეთის დაპყრობის ამბავს, წერს: „მეფემ ხელმეორედ დაიპყრა ჰერეთი, დაიჭირა დინარ დედოფალი და კახეთის ციხეების აღებას შეუდგა"[166]. როგორც ჩანს, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნული ხანისათვის დინარ დედოფალს ცოცხლად გულისხმობს. ე. თაყაიშვილიც ეყრდნობა რა „მატიანე ქართლისაჲ"-ს ზემოაღნიშნულ ცნობას, ყოველგვარი კომენტარის გარეშე აღნიშნავს, რომ დინარ დედოფალი იხსენიება ბაგრატ III დროსაც, როდესაც მან მეორედ აიღო ჰერეთიო[167]. გ. ჩუბინაშვილს, როგორც ჩანს, ეჭვი ეპარება იმაში, რომ 1010 წლისათვის ჰერეთის დედოფალი დინარი ისევ ცოცხალია. იგი აღნიშნავს, რომ „მატიანე ქართლისაჲ"-ს მიერ 1010 წლისათვის ჰერეთში დინარ დედოფლის მოხსენიება, ცხადია, სხვა დინარს უნდა გულისხმობდეს[168]. ამ საკითხთან დაკავშირებით, უნდა გავიხსენოთ მ. ბროსეს ერთი მეტად გონებამახვილური დაკვირვება. მისი განმარტებით, „მატიანე ქართლისაჲ"-ს გამოთქმა—ბაგრატმა „დაიჭირა დინარ დედოფალი თუსად", ნიშნავს იმას, რომ ბაგრატმა მიითვისა წმინდანად აღიარებული დინარ დედოფლის ნეშტი და არა მისი ცოცხალი პიროვნება[169]. ე. ი. დინარის „წმინდა ნეშტი", ბაგრატს, მ. ბროსეს აზრით, თავის სამფლობელოში გადაუსვენებია. ასეთსავე განმარტებას აძლევს „მატიანე ქართლისაჲ"-ს ამ ცნობას კ. თუმანოვი. მისი აზრით, 1010 წელს დინარ დედოფლის ნეშტი ჰერეთიდან აფხაზეთში გადაიტანეს[170].

ამრიგად, ბაგრატ III მიერ ჰერეთ-კახეთის მთლიანად შემოერთე-

---

165 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 151—152.

166 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, თბ., გვ. 131.

167 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გვ. 84.

168 Г. Ч у б и н а ш в и л и, Архитектура Кахетии, გვ. 23, სქოლიო 5.

169 M. B r o s s e t, Histoire de la Georgie, I, S.-Petersbourg, 1849, გვ. 298—299.

170 Toumanoff, C. The Bagratids of Jberia from the Eighth to the Eleventh century, Le Museon, LXXIV (74), 1—2, Louvain, 1961, გვ. 28.

ბა 1010 წლის ახლო ხანებში მომხდარა[171]. ამის შემდეგ ჰერეთი ბაგრატ III მეფობის ბოლო წლებამდე აფხაზთა და ქართველთა სამეფოს შემადგენლობაშია. ეს ამბავი სუმბატ დავითის ძის ქრონიკის იმ ადგილას, სადაც მოთხრობილია ბაგრატ III მმართველობის ბოლო პერიოდი, ასეა გადმოცემული: „ამისა შემდგომად მოვლო ბაგრატ ყოველი სამეფო თჳსი, „აფხაზეთი, ჰერეთი და კახეთი, მოვიდა და დაიზამთრა ჰევთა ტაოსათა“.[172]

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში შემუშავებული აზრის მიხედვით, 1008—1010 წწ. ჰერეთის დაპყრობის შემდეგ ბაგრატ III-ს მიუღია ტიტული, — „მეფეთა მეფე, მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა და რანთა“[173]. ბაგრატ III 1008—1010 წწ. ლაშქრობას და მის მიერ ჰერეთის შემოერთების ამბავს უკავშირდება აგრეთვე ნიკორწმინდის ტაძრის წარწერა, რომელშიც ბაგრატ III იხსენიება ტიტულატურით — „აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურაპალატი“. წარწერა, რომელიც მოთავსებულია ტაძრის შესავალში, კარებს ზევით, ბარელიეფზე, იკითხება შემდეგნაირად: „ქ. ძეო ღვთისაო, ადიდე სიმრთელით და დღეგრძელობით შენ მიერ გჳრგჳნოსანი ბაგრატ, აფხაზთა და რანთა მეფე; და ქართველთ კურაპალატი, და გაზარდე ძე მათი გიორგი... ნებასა შინა შენსა, მეოხებითა წმინდისა მღვდელთ მოძღვარისა ნიკოლოზისათა“[174]. წარწერის პირველ გამომცემელს აკად. მ. ბროსეს მიაჩნდა, რომ წარწერაში მოხსენიებულია ბაგრატ IV (1027—1072). მაგრამ, როგორც ჩანს, თვითონვე ეჭვობდა ამაზე, რადგანაც გაუგებრად მიაჩნდა ამ შემთხვევისათვის ბაგრატის „ქართველთა კურაპალატად“ მოხსენიება[175].

მკვლევარი გ. ბოჭორიძე წარწერას ათარიღებს XI საუკუნის დასაწყისით და მიაჩნია, რომ წარწერაში მოხსენებულია ბაგრატ III (975—1014). მისი აზრით, წარწერა თარიღდება 1010—1014 წლების შემდგომი დროით, რადგანაც ბაგრატი „რანთა“ მეფედ არის მოხსენებული, რანი კი აღნიშნულ წლებში აიღო ხსენებულ მეფემ[176]. აქ

---

171 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 131; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 166.

172 ქცბა, I, გვ. 382.

173 ი. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, თბ., 1905, გვ. 9.

174 M. Brosset, Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie..., st. Petersbourg, 1851, XII rapp. გვ. 35—36.

175 Rapports... იქვე.

176 გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტ. ძეგლები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. V, 1930, გვ. 194.

გ. ბოჭორიძე იმოწმებს ი. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორიის II წიგნს, სადაც თითქოს აღნიშნული იყოს, რომ ბაგრატ III 1010—1014 წლების ლაშქრობის დროს რანი აიღო. გ. ბოჭორიძე ორ შეცდომას უშვებს. ერთი ის, რომ წარწერის „რანთა მეფე“ სრულიად არ გულისხმობს ბაგრატ III-ის 1010—1014 წლების ლაშქრობას, მეორეც, ის რომ ივ. ჯავახიშვილს არა აქვს აღნიშნული ბაგრატ III მიერ ამ პერიოდში რანის აღება. საისტორიო წყაროები (მატიანე ქართლისაი) ბაგრატ III რანში ლაშქრობის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „მას ჟამსა განდიდნა ამირა ფადლონ განძისა, იწყო კირთებად ერისთავთა ჰერეთისა და კახეთისა; ჟამითი-ჟამად მეკობრობით და პარვით რბევად (და) ტყუენვად ადგილითი ადგილად“. ბაგრატ III გადაუწყვეტია აელაგმა ფადლონის ამგვარი მოქმედება და „კადნიერება მისი“. თავისი განზრახვა რომ უფრო ადვილად განეხორციელებინა, მან მოკავშირე იშოვა: „წარგზავნა მოციქული წინაშე გაგიკ შაჰანშა სომეხთა მეფისა; აწვია, რათა იძიოს შური ფადლონისაგან“. გაგიკმა „განიხარა სიხარულითა დიდითა“, და საჩქაროდ ლაშქარი შეაგროვა. ორივე მოკავშირე მეფეები ზორაკერტს შეიყარნენ და ფადლონის საბრძანებელს შეესივნენ. ბაგრატ მეფემ „წარმოტყუენა ქვეყანა რანისა, მოადგა ქალაქსა შანქორსა... და მცირედთა დღეთა დალეწნეს ზღუდენი შანქორისანი“. ფადლონმა მოციქული მოუგზავნა და „ითხოვა შენდობა“, ბაგრატმა მოციქულის პირით განძის ამირას „აუწყა ზავისა დასტური“[177]. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ბაგრატ III ამ ლაშქრობის დროს რანი არ აუღია და ფადლონ 1 (985—1031) სამფლობელოები არ შემოუერთებია, როგორც ამას გ. ბოჭორიძე ფიქრობს. აღნიშნული ლაშქრობა ბაგრატს ზავით დაუმთავრებია. ცხადია, „რანთა მეფის“ ტიტული მას ამიტომ არ ექნებოდა.

ნიკორწმინდის წარწერაში მოხსენებული «რანთა მეფე», ს. კაკაბაძის აზრით, ამსახველი უნდა იყოს 1008—1010 წლების ჰერეთ-კახეთის დროებითი შემოერთების ამბავისა. იგი აღნიშნავს: «ტიტულატურა («აფხაზთა და რანთა მეფე»), აგრეთვე გიორგის მცირეწლოვანობა ცხადჰყოფს, რომ წარწერა ამოჭრილია 1008 წლების ახლოს. ბაგრატ III ჰერეთი დაიპყრო თავისი მამის გურგენის 1008 წ. გარდაცვალების შემდეგ»[178]. ს. კაკაბაძის აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს შ. ბადრიძე და ამავე დროს ცდილობს უფრო დააზუსტოს ლაშქრობის თარიღი. მისი

---

[177] ქ ც ბ ა, 1, გვ. 279—280.

[178] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, „ნიკორწმინდის ისტორიული ძეგლის წარწერები“, საისტორიო კრებული, წიგნი IV, ტფილისი, 1929, გვ. 102—103.

აზრით, იგი უნდა მომხდარიყო 1008—1009 წ. მიჯნაზე[179]. სხვა შრომაში ქართველი მეფეების ტიტულატურაში «რანთა მეფის» შეტანის შესახებ საუბრისას, იგივე ს. კაკაბაძე ცოტა უფრო განსხვავებულ მოსაზრებას გამოსთქვამს. ამჯერად, მისი აზრით, «რანთა მეფე» ტიტულატურაში ჩნდება არა 1008—1010 წლების პერიოდში, ბაგრატ III დროს, არამედ 1103 წლის შემდეგ, კახეთის სამეფოს შემოერთების მომდევნო ხანიდან. იგი წერს: «Титулатура грузинских царей в XI веке после обьединения Багратидами абхазского и тао-кларджийского царств, представляющаяся в виде формулы «царь абхазов и грузии», после 1103 г. с присоединением кахетинского царства, была расширена путем добавления эпитетов «царь ранов и кахов»[180].

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის შეხედულებით, საქართველოს ფეოდალური მონარქიის მესვეურთა „რანთა მეფის“ ტიტული ჰერეთის ქორიკოზის შემცვლელი იყო[181]. იმას თავი რომ დავანებოთ, თუ რამდენად ძნელია, „ჰერეთისა“ და „რანის“ იდენტურობის დამტკიცება, აქ ლ. მელიქსეთ-ბეგს ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ ჰერეთის ხელისუფალნი როდისმე „ქორიკოზის“ ტიტულს ატარებდნენ. ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ ისინი ჩვენ გვევლინებიან ჯერ მთავრის, „პატრიკის“, ხოლო შემდეგ კი „მეფის“ ტიტულით. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, სავსებით ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ, ტიტულატურის „რანთა მეფის“ სწორად გაგებას. როგორ უნდა გავიგოთ გეოგრაფიული ტერმინი „რანი“, ჰფარავდა თუ არა ჰერეთი რანს? რანის გვერდით ქართული საისტორიო წყაროები ჰერეთსაც ასახელებენ. მისი დამოუკიდებელი ხსენება უკვე მისსა და რანის ერთსა და იგივეობაზე არ მიგვითითებს.

რანი resp. არრანი წერილობით წყაროებში VI საუკუნიდან გვხვდება, როგორც კავკასიის ალბანეთის აღმნიშვნელი ტერმინი. როგორც ფიქრობენ, ირანის სასანიანთა იმპერიის დროიდან იმ ქვეყნის სახელს, რომელსაც სომხები «აღუანქს» უწოდებენ, ირანელები და შესაძლებელია თვით ადგილობრივი მოსახლეობაც, გამოსთქვამდნენ როგორც «არრანს» (ფეჰლევური «რან», ქართული წყაროების «რანი»). ასეთი შეხედულება ჯერ კიდევ ვივიენ დე სენ-მარტენმა გამოთქვა,[182] მაგრამ მან ეს ვერ დაასაბუთა. შემდეგში ეს მოსაზრება უფრო გააღრმავა და ჯეროვნადაც

---

[179] შ. ბ ა დ რ ი ძ ე, მცირე შენიშვნები ნიკორწმინდის სააღმშენებლო წარწერაზე, მნათობი, 1961, № 6, გვ. 181—183.

[180] С. К а к а б а д з е, Грамота груз. царя Георгия III. Известия КИАИ, т. IV, 1926, გვ. 123—124.

[181] ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი, „შაშა-შარვანშა“, თბილისის, სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 73, 1959, გვ. 122.

[182] Nouvelles annales de Voyages, 1848, II, გვ. 56.

დაასაბუთა აკად. ა. კრიმსკიმ. ეს უკანასკნელი ყურადღებას ამახვილებს ალბანეთის არშაკიდი მეფეების ტიტულზე «ერან-შაჰი» ანუ «ერან-შაჰიკი». მისი აზრით, შესაძლებელია «ერან-შაჰი» იყოს «არან-შაჰის» გვიანდელი გადაკეთება, იმ გაგებით, რომ მასში იგულისხმებოდეს «მეფე არანთა», «მეფე ალბანთა». იმის გამო, რომ ირანის სასანიდების ხელისუფალთ (V-ს. და VII საუკუნის დასაწყისამდე) თავიანთი ადმინისტრაციული ცენტრი ორივე ნაპირის ალბანეთისათვის ჰქონდათ არა მარცხენა ნაპირის ალბანეთში (როგორც ეს ალბანელ მეფეებს ჰქონდათ), არამედ მარჯვენა ნაპირზე, ამიტომ შესაძლებელია, რომ ჯერ კიდევ მაშინ, მარჯვენა ნაპირის ალბანეთის აღსანიშნავად, უკვე ხმარებაში შემოვიდა სიტყვა «არანი». არაბთა ხალიფატის მფლობელობის დამყარების დროიდან (VIII ს.) სიტყვა «არრანი», თავისი თავდაპირველი, ძირითადი მნიშვნელობით (ალბანეთი საერთოდ) არაბებმა დასაწყისშივე გაავრცელეს მთელს ალბანეთზე, ე. ი. მტკვრის ორივე სანაპიროს ტერიტორიაზე, ჩრდილოეთით დერბენდიდან დაწყებული, სამხრეთით საქართველომდე. ასე მაგალითად, X საუკუნის არაბი გეოგრაფი ისთახრი ასე განმარტავდა «არრანის» ფარგლებს: «Пределы Аррана от Дербенда до Тифлиса и до местности р. Араксу»[183].

არაბი მწერლები ხშირად ხმარობდნენ გამოთქმას, — «ორივე არრანი», ე. ი. ისინი ამაში გულისხმობდნენ როგორც მარცხენა ნაპირის, ისევე მარჯვენა ნაპირის არანს. ასე მაგალითად, იბნ-ჰაუკალი, 977 წ. თავის ნაშრომში რამდენიმეჯერ აღნიშნავს: «აზერბაიჯანი, სომხეთი და ორივე არრანი», ან კიდევ «შემოსავალი აზერბაიჯანისა, სომხეთისა და ორივე არრანის»[184]. მხოლოდ შემდეგში, მარცხენა ნაპირის «არრანმა» თანდათანობით ხალიფატის ეპოქაში დაიმკვიდრა უფრო ვიწრო მნიშვნელობის სახელწოდება «შირვანი». ხოლო სახელწოდება «არრანი» შერჩა მხოლოდ მარჯვენა ნაპირის ალბანეთს (მდ. მტკვარსა და არაქსს შუა რომ მდებარეობდა) და იგი ესმოდათ მეტად ვიწრო, საკუთრივ «არრანის» მნიშვნელობით. ასეთი ვიწრო მნიშვნელობა ტერმინმა «არრანმა» შეინარჩუნა გვიანი ხალიფატისა და მონღოლთა ბატონობის ეპოქაშიც. იაკუთის გეოგრაფიული ლექსიკონი (1179—1229 წწ.) სტატიაში «არრანი» განმარტავს რა ამ მხარის ფარგლებს, აღნიშნავს, რომ იგი მოიცავდა მხოლოდ და მხოლოდ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს. ირანელი ისტორიკოსი და გეოგრაფი ჰამდალაჰ ყაზვინი თავის გეოგრაფიულ თხზულებაში, — «ნოზჰათ ალ-ყოლუბ» (1340 წ.) ასეთ განსაზღვრას აძლევს ტერმინ «არრანს»: «От берегов р. Аракса до р. Куры междуречье составляет собою область АРРАН»[185].

---

[183] А. Крымский, დასახ. ნაშრომი, გვ. 290.

[184] А. Крымский, იქვე, გვ. 221.

[185] А. Крымский, დასახ. ნაშრომი, გვ. 291.

ქართული წყაროების, კერძოდ ლეონტი მროველის მიხედვით, კავკასიის ალბანეთის ჩრდილო ნაწილს, ე. ი. მტკვრის მარცხენა ნაპირის ალბანეთს, მოვაკანი ეწოდებოდა, ხოლო სამხრეთ ნაწილს, ე. ი. მარჯვენა ნაპირის ალბანეთს, „რანი“. მარჯვენა ნაპირის ალბანეთის აღმნიშვნელი მეორე ტერმინი „არრანი“ — ქართული ისტორიული წყაროებიდან უმთავრესად დადასტურებულია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ტექსტში[186]. „არრანი“ მოხსენებულია აგრეთვე ჩახრუხაძის „თამარიანში“. აქ „არრანი“ გარითმულია ირანთან: „ყარყუმს და ირანს, მით ზედა არანს“ (1,29).

ლეონტი მროველის მიხედვით, რანის (არრანის) ფარგლები მოიცავდა ბარდოსის მემკვიდრეობას. ბარდოსის წილს ლეონტი მროველი ასე განსაზღვრავს: „ხოლო ბარდოს მისცა მტკუარს სამხრით, ბერდუჯის მდინარითაგან ვიდრე სადა შეკრბებიან მტკუარი და რაჯსი. ამან ბარდოს აღაშენა ქალაქი ბარდავი და დაეშენა მუნ“[187]. რომ რანი resp. არრანი შეესაბამებოდა ბარდოსის კუთვნილ ქვეყანას, ამის შესახებ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი პირდაპირ მიუთითებს. მოგვითხრობს რა ლაშა გიორგის დაბადებასთან დაკავშირებით მოწყობილი ლაშქრობის შესახებ 1192—1193 წწ. იგი აღნიშნავს: „მიჰმართეს ბარდავად, დიდად და ძუელად ქალაქად. ამომწყუედელთა არანისათა გამოიღეს დიდძალთა ომთა პირველ ნებროთისა ჰეროსის ძმისა ბარდოსისა მამული და შენებული“[188]. ცხადად ჩანს, რომ არრანი უდრის „ბარდოსის მამულს“. როგორც ვხედავთ, ლეონტი მროველთან და აგრეთვე „ისტ. და აზმ. შარავანდედთანში“ „რანი“ (არრანი) იხმარება თავის ვიწრო მნიშვნელობით, ე. ი. მასში უმთავრესად იგულისხმება მტკვრისა და არაქსის შუამდინარეთის ველებიანი ზონა (თანამედროვე მილის ველი). VII საუკუნის ანანია შირაკელის სომხური გეოგრაფიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ რანის resp. არრანის ფარგლებში მოექცევა უტის (ბარის ყარაბაღი—უტის ოლქში მდებარეობდა ქ. პარტავი, ლ. მროველის ბარდავი), არცახის (მთიანი ყარაბაღი) და ფაიტაკარანის (ლოკალიზდება — თანამედროვე ორენყალა-ბაილაკანის მიდამოები) ქვეყნები.

გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს მონარქთა ტიტულატურაში «რანთა მეფის“ მოხსენიება, ვფიქრობთ, მარტო იმით არ იყო გამოწვეული, რომ ჰერეთი ქართული მონარქიის პოლიტიკურ ფარგალში შემოვიდა. ჰერეთი ამ დროს, ისეთივე ქართული პოლიტიკური

---

186 ქ ც ბ ა II, გვ. 38, 61, 62, 63, 64, 67, 68, 76—77.

187 ქ ც ბ ა, I, გვ. 5.

188 ქ ც ბ ა, II, გვ. 58.

ერთეული იყო, როგორც აფხაზეთი, ტაო-კლარჯეთი, კახეთი. „რანთა მეფის“ ტიტული გამომხატველია იმ პერიოდისა (XII—XIII), როდესაც საქართველო გვევლინება იმ ცენტრად, რომლის გარშემოც ერთიანდებოდა მთელი კავკასია — მათ შორის ძველი ალბანეთის (შარვანი, რანი resp. არრანი) დიდი ნაწილი. ცნობილია, რომ ამ პერიოდში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ჩამოყალიბებული იყვნენ სამხრეთში — საჯიდების, სალარიდების და ილდიგიზიდების საამირო-საათაბაგოები, ხოლო ჩრდილოეთში — შედადიანთა (განჯაში) და შირვანშა-კესრანიდებისა (შარვან-შემახიაში). გარდა ამისა, ცნობილნი იყვნენ უაბალის, ბარდას, გარდმანის, დარუბანდის და სხვა სამთავროებიც[189]. და აი, ამ პოლიტიკურ ერთეულთა უმრავლესობის საქართველოს ირგვლივ შემოკრებით, საქართველოს მეფე რეალურად ხდებოდა „რანთა მეფე“, „რანთა მეფის“ ტიტულის მიჩემებით, იგი ძველი ალბანეთის (რანის resp. არრანის) სამეფოს მიწა-წყლის გამაერთიანებლის როლში გამოდიოდა. ქართული ფეოდალური მონარქიის დამოკიდებულებას ძველი რანის resp. არრანის მიწა-წყლისადმი, ტიტულატურაში გამოხატავდა აგრეთვე „შარვანშა“, რომელიც შირვანის შაჰს აღნიშნავდა.

ბაგრატ III გარდაცვალების შემდეგ 1014 წ., როდესაც აფხაზთა და ქართველთა სამეფო ტახტზე გიორგი I ავიდა (1014—1027), ჰერეთ-კახეთის ფეოდალებმა ისარგებლეს საქართველოს პოლიტიკური გართულებით (ბიზანტიის იმპერატორთან წარმოებული ხანგრძლივი ომი) და შესძლეს კვირიკე III დაბრუნება და ჰერეთ-კახეთი მოსწყვიტეს დანარჩენ საქართველოს. სუმბატ დავითის ძე მოგვითხრობს: „განუდგა ამას ქვეყანა ჰერეთ-კახეთისა, და ღადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი. მათ ქუეყანათ კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი“[190]. ეს ამბავი უნდა მომხდარიყო XI საუკუნის ოციან წლებში[191]. ამავე ამბავთან უნდა იყოს დაკავშირებული ვახუშტის ცნობა, რომ „ამან კვირიკემ დაიპყრა კახეთი და ჰერეთიცა და იწოდა მეფეთ კახთა“[192]. როგორც ვხედავთ, „კახეთის ქორიკოზმა კვირიკე დიდმა ჰერეთ-კახეთი პოლიტიკურად გაერთიანა... ამ ახალი ერთეულის მეფე იქმნა. ამით ჰერეთ-კახეთის პოლიტიკური შერწყმის პროცესი დასრულდა“[193]. ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ ამიერიდან ჰერეთის სამეფოს დამოუკიდებელი არსებობა წყდება. ამიერიდან ჰერეთის სამეფო ახლად შექმნილი პოლიტიკუ-

189 ლ. მელიქსეთ-ბეგი, შანშა-შარვანშა, გვ. 117.
190 ქცბა, 1, გვ. 383.
191 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 254.
192 ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 151—152.
193 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 254.

რი ერთეულის — კახეთის სამეფოში არის მოქცეული. თუმცა აქვე განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, ის გარემოება, რომ ჰერეთის, როგორც ყოფილი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის, სახელი ისტორიულ წყაროებში კვლავაც იხმარება ვიდრე XV საუკუნის დასასრულამდე. ეს კარგად ესმოდა ვახუშტისაც, როდესაც წერდა: „არამედ შემდგომად კვირიკემ, დაიპყრა რა ჰერეთიცა, იწოდა კახთ მეფედ, გარნა ჰერეთს აქუნდა თვისივე სახელი მოუსპობელი"[194]. ამიტომ ჩვენც, ამიერიდან ჰერეთის ისტორიას განვიხილავთ კახეთის ისტორიასთან მჭიდრო ურთიერთობაში.

მიუხედავად იმისა, (რომ გიორგი I დროს ჰერეთ-კახეთი ქართლის ფეოდალური მონარქიის ფარგალს გარეთ არის მოქცეული,) დამახასიათებელი ფაქტია, რომ საქართველოს ცალკეულ პროვინციათა შორის ეროვნული ერთიანობის შეგრძნება მეტად ფართოდ არის გავრცელებული. ამის საუკეთესო მოწმობა ის არის, რომ როდესაც გიორგი I აწარმოებს ბრძოლას ბიზანტიელების წინააღმდეგ (1021 წ.), მის ლაშქარში ჰერეთ-კახეთის ჯარიც არის და აქტიურად უჭერენ მხარს გიორგი I. „მატიანე ქართლისაჲ" წერს: „რამეთუ განძლიერდა გიორგი მეფე და მოირთო ძალი კახეთისა და ჰერეთისა". ამავე ამბავს, სუმბატ დავითის ძე ასე გადმოგვცემს: „გარდავიდა გიორგი თრიალეთად და მოვიდა ბასილიცა თრიალეთადვე. და რა ეახლნეს ერთმანეთსა, კუალად განძლიერდა გიორგი ლაშქრითა, რამეთუ მოიყვანნა წანარნი და შაქნი"[195]. „მატიანე ქართლისაჲ"-ს და სუმბატ დავითის ძის ამ ცნობებიდან ფასტურდება აგრეთვე ჰერეთისა და შაქის იდენტურობა. მატიანე ქართლისაჲ-ს „კახეთსა და ჰერეთს" შეესატყვისება სუმბატ დავითის ძის „წანარნი და შაქნი"[196].

გაერთიანებულ კახეთ-ჰერეთის სამეფოს ხელისუფლის, კვირიკე III ზეობას ვახუშტი 1010—1039 წწ. ათარიღებს. მისი სიკვდილის თარიღი, აკად. ნ. ბერძენიშვილის შესწორების მიხედვით, ცოტა წინაა გადასაწევი. „კვირიკე მეფე მოკლულ იქნა 1037 წლის უწინ[197]". როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვირიკე III ღებულობს მეფის ტიტულს. მისი თანამედროვე ისტორიული წყარო, — «მატიანე ქართლისაჲ»—მას დიდს უწოდებს. «მოვიდა დიდი კვირიკე რანთა და კახთა მეფე»[198]. როგორც ირკვევა,

---

194 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის ცენ., თბ., 1941, გვ. 87.

195 ქ ც ბ ა, 1, გვ. 383.

196 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი, უჯარმა, გვ. 107.

197 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VI, 1931, ტფ. გვ. 247.

198 ქ ც ბ ა, 1, გვ. 296.

კვირიკე მეფე ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულს მაგისტრობასაც ატარებდა. ამას გვაფიქრებინებს გელათის ტაძარში დაცული ხახულის ღვთისმშობლის ხატის ერთ-ერთი მინანქრის ბერძნული წარწერა. ბერძნული წარწერა იკითხება: «ქ. უფალო, შეეწიე მონასა შენსა კვირიკე მაგისტროსსა». ხოლო ქართულად აქვე სწერია: «ქრისტე ადიდე კვირიკე მეფე»[199]. ხელოვნებათმცოდნენი ამ მინანქარს XI საუკუნით ათარიღებენ, ხოლო წარწერაში მოხსენებული კვირიკე მეფე, მათაც მიაჩნიათ კვირიკე III, რანთა და კახთა მეფედ. დიმ. გორდეევი წერს: «Царь Квирике с византийским титулом магистра..., есть Квирике «Царь Ранский и Кахский» с прозвищем «велики», не раз упоминаемый в грузинской летописи 1020—1038 гг. н. э.... Упоминание царя Квирике с византийским титулом магистра вполне понятно, т. к. в это же время и грузинский царь Баграт IV, подобно своим предшественникам, носил также византийский титул Куропалата»[200].

შ. ამირანაშვილი თავის შრომაში «История грузинского искуства», XI საუკუნის მეორე ნახევრის მინანქრებზე საუბრის დროს ეხება ამ მინანქარსაც: «К этой же группе принадлежат и половинки креста энколния на Хахульской иконе с двумя надписями: грузинской и греческой.

Грузинская надпись гласит: «Христос, возвеличь царя Квирика», греческая: «Господи, помоги рабу твоему, магистру кирику». Царь Кирик с византийским титулом магистра, это несомненно, царь «ранский и кахский», прозванный «великим», о котором часто упоминают грузинские летописи около 1020—1030». (გვ. 229).

თ. ყაუხჩიშვილი, წმინდა პალეოგრაფიული ნიშნით და რეალურ-ისტორიული ვითარების გათვალისწინებით — ცდილობს აღნიშნული მინანქარი X საუკუნით დაათარიღოს, ხოლო ქართულ-ბერძნული წარწერის გამკეთებლად იგი მიიჩნევს X საუკუნის რომელიმე კვირიკეს, კახეთის მფლობელს[201].

ვახუშტის მიხედვით, კვირიკე III დიდს მიეწერება კახეთ-ჰერეთის სამეფოს ადმინისტრაციული მოწყობა, კერძოდ მთელი სამეფო დაყოფილ იქნა 7 საერისთაოდ (სამი კახეთში და ოთხი ჰერეთში). ჰერეთის ერისთავთა რეზიდენციებად ვახუშტი ასახელებს: ხორნაბუჯს,

---

[199] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 148.

[200] Д. Г о р д е е в, К вопросу разгрупирования эмалей Хахульского складня, Мистецвознавство, Харьків, 1928, გვ. 158.

[201] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 150; შდრ. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 174.

ვეჯინს, მაჭს და შტორს. ამასთანავე ვახუშტი გვაძლევს თითოეულ ამ საერისთაოთა გეოგრაფიულ ფარგლებს. იგი წერს: „ხოლო ჰერეთს დასვა პირველი ხორნაბუჯს ანუ ხორანთას და მისცა ქიზიყი და გარეთ კახეთის საზღვრამდე, ალაზანსა და მტკვარს შიგნით და ჰერეთის მთისა. მეორე ვეჟინს და მისცა ქიზიყის საზღუარს ზეითი თურდოს ხევამდე და ალაზანსა და ჰერეთის მთის შიგნით, რომელ არს აწ შიგნით კახეთი.

მესამე მაჭისა და მისცა მაჭის წყლის ქვეით და ალაზნის აღმოსავლეთი შაკიხითურთ და ხუნზახითურთ.

მეოთხე დასვა შტორისა და მისცა შტორის ხევიდან მაჭის წყლამდე ალაზნის აღმოსავლეთი დიდოეთითურთ, რომელ არს აწ გაღმა-მხარი“[202].

ვახუშტი ცნობაში ჰერეთის საერისთაოებად დაყოფის შესახებ, კარგად ჩანს იმდროინდელი ჰერეთის გეოგრაფიული საზღვრებიც. ჰერეთის ტერიტორიაზე ამ ოთხი საერისთაოს არსებობის ფაქტი დასტურდება აგრეთვე—„მატიანე ქართლისაჲ“-დანაც, სადაც ჩვენ ბაგრატ IV ამბებთან დაკავშირებით ვხვდებით ამ ოთხივე ერისთავის სახელებსაც. ესენია: ვაჩე ხორნაბუჯის ერისთავი, ჯედი შტორის ერისთავი, მაჭელი და ვეჟინის ერისთავი წირქუალელი[203].

გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის სამეფოს დედაქალაქად კვირიკე III თელავი გახადა: „მანვე ჰყო თელავი სასახლედ და ტახტად კახეთისა და ჰერეთისა“—მოგვითხრობს ვახუშტი[204].

კახეთ-ჰერეთის მეფის კვირიკე III საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ მომენტებად შეიძლება ჩაითვალოს: დიდი ლაშქრობის ორგანიზაცია განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ, ბრძოლა ოსთა მეფის ურდურეს წინააღმდეგ, რომელიც ბრძოლაში დაიღუპა და მისი მონაწილეობა თბილისის ამირას წინააღმდეგ მოწყობილ სამხედრო ოპერაციებში. ვახუშტის სიტყვებში — „ამანვე (კვირიკემ—თ. პ.) უშველა მეფესა ბაგრატსა რანთა ზედა“, იგულისხმება „მატიანე ქართლისაის“ მიერ მოთხრობილი ამბავი, ბაგრატ IV ყრმობის ჟამს (ე. ი. დაახლოებით 1027—1032) კვირიკე III დიდის ინიციატივით მოწყობილი ლაშქრობა განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართლის ფეოდალები ლიპარიტი და ივანე აბაზასძე, თბილისის ამირა ჯაფარი და სომეხთა მეფე დავითი (რომელსაც ცოლად ჰყავდა კვირიკე III და). როგორც ვხედავთ, შემდგარა საკმაოდ ძლიერი

---

[202] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 151—152.

[203] ქ ც ბ ა, I, გვ. 298, 303; მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 172—173.

[204] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 152.

სამხედრო კოალიცია, რომელმაც მოქმედება დაიწყო რანის ფარგლებში, მდ. ეკლეციდან. „მატიანე ქართლისა“ მოგვითხრობს: „და დიდი ფადლონ ავად იქცეოდა, და სწუნობდა ყოველთა მოთაულთა ამის სამეფოსათა. და ვიდრე ყრმაღა იყო ბაგრატ, შეკრბეს ლაშქარნი ამის სამეფოსანი, იპირნეს ლიპარიტ და ივანე აბაზას-ძე; მოვიდა დიდი კვირიკე, რანთა და კახთა მეფე, დავით სომეხთა მეფე, და ჯაფარ ამირა ტფილელი, რამეთუ ესე ყოველნი პირობითა კვირიკესითა შეკრებულ იყვნეს ეკლეცს ფადლონს ზედა; გააქციეს ფადლონ და აუწყვდეს ლაშქარი, აიღეს ავარი და განძი ურიცხვი. ამიერიდან ვიდრე სიკუდილამდე შეჰავდა ფადლონ“[205].

კვირიკე III, კახეთისა და ჰერეთის ლაშქრით, მონაწილეობს ლიპარიტის მიერ 1037—1038 წწ. თბილისის ამირას წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში. თბილისის ალყის დროს, კახეთისა და ჰერეთის ლაშქარი მოქმედებდა მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ისნის ციხის პირდაპირ — „და წყალსა იმიერით, ჰისანით ყერძო, მოადგინნა ლაშქარნი კახნი და ჰერნი“ — მოგვითხრობს „მატიანე ქართლისაჲ“[206]. თბილისის ამ ხანგრძლივი ალყის დროს, მომკვდარა კვირიკე III. „მატიანე ქართლისაჲ“ და ვახუშტიც, კვირიკე დიდის სიკვდილს ჰესისხლეობის ნიადაგზე ხსნიან. იგი მოუკლავს ოსის მონას — „სისხლთათჳს ოვსთა მეფისა ურდურესი“[207]. ვახუშტი მოგვითხრობს, რა კვირიკე III სიკვდილის ამბავს, ამასთან დაკავშირებით იგი გვაუწყებს კვირიკეს მიერ მოწყობილ ისეთ სამხედრო ლონისძიების შესახებ, როგორიც იყო ლაშქრობა კავკასიონის მთავარი ქედის გადალმა — ოსეთში. ვახუშტი წერს: „ამასვე კვირიკეს მეფესა მოუხდა ოვსთა მეფე ურდურე. ამან ურდურე გარდმოვლო გზა ძურძუკთა და ღლიღვთა და შთამოვიდა თიანეთს და მოაოხრა კახეთი. ამას ეწყო კვირიკე მეფე შეკრებილი სპითა და ბრძოლასა ძლიერსა იძლია ოვსნი და მოჰკლეს კახთა ურდურე მეფე ოვსთა, და მოსწყვიტნეს ოვსნი“[208]. ოსეთის ლაშქრობის ზუსტი დათარიღება ვერ ხერხდება. დაახლოებით იგი უნდა მომხდარიყო 1037—1038 წლების უწინ, რანის ლაშქრობის შემდეგ.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, კახეთ-ჰერეთის სამეფოში კვირიკე III მმართველობის წლები, როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ასევე ადმინისტრაციულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, აღინიშნება უდიდესი აღმავლობით. ამის გარეგნულ გამოხატულებას წარ-

---

[205] ქ ც ბ ა, I, გვ. 296.
[206] ქ ც ბ ა, I, გვ. 297.
[207] ქ ც ბ ა, I, გვ. 197, ვახუშტი, საქ. ცხოვრება, გვ. 152.
[208] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 152.

მოადგენდა მის მიერ „დიდი მეფის“ ტიტულის მიღება, როგორც ახასიათებს მას მისი თანამედროვე ისტორიკოსი, „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „განმდიდრდა კვირიკე და მოირჭმა ყოველითურთ და ამისათვის ეწოდა დიდი კვირიკე“[209].

(კვირიკე III შემდეგ) კახეთ-ჰერეთის საეფო ტახტზე ადის მისი დისწული (გაგიკ) ძე დავით სომეხთა მეფისა საშვილდარისა და ძორაკერტელისა[210]. როგორც „მატიანე ქართლისაჲ“-დან ჩანს, თბილისისათვის ბრძოლის დაწყების ჟამს უკვე გაგიკია მეფედ. ამას გვავარაუდებინებს „მატიანე ქართლისაჲ“-ს სიტყვები. მოგვითხრობს რა თბილისის ალყაზე, იგი წერს: „მას ჟამსა იყო მეფე კახეთს გაგიკ..., და ბრძოდეს ორ წელს ტფილისსა“[211]. ასე რომ მისი მეფობის დასაწყისის ვახუშტისეული თარიღი (1039—1058) ორი წლით მაინც მოითხოვს წინ გადაწევას[212]. სწორედ ეს გაგიკი, კახეთ-ჰერეთის მეფე, უნდა იგულისხმებოდეს ხირსის წმ. სტეფანეს ეკლესიის სამხრეთ ფასადზე, ზემო რელიეფური ჯვრის მარცხენა მკლავზე მოთავსებულ ასომთავრულ წარწერაში. წარწერა იკითხება: „ქრისტე, ადიდე გაგიკ მეფე“[213]. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, მცხეთის XI საუკუნის საბუთის მელქისედეკის „დაწერილის“ დამამტკიცებელი „კვირიკე მეფე დისწული კვირიკე მეფისა“ არის იგივე გაგიკ ძე სომეხთა მეფისა დავითისი და დისწული კვირიკე რანთა და კახთა მეფისა. როგორც ნ. ბერძენიშვილი ფიქრობს: „კახეთში გამეფებული გაგიკ დავითის ძეს ბიძის (დედის ძმის) და მამობილის სამფლობელოსთან ერთად მისი სახელიც დაუმკვიდრებია, კვირიკედ წოდებულა“[214]. კახეთ-ჰერეთის მეფე გაგიკი resp. კვირიკე, მელქისედეკის დაწერილში იხსენიება, როგორც „ძლიერი მეფე“[215]. ჰერეთისა და ქართლის კულტურული ერთიანობის თვალსაზრისით, მეტად საყურადღებო ფაქტია ის, რომ მელქისედეკის „დაწერილის“ (XI საუკ.) მიხედვით — მცხეთის საკათალიკოსო ეკლესიას ჰერეთში ჰქონდა მთელი რიგი მამულებისა დასახლებული პუნქტებით, რომლებიც სვეტიცხოველისათვის მელქისედეკს შეუწირავს. როგორც საბუთში ვკითხულობთ, ესენი იყო „ჰერეთს მონასტერი დიდითა ძალი-

---

209 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 152; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 167.

210 მატიანე ქართლისა, ქცბა, I, გვ. 297.

211 ქ ც ბ ა, I, გვ. 297.

212 მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, გვ. 29.

213 თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, გვ. 150.

214 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, გვ. 248.

215 ი ქ ვ ე, გვ. 293.

თა ლაგოდეხი, და ჰერეთსავე კატეხისა ეკლესია შესავლითა მისითა და კაკს ვაჭარნი იბ და ზიარი სოფელი დიდი"[216]. ამრიგად, ზემოთმოტანილი საბუთიდან ირკვევა, რომ მცხეთის საკათალიკოზოს (ქართლის ეკლესიას) XI საუკუნეში მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული ჰერეთში, მოძმე ჰერულ მოსახლეობაში უშუალოდ შეჰქონდა ქრისტიანული მოძღვრება და აქ მტკიცე პოზიციებს იპყრობდა. აშკარაა, რომ მცხეთა ჰერეთის კულტურულ-რელიგიური გაერთიანება-შემოერთებისათვის მიიწევდა. იმ დროს, როდესაც „აფხაზთა და ქართველთა" მეფეები ქვეყნის პოლიტიკურ მთლიანობას უყრიდნენ საფუძველს, მცხეთა ამ პოლიტიკურ მთლიანობას ერთს და მთლიან კულტურულ შინაარსს აძლევდა.

როდესაც კახეთ-ჰერეთის სამეფო ტახტზე გაგიკი ავიდა, ბაგრატ IV შეცვალა თავისი პოლიტიკა: მოხსნა თბილისის ალყა და ეხლა კახეთ-ჰერეთის წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას, გადმოიბირებს რა საამისოდ თავის მხარეზე კახეთის მსხვილ ფეოდალებს. მატიანე ქართლისა მოგვითხრობს: „და იბირნა აფხაზთა მეფემან კახნი, აშოტ მთავარი მარილელი, დისიძე კვირიკე მეფისა, და ხახჯლა გურთა ჯუარის-ციხითა; და მოეყარა აფხაზთა მეფე ქალაქსა და ემტერა კახთა" (ქცბა, I, გვ. 298). ბრძოლა, რომელიც მიქელ-გაბრიელის მთასთან მომხდარა (ადგილი გაურკვეველია), როგორც ჩანს სასტიკი და შეუპოვარი ყოფილა — ტყვეთ ვარდება ოთხი ერისთავი, მათ შორის სამი ჰერეთისა: ხორნაბუჯის, შტორის და მაჭის. ბაგრატმა ააოხრა თიანეთის რაიონი. და გადაწვა ბოდოჯის დარბაზი. მატიანე ქართლისა ამ ბრძოლის ამბავს ასე გადმოგვცემს: „გაილაშქრა აფხაზთა მეფემან კახეთს, შეება და შეუხდა მთასა ზედა მიქელ-გაბრიელთასა. და წყობასა შინა შეიპყრნა: სტეფანოზ ვარჯანის-ძე, პანკისისა ერისთავი; და ვაჩე, ძე გურგენ ბერისა, ხორნაბუჯის ერისთავი; და ჯედი, დისწული გოდერძისა, შტორის ერისთავი და მაჭელისა. გარდადგა თიანეთს და დაწუა დარბაზი ბოდოჯისა, სახლი სახელოვანი, დიდისა კვირიკე მეფისა აგებული. და ესე ერისთავნი ქენებით აძლევდეს ციხეთა მათთა; და ვერღარა ჩავიდეს კახეთს და შემოიქცა, რამეთუ ლიპარიტ იწყო საურავთა გუერდქცეულთა" (ქცბა, I, გვ. 298). შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ბაგრატ IV ისარგებლა ჰერეთის ერისთავთა ერთიანად ტყვედ ჩავარდნით და დროებით დაიპყრო ჰერეთი, ხოლო რაც შეეხება საკუთრივ კახეთს, აქ იგი, როგორც „მატიანე ქართლისაჲ"-დანაც ჩანს, „ვერღარა ჩავიდა" (მას ხელი შეუშალა ლიპარიტის განდგომამ) და იგი კვლავ გაგიკს დარჩა. ამას უნდა გულისხმობდეს ვახუშტის სიტყვები

---

[216] ი ქ ვ ე, გვ. 291.

გაკის მეფობის შესახებ, რომ აქვს ნათქვამი — „არამედ ყამად ეპყრა მეფესა ბაგრატ ჰერეთი და გაკის კახეთი“[217].

1044—1045 წწ., როდესაც ადგილი აქვს ლიპარიტის განდგომას, ბაგრატ IV იძულებული ხდება ხელი აიღოს კახეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამის შემდეგ, კახეთ-ჰერეთის მეფე უმალვე ლიპარიტის მოკავშირე ხდება — და „ჰყვეს ლიპარიტს კახნი“ — ამბობს — „მატიანე ქართლისაჲ“[218]. მაგრამ უფრო გვიან, როდესაც ბაგრატ IV და ლიპარიტს შორის დაზავება მოხდა, კახეთ-ჰერეთის მეფე გაგიკი უკვე ცდილობს ბაგრატ IV კარგი ურთიერთობა დაამყაროს. ასეთი მისწრაფება განსაკუთრებით აშკარად გამოვლინდა, როდესაც თბილელმა ბერებმა ბაგრატს ქალაქი ჩააბარეს და მთელი ქალაქი, ისანს გარდა, ბაგრატს დამორჩილდა. და აი, როდესაც ბაგრატ IV ისანს ებრძოდა, „ისნისა ველსა მოვიდეს კახთა მეფე გაგიკ და ერისთავთ-ერისთავი ოდერძი და ყოველნი დიდებულნი კახეთისანი დარბაზობად ბაგრატ მეფისა წინაშე და მშვიდობისა ძებნად“. მეფეს მიუღია სადარბაზოდ მოსული კახეთ-ჰერეთის მეფე — „ბრძანა და გავიდა მეფე ბაგრატ ველსა ისანისასა. მოიყუანნა კახნი და ითაყვანნა, და მისცა მშვიდობა და განუტევნა“[219]. მაგრამ საკმარისი იყო 1046—1047 წწ. ლიპარიტის ხელახალი გამოსვლა ბაგრატ IV წინააღმდეგ, რომ კახეთ-ჰერეთის ფეოდალებს ისევ ლიპარიტის მხარე დაეჭირათ: „ხოლო ლიპარიტ შეკრიბნა კახნი და მოადგა ფოკათა... და იყვნეს თანამდგომ ლიპარიტისსა კახნი ძალითა მათითა და დავით სომეხთა მეფე ძალითა მისითა... ლიპარიტ შეკრიბა თავისი ლაშქარი, და მოირთნა კახნი და სომეხნი და ბერძენნიცა თანა ჰყვეს“[220].

(1058 წლიდან კახეთ-ჰერეთის სამეფო ტახტზე აღსართან I ადის)(ვახუშტის მიხედვით 1058—1084). იგი ჯერ ბაგრატ IV, ხოლო შემდეგ გიორგი II თანამედროვეა. კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართან I აქტიურ მონაწილეობას იღებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი ორგანულად მონაწილეობს იმ პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელიც კავკასიის ცალკეულ სახელმწიფოთა შორის წარმოებს ჰეგემონობისათვის. კახეთ-ჰერეთის მმართველი აღსართან I მეფობის ისტორიისათვის ზოგიერთი საყურადღებო ცნობა შემონახულია აღმოსავლურ წყაროში. ეს ცნობა შეეხება აღსართან I-ის მოღვაწეობის იმ პერიოდს, რომელიც თბილისის ისტორიასთან არის დაკავშირებული. როგორც წყა-

---

[217] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 152.

[218] ქ ც ბ ა, 1, გვ. 298; მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 168.

[219] ქ ც ბ ა, 1, გვ. 300; მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 168.

[220] მატიანე ქართლისა, ქცბა, 1, გვ. 300—301.

როებიდან ირკვევა, XI საუკუნის სამოციანი წლებისათვის, თბილისის უხუცესები ისევ შესდგომიან მათთვის სასურველი მფარველის ძიებას. რაკი „ტფილელნი ბერნი“ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საქართველოს მეფეს დიდგვაროვანთა წინააღმდეგობის გამო, თბილისში გამაგრება არ შეეძლო, ამჟამად მათ სხვა მფარველის ძებნა დაუწყიათ. ასეთად კი XI საუკუნის 60-იანი წლებისათვის შედადიანი აბულ-ასვარი მიუჩნევიათ. მუნეჯიმ ბაშის თხზულებაში დაცული ცნობის მიხედვით, „454 (1062) წელს მასთან (განძის მბრძანებელ, შედადიან აბულ-ასვართან) მივიდა თბილისის კეთილშობილთა ჯგუფი და სთხოვა მას გამოეგზავნა ვინმე, რომელსაც ისინი ჩააბარებდნენ (თბილისის) ციხე-სიმაგრეს... გამოეგზავნა მათთან ლაშქარი, იარაღი და სურსათ-სანოვაგე. აბულ-ასვარს, სურდა ამ წინადადების მიღება. მაგრამ მისმა ვეზირმა ბახტიარ იბნ სალმანმა შეაჩერა იგი მაშინ აბულ-ასვარმა თავი შეიკავა ამ წინადადებაზე პასუხის გაცემისაგან და დაუბრუნა მათ კლიტენი ციხისა... ისინი (თბილისელები) მიბრუნდნენ და ეს კლიტე და ციხე გადასცეს აღსართან გაგიკის-ძეს, შაქის მფლობელს, რომელმაც მიიღო იგი, მისცა მათ ძვირფასი საჩუქრები და გაუშვა ისინი. შემდეგ მან მიყიდა ის (თბილისი) დიდი თანხის ფასად რუმის მფლობელს და რუმის მეფემ დაუყოვნებლივ გააგზავნა იქ შიპნა და მოამარაგა ის ლაშქრით, იარაღით და სურსათ-სანოვაგით“[221]. ამ მეტად საინტერესო ცნობაში, ჩვენს ყურადღებას პირველ რიგში იპყრობს შაქის მფლობელი აღსართან გაგიკის-ძე, რომელიც სავსებით აშკარაა ქართული წყაროების კახეთ-ჰერეთის მეფე უნდა იყოს. აქ ამ ცნობით, ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ არაბული წყაროების შაქი უდრის ქართული წყაროების ჰერეთ-კახეთს[222]. როგორც ვხედავთ, კახეთ-ჰერეთის სამეფოს და მის ხელისუფალს აღსართანს მთელს კავკასიაში იმდენად დიდი პოლიტიკური წონა ჰქონია, რომ თბილელ ბერებს გადაუწყვეტიათ ქალაქის მისთვის ჩაბარება.

(XI საუკუნის 60-იან წლებში (დაახლ. 1060 და 1064 წ. შორის), ბაგრატ IV (სარგებლობს რა ლიპარიტის მონასტერში ბერად შედგომით და ბიზანტიის იმპერატორის ეხარდატერით) შესძლო თითქმის მთელი ჰერეთის ხელში ჩაგდება. „ბატიანე ქართლისაჲ“-ს მოთხრო-

---

[221] Ахмед Ибн Лютфуллах (Мунаджим-баши) — «Джами Ад-Дувал» — Труды института истории АН Азерб. ССР, Баку, т. XII, 1957, გვ. 218;

შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში. თბილისი, 1962, გვ. 55—56; რ. კიკნაძე, „XI—XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან“, ისტ. ინსტ. შრომები, ტ. V, ნაკ. 1, 1960, გვ. 113—114.

[222] რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

ბით „ამან (ბაგრატ IV) წარიხუნა ყოველნი ციხენი ჰერეთისა და კახეთისانი, თჳნიერ კუეტარისა და ნახჭევანისა“[223]. ვახუშტიც, ეხება რა ალსართან I გაიკის ძის მეფობას აღნიშნავს: „ჟამსსა ამისსა დაიპყრა მეფემან ბაგრატ უმეტესად ჰერეთი“[224]. რომ ჰერეთი ბაგრატს მართლა დაუპყრია და ამ ქვეყნის დიდებულნიც მისი ერთგულნი იყვნენ — ეს მოგვიანო ამბებიდანაც ჩანს. „მატიანე ქართლისაჲ“ მოგვითხრობს რა სულტან ალფ-არსლანის საქართველოში მეორედ შემოსევის (1067—1068) ამბავს, წერს, რომ სულტანი „უგრძნეულად შეეიდა ჰერეთად და მის ქუეყანისა დიდებულნი იყვნეს მორთულ და ერთგულ ბაგრატისა“[225].)

აღსანიშნავია, რომ სწორედ სულტან ალფ-არსლანის საქართველოში მეორედ შემოსვლის (1067—1068) წინ „იყო ბაგრატ გალაშქრებულ აღებად კახეთისა, და ლაშქარი მისი წინა გაგზავნილი იყო ვეჟინის ერისთავს თანა წირქუალელსა. შემოიქცეს მშვიდობით, და უამბეს შემოსვლა სულტანისა და დაყრა ციხეთა. შემოიქცა სწრაფით და მოვიდა ქუეყანად თჳსად ქართლად“[226]. როგორც ირკვევა, ბაგრატ IV განუზრახავს კახეთ-ჰერეთის მეფის, ალსართანის, ხელში დარჩენილი ტერიტორიის დაპყრობაც და წინასწარ თავისი ლაშქარი ვეჟინის ერისთავთან გაუგზავნია, მაგრამ სწორედ ამ დროს თურქსელჯუკები მოდიან და ბაგრატ IV იძულებულია ქართლში დაბრუნდეს[227]. ამავე ხანის ამბებს უნდა მოგვითხრობდეს XI საუკუნის უცნობი არაბი ავტორის ქრონიკაც. ამ ქრონიკის ცნობა შეეხება საქართველოს მეფის მიერ შირვანში მოწყობილ ლაშქრობას: ჰიჯრით 459 წლის II ჯუმადას ივენში (1067 წლის აპრილში) „ჯ. რხ. სრი“ (სახელი დამახინჯებულია) ყიორგის ძე აშკარად აჯანყდა შირვანშაჰის წინააღმდეგ. იგი თავისი ჯარით შაქისაკენ დაიძრა და ხელში ჩაიგდო ციხე დასქარათ ალ-ჰუსეინი (?). მან ამ ციხეში შეიყვანა ჯარი თავის ვაჟიშვილთან და ძმასთან ერთად, მაგრამ საბოლოოდ ეს ციხე გადასცა შაქის მმართველს, ალსართან გაგიკის ძეს. შირვანშაჰმა შეკრიბა ჯარი და გაემართა ამ ციხის დასაბრუნებლად, მაგრამ მას წარმატება არ ჰქონია, რის გამოც იძულებული შეიქმნა იაზიდიაში შეწუხებული დაბრუნებულიყო[228]. როგორც ვ. მინორსკი აღნიშნავს, შირვანშაჰის

---

223 ქ ც ბ ა, I, გვ. 306.

224 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 152—153.

225 ქ ც ბ ა, I, გვ. 308.

226 მატიანე ქართლისა, ქცბა, I, გვ. 308.

227 მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, გვ. 50.

228 თ ა რ ი ხ ა ლ - ბ ა ბ ე ა შ ი რ ვ ა ნ, § 21, გვ. 60.

ქრისტიანი მოწინააღმდეგის საკუთარი სახელი ძლიერ დამახინჯებულია. მისი აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს საქართველოს მეფე ბაგრატ IV გიორგის ძე, რომელიც, როგორც ჩანს, შირვანელებისათვის ცნობილი იყო რაღაც გაურკვეველი ზედწოდებით[229]. ზემომოტანილ ცნობაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ თურქ-სელჯუკების შემოსევის წინა პერიოდში, კახეთიდან წამოსვლის წინ, ბაგრატ IV კახეთის მეფე აღსართანისათვის გადაუცია შაქის ერთ-ერთი ციხე (დასქარათ ალ-ჰუსეინი).

თურქ-სელჯუკების შემოსევის დროს კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართანი უკვე დამოუკიდებლად მოქმედებს. აფხაზთა და ქართველთა მეფისაგან თავდაცვის მიზნით, აღსართანი სულტან ალფ-არსლანს ეახლა: „ბოლო აღსართან მიერთო სულტანსა. მიუძღვნა ძღუენი დიდი, დაუტევა სჯული, დაიცვითა წინა, აღუთქუა ხარაჯა: და მისცნა ყოველნი ციხენი დაყრილნი სულტანმან მასვე. და რომელნი აფხაზთა მეფისა კაცთა დაეყარნეს, და რომელნი თჳთ აღსართანისათა, მისცნა ყოველნი“[230]. ვახუშტის მოთხრობითაც: „შემდგომად მოსვლისა სულტანისა მივიდა აღსართან წინაშე სულტანისა და იქმნა მაჰმადიან. ამისთვის მისცა სულტანმან კახეთი და ჰერეთი სრულიად ნაქონები ბაგრატ მეფისა“[231]. სადრ უდ-დინ ალ-ჰუსაინის საისტორიო თხზულებაში („ახბარ ად-დავლათ ას-სელჯუკია“) შემონახული ცნობით, ალფ-არსლანი ჯერ კახეთს შეესია: ბევრი ძარცვა-რბევის შემდეგ ის კახთა მეფის დედაქალაქში მივიდა: აღსართანი სულთანს ეახლა და გამუსლიმანდა. ალფ-არსლანმა დიდი პატივით მიიღო კახთა მეფე და ერთი ფაკიჰიც მიუჩინა საგანგებოდ, რომ ისლამის წესები შეესწავლებინა[232]. ამის შემდეგ კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართან I ჩვენ სულთან ალფ-არსლანის მოკავშირეთა რიგებში ვხედავთ და იბრძვის აფხაზთა და ქართველთა მეფის, ბაგრატ IV წინააღმდეგ. ეს გასაგებიცაა, რადგან ბაგრატ IV კახეთ-ჰერეთის სამეფოს საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა. ალფ-არსლანის ერთ-ერთ ასეთ ლაშქრობაში, როგორც „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი მოგვითხრობს, აღსართან I გარდა მონაწილეობდნენ სომეხთა მეფე კვირიკე და თბილისის ამირა. მოკავშირეებმა ააოხრეს ქართლი, უკან დაბრუნებისას სულტანმა ალფ-არსლანმა თბილისი და რუსთავი მისცა განძის ამირა ფადლონს. ერთი წლის შემდეგ (1068), როდესაც ბაგრატის ლაშქარმა დაამარცხა განძის ამირა

---

229 В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 94—95.

230 მატიანე ქართლისა, ქ ც ბ ა, 1, გვ. 309.

231 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 153; მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 169.

232 ციტირებულია რ. კ ი კ ი ნ ა ძ ი ს მიხედვით, იხ. დასახ. წერილი, გვ. 116.

ფადლონი, იგი გარბის, მაგრამ მას კახეთში, ერწოში, შეიპყრობენ და მიჰგვრიან აღსართანს თელავს. ეს უკანასკნელი მას ხორნაბუჯის ციხეში შეამწყვდევს, ხოლო შემდეგ კი გადასცემს ბაგრატ IV, რის სანაცვლოდ აღსართანი იღებს ციხეებს უჯარმას და ბოჭორმას[233]. ფადლონის ლაშქრობას და შეპყრობას აგვიწერს აგრეთვე მუნეჯიმბაში[234]. როგორც ვხედავთ, კახეთ-ჰერეთის სამეფო აქტიური მონაწილეა იმ პოლიტიკური ბრძოლისა, რომელიც წარმოებს კავკასიის ცალკეულ ფეოდალურ-პოლიტიკურ ერთეულებს შორის ჰეგემონობისათვის. მნიშვნელოვან როლს თამაშობს კახეთ-ჰერეთის სამეფო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში გიორგი II მეფობის ხანაშიც (1072—1089). 1073 წელს, როდესაც გიორგი II დიდგვარიანი მოხელეები ნიანია ქუაბულის ძე, ივანე ლიპარიტის ძე და ვარდან სვანთა ერისთავი აუჯანყდნენ და „აუშალეს ქუეყანა“, კახეთ-ჰერეთის სამეფო ივანე ლიპარიტის ძეს უბრძანა მხარს გიორგი II წინააღმდეგ: „ივანე მოირთნა კახნი და დადგა ქსნის პირსა“[235]. ხოლო ივანე ლიპარიტის ძის მეორედ განდგომისას კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართანი უკვე გიორგი II მოუვიდა მეშველად: „მატიანე ქართლისაჲ“-ს მოთხრობით, როდესაც — „კუალად გადგა ივანე ლიპარიტის ძე, და ცნა გიორგი მეფემან, ქუთაისით ვარდმოვიდა სამცხეს, მოირთანა მესხნი, გარდმოიარა და მივიდა სამშვილდეს კარსა. მუნ მოიყვანა კახთა მეფე აღსართან“[236]. უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართან I გიორგი II ჰშველის ისეთ დიდ განსაცდელის ჟამს, როგორიც იყო 1074 წელს თურქ-სელჯუკთა სულტნის მელიქ-შაჰის შემოსევა. როგორც „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი მოგვითხრობს, მელიქ-შაჰმა სამშვილდის აღებისა და ქართლის აოხრების შემდეგ, გიორგი II წინააღმდეგ ბრძოლის გასაგრძელებლად დატოვა სარდალი სარანგი ალხაზი მრავალრიცხოვანი ლაშქრით. და აი, „შემდგომად მცირედის ხანისა შეკრბა სარანგი ყოველთა ლაშქრითა მისითა... და მომართა გიორგი მეფესა. შეკრბა გიორგი მეფეთ-მეფე ყოვლითა სპითა მისითა, ზემოთა და ქუემოთა, და მოიყვანა მათ წინაშე აღსართან, კახთა მეფე... განაძლიერა გიორგი მეფე... მოუხდა ზედა, ფარცხის ქუემოდ, და იოტა ბანაკი სარანგისი“[237]. მელიქ-შაჰისა და სარანგის შემოსე-

---

233 მატიანე ქართლისა, ქცბა, 1, გვ. 310—312, შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, 11, გვ. 153—155.

234 Ахмед-Ибн Лютфуллах (Мунадджим-Баш), «Джами Ад-Дувал», § 17.

235 ქცბა, I, გვ. 316.

236 იქვე, I, გვ. 316.

237 იქვე, I, გვ. 317.

ვაზე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც მოგვითხრობს, მაგრამ იგი აღსართან I, კახეთ-ჰერეთის მეფის მონაწილეობაზე ამ ბრძოლაში არაფერს გვეუბნება[238]. ვახუშტი ბაგრატიონი კახეთ-ჰერეთის მეფის, აღსართან I მიერ გიორგი II გაწეულ დახმარებაზე (ივანე ლიპარიტის ძის და თურქ-სელჯუკთა ბრძოლის დროს) ორიოდე სიტყვით გვიამბობს: „ამანვე აღსართან უშველა გიორგი მეფესა ლიპარიტსა და სარკინოზთა ზედა"[239].

XI საუკუნის 80-იანი წლებისათვის თურქ-სელჯუკთა შემოსევები საქართველოზე კიდევ უფრო გაძლიერდა. ამჯერად ისინი ორი მიმართულებით უტევდნენ საქართველოს — ერზერუმიდან და აზერბაიჯანიდან. გიორგი II ვერ მოაწყო მათ წინააღმდეგ სისტემატური ბრძოლა, რის შედეგიც ის იყო, რომ იგი იძულებული შეიქმნა პირადად ხლებოდა მელიქ-შაჰს, მორჩილება გამოეცხადებინა და მისი მოხარკეობა ეკისრა. ყოველივე ამის სამაგიეროდ მელიქ-შაჰმა კახეთი და ჰერეთი მის სამფლობელოდ ცნო, რომელთა დასაპყრობადაც დიდძალი ლაშქარი გამოატანა. 1080 წელს გიორგი II პირადად მიუძღოდა ამ ლაშქარს ჰერეთისა და კახეთის დასაპყრობად. დავითის ისტორიკოსი მოგვითხრობს — „ყოველი სათხოველი აღუსრულა მეფესა გიორგის, უმეტესად სასოებისა. და სამეფო მისი თავისუფალ ჰყო, ზედამარბეველთაგან და მისცა კახეთი და ჰერეთი, გარნა ხარაჯა ითხოვა სამეფოსა მისისა, რომელსა აიღებდეს ყამთა მრავალთა... და წარმოაყოლნა სპანი დიდნი, რათა წარვლონ გზა მშვიდობისა და რათა აართვან კახეთი"[240]. როგორც ვხედავთ, გიორგი II კახეთ-ჰერეთის შემოერთებისათვის სრულიად მიუღებელი გზა აურჩევია: თურქ-სელჯუკები, რა თქმა უნდა, საქართველოს გამაერთიანებლების როლში ვერ გამოვიდოდნენ. თურქ-სელჯუკთა ლაშქარმა, გიორგი II წინამძღოლობით ვეჟინის ციხეს ალყა შემოარტყეს, რომელიც შემოდგომიდან ვიდრე გაზაფხულამდე გრძელდებოდა. ციხის აღება მაინც ვერ შესძლეს. სამაგიეროდ თურქ-სელჯუკებმა საშინლად ააოხრეს ჰერეთი, განსაკუთრებით კი სუჯეთი. ნახევარი საუკუნის შემდეგაც კი, როდესაც წერდა დავითის ისტორიკოსი, ეს მხარე ისევ მოოხრებული იყო: „და ყამსა სთულისასა მოვიდეს კახეთად და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა და, ვიდრე ბრძოდესღა, მოვიდა თოვლი. ხოლო მეფესა გიორგის — მოეხსენა ნადირობა აჯამეთისა, არღარას ზრუნავდეს სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეჟინისასა და კახეთისა, არამედ ლაშქართა თურქთასა, რომელ ჰყვა, მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ჭუე-

---

238 ი ქ ვ ე, I, გვ. 318.

239 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 153.

240 ქ ც ბ ა, I, გვ. 321.

ყანა იორის პირი კუხეთი, რომელიც მოოჯრდა მუნ დღეინდელად დღემდე"[241]. აფხაზთა და ქართველთა მეფისაგან შევიწროებულმა აღსართანმა, იმისათვის, რომ როგორმე შეეჩერებინა ქვეყნის რბევა-ოხრება, დახმარებისათვის იმავე მელიქ-შაჰს მიმართა. გამოეცხადა მას და მიიღო ისლამი. მელიქ-შაჰმა კახეთ-ჰერეთი ამჯერად აღსართანს დაუმტკიცა: „მათ ჟამთა კახთა მეფე აღსართან წარვიდა მალიქშას წინაშე, დაუტევა ქრისტიანობა და შეეძინა სარკინოზთა სჯულსა, და ამით ლონითა აიღო სულტანისაგან კახეთი"[242]. ვახუშტიც აღნიშნავს: „შემდგომად გიორგი მეფის მოსვლისა სულტანიდამ და სპათა შემოკლისა ვეჟინის ციხისაგან წარვიდა ესევე აღსართან წინაშე სულტნისა და უმეტესად დაიმტკიცა და წინა დაიცვითა რჯულითა მაჰმადისათა, ამისთჳს მისცა მასვე სულტანმან ჰერეთი და კახეთი. მერმე მოვიდა და დაიპყრა ორივე და მართვიდა თვით"[243]. აღსანიშნავია რომ, აღსართან I მიერ ისლამის მიღების შესახებ ცნობა დაცულია აგრეთვე „მატიანე ქართლისაჲ"-შიც და ვახუშტთანაც, მათი მოთხრობით, ეს ამბავი ხდება ალფ-არსლანის ჰერეთში 1068 წელს შემოსევისას. დავითის ისტორიკოსი და იგივე ვახუშტიც მოგვითხრობენ რა 1080—1081 წლების ფაქტებზე, გვატყობინებენ აღსართანის მიერ ისლამის მიღებას, როგორც ახალ მოვლენას. ამრიგად, კახეთ-ჰერეთის შემოერთების ცდები გიორგი II დროსაც მარცხით დამთავრდა. მისი საბოლოო შემოერთება შესაძლებელი ხდება დავით აღმაშენებლის დროს.

(აღსართან I შემდეგ, კახეთ-ჰერეთში კვირიკე IV მეფობს (1084—1102). მის შესახებ ჩვენ მცირე ცნობები გაგვაჩნია. დავითის ისტორიკოსი და ვახუშტი ბაგრატიონი სულ რაღაც ორიოდე სიტყვით გადმოგვცემენ მისი მეფობის ხანას. როგორც ზოგიერთ დოკუმენტური წყაროდან ჩანს, კვირიკე IV მეფობის ხანისათვის კახეთ-ჰერეთისა და აფხაზთა და ქართველთა სამეფოების კულტურულ-რელიგიური ერთიანობა კიდევ უფრო განვითარებულა და მყარ საფუძველზე დამდგარა. ამის საუკეთესო მოწმობაა კახეთ-ჰერეთის მეფის კვირიკე IV სამწირველოს არსებობა ქართლში — შიო მღვიმის მონასტერში[244]. სწორედ ამ კვირიკე IV მეფობის უკანასკნელ წლებში იწყებს

---

[241] ქ ც ბ ა, 1, გვ. 321—322.

[242] დავითის ისტორიკოსი, ქცბა, 1, გვ. 322.

[243] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 155.

[244] შიო მღვიმის მონასტრის კრებულისაგან ტოხუასძეებისადმი ბოძებული სიმტკიცის სიგელი თამარ მეფის დროისა; შიო-მღვიმის მონასტრის კრებულისაგან იოანესა და ზოსიმესადმი ბოძებული სიმტკიცის წიგნი — თ. ჟორდანია — ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, თბილისი, 1896, გვ. 23—25, 58—62.

დავით აღმაშენებელი დიდმნიშვნელოვან საქმეს — კახეთ-ჰერეთის შემოერთებას. 1101 წელს დავითმა კვირიკე IV ზედაზენის ციხე წაართვა: „მისცა ჟამი ღმერთმან მეფესა დავითს და წარუღო კვირიკეს ციხე ზედაზენი. ქორონიკონი იყო სამჯს ოცდასამი“[245]. 1102 წელს კახეთ-ჰერეთის სამეფო ტახტზე აღსართან II ავიდა (1102—1105). დავითის ისტორიკოსის მიხედვით იგი კვირიკეს ძმისწულია,[246] ხოლო ვახუშტის ცნობით კი „ძე კვირიკესი“[247]. ეს აღსართან II უნდა იგულისხმებოდეს თოღის (მაჭის) ციხიდან წამოღებული ქვის ფილაზე ამოჭრილ ასომთავრულ წარწერაში. წარწერა ძალზე დაზიანებულია, პალეოგრაფიული ნიშნებით, იგი შესრულებულ უნდა იყოს XII საუკუნის ფარგლებში. მასში გარკვევით იკითხება კახეთ-ჰერეთის მეფის სახელი და ტიტულატურა: „ახსართან... რანთა და კახთა მფლობელი“[248]. აღსართან II მეფობის ხანაში, დავით აღმაშენებელი აქტიურ ღონისძიებებს ხმარობს კახეთ-ჰერეთის საბოლოოდ შემოერთებისათვის. დავით აღმაშენებელმა „ჰერეთ-კახეთის შემოერთება საქართველოსთან უპირველეს საქმედ დაისახა... დავითი შეესაქმა საქართველოს გაერთიანების მომხრე ჰერ-დიდებულებს“[249]. 1103 წელს ჰერეთის ფეოდალებმა ჰერეთ-კახეთის მეფე აღსართან II შეიპყრეს და დავითს მიჰგვარეს. დავითმა ჰერეთ-კახეთი აფხაზთა და ქართველთა სამეფოს შემოუერთა. სელჩუკიან თურქთა სულტანი დიდმოხელე განძის ათაბაგი ფიცხლავ წამოვიდა დავით მეფის წინააღმდეგ. ქართველთა მეფე მტერს ჰერეთში—ერწუხს—დაუხვდა, სასტიკად დაამარცხა ის და უკუაქცია (1104 წ.). დავითის ისტორიკოსი მოგვითხრობს: „რამეთუ ესე აღსართან, კახთა მეფედ ხსენებული, შეიპყრეს ჰერთა დიდებულთა, არიშიანმან და ბარამ, და დედის ძმამ მათმან ქავთარ ბარამის ძემან, და მოსცეს მეფესა. და აღიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი, და ერწუხს ქნნა წყობანი დიდნი და ხმაგასმენილი იგი დიდი ძლევა, რომელ მცირედითა ლაშქრითა და განწირულითა ერითა დახოცნა სულტნისა იგი ურიცხვი სპანი, ათაბაგი განძისა და უმრავლესი კახთა და ქუეყანისა ერი, მტერთავე თანა გარემოდგომილ ჩუენდა... ესრეთ რა თვითმპყრობლობით დაიპყრა ჰერეთი და კახეთი და ნებიერად აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი, მზეებრ მოჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკვიდრთა ქუეყანისათა“[250]. შემოსაერთებელი

---

245 დავითის ისტორიკოსი, ქცბა, I, გვ. 326.

246 ქ ც ბ ა, I, გვ. 236.

247 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 153.

248 თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, გვ. 25.

249 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 255.

250 ქ ც ბ ა, I, გვ. 329.

რჩებოდა ჰერეთის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონი (გიშის რაიონი). და აი, 1117 წელს დავითმა „დაიპყრნა გრიგოლისძენი, ასამ და შოთა, და აღიღო ციხე გიში“[251]. ეს გრიგოლისძენი ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელნი იყვნენ, რომელნიც გიშში ჯერ კიდევ VIII საუკუნეში დამკვიდრდნენ. ამ დინასტიის წარმომადგენელნი დამოუკიდებელი ჰერეთის სამეფოს არსებობის პერიოდში მეფეებად გვევლინებიან, ხოლო როდესაც ჰერეთი გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ფარგლებში შეეიდა, მაშინ მათ ჰერეთის ერისთავებად ვხედავთ.

1123 წელს, როდესაც დავითმა დაიპყრა „სრულიად ყოველი შარავანი“, იქ თავისი მმართველობის ყუზრუნველსაყოფად, „დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჰერნი და კახნი“[252]. დავითის ისტორიკოსის ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ გასული 20 წლის მანძილზე (1103—1123 წწ.) ჰერეთ-კახეთის პოლიტიკური შერწყმა გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოსთან უკვე საბოლოოდ დასრულებულ და ფორმირებულ მოვლენას წარმოადგენს. ამ პერიოდს მიეკუთვნება დავით აღმაშენებლის ერთი წარწერა, გელათის მონასტრის ერთ-ერთ მცირე ჯვარზე, რომელშიც დავითი იხსენიება როგორც „ჰერთა“ მეფე. ჯვარი XVII საუკუნის ნამუშევარს წარმოადგენს, მაგრამ მის ქვედა ნაწილზე მიკრულია ფირფიტა ძველმთავრული წარწერით, სევადით გამოყვანილი. ეტყობა, ეს წარწერა სხვა, უკვე გამქრალი, XII საუკუნის ჯვარიდანაა აღებული. ამას გვამცნობს წარწერის შინაარსი და პალეოგრაფიული ხასიათიც. წარწერა ასე იკითხება: „ღმერთო, ყოვლიისა დამბადებელო, ადიდე შენ მიერ გუირგუინოსანი დავით აფხაზთა და ქართველთა, ჰე(რ)თა და კახთა მეფე, მზე ქრისტიანეობისა, ამიჳნ“[253].

როდესაც ჩვენ ვეხებით დავით აღმაშენებლის მიერ ჰერეთ-კახეთის სამეფოს შემოერთების საკითხს, განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დავითმა ჰერეთი, როგორც მისი თანამედროვე ისტორიკოსი გადმოგვცემს, „თვითმპყრობლობით დაიპყრა“, ე. ი. დავით აღმაშენებელმა ჰერეთი უშუალოდ, სამეფოდ დაიპყრო, სამეფო-სახასო ქვეყნად ცაქცია, სადაც თავისი მოხელეები დასხა. ეს საერთოდ დავითის პოლიტიკის დამახასიათებელი თვისე-

---

[251] ი ქ ვ ე, I, გვ. 334.

[252] ი ქ ვ ე, 1, გვ. 345.

[253] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დავით აღმაშენებლის ერთი წარწერის წაკითხვისათვის, საქ. მეც. აკად. მოამბე. X, № 8, 1949, გვ. 509.

ბა იყო[254]. ჰერეთი სამეფო სახასო ქვეყნად ჩანს დავითის მეფობის მთელ მანძილზე და დემეტრე I დროსაც. მდგომარეობა იცვლება გიორგი III და განსაკუთრებით კი თამარის დროს. როგორც წყაროებიდან ჩანს, ამ პერიოდიდან ხდება ჰერეთის ერისთავებზე გაცემა, ე. ი. იგი იქცევა საერისთაო ქვეყნად.

XII საუკუნის მეორე მეოთხედიდან ჰერეთის ისტორიაში ახალი ხანა იწყება, ამიერიდან იგი საბოლოოდ მოქცეულია გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ფარგლებს შიგნით. ჰერეთი საქართველოს ორგანული და გაუყოფელი ნაწილი ხდება, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ, კულტურულსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

---

[254] შდრ. ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო ურთიერთობაში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1955, გვ. 181.

თავი IV

ჰერეთის სოციალურ-ეკონომიური განვითარება უძველესი დროიდან ვიდრე XII საუკუნის I მეოთხედამდე

§ 1. ანტიკური ხანის ჰერეთის სოციალური განვითარების ზოგიერთი საკითხი

ჰერეთის სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიის საკითხების კვლევა სპეციალურად ჯერჯერობით არავის უწარმოებია. ამდენად ცალკე წიგნი ან გამოკვლევა ამ საკითხის შესახებ არ არსებობს. ჰერეთის ფეოდალური საზოგადოება ყოველთვის იყო ერთიანი ქართული ფეოდალური საზოგადოების „სისხლხორცეული", (ორგანული) ნაწილი (რა თქმა უნდა, გარკვეული სახის ლოკალური თავისებურებების მქონე), და ამიტომ ჰერეთის ისტორიის (თუნდაც ჰერეთის დამოუკიდებელი სამეფოს არსებობის პერიოდის) არცერთი საკითხის შესწავლა ისე არ შეიძლება, თუ გათვალისწინებული არ იქნება საქართველოს სხვა ნაწილების სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის შესაბამისი მოვლენები. აქედან გამომდინარე, ჰერეთის სოციალურ-ეკონომიური განვითარების საკითხების კვლევისას, ჩვენ ვითვალისწინებდით და ვემყარებოდით დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილ ისეთ ფაქტებს, რომლებიც ეხებიან საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბებას და განვითარების გზას.

ადრეფეოდალური ხანის ჰერეთის სოციალურ-ეკონომიურ ისტორიის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის ახსნისათვის აუცილებელია ყურადღების გამახვილება ჰერეთის წინაპერიოდის ისტორიის მთელ რიგ სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ მომენტებზე.

როგორც ჩვენ დადგენილი გვაქვს ქართველთა მონათესავე ჰერული ტომები: თვით ჰერები, სუჯები, ლბინები და ჭილბები წარმოადგენენ იმ ეთნიკურ ჯგუფებს, რომლებიც თავდაპირველად, გარკვეულ პერიოდში, სხვა მრავალრიცხოვან ტომებთან ერთად ალბანურ

გაერთიანებაში შედიოდნენ, მაგრამ მათი გამოსვლა ალბანურ ტომთა გაერთიანებიდან და პოლიტიკურ-კულტურული შერწყმა იბერებთან ძალზე ადრე დაიწყო. განსაკუთრებით ინტენსიური ხდება ეს პროცესი ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც წარმოიქმნა ქართლის (იბერიის) ადრეკლასობრივი სახელმწიფო. უნდა აღინიშნოს, რომ „არ შეიძლება გამოირიცხოს ჰერების როლი იბერიის სამეფოს ჩამოყალიბების პროცესშიც; ამ მხრივ განსაკუთრებით მჭიდროდ დაუკავშირდა ჰერეთის ისტორია და პოლიტიკური ცხოვრება საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციას —კახეთის ისტორიას"[1]. ძლიერი ქართლის (იბერიის) სამეფოს ხელისუფლებმა თავიდანვე დაიწყეს ზრუნვა მათი მონათესავე და უშუალოდ მოსაზღვრე ჰერული ტომების თავიანთი გავლენის სფეროში მოქცევისათვის.

ჩვენ ზემოთ არა ერთი მაგალითი გვაქვს მოტანილი ისტორიული წყაროებიდან იმის დასადასტურებლად, რომ იბერიის სამეფოს ჩამოყალიბების დროიდან მოყოლებული აშკარად იგრძნობა ქართლის სამეფოს სწრაფვა აღმოსავლეთისაკენ. აკად. გ. მელიქიშვილის სიტყვით: „Уже на заре существования восточногрузинской государственности в состав Картлийского царства входили также западные области древней Албании»[2].

აკად. მელიქიშვილის აზრით, ქართლის ექსპანსიას და წინსვლას აღმოსავლეთი რაიონებისაკენ აპირობებდა და ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ალბანეთის დასავლეთი ოლქების მოსახლეობა თავისი სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონით საგრძნობლად ჩამორჩებოდა ქართლის სამეფოს მოსახლეობას. იგი წერს: «Продвижению Картлийского царства в этом направлении способствовало то обстоятельство, что по уровню своего социально-экономического развития население этих областей значительно отставало от ведущего населения Картлийского царства. Жившие восточнее от Картли албанские племена все еще находились в условиях первобытно-общинного строя и сильной политической раздробленности... К середине 1 в. н. э. образование крупного союза албанских племен было лишь недавно происшедшим событием. До этого на данной территории царила большая политическая раздробленность: существовало несколько десятков племенных обьединений»[3].

---

[1] რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი, — მას. საქ. და კავკ. არქეოლოგიისათვის, II, 1959, გვ. 40.

[2] Г. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 296.

[3] Г. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 296.

ახ. წ. ა. პირველი საუკუნეებისათვის ჰერული ტომები ალბანური სახელმწიფოს პოლიტიკური წარმონაქმნის ორბიტაში, საფიქრებელია, უკვე აღარ იგულისხმებოდნენ. ალბანეთის დასავლეთ სექტორებში მოსახლე ჰერული ტომების ტერიტორია (ე. ი. ჰერეთი) აღნიშნული ხანისათვის ქართლის სახელმწიფოში შემავალ ქვეყნად არის სავარაუდებელი. ამ ფაქტს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჰერეთის სოციალური განვითარების მთელი რიგი მომენტების ასახსნელად.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შემუშავებულია წარმოდგენა, რომ ალბანეთი საზოგადოებრივი განვითარების დონით ჩამორჩებოდა მის მეზობელ იბერიას და სომხეთს[4]. ერთ-ერთ უახლეს გამოკვლევაში ალბანეთის ძველი ისტორიის მკვლევარი კ. ტრევერი ადარებს რა ქართლისა და სომხეთის მონათმფლობელური სახელმწიფოს სოციალური განვითარების დონეს ძვ. წ. ა. I ს.—ახ. წ. ა. III საუკუნეების ალბანეთისას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ «Развитие общинно-рабовладельческих отношений, которые сложились к I в. до н. э., проходило в Албании замедленными темпами; по-видимому, оно вообще не дошло до четких форм рабовладельческого общества в I—III вв., как это имело место в Армении. Первобытно-общинные отношения, будучи в Албании более стойкими, пережиточно больше должны были сохраняться в виде сельской общины. Патриархальное рабство (из числа военнопленных) не могло в силу слаборазвитой экономики перейти к тем формам рабовладельческих отношений, которые существовали в соседних странах Закавказья»[5].

მაშასადამე, ქართლის სამეფოსადმი ჰერეთის შემოერთებისას, ამ უკანასკნელში, ჯერ კიდევ სოციალურად განუვითარებელ საზოგადოებასთან უნდა გვქონდეს საქმე. აქ ჯერ კიდევ ძალაში ყოფილა თემური ურთიერთობა. მაგრამ უმჯობესია მივმართოთ უშუალოდ წყაროთა ჩვენებებს.

ძვ. წ. ა. III—I სს. ალბანეთის საზოგადოების სოციალური სტრუქტურის საკითხების შესწავლისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. იალოილუთეფეს კულტურის ძეგლების გამოკვლევას. როგორც ცნობილია, ეს კულტურა ტერიტორიულად ა/კ შუა და აღმოსავლეთ ნაწილზე, მდ. მტკვრისა და ალაზნის ხეობათა ფართო ზოლზე მსხდომ ტომთა თუ ხალხთა კულტურაა ძვ. წ. ა. V—I სს. ამ კულტურის დამახასიათებელი მასალების (უმთავრესად კერა-

---

[4] Вопросы истории ,1958, № 6, გვ. 187.

[5] К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании, Москва-Ленинград, 1959, გვ. 87.

ზიკის) პირველად აღმოჩენის მიხედვით მას იალოილუთეფეს კულტურა უწოდეს. ამის შემდეგ, 1937 წელს, პროფ. გ. ნიორაძემ არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ალაზნის ველზე, წითელწყაროს რაიონში (სოფელი არხილოს კალო). აქ მან დაამოწმა ამ დროისათვის უკვე კარგად ცნობილი იალოილუთეფეს მსგავსი კულტურა და მრავალი პარალელური მასალის მოტანით ალაზნის ველისა და იალოილუთეფეს კულტურას მისცა ერთი ზოგადი სახელწოდება—„ალაზნის ველის კულტურა". მისი დათარიღებით, ალაზნის ველის კულტურა უნდა მიეკუთვნოს ჩვენი წელთაღრიცხვის წინა და დასაწყისის პირველ საუკუნეებს[6]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმჟამად, ალაზნის ველის განათხარი მასალის ნიადაგზე, გ. ნიორაძე არ აყენებდა საკითხს, თუ ვინ იყო ძირითადი მატარებელი კულტურისა, რომელიც გავრცელებული ყოფილა, დადგენილ ხანაში, ამიერკავკასიის ვარკვეულ რაიონებში.

მომდევნო ხანებში არა ერთი მეცნიერი შეხებია აღნიშნული კულტურის ძეგლებს. მრავალი მკვლევარი ცდილობდა დაედგინა ამ კულტურის გავრცელების რაიონი, გადაეწყვიტა მისი ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფებისადმი კუთვნილების საკითხი და გამოეძებნა მისთვის ახალი, უფრო შესაფერისი სახელწოდება. ასე, მაგალითად, სტ. მენთეშაშვილი, რომელიც იკვლევდა ძველ ანაგისა და ყოღოთოს კულტურის ძეგლებს და ამ კულტურის მატარებელი ხალხის ვინაობას, აღნიშნავდა, რომ ე. წ. ალბანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ნაშთების თარიღი (1—0—1 საუკუნეები — პახომოვისა და გ. ნიორაძის მიხედვით), ახლად მოპოვებული მასალების თანახმად, უნდა გადაიწიოს V საუკუნემდის ძვ. წ. აღრიცხვით. გარდა ამისა, იგი აყენებდა საკითხს იმის შესახებ, რომ ამ კულტურის მატარებელი ხალხის ვინაობაზე გაკვრით გამოთქმული აზრი მათი ალბანელობის შესახებ (შარიფოვი, იესენი და სხვა.) დაზუსტებას მოითხოვს. მისი აზრით, ეს ე. წ. ალბანეთის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხი, რომელიც აღნიშნული კულტურის მატარებელი იყო, ძველი კამბეჩოვანელები (ქართველები) არიან[7].

ო. ისმიზადე იალოილუთეფეს კულტურას წმინდა ალბანურ კულტურად თვლის[8]. კ. ტრევერს კი ამ კულტურის მატარებელ ხალხად ალბანურ გაერთიანებაში შემავალი ერთ-ერთი მსხვილი ტომი

---

[6] გ. ნ ი ო რ ა ძ ე, ალაზნის ველის გათხრები, თბ. 1940, გვ. 92.

[7] სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, ძველ ანაგისა და ყოღოთოს კულტურის მატარებელი ხალხის ვინაობისათვის. საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები, 1941, თბ., გვ. 18—19.

[8] O. Ш. И с м и з а д е, Ялойлутепинская культура, Баку, 1956, გვ. 90.

უდინები-უტიები მიაჩნია[9]. ალაზნის ველზე იალოილუთეფეს კულტურის ანალოგიური მასალების აღმოჩენამ საფუძველი მისცა აკად. ს. ჯანაშიას მისთვის ალაზან-იალოილუთეფეს კულტურა ეწოდებინა და მიეთითებინა ჰერეთზე, როგორც ამ კულტურის მატარებელ ტომზე. ს. ჯანაშიას სიტყვებით — „ჰერეთს უნდა მიეპყრას ყურადღება მაშინაც, როცა საკითხი ჩნდება, თუ ვინ იყო მატარებელი იმ კულტურისა, რომელსაც ამჟამად უკვე ალაზან-იალოილუთეფეს კულტურა უნდა ეწოდოს და რომელსაც პროფ. გ. ნიორაძემ ეხლახან ვრცელი მონოგრაფია უძღვნა"-ო („ალაზნის ველის გათხრები", თბ. 1940)[10]. უკანასკნელ ხანებში, ახალი მასალები კიდევ უფრო მტკიცედ და ფართოდ აყენებენ საკითხს ამ კულტურის მატარებელთა ვინაობის შესახებ. რის გამოც, ძველი განსაზღვრანი გადასასინჯი ჩანს კვლავ და უფრო ჰერეთის სასარგებლოდ. საქმე იმაშია, რომ არქეოლოგიური მასალების ძირითადი ბირთვი, რომლებიც ალაზნისა და იალოილუთეფეს ტიპის ძეგლებს მიეკუთვნებიან, ძირითადად ისტორიულ ჰერეთის ტერიტორიაზეა თავმოყრილი (გულგული, შალაური, წინანდალი, ქვემო ხოდაშენი, ანაგა, იყალთო, კურდღელაური, ბუშატი, გურჯაანი, ძველი გავაზი, ჭიაური, ჰერეთის კარი, ქვემო მაღარო, ძველ ანაგა, ყოღოთო, ალაზნის ველი, ელდარი და სხვა). ყოველივე ზემომოტანილი მსჯელობის შემდეგ, ვფიქრობთ, სავსებით მართებულად იქცევიან „საქართველოს არქეოლოგიის" კოლექტიური ნაშრომის ავტორები, როდესაც აღნიშნავენ, რომ ე. წ. ალაზან-იალოილუთეფეს კულტურას „ჰერული კულტურა" უნდა ეწოდოსო[11]. ეს დებულება კიდევ უფრო ღრმად განავითარა და დაადასტურა რ. რამიშვილმა. იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ძირითადი რაიონი, სადაც ამ კულტურასთან დაკავშირებული შედარებით ძველი ფენებია საგულებელი, ე. წ. ჰერეთის ტომით უნდა ყოფილიყო დასახლებული. რ. რამიშვილი წერს: „ძველი სახელწოდებები (იალოილუთეფეს, ალაზნის, ალაზან-იალოილუთეფეს) მართალია, მოგვიანებავენ ერთგვარ საკმაოდ შეზღუდულ გეოგრაფიულ გარემოს, მაგრამ ვერ ასახავენ კულტურის გავრცელებას დროში... ამ ორი პუნქტიდან ცნობილი მასალები ხსენებული კულტურის მხოლოდ ბოლო პერიოდს ასახავენ. ამიტომ ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მივიჩნიეთ დაგვედგინა ძირითადად იმ ეთნიკური მასის ვინაობა, რომლებთაც ძვ. წ. ა. VI—I საუკუნეებში წამ-

---

[9] К. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании, Москва, Ленинград, 1959, გვ. 66, 176.

[10] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, 1952 წ., გვ. 101.

[11] „საქართველოს არქეოლოგია", თბ. სახ. უნ-ტის გამოცემა, თბილისი, 1959, § 12, ანტიკური ხანის ძეგლები აღმ. საქართველოში (ა. აფაქიძე).

ყვანი ადგილი ეკავა ამ კულტურის მომცველ ტერიტორიაზე და კულტურისათვისაც მიგვეცა მათი სახელი. ასეთ ეთნიკურ ერთეულად... მიჩნეული იქნა ჰერები და ძველი სახელწოდებების — იალოილუთეფეს, ან ალაზნის ველის კულტურის ნაცვლად შემოტანილ იქნა ახალი ტერმინი — ჰერული კულტურა"[12].

აღნიშნული კულტურის ძეგლების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ საზოგადოება, რომელსაც ეს კულტურა ეკუთვნოდა, ცხოვრობდა ჯერ კიდევ თემური წყობილების პირობებში, თუმცა უკვე აშკარად შეიმჩნეოდა ამ ურთიერთობის რღვევისა და დაშლის ნიშნები. კერძოდ, არქეოლოგიური მასალა ნათლად გვიჩვენებს ალბანეთის საზოგადოების ღრმა ქონებრივ და სოციალურ დანაწევრებას.

იალოილუთეფეს კულტურის მკვლევარი, აზერბაიჯანელი ისტორიკოსი ო. შ. ისმიზადე აღნიშნავს: «На рубеже нашей эры у албанцев замечается глубокое имущественное и социальное расслоение, о чем можно судить по богатству инвентаря одних и бедности-других погребений изучаемой культуры... Изучение и анализ археологических материалов, выявленных в погребениях Ялойлутепе, сравнение их с находками других более известных культур, ясно показывают на далеко зашедший процесс социальной дифференциации и имущественное неравенство у древних албанцев на рубеже нашей эры... Но несмотря на это, раскола общества на антагонические классы в этот период у них еще не было... Основой социально-экономических отношений у древних албанцев в изучаемый период был обьединенный в союз родоплеменной строй, находившийся на грани его разложения»[13].

ალაზნის ველის კერამიკის საერთო განხილვის შედეგად, პროფ. გ. ნიორაძე დაასკვნის, რომ «ამ კერამიკის მქონე ხალხს კარგად ჰქონდა განვითარებული მიწათმოქმედება, იცოდნენ ვაზის მოვლაც, რაზედაც მიგვითითებს მთელი რიგი სხვადასხვა სახის საღვინე ჭურჭელი.

მიწათმოქმედებაზე მიგვითითებენ თიხის ჭურჭლის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ისეთი ფორმები, მაგალითად, მეტად გრძელნისკარტიანი ხელადები, სამფეხიანი თეფშები, მაღალფეხიანი ბარძიმები, მილნისკარტიანი თუნგულები და სხვა, რომლებსაც მეჯოგეობის მიმდევარი ხალხი ძნელად თუ გამოიყენებდა, ყოველ შემთხვევაში, მათთვის შეუფერებელი იქნებოდა ასეთი ჭურჭელი ყოველდღიური პრაქტიკული გამოყენების მიზნით.

---

[12] რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი, გვ. 40—41.

[13] О. Ш. Исмизаде, Ялойлутепинская культура, изд. АН Азерб. ССР, Баку, 1965 г., გვ. 88—89.

მიწათმოქმედებაზე მიგვითითებს აგრეთვე დიდი რაოდენობა და მრავალხარისხიანობა თიხის ჭურჭლისა კარგად განვითარებული კონსტრუქციული ნაწილებით და მთელი რიგი ჭურჭლის ისეთი სახეები, რომლებიც მხოლოდ მიწათმოქმედი ხალხისათვის იყო აუცილებელი და თანაც პრაქტიკულად გამოსადეგი.

ჩვენ როდესაც ვამბობთ, ალაზნის ველის კერამიკის მქონე ხალხი იყო მიწათმოქმედი, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ისინი მესაქონლეობასაც არ მისდევდნენ, საამისო პირობები, რასაკვირველია, მათ ჰქონდათ და ამის ნიშნებიც მოიპოვება, მაგრამ მიწათმოქმედება მაინც მათთვის იყო მთავარი საარსებო წყარო ცხოვრებისა»[14]. არქეოლოგიური მასალის გარდა, აღნიშნული პერიოდის ალბანეთის სოციალური წყობილების შესახებ წერილობით წყაროებშიც მოიპოვება ზოგიერთი ცნობა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ის ცნობები, რომლებიც დაცულია სტრაბონის ცნობილ თხზულებაში ალბანეთის სოციალური აღნაგობის შესახებ. სტრაბონისეული აღწერილობის მიხედვით ისე ჩანს, რომ ძვ. წ. ა. უკანასკნელ საუკუნეებში, ალბანეთის საზოგადოება ჯერ კიდევ არ ამაღლებულყო კლასობრივი საზოგადოების საფეხურამდე. სტრაბონი ალბანელს აღწერილობას იმით იწყებს, რომ გვამცნობს: „ალბანები უფრო მწყემსები არიან და ახლოს დგანან მომთაბარულ (ცხოვრებასთან), მაგრამ არ არიან ველურები“... სტრაბონის ეს სიტყვები იმას არ ნიშნავს, თითქოს ალბანელები მიწის მოქმედებას არ მისდევდნენ, როგორ ჩანს, მეურნეობის ამ დარგს ინტენსიური ხასიათი არ ჰქონია. მისივე თქმით,—„ისინი ჯეროვნად არც მიწას იყენებენ, რომელსაც მოაქვს ნაყოფი, თვით უნაზესიც კი, აგრეთვე ყოველგვარი მცენარეული — თვით მუდამ მწვანეც კი მოდის, ამისათვის მცირე ზრუნვაც კი არ არის საჭირო, „არამედ ყველაფერი იზრდება დაუთესავად და მოუხნავად“... ხშირად ერთხელ რომ დასთესენ, ორჯერ ან სამჯერ იღებენ ნაყოფს, ხოლო პირველად (ნაყოფი მოდის) ერთი ორმოცდაათად, რკინის გუთანს კი არ ხმარობენ, არამედ ხისას. მთელი დაბლობი უფრო მეტად ირწყვის მდინარეებითა და სხვა წყლებით, ვიდრე ბაბილონიისა და ეგვიპტისა, ისე რომ ზუდამ ბალახს ხედავს თვალი; ამის გამო ის კარგ საძოვრებიანი არის: ამასვე ერთვის სხვაზე უფრო კარგი ჰაერი. ვაზები გაუთოხავი რჩებიან ბოლომდის, სხლავენ კი ყოველ ხუთ წელიწადში, ხოლო ახალ (ვაზებს) ნაყოფი მოაქვთ მეორე წელსვე, (ხრდა) დასრულებულები კი იმოდენა (ნაყოფს) იძლევიან, რომ მეტი

---

[14] გ. ნიორაძე, ალაზნის ველის გათხრები, თბილისი, 1940, გვ. 95—96.

წილი რჩება ზედ ვაზზედვე. საქონელი მათ დიდი ტანისა ჰყავთ, როგორც შინაური აგრეთვე გარეული"[15].

„ადამიანები — განაგრძობს სტრაბონი — სილამაზითა და ასოვნებით გამოირჩევიან, ისინი უბრალოები არიან და არა ვაჭრული (ბუნების); არც მონეტებს ხმარობენ მეტწილად, არც რიცხვები იციან ასზე მეტი, არამედ ეწევიან საქონლის გაცვლა-გამოცვლას და საერთოდ ცხოვრების (საჭიროების) მიმართ გულგრილად არიან. არ იციან ზომისა და წონის სიზუსტე, ომის, საჯელმწიფო წყობილებისა და მიწათმოქმედების (საქმეებში) გულგრილობენ"[16]. განსაკუთრებით საინტერესოდ უნდა მივიჩნიოთ სტრაბონის შემდეგი ცნობა, რომელიც თითქოს ალბანებში კერძო საკუთრების არ არსებობაზე უნდა ლაპარაკობდეს: „ალბანები მოხუცებულობას მეტისმეტად სცემენ პატივს, არა მარტო თავისი მშობლებისას, არამედ სხვებისასაც; ხოლო მიცვალებულებზე ზრუნვა არაა წესი, არც მოგონება, მათთან ერთად ფლავენ ქონებასაც. ამიტომ არ ღებულობენ მამეულ ქონებას და ღარიბად ცხოვრობენ"[17]. სტრაბონის თქვით, მის დროს ალბანელებს უკვე ერთი „მეფე" ჰყოლიათ, ადრე კი ყველა ტომს, თავისი საკუთარი კილოს მქონეს, საკუთარი მეფე ჰყავდაო[18]. ეტყობა, ამ დროს ალბანეთში მსხვილ ტომთა კავშირი ჩამოყალიბებულა.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სტრაბონის ერთი ცნობა: „დაბლობზე ცხოვრობენ იბერიისაგან უფრო მეტად მიწათმოქმედნი, ესენი მშვიდობიანად არიან განწყობილი, არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად ეწყობიან. უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მებრძოლი ბუნების არის, უჭირავს მთიანი მხარე და ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე, რომელთა მეზობლებიცა და ნათესავებიც არიან".[19] როგორც ვხედავთ, სტრაბონი აშკარად ხაზს უსვამს აქ განსხვავების განვითარების დონის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და მთის მოსახლეობას შორის. ბარის მოსახლეობას ის სომხებსა და მიდიელებს ადარებს, მთისას კი სკვითებსა და სარმატებს. აკად. გ. მელიქიშვილის ინტერპრეტაციით, აღნიშნული ცნობა გაგებული უნდა იქნეს ასე: „შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ აქ სტრაბონი იბერებს არ ადარებს მეზობელ ალბანელებს, რომლებთანაც მათ ზოგი რამეით (მაგალითად, შეიარაღებით) ბევრი რამ საერთო ჰქონდათ (XI, 4, 5).

---

[15] სტრაბონის გეოგრაფია, XI, 4, 1, 3. თ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1957, საქ. სსრ მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტი, გვ. 130—132.

[16] ს ტ რ ა ბ ო ნ ი, XI, 4, 4.

[17] ს ტ რ ა ბ ო ნ ი, XI, 4, 8.

[18] ს ტ რ ა ბ ო ნ ი, XI, 4, 6.

[19] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ, 1957, გვ. 128.

თუ კი სწორია სტრაბონის ცნობის იმგვარი გაგება, რომ აქ სტრაბონი ზოგად შთაბეჭდილებას გადმოსცემს ბარის იბერები არმენიელებსა და მიდიელებს ჰგვანან, ხოლო მთის იბერიელები სკვითებსა და სარმატებს, შეიძლება შემთხვევითად არ ჩავთვალოთ, რომ სტრაბონი იბერთა უშუალო მეზობელ ალბანებს გამორიცხავს შედარებიდან—განვითარების დონით მათ შუალედი ადგილი უნდა სჭეროდათ სკვით-სარმატებსა და არმენიელ-მიდიელთა შორის. აქ რომ მარტო ეთნიკურ სიახლოვეს ეხებოდეს საქმე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა, საფიქრებელია, ეთნიკურად არა ნაკლებ ახლო იდგა ალბანელებთან, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიის სკვითებსა და კიმერიელებთან. რაც შეეხება იბერიის ბარის მოსახლეობას, იგი ბერძნებს არმენიელებისა და მიდიელების მსგავსი ეჩვენებოდათ. მიდიელებიცა და სომხებიც ამ დროს განვითარების მაღალ საფეხურზე იდგნენ, მათში ჩვენ ვხედავთ კლასობრივ საზოგადოებას და სახელმწიფოს"[20]. ზემოთმოტანილი სტრაბონის აღწერილობა „საერთოდ სწორად უნდა გვიხატავდეს საწარმოო ძალთა მდგომარეობას ალბანიაში (მიუხედავად იმისა, რომ გაზვიადებული და არარეალური ელემენტებიც მოჩანს ნაწილობრივ). ცხადი ხდება ისიც, რომ... იბერიასთან შედარებით ალბანია უფრო ჩამორჩენილი ყოფილა"[21].

ცნობები ძველი ჰერეთის სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურის შესახებ იმდენად ნაკლულსა და ფრაგმენტარულ ხასიათს ატარებს, რომ ყოველი, თვით უაღრესად მცირე და პატარა დეტალიც კი ყურადღებით და ზედმიწევნით შესწავლას მოითხოვს. ერთ-ერთ ასეთ დეტალს განეკუთვნება სტრაბონის ცნობა ალბანეთის სატაძრო მამულებისა და იეროდულების შესახებ. სტრაბონი გვამცნობს: ალბანელები „ღმერთებად აღიარებენ მზეს, ზევსსა და მთვარეს, გამორჩევით — მთვარეს, მისი სალოცავი არის იბერიის მახლობლად. ქურუმობს კაცი უწარჩინებულესი მეფის შემდეგ, ის განაგებს ტაძრის მიწას (ἱερὰς χώρας), რომელიც დიდია და კარგად დასახლებული, და (ეს პირი განაგებს) მიწასაც და ტაძრის მონებსაც (ἱεροδούλων), რომელთაგან მრავალნი, შთაგონებულნი, წინასწარმეტყველებენ ხოლმე"[22]. სტრაბონის ამ ცნობის გამოყენებისას არა ერთი საკითხი ისმის მკვლევარის წინაშე. პირველი — ეს არის თვით ალბანეთის ამ მთვარის ტაძრის ლოკალიზაციის საკითხი. მეორე — სტრაბონისეული აღწერილობის წყაროების საკითხი. მესამე — როგორი იყო ალბანეთის ამ

---

[20] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ. 150—151.

[21] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, 11, გვ. 151.

[22] ს ტ რ ა ბ ო ნ ი, XI, 4, 7.

სატაძრო მამულების, — როგორც მიწათმფლობელობის ერთ-ერთი ფორმის ბუნება; შემდეგ — ვინ ამუშავებდა ტაძრის ამ „დიდსა და კარგად დასახლებულ“ — მამულს? როგორი წარმოებითი ურთიერთობა არსებობდა ამ მამულებში ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე? მუშაობდნენ მასში თავისუფალი მეთემეები, მონები თუ ყმა გლეხები? დასასრულ — რაც ყველაზე მთავარია და არსებითი — როგორი იყო „იეროდულების“ სოციალური მდგომარეობა. ყველა ამ კითხვებზე პირდაპირი პასუხი საჭუჭაროდ სტრაბონის ტექსტში არ მოიპოვება. არ არის იგი არც სხვა წყაროებში. სტრაბონის ამ ცნობის სწორ ანალიზს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთოდ ჰერეთის სოციალური წყობილების შესწავლისათვის, კერძოდ კი, ჰერეთში ფეოდალური ურთიერთობის გენეზისის საკითხის გარკვევისათვის.

დავიწყოთ მთვარის ტაძრის ლოკალიზაციის საკითხით. აკად. ა. კრიმსკი სტრაბონის მიერ აღწერილ ალბანეთის ცნობილ წარმართულ ტაძარს მთვარისას ათავსებს თანამედროვე ნუხის რაიონში იმ ადგილას, სადაც მდებარეობდა ქალაქი შაქე resp. გიში. იგი წერს: «Имя этого крупного и многолюдного жреческого города в дошедшем до нас тексте «География» Страбона отсутствует. Мы можем догадываться, что это был тот город, который мы знаем потом под именем Шеки»[23].

აკად. ი. ჯავახიშვილი კი, როგორც ცნობილია, აღნიშნავდა — ის მთვარის ტაძარი, რომელიც გამოჩენილი გეოგრაფის სიტყვით იბერიის საზღვარზე მდებარეობდა, შეიძლება სწორედ კახეთში ყოფილიყო[24]. მისი გამოკვლევით, სტრაბონის ამ ცნობაში უძველესი ჩვეულებები და რელიგია ჩანს ჩვენი. ეს ცნობა კიდევ ერთი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენი უძველესი ღვთაება იყო მთვარე, მამაკაცი ღმერთი, რის გაგრძელებასაც ქრისტიანობის დროს ქართული წმ. გიორგი წარმოადგენდა, ხოლო სტრაბონის «გეოგრაფიის» XI, 4, 7 აღწერილი ამბები შეიძლება ხდებოდა დღევანდელ კახეთში, სადაც ეხლა სოფ. აწყურია თავისი ცნობილი წმ. გიორგის ტაძრითა და მთელს აღმოსავლეთ საქართველოში განთქმული დღეობით[25]. აკად. ს. ჯანაშიას მიხედვით, სტრაბონთან «დასახელებული მთვარის ტაძარი იყო სწორედ იმ ადგილას,

---

[23] А. Крымский, Страницы из истории Азербайджана. Шеки. Сборник «Памяти академика Н. Я. Марра». Москва-Ленинград, 1938, გვ. 370.

[24] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, მეოთხე გამოცემა, 1951, თბილისი, გვ. 51.

[25] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. I, მეოთხე გამოცემა, 1951, გვ. 51—54.

სადაც შემდეგში, ქრისტიანულ ხანაში ალავერდის წმ. გიორგის ეკლესია ააშენეს. შემთხვევითი არ არის, რომ იქვეა სოფ. ალვანი და რომ თვით ტაძრის ადგილის სახელწოდებაც ამავე ფუძეზეა აგებული: «ალავერდი» ალვან გვერდის განვითარებაა. სასაზღვრო ხაზი ძველ იბერიასა და ალბანეთს შორის სწორედ აქ გადიოდა. მაშასადამე, ამ სახელწოდებაში მეზობელი ქვეყნის სახელის მოგონება და კვალი შეიძლება ვივარაუდოთ»[26]. აკად. გ. მელიქიშვილის შეხედულებით — «Слова Страбона о том, что этот храм находился «вблизи Иберии», предполагают район непосредственного соприкосновения Албании и Иберии. Так как на юге между Албанией и Иберией в это время вклинилась Армения (Камбисена входила в состав Армении), то Иберия и Албания непосредственно могли соприкасаться лишь к северу от этой области, где то на среднем течении р. Алазани. Вышеназванный албанский храм, вероятно, находился именно здесь. Характеристика Страбоном принадлежащей храму территории («земля-обширная и хорошо населенная») также может указывать именно на Алазанскую долину»[27].

უკანასკნელ ხანებში სტრაბონის მთვარის წარმართული ტაძრის ადგილმდებარეობის შესახებ გამოითქვა, სხვა მოსაზრებაც, რომელიც ეკუთვნის კ. ტრევერს. მისი აზრით, ეს მთვარის ტაძარი შესაძლებელია ყოფილიყო კახის რაიონში, იმ ადგილას, სადაც შემდეგში წარმოიქმნა ყუმის ბაზილიკა. კ. ტრევერი წერს: «Базиличный храм в Куме мог возникнуть на месте языческого храма;... Высказанное мною предположение относительно базилики в Куме основано на сообщении Страбона о том, что в Албании неподалеку от Иберии была расположена храмова область (ἱερὰ χωρα), где находилось святилище, посвященное богине Селене (луне). Не имея оснований говорить, что базилика в Куме была выстроена именно на месте этого древнего храма, все же полагаю возможным нахождение на территории Кахского района не только того храма, о котором говорит Страбон, но и других святилищ, посвященных, быть может, и иным богам"[28].

როგორი აზრთა სხვადასხვაობაც არ უნდა არსებობდეს ზემოდასახელებულ მკვლევართა შეხედულებებში, ერთი რამ მაინც ცხადია: ყველა მათგანის განსაზღვრით, აღნიშნული ტაძარი ისტორიული

---

[26] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, თბილისი, 1949, გვ. 157.

[27] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 409.

[28] К. В. Тревер., დასახ. ნაშრომი, გვ. 300 —302.

ჰერეთის ტერიტორიაზეა საგულვებელი. ჰერეთის ტერიტორია კი, და რა თქმა უნდა მასზე მდებარე მსხვილი სატაძრო გაერთიანებით ან უფრო სწორედ — სატაძრო თემით (ამაში ჩვენ ქვემოთ დავრწმუნდებით) უკვე ახ. წ. ა. პირველი საუკუნეებიდან ქართლის სამეფოს შემადგენლობაში ექცევა და ამიერიდან იგი ყოველთვის აღმოსავლეთ ქართული სახელმწიფოს ორგანული ნაწილია.

სტრაბონის ცნობების გამოყენებისას ერთ-ერთი საკვანძო საკითხი არის მისი წყაროების საკითხი. ავტორს ბევრი ქვეყანა, რომელსაც აგვიწერს, თვით არ უნახავს, ამიტომ მოჰყავს მის შესახებ სხვათა აზრი. ე. ი. იმისათვის, რომ ესა თუ ის ცნობა კარგად გამოვიყენოთ, უნდა ვიცოდეთ თუ ვისია, როდინდელია ის, ე. ი. აუცილებელია პირველწყაროს დადგენა.

ალბანეთის აღწერისას სტრაბონის წყაროთა დაჯგუფება შეიძლება ორად: მისი თანამედროვე ავტორების თხზულებები და მასზე ადრე არსებული მწერლების შრომები.

სტრაბონის ყველაზე უფრო ადრინდელ წყაროთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია გეოგრაფი ერატოსთენე (ძვ. წ. ა. III ს.), რომელიც არაერთგზის არის ციტირებული ალბანეთის აღწერისას. როგორც ცნობილია, ერატოსთენე ითვლება მეცნიერული გეოგრაფიის შემქმნელად. და აი, სტრაბონი სარგებლობდა მისი გეოგრაფიით, რომელიც სამი წიგნისაგან შედგება და რომელმაც მხოლოდ ფრაგმენტების სახით მოაღწია[29]. თავის წყაროთა შორის სტრაბონი იხსენიებს მეტროდორე სკეპსისელსაც (დაიბადა ძვ. წ. ა. II ს. შუაწლებში). ალბანეთის აღწერისას გამოყენებულია აგრეთვე პოსიდონიოსი (ძვ. წ. ა. 140—56 წწ.), რომელიც სტრაბონის წინათაობის მეცნიერთა რიგს ეკუთვნის[30]. დასასრულ, ერთ-ერთი ძირითადი წყარო, რომელსაც სტრაბონი იყენებს ალბანეთის აღწერისას, ეს არის მისი უფროსი თანამედროვე თეოფანე მიტილენელი, იგი იყო პომპეუსის მეგობარი და თან ახლდა მას სომხეთის, იბერიის და ალბანიის ლაშქრობებში (ძვ. წ. ა. 66 წ.). თეოფანე მიტილენელის პომპეუსთან ერთად ალბანეთში ყოფნაზე თვით სტრაბონი მიუთითებს[31]. როგორც ჩანს, ყველაზე უფრო სარწმუნო ცნობებს ალბანეთის შესახებ სტრაბონი თეოფანე მიტილენელის თხზულებიდან იღებდა. ამ ცნობათა ლაკონიურობა და კონკრეტულობა თვალში ეცემა მკვლევარს[32]. და აი, გამორკვეუ-

---

[29] К. Алиев, К вопросу об источниках Страбона в описании древней Кавказской Албании, Доклады АН Азерб. ССР, 1960, т. XVI, № 4, გვ. 415.

[30] К. Алиев, დასახ. ნაშრომი, გვ. 420.

[31] Страбон, XI, 5, 1.

[32] К. Алиев, დასახ. ნაშრომი, გვ. 420.

ლია, რომ სტრაბონის გეოგრაფიის XI წიგნის 4 თავის, 7 პარაგრაფში დაცული მრავალმხრივ საყურადღებო ცნობა ჰერეთის სოციალური აღნაგობის შესახებ (სატაძრო მამულებს და იეროდულებს რომ შეეხება) სწორედ თეოფანე მიტილენელის წიგნიდან უნდა მომდინარეობდეს[33].

გადავიდეთ აღნიშნული ცნობის ანალიზზე.

ალბანეთის იეროდულებზე წყაროში იმდენად ცოტაა ნათქვამი, რომ მის საფუძველზე ძალზე რთული ხდება იეროდულების სოციალური მდგომარეობისა და წარმოშობის გარკვევა. აზერბაიჯანის ძველი ისტორიის მკვლევარი ვ. ლევიატოვი კი პირდაპირ აცხადებდა, რომ «понять на основании сообщения источников только о Гиеродулах Кавказской Албании их социальное положение и их происхождение н е в о з м о ж н о «ввиду отсутствия данных»[34].

ზოგიერთი მკვლევარი კი მთლიანად ყურადღების გარეშე სტოვებდა ალბანეთის იეროდულების საზოგადოებრივი მდგომარეობის გარკვევას (ა. იანოვსკი[35], ვ. ტომაშეკი[36], ს. იუშკოვი[37]). ზემოაღნიშნული მკვლევარნი ეხებოდნენ მხოლოდ ალბანეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ პრობლემებს. სხვადასხვანაირად ესმოდათ იეროდულების სოციალური არსი სტრაბონის რუს მთარგმნელებს. ასე მაგალითად: ვ. ლატიშევიმას თარგმნიდა, როგორც «служитель храма»[38], ფ. გ. მიშჩენკო «священнослужитель»[39], კ. გ. განი «слуги храмов»[40]. თუ ავიღებთ უფრო ძველ მთარგმნელს, მაგალითად ი. შოპენს, — იგი ამ ცნების შესატყვისად ხმარობს «духовенства»[41]. რაც შეეხება სტრაბონის გეოგრაფიის უახლეს რუსულ თარგმანს, რომელიც 1947 წელს დაიბეჭდა, მასში ალბანეთის იეროდულები კვლავ გაგებულია, როგორც «служитель храма»[42].

---

[33] ი ქ ვ ე, გვ 421.

[34] Л е в и а т о в, В. Н. Азербайджан с V в. до н. э. по III в. Изв. АН Азерб. ССР, 1950, № 1.

[35] А. Я н о в с к и й, «О древней Кавказской Албании», Журн. Минист. просвешения, 1846, ч. 11.

[36] Tomaschek, Albania, Paulys RE, I, 1894.

[37] С. В. Ю ш к о в,—К вопросу о границах древней Албании, Исторические записки, т. I, 1937.

[38] В. В. Л а т ы ш е в, Известия древних писателей о Скифии и Кавказе, СПБ, 1890—1895, გვ. 143.

[39] География Страбона, М, 1879, გვ. 513.

[40] Извест. древн. греч. и римс. писателей о Кавказе. Тифлис, 1884, ч. I, გვ. 71.

[41] И. Ш о п е н — Новые заметки на древнюю историю Кавказа и его обитателей — СПБ, 1866, გვ. 403.

[42] ВДИ, 1947, № 4, გვ. 221.

ქართულ ისტორიოგრაფიაშიც ამ ცნების შესატყვისად მკვლევარნი სხვადასხვა ტერმინებს ხმარობენ. ს. კაკაბაძე, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ალბანეთის ამ ἱερὰς χώρας, თარგმნის როგორც «საკულტო ადგილებს», ხოლო ἱεροδούλων-ს კი «საკულტო ყმებად»[43]. აკად. ივ. ჯავახიშვილს ἱερὰ χωρα: ესმის, როგორც «ხატის მამული», ხოლო ἱεροδούλο: კი, როგორც «ხატის ყმები»[44]. აკად. ს. ჯანაშია სტრაბონისეულ ἱερὰς χώρας შესატყვისად ხმარობს «საღვთო მამულს», ἱεροδούλων-ს კი იგი თარგმნის, როგორც «ტაძრის მსახურთ» და იქვე ფრჩხილებში შენიშნავს — «სიტყვა-სიტყვით «ტაძრის, ღვთის მონები»[45]. სტრაბონის გეოგრაფიის ქართველი მთარგმნელი თ. ყაუხჩიშვილი ჩვენთვის საინტერესო ადგილებს ასე გადმოსცემს: «ტაძრის მიწა» და «ტაძრის მონები»[46].

აზერბაიჯანელი ისტორიკოსი აბას-ყული-აღა ბაკიხანოვი[47], ცნობილი ნუმიზმატი ე. პახომოვი [48] და ორიენტალისტი აკად. ვ. ბარტოლდი[49] თავიანთ შრომებში ყურადღების გარეშე სტოვებენ და არ იხილავენ იეროდულების საზოგადოებრივ მდგომარეობას.

ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში იეროდულების საკითხმა ვერ ჰპოვა სათანადო ახსნა-დამუშავება და შესწავლა. არმენოლოგი ნ. ადონცი თავის შრომაში: «Армения в эпоху Юстиниана» (СПБ, 1908г., გვ. 409), სტრაბონისეულ იეროდულებში ხედავს «ტაძრის მონებს», მაგრამ არგუმენტაცია ამ «ტაძრის მონების» საზოგადოებრივი მდგომარეობის გასარკვევად მას არ მოაქვს. შედარებით ვრცლად ჩერდება იეროდულების საკითხზე მეორე წარმომადგენელი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისა ჰეპდინგი, რომელსაც ეკუთვნის სპეციალური სტატია გერმანულ ენაზე იეროდულების შესახებ. ჰეპდინგი ერთგვარად აჯამებს მის წინამორბედ მკვლევართა შეხედულებას იეროდულიზმის შესახებ და მოაქვს ამასთანავე საკმაოდ დიდი ფაქტიური მასალა იეროდულებზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ვერც ჰეპდინგმა შესძლო მოეცა იეროდულიზმის სოციალური ფესვების ამოხსნა. იგი წერს: «იეროდულები იყვნენ ტაძრის მსახურნი, რომელნიც იმყოფებოდნენ ტაძრისადმი (ღვთისადმი) დამო-

---

[43] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, წ. 1, 1924, გვ. 52.

[44] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, მეოთხე გამოცემა, 1951, გვ. 50.

[45] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, 1952, გვ. 152.

[46] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 134. -

[47] А. К. Б а к и х а н о в, «Гюлистан-иран», Баку, 1928.

[48] Е. А. П а х о м о в, Краткий курс истории Азербайджана, Баку, 1923 г.

[49] В. В. Б а р т о л ь д, «Место прикаспийских областей в истории мусульманского мира», Баку, 1924.

კიდებულებაში»ო[50]. როგორც ვხედავთ, ჰეპდინგი არ ითვალისწინებს იმ მთავარ გარემოებას, რომ იეროდულთა სოციალური მდგომარეობის პრობლემის მკვლევარმა ძირითადი არგუმენტაცია უნდა წარმართოს სწორედ ამ დამოკიდებულების შინაარსის გახსნაზე და მის ისტორიულ განვითარებაზე. ამის შესახებ იგი არაფერს გვეუბნება. მისი აზრით, იეროდულების სოციალური მდგომარეობის ერთადერთ ნიშანს წარმოადგენს მათი რაღაც განუსაზღვრელი და გაურკვეველი დამოკიდებულება ტაძრისადმი.

ალბანეთის იეროდულებზე წერდა აგრეთვე მ. ი. როსტოვცევი თავის ცნობილ მონოგრაფიაში — «გამოკვლევანი რომის კოლონატის ისტორიის შესახებ»[51]. უნდა შევნიშნოთ, რომ დასკვნები, რომლებიც გაკეთებულია ამ შრომაში, ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს მიაჩნდათ შეურყეველ ჭეშმარიტებად. ლაპარაკობს რა ალბანეთის იეროდულებზე, მ. ი. როსტოვცევი მათ საზოგადოებრივ მდგომარეობაში ხედავს ფეოდალური დამოკიდებულების ნიშნებს («Leibeigenschaft») და ამასთან დაკავშირებით ელინიზმის ეპოქის ალბანეთის მთავარის ტაძარს იგი განიხილავს, როგორც ფეოდალურ ორგანიზაციას[52].

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში იეროდულების პრობლემას ვრცლად და დეტალურად შეეხო ზ. იამპოლსკი[53]. ზ. იამპოლსკის სტრაბონის «იეროდულები» მიაჩნია უშუალო მწარმოებლებად და, მათში ხედავს მონებს, როგორც გარკვეულ სოციალურ კატეგორიას. იგი ითვალისწინებს რა სტრაბონის ჩვენებას ალბანეთის იეროდულებზე და აგრეთვე სინქრონულ მასალას მცირე აზიისა და სომხეთის იეროდულების შესახებ, იმ დასკვნამდე მიდის, რომ «древнее население Азербайджана..., проходило тот же путь своего социально-экономического развития, что и другие народы мира, т. е. знало рабовладельческий уклад, во всяком случае, это место Страбона может говорить о наличии храмовых рабов»[54]. სხვა ნაშრომშიც ასევე გარკვევით წერს:

---

[50] Hepding, Hieroduloi, Pauly-wissowa—Kroll. RE, VIII².

[51] M. Rostowzew, Studien zur Geschichte des römischen Kolonates, Leipzig, 1910.

[52] M. Rostowzew, დასახ. ნაშრომი, გვ. 273.

[53] З. И. Ямпольский, Две заметки к трактовке Страбонова текста об Азербайджанской Албании, Изв. Азерб. фил. АН СССР, 1942, № 7, გვ. 71—73; მისივე, «К вопросу о рабовладении в древнем Азербайджане» — Изв. АН Азерб. ССР, СОН, 1958, № 6, მისივე, «О размере храмовой собственности в древней Кавказской Албании». ДАН Азерб. ССР, т. XI, № 12, 1955; მისივე, Древняя Албания, III—I вв. до н. э. Баку, 1962.

[54] З. И. Ямпольский, Две заметки к трактовке Страбонова текста об Азербайджанской Албании, გვ. 73.

«Обширная древнеазербайджанская храмовая область (Кавказская Албания) имела в составе своего населения храмовых посвященных богу, производственно используемых рабов (гиеродулов).

Тем самым..., историк Азербайджана получает основание отметить рабовладение, как составную часть общественного строя древ. Азерб-на»[55].

სხვა ასპექტში განიხილავს იეროდულების საკითხს აკად. ი. მანანდიანი[56]. მისი შეხედულებით «იეროდულები» ყმა-გლეხები არიან. კერძოდ, იეროდულებს იგი ადარებს «სერვებს». «სერვი» კი, როგორც ცნობილია, ის ტერმინია, რომლითაც აღინიშნებოდნენ დას. ევროპის ყმა-გლეხები საშუალო საუკუნეებში. აკად. ი. ა. მანანდიანი ზემოაღნიშნულ დებულებას უმთავრესად იმით ასაბუთებდა, რომ იეროდულების გაყიდვა არ შეიძლებოდა. ი. მანანდიანი წერს: «В трудах последнего времени их считают рабами (როგორც ჩანს, აქ ი. მანანდიანს მხედველობაში ჰქონდა ზ. ი. იამპოლსკის შრომები). Очевидно, потому, что исследователи базируются исключительно на самом термине гиеродул (ἱεροδούλος) «храмовый раб», а не пытаются раскрыть содержание этого термина путем изучения исторического материала. Как известно, филологическая критика установила недавно совершенно определенно спорность и условность терминологии античных писателей, описывающих своеобразные общественные отношения стран востока"[57].

შემდეგ აკად. ი. მანანდიანი განაგრძობს — «Опираясь на изменчивость семантики термина δούλος мне кажется, можно с уверенностью предположить, что и под термином ἱεροδούλοι следует подразумевать не рабов храмов, как обычно полагают, а храмовых людей (λαοί) основная часть которых состояла, вероятно, из зависимых сервов»[58].

აკად. ი. მანანდიანს აღნიშნული მოსაზრების დასამტკიცებლად მოჰყავს შემდეგი საბუთები: 1. სტრაბონის ცნობა პონტოს კომანას იეროდულების შესახებ.

---

[55] З. И. Ямпольский, К вопросу о рабовладении в древнем Азербайджане, გვ. 33.

[56] Я. А. Манандян, «Проблема общественного строя доаршакидской Армении». Исторические записки, 1945 г., № 15, გვ. 7 და შმდ.

[57] Я. Манандян, დასახ. ნაშრ. გვ. 8.

[58] Я. А. Манандян, Проблема общественного строя доаршакидской Армении», გვ. 8.

«При описании храма богини МА, находившегося в понтийском городе Комане, Страбон особо подчеркивает, что в отличие от рабов и крепостных гиеродулы были неотчуждаемы и верховный жрец не имел права их продать. Он сообщает, кроме того, что гиеродулы, обитатели понтийской Команы, жили роскошно и владения их состояли из виноградников»[59].

II საბუთად ი. მანანდიანი იმოწმებს იმავე სტრაბონის ცნობებს იმის შესახებ, რომ: «гиеродулы жили в храмовых городах, городках и деревнях и занимались обработкой предоставленных им участков храмовой земли, что они, будучи подаными царя, не были в полном распоряжении верховных жрецов и что их нельзя было продавать и отчуждать. Из указаний этих, как видим, можно заключить, что гиеродула нельзя считать рабами в подлинном смысле этого слова»[60].

დასასრულ, III დამამტკიცებელ საბუთად მანანდიანი ასახელებს იმ გარემოებას, რომ «при конфискации храмових земель и присоединении их к царской земле Селевкидов (χώρα βασιλική) сидящие на этих землях гиеродулы, как свидетельствуют малоазиатские эпиграфические памятники, превращались не в рабов, а в царских людей (λαοὶ βασιλικοί), т. е. в царских крестьян, которые, как известно, были прикреплены к своей деревне (κώμη)»[61].

აკად. ს. ჯანაშია, როგორც ცნობილია, იბერიაში დიდი სატაძრო მეურნეობის არსებობას ვარაუდობდა, სადაც ძირითადად მონების შრომა უნდა ყოფილიყო გამოყენებული[62]. და აი, ამის მტკიცებისას იგი იყენებდა, კერძოდ, სტრაბონის ცნობას ალბანეთის იმ ტერიტორიაზე, რომელიც იბერიას ემეზობლებოდა, მთვარის ტაძრის არსებობაზე. იგი წერდა: «კონტექსტიდან თითქოს ისეთი დასკვნა გამოდის, რომ მთელი ეს ცნობა მხოლოდ ერთს, იბერიის მახლობლად მდებარე, მთვარის ტაძარს შეეხება. თუნდაც ასე იყოს, იგი მაინც დამახასიათებელია ალბანიის საზოგადოებრივი განვითარებისათვის მთლიანად... აქ ტაძრები უკვე მსხვილი მიწის მფლობელებად გვევლინებიან, რომელნიც თავიანთ მამულების დამუშავებას არათავისუფალ შრომის-ექსპლოატაციის გზით ეწევიან... ამასთან ერთად, ჩვენ ვპოულობთ დასაყრდენს გამოთქმულ მოსაზრებისათვის იმის შესახებ, რომ იბერიაშიც ტაძრები ამ დროს მსხვილი მამულის

---

[59] Я. А. Манандян — დასახ. ნაშრ., გვ. 7.
[60] იქვე, გვ. 8.
[61] Я. А. Манандян, დასახ. ნაშრ., გვ. 7—8.
[62] ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 145 და სხვ.

მფლობელნი უნდა ყოფილიყვნენ—აღწერილ ალბანურ, იბერიის მახლობლად მდებარე, ტაძრის მაგალითი გვარწმუნებს ამაში»[63].

ალბანეთის «იეროდულებს» გაკვრით შეეხო ა. ი. ბოლტუნოვა, რომელმაც აღნიშნა, რომ ჰიეროდულები «не были рабами в прямом смысле слова, а были людьми, жившими на храмовой территории и повинными вносить оброк жрецу»[64].

იეროდულების საკითხზე თავისი მოსაზრება გამოთქვა აგრეთვე ელინიზმის ისტორიის მკვლევარმა ა. ბ. რანოვიჩმა. 1949 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში მას ἱεροδοῦλοι მიაჩნია მხოლოდ «Зависимое население»-დ, რაც ვფიქრობთ უფრო ნაკლებია, ვიდრე ტაძრის მონა, ან ტაძრის მსახური. აი რას წერს იგი პონტოს და ბითვინიის ტაძრის მონათა შესახებ: «Существовали и храмовые земли на которых работало зависимое население, которое Страбон называет (ἱεροδοῦλοι)—рабами храмовыми»[65]. 1950 წელს გამოსულ მეორე შრომის გაცნობის შემდეგ კი, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ა. რანოვიჩს იეროდულები ნამდვილ მონებად ესახება, იგი წერს: «Не совсем ясно, каково было применение рабского труда на обширных храмовых территориях... О знаменитом святилище Ма в Комане Каппадокийской Страбон пишет: «Там большое множество боговдохновленных... и храмовых рабов» (ἱεροδούλων). Население (οἱ ἐνοι κουντε) — катаонцы, вообще подчиненные царю, но повинующиеся больше жрецу. Последний распоряжается храмом и храмовыми рабами, которых во время нашего пребывания там было больше шести тысяч, мужчин и женщин. К храму относится также много земли, и доходами (καρπούς) пользуется жрец, занимающий второе место в Каппадокии после царя (XII, 2, 3)»... Из этих сообщений Страбона следует, что земля принадлежавшая храму, за исключением территории самого храма, обслуживалась не рабами, а населением (οἱ ενοικουντες); они «вообще подчинены царю, но повинуются больше жрецу»: Очевидно это не рабы. Но шесть тысяч храмовых рабов на Комане вряд ли были заняты только обслуживанием храма и потребностей культа, очевидно они работали на земле, эксплуатируемой храмами непосредственно, хозяйственным способом"[66].

---

[63] ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 15.

[64] А. И. Болтунова, Описание Иберии в «Географии» Страбона. ВДИ, 1947, № 4, გვ. 157.

[65] А. Б. Ранович, Восточные провинции Римской империи в I—III веков., М.-Л., 1949, გვ. 80.

[66] Ранович А. Б. Эллинизм и его историческая роль, М.-Л., 1950 გვ. 160—161.

საინტერესო გამოკვლევანი მოეპოვება მცირე აზიისა და სომხეთის იეროდულების შესახებ ა. პერიხანიანს. თუ აქამდე ამ საკითხის მკვლევარნი უმთავრესად სტრაბონის ცნობებს ემყარებოდნენ, ა. პერიხანიანმა გააფართოვა პირველწყაროთა წრე და გამოიყენა დიდძალი რაოდენობის ეპიგრაფიკული მასალა, რომელიც აღმოჩნდა ტაძრის მიწებზე და მჭიდრო კავშირი ჰქონდა ამ ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებასთან. აღნიშნული მასალის შესწავლის საფუძველზე იგი იმ დასკვნამდის მიდის, რომ ამ ტაძრებში ექსპლოატირებული მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენდნენ «იეროდულები». ეს უკანასკნელნი კი მისი განმარტებით იყვნენ: «общинно-храмовые рабы». «Иеродулы, храмовые рабы, являлись общинной собственностью храмовых общин и как таковые не могли быть отчуждаемы». გარდა ამისა, ა. პერიხანიანის აზრით, ამ მსხვილ სატაძრო გაერთიანებაში, იეროდულების გვერდით: «непосредственными производителями в значительной мере являлись общинники зависимых деревень (храмовые крестьяне)» და რომ საერთოდ «население храмовых обьединений отличались социальной неоднородностью»[67].

სტრაბონის გეოგრაფიის ქართველი მთარგმნელი თ. ყაუხჩიშვილი თავის კომენტარებში ტერმინ —«ἱερόδουλος» ასე განმარტავს: «ეს ტერმინი მეტწილად გვხვდება კაპადოკიასა, ფრიგიასა და პონტოში. არის ალბანიასა და სიცილიასთან დაკავშირებითაც... ვინ არიან თავისი მდგომარეობით ეს ἱερόδουλοι? ვფიქრობ «მონები», რომლებიც განსხვავებით სხვა «მონებისაგან» ტაძრის ტერიტორიაზე ცხოვრობენ და ქურუმს ემორჩილებიან... ἱερόδουλοι: არის «ტაძრის მონა» თავისი მდგომარეობით განსხვავებული, ერთგვარად პრივილეგირებული რომაელ კლასიკურ მონათაგან»[68]

1956 წელს გამოსული «მსოფლიო ისტორიის» II ტომის ავტორები ასეთ ინტერპრეტაციას აძლევენ სტრაბონის ცნობას ალბანეთის სატაძრო მამულებისა და იეროდულების შესახებ: «В экономически наиболее развитой части Албании образовалось храмовое княжество, глава которого—верховный жрец—считался вторым лицом в Албании послé царя. Священная земля, находившаяся под управлением верховного жреца, была густо заселена. Здесь жили храмовые служители (гиеродулы), работавшие на храм»[69].

---

[67] А. Г. Перихания, «Социально-экономическое значение храмовых объединений Малой Азий и Армении с IV в. до н. э. III в. н. э. (დისერტაცია და ავტორეფერატი), Ленинград, 1955, მისივე, «Гиеродулы в храмовых объединений Малой Азии и Армении, ВДИ 1957, № 2, გვ. 50, 53, 61, 68.

[68] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ. 1957, გვ. 55—57.

[69] Всемирная история, том. II, Москва, 1956, გვ. 417.

სტრაბონისეული ალბანეთის მთავარის ტაძრის მამულების «სამთავროდ» წარმოდგენა, ვფიქრობთ, ერთობ საეჭვოა. აქ ჩვენ, როგორც ამაში დავრწმუნდებით, საქმე უნდა გვქონდეს თემური მიწათმფლობელობის სახესხვაობასთან.

1955 წელს, აკად. ვ. მელიქიშვილმა, ალბანეთის სატაძრო მამულებისა და იეროდულების საკითხთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ «აქ შეიძლება ტაძრის საკუთრებასთან არ გვაქვს იმდენად საქმე, რამდენადაც სათემო საკუთრებასთან, რომელიც თავს იჩენს როგორც ღვთის, ხატის საკუთრება, ამ მიწების დამმუშავებლები, სავსებით შესაძლებელია, თავისუფალი მეთემეები იყვნენ და არა მონები-ო»[70]. აღნიშნული მოსაზრება აკად. გ. მელიქიშვილმა კიდევ უფრო გააღრმავა და დაასაბუთა 1959 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში — «К истории древней Грузии».

1959 წელს გამოცემულ შრომაში კ. ვ. ტრევერი წერდა: «текст Страбона об албанской храмовой земле и об неродулах мог бы подтверждать точку зрения тех, кто в этих храмовых или «божьих», рабах усматривает членов общины, а не рабов как социальную категорию»[71].

ამგვარად, როგორც ვხედავთ, მკვლევართა აზრები სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI წიგნის, 4 თავის, 7 პარაგრაფის შესახებ მეტისმეტად სხვაობენ ერთმანეთისაგან. ეს გამოწვეულია იმით, რომ ალბანეთის ამ სატაძრო მამულების ბუნება მთლად ნათელი არ არის. სირთულე მდგომარეობს არა იეროდულების ცნების ეტიმოლოგიის გარკვევაში, არამედ იმის ზუსტ განსაზღვრაში, იყვნენ თუ არა ალბანეთის იეროდულები წარმოების მუშაკნი და როგორი იყო მათი სოციალური და უფლებრივი მდგომარეობა. საკითხის გაშუქებას უფრო ის გარემოება აძნელებს, რომ სტრაბონის ცნობაში ალბანეთის იეროდულების შესახებ, არ არის პირდაპირი მითითება სატაძრო მამულების მოსახლეობის ამ ჯგუფის უშუალო მწარმოებლურ როლზე.

ალბანეთის სატაძრო მამულებისა და იეროდულების საკითხის განხილვის დროს, მკვლევარმა ყოველ მოცემულ შემთხვევაში უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული გარემო, დრო, და რაც მთავარია ის ადგილი, სადაც ხდებოდა იეროდულების შრომის გამოყენება. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ერთნაირი სოციალური სტატუსის დაწესება მცირე აზიის, სომხეთის და ალბანეთის იეროდულებისათვის

---

[70] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, 1955, გვ. 159.

[71] К. В. Т р е в е р, Очерки по истории и культуре Кавказской Албании, გვ. 156—157.

ზ. იამპოლსკი, ი. მანანდიანი, ა. პერიხანიანი, თ. ყაუხჩიშვილი და სხვა). მცირე აზიისა და სომხეთის სატაძრო მამულების ორგანიზაციას თავის ეკონომიკაში ალბათ გააჩნდათ სპეციფიკური ნიშნები. ეს მით უფრო ითქმის ალბანეთზე, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

სტრაბონის მიერ აღწერილი ისეთი მსხვილი სატაძრო მამულები, როგორიც იყო მცირე აზიაში კომანა კაპადოკიისა[72], კომანა პონტოსი[73], ანდა სომხეთის ანაიტის ტაძარი აკილისენეში[74], წარმოადგენდნენ კლასობრივი ურთიერთობის თვალსაზრისით საკმაოდ ძლიერ დიფერენცირებულ საზოგადოებას, რომელშიაც თეოკრატიული ზედაფენა და სრულუფლებიანი სატაძრო თემი ექსპლოატაციას უწევდნენ „ტაძრის მონებს" — ე. ი. იეროდულებს და აგრეთვე დაქვემდებარებულ სოფლების მოსახლეობას. აქედან გამომდინარე, ჩვენ ძალზე გვეეჭვება, რომ შეიძლება ყოველივე ამის გავრცელება ალბანეთის სატაძრო მამულების ორგანიზაციაზე. ალბანეთის საზოგადოება იმ ეპოქისა, რომელსაც ეკუთვნის სტრაბონის წყაროს ცნობა, წარმოადგენდა, როგორც ჩვენ ეს ზემოთ ვნახეთ, სუსტად დიფერენცირებულ საზოგადოებას, რომელიც ჯერ კიდევ სავსებით არ გამოსულიყო თემური წყობილების ჩარჩოებიდან. ამიტომ არ შეიძლება მექანიკურად გადავიტანოთ ალბანეთის სატაძრო მამულებზე და იეროდულებზე ის წესები, რომლებიც არსებობდნენ სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის თვალსაზრისით შედარებით უფრო მაღალგანვითარებულ მცირე აზიის და სომხეთის სატაძრო გაერთიანებებში. ჩვენ იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომ ალბანეთის სატაძრო მამულები იმ დროს, წარმოადგენდნენ სუსტად დიფერენცირებულ სატაძრო თემს, რომლის ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ თავისუფალი მეთემეები — სატაძრო მიწების სრულუფლებიანი მფლობელნი. ამჯერად, სწორედ ეს თავისუფალი მეთემეები უნდა იგულისხმებოდნენ „იეროდულების" ქვეშ, რომლებსაც ისევე როგორც „დიდსა და კარგად დასახლებულ ტაძრის მიწებს", განაგებდა აქაური უმაღლესი ქურუმი. ალბანეთის სატაძრო მიწებში, მონების, როგორც სოციალურ კატეგორიის არსებობა მიწისმოქმედთა სახით, ვფიქრობთ, არ შეიძლება[75]. საფირველია, რომ აქ საქმე ეხება არა ცალკე სატაძრო მამულს — სატაძრო მამული აქ ალბათ სათემო მამულს ემთხვევა; თემის მიწა-წყალი ღმერთის, ხატის მიწა-წყლადაა გამოცხადებული.

[72] სტრაბონი, XII, 2, 3.

[73] სტრაბონი, XII, 3, 36.

[74] სტრაბონი, X, 14, 16.

[75] იხ. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 411.

ზემოაღნიშნული მოსაზრების დასაბუთებაში ეთნოგრაფიული მასალებიც გვშველიან. კერძოდ, ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სატაძრო გაერთიანებათა ანალოგიაზე (მხედველობაში გვაქვს ვ. ბარდაველიძის გამოკვლევები). ამ შემთხვევაში მკვლევარის ყურადღებას იქცევს ე. წ. ჯვარისყმობის ინსტიტუტი, რომელსაც ხევსურების საზოგადოებრივ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ხევსურული თემის ყოველი წევრი თავისი სათემო ჯვარის მიმართ განიხილებოდა როგორც მისი ყმა, ხოლო თვით თემი მთლიანად, როგორც მისი საყმო. ამისდა შესაბამისად ხევსურეთში იმდენი საყმო დაითვლებოდა, რამდენიც თემი იყო. ამასთან, ყოველი თემი და თემის ყოველი წევრი ატარებდა თავისებურ თეოფორულ სახელს, რომელშიც საყმო და ყმა სიტყვები არის დამოწმებული. მართალია, „ყმა“ ეს არის სოციალური ტერმინი, რომელიც ფეოდალური საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი და ანტიკურმა საქართველომ არ იცოდა არც ეს ინსტიტუტი და არც სახელწოდება, ვ. ბარდაველიძე მართებულად სვამს საკითხს სიტყვა „ყმის“ ხმარებაზე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მონის მნიშვნელობით[76]. ისიც აღსანიშნავია, რომ ჯვარისყმობის (ანუ ხატისყმობის) ინსტიტუტთან შორეული მსგავსება უჩანს ფეოდალურ საქართველოში ცნობილს საყდრიშვილობის და ხატისშვილობის ინსტიტუტებს. აკად. ნ. ბერძენიშვილის შეხედულებით, ეს ფეოდალური ინსტიტუტები გენეტიკურად ჯვარისყმობას, ანუ ხატისყმობის ინსტიტუტს უნდა უკავშირდებოდნენ[77]. და ბოლოს, ამასთან კავშირში ვ. ბარდაველიძე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ლიტერატურულ და ისტორიულ წერილობით ძეგლებში ფართოდ გავრცელებულია ყმის ხმარება ყრმის, ანუ ბავშვის მნიშვნელობით, რაც ამ სიტყვის ძირეულ გაგებას უნდა შეადგენდეს. და ამ ძირეული გაგებით, ე. ი. ბავშვის აღმნიშვნელი ყმის ოდესღაც მონის მნიშვნელობით ხმარების შესაძლებლობისათვის ჩვენ პარალელი მოგვეპოვება ბერძნულ სიტყვაში παίς (ბავშვი), რომელიც ელინისტურ ეგვიპტეში ფრიად გავრცელებული ტერმინი იყო მონის აღსანიშნავად[78].

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ „იეროდულები“ ყველგან და ყოველთვის არ აღნიშნავდნენ მონებს. ზოგიერთ შემთხვევებში, კერძოდ კი ალბანეთის სატაძრო მამულებში ისინი წარმოადგენდნენ თავისუფალ მეთემეებს, სატაძრო თემის წევრებს.

---

[76] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურული თემი. სტრუქტურა და ჯვარისყმობის ინსტიტუტი, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIII, № 8, 1952, გვ. 498—499.

[77] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 498.

[78] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 499.

ასეთი იყო ჰერეთის სოციალური აღნაგობა, როდესაც ჩვენი წ. ა. პირველ საუკუნეებში, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, იგი, და რა თქმა უნდა, მის ტერიტორიაზე არსებული სატაძრო თემებიც ქართლის სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცნენ. სავარაუდებელია, რომ აქ ადგილი ჰქონდა ჰერეთის სატაძრო თემების დაქვემდებარებას ქართლის კლასობრივად საკმაოდ დიფერენცირებულ საზოგადოების ხელისუფლების მიერ, დაქვემდებარებულ თემთა მიწების სამეფო ფონდში გადარიცხვას, ე. ი. შედარებით გვიან შემოერთებული ჰერეთი უშუალოდ სამეფო გვარისადმი უნდა ყოფილიყო დაქვემდებარებული, ხოლო აქაური მოსახლეობის მწარმოებელი ნაწილი გადასახადვალდებული მეთემე-მიწისმოქმედთა სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი (გადასახადვალდებული, თავისუფლებაშეზღუდული (მოხარკე) თემებისა და ხარკის მიმღები უზენაესი მეპატრონის ურთიერთობა). ეს რომ სწორედ ასე მოხდა, ამაზე ჩვენი აზრით ის ფაქტი უნდა მიგვითითებდეს, რომ რამდენადმე გვიან, IV—VIII საუკუნეებში, ჰერეთში განსაკუთრებით მტკიცე პოზიციები უპყრია სასეფო მიწისმფლობელობას. ჰერეთი ჩვენ წარმოგვიდგება როგორც სამეფო დომენი[79].

როგორ უნდა მომხდარიყო ჰერეთის სატაძრო თემის წევრთა დამორჩილება, მათი გლეხებად გადაქცევა? რეალურად როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ჰერეთის დამორჩილებული თემის წარმოქმნა, რომელიც ხარკს უხდის მიწის მესაკუთრეს? საყურადღებო ჩვენებებს შეიცავს ამ მხრივ ზოგიერთი ქართული საისტორიო წყარო. ლეონტი მროველის თხზულებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ „ხარკს“ იხდიდა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში მყოფი მთიელთა თავისუფალი თემების მოსახლეობა. კერძოდ, მთიელები „მოხარკე ყვნა“ „მცხეთის პირველმა მეფემ“ აზონმა (ქცბა, I, გვ. 19,23). მეფე მირიანმა (IV ს.), როდესაც „მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს“ და „არა ინებეს ნათლის ღება“, „დაუმძიმა მათ... ხარკი“ (ქცბა, I, გვ. 126). როგორც ვხედავთ, აქ „ხარკის“ დადებას ადგილი აქვს დაპყრობის შედეგად[80]. ვფიქრობთ, ასე უნდა მომხდარიყო ჰერეთის სატაძრო თემების მიმართაც, როდესაც ეს უკანასკნელნი დაიპყრო და დაიმორჩილა ქართლის (იბერიის) სამეფო ხელისუფლებმა. თავისუფალ მეთემეთა ყმურ მდგომარეობაში ჩაყენებას, დაპყრობა-დამორჩილების გზით, შესაძლებლად თვლის აგრეთვე ს. ჯანაშია[81].

---

[79] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 412.

[80] იხ. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 419.

[81] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, გვ. 166.

ქართლის სამეფოს მიერ დამორჩილებული ჰერეთის სატაძრო თემების წევრთა („გლეხთა“) საკითხთან დაკავშირებით, გარკვეულ ინტერესს იწვევს ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ტერმინი „საგლეხო“. ხევსურების ცალკეულ თემებს შორის სისტემატური ომიანობა-ბრძოლის პროცესში ხდებოდა ერთი თემის მიერ მეორის დამორჩილება. მაშინ დამორჩილებული თემი გამარჯვებული თემის „საყმო-საგლეხო“ ხდებოდა. დამორჩილებული თემი, თუმცა ინარჩუნებდა შინაგან თვითმმართველობას, ნახევრადკაბალურ მდგომარეობაში ექცეოდა — იხდიდა ყოველწლიურ გადასახადს. ამასთან ერთად დადასტურებულია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დამორჩილებულ თემს ეკისრებოდა აგრეთვე შრომითი ვალდებულება, სახელოსნო სამუშაოების შესრულება და ა. შ. სრულდებოდა აგრეთვე სხვადასხვა რელიგიური რიტუალები, რომლებიც ხაზს უსვამდნენ საყმო-საგლეხოს დაქვემდებარებულ მდგომარეობას. იყო შემთხვევები, როდესაც უფრო სუსტი თემები „ნებაყოფლობით“ შეიიოდნენ უფრო ძლიერი თემის მფარველობაში და მისი „საყმო-საგლეხო“ ხდებოდნენ, უხდიდნენ მას ხარკს და ასრულებდნენ კიდევ სხვა ვალდებულებებს მის მიმართ[82].

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ყოველივე იმას, რაც ზემოთ ითქვა ძველი ჰერეთის სოციალური წყობილების შესახებ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჰერული საზოგადოება თემურობის საფუძველზე იყო მოწყობილი. ჰერეთის უძველესი თემები, ჩვენი აზრით, სატაძრო თემები უნდა ყოფილიყო. სატაძრო თემის წევრებს შეადგენდნენ თავისუფალი მეთემეები, რომელნიც გვესახებიან მატერიალური დოვლათის ძირითად მწარმოებელ მასად ძველ ჰერეთში. ჰერეთის სატაძრო მიწათმფლობელობა განხილულ უნდა იქნას, როგორც სათემო მიწათმფლობელობის ფორმა.

ჰერეთის სოციალური განვითარების მაგისტრალური ხაზი თემური წყობილების რღვევის გზით უნდა წარმართულიყო. სოციალური უთანასწორობის ჩასახვა და მისი შემდგომი განვითარება კი უნდა მომხდარიყო ორი საწყისით: ერთი მხრივ, ადგილი უნდა ჰქონოდა თემის დაშლის შინაგან პროცესს, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ეს ზემოთაც მივუთითეთ, სამხედრო თუ ეკონომიური ზემოქმედების გზით (დაპყრობა-დამორჩილება, „ხარკის“ დადება) უნდა წარმოქმნილიყო დაქვემდებარებული (ექსპლოატირებული) თემები. ყოველივე ამის

---

[82] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურული თემი, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIII, № 8, 1952, იხ. აგრეთვე: Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, გვ. 419.

საფუძველზე უნდა განვითარებულიყო ჰერეთში ადრეკლასობრივი ურთიერთობის ფორმები, რომლებიც შემდგომში, კლასობრივი დიფერენციაციის გაღრმავების შედეგად, უნდა გადაზრდილიყო ფეოდალურ ურთიერთობაში, ფეოდალურ წყობილებაში.

ბუნებრივია დაისმის კითხვა: როგორ წარიმართა ჰერეთის სატაძრო თემების შინაგანი განვითარება მას შემდეგ, რაც ისინი ქართლის სამეფოს დაექვემდებარნენ? რა თქმა უნდა მათი სოციალური სტრუქტურის შინაარსი თანდათან იცვლებოდა და ქვეყნის საერთო ფეოდალიზაციის შედეგად ამ დაქვემდებარებული თემების წევრები ყმაგლეხებად გადაიქცეოდნენ. მოსალოდნელია, რომ ისინი ყმა-გლეხებად გადაქცევის შემდეგაც შეინარჩუნებდნენ თავიანთ სასოფლო-თემურ ორგანიზაციას (ანალოგიურად რუსული „**община**"-სი, გერმანული „**mark**"-ისა). ჰერეთის ტერიტორიაზე ჩვენ ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ასეთ გზას ვვულისხმობთ.

ქართლის სახელმწიფოს შემადგენლობაში მოქცევის შემდეგ ჰერეთი სოციალური განვითარებით დაუახლოვდებოდა საქართველოს სხვა ნაწილებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჰერეთმა მაინც შეინარჩუნა თავისებურება ქართლისა და დასავლეთ საქართველოსაგან განსხვავებული. მაგალითად, მიწის მესაკუთრე ფეოდალისაგან (პატრონისაგან) მიწის ფილების წესის მხრივ (მეედველობაში გვაქვს მიწის საერთო-სასოფლო მფლობელობა). ეს განსხვავება გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმ ფაქტით, რომ საერთოდ ჰერეთში მიწათმფლობელობის გარკვეული სახით ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა გარემოება, კერძოდ, ეს იყო, როგორც ზემოთ დავინახეთ, ჰერეთის საზოგადოების განვითარების თავისებური გზა და სპეციფიკური ისტორიული პირობები, რომელშიც ეს საზოგადოება ყალიბდება.

მკვლევარის ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ საერთო-სასოფლო, ე. ი. თემური მიწათმფლობელობა ჰერეთში ფეოდალური ურთიერთობის პირობებში, საუკუნეების მანძილზე განაგრძობდა არსებობას. სახნავ-სათეს მიწებს აქ უმთავრესად სასოფლო თემი ფლობს. თემური მიწათმფლობელობის გადმონაშთებს ჰერეთში XIX საუკუნეშიც კი დიდი წონა აქვს შემორჩენილი. ამ მხრივ, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის აღწერილობითი მასალა, რომელიც გამოქვეყნდა ნაშრომში— «Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края» (т. I—VII, Тифлис, 1885—1887гг.). XIX საუკუნის 80-იან წლებში სახაზინო ქონებათა სამინისტროს მიერ სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეესწავლა სახელმწიფო გლეხობის ეკონომიური ყოფა ამიერკავკასიაში. სწორედ ამ კომისიის მიერ შეგროვილი მასალების საფუძველზე შეიქმნა

ზემოთ დასახელებული ნაშრომი. თელავისა და სიღნაღის მაზრების შესახებ მასალა შეკრიბა ა. არღუთაშვილმა[83]. არღუთაშვილის მიერ მოტანილი მასალა თვალნათლივ ადასტურებს ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე (შიდა კახეთი, გაღმა-მხარი, ქიზიყი) XIX საუკუნის 80-იან წლებში სახელმწიფო გლეხებს შორის უპირატესად საერთო-სასოფლო (თემური) მიწათმფლობელობის არსებობას. საყურადღებო მასალებს იძლევა ამ მხრივ აგრეთვე 1801—1802 წწ. კახეთის აღწერის დავთარი, რომელიც გ. ბოჭორიძემ გამოაქვეყნა[84]. დავთარს დართული აქვს მის მიერვე შედგენილი ცხრილები. გ. ბოჭორიძის მიერ მოტანილი ცხრილების მიხედვით ასეთი სურათი წარმოგვიდგება XIX საუკუნის დასაწყისის კახეთში: აღწერილია სულ 83 სოფელი, სადაც მოსახლეობს 4804 კომლი საბატონო, სახაზინო და საეკლესიო ყმა-გლეხი. მათ ხელში მყოფი სახნავ-სათესი მიწიდან (სულ 44.954 დღ.) საერთო-სასოფლო მფლობელობაში იყო 37.280 დღ. მიწა. ხოლო ინდივიდუალურ მფლობელობაში («საკუთრად გაყოფილ კომლებს შორის»)—მხოლოდ 7.674 დღ.[85].

საერთო სასოფლო (თემური) მიწათმფლობელობა რელიეფურად შეიმჩნეოდა ჰერეთის ისეთ რაიონში, როგორიც იყო კაკ-ენისელი (მერმინდელი ჭარ-ბელაქანი). როგორც ზაქათლის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მასალებიდან ჩანს, მოქეშქელე გლეხთა განკარგულებაში მყოფი საქეშქელო მიწის ნაკვეთით სარგებლობა პრაქტიკაში მეტ-ნაკლებად შეზღუდული იყო ჭარ-ბელაქანში ჯერ კიდევ არსებული თემური მიწათმფლობელობის წესით. ეს შეზღუდვა უმთავრესად სახნავ მიწებს ეხებოდა. შეზღუდვა მდგომარეობდა იმაში, რომ საქეშქელო მიწის ნაკვეთი არ იმყოფებოდა ერთი და იმავე მოქეშქელე გლეხის მუდმივ სარგებლობაში. ძველი თემიდან შემორჩენილი იყო მიწების ხელახალი გადანაწილება ყოველწლიურად. ალიაბადის ანუ ენისელის ჯგუფის ინგილოურ სოფლებში ასეთ ვადანაწილებას აწარმოებდა ჭარის ჯამაათი: იგი ახდენდა მიწების ხელახალ დაყოფას ყოველწლიურად ქეშქელებად და ურიგებდა მოქეშქელე გლეხებს. ჯამაათივე ადგენდა, თუ ამა და ამ წელს, სახელდობრ რომელი მიწები უნდა მოხნულიყო, რომელზე ბრინჯი დაეთესად, რომელი დაეტოვებინათ დასასვენებლად, სათიბად და სხვა[86]. ჭარ-ბელაქანში არსებული ე. წ. საქეშქელო დამოკიდებულების (რომელიც დამყარებული იყო ფეოდალური ურთიერთობის ნიადაგზე და რომელშიაც როგორც

---

[83] МДИЭБГКЗК, ტ. IV, გვ. 179, 385, ტ. V, გვ. 1—168.

[84] საქართველოს არქივი, წიგნი III, თბ., 1927.

[85] ი ქ ვ ე, გვ. 123—124.

[86] ც. ს. ს. ა. ფ. 236, აღწერა I, საქმე 12, ფურცელი, 40.

ვნახეთ, შემორჩენილი იყო თემური მიწათმფლობელობის წესი) ანალოგიებს პროფ. ი. პეტრუშევსკი ეძებს ერთი მხრივ, დას. ევროპის ფეოდალურ ქვეყნებში, ხოლო მეორე მხრივ კი, წინა და შიდა აზიის ქვეყნებში[87]. ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილია, რომ საქეშქელო დამოკიდებულების ფესვები თვით ფეოდალურ ჰერეთში ვეძებოთ.

თუ ჩვენ ზემოთ მოტანილ გვიანდელი პერიოდის მონაცემებს ე. წ. უკუქცევითი (რეტროსპექტულ) მეთოდით გამოვიკვლევთ, შეიძლება დავუშვათ, რომ თუ კი ასეთია მდგომარეობა XIX საუკუნის 70—80-იან წლებში, რა დროისთვისაც ჰერეთმა უკვე გაიარა საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების ისეთი გზა, რომელიც ზღუდავდა და შლიდა თემურ მიწათმფლობელობას, რა თქმა უნდა, ჩვენთვის საინტერესო, წინა ფეოდალური ხანის, ძველ ჰერულ საზოგადოებაში საერთო-სასოფლო (თემურ) მიწათმფლობელობას .გაცილებით უფრო დიდი წონა უნდა ჰქონოდა.

მომდევნო ხანებისათვის ჩვენ სამწუხაროდ გვაკლია ცნობები, არც ქართული და არც უცხოური წერილობითი წყაროების მიხედვით, ახ. წ. ა. I და II, III საუკუნეების ჰერეთის სოციალ-ეკონომიური განვითარების შესახებ კონკრეტულად თითქმის არაფრის თქმა არ შეგვიძლია. აღებული თემის ინტერესისათვის იძულებული ვართ საკმაოდ დიდი ნახტომი გავაკეთოთ და მეოთხე საუკუნეში გადმოვიდეთ.

§ 2. ჰერეთის სოციალურ-ეკონომიური განვითარება IV—XII საუკუნეებში

IV საუკუნის ჰერეთში ადგილი ჰქონდა ერთ მეტად მნიშვნელოვან მოვლენას — ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად იქცა. პიროობები, რომლებშიც ეს ფაქტი მოხდა, საყურადღებო მასალას წარმოგვიდგენენ ჰერეთის სოციალური ისტორიისათვის. ქართულ საისტორიო წყაროებში დაცული ცნობები ჰერეთში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ ჩვენ ზემოთ საკმაოდ დეტალურად განვიხილეთ.

„ქრისტიანობის გავრცელება მცხეთიდან ალაზნის ხეობაში ფეოდალურ კლასობრივი ურთიერთობის ტენდენციათა გამარჯვებას ნიშნავდა[88]“. ზემოხსენებულ ცნობებს ამჟამად ჩვენ მხოლოდ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ. პირველი, რაც მკვლევარს თვალში ეცემა ამ ცნობათა განხილვისას არის ის, რომ ჰერეთის საზოგადოებრივი

---

[87] И. Петрушевский, Джаро-Белаканские вольные общества в первой трети XIX столетия, 1934, გვ. 47.

[88] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, თბილისი, 1964 წ., გვ. 181.

სტრუქტურა ამ დროს უფრო მრავალწევროვანი და მრავალფეროვანი ჩანს ვიდრე ეს წინა საუკუნეებში იქნებოდა. ქრისტიანობა ჰერეთში მიიღეს სამეფო დინასტიის მოკავშირე საზოგადოებრივმა კლასმა თავისი სოციალური ინტერესებისათვის. იმ კლასში, ჩვენი აზრით, უნდა იგულისხმებოდნენ სუჯთა დედოფალი და „კაცნი მთავარნი“, რომელნიც როგორც ეს ამავე წყაროს ჩვენებიდან ჩანს, საკმაოდ მრავლად ყოფილან ამ დროს. ეს კლასი, აკად. ს. ჯანაშიას აზრით, ერისაგან გამოთიშული ელემენტებისაგან შედგება. ზოგადად ესენი არიან „წარჩინებულნი“ ხოლო ამ წარჩინებულთა შორის, არის ცალკე ჯგუფები „მთავართა[89]“. ტერმინ „მთავარს“ შემდეგ ხანაში ჩვეულებრივად და უპირატესად პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს ამ დროს მას „უეჭველია სოციალური მნიშვნელობაც ჰქონდა[90]“.

გარდა ამ წრეებისა, როგორც საისტორიო წყაროებიდან მოტანილი ციტატებიდან ჩანს, იხსენიება „ერიც“. ს. ჯანაშიას შეხედულებით, „ძველი ავტონომიური ერი ეხლა უკვე სხვის საბრძანებლად ქცეულა[91]“. და მართლაც, ამ მხრივ, მეტად დამახასიათებელია ცნობა ნინოს მიერ სუჯთა გაქრისტიანების შესახებ: „მოინათლა კხოელნი და სუჯნი ერითურთ მათით“. ს. ჯანაშიას აზრით, რადგანაც მომდევნო ფრაზაში კახეთის „მთავართა“ მონათვლაა ნახსენები, ცხადია, ზემოთაც ასევე უნდა გავიგოთ— მოინათლნენ კხოელი და სუჯი მთავრები მათის ერით. მაშასადამე, აქაც მითითებაა იმაზე, რომ წინანდელი თავისთავადი ერი ეხლა უკვე სხვაზეა დამოკიდებული[92].

თუ გამოვიყენებთ ნინოს ცხოვრების გადამკაზმველ არსენ ბერის ცნობებს, მაშინ ჰერეთის საზოგადოებრივი ურთიერთობის დასახასიათებლად საჭირო გახდება ისეთ წოდებრივ კატეგორიებზე მითითება, როგორიც არიან: მსახურნი, მხედრები, მონები და მხევალნი. მსახურთ და მხედრებს გარდამავალი საფეხური ეკავათ „წვრილ ერსა“ და ფეოდალებს შორის, ისინი წარმოადგენდნენ მეფის ან ფეოდალის სამსახურში მყოფ თავისუფალ ხალხს. სოციალური კიბის უკანასკნელ საფეხურზე იმყოფებოდნენ მონები და მხევალნი.

IV საუკუნის ჰერეთის სოციალური ვითარებისათვის ჩვენი აზრით, საყურადღებოა „ანდერძი მირეან მეფისაჲ ძისა თვისისა მიმართ რევისა და ცოლისა თვისისა ნანაჲსა“, რომელიც შემონახულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში (II ნაწილი, ნინოს ცხოვრების შემცველი) და

---

[89] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, გვ. 298.

[90] ი ქ ე ე, გვ. 205.

[91] ი ქ ვ ე, გვ. 206.

[92] ი ქ ვ ე, გვ. 206.

ლეონტი მროველთანაც[93]. მირიანი ჰერეთის ტერიტორიაზე მდებარე ბოდბეს, ნინოს სამარხავ ადგილს, უბოძებს თავის მეუღლეს ნანას: „აჰა ესერა მე წარვალ, ვინაჲცა მოვედ, და შენ, ნანა, უკუეთუ მოგეცეს შენ ღმრთისამიერი ჟამი ცხოვრებისა შემდგომად ჩემსა, განყავ სამეფოჲ ჩემი ორად და მიიღე ბოდს სამარხოსა წმიდისა ნინოჲსასა[94]“. ამ ცნობიდან თვალნათლივ ჩანს, რომ IV საუკუნეში, მირიანის დროს, ჰერეთი მთლიანად თუ არა, მისი ტერიტორიის გარკვეული ნაწილი წარმოადგენდა სამეფო დომენს, ვოსტანს, „სეფე ქვეყანას“, რომ ჰერეთში სასეფო ანუ სამეფო მიწათმფლობელობა ძლიერი იყო.

V საუკუნის პირველი ნახევრისათვის, ჰერეთის შინაგანი ისტორიის შესახებ ქართულ წყაროებს შემოუნახავს ერთი მეტად საყურადღებო ცნობა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მემატიანე ვახტანგ გორგასალის მამის მეფობისათვის აღნიშნავს: „და მერმე მეფობდა მირდატ და მთავარეპისკოპოსი იყო ბლონოქორ (ჭელიშ. ბოლნოქონ). და ესე მთავარეპისკოპოსი ერისთვადცა იყო ბარაზბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს[95]“. ამ ცნობის მნიშვნელობის შესახებ, ჯერ კიდევ აკად. ს. ჯანაშია მიუთითებდა: „სპარსეთის მთავრობის ემისარი ქართლში — პიტიახში ქართლის ეკლესიის მეთაურს (ჯერ კათალიკოსობა არ არსებობს) თავის ერისთავად, საერო მოხელედ, ნიშნავს. კავშირი იბმება სპარსეთის ცეცხლმსახურ მთავრობასა და ქართლის ქრისტიანულ ეკლესიას შორის[96]“.

შემდეგში, ქართული წყაროების შესწავლის საფუძველზე, აკად. კ. კეკელიძემ გაარკვია, რომ ეს ბლონოქორი თავიდანვე მაზდეანობის (ცეცხლთაყვანისმცემლობის) მეთაური ყოფილა, რომელიც პიტიახშის შემწეობით, ეპისკოპოსის ტიტულით, ქრისტიანული კულტის და იერარქიის სათავეში მოქცეულა, რის გამოც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს წყაროს იგი ქრისტიან ეპისკოპოსთა რიცხვში შეუტანია[97]. ჰერეთის სოციალური ისტორიისათვის, ამ ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: შესაძლებლობა გვეძლევა გავეცნოთ V საუკუნის პირველი ნახევრის ჰერეთის ფეოდალთა კლასის ერთ-ერთ წარმომადგენელს, ჰერეთის ერისთავს, ვინმე ბლონოქორს.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართლის ეკლესიის საჭე წარჩინებულთა ხელში იყო, მაშინ სპარსელების მიერ ქართლის

---

[93] ქ ც ბ ა, 1, გვ. 129.

[94] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1, გვ. 162.

[95] ი ქ ვ ე, გვ. 92.

[96] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, გვ. 225.

[97] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „ვინ არის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ბლონოქორ?“ ეტიუდები, III, გვ. 37—39.

ეკლესიასთან კავშირის გაბმა ამავე დროს ნიშნავდა ქართლისა და ჰერეთის ადგილობრივი ფეოდალების გარკვეულ ფენებთან კავშირის დამყარებას.

ქართლის ეკლესიის, როგორც მზარდი ფეოდალური ძალის, სწრაფვა დამოუკიდებლობისათვის ადრიდანვე შეიმჩნევა. მისი წინააღმდეგობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან აშკარად არის გამოხატული. ვახტანგ გორგასალსა და მცხეთის ეპისკოპოსს მიქაელს შორის მომხდარი კონფლიქტი ამ ბრძოლის ერთ-ერთი ანარეკლია. „ვერცხლის მოყვარე“ მიქაელის სახით მეფე ებრძვის ეკლესიის გაზრდილ მიწისმფლობელობას. ქართლში მეფობის გაუქმება (523 წ.) და ერისთავობის დაწესება (VI საუკუნის დასასრული) ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ეკლესიის შემდგომი გაძლიერებისა და დამოუკიდებლობისათვის. გარეშე ძალაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეკლესიის ამ მიმართულებით განვითარებისათვის, ჯერ ადრიდანვე, სპარსეთი, ადგილობრივ წრეებში პოლიტიკურ მოკავშირეთა მოპოვების მიზნით, აბერხებდა საეპისკოპოსო კათედრებზე თავის მომხრეთა დასმას (ეპისკ. მობიდან), ხელს უწყობდა ეპისკოპოსთა უფლებების გაძლიერებას (გლონოქორ ეპისკოპოსს უბოძა ქართლისა და ჰერეთის ერისთაობაც)[98]“. აშკარაა, რომ საკუთარი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე სპარსელები ხელს უწყობენ ქართლის ქრისტიანული ეკლესიის მაღალი თანამდებობის იმ პირთა გაძლიერებას, რომელთა ინტერესები ემთხვეოდა ქართლის დიდი აზნაურების ინტერესებს. ამ შემთხვევაში, უდავოა, რომ გლონოქორი თავის მდგომარეობას ეკლესიის გასაძლიერებლად გამოიყენებდა. ეს უკანასკნელი კი, ვფიქრობთ, ეკლესიის მამულების ზრდაში უნდა გამოხატულიყო. ანალოგიურ მოვლენას, უფრო მკაფიოდ გამოვლინებულს, ადგილი ჰქონდა მეზობელ სომხეთშიაც. გარკვეულ ხანაში სპარსელებმა მეტად მჭიდრო კონტაქტი დაამყარეს სომხეთის ეკლესიის მაღალი თანამდებობის პირებთან. ძველი ქართველი მწერლის არსენ კათალიკოსის გადმოცემით, სომხეთის „რომელთამე კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა მეფენი სპარსთანი დაიშვილნეს და ძეობილად უწოდდეს... რომლისათვისაცა, მსჯელობა მთავრობისა თვით მიიტაცეს და სიმართლისაებრ კანონთასა, არამედ თვისისაებრ ნებისა იქცეოდეს და სახმარი ეკლესიათა არა ეითარ დაწესებულიყო ეკლესიათათვის, არამედ სახმარად თვისად და კაცთა საჩვენებლად განაბნევდეს, რომლისათვის ეპისკოპოსნი ყოველნი და მამასახლისნი ყოველნი მოიქცეს ღვთისა განსარისხელსა ამა-

---

[98] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII—XII საუკუნეების საქართველოში, — იხ. კრებული, „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 67.

ოსა შესაძინელსა ბათნოებითა მეფეთა უღთოთათა... და იქმნეს საეპისკოპოსონი, ვითარცა საკერპონი; და მივიდიან აზნაურნი კარად საეპისკოპოსოდ და არა ჰპოვიან ჟამნი შესლვად და შეიქციან სირცხვილეულნი, ვითარცა კარისაგან სპარსთა მარზპანთაისა და უფროისღა[99]"

ვინაიდან მთავარეპისკოპოსი გლონოქორი ჩვენ ამავე დროს გვევლინება, როგორც ჰერეთის ერისთავი, აქედან გამომდინარე ცხადია, რომ მის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი ჰერეთშიც გატარდებოდა. ჰერეთის ერისთავის გლონოქორის ისტორია, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი საყურადღებო ფურცელია ჰერეთის სოციალური განვითარებისა.

V საუკუნის მეორე ნახევრის ჰერეთის სოციალური ისტორიისათვის საყურადღებო ცნობებია დაცული ჯუანშერის თხზულებაში. ერთ-ერთი ამ ცნობის მიხედვით, ვახტანგ გორგასალი თავის კაცს სვამს წუქეთში. ისხდნენ „წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფეს წუქეთი"-ო აღნიშნავს მემატიანე[100]. აღნიშნული ცნობა შეიცავს მეტად საყურადღებო ჩვენებას, სახელდობრ, დასტურდება ჰერეთის ტერიტორიაზე ერთ-ერთი ადრეფეოდალური სენიორიის არსებობა წუქეთის სამთავროს სახით. ამ ფეოდალურ ერთეულსაც, იმ დროს, ალბათ „სახლი" ეწოდებოდა, მსგავსად „პიტიახშის სახლისა" (მხედველობაში გვაქვს იაკობ ხუცესის ცნობა — „ეპისკოპოსი სახლისა მის პიტიახშისა")[101]. სამწუხაროდ ჩვენ წყაროები საშუალებას არ გვაძლევენ თვალი მივადევნოთ წუქეთის მთავრის სახლის ისტორიას, რაც მეტად საყურადღებო მასალა იქნებოდა ჰერეთში ფეოდალიზმის განვითარებისათვის.

საინტერესოა აგრეთვე ჯუანშერის მოწმობა იმის შესახებ, რომ ვახტანგმ „ძესა მისსა პირმშოსა პირველისა ცოლისასა დაჩის, მისცა ქალაქი ჰერემისა და ნეკრესისა, და ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი და ყოველი ქუეყანა მტკუარსა აღმოსავლით[102]". აღნიშნული ცნობით, ერთხელ კიდევ დასტურდება მოსაზრება: ჰერეთი გვევლინება, როგორც სამეფო დომენი; რომ აქ V საუკუნის მეორე ნახევარშიც ძლიერად არის წარმოდგენილი სასეფო მიწისმფლობელობა. კერძოდ, როგორც დავინახეთ, სეფე-სახლის (დაჩი ვახტანგის-ძის სახით) უშუალო განკარგულებაში იმყოფება ქალაქები: ჰერემი, ხორნაბუჯი, ნეკრესი და ჰერეთის ის ტერიტორია, რომელიც მტკვრის აღმოსავლეთით მდებარეობდა.

---

[99] თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, 1, გვ. 326—327.
[100] ქ ც ბ ა, 1, გვ. 243.
[101] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1, გვ. 13.
[102] ქ ც ბ ა, I, გვ. 199.

ჰერეთი სამეფო დომენს წარმოადგენს მომდევნო პერიოდშიც, VI საუკუნის მეორე ნახევარში. ჯუანშერის მოთხრობით, ვახტანგის მემკვიდრეებმა პირველი ცოლისაგან (ბაკურის შვილებმა) «დაიპყრეს კუხეთი და ჰერეთი იორითგან»[103]. როგორც ვხედავთ, სასეფო მიწისმფლობელობას მტკიცე პოზიციები უპყრია ქართლის სამეფოს აღმოსავლეთ პერიფერიებში, კერძოდ ჰერეთში. გ. მელიქიშვილი ამ ფაქტს ხსნის ამ რაიონებში მსხვილი სატაძრო მეურნეობების არსებობით, რომლებიც ქრისტიანიზაციის შემდეგ ძირითადად სახელმწიფოს (სამეფო სახლის) ხელში გადავიდა. იგი წერს: «Прочность позиции царского землевладения в этих восточных областях, следует обьяснить, повидимому, наличием в этой области крупных храмовых хозяйств, перешедших, очевидно, после христианизации (начало IV в.) в основном в руки государства (царского дома). Ранее, вероятно, такими же были позиции царского землевладения в других областях царства»[104].

ძლიერად იყო წარმოდგენილი ჰერეთში საეკლესიო მიწათმფლობელობაც. როგორც ჩვენ დადგენილი გვაქვს (იხ. ზემოთ), ვახტანგ გორგასალისა და მის მომდევნო ეპოქაში (VI—VIII სს.), ჰერეთის ტერიტორიაზე დასტურდება რვა საეპისკოპოსოს არსებობა: ბოდბე, ჭერემი, ხორნაბუჯი, გიში, კაწარეთი, ნეკრესი, ბახალათი და ლექეთი. როგორც ცნობილია, ქრისტიანული საეკლესიო ორგანიზაცია თავიდანვე ფეოდალურ ნიადაგზე მოეწყო. როგორც ჩანს, ჰერეთში, ადრინდელ ფეოდალურ მიწათმფლობელობას ვახტანგ გორგასალის ეპოქისათვის საკმაოდ დიდი წონა მოუპოვებია და დაუკავებია ძველი სატაძრო მემამულეობის ადგილი. ეკლესიის მამულების კონცენტრაცია ხდება საეპისკოპოსოებში, რომლებიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, მსხვილ საეკლესიო ტერიტორიული ორგანიზაციების სახით არიან ჩამოყალიბებულნი[105].

როგორც აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავს, „ქრისტიანული ეკლესიის ორგანიზაცია ყოველთვის ეგუებოდა იმ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აღნაგობას, რომელშიც იგი ეწყობოდა[106]“... „საეპისკოპოსო კათედრები, ამიტომ, ბუნებრივად მიუთითებენ და თან ემთხვევიან უმსხვილეს პროტოგენურ ფეოდალურ ცენტრებს[107]“. ასევე იქნე-

---

103 ქ ც ბ ა, I, გვ. 219.

104 Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, 423.

105 შდრ. ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1961, გვ. 50—51.

106 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II, გვ. 228.

107 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. I, გვ. 20.

ბოდა ჰერეთშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით ნიშანდობლივია ჰერეთის საეპისკოპოსოების მრავალრიცხოვნება, რომელსაც იმ დროისათვის აღნიშნავენ წყაროები. ეს ფაქტი იმ მხრივაა საყურადღებო, რომ იგი მიუთითებს იმ ფეოდალურ ერთეულთა რიცხვის ზრდაზე, რომელთა ცენტრალური პუნქტების გარშემოც ჯგუფდებოდნენ ჰერეთის ახალგაზრდა ფეოდალური ძალები. იმ ფეოდალურ ერთეულებს, რომელთა ცენტრებსაც ჭერემი, ბოდბე, ხორნაბუჯი, გიში, კაწარეთი, ნეკრესი, ბახალათი და ლექეთი შეადგენდნენ, უკვე იმ დროს, როგორც ჩანს, „სახლები“ ეწოდებათ. ასე მაგალითად, ერთ-ერთი სომხური წყაროს ცნობით, მოხსენებული არის „სამეფო სახლის“ (*թագաւորական տանն*) ეპისკოპოსი[108], ხოლო იაკობ ხუცესის ცნობით კი, იხსენიება „ეპისკოპოსი იგი სახლისა მის პიტიახშისა, რომელსაც სახელი ერქუა აფოც[109]“. „სახლი“ აქ, ს. ჯანაშიას განმარტებით, სენიორიას აღნიშნავს[110]. ს. ჯანაშიას ამ დებულებიდან გამომდინარე, ისე როგორც პიტიახშის სამფლობელო საეკლესიო-ერარქიული თვალსაზრისით ცალკე საეპისკოპოსოს შეადგენდა, რომელსაც „პიტიახშის სახლის“ საეპისკოპოსო ეწოდებოდა, ასევე ცალკე მეტნაკლებად განვითარებული სენიორალური ცენტრები უნდა ვიგულისხმოთ ჩვენ ჭერემში, ბოდბეში, ხორნაბუჯში, გიშში, ბახალათში და ლექეთში, სადაც ქართულ-სომხური წყაროების მიხედვით საეპისკოპოსო კათედრებია აღნიშნული[111].

საეკლესიო მიწათმფლობელობა ჰერეთში, ისევე როგორც საერთოდ საქართველოში, უმთავრესად, შეწირულების გზით უნდა წარმოქმნილიყო. რა თქმა უნდა, ქრისტიანული ეკლესია მისი ოფიციალურ კულტად გამოცხადებისთანავე მთელი ძველი წარმართული სატაძრო მამულების უშუალო მემკვიდრე ვერ გახდებოდა. სომხეთის ისტორიის მაგალითზე პროფ. ს. ერემიანი წერს: «После принятия христианства все богатства и земли вместе с их производителями — храмовыми рабами — гиеродулами были переданы церкви»[112].

როგორც ვხედავთ, ავტორის ამ ინტერპრეტაციით გამოდის, რომ სომხური წარმართული ეკლესიის სიმდიდრე, მამულები და მათთან ერთად მწარმოებელი საზოგადოება მთლიანად ქრისტიანული ეკლესიის ხელში გადასულა. ამ დებულების დასამტკიცებლად ს. ერემიანს მოაქვს აგათ-

---

108 Դիրք բղրոց, გვ. 182.

109 მარტვილობა შუშანიკისი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, თბ., 1946, გვ. 35.

110 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 20—21.

111 შდრ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, იქვე, გვ. 277—278.

112 С. Т. Е р е м я н, О рабстве и рабовладении в древней Армении, ВДИ, 1950, № 1, გვ. 16.

ანგელოსის ცნობები და აღნიშნავს: «После разрушения храма богини Анаит в Арташате царь Трдат III и Григорий Просветитель, по словам Агафангела, принадлежащее храму имущество Дастакерты и спасаворов (т. е. гиеродулов), вместе с жрецами и их землями и межами, принесли в дар служения спасаворам (в данном случае: «церковным служителям»)... Селение (Тордан) со всем дастакертами и межами (Трдат III и Григорий Просветитель) подарили во имя служения церкви»[113].

ს. ერემიანის მიერ ზემოთ მოტანილი ცნობები, ვფიქრობთ, არ არის საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ სომხური წარმართული სატაძრო მამულების უშუალო მემკვიდრედ ქრისტიანული ეკლესია ვიგულისხმოთ. საქმე იმაშია, რომ ქრისტიანულ ეკლესიას პირველ ხანებში არც ჰქონდა საშუალება მთლიანად აეთვისებია ძველი წარმართული სატაძრო მამულები. ამას მას არ დაანებებდნენ მაშინდელი საზოგადოების გაბატონებული ფენები: სამეფო საგვარეულო და მისი სოციალური მოკავშირენი. „მიწების საარსებო სივრცეების ძებნაში ცენტრალური ხელისუფლებისა და მისი სოციალური მოკავშირეების ყურადღება შეუძლებელია სატაძრო მამულებზე არ შეჩერებულიყო. წარმართული ტაძრების განკარგულებაში ამ დროისათვის მიწების უდიდესი ფონდი იყო, რომელიც სულ უფრო იზრდებოდა. ასეთ ვითარებაში მონარქიამ და გაფეოდალების გზაზე შემდგარმა წარჩინებულებმა მიიღეს ახალი რელიგია-ქრისტიანობა, რაც სატაძრო მემამულეობის სეკულარიზაციას მოასწავებდა[114]“.

სათანადო საისტორიო წყაროებში დაცულია ცნობები იმის შესახებ, რომ ჰერეთის ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული ტაძრებისათვის მამულების შეწირვა იმთავითვე დაუწყიათ. ჰერეთის ადრეფეოდალური საეკლესიო მიწათმფლობელობის გასათვალისწინებლად განსაკუთრებით საყურადღებოა ცნობა, რომელიც „ქართლის მოქცევის“ მატიანეშია დაცული. ეს არის ე. წ. მირიან მეფის „ანდერძი“, რომელშიც ნათქვამია, რომ მეფე მირიანმა ბოდბეში, ნინოს საფლავზე, ააშენა ეკლესია და მას მრავალი სოფლები და აგარაკები შესწირა. „ანდერძში“ ვკითხულობთ: „აღვაშენე... ეკლესია ფრიად დიდი და შევამკვე იგი ყოვლითა სამკაულითა. და შევსწირენ მრავალნი სოფელნი და აგარაკნი... სამარხვოსა წმიდისა ნინოჲსსა[115]“. აღნიშნული ცნობა მრავალმხრივ არის საინტერესო. ცნობაში უწინარეს ყოვლისა,

---

[113] С. Т. Еремян, იქვე, გვ. 16.

[114] ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 46—47.

[115] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 161—162.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ როცა მირიანმა ბოდბეში ეს ეკლესია ააშენა, მისი სახით მან საფუძველი ჩაუყარა გარკვეულს, არც თუ მცირეს — ტერიტორიის მიხედვით, სამეურნეო ორგანიზაციას, დაუდგინა მსახურთა კრებული და ჩააბარა შეწირული „მრავალნი სოფელნი და აგარაკნი". ცხადია აქ მფლობელობის ობიექტი და ქონება უნდა ვივარაუდოთ. „სოფელი" მოსახლეობის ერთეულს აღნიშნავს, ხოლო „აგარაკებში" კი სახნავ-სათესი მიწები უნდა ვიგულისხმოთ. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული შეხედულებით, „აგარაკები" სასოფლო თემის მიწებს გარეშე მოქცეულ, კერძო განკარგულებაში მყოფ მიწის ნაკვეთებს წარმოადგენდნენ[116]. ამრიგად, „ქართლის მოქცევის" ჩვენ მიერ განხილული ცნობა პირდაპირ მითითებას შეიცავს ჰერეთის ადრეფეოდალური საეკლესიო მიწათმფლობელობის შესახებ. სამწუხაროდ, აღნიშნული ცნობის მიხედვით, მეტად ძნელი სათქმელია, თუ ვინ იყვნენ ამ სოფლების მცხოვრებნი. ნაკლებად არის მოსალოდნელი, რომ აქ გლეხები იგულისხმებოდნენ. მართალია, აღებულ ხანაში გლეხობა უეჭველად არსებობდა, მაგრამ ისინი მეტად მცირერიცხოვანნი იყვნენ. წყაროები ამ სოციალურ კატეგორიას ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის სრულებით არ იხსენიებენ. ჩვენი აზრით, მირიანის მიერ ბოდბეში აშენებულ „ფრიად დიდ" ეკლესიისადმი შეწირულ სოფლებში „მდაბიონი", „მსოფლიონი" („წვრილი ერის" წევრები) და მათი მიწები იგულისხმებიან. ს. ჯანაშიას მოსაზრებით, ჩვენთვის საინტერესო ხანაში, „განსხვავებით „გლეხებისაგან", ბევრად უფრო მცირერიცხოვან ჯგუფებისაგან[117]", „წვრილი ერი" უფრო მრავალრიცხოვანია და ამიტომ იგი „სოფლის მოსახლეობის ძირითად კატეგორიას... შეადგენს[118]". პირდაპირი ცნობების უქონლობის გამო, ასევე ძნელი გასარკვევია, თუ რა შინაარსს ატარებდა ამ შემთხვევაში სოფლების შეწირულება, რა ვალდებულებანი ჰქონდათ დაკისრებული ამ სოფლების მცხოვრებთ ეკლესიის სასარგებლოდ. ქართული წყაროები არ შეიცავენ რაიმე კონკრეტულ მითითებებს ამ საკითხის შესახებ, მაგრამ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის წყალობით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა მიახლოებით მაინც ვიქონიოთ წარმოდგენა ამ საკითხზე. აქ ჩვენ შეიძლება დახმარება გაგვიწიოს საქართველოს უახლოესი მეზობლის — ალბანეთის მაშინდელი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებამ. ჩვენამდის მოაღ-

---

[116] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 282; Г. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, გვ. 414; С. Т. Е р е м я н, О рабстве и рабовладении в древней Армении, გვ. 13—14.

[117] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, 1, გვ. 101.

[118] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ი ქ ვ ე.

წია განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის მქონე ერთმა დოკუმენტმა, რომელიც აშუქებს ჩვენთვის საინტერესო ხანის ალბანეთის სოციალურ ურთიერთობათა ისტორიას. ეს არის ალუენის საეკლესიო კრების (488 წ.) მიერ განსაზღვრული, ვაჩაგან III (487—510) კანონიკური დადგენილება, რომელიც ალბანთა ისტორიკოსს მოსე კალანკატუელს თავის ნაშრომში შეუტანია. ამ დადგენილების IV მუხლში ლაპარაკია იმ ნატურალურ გადასახადებზე, რომლებიც სოფლის მცხოვრებლებს ეკლესიის მსახურთა სასარგებლოდ უნდა გადაეხადათ. დადგენილების ტექსტში ნათქვამია შემდეგი: «Порядок приношений от народа иерею да будет таков: зажиточные вносят 4 грива (гариб) пшеницы, 6 грива ячменя и 16 горшков сладкого; бедствующий пусть даст половину вносимого (зажиточными) хлебного зерна и вина сколько может. Но у кого нет пашни или виноградника, с того не брать».

მეოთხე მუხლის ამ ნაკვეთში ლაპარაკი შეეხება სოფლის მოსახლეობის იმ ნაწილის ნატურალურ გადასახადებს, რომელთაც ჰქონდათ სახნავი მიწები და ვენახები, ე. ი. მათ სამეურნეო საქმიანობას ძირითადად შეადგენდა მემინდვრეობა, მევენახეობა და მეღვინეობა. ამავე მუხლის მეორე ნაკვეთში კი საუბარია სოფლის მოსახლეობის იმ ნაწილის გადასახადებზე, რომელთა მეურნეობის ძირითად დარგებს, მიწათმოქმედებასთან ერთად, წარმოადგენდა მესაქონლეობა და მეცხენეობა, «у кого есть овцы», — ვკითხულობთ მეოთხე მუხლის გაგრძელებაში,— одну овцу, 3 пучка шерсти и одну головку сыра, а те, кто в семье имеет лошадь, должны дать одного жеребца, а у кого корова — одного теленка»[119].

ზემომოტანილი ალუენის საეკლესიო კრების კანონიკური დადგენილების მეოთხე მუხლი აშკარად გვიჩვენებს, რომ ალბანეთის სასოფლო თემის შიგნით მიმდინარეობს ინტენსიური პროცესი ქონებრივი და სოციალური დანაწევრებისა. სოფელში, რომელიც სასოფლო თემს წარმოადგენდა, მოსახლეობა იყოფოდა სამ ძირითად კატეგორიად: შეძლებულებად, ღარიბებად და სრულიად არაფრის მქონეებად (ღარიბ-ღატაკნი — თ. პ.), რომელთაც როგორც დადგენილებაშია ნათქვამი, არ გააჩნიათ არც სახნავი მიწა და არც ვენახი, ისინი გადასახადის გადახდის უნარმოკლებულნი იყვნენ. პირველი ორი კატეგორია მოსახლეობისა კერძო მეურნეობის მქონე, საკუთარი მიწის ნაკვე-

---

[119] Мовсес Каганкатваци. История страны Албанской. Тифлис, 1913, გვ. 99 (ძველი სომხური ტექსტი); რუსული თარგმანი, კ. პატკანიანისა — «История Агван Моисея Каганкатваци», СПБ, 1861, გვ. 66—67; რუსული თარგმანი ძველ სომხურ ტექსტთან შეჯერებული და დაზუსტებული, ს. ერემიანის მიერ, იხილეთ: Очерки истории СССР, III—IX, вв., Москва, 1958, გვ. 307—308.

თების მფლობელ მოსახლეობას უნდა წარმოადგენდეს. მას ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს თავისი სამამულო უფლებები, ჩვეულებრივად, თემური მიწისმფლობელობის ფორმით, ნაწილობრივ კერძო საკუთრების სახითაც. ხოლო მესამე, არაფრის მქონე ფენა მოსახლეობისა კი, მიწის ნაკვეთების დაკარგვის გზით უნდა მისულიყო ამ მდგომარეობამდე. თავის სამამულო უფლებების დაკარგვით, ძირითადი საწარმოო საშუალების — მიწის დაკარგვით, მოსახლეობის ამ ფენის წარმომადგენელნი თანდათანობით გადადიან ფეოდალურად დამოკიდებული „გლეხობის“ კატეგორიაში. ზემოთ მოცემული სოციალურ ურთიერთობათა სურათი, როგორც აღვნიშნეთ, დამახასიათებელია V საუკუნის ალბანეთის სოფლის მოსახლეობისათვის, მაგრამ ჩვენ მაინცდამაინც არ შევცდებით, თუ ანალოგიურ ვითარებას ვივარაუდებთ მირიანისდროინდელი (IV საუკუნე) ჰერეთის ტერიტორიაზედაც, სახელდობრ კი, ბოდბის ეკლესიისადმი შეწირულ სოფლებში. მსგავს სოციალურ მოვლენებს ხედავს ს. ჯანაშია ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოში. მისი დაკვირვებით, „წვრილი ერი“ დიდხანს იბრძვის გაალმასებით თავის უკანასკნელ, გვაროვნულ საზოგადოების წიაღიდან გამოყოლილი უფლებების შენარჩუნებისათვის. მაგრამ სულ უფრო დიდი მასები „წვრილი ერისა“ და სულ უფრო და უფრო სწრაფი ტემპით ეშვებიან კიდევ უფრო დაბლა, ისინი საკუთრივ „გლეხობის“, „ყმა-გლეხობის“ კატეგორიაში გადადიან... ქონებრივად „წვრილი ერი“ საშუალოდ ან მცირედ შემძლე პირებისაგან შესდგება. ღარიბ-ღატაკთა გაჩენასაც მათ წრეში საკმაო შესაძლებლობა მოეპოვება. ამ ნიადაგზე შეიძლება სამამულო დამოკიდებულებაც გაჩნდეს“[120].

შეწირული საეკლესიო მამულის არსებობა ჩვენ დოკუმენტალურად დადასტურებული გვაქვს აგრეთვე დავით-გარეჯში, იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ტერიტორიაზე, მონასტრის დაარსების პერიოდშივე, VI—VII საუკუნეებისათვის[121]. მხედველობაში გვაქვს ქვის სტელა („ჯვარი“) წმ. ევსტატეს რელიეფით, რომელზედაც მოთავსებულია ექვსსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. ჯვრის მხატვრული ანალიზი, სიუჟეტი, ტანსაცმელი და სხვა რეალიები გ. ჩუბინაშვილს უფლებას აძლევს ეს ძეგლი VI—VII საუკუნეებით დაათარიღოს[122]. წარწერა ასე იკითხება: „ესე ჯოვარი მე, მარზოვნ, ავმართე სალოცველად ჩემ-

---

120 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, 1, გვ. 271—272.

121 ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბილისი, 1966, გვ. 38.

122 Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, Пещерные монастыри Давид-Гареджи, Тбилиси, 1948, გვ. 31—32.

და და ცოლისა და შვილთათვის"[123]. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული შეხედულებით, „ჯვარი" წარმოადგენდა მამულზე უფლების აღმნიშვნელ მატერიალურ ნიშანს (იგულისხმება უპირატესად საეკლესიო-სამონასტრო მიწათმფლობელობის სფერო), რომ ქრისტიანობის პირველ ხანებში (V — VIII სს.) სალოცავად აღმართული ჯვრები იმავე დროს მიწის დასაკუთრების მაჩვენებელ ძეგლებსაც წარმოადგენდნენ[124]. აქედან გამომდინარე ზემოთ აღნიშნული ქვის სტელის სახით, ჩვენს განკარგულებაშია მეტად ძვირფასი დოკუმენტი, რომლის საშუალებითაც ცოცხლდება ჰერეთის სოციალური ისტორიის მეტად საგულისხმო დეტალი: ჰერეთში (დავით-გარეჯში) მდებარე იოანე ნათლისმცემლის მონასტრისადმი მამულის შეწირვა VI—VII საუკუნეებში. შემწირველად გვევლინება ვინმე მარზოვნი. სამწუხაროდ, საეკლესიო მამულებზე IV — XII საუკუნეების ჰერეთში, ჩვენ, რა თქმა უნდა, სრული ცნობები არ გაგვაჩნია; ამდენად არა გვაქვს იმის საშუალება, რომ სქემატურად მაინც მოვხაზოთ რუკაზე ჰერეთის საეკლესიო მამულები და მეტ-ნაკლები სიზუსტით დავადგინოთ შეფარდება საეკლესიო და საერო მიწათმფლობელობისა. მაგრამ ერთი რამ მაინც უცილობელია: ჰერეთის ეკლესია-მონასტრების სამამულო მფლობელობა ადრეფეოდალურ ხანაში შეუჩერებლივ იზრდება. მართალია, მათი სამამულო მფლობელობის სიდიდეზე ამ პერიოდისათვის სრული ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ, ცხადია, ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი საეპისკოპოსო ტაძრებისა და მონასტრების სამფლობელოები, როგორიც იყო ჭერემი, ბოდბე, ხორნაბუჯი, გიში, კაწარეთი, დავით-გარეჯა და სხვ., არ იქნებოდა მცირე.

შეწირულება, რა თქმა უნდა, ერთადერთ საშუალებას არ წარმოადგენდა საეკლესიო მემამულეობის შექმნისათვის. მნიშვნელოვანი საშუალება იყო ამ მხრივ „სყიდვა", მიწების ძალმომრეობითი და იძულებითი გზით მითვისება, მაგრამ სამწუხაროდ, წყაროებში საამისო პირდაპირი ცნობები ჰერეთის საეპისკოპოსოების ისტორიისათვის, ჩვენ არ მოგვეპოვება. ეკლესია ჰერეთში საკმაოდ დიდი ფეოდალური ორგანიზაცია იყო და მამულების ისეთივე მესაკუთრე, როგორც საერო ფეოდალები. ჰერეთის ფეოდალური ძალების საერთო ზრდის ობიექტური მაჩვენებელია საეპისკოპოსო კათედრების მრავალრიცხოვანება (ჭერემი, ბოდბე, ხორნაბუჯი, გიში, ბახალათი, ლექეთი). როგორც ჩანს, ჰერეთის ფეოდალურ ერთეულებს კარგად ჰქონდათ შეგნებული

---

123 თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, გვ. 54.

124 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 157, 164.

ის გარემობა, რომ საჭირო იყო მათი დამოუკიდებელი სახე გაფორმებული ყოფილიყო საეკლესიო იერარქიული საშუალებითაც.

მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-ეკონომიურ ძალას წარმოადგენდნენ ჰერეთის ეკლესია-მონასტრები ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვისაც. ასე, მაგალითად, მელქისედეკის „დაწერილში" (XI საუკუნე) იხსენიება: „ჰერეთს მონასტერი დიდითა ძალითა ლაგოდეხი, და ჰერეთსავე კატეხისა ეკლესია შესავლითა მისითა"[125].

V საუკუნის დასასრულს ჯუანშერის გადმოცემით, ჰერეთში, სახელდობრ, „ჰევსა ლოპოტისასა, ქუეყანასა მას კლდითა მოზღუდვილსა, იყვნეს სოფლისა მის კაცნი ცეცხლისა და წყლის მსახურ, და სავსე იყო ჰევი იგი სიმრავლითა კაცთათა, ვიდრე ნოსრამდე"[126]. ეს ცნობა ჯუანშერს ძველი წყაროდან უნდა ჰქონდეს ამოღებული, რადგანაც როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, — „აქ, „სოფელი" ხევის მნიშვნელობით არის ნახმარი და გამონათქვამი „სოფლისა მის კაცნი" ლოპოტის ხევის აღმნიშვნელია. ამ სიტყვას კი ასეთი მნიშვნელობა მხოლოდ IX საუკუნემდე ჰქონდა"[127]. ამ ცნობაში ჩვენთვის საყურადღებოა ჯუანშერის მითითება ლოპოტის ხევის (ჩვენი ლოკალიზაციით ერთ-ერთი ჰერული ტომის ლბინების ქვეყანა) მოსახლეობის სიმრავლეზე.

ვახტანგ გორგასალის მემკვიდრის, დაჩი უჯარმელის (VI საუკუნის პირველი წლები) შესახებ ჯუანშერი მოგვითხრობს: „ამანვე მეფემან დაჩი დაჰპატიჟა მთეულთა კახეთისათა, რათა აღიარონ ქრისტე, ხოლო მათ არ ინებეს, და განდგეს ყოველნი ნოპატელნი"[128]. ამ ცნობიდან აშკარად ჩანს: დაჩი უჯარმელს, და საერთოდ გაბატონებულ საზოგადოებრივ წრეებს გარკვეული სოციალური ინტერესები აიძულებს იზრუნონ ჰერეთის მთიანეთში მცხოვრებ „ნოჰპატელების" გაქრისტიანებაზე, მაგრამ ეს უკანასკნელნი უარს აცხადებენ და ჯანყდებიან. თუ ჩვენ აქ ღრმად ჩავუკვირდებით მემატიანის სიტყვებს, რელიგიური საფარველის ქვეშ აუცილებლად შეიმჩნევა კლასობრივი ბრძოლის გამოვლინება. როგორც ჩანს, ამ დროს, ჰერეთის მთიანეთში ფეოდალური ურთიერთობა ან სრულიად არ არსებობდა, ან სუსტად იყო ჩასახული, რომ აქ, ჯერ კიდევ არ არსებობდა ის სოციალური ფენა, რომელსაც ქრისტიანობა დაემყარებოდა, ამ კუთხეში წარმართობა უფრო ძლიერი იქნებოდა, ვიდრე ქრისტიანობა. სწორედ ამით იყო გამოწვეუ-

---

125 ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, გვ. 291.

123 ქცბა, I, გვ. 200.

127 იკ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის. ისტორია, I, გვ. 287.

128 ქცბა, I, გვ. 205.

ლი ზემოაღნიშნული შეჯახება ქრისტიანობასა (ე. ი. მეფისა და წარ-ჩინებულების რელიგიასა) და წარმართობას შორის, რომელსაც მხარს უჭერდა ნოჰპატის მოსახლეობის ფართო ფენები. ნოჰპატელებს კარ-გად ჰქონდათ შეგნებული, რომ მათ ქვეყანაში ქრისტიანობის დანერ-გვა გამოიწვევდა მათს დამორჩილებას მეფისა და ფეოდალთა კლასის მიერ. ამით აიხსნება მათი გააფთრებული წინააღმდეგობა ქრისტიანუ-ლი სარწმუნოების პროპაგანდისტების მიმართ.

VI საუკუნის მეორე და მესამე მეოთხედში ჰერეთში ადგილი აქვს ე. წ. სირიელ მოღვაწეთა ჩამოსვლას. ჰერეთში დამკვიდრებულმა „სი-რიელმა“ მამებმა დიდად შეუწყვეს ხელი ჰერეთში ქრისტიანული ეკ-ლესიის გაძლიერებას ცეცხლთაყვანისმცემლობასთან ბრძოლაში და აგრეთვე ჰერეთში სამონასტრო ცხოვრების და მისი ორგანიზაციის დაშყარება-ჩამოყალიბებას. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქრისტიანობის დანერგვა და განმტკიცება ხელს უწყობდა ფეოდალურ ურთიერთობათა შემდგომ განვითარებას, აზნაურების გამარჯვებასა და განმტკიცებას, მაშინ „სირიელ“ მამათა მოღვაწეობა ჰერეთში სოციალურ ელფერს იძენს. „სირიელ“ მოღვაწეთა მნიშვნელოვანი ნაწილი: დავით გარეჯელი, იოსებ ალავერდელი, აბიბოს ნეკრესელი, სტეფანე ქისიყელი, ფართო საგანშანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ ჰერეთის ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ანტონ მარტყოფელი, იოანე ზედაზ-ნელის მოწაფე, მარტყოფში საბოლოოდ დამკვიდრებამდე, აქტიურ სა-ქმიანობას ეწეოდა ჰერეთის სხვადასხვა პუნქტებში: ალავერდს, არ-ტოზანს, ლოპოტის ხევსა და სხვაგან. განსაკუთრებით მჭიდროდ იყვ-ნენ დაკავშირებულნი, თავისი მოღვაწეობით ჰერეთთან დავით გარე-ჯელი, აბიბოს ნეკრესელი და სტეფანე ხირსელი (ქისიყელი). როგორც ჩანს, გარეჯა, ნეკრესი და ხირსა ადრეფეოდალურ ხანაში მნიშვნელო-ვან საეკლესიო და სამონასტრო ფეოდალურ სენიორიებს წარმოადგენ-დნენ. თითოეულ ამ სენიორიას გააჩნდა თავისი სამეურნეო-ადმინის-ტრაციული სტრუქტურა და წარმოადგენდნენ სოციალურ-ეკონომი-ურ ერთეულებს. როგორც ცნობილია, ქართული ქრისტიანული ეკლესია თავისი ბუნებით თავიდანვე ფეოდალურ ტენდენციების მატა-რებელი იყო. ეკლესია — მონასტრები ფეოდალიზმის გარიჟრაჟ-ზევე, შეწირულებისა და შესყიდვის გზით, მრავალრიცხოვანი ქონებისა და ყმა-მამულის პატრონები ხდებიან. ეკლესიის მესვეურნი ფეოდალთა კლასს ეკუთვნოდნენ. ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩვენ უაღრესად ცხადი გვეჩვენება, რომ „სირიელ“ მამათა მოღვაწეობას ჰე-რეთის სოციალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა. ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების გზაზე ქრისტიანობის გავ-რცელება ჰერეთში, IV საუკუნეში, ერთ-ერთი ეტაპის აღმნიშვნელი

მოვლენა იყო. ამ საქმეში ასევე ერთი უძლიერესი იარაღთაგანი იყო ქრისტიანობა ამჯერადაც, VI საუკუნეში. გარეჯაში, ნეკრესში და ხირსაში სირიელ მამათა მიერ დაარსებული მონასტრები და საეპისკოპოსო ტაძრები ქართლის სამეფო ხელისუფლებისათვის დასაყრდენი პუნქტები იყო ჰერეთში ფეოდალურ ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საქმეში. ქართლის სამეფო ხელისუფლებას კარგად ქონდა შეგნებული ის გარემოება, რომ ქრისტიანობის ქადაგება მცხეთიდან ჰერეთში (ალაზნის ხეობაში), ფეოდალურ კლასობრივი ურთიერთობის ტენდენციათა გამარჯვების გვერდით, ნიშნავდა ქართველთა პოლიტიკური ბატონობის პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცებას ამ აღმოსავლურ პერიფერიაში[129]. მართალია, ასურელ მამათა ცხოვრების წიგნთა ჩვენამდე მოღწეულ არქეტიპულსა და მეტაფრასტულ რედაქციებში თითქმის ვერ ვხვდებით საამისო პირდაპირ მითითებებს, რადგან მათში უმთავრესი ყურადღება დათმობილი აქვს ჩვენში სამონასტრო ცხოვრების ჩამოყალიბებისა და ორგანიზაციის საკითხებს, მაგრამ საკმარისია ღრმად ჩავუკვირდეთ ასურელ მოღვაწეთა სამოქმედო ასპარეზის გეოგრაფიულ განლაგება-განაწილებას, რომ მასში აშკარად გამოჩნდეს მათი ქადაგების უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა; მასში მკაფიოდ ვლინდება ასურელ მამათა მიერ გაჩაღებული ფართო საგანმანათლებლო-სამისიონერო მოძრაობის კლასობრივი და სოციალური საფუძვლები, მოძრაობისა, რომელიც თავიდანვე სამეფო სახლის სამსახურში იდგა.

ასურელი მამები სამოღვაწეოდ უმთავრესად მკვიდრდებიან ქრისტიანიზებული ქვეყნის, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ კი ქართლისა და კახეთ-ჰერეთის მთიანსა და განაპირა მხარეებში. დასავლეთიდან თუ დავიწყებთ. აქ, ლიხის მთის კალთებზე, ფდინარე ალის-წყლის ხეობაში, ულუმბოს მახლობლად, ჩვენ ვხედავთ სამოღვაწეოდ დაფუძნებულ მიქაელ ულუმბელს[130]. უფრო აღმოსავლეთით რომ წამოვიდეთ, ბრეთში, მდ. დვანის-წყლის ხეობაში, მოღვაწეობს პიროს ბრეთელი[131]. შემდეგ მდ. რეხულას ხეობაში, წლევის მთის ფერდობებზე, მკვიდრდება თათე სტეფანწმინდელი[132]. იმავე რეხულას ხეობაში, მის აღმოსავლეთით, სამთავისში მოღვაწეობს ეზდერიოს (ისიდორე) სამთავნელი[133]. მცხეთის მახლობლად,

---

[129] შდრ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბილისი, 1964, გვ. 181—182.

[130] ვახუშტი, „აღწერა", გვ. 80—81.

[131] ი ქ ვ ე, გვ. 79.

[132] ი ქ ვ ე, გვ. 72.

[133] ი ქ ვ ე.

ნდ. მტკვრის მარცხენა ნაპირის აუზში, ზემოთ მთის ფერდობებზე ეფუძნება შიო მღვიმელი[134]; და ბოლოს, მდ. არაგვს ზემოთ, ასევე მთის ძირს, წილკანში, ჩვენ ვხედავთ იესე წილკნელს[135]. ასურელ მამათა სამისიონერო ასპარეზის ეს უკანასკნელი ხაზი, როგორც ჩანს, მიმართული იყო ქართლის ჩრდილოეთი ზოლის მთის მოსახლეობისაკენ. სხვა ჯგუფმა ასურელი მამებისამ კი შექმნა ქრისტიანობის პროპაგანდა-განმტკიცების ძლიერი ფორპოსტები კახეთ-ჰერეთში. თუ ჩამოთვლას აქაც უკიდურესი დასავლეთი საზღვრიდან დავიწყებთ, მაშინ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ იოანე ზედაზნელი, რომელიც არაგვს ზემოთ მდებარე ზედაზენის მთაზე დაეფუძნა[136]. ზედაზენი ასურელ მამათა სამისიონერო პუნქტების მთელი ხაზის ცენტრში მდებარეობდა. შემდეგ, აღმოსავლეთით, ლილოსა და კუხეთის მთებს შორის, მარტყოფში, დაახლოებით 545 წლისათვის, ანტონ მარტომყოფელი აარსებს თავის მონასტერს[137]. შიდა კახეთში, მის ჩრდილოეთ ნაწილში იყალთოსა და ალავერდში — დაახლოებით 541—544 წლებში მკვიდრდებიან ზენონ იყალთოელი და იოსებ ალავერდელი[138]. ალაზანს გაღმა, ჰერეთის ქვეყანაში, მდ. ყვარლის წყალზე, კავკასიონის მთავარი ქედის ერთ-ერთ განშტოებაზე, ნეკრესში, 571 წლის მახლობელ ხანებში, ვახუშტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დაადგრა წმიდა აბიბოს, იგ მამათაგანი, და იქმნა იგი ეპისკოპოზ, მწყემსი გაღმა — მხრისა დიდოთურთ“[139]. „ამანო, — განაგრძობს შემდეგ ვახუშტი — მოაქცივნა უმრავლესნი მთიულნიო“[140]. ვახუშტის ამ სიტყვებში მშვენივრად ჩანს ასურელ მამათა სამისიონერო მოღვაწეობის არსი და მნიშვნელობა: მთის მოსახლეობის მოქცევა და ამის შესაბამისად პოლიტიკური ბატონობის გავრცელება. ეს იყო ის ძირითადი მიზანი, რომელიც ქართლის სამეფო ხელისუფლებას აწუხებდა და რისთვისაც იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ნეკრესს. ნეკრესი, და საერთოდ ჰერეთის ჩრდილოეთი, ბარისა და მთის შეხების იმ ზოლს წარმოადგენდა, რომელიც ბარს თანდათან უნდა აეთვისებინა და თავისი სოციალური და კულტურული ურთიერთობისათვის ეზიარებინა. კამბეჩანში, ხორნაბუჯის მახლობლად, ხირსაში, არსებული ისტორიული ტრადიციის თანახმად, მონასტერი

---

134 ი ქ ვ ე, გვ. 62.
135 ი ქ ვ ე, გვ. 63.
136 ი ქ ვ ე, გვ. 93—94.
137 ი ქ ვ ე, გვ. 95.
138 ვახუშტი, „აღწერა“, გვ. 101.
139 ი ქ ვ ე, გვ. 99.
140 ი ქ ვ ე.

დაუარსებია სტეფანე ხირსელს[141]. აქვე უნდა მოვიხსენიოთ იმავე კაბეჩანში, მის სიღრმეში, მდ. იორის ორივე მხარეს არსებული ქოლაგირისა და მაღაზანას გამოქვაბულ ეკლესიათა კომპლექსები, რომელნიც, როგორც ფიქრობენ, დავით-გარეჯის მონასტერთა ჯგუფს ეკუთვნის და დავით გარეჯელის მოწაფეებს თუ მის მიმდევრებს უნდა დაეარსებინათ[142]. დასასრულს, ჰერეთის მრავალმთის სანახებში, 520 წლის მომდევნო ხანებში, საფუძველი ჩაეყარა გარეჯის დიდ სამონასტრო ორგანიზაციას, რომლის დამაარსებლად ისტორიული წყაროები ასახელებენ ასევე ასურელ საეკლესიო მოღვაწეს — დავით გარეჯელს. ასურელ მამათა სამისიონერო საქმიანობა რომ ქართლის ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების მესვეურთა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გამოხატულება იყო, ეს კარგად დაუნახავს შემდგომში ვახტანგ VI სწავლულ კაცთა კომისიას. ამას მოწმობს მათ მიერ გაკეთებული „ქართლის ცხოვრების“ ჩანართები, რომლებშიაც აშკარად ჩანს ასურელ მამათა მოღვაწეობისადმი ინტერესის და ყურადღების გამახვილება. ერთ-ერთ ჩანაწერში იოანე ზედაზნელის შესახებ ვკითხულობთ: იოანე **„მოვიდა მცხეთას, და ბრძანებითა მეფისათა და კურთხევითა კათალიკოსისათა** აღვიდა მთასა ზედა ზადენსა, და მუნ-დაემკვიდრა დაყუდებით... ხოლო მოწაფენი მისნი წარვზავნა... რომელიმე ქართლს და რომელიმე კახეთს, და რომელიმე უდაბნოდ გარესჯად“[143]... ამ სიტყვებიდან „ბრძანებითა მეფისათა და კურთხევითა კათალიკოსისათა“ აშკარად ჩანს, რომ ასურელ მამათა სამისიონერო საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამეფო ხელისუფლების ინტერესებთან. ქართლის მეფეთა პოლიტიკა მტკიცედ იყო მიმართული ერთიანი რელიგიის გაბატონებისაკენ. სამეფო ხელისუფლების მითითებით, ასურელ მამათა მიერ ეკლესია-მონასტრების დაარსება ხდება გარკვეული ტერიტორიული პრინციპით, იმგვარად, რომ ქრისტიანობამ მოიცვას ქვეყნის ყველა ნაწილი, რომ განაპირა მხარეების (მაგალითად, ჰერეთის) საეკლესიო რაიონები მტკიცედ დაუქვემდებარდეს მცხეთის კათალიკოსს.

VI საუკუნის II ნახევრის ჰერეთის შინაგანი ისტორიისათვის საყურადღებო მასალას გვაწვდის სუმბატ დავითის ძის თხზულება — „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“. სუმბატ დავითის ძის ქრონიკიდან აღნიშნული მასალა ჩვენ ზემოთ ნაწილობრივ მოვიტანეთ, რო-

---

[141] ი ქ ვ ე, გვ. 97 — 98

[142] Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, Пещерные монастыри Давид-гареджи, გვ. 18; Архитектура Кахетии, გვ. 4.

[143] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 208.

დესაც ჰერეთის პოლიტიკური ისტორიის საკითხებზე ვმსჯელობდით. ამჯერად ეს მასალა ყურადღებას იპყრობს სოციალურ ასპექტში. სუმბატ დავითის-ძე გვიამბობს: „და ოთხნი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს: ხოლო ერთი მათგანი, სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად, და ესე არს ერისთავი ქართლისა და მამა ბაგრატიონთა. და ესე ქართლისა ბაგრატონიანნი შვილის შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი.

ხოლო ძმა მისი, სახელით საჰაკ, წარვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს. და სხუანი ორნი იგი ძმანი ამათნი, სახელით ასამ და ვარაზვარდ, წარვიდეს კამბეჩანს, და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი და დაიპყრეს კამბეჩანი, და დასხდეს იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს და ამა ჟამამდე შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა“[144]. როგორც ვხედავთ, ჰერეთის ერთ-ერთ კანტონში, კამბეჩანში, VI საუკუნის მეორე ნახევარში დამკვიდრებულან ბაგრატიონია საგვარეულოს წარმომადგენელნი — ასამი და ვარაზვარდი. სუმბატ დავითის-ძის ამ ჩვენებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ VI საუკუნის მეორე ნახევრიდან კამბეჩანი ცალკე ფეოდალურ ერთეულს წარმოადგენდა, რომელსაც სათავეში „მთავარი“ ედგა და, როგ კამბეჩანს, როგორც დამოუკიდებელ ფეოდალურ სენიორიას ცენტრით ხორნაბუჯში, ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელნი XI საუკუნის მესამედამდე (1032 წ.) ფლობდნენ, ე. ი. ადრეფეოდალური ხანის ისტორიის თითქმის მთელ მანძილზე. ამას გვაფიქრებინებს მემატიანის სიტყვები — „ამა ჟამამდე (ე. ი. 1032 წ. — თ. ჯ.) შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა“-ო. ასეთივე ვითარება (ე. ი. ბაგრატიონთა მფლობელობა, „მთავრობა“) შეიძლება ვიგულისხმოთ კამბეჩანში მთელ XI საუკუნეშიც, ხოლო შემდეგ, XII საუკუნის პირველ ნახევარში ბაგრატიონები აქ ან ამოწყდნენ ანდა სხვაგან გადასახლდნენ, რადგანაც XII საუკუნის მეორე ნახევარში და თამარის დროს ხორნაბუჯის პატრონებად უკვე სხვა საგვარეულოს წარმომადგენელნი — მახატლის ძეები იხსენიებიან[145].

ასამ და ვარაზვარდ ბაგრატიონების „გამთავრება“ კამბეჩანში უმტკივნეულოდ არ მომხდარა. აქ ადგილი ჰქონია კამბეჩანის „ერის“ აჯანყებას მათი წინანდელი მფლობელის — ვეზან ხორნაბუჯის ერისთავის წინააღმდეგ. ამას მოწმობს იმავე სუმბატ დავითის ძის ცნობა — „ხოლო ასამ და ვარაზვარდ წარვიდეს კამბეჩოანს, და გ ა რ დ ა უ ქ ც ი ე ს ე რ ი ვეზანს, ერისთავსა ბაჰარ ჩუბინისსა, და ვეზან მოკლეს, და

---

144 ქ ც ბ ა, 1, გვ. 373.

145 კ ა მ ბ ე ჩ ა ნ ი ს, როგორც ცალკე „ქვეყნის“ არსებობის შესახებ, ადრეფეოდალურ ხანაში, იხილეთ აგრეთვე: დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, უჯარმა, გვ. 77—78, 81, 85; მისივე, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII—XIII სს-ში, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბილისი, 1967, გვ. 120—121.

დაიპყრეს მათ კამბეჩოანი"[146]. მეტად მრავლისმეტყველია სუმბატ დავითისძის ქრონიკიდან ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ცნობები. უპირველეს ყოვლისა, აქ მკვლევარს თვალში ეცემა ის გარემოება, რომ VI საუკუნის კამბეჩანის შინაგანი მოვლენები მჭიდროდ არის გადანასკვული ამავე ხანის ქართლში მიმდინარე პოლიტიკურსა თუ სოციალურ მოვლენებთან. ისევე როგორც ქართლში ერისმთავრობის დაწესება და საერთოდ ქვეყნის ახალ სოციალურ საწყისებზე მოწყობა დაკავშირებულია ირანელ დამპყრობთა მმართველობის თავიდან მოცილებასთან, ასევე კამბეჩანშიც ადგილობრივი მთავრების ახალი ხელისუფლების დამყარება უკავშირდება ირანელთა პოლიტიკური ბატონობის გადაგდებას. სწორედ იმ დროს, როდესაც VI საუკუნის 70-იან წლებში ირანელების წინააღმდეგ ქართლის წარჩინებულთა აჯანყების შემდეგ, იმავე სუმბატ დავითის ძის სიტყვები რომ ვიხმაროთ—„ერთად შეკრება ყოველი ქართლი და გამოარჩიეს გუარამ, დავითის ნათესავისაგან, მოწევნული ძმათა მისთა თანა, ასამს და ვარაზვარდს"[147], კამბეჩანში გუარამის ძმებმა, ასამმა და ვარაზვარდმა, „გარდაუქციეს ერი" შაჰის ირანელ მოხელეს ვეზან ხორნაბუჯის ერისთავს, მოკლეს იგი, დაიპყრეს კამბეჩანი და თვით გამთავრდნენ. საფიქრებელია, რომ ასამ და ვარაზვარდ ბაგრატიონები კამბეჩანის აზნაურ-წარჩინებულებთან შეთანხმებით მოქმედებდნენ. კამბეჩანში ირანელთა წინააღმდეგ მოძრაობას სახალხო ხასიათი ჰქონდა. ირანელთა ბატონობით უკმაყოფილო კამბეჩანის აზნაურებმა საერთო ენა გამონახეს ასამ და ვარაზვარდ ბაგრატიონებთან და შეერთებული ძალებით, ბუნებრივია, ჩაებნენ ამ მოძრაობაში, მისი მეთაურობა დაიჩემეს და მოხერხებულად ცდილობდნენ კამბეჩანის „ერის" ეს სახალხო ბრძოლა თავისი კლასობრივი ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ასეთი უნდა ყოფილიყო, ჩვენი აზრით, VI საუკუნის კამბეჩანში განვითარებული მოვლენების სოციალურ-პოლიტიკური ბუნება.

კამბეჩანი ცალკე ფეოდალურ ერთეულს წარმოადგენდა მომდევნო VII საუკუნეშიც. ეს ნათლად ჩანს არაბი ავტორის ბალაძორის ცნობიდან, საიდანაც ირკვევა, რომ კამიბარანის resp. კამბეჩანის მფლობელი არაბთა ხალიფა ოსმანის (644—656) სარდალ სალმან იბნ-რაბია ალ-ბახილთან ქართლის ერისმთავრისაგან დამოუკიდებლივ ზავს დებს და კისრულობს ხარკის გადახდას[148]. ასეთი ლონისძიებების (ზავის დადება, ხარკის გადახდა) შესრულება, რა თქმა უნდა, შეეძლო მხოლოდ

---

[146] ქ ც ბ ა, I, გვ. 374.
[147] ქ ც ბ ა, I, გვ. 374.
[148] Б а л а д з о р и, «Книга завоевания стран», Баку, 1927, გვ. 14.

ისეთ ხელისუფალს, რომელიც თავის „ქვეყანაში“ ერთგვარი შინაგანი დამოუკიდებლობით სარგებლობდა. ცალკე ქვეყნად ჩანს კამბეჩანი იმავე VII საუკუნეში მოსე კალანკატუელისა[149] და ანანია შირაკელის „გეოგრაფიის“[150] მიხედვითაც. VII საუკუნის შუა ხანებისათვის (40—50-იანი წლები) კამბეჩანის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად არსებობას გვიდასტურებს აგრეთვე IX საუკუნის ქართველი მწერალი არსენ საფარელი, რომელიც მოგვითხრობს რა სომეხთა ნახარარის (ერისთავის) თეოდოროს რშტუნის მიერ ერთ-ერთი სასულიერო პირის, იოანე მაირავანელის მწვალებლობისათვის განდევნის შესახებ, დაწვრილებით აგვიწერს ამ უკანასკნელის კამბეჩანის ქვეყანაში დამკვიდრებას[151]. როგორც ჩანს, ასეთივე ვითარება გრძელდება კამბეჩანში VIII საუკუნის II ნახევარშიაც. ამაზე მიგვითითებს სომეხი ისტორიკოსი ლევონდი (VIII ს). იგი როდესაც გადმოგვცემს აბასიდი ხალიფა მანსურის დროს (754—775) ალვანეთსა და ქართლში ხაზართა შემოსევის ფაქტს, დაპყრობილ ტერიტორიალურ-ადმინისტრაციულ ერთეულთა შორის ასახელებს კამბეჩანის ოლქსაც[152]. შემდეგში, VIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან, როდესაც ჰერეთი ცალკე სამეფოდ ჩამოყალიბდა, კამბეჩანი ცენტრით ხორნაბუჯში, როგორც ამას ვახუშტის „ქმნულება და ცხოვრება კახეთისა და ჰერეთისა“ გვაუწყებს, ჰერთა მეფის ერთ-ერთ საერისთაოდ გვევლინება[153]. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ადრეფეოდალურ ხანაში (და უფრო გვიანაც) კამბეჩანი ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენს არა მარტო ტერიტორიულ-ადმინისტრაციულად, არამედ სხვა მხრივაც: იგი თავისი სოციალურ-ეკონომიური პირობებით (მიწისმფლობელობის ფორმები, მეურნეობის სახეები და სხვ.) განსხვავდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებისაგან.

წერილობით წყაროებში დაცული ცნობების გარდა, ადრეფეოდალური ხანის კამბეჩანის ისტორიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურ მასალებსაც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს 1938—1939 წწ. ქიზიყში ყოღოთოს ხევისა და ძველ ანაგის მიდამოებში სტეფანე მენთეშაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები. ქიზიყის ექსპედიციამ შეისწავლა

---

[149] М. Каганкатваци, кн. II, гл. XIX, гв. 141—142.

[150] Армянская география VII в., изд. К. Патканова, С-пб. 1877.

[151] არსენ საფარელი, განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა, ქრონიკები, I, გვ. 331—332.

[152] История халифов вардапета Гевонда, писателя VIII века, СПБ, 1862, гв. 92.

[153] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 147.

და დაზვერა სხვადასხვა ხასიათის ძეგლები: ციხე-ქალაქები, ნასახლარები, სამარხები და სხვ. მაგრამ ძირითადი არქეოლოგიური სამუშაოები ყოღოთოს სამაროვანზე წარმოებდა, სადაც 1939 წ. ექსპედიციის მიერ გათხრილ იქნა ათი აკლდამა, ოცდაექვსი ორმოსამარხი, შვიდი ქვევრსამარხი და ერთი აგურსამარხი[154]. გათხრებმა მოგვცა მრავალმხრივ საინტერესო მასალა, რომელსაც დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის `კამბეჩანის ისტორიის მთელი რიგი საკითხების გასაშუქებლად: კამბეჩანის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური ვითარება, სამეურნეო ყოფა-ცხოვრება, კულტურა, ურთიერთობა აღმოსავლეთ ქვეყნებთან და სხვ.

ყოღოთოს ორმოსამარხებს მ. სინაურიძე III საუკუნის ბოლოთი და IV—V საუკუნეებით ათარიღებს. ერთი მათგანი (სამარხი № 26) შეიძლება VI ს. გადმოდიოდეს. მაგრამ ეს არის უკიდურესი ზედა ქრონოლოგიური ზღვარი, რომლის იქით ყოღოთოს ორმოსამარხები აღარ აღწევენ[155]. სამარხეული ინვენტარის ანალიზი მ. სინაურიძეს საფუძველს აძლევს დაასკვნას, რომ ანტიკური ხანის მიწურულისა და ადრეფეოდალური ხანის ყოღოთოს ორმოსამარხები ძველ, ალაზან-იალოილუთეფეს ჰერულ კულტურასთან გარკვეულ კავშირს ამჟღავნებენ. ეს ვლინდება როგორც თვით სამარხის ტიპში (ორმოსამარხი), ასევე დაკრძალვის წესის შენარჩუნებაში. ძველი ტრადიციების სიმყარე განსაკუთრებით ნათლად ჩანს კერამიკაში. ასე მაგ., № 8 და № 10 სამარხებში გვხვდება ანგობით მოხატული ორყურა დიდი ზომის ჭურჭელი, რომლის პროტოტიპებად მ. სინაურიძეს მიაჩნია ალაზნის კულტურის ორყურა ჩაფები[156]. ერთი სიტყვით, სამარხის ტიპი, ზოგჯერ სამარხში მიცვალებულის დაკრძალვის წესი და ინვენტარში გარკვეული სახის კერამიკის არსებობა, ისეთი არსებითი ნიშნებია, რომლებიც მკვლევარს აუცილებლად ავარაუდებინებს ყოღოთოს სამაროვანზე ჰერული კულტურის განვითარების საერთო ხაზის გაგრძელებას. მეორე მხრივ, მ. სინაურიძის დაკვირვებით, ყოღოთოს ყველა ორმოსამარხში საგრძნობია ცვლილებანიც. ჩნდება ახალი ხასიათის სამარხეული ინვენტარი:

---

154 აღნიშნული არქეოლოგიური მასალა ამ უკანასკნელ ხანს დაამუშავა მ. სინაურიძემ. იხ. მისი წერილები: „გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის სამარხები ყოღოთოდან“, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXVII-B, თბ. 1967; მისივე, „ქიზიყის 1938—1939 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები“, მუზეუმის მოამბე, XXV-B, თბ., 1968; მისივე, „აკლდამა ნაქალაქარ ხორნაბუჯის მიდამოებიდან“, ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, IX, თბ., 1967.

155 მ. სინაურიძე, გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის სამარხები ყოღოთოდან, გვ. 122.

156 მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 122—123.

ეშვილდსაკინძები, აბზინდები, ბალთები და სხვ. მ. სინაურიძის აზრით, ეს ახალი კულტურა აზიიდან უნდა იყოს გავრცელებული, რომელმაც ადრეფეოდალური ხანის გარიჟრაჟზე მოიცვა მთელი სასანური იმპერია. ამ კულტურის არსებობა ყოლოთოს სამაროვანზე უნდა გვანიშნებდეს კამბეჩანში მოსახლე ტომების კულტურულ ურთიერთობას აღმოსავლეთთან, რომელიც მ. სინაურიძის სამართლიანი მოსაზრებით, იბერია მეშვეობითაც შეიძლება განხორციელებულიყო და მათ გარეშეც[157].

III—IV საუკუნეებში კამბეჩანს რომ ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, ამას გვიჩვენებს ყოლოთოს ხევის სამაროვანის სხვა მასალაც. ასეთებია, მაგალითად: № 10 სამარხში აღმოჩენილი შაბურ I ვერცხლის მონეტა (241—272 წწ), № 13 სამარხში ნაპოვნი გოტარძეს ვერცხლის მონეტა (თარიღდება ახ. წ. 40—51 წ)[158]. როგორც გამორკვეულია გოტარძეს მონეტა მიმოქცევაშია IV საუკუნემდე[159]. აღმოსავლეთ ქვეყნებთან ურთიერთობის მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს № 10 სამარხში დაცული ორი პატარა ორყურა ჭურჭელი, რომელთაც პირს ქვემოთ გაფართოებულ ნაწილში გადავლებული აქვთ პირიდან ძირამდე სქელი არათანაბარი ფერის გაუმჭვირვალე ჭიქური. ჭიქურის ფერი ამჟამად ძირითადად ყავისფერია, მაგრამ აქა-იქ ცისფერი და მომწვანო ლაქები გამოსჭვივის. მათ ახასიათებთ სოთეთრო კეცი. ფორმის მიხედვით ჭურჭელი ასეთი სახისაა: ქუსლიანი ძირი გამოყოფლია ქვემოთ გაფართოებული კონუსური ტანისაგან, ვიწრო ყელი ზემოთ ფართოვდება და ვერტიკალურად ამართულ პირში გადადის. ორი პატარა გაბრტყელებული ყური ერთი ბოლოთი მხრებს ერთვის, მეორეთი — ყელს[160]. როგორც ცნობილია, ამგვარად მოჭიქული ჭურჭლები და ასეთივე ფორმისა გავრცელებულია მახლობელ აღმოსავლეთში პართულ და სასანურ ხანაში[161]. როგორც მ. სინაურიძე აღნიშნავს, ყოლოთოს სამაროვანზე V—VI სს. სასანურ ირანთან ურთიერთობის დამახასიათებელი ნივთები მატულობს (ასეთებია სამი ბეჭედი სასანურ გამოსახულებიანი ანაბეჭდით და სხვ.)[162]. ჩვენი აზრით, აღნიშნული გარემოება სავსებით კანონზომიერი და ბუნებრივია. ჩვენ ზემოთ, წერილობითი წყაროებიდან ამოკრეფილი ცნო-

---

[157] მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

[158] მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 117, 118.

[159] Д. Г. Капанадзе, О продолжительности обращения денариев Августа и драхм Готарза в древней Иберии, СА, № 4, М., 1962.

[160] მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 114, ტაბულა II.

[161] W. Toll, The Excavation at Dura-Europos, IV. The green Glazed Pottery, p. I, London, 1943 ტაბ. XVII, სურ. 23; მ. სინაურიძე დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

[162] მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

ბების მიხედვით ვნახეთ, რომ VI საუკუნეში ირანელები კამბეჩანში და საერთოდ ჰერეთში უფრო მტკიცედ იკიდებენ ფეხს და ამ საუკუნის გარკვეულ მონაკვეთში მათი პოლიტიკური ბატონობა აქ აშკარად გამოხატულ დამპყრობლურ ფორმებს ატარებს.

როდესაც ჩვენ ყოლოთოს სამაროვანზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით ვმსჯელობთ კამბეჩანში სასანური კულტურის გავლენის გავრცელების შესახებ, აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ჩვენი აზრით, აღნიშნული გავლენა საკმაოდ ზედაპირული იყო, იგი უმთავრესად, ალბათ, ქალაქის მოსახლეობაში შეიმჩნეოდა (ყოლოთო ზომ ქ. ხორნაბუჯის სულ ახლო მიმდებარე ტერიტორიაა და იგი შესაძლებელია მის ერთ-ერთ უბანსაც წარმოადგენდა) და საფიქრებელია, მეტწილად ეხებოდა კამბეჩანის მოსახლეობის ზედა, არისტოკრატიულ ფენებს. კამბეჩანის ქვეყნის სიღრმეში მისი გავრცელება არ უნდა ყოფილიყო მაინც და მაინც ინტენსიური და მას არ უნდა მოეპოვებია უპირატესობა ადგილობრივ კულტურულ ტრადიციებთან შედარებით. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყოლოთოს მასალებში შესაძლებელია შეგვხვდეს ნაწარმის ისეთი ტიპები, რომლებიც ერთი შეხედვით თითქოს იმპორტულია, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ ცალკეული ელემენტების მიხედვით ისინი ადგილობრივად მივიჩნიოთ. ცხადია ისინი იმპორტული ნაწარმის მიბაძვითაა ადგილობრივ დამზადებული და ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი კულტურის ელემენტებით შევსებულ-შემკობილიც. ასეთი მასალა საფუძველს გვაძლევს ვილაპარაკოთ სასანური კულტურული ელემენტებისა და ადგილობრივი ტრადიციების შერწყმის შესახებ.

სასანური კულტურის გავლენის შეჭრა, რა თქმა უნდა, თავისკვალს დაატყობდა კამბეჩანის მაღალი, არისტოკრატიული ფენების ყოფას, წესჩვეულებებსა და ტანსაცმელ-მორთულობას. ფორმითა და შემკულობით აშკარად გამოხატულ სასანური სახის მქონე იმპორტული მინის ჭურჭლის (თასები, ფიალები) აღმოჩენა ყოლოთოს სამარხებში (სამარხი № 10 და № 24)[163] ცხადყოფს, რომ ეს უცხოური ჭურჭელი აქ საკმაოდ ფართო ხმარებაში იყო და პირველ რიგში, ცხადია, წარჩინებული წოდების ოჯახებში.

ამავე დროს, განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოლოთოს მასალები ნათლად მეტყველებენ კამბეჩანისა და ქართლის სამეფოს მჭიდრო კულტურულ კავშირსა და ურთიერთობაზე. „ყოლოთოს საშარხების ინვენტარს გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის მცხეთის, ურბნისის, რუსთავის, წალკის და სხვ. სამარხების სა-

---

[163] მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 115, 119, 124.

ყურეებს, ბეჭდებს, აბზინდებს, ბალთებს, მძივებს და სხვ. შორის არა ერთი უშუალო ანალოგი მოეძებნება... გვიანანტიკური ხანის დასაწყისისათვის ყოლოთოს სამარხეული ინვენტარი თითქმის სავსებით იბერიულის იდენტურია. ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ იბერთა მიერ ქიზიყის ჰერების კულტურული ასიმილაციის პროცესი დამთავრებულია"[164].

VI საუკუნიდან ყოლოთის სამაროვანზე ჩნდება სამარხების ახალი ტიპი — ქვითკირით ნაგები აკლდამა. აკლდამები წარმოადგენენ 5—7 მ სიგრძის ნაგებობას საფეხურიანი კიბით, კამარიანი კარით, შესავალი დერეფნითა და თაღით გადახურული სამარხი კამერით. 1938—1939 წწ. სტეფანე მენთეშაშვილის მიერ აქ გათხრილ იქნა ათი აკლდამა. სამწუხაროდ აკლდამები ძველადვე გაუძარცვავთ, რის გამოც მათზე სრული წარმოდგენის მიღება შეუძლებლია. ჩვენამდე მოღწეული ინვენტარი შეიცავს: ბრინჯაოს სამაჯურს, მშვილდსაკინძების ნატეხებს, ბრინჯაოს ბეჭედს ღია მწვანე მინის თვალით, ვერცხლის საყურეს, პასტის, გიშრის და სარდიონის მძივებს და სხვ. აღნიშნული ნივთები და თვით აკლდამების ნაგებობა VI—VIII საუკუნეებით თარიღდება[165].

ცალკე უნდა შევჩერდეთ კაბეჩანში, სოფ. ძველ ანაგაში 1925 წელს აღმოჩენილ ერთ აკლდამაზე. როგორც შემდეგ გამოირკვა, აკლდამის ინვენტარს შეადგენდა: ოქროს სარტყელი, საკინძი, სამაჯურები, სარდიონის ბეჭედი, მძივები და სხვ. აღმოჩენილი ნივთებიდან მხოლოდ ნაწილი მოხვდა მაშინდელი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების განკარგულებაში. აღნიშნული ნივთებიდან ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში ოქროს სარტყლის ბალთები (8 ც.), საკინძი და სარდიონის ბეჭედი ინახება, ხოლო საქართველოს მუზეუმის ფონდებში კი — მძივები და ყურ—და ენამოტეხილი ბრინჯაოს პატარა ზარი. ძველ ანაგის აკლდამის აღნიშნული ინვენტარი ქიზიყის ექსპედიციის სხვა მასალებთან ერთად დაამუშავა და შეისწავლა მ. სინაურიძემ[166].

ოქროს ბალთები წარმოადგენს ოქროს ოთხკუთხა დაბალ კოლოფს, რომლის ზედაპირზე ოქროს გაბრტყელებული მავთულით გამოყვანილია აჟურული ორნამენტი. რვა ბალთიდან შვიდი ერთნაირია, მათ აჟურულ ბადეს შეადგენს ერთნაირი მცენარეული მოტივი: სამყურა ფოთოლი, შუაში ვიწრო და გრძელი, გვერდებზე ორი განიერი, ქვემოთ დაშვებული ფურცლებით. ერთი ბალთა კი როგორც სიდიდით, ისე

---

164 მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 124—125.

165 მ. სინაურიძე, ქიზიყის 1938—1939 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები, გვ. 48—58.

166 მ. სინაურიძე, ქიზიყის 1938—1939 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები, გვ. 59—60.

ორნამენტით განსხვავდება დანარჩენებისაგან. იგი შედარებით დიდია. მასზე გამოსახულია მამაკაცის პირისახე და ტანის ზედა ნაწილი. როგორც მ. სინაურიძე ფიქრობს, იგი სარტყლის კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენდა[167]. მოზრდილ ბალთაზე გამოსახული მამაკაცის ჩაცმულობის (პერანგი მკერდზე არშიით), თმის ვარცხნილობის, სამკაულის, თავსაბურავის და სხვა ნიშნების გათვალისწინებით, მ. სინაურიძე ვარაუდობს, რომ ანაგის ბალთაზე გამოსახული უნდა იყოს მეფე ან დიდებული, შესაძლოა ისიც, რომ ეს იყო ხორნაბუჯის ერისთავი[168]. რაც შეეხება მთლიანად ძველი ანაგის ოქროს ბალთების წარმოშობის დროსა და სადაურობას, მათი მხატვრული და სტილისტური ანალიზი, დამზადების ტექნოლოგია, ორნამენტის სიუჟეტი და სხვა რეალიები, არქეოლოგს უფლებას აძლევს ეს ძეგლი გვიანსასანური ხანით, კერძოდ, VI—VII სს. დაათარიღოს და იგი მიიჩნიოს სასანური ხელოვნებისა და კულტურის წრის კუთვნილებად[169]. რაც შეეხება ანაგის ოქროს საკინძს, რომელიც მთელი რიგი ნიშნების მიხედვით ქართულ ნაწარმად უნდა ჩაითვალოს, ვარდისფერ სარდიონის ბეჭდებს და აგრეთვე მძივებს (მთის ბროლის, მინის, სარდიონის) მათი თარიღიც VI—VII საუკუნეებში ექცევა[170]. როგორც ვხედავთ, ძველ ანაგის აკლდამის ნივთიერი მასალა ატარებს ელფერს, რომელიც მდიდრული სოციალური ფენებისათვის იყო დამახასიათებელი. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ განსხვავებით ყოლოთის ხევის რიყის ქვით ნაგები აკლდამებისაგან, ანაგის აკლდამა ნაგები ყოფილა თლილი კვადრებით. ყოველივე აქედან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, რომ აქ ჩვენ საქმე გვქონდეს ხორნაბუჯელი დიდებულების (ერისთავების) სამაროვანთან[171].

როგორც აღვნიშნეთ, ძველ ანაგის აკლდამას არქეოლოგები VI—VII საუკუნეებით ათარიღებენ. აქ ჩვენ თავს ნებას მივცემთ ამ დათარიღებაში მცირე კორექტივი შევიტანოთ და ეს შედარებით ფართო თარიღი კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ. სახელდობრ, ჩვენი აზრით, ანაგის აკლდამა VI საუკუნეს აღარ უნდა სცილდებოდეს. ასეთი დათარიღება დამაჯერებლად მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ VI საუკუნის კამბეჩანის ისტორიულ სინამდვილეს. როგორც ზემოთ ვნახეთ, VI საუკუნის ბოლო წლებში ასამ და ვარაზვარდ ბაგრატიონებმა აქ დაამხეს ბაჰრამ ჩუბინეს ერისთავის. ვეზან ხორნაბუჯელის ხელისუფლება და თვითონ გამთავრდნენ. ასამ და ვარაზვარდ ბაგრატიონების

---

[167] მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 60—61.

[168] მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

[169] მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 64—67.

[170] მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 68—71.

[171] შდრ. მ. სინაურიძე, აკლდამა ხორნაბუჯის მიდამოებიდან, გვ. 7.

მოღვაწეობა აშკარად გამოხატულ ანტიირანული მოძრაობის ნიშნებს ატარებს. VII საუკუნის დამდეგიდან კამბეჩანის შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული მოძრაობის ძლიერი აღმავლობა შეიმჩნევა, საზოგადოება მკვეთრად ემიჯნება ირანელთა პოლიტიკურ ბატონობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს, ყოფას, კულტურას. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინების შემდეგ, ჩვენი აზრით, უკვე აღარ უნდა იყოს მოსალოდნელი VII საუკუნის კამბეჩანში სასანური ხელოვნების ისეთი ნიმუშების არსებობა, როგორსაც წარმოადგენენ ანაგის ოქროს ბალთები. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ანაგის აკლდამის თარიღი VI საუკუნით შემოისაზღვროს. ამგვარ დათარიღებასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე უნებლიეთ ასეთი საკითხიც წამოიჭრება: ხომ არ ეკუთვნის აღნიშნული აკლდამა ვეზან ხორნაბუჯელს? იგი ხომ სწორედ VI საუკუნის მეორე ნახევარში იჯდა აქ, ხორნაბუჯში, ერისთავად და გვევლინება როგორც ირანის შაჰის ერთგული მოხელე, მისი პოლიტიკის ენერგიული გამტარებელი კამბეჩანში. და თუ ეს ასეა, მაშინ მის სამარხში ირანული წარმოშობის ნივთების დადასტურება მარტივად შეიძლება აიხსნას.

ქიზიყის 1938 — 1939 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები შუქს ჰფენენ კამბეჩანის ქვეყნის შინაგან ცხოვრებას მომდევნო საუკუნეებშიც (IX—XIII სს). ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ექსპედიციის მიერ, ძველ ანაგის სახნავებში, ადგილ ნაგომრებში, მიგნებული ფეოდალური ხანის ნასახლარი. აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა უმთავრესად კერამიკას და მინის ნივთებს წარმოადგენს. ნაგომრებში აღმოჩენილი მთელი კერამიკული კომპლექსისაგან საგრძნობლად გამოირჩევა მოჭიქული კერამიკის ერთი ჯგუფი, რომელიც IX—X სს. თარიღდება. ამ ჯგუფის კერამიკა თავისი ხასიათით, ორნამენტით, ფერების შერჩევით (მწვანე, სოსანი და თეთრი), მეტად თავისთავადია და განსხვავდება საქართველოს სხვა კუთხეების სინქრონული პოლიქრომული კერამიკის ნიმუშებისაგან[172].

ძველ ანაგის არქეოლოგიურ მასალებში მინის ნაწარმი წარმოდგენილია მინის ჭურჭლისა და სამაჯურების ნატეხების სახით, რომლებიც ადრეფეოდალური ხანით (IX—X სს.) არიან დათარიღებულნი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველ ანაგის მინის ნაწარმის ზოგიერთი ნიმუში რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ერთი შიგნიდან ბრტყელი, ზემოდან ამობერილი განიერი სამაჯური, რომელსაც შუაში წიბო გასდევს. წიბო აქა-იქ ჩაჭყლეტი-

---

[172] მ. ს ი ნ ა უ რ ი ძ ე, ქიზიყის 1938—1939 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები, გვ. 85—87.

ლია და მოგრძო ოვალებს ქმნის. ლურჯი გამჭვირვალე მინისაგან დამზადებული ასეთი ფორმის რელიეფური სამაჯური სხვა ქართულ მასალებში არ გვხვდება[173]. რაც შეეხება ძველ ანაგის XI—XIII სს. კერამიკას, იგი დანარჩენ ქართულ მასალებთან უფრო მეტ სხვავსებასა და ერთიანობას ამჟღავნებს[174]. ის ამბავი, რომ ძველ ანაგის მასალებში გვხვდება მოჭიქული კერამიკის ნახევარფაბრიკატები და დეფორმირებული მინის ნაწარმის ნიმუშები (წუნი), უნდა მიგვითითებდეს კამბეჩანში კერამიკისა და მინის წარმოების ადგილობრივი კერების არსებობაზე[175]. ძველ ანაგაში აღმოჩენილ რკინის ნივთებიდან აღსანიშნავია რომბისებრი, ბრტყელფრთებიანი და მოკლე ყუნწიანი ისრისპირი, რომელიც ზუსტად იმეორებს შუაფეოდალური ხანის (დმანისის, რუსთავის და სხვ.) ამავე დანიშნულების ნივთებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეორე რკინის ნივთი, რომელიც წარმოადგენს წალდისებური იარაღის თუ სას ხლავის ნაწილს. ეს მონაპოვარი ძვირფასია იმით, რომ იგი ჩვენ გამოგვაჭვდება როგორც კამბეჩანის მხარის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის, მეეენახეობის ნივთიერი საბუთი[176].

კამბეჩანის ქვეყნის კულტურულ-ეკონომიურ წინსვლაზე ადრეფეოდალურ ხანაში, მიგვითითებს სოფელ ოზაანიდან 2—3 კმ-ის მანძილზე, მცირე ტყეში, მდებარე ქართული ხუროთმოძღვრების მეტად საყურადღებო ძეგლი, ოზაანის „ამაღლების“ ცენტრალურ გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც შექმნილია IX საუკუნეში[177]. ტაძარს აქვს ორიგინალური, მაღალი მხატვრული ოსტატობითა და ფაქიზი გემოვნებით შესრულებული კანკელი, რომელიც შელესილობაშია ამოკვეთილი. ყურადღებას იპყრობს საკურთხევლის იატაკის კერამიკული შორენკეცებით შემკობა. იგი პირველი და უჩვეულო მაგალითია ქართულ ისტორიულ არქიტექტურაში. მისი ანალოგები სხვა ძეგლებზე არ მოგვეპოვება[178]. საკურთხევლის იატაკის ფართობი დაახლოებით 16,28 სმ უდრის. როგორც ჩანს იგი მთლიანად კერამიკული ფილებით ყოფილა დაფარული. ფილების თავდაპირველი საერთო რაოდენობა 750 ცალს აჭარბებს. იატაკის ფილებით შემკობისათვის ოსტატს წინასწარ მოუფიქრებია მისი მთლიანი მხატვრული სახე. იგი ერთმანეთთან აფარდებს სხვადასხვა ფორმისა და ზომის ფილებს, რომელთა დალაგებითაც იგი აღწევს მხატვრულ-გეომეტრიული ორნამენტის მიღებას. გარდა ამისა,

---

173 მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 84—85.

174 მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

175 მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

176 მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

177 Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 354—363.

178 ზ. მაისურაძე, ოზაანის კერამიკა, თბ., 1959, გვ. 5.

ეს ორნამენტული ბადე გაძლიერებულია ფერადი ჭიქურებითა (ყავისფერი, ფირუზისფერი, მწვანე და ღვინისფერი) და ცალკეული მოხატული ფილებითაც[179]. ფილების საერთო მხატვრული იერი — ლაღი, თაბამი, მდიდრული და საზეიმოა. იგი თარიღდება XII საუკუნით[180]. ტაძარში შემორჩენილია ფრესკული მხატვრობის ფრაგმენტები. მისი საერთო სტილი, ნათელი ფერები, გამოსახულ ფიგურათა საერთო მოხაზულობა, კოსტუმები და საკურთხეველში გამოხატულ წმინდანთა რეალისტური, თითქმის პორტრეტული სახეები, აგრეთვე შერჩენილი ორნამენტული შემკულობები, ოზაანის „ამაღლების“ ფრესკულ მხატვრობას XII საუკუნის მიწურულისაკენ ეწევა. იგი გვერდით უდგება ყინცვისის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის ცნობილ მხატვრობას[181]. ოზაანის „ამაღლების“ საკურთხეველში, მის სამხრეთის მხარეზე, აფსიდის კუთხოვანი გადასვლის ვიწრო სიბრტყეზე ასდევს ფრესკული ორნამენტი, რომელიც ერთ ადგილზე წყდება და მასში ჩართულია ხუთსტრიქონიანი წარწერა შესრულებული საღებავით: „ქრისტე ღმერთო, შეუნდვენ მიქელს, ამინ“[182]. წარწერა პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით მიეკუთვნება XII—XIII სს-თა მიჯნას[183]. ორნამენტულ კომპოზიციაში მხატვრულად და მიფარვით ჩართულმა ამ წარწერამ უდავოდ შემოგვინახა XII—XIII სს. მიჯნის კამბეჩანის ერთ-ერთი მხატვრის სახელი. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ოზაანის სახით, ჩვენ საქმე გვაქვს კამბეჩანის მხარეში შემავალ ერთ-ერთ ეკონომიურად მძლავრ და მდიდარ სოფელთან თუ დაბასთან. სამწუხაროდ, ტაძრის კტიტორულ გამოსახულებათა ძალზე დაზიანების გამო, ჩვენ მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას უფრო ღრმად ჩაგვეხედა აღნიშნულ სოფლის ცხოვრებაში და შეგვეტყო, თუ ვის სახელთან იყო დაკავშირებული IX საუკუნეში, აქ, მხატვრული თვალსაზრისით, ასეთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლის შექმნა. როდესაც ჩვენ ოზაანის „ამაღლების“ მაღალმხატვრულ ღირსებებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ, ერთ-ერთი წარწერა, რომელიც აგრეთვე გაკეთებულია კამბეჩანში, მაღაზანის გამოქვაბულთა კომპლექსში მდებარე ეკლესიის კედელზე. ეკლესიაში დაცულია ფრესკული მხატვრობის ნაშთები. კომპოზიციების განმმარტებელი წარწერების გარდა მოხატულობაზე შერჩენილია ისტორიული ხასიათის წარწერის ნაწყვეტიც, რომელიც 970 წლით თარიღდება და რომელშიც მხატვარი იხსენიება. წარწერა შეიცავს მხატვრის ვედრე-

---

179 ზ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 6—7.

180 ზ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13—14.

181 ზ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

182 თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, გვ. 124.

183 თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრ., გვ. 125.

ბას: (..მ) მ̓ბატოვარ(ი) შემიწყალენ, ცოდ(ვანი) შ(ემინდვენ). მწერალ(ი) ლ(ო)ცვ(ასა) (მომიხსენიეთ); ქორონ(იკონსა) რე(?)" (ე. ი. 190+780=970 წ(?)[184].

მნიშვნელოვან როლს ასრულებს კამბეჩანის (ხორნაბუჯის) ქვეყანა XI საუკუნეშიც. XI საუკუნის 40-იანი წლებისათვის, მატიანე ქართლისაჲს ავტორი იხსენიებს ხორნაბუჯის ერისთავს, ვაჩე ძე გურგენ ბერისა, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კახეთ-ჰერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში[185]. იგი გვერდში უდგას თავის სუზერენს, კახეთ-ჰერეთის მეფე გაგიკს, რომელიც ცხარე ბრძოლას აწარმოებს ბაგრატ IV წინააღმდეგ, სამეფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

XII—XIII სს. წერილობით წყაროებში (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ბასილ ეზოსმოძღუარი) კვლავ იხსენიება კამბეჩანის (ხორნაბუჯის) ქვეყანა, სადაც მონაპირე ერისთავი ზის. აქაური ერისთავები მახატლის ძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდნენ. ასე მაგალითად, „ისტორიათა და აზმათა" ავტორი 1193 წლისათვის იხსენიებს „ქუეყანასა კამბეჩანისასა" და ამ კამბეჩანის (ხორნაბუჯის) ქვეყნის პატრონს საღირ მახატლის-ძეს თავისი სამი შვილით[186]. იგივე მემატიანე 1191 წლის ქვეშ, საქართველოს სხვა დიდებულთა შორის, იხსენიებს მახატლისძეებსაც[187]. ხოლო ბასილ ეზოსმოძღვარი კი, თავის ცნობაში მონაპირე ერისთავთა შესახებ აღნიშნავს, რომ „ქუემოთ ნაპირის კერძ გრიგოლისძენი; და უფროსღა ტბელი, და მახატლის-ძენი მონაპირეობდეს"[188]. ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვაქვს, ოომ VI—XI საუკუნეებში კამბეჩანის ქვეყანას ფლობდნენ ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელნი. XI საუკუნის შემდეგ წყაროებში ჩვენ ვეღარ ვხვდებით რაიმე ცნობებს ბაგრატიონთა კამბეჩანში საქმიანობისა და მოღვაწეობის შესახებ. მათ ნაცვლად აქ მახატლის ძეები სხედან. თუ რა დაემართად, ან სად წავიდნენ აქაური ბაგრატიონები, ამის შესახებ წერილობითი წყაროები არაფერს ვვეუბნებიან. ხომ არ აიხსნება ისტორიულ წყაროთა დუმილი ამ საკითხზე იმით, რომ მემატიანენი მახატლის ძეებს თვლიან კამბეჩანის ბაგრატიონების გვერდითი ან რომელიმე უმცროსი შტოს

---

184 თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 58.
185 ქ ც ბ ა, I, გვ. 298.
186 ქ ც ბ ა, II, გვ. 61.
187 ქ ც ბ ა, II, გვ. 55.
188 ქ ც ბ ა, II, გვ. 130.

წარმომადგენლებად და თავიანთ შრომებში ისინი მათ გვარისახელობით კი არ იხსენიებენ, არამედ მამის სახელით?[189].

კამბეჩანელი მონაპირე-ერისთავი „გადმოულახველ კედლად უდგა განჯის ქვეყნიდან მომხდურ მტრებს“[190]. ბასილ ეზოსმოძღვარის მსატვრული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ხორნაბუჯელი მონაპირე-ერისთავის „შიშითა განძას და ბარდავს ურმა მცირე ვერ აუტირდებოდა დედასა, და ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკურის პირსა საძოვარსა აწყენდეს“[191]. სწორედ განძის საათაბაგოს მხრიდან იყო შემოჭრილი 1193 წელს მრავალრიცხოვანი მარბიელი ლაშქრით გიორგი რუსი, კამბეჩანის პატრონმა, საღირ მახატლის ძემ, რომ ასე სასტიკად დაამარცხა. ი როგორ მოგვითხრობს ამ ამბავს „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი: გიორგი რუსი „შემყრელი ლაშქართა განძისა და არანისათა მოვიდა ქუეყანასა კამბეჩანისასა და შიგნით მინდორი მოარბია, და აიღო სიმრავლე ტყვსა და ნატყუენავისა. მაშინ ხორნაბუჯისა პატრონმა საღირ მახატლის ძემან ცნა ესე და შეიყარა მცირედითა ლაშქრითა და მიეწია სამითა შვილითა.. მიეწივნეს და გააქცივნეს, ჩამოყარნეს და დახოცნეს, ვინა რუსი ძლით-სამე გარდაიხუეწა“[192]. ამ ცნობაში გარდა იმისა, რომ ნათლად ჩანს კამბეჩანის პატრონის, როგორც მონაპირე ერისთავის, როლი აღმოსავლეთის მხრიდან ქვეყნის თავდაცვის საქმეში, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა XII — XIII სს. მიჯნის მემატიანის ჩვენება კამბეჩანის ქვეყნის შიგნით მდებარე „მინდორის“, ე. ი. ველოვანი ადგილების დასახლებაზე და აქ ხალხმრავალი, მჭიდრო მოსახლეობის არსებობის შესახებ. ამაზე მიგვითითებს ისტორიკოსის გამოთქმები, რომ მტერმა ხელში ჩაიგდო „სიმრავლე ტყვსა და ნატყუენავისა“ ვახუშტიც ხომ კარგად იცოდა, რომ XIII საუკუნემდე ამ ქვეყანაში, „იორის კიდე იმიერ და ამიერ“ ვიდრე ალაზნის შესართავამდე და აგრეთვე ხორნაბუჯის სამხრეთ-აღმოსავლეთით ვიდრე ხორანთამდე, იყო „შენობანი დიდ ფრიად“, „შენობა ქრისტიანთა“, „შენობა დაბნებთა“[193]. XIII საუკუნის შუა ხანებამდე წერილობით წყაროებში ჯერ კიდევ კარგად შეინიშნება კამბეჩანის ქვეყნის წონა და მნიშვნელობა საქართველოს სამეფო კარზე. ეამთააღმწერელის გადმოცემით, კამბე-

---

189 შდრ. ბ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I. გვ. 166—168; 602—603; დ. მუსხელიშვილი, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები. XII—XIII სს.-ში, გვ. 96—98.

190 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. I, თბ., 1964, გვ. 357.

191 ქცბა, II, გვ. 130.

192 ქცბა, II, გვ. 61.

193 ვახუშტი, „აღწერა“, გვ. 89, 97.

ჩანის ერისთავი, ბერი ხორნაბუჯელი, დავით ულუს (1247—1270) კარზე დიდად მიღებული და პატივცემული პირი ყოფილა, რომელსაც ხშირად ავალებდნენ საპასუხისმგებლო საქმეების მოგვარებას[194].

ჩვენ ზემოთ წარმოვადგინეთ კამბეჩანის ქვეყნის შინაგანი განვითარების საერთო სურათი VI—XII საუკუნეებში. ამ მიმოხილვისას ჩვენ მიერ მოტანილი წერილობითი წყაროების ჩვენებანი, არქეოლოგიური მასალა და აგრეთვე მიწისზედა მატერიალური ხასიათის ძეგლთა მონაცემები აშკარად მოწმობენ, რომ აღნიშნულ ხანაში კამბეჩანის ქვეყანა იყო ეკონომიურად ძლიერი და კულტურულ-პოლიტიკურად დიდად დაწინაურებული ხვარე. დავრწმუნდით აგრეთვე იმაში, რომ „ხორნაბუჯელი მონაპირე ერისთავი... საერისთაოს განაპირა კიდეში კი არ იჯდა, არამედ ქვეყნის შუაგულში მდიდარი და მრავალი სოფლებით გარშემოზღუდული“[195].

მდგომარეობა მკვეთრად იცვლება XIII საუკუნის 20—30-იანი წლებიდან, როდესაც კამბეჩანი ზედიზედ განიცდის უცხოელ დამპყრობელთა ძლიერ დარტყმებს (ხვარაზმელები, მონღოლები). 1225 წელს, ხვარაზმელების მიერ თბილისის აღების შემდეგ, ჯალალედინის ურდოებმა იწყეს სხვა ქართული პროვინციების რბევა-აწიოკება, რომელთა რიცხვშიაც ისტორიული წყარო კამბეჩანსაც ასახელებს. ყამთააღმწერელის გადმოცემით, ხვარაზმელებმა „ესრეთ რა მოაოხრეს ტფილისი, იწყეს რბევად, ტყუენვად, ხოცად და კლვად სომხითისა და კამბეჩიანისა და იორის პირთა.... და ვაგრძელდა ესევითარი ჭირი და ზეგარდამომავალი რისხვა, ხუთისა წლისა ყამთა, რამეთუ ორ წელ პირველ აღაოხრეს ქუეყანა და ხუთი წელი ქალაქსა დაყვეს“[196]. ჯალალედინის ამ შემოსევის შედეგად, ბუნებრივია, რომ კამბეჩანში მოიშლებოდა მეურნეობა, ჩაკვდებოდა ვაჭრობა-ხელოსნობა, დაინგრეოდა და გავერანდებოდა საქალაქო ცხოვრება. ამას მოწმობს ყამთააღმწერელის პირდაპირი ჩვენება: ხვარაზმელთა ურდოები „აოხრებდეს ქუეყანათა ამათ ზემოხსენებულთა“ და რომ ამ ადგილებში „არღარა იყო შენებულება თვინიერ ციხეთა და სიმაგრეთა“[197].

მძიმე შედეგები გამოიღო კამბეჩანისათვის მონღოლთა ბატონობამ. ისტორიული წყაროების ჩვენებათა მიხედვით, კამბეჩანი მონღოლთა მიერ დაპყრობილ ქვეყანათა რიგშია მოთავსებული. სახელდობრ, როგორც ყამთააღმწერელი გვაუწყებს, კამბეჩანი შედიოდა დაპყრობილ

---

194 ქ ც ბ ა, II, გვ. 230—231.

195 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 357.

196 ქ ც ბ ა, II, გვ. 178.

197 ქ ც ბ ა, II, გვ. 178.

საქართველოში მონღოლთა მიერ შემოღებულ იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, დუმენში, რომელსაც სათავეში ედგა მთავარი ეგარსლან ბაკურციხელი. ყამთააღმწერელი მოგვითხრობს: „და განაჩინეს თათართა ბევრისა მთავარი, რომელსა დუმნის თავად უწოდეს, და გამოარჩივნეს მთავარნი, პირველად ეგარსლან ბაკურციხელი... და მას ხელთ უდვეს სპა ჰერეთისა და კახეთისა და კამბეჩიანისა"[198]. განსაკუთრებით გამანადგურებელი და აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა კამბეჩანს ოქროს ულუსისა და ირანის ილხანთა მონღოლებს შორის წარმოებულმა ბრძოლამ, რომელმაც თავი იჩინა XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან. ბერქა ყაენსა და ჰულაგუ ყაენს შორის ომის მიმდინარეობის დროს, კამბეჩანი არა ერთხელ გამხდარა ბრძოლების უშუალო ასპარეზი. ყამთააღმწერელი, აგვიწერს რა ამ ბრძოლების ერთ-ერთ ეპიზოდს (1262 წ.), გადმოგვცემს, თუ, როგორ „განვლეს კამბეჩანი, კახეთი, ჰერეთი, ყოველგან ოშითა" ბერქას ჯარებმა, რომელთაც ვინმე ალათემური სარდლობდა[199]. 1265 წ. ბერქა 300.000 მეომრისაგან შემდგარი ლაშქრით გამოემართა აბაღა ყაენის წინააღმდეგ. ამ ლაშქრობის დროს, ყამთააღმწერელის მოთხრობით, „ბერქამან მოაოხრა ქუეყანა შირვანისა, ჰერეთი, კახეთი და ყოველი იორის პირი"[200]. ყამთააღმწერელის ამ ცნობაში „იორის პირი" კამბეჩანს გულისხმობს[201]. ბერქას ამ ლაშქრობამ საბოლოოდ ლახვარი ჩასცა კამბეჩანის მოსახლეობას. ეს მჭიდროდ დასახლებული, მდიდარი სოფლებითა და ქალაქებით აყვავებული მხარე გაუკაცრიელდა და გაპარტახდა. კამბეჩანისათვის ეს იყო სტიქიური უბედურების მსგავსი მოვლენა. თუ რა დაემართა ამ დროს კამბეჩანს, ეს კარგად დაინახეს თვით მონღოლებმა. XIII საუკუნის ოთხმოციანი წლების დამლევს, არღუნ ოირიდმა აღწერა „ყოველნი საბრძანებელნი ყოველთა ყაენთანი", იმ მიზნით, რომ გაეგო, თუ „ვითარ-ძი ქუეყანა აღშენდა, გინა აოხრდა". და აი, ამ აღწერისას გამოირკვა, რომ „უმრავლესი მოოხრებულ იყო, და უმეტეს ჰერეთი და კახეთი, რამეთუ კამბეჩის ვაკენი მოოხრებულ იყო გამოსლვასა მას თათართასა, ოდეს გამოვიდა ყაენი დიდი ბერქა"[202]. ყამთააღმწერელის ამ ცნობაში, ჩვენთვის საყურადღებოა ისტორიკოსის ხაზგასმა „კამბეჩის ვაკენის" ე. ი. კამბეჩანის ველოვანი ადგილების უმეტესად მოოხრების შესახებ

---

198 ქ ც ბ ა, II, გვ. 297.

199 ქ ც ბ ა, II, გვ. 252.

200 ქ ც ბ ა, II, გვ. 254.

201 შდრ. დ. მუსხელიშვილი, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII—XIII სს-ში, გვ. 121.

202 ქ ც ბ ა, II, გვ. 274.

ბერქას მიერ. ვახუშტი ბაგრატიონი, კამბეჩანის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერისას, ჩამოსთვლის რა ამ მხარეში შემავალ პუნქტებსა და ადგილებს, იქვე ხშირად აღნიშნავს ხოლმე მათ აოხრებას ბერქას მიერ. ასე მაგალითად, იგი როდესაც აღწერს ხორანთიდან ვიდრე ქისიყამდე მდებარე ველებს, წინამინდორსა და უფადარს, იქვე დასძენს: „განა ყოფილ არსცა ძველად შენობა დაბნებთა, არამედ შემდგომად ბერქას გამოსვლისა ოხერ არს“[203]. ხორნაბუჯის აღწერისას იგი გვაუწყებს: „იყოცა ქალაქი კარგი, ესეცა ბერქას გამოსვლასა მოოხრდა“[204]. საუბრობს რა ხორანთის შესახებ, იქვე გვამცნობს: „იყო ქალაქ და ციხე.... ბერქამდე, შემდგომად მოოხრდა და აწცა ოხერ არს“[205].

მონღოლთა შემოსევებმა გაანადგურა არა მარტო კამბეჩანის მწარმოებელი საზოგადოება, არამედ ამ შემოსევების შედეგად, ფიზიკურად ამოწყდა და გადაშენდა თვით ხორნაბუჯელთა (მახატლის ძეთა) საქვეყნოდ სახელგანთქმული საგვარეულო .მეტად საინტერესოდ აქვს მოთხრობილი ქამთააღმწერელს ხორნაბუჯელთა გადაშენების ამბავი[205]. კახეთის მმართველი თორღვა პანკელი მეფე დავით ულუს (1247—1270) გადაუდგა. სამეფო კარზე მის მოსაყვანად გაგზავნილ იქნა კამბეჩანის ერისთავი ბერი ხორნაბუჯელი. და აი, როგორც ქამთააღმწერელი მოგვითხრობს, „წარვიდა ხორნაბუჯელი, მივიდა თორღუას სახლსა“ და სთხოვა, რომ მიჰნდობოდა და მეფესთან წაჰყოლოდა. ამ წინადადებაზე თორღვა პანკელმა ასე უპასუხა ხორნაბუჯელს: „წარვალ ალავერდს გიორგის წინაშე და მუნ შემომფიცე, და მუნ მიმინდევ“. ქამთააღმწერელის გადმოცემით, ორივენი ალავერდს მიემართებიან. აქ, ძველი ქართული წესის თანახმად, თორღვა პანკელი ალავერდის წმინდა გიორგის ძლიერად მიჩნეული ხატის სამოსელზე გამოება, ხოლო ხორნაბუჯელმა კი „შეჰფიცა და გამოხსნა ფესკესაგან“. სამეფო კარზე გამოცხადების წინ, თორღვას ასე მიუმართავს ხორნაბუჯელისათვის: „რა იგი ჰყო ჩემზედა, ამან წმინდამან გიორგი გიყოს შენ. რამეთუ მარტო ვარ, და სიკუდილთა ჩემითა უმკვდრო იქმნების მამული ჩემი, ეგრეთ ვე უმკვდრო ჰყოს წმიდამან მთავარმოწამემან სახლი შენი“. ასეთი ფიცით მტკიცედ შეკრულმა ხორნაბუჯელმა თორღვა მეფეს მოჰგვარა. მაგრამ სამეფოს ფაქტიურმა მმართველმა ჯიქურიმ, დაარღვია ხორნაბუჯელის მიერ თორღვასათვის მიცემული ფიცი. მეფისათვის შეუტყობინებლივ და დაუკითხავად თორღვა სიკვდილით დასაჯეს. განრისხებულმა ალავერდის

---

[203] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა“, გვ. 97.
[204] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა“, გვ. 97.
[205] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა“, გვ. 88.
[206] ქ ც ბ ა, II, გვ. 230—231.

მთავარმოწამემ საშინლად იძია შური ხორნაბუჯელზე: „უმკვიდრო ქმნა სახლი მისი“. ყამთააღმწერელი გვიამბობს: „ხოლო ვითარ მიეგო ბოროტი ხორნაბუჯელსა ალავერდის მთავარ მოწამისა აღთქმისა და ფიცისა გატეხისათვის, იხილეთ, რამეთუ ესუა შვილი ხორნაბუჯელსა, სახელით შალვა, სიკეთე-აღმატებული. ამას შალვას ესხნეს შვილნი, და მყის დაიხოცნეს, და ეგრეთ ბერი ხორნაბუჯელი მოკუდა წწუხარებითა, და ჰხედავთ უმკვიდრობასა სახლისა მისისასა. და დარჩა მათი შვილი, სახელით შალვა, რომელი უკანასკნელ თათართა მიერ მოიკლა, და უმკვიდრო იქმნა სახლი მისი. და ესრეთ შური იგო ალავერდისა მთავარ მოწამემან“[207]. როგორც ჩანს, ყამთააღმწერელს ხელთ ჰქონია რაღაც ზეპირი ხალხური გადმოცემა, რადგანაც ხორნაბუჯელთა საგვარეულოს ამოწყვეტის მთავარ მიზეზად იგი ალავერდის მთავარმოწამის შურისძიებას თვლის. ყამთააღმწერელის ამ ცნობას თუ ჩამოვაცლით ხალხური ზეპირსიტყვიერების სამოსელს, მასში ჩვენ აშკარად დავინახავთ, რომ ხორნაბუჯელთა მძლავრი ფეოდალური სახლის გადაშენება მჭიდროდ იყო დაკავშირებული მონღოლთა ბატონობის მძიმე შედეგებთან. ამ სახლის უკანასკნელი წარმომადგენელი, შალვა ხორნაბუჯელი, მონღოლთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებს შეეწირა. მახატლის ძეთა გარდა, რა თქმა უნდა, მოისპო და გადაშენდა კამბეჩანის სხვა ფეოდალური სახლებიც. ამრიგად, როგორც ვხედავთ, თითქმის ორმოცი წლის მანძილზე (1225—1265) ხვარაზმელთა და მონღოლთა მრავალგზისმა შემოსევებმა კამბეჩანი მძიმედ დააზარალა. კამბეჩანის არემარის გაუდაბურებამ და გაუკაცრიელებამ გამოიწვია ქალაქ ხორნაბუჯის დაცემაც. მხარის ცენტრმა დასავლეთით გადაინაცვლა. გადარჩენილი მოსახლეობა ველოვანი ადგილებიდან აიყარა და თავი შეაფარა ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მთაგორიან ადგილებს. სწორედ ამით უნდა აიხსნას ახლანდელი ქიზიყის სოფლეური მეზობლობისა და მინდვრის მომიჯნავეობის არათანმიმდევრულობა. სოფლები აქ, უმთავრესად, მთის კალთებზეა განლაგებული, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჭრილნი, ხოლო სახნავ-სათესი მიწები და მინდვრები სოფლებს გარეთ, საკმაოდ მოშორებით მდებარეობენ[208]. ბერქა ყაენის შემოსევათა დროს განადგურებული კამბეჩანის ბევრი სოფელი და ქალაქი დიდხანს ნასოფლარად და ნაქალაქარად დარჩა და დროთა განმავლობაში ტყითაც დაიბურა. ზოგიერთი უკაცრიელი ადგილის სახელწოდება (ძველ ანაგა, ვანაანი, ყოლოთო, ფანიანი და

[207] ქცბა, II, გვ. 231.

[208] შდრ. სტ. მენთეშაშვილი, ძველ ანაგისა და ყოლოთოს კულტურის მატარებელი ხალხის ვინაობისათვის,—საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1941, გვ. 18—19.

სხვ.), რომელთა მოსახელე სოფლები (ანაგა, ყოლანთო, ფანიანი) დღესაც არსებობს, ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ სოფლები აყრილა და გადახვეწილა შორს, დასავლეთ-ჩრდილოეთისაკენ, შედარებით უფრო მყუდრო ალაგას[209]. კამბეჩანის ადგილობრივი მიწისმფლობელთა კლასის მოსპობამ, ფეოდალური სახლების გადაშენებამ და ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილმა საშინაო, თუ საგარეო პოლიტიკური ხასიათის მოვლენებმა, განაპირობეს ის გარემოება, რომ გვიანფეოდალურ ხანაში, ქიზიყის სოციალური ურთიერთობანი, განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებისაგან, მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. გვიან საუკუნეებში ამ ქვეყნის სახელწოდება „კამბეჩანი“ იცვლება „ქიზიყით“. „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელ ხელნაწერებს არშიაზე დართული აქვს განმარტება: „კამბეჩოანი — „ქისიყია“[210].

ადრეფეოდალურ ხანაში ჰერეთის ტერიტორიაზე კამბეჩანის ვარდა არსებობდა აგრეთვე მეორე საკმაოდ მსხვილი ფეოდალური სენიორია —წუქეთის სამთავრო. ჯუანშერის ქრონიკაში დაცული ცნობის მიხედვით, წუქეთში მთავარი იჯდა ჯერ კიდევ V საუკუნეში, ვახტანგ გორგასალის დროს[211]. მომდევნო ხანაში, არჩილის მეფობის (VIII საუკუნის 40—50-იანი წლები) დასაწყისში, იმავე ჯუანშერის თხზულებაში შემონახული ცნობით, წუქეთს იჯდა მთავარი აბუხუასრო, რომელიც მემატიანის სიტყვით, ამავე დროს „ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა“[212]. როგორც ვხედავთ, აბუხუასროს სამფლობელო საკუთრივ წუქეთის გარდა მოიცავდა აგრეთვე მისადმი, როგორც მთავრისადმი (ერისთავისადმი) სამმართველოდ დაქვემდებარებულ ტერიტორიებს: თუშეთს და ხუნზეთს (კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა მცხოვრები თანამედროვე იმიერკავკასიელი ტომების: ხუნზების, ავარების, წახურების ტერიტორია). აღსანიშნავია, რომ შემდგომში, დროთა განმავლობაში, წუქეთის მთავრებმა ეს საგამგებლო ტერიტორიები საშვილიშვილოდ მიიტაცეს და მათი ფლობა წუქეთის მთავრის სახლის მემკვიდრეობით პრივილეგიად გადაიქცა. ასეთი ტრანსფორმაცია განუცდია მაგალითად, წუქეთის მთავრების იმ საგამგებლო ქვეყანას, რომელიც კავკასიონის გადაღმა, ხუნზებისა და წახურების ტერიტორიაზე შდებარეობდა. XVII საუკუნის დასაწყისში, როდესაც კახეთის სამეფოს მოსწყდა წუქეთი და აქ საფუძველი ჩაეყარა ელისუს სასულთნოს, ისტორიულ წყაროებში ხშირად იხსენიება ე. წ.

---

[209] სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 19.
[210] ქ ც ბ ა, I, გვ. 45, სქოლიო 2.
[211] ქ ც ბ ა, I, გვ. 243.
[212] ქ ც ბ ა, I, გვ. 243.

„წახურის სამფლობელო“, რომელსაც ელისუში მჯდომი სულთნები „სამკვიდროდ“ და „სამამულოდ“ ფლობდნენ. ელისუს სულთნები კი, როგორც ცნობილია, წარმოადგენდნენ ძველი წუქეთის მთავრების მემკვიდრეებს[213]. გამგებლობაში მყოფი ქვეყნების საშვილიშვილოდ დასაკუთრების ტენდენცია წუქეთის მთავრებს თავიდანვე ექნებოდათ, მაგრამ ადრეფეოდალურ ხანაში ეს პროცესი ჯერ ბოლომდე არ იყო მიყვანილი. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ იმავე VIII საუკუნეში არჩილი წუქეთს უკვე სხვა მთავარს, კლარჯეთიდან მოსულ პიტიახშთა ნათესავს, აძლევს საგამგებლოდ[214]. ეს ღონისძიება ალბათ დაკავშირებული იყო იმ დიდ ადმინისტრაციულ რეფორმასთან, რომელიც საერთოდ არჩილმა ჩაატარა ჰერეთის ამ ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.

წუქეთის სამთავრო VIII საუკუნეში საკმაოდ დაწინაურებულ და მძლავრ ერთეულად გამოიყურება; VIII საუკუნის ანონიმური მატიანის ცნობით, არჩილ მეფის დროს, წუქეთის ტერიტორიაზე ადგილი აქვს ციხე-ქალაქების ინტენსიურ მშენებლობას[215]. წუქეთი სამეფო დომენში შედიოდა, ამიტომ სავსებით ბუნებრივი და გასაგებია არჩილის მიერ აქ გატარებული ენერგიული ღონისძიებანი მიმართული ქალაქების დაარსებისაკენ და ძლიერი სტრატეგიული ცენტრების შექმნისაკენ. ამავე დროს, არჩილს კარგად ესმოდა, რომ ყოველივე ამით, იგი კიდევ უფრო განამტკიცებდა თავისი პოლიტიკური ბატონობის პოზიციებს ჰერეთის ამ ჩრდილო-აღმოსავლეთის პროვინციაში. გარდა ამისა, მატიანეში დაცული ეს ცნობები აშკარად მიგვითითებენ ჰერეთში საალმშენებლო ხელოვნების დაწინაურებაზე და გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევენ ჰერეთის ქვეყნის კულტურული განვითარების შესახებ. ცხადია, რომ აღნიშნულ ციხე-ქალაქთა მშენებელნი, რომლებიც საფიქრებელია ადგილობრივი ოსტატები იყვნენ, კარგად იცნობდნენ იმდროინდელ საქალაქო-საფორტიფიკაციო არქიტექტურას და ფართოდ იყენებდნენ მის ხერხებს საკუთარ ქალაქთმშენებლობაში.

გარდა საერო არქიტექტურისა, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში (8 ს.), წუქეთში განვითარების მაღალ საფეხურზე იმყოფებოდა საეკლესიო ხუროთმოძღვრებაც. ამის მეტყველური მოწმობაა წუქეთის ტერიტორიაზე (კერძოდ კი, თანამედროვე აზერბაიჯანის სსრ კახის რაიონში) საკულტო არქიტექტურის ისეთი შესანიშნავი ძეგლების არსებობა, როგორიცაა: სოფელ კახ-ბაშის ბაზილიკა, ყუმის სამ ეკლესი-

---

[213] თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, ჭარ-ბელაქანი (კაკ-ენისელი) XIX ს. I მესამედში, ხელნაწერი, გვ. 36—38.

[214] ქ ც ბ ა, I, გვ. 244.

[215] ქ ც ბ ა, I, გვ. 243—244.

ანი ბაზილიკა და ლექეთის მრავალი ტაძარი. ამათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლექეთის ტაძარი, რომელიც წარმოადგენს ე. წ. გუმბათიან კვადრატს — წრეში მოთავსებული ტეტრაკონქი, ოთხ ბურჯზე დამყარებული გუმბათით. ყუმისა და ლექეთის ტაძრები ჯერ კიდევ 1892 — 1893 წწ. აღმოაჩინა და აღწერა ა. ხახანაშვილმა ზაქათალის ოლქში მოგზაურობის დროს[216]. შემდგომში, 1938—1939 წწ. აზერბაიჯანის ძეგლთა დაცვის ცენტრალურმა სამმართველომ კახის რაიონში მოაწყო ექსპედიცია დ. მ. შარიფოვის ხელმძღვანელობით, რომელმაც აქ გარკვეული სამუშაოები ჩაატარა აღნიშნულ ძეგლთა გამოვლინების მიზნით[217]. ყუმისა და ლექეთის ტაძრები სპეციალურად შეისწავლა, დეტალურად დაამუშავა და აღწერა მოსკოვის ისტორიული მუზეუმის არქიტექტორ-კონსულტანტმა პ. დ. ბარანოვსკიმ[218]. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ამ ძეგლების მეცნიერულ შესწავლაში გ. ნ. ჩუბინაშვილს[219]. პ. ბარანოვსკი ყუმის ბაზილიკას VI საუკუნით ათარიღებს, ხოლო ლექეთის ტეტრაკონქი მისი აზრით, VII საუკუნეში თავსდება[220]. განსხვავებული შეხედულებისაა დათარიღების საკითხში გ. ჩუბინაშვილი. ამ უკანასკნელის მიხედვით, ყუმის ბაზილიკა VIII საუკუნით თარიღდება, ლექეთის გუმბათიანი კვადრატი კი მიეკუთვნება VIII — IX საუკუნეებს[221]. ჩვენ, რასაკვირველია, თავს ნებას არ მივცემთ ვიმსჯელოთ ამ ძეგლების შესახებ პ. ბარანოვსკისა და გ. ჩუბინაშვილის მიერ მოცემული არქიტექტურული გარჩევის დასაბუთება-დაუსაბუთებლობაზე, მაგრამ ვფიქრობთ, რომ გ. ჩუბინაშვილის მიერ ამ ძეგლების არქიტექტურული ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები დათარიღების საკითხში უფრო დამაჯერებლად და სარწმუნოდ გამოიყურება. მთავარი და გადამწყვეტი ამ შემთხვევაში ის არის, რომ გ. ჩუბინაშვილის დათარიღებას მხარს უჭერს მატიანის ნიშანდობლივი ჩვენებანი; სწორედ VIII საუკუნეში, არჩილის მოღვაწეობის ხანაში, წუქეთის ტერიტორიაზე დიდი საამშენებლო მუშაობა წარმოებს. ამიტომ არ შევცდებით, თუ ყუმისა და ლექე-

---

216 А. С. Х а х а н о в, Экспедиции на Кавказ в 1892, 1893 и 1895 гг., МАК т. VII, под редакцией графини Уваровой, 1898, გვ. 33—35.

217 Д. Ш а р и ф о в, Город Кум, იხ. კრებული, Низами, Сборник второй, Баку, 1940, გვ. 132—145.

218 П. Д. Б а р а н о в с к и й-Памятники в селениях Кум и Лекит, Архитектура Азербайджана. Эпоха Низами, М., Баку, 1947, გვ. 29—33.

219 Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, Архитектура Кахетии, გვ. 130—132, 226—228.

220 П. Д. Б а р а н о в с к и й, დასახ. ნაშრ., გვ. 31, 33.

221 Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, დასახ. ნაშრ., გვ. 132, 227.

თის ტაძრების აშენებას დავუკავშირებთ არჩილ მეფის სახელს. ქრისტიანული ხუროთმოძღვრების საყურადღებო ძეგლს წარმოადგენს აგრეთვე სოფელ კახ-ბაშის ბაზილიკა, რომელიც უკანასკნელ ხანებამდე სრულიად უცნობი იყო სპეციალისტებისათვის. იგი გამოავლინა და შეისწავლა ლ. გ. იშხანოვმა. მიუხედავად იმისა, რომ ბაზილიკის მიწისზედა ნაშთებიდან შემორჩენილია მხოლოდ კედლების მცირეოდენი ფრაგმენტები და ცალკეული არქიტექტურული დეტალები, მაინც შესაძლებელი ხდება მისი თავდაპირველი სახის აღდგენა. სტილისტური სიახლოვე ყუმის ბაზილიკასთან და აგრეთვე მთელი რიგი უშუალო პარალელები ლექეთის ტაძართან (საამშენებლო მასალის გამოყენება, შესრულების ტექნიკა, — რამოდენადმე უფრო არქაული კახ-ბაშის ბაზილიკაში), საფუძველს აძლევს ლ. გ. იშხანოვს აღნიშნული ნაგებობის ხანა განსაზღვროს იმ დროით, რომელსაც მიეკუთვნება ყუმის ბაზილიკა[222]. წუქეთის საკულტო არქიტექტურის ეს სამი ძეგლი ნათელ სურათს გვიქმნის VIII საუკუნის ჰერეთში არსებული კულტურული ვითარების გასათვალისწინებლად: ჩვენს წინაშეა დიდი მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობის მქონე ძეგლები, რომლებსაც თვალსაჩინო ადგილი უკავიათ ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. კახ-ბაშის ბაზილიკის, ყუმის სამეკლესიანი ბაზილიკისა და ლექეთის ტეტრაკონქის მშენებლებმა შესძლს შეექმნათ კონსტრუქციული თვალსაზრისით უაღრესად რთული ნაგებობები, რომლებშიც შესანიშნავად არის გამოყენებული იმდროინდელი ეპოქის ხელოვნების საუკეთესო მიღწევები. ეს განსაკუთრებით ითქმის ლექეთის ტაძრის აღმშენებელზე; მან დაამუშავა ისეთი რთული არქიტექტურული თემა ხუროთმოძღვრებაში, როგორიც არის ტეტრაკონქი წრეში მოთავსებული, ოთხ ბურჯზე დამყარებული გუმბათით. გ. ჩუბინაშვილის სიტყვით, ასეთი ტიპის ნაგებობის შექმნა არის კოლოსალური შემოქმედებითი აქტი[223]. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი არქიტექტურის ეს ძირითადი თემა — გუმბათიანი ტეტრაკონქი — დამუშავებულია ადგილობრივ ხუროთმოძღვრულ სკოლაში, ადგილობრივი მხატვრული ტრადიციის მიხედვით, ბიზანტიური და სირიული არქიტექტურის უშუალო გავლენის გარეშე[224].

წუქეთის არქიტექტურული ძეგლების განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით ზოგიერთ იმ მცდარ შეხედულებებს, რომლებიც სამეცნიერო

---

[222] Л. Г. Ишханов, Неизвестный памятник архитектуры Кавказской Албании (базилика в с. Ках-баш), იხ. Материалы сессии, посвященной итогам археологических и этнографических исследований 1964 года в СССР, Изд. АН Азер. ССР, Баку, 1965, გვ. 152—153.

[223] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 227.

[224] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 227—228.

ლიტერატურაში გამოთქმულია აღნიშნული ძეგლების შესახებ. აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ კ. ტრევერი, რომელიც ალბანეთის ისტორიისადმი მიძღვნილ თავის ნაშრომში, ყუმისა და ლექეთის ტაძრებს განიხილავს, როგორც ალბანური ხუროთმოძღვრების ძეგლებს. გარდა ამისა, იგი იმოწმებს, და ამავე დროს იზიარებს კიდევაც, ნ. ტოკარსკის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თითქოს ლექეთის ტაძარი აგებულია ალბანეთის მთავრის ჯევანშირის (638—670 წწ.) მიერ სომხური ტაძრის ზვარტნოცის მიბაძვითა და სომეხი ოსტატების დახმარებით[225]. ანალოგიური ხასიათის მცდარი შეხედულება გამოთქმული აქვთ აგრეთვე აზერბაიჯანის არქიტექტურის ისტორიის ავტორებსაც. ეს უკანასკნელნიც, მიიჩნევენ რა ყუმსა და ლექეთს ალბანური ხელოვნების ნიმუშებად, წერენ: «Северо-западные области Азербайджана, где воздвигнуты эти сооружения (იგულისხმება ყუმი და ლექეთი — თ. პ.), в раннем средневековье были центром Кавказской Албании»[226].

უპირველეს ყოვლისა, დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ შეეძლო თუ არა ალბანეთის მთავარ ჯევანშირს VII საუკუნეში ტაძარი აეგო ლექეთში და წარმოადგენდნენ თუ არა აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთი რაიონები ადრეულ შუასაუკუნეებში კავკასიის ალბანეთის ცენტრს. მოკლეთ რომ ვთქვათ, შედიოდა თუ არა წუქეთი აღნიშნულ პერიოდში ალბანეთის სამეფოში. ჩვენ ზემოთ პირველწყაროებიდან (ლეონტი მროველი, ჯუანშერი და სხვ.) არაერთი პირდაპირი ცნობა თუ ჩვენება გვაქვს მოტანილი იმის შესახებ, რომ ჰერეთი (კავკასიის ალბანეთის ჩრდ-დასავლეთი რაიონები) ადრე თუ არა, უკვე IV საუკუნიდან ქართლის სამეფოს ორგანულ ნაწილს შეადგენდა; ვიცით ისიც, რომ ვახტანგ გორგასალის დროიდან (V. ს) წუქეთის ქვეყანაში საკუთარი მთავარი ზის, რომელიც ჯერ ქართლის მეფეებს, ხოლო შემდეგ კი ქართლის ერისმთავრებს ემორჩილება. ასეთი ვითარება გრძელდება ვიდრე VIII საუკუნის დასასრულამდე, როდესაც ჩამოყალიბდა ჰერეთის დამოუკიდებელი სამეფო და წუქეთი გადაიქცა მის ერთ-ერთ საერისთაოდ; ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ VII—VIII სს. სომხური წყაროების (სომხური გეოგრაფია, ლევონდი) მიხედვით, წუქეთი ქართლში შემავალი ქვეყანაა; დასასრულ, ჩვენ დადგენილი გვაქვს, რომ IV—VIII სს. ჰერეთი, მასში შემავალ წუქეთთან ერთად, სამეფო დომენს წარმოადგენს, იგი სეფე-სახლის უშუალო საკუთრებაა, რომელზედაც ქართლის მეფის გარდა არავის მიუწვდება ხელი. ყოველივე ზემოთთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, ზედ-

---

[225] К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании, გვ. 297—306.

[226] М. Усейнов, Л. Бретаницкий, А. Саламзаде, история архитектуры Азербайджана, Москва, 1963, გვ. 29.

მეტია სიტყვის გაგრძელება იმაზე, რომ ალბანეთის მთავარ ჯევანშირს VII საუკუნეში შესძლებოდა რაიმე ტაძრის აგება ქართლის მეფეების სამემკვიდრეოში. ეს ისევე გამორიცხული იყო, როგორც, დაუშვათ, ის ამბავი, რომ რომელიმე ქართლის მეფეს ჯევანშირის პირად სამფლობელო გარდმანში დაეწყო რაიმე სახის მშენებლობა. ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ისტორიული ფაქტებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ წერილობით წყაროებში არსად არ გვხვდება რაიმე მითითება ჯევანშირის წუქეთში მოღვაწეობის შესახებ. თავი დავანებოთ ყველა სხვა წყაროს და ავიღოთ მხოლოდ მოსე კალანკატუელის ალბანეთის ისტორია. როგორც ცნობილია, ალბანეთის ისტორიის II წიგნის ის თავები, რომლებიც VII საუკუნის ამბების თხრობას შეიცავენ, დაწერილია თვითმხილველისა და თანამედროვის მიერ. ამ ნაწილში აღწერილი მოვლენები გადმოცემულია ზედმიწევნითი სიზუსტით. ჯევანშირის თანამედროვე ავტორი დაწვრილებით აგვიწერს მის პოლიტიკურ მოღვაწეობას, ფართოდ ამუქებს მის საალმშენებლო საქმიანობას, ციხეების, ეკლესიების აგებას; ერთი სიტყვით, იგი მხედველობის გარეშე არ ტოვებს ჯევანშირის მოღვაწეობის არცერთ სფეროს, მას არ ავიწყდება მისი საალმშენებლო საქმიანობის არცერთი დეტალი. ამ მხრივ, განსაკუთრებით დაინახასიათებელია II წიგნის XXVII თავის ის ადგილი, რომელშიც მოცემულია ჯევანშირის მიერ თავის საგვარეულო ციხე-ქალაქ გარდმანში აგებული ტაძრის აღწერა. ავტორი დიდი სიყვარულითა და მზატვრულ ფერებით აგვიწერს ამ ტაძარს; იგი აღნიშავს, რომ ეს ტაძარი შემკობილი იყო «ყოველგვარი კეთილშობილური მასალით». მთელი ტაძარი შიგნით „გუმბათიდან დაწყებული კარის ზღურბლამდე“ მოხატული იყო სპეციალურად საამისოდ მოწვეულ ფერმწერთა მიერ და ყველაფერი დაფარული იყო აბრეშუმის ქსოვილებით. ტაძრის ერთ-ერთი კარები მთლიანად „ვერცხლში იყო ჩასმული“, რომელზედაც ამოჭედილი იყო სხვადასხვა გამოსახულებანი[227]. და აი, ასეთ ვითარებაში, როდესაც ავტორი არა მარტო ასახელებს ჯევანშირის მიერ აგებულ ყველა ტაძარს, არამედ დეტალურად ჩერდება თითოეული მათგანის აღწერაზე, მას არც ჯევანშირის მიერ ლექეთის ტაძრის აშენება დაავიწყდებოდა, რა თქმა უნდა, თუ მას სინამდვილეში ექნებოდა ადგილი. ამრიგად, როგორც დავინახეთ, ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობები არავითარ საფუძველს არ იძლევიან იმისათვის, რომ წუქეთის არქიტექტურული ძეგლები (ყუმი, ლექეთი) გამოცხადებულ იქნას ალბანური ხუროთმოძღვრების ძეგლებად. ისტორიულ მატიანეთა

---

[227] М. Каганкатваци, кн. II, гл. XXVII, гл. 158.

ჩვენებანი ასევე სრულიად გამორიცხავენ ალბანეთის მთავრის, ჯევანშირის, რაიმე საალმშენებლო მოღვაწეობას წუქეთში და აქ მის მიერ ლექეთის ტაძრის აგებას. წერილობითი წყაროების მონაცემებს მხარს უჭერს და ადასტურებს ამ ძეგლების არქიტექტურული ანალიზი, რომელიც მოცემული აქვს გ. ჩუბინაშვილს. ამ თვალსაზრისითაც, ყუმი და ლექეთი, მ თ ლ ი ა ნ ა დ და ს ა ვ ს ე ბ ი თ, გვერდში უდგებიან კახეთის უძველეს არქიტექტურულ ძეგლებს[228].

წუქეთის ხელოვნების ძეგლებთან დაკავშირებით, განსახილველი დაგვრჩა კიდევ ერთი საკითხი: ეს არის კ. ტრევერისა და ნ. ტოკარსკის მოსაზრება ლექეთის ტაძრის ზვარტნოცის მიბაძვით აგების შესახებ. ერთ-ერთი მთავარი საბუთი, რომელიც ავტორებს მოაქვთ თავიანთი დებულების შესამაგრებლად, არის მ. კალანკატუელის შემდეგი ცნობა: 660 წელს ალბანეთის მთავარი ჯევანშირი იმყოფებოდა ქ. ვალარშაპატში, ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტი II (641—668) შეხვედრაზე[229]. მ. კალანკატუელის ამ სრულიად დარკვეული და კონკრეტული ცნობიდან ავტორები აკეთებენ მეტად უცნაურ დასკვნას: ვალარშაპატში ყოფნისას ჯევანშირმა ნახა ზვარტნოცი, აქ იგი მის კურთხევასაც კი დაესწრო, ხოლო შემდეგ დაბრუნდა თავის ქვეყანაში და ლექეთში ააგო ზვარტნოცის მსგავსი ტაძარი[230]. თვით მ. კალანკატუელს ამის შესახებ, გადაკვრითაც კი, არაფერი აქვს ნათქვამი და საერთოდ, როგორც ჩვენ უკვე დადგენილი გვაქვს, სრულიად გამორიცხულია ჯევანშირის როლი ლექეთის ტაძრის აგებაში, რაც თავისთავად ყოველგვარ საფუძველს აცლის კ. ტრევერისა და ნ. ტოკარსკის მოსაზრებას. ამასაც რომ თავი დავანებოთ, მთელი ეს მოსაზრება ერთობ მექანიკურად სწყვეტს ქართული არქიტექტურის მნიშვნელოვან საკითხს: ის, რაც ხანგრძლივი, ორგანული განვითარების შედეგს წარმოადგენდა, სრულიად შემთხვევითი მიზეზითაა ახსნილი. ეს აზრი ოდნავადაც არ შეეფერება სინამდვილეს და აშკარად ჩრდილავს ქართული ხუროთმოძღვრების ნამდვილ ხვედრით წონას. ეს არის ლექეთის ტაძრის აშენების საკითხის უაღრესად გაუბრალოებული, რეალური ვითარების ასახვას დაშორებული, ახსნა-განმარტება, სადაც მეცნიერული საბუთიანობა ადგილს უთმობს აპრიორულ სქემას. იმის გასარკვევად, წარმოადგენს თუ არა ლექეთის ტაძარი ზვარტნოცის ნიმუშის გამეორებას, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იქნებოდა თვით საქართველოში გაგვედევნებინა თვალი იმ განვითარებისათვის, რომელმაც

---

228 Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 130—132; 226—228.
229 М. Каганкатваци, кн. II, гл. XXII, გვ. 148.
230 К. В. Тревер, დასახ. ნაშრ., გვ. 304.

ძოაძზადა ლექეთის ტაძრის—ამ ორიგინალური, მხატვრულად სავსებით ძოძწიფებული, ნაწარმოების—ჩამოყალიბება, და მხოლოდ ამის შემდეგ ძეგვედარებინა იგი სომხურ ნიმუშთან. როგორც ცნობილია, გუმბათიანი ტეტრაკონქის ისეთი ტიპი, როგორსაც ლექეთი წარმოადგენს, საქართველოსა და სომხეთში, თვით ლექეთის გარდა, სულ ოთხია. ამ ჯგუფის უძველეს, ზუსტად დათარიღებულ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოს სამხრეთ პროვინციაში, ტაო-კლარჯეთში, მდებარე იშხანი. ეს ტაძარი აგებულია VII საუკუნის 30-იან წლებში; ქრონოლოგიურად მას მოსდევს ეჩმიაძინის მახლობლად არსებული ზვარტნოცის ნანგრევები (VII ს. შუა ხანები); მესამე ძეგლი იმავე ტაო-კლარჯეთში მდებარეობს: ეს არის ბანას კათედრალი (VII ს. შუა წლები); დასასრულ, არქიტექტურული ნაგებობის ეს ტიპი განმეორებულია მეფე გაგიკ I მიერ ანისის წმ. გრიგოლის ტაძარში (1001 წ.)[231]. როგორც ვხედავთ, ლექეთის ტაძრის აშენებამდე თითქმის ერთი საუკუნით ადრე, ჩვენთვის საინტერესო ხუროთმოძღვრული ტიპი, თავისი თვისებებით, უკვე კარგად იყო ცნობილი საქართველოში იშხანისა და ბანას სახით. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ლექეთის ტაძრის აღმშენებელი, არქიტექტურული ფორმების ძიებისას, თავის არჩევანს პირველ რიგში, რა თქმა უნდა, იშხანზე და ბანაზე შეაჩერებდა. ჩვენი მოსაზრება რეალურ საფუძველს რომ არ არის მოკლებული, ეს სხვა მონაცემებითაც დასტურდება. VIII საუკუნეში, სწორედ იმ ხანაში, როდესაც ლექეთის ტაძარია აგებული, ტაო-კლარჯეთის კულტურის ნაკადი ძლიერად უნდა შეჭრილიყო წუქეთის საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში. VIII საუკუნის ანონიმური მატიანის ცნობით, არაბთა მფლობელობის „ჟამთა სიავის“ ხანში, ტაო-კლარჯეთიდან წუქეთისაკენ მოემართება დიდი საემიგრაციო ტალღა, წუქეთში ჩამოსახლდნენ ტაო-კლარჯეთის „პიტიახშთა ნახევარნი“[232]. უფრო მეტიც, არჩილ მეფემ წუქეთის სამთავრო საგამგებლოდ უბოძა ტაო-კლარჯეთის პიტიახშთა ერთ-ერთ ნათესავს[233]. გაჩაღდა დიდი კულტურული მშენებლობა ჰერეთის ამ განაპირა პროვინციაში. ლექეთიც, როგორც აღვნიშნეთ, ამავე ხანაში შენდება (გ. ჩუბინაშვილის დათარიღებით). ამ მიმართულებით ძიების წარმოებისას, ჩვენ შეიძლება იმ პირის ვინაობაც გამოვარკვიოთ, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ნიმუშის არჩევანზე. ეს უნდა ყოფილიყო წუქეთის მთავარი, წარმოშობით ტაო-კლარჯეთიდან. იგი ლექეთის ხუროთმოძღვარს ისეთ არქიტექტურულ კომპოზიციას შესთავაზებდა, რომელიც

---

231 Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 225—226.
232 ქცბა, I, გვ. 244.
233 იქვე. გვ. 244

მისთვის უფრო ახლობელი და ნაცნობი იყო (იშხანი, ბანა). ამრიგად, თუ შევაჯამებთ ყოველივე იმას, რაც ზემოთ ითქვა წუქეთის კულტურული გახვითარების შესახებ ადრეფეოდალურ ხანაში, უნდა დავასკვნათ, რომ წუქეთის სამთავრო, პოლიტიკურადაც და კულტურულადაც, ორგანულად იყო დაკავშირებული საქართველოსთან, რომ წუქეთი ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერათაგანი იყო: აძას, გარდა ხუროთმოძღვრული ძეგლებისა, ადასტურებს წერილობითი წყაროების (ქართულ-სომხური) ცნობები.

საყურადღებოა წყაროთა ჩვენება ამავე საუკუნეში წუქეთში მიმდინარე კლასობრივი ბრძოლის შესახებ. ეს მოვლენა უკავშირდება ნუხპატელების გაქრისტიანების ფაქტს: „ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მჭეცისბუნებისანი... და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი“[234]. როგორც ვიცით ნუხპატელების გაქრისტიანების ცდას ერთხელ უკვე ჰქონდა ადგილი, VI საუკუნის დასაწყისში, დაჩი უჯარმელის დროს, მაგრამ მაშინ ნუხპატელებმა ახალი რელიგიის ძიღებას შედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და აჯანყდნენ. ამჯერად არჩილი უფრო რადიკალურ ღონისძიებებს მიმართავს, შეიძლება იარაღიც იხმარა. კლასობრივი ბრძოლა ჩანს ერთობ გამძაფრებულა, რადგან ძეძატიანე ვერ მალავს იმ გარემოებას, რომ ნუხპატელები არჩილმა **„იძულებით მონათლნა“**. ამრიგად, მეფისა და ჰერეთის ფეოდალთა კლასის მიერ წარმოებული ორსაუკუნოვანი ბრძოლა ნუხპატელების დამორჩილებისათვის გამარჯვებით დასრულდა.

VIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის წუქეთს, როგორც ნახევრად დამოუკიდებელ ერთეულს (ქართლის სამეფოში შემავალს) იხსენიებს სომეხი ისტორიკოსი ლევონდი[235]. IX—X საუკუნეებში კი წუქეთი (უდრის იგივე გიშის საერისთაოს)[236] ჰერეთის სამეფოს ერთ-ერთ საერისთაოს წარმოადგენს.

წერილობითი წყაროები ადრეფეოდალური ხანის ჰერეთის საზოგადოებრივი წყობილებისა და სოციალურ ურთიერთობათა შესახებ მეტად ძუნწ ცნობებს იძლევიან: ჩვენს განკარგულებაშია მხოლოდ ცალკეული ხაწყვეტ-ნაწყვეტი მონაცემები, რომლებიც გაბნეულია ქართველ, სომეხ, არაბ და ბიზანტიელ ისტორიკოსთა შრომებში IV—X საუკუნეებში ჰერეთის ტერიტორიაზე არსებული ფეოდალური ურთიერთობა ძირითადად, ალბათ, ისეთსავე ხასიათს ატარებდა, როგორც ქართლში, ოღონდ, რა თქმა უნდა, მას ამავე დროს გააჩნდა სპეციფიკუ-

---

[234] ქ ც ბ ა, I, გვ. 244.

[235] Г е в о н д, История Халифов, გვ. 93.

[236] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა“, გვ. 95.

რი თავისებურებანი, რომელნიც გამოწვეული იყო ისტორიული პროცესის ძთელი ძსვლელობით ჰერეთში. განსხვავებული სოციალური ვითარებაა მოსალოდნელი ჰერეთის მთიანეთში: ლბინებისა და ჭილბების ქვეყანაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ლბინებსა და ჭილბებში ჯერ კიდევ ძლიერად იქნებოდა შემორჩენილი გვაროვნული წყობილების გადმონაშთები. ლბინებისა და ჭილბების ქვეყანაში არსებულ სოციალურ სურათზე წარმოდგენის შემუშავებაში შეიძლება დახმარება გაგვიწიოს X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის თომა არწრუნის თხზულების მეათე თავში წანარების შესახებ დაცულმა ცნობებმა. ძართალია, წანარები ჰერეთის ტერიტორიის ფარგლებში არ შედიოდნენ, მაგრამ რამდენადაც ისინი კავკასიის მთებში ჰერული ტომების, — ლბიხებისა და ჭილბების,— მეზობლად ბინადრობდნენ, ამდენად ამ ძთის ტომების საზოგადოებრივი წყობილება მსგავსი უნდა ყოფილიყო. წახარების საზოგადოებრივი ცხოვრების წესებს თომა არწრუნი ასე ახასიათებს: ბინადრობენ მიუვალ მთიან ადგილებში, გარეშე მტრის ‘ძეძოსევებისაგან თავს უფრო გულმშვიდად გრძნობენ, სამეფო გამოსაღები და გადასახადები მათთანვე რჩება, მმართველად აყენებენ ერთ ვინმეს, რომელსაც თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით ირჩევენ, ერთძახეთთან თანხმობით და ერთსულოვნად ცხოვრობენ, **სასლობენ გვარებად** და **თემებად**[237]. არწრუნის ჩვენებაში საყურადღებოა მითითება იძის ‘შესახებ, რომ IX საუკუნეში წანარებში ჯერ კიდევ იგრძნობოდა საგვარეულო წყობილების გადმონაშთები, ჩანს ფეოდალური ურთიერთობანი აქ ნელი ტემპით იკვლევდა გზას. მსგავსი სოციალური სურათი უნდა არსებულიყო ჭილბებში და ლბინებშიც.

ჰერეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გარკვეული გავლენა მოახდიხა და საკმაოდ ღრმა კვალი დასტოვა იმ მძაფრმა რელიგიურმა ბრძოლამ, რომელსაც აქ ადგილი ჰქონდა VII—X საუკუნეებში. ჩვენ ‘ბეძოთ ვრცლად განვიხილეთ ამ ბრძოლის ყველა ეტაპი. და აი, თუ ღრძად ჩავუკვირდებით და თვალს გავადევნებთ ჰერეთში ქალკედონელებისა და ანტიქალკედონელების ბრძოლის ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ ამ სარწმუნოებრივ განხეთქილებას ღრმა პოლიტიკურ-სოციალური საფუძველი ჰქონდა. ჰერეთის გაბატონებულ წრეებს, საერო და საეკლესიო ფეოდალებს, მართლმადიდებლურ ეკლესიას, აღელვებდა და შიშს გვრიდა მწვალებლობათა ახალ-ახალი სახეების (მონოფიზიტობის და სხვ.) აღმოცენება, რადგანაც ისინი კარგად ხედავდნენ, რომ ამ რელიგიურ-დოგმატური ხასიათის კონფლიქტთან ‘ბეჭი-

---

237 Թովմայի վարդապետի Արծրունւոյ, Պատմութիւն Տանն Արծրունեաց, Պետերբուրգ, 1887, გვ. 175

დროდ იყო გადახლართული სოციალური ინტერესები და მიზნები. ჰერეთის ტერიტორიაზე წარმოებული ბრძოლა დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის, არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც მხოლოდ რელიგიური ხასიათის ბრძოლა. ისტორიული მასალა იძლევა შესანიშნავ სურათს ფართო სოციალური მოძრაობისა. ამ სარწმუნოებრივ ჭიდილში ჩაბმული იყო საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი. ქრისტიანობის წიაღში აღმოცენებული ამ ორ მიმდინარეობათა შეტაკება გამოხატავდა ჰერეთის გაბატონებული საზოგადოებრივი კლასების შიგნით, სხვადასხვა დაჯგუფებათა შორის, არსებულ წინააღმდეგობებს. ხოლო მწარმოებელი საზოგადოების ფართო მასებისათვის კი, მწვალებლობა ანუ ერესი იყო პროტესტის გარკვეული ფორმა არსებული წყობილების წინააღმდეგ.

IX—X სს. ჰერეთი, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული (ჯერ სამთავრო, შემდეგ კი სამეფო) თავისი შინაგანი ორგანიზაციით და სტრუქტურით, ატარებს ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ რთულ და საფეხურებრივი იერარქიის მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სახეს. ჰერეთის სამთავროს სათავეში მთავარი დგას. მთავრის საგვარეულო ეკუთვნოდა VIII საუკუნის შუა წლებში ჰერეთში (შაკიზში. resp. შაქში) არჩილის შემწეობით და ნებართვით დამკვიდრებულ ბაგრატიონთა ერთ-ერთ შტოს. ცოტა უფრო გვიან, ჰერეთის ხელისუფალი „მეფის“ ტიტულსაც ღებულობს. კერძოდ, ეს ხდება IX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, გრიგოლ ჰამამის დროს, როდესაც ჰერეთის სამთავრომ განსაკუთრებით დიდ პოლიტიკურ სიძლიერეს ძიაღწია. მ. კალანკატუელის გადმოცემით, 893 წელს გრიგოლ ჰამამა იღებს მეფის ტიტულს[238] და აქედან მოყოლებული ჰერეთის სამთავროს ხელისუფალნი მეფეებად იხსენიებიან. ეს გრძელდება ჰერეთის სამეფოს დამოუკიდებელი არსებობის მთელს მანძილზე. ჰერეთის სამეფოს პოლიტიკური ფარგლების გაფართოებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის გარემოება, რომ ზოგიერთ ქართულ-სომხურ წყაროებში ჰერეთის მმართველნი იხსენიებიან „ალვანთა მეფის“ ტიტულითაც (ამის შესახებ იხ. ზემოთ, ჩვენი ნაშრომის III თავი).

ქართული და არაბული წყაროების ჩვენებით, ჰერეთის სამეფო სახლის წარმომადგენელნი ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებსაც ატარებენ. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ჰერთა მეფეების „პატრიკიოზის“ (არაბულად „ბატრიკი“) ტიტულით მოხსენიება. სახელდობრ, ჰერეთის მთავარი საჰლ--სუმბატი (IX ს.) არაბი ისტორიკოსების,

---

[233] М. Каганкатваци, кн. III, гл. XXI, зд. 273

იაკუბისა[239] და ბალაძორის[240], გადმოცემით „ბატრიკის“ ტიტულს ატარებს. აძავე ტიტულით იხსენიებენ საჰლ-სუმბატს მასუდი[241] და აბუ ტახირ ალ-მაკდისი[242]. „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით, „პატრიკიოზის“ ტიტულს ატარებს ადარნასე ჰერთა მეფეც (X ს.)[243]. ბიზანტიური „მაგისტროსის“ ტიტულს ფლობს გაერთიანებული ჰერეთ-კახეთის მეფე კვირიკე დიდი (XI ს.)[244]. ზოგჯერ ბიზანტიელები ჰერეთის სახელმწიფოს მეთაურებს „არხონტის“ ტიტულითაც მიმართავდნენ. ეს კარგად ჩანს კონსტანტინე პორფიროგენეტის (X ს.) თხზულებიდან, სადაც წანარიის მთავართან (არხონტთან) ერთად იხსენიება ჰერეთის resp. — ალვანიის მთავარნიც — „Εἰς τὸν ἄρχοντα Ἀλβανία“[245]. IX—XI საუკუნეების ჰერეთის სამეფოში ბიზანტიის იმპერიის საკარისკაცო ტიტულების ასე ფართოდ გავრცელება, ჩვენი აზრით, არ უნდა მიგვითითებდეს აღნიშნულ ეპოქაში აქ ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის რეალურად არსებობაზე, ასეთ ვითარებას ისტორიულ წყაროებში დაცული მასალები არ ადასტურებენ. ამ დროისათვის ეს ტიტულები წარმოადგენენ სპეციფიკურ ტექნიკურ ტერმინებს, რომლებიც თავისი შინაარსით აღნიშნავენ ჰერეთის სამეფოს უზენაესი მფლობელის ხელისუფლების მოცულობას.

ძეფის შემდეგ, ჰერეთის გაბატონებული საზოგადოების უმაღლეს წრეს შეადგენდნენ „მთავრები“ და „ერისთავები“. ჰერეთის ისტორიის ძაგალითით დასტურდება, რომ „მთავრობით“ აქ იხსენიებდნენ შედარებით უფრო დიდი ხელისუფლების მქონე ერისთავებს. „მთავარს“ უწოდებს სუმბატ დავითის-ძე კამბეჩანის (ხორნაბუჯის) ერისთავს[246]. „ძთავარი“ ერქვა აგრეთვე წუქეთის (გიშის) ერისთავსაც. საამისო ცნობა დაცული აქვს VIII საუკუნის ანონიმ მწერალს, რომლის თხზულებაც ექსცერპტის სახით ჩართულია ჯუანშერის ქრონიკაში[247]. ვახუშტი ჰერეთის სამეფოში ასახელებს ოთხ საერისთაოს: ვეჯინის, შტორის მაჭის და ხორნაბუჯის[248]. ვახუშტის ეს სია სრული არ უნდა იყოს.

---

239 Я'к у б и, «История», перевод с арабского П. К. Жузе, Баку, 1927, გვ. 17.

240 Б а л а д з о р и, «Книга завоевания стран», გვ. 21.

241 З. Б у н я т о в, Азербайджан в VII—IX вв., Баку, 1965, приложение V, გვ. 325.

242 З. Б у н я т о в, დასახ. ნაშრომი, Приложение VII, გვ. 329.

243 ქ ც ბ ა, I, გვ. 264.

244 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 148—150.

245 გეორგიკა, ტ. 4, ნაკვეთი 2, თბ., 1952, გვ. 292.

246 ქ ც ბ ა, I, გვ. 373—374.

247 ქ ც ბ ა, I, გვ. 243.

248 ვ ა ხ უ შ ტ ი, „საქართველოს ცხოვრება“, გვ. 147.

აქ, აბ სიას, მეტი თუ არა, ერთი საერისთაო მაინც აკლია: ეს არის გიშის (იგივე წუქეთის) საერისთაო. ვახუშტიმ რომ ამ საერისთაოს არსებობა კარგად იცის, ეს ირკვევა მისი „გეოგრაფიიდან"; სადაც აღნიშნული აქვს, რომ „გიში არს მთის ძირს, რომელი იყო საერისთო წუქეთისა"[249]. მაგრამ თავის სხვა თხზულებაში—„ქმნულება და ცხოვრება კახეთისა და ჰერეთისა"—ვახუშტის გიში რატომღაც აღარ შეაქვს ჰერეთის საერისთაოთა სიაში. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რატომ იქცევა ასე ვახუშტი? აბ მიმართულებით, ერთი მეტად საინტერესო დეტალი შეიძჩნევა ვახუშტის ამ თხზულების იმ ადგილას, სადაც იგი განსაზღვრავს ჰერეთის საერისთაოთა გეოგრაფიულ ფარგლებს. კერძოდ, მაჭის საერისთაოს შესახებ მას ნათქვამი აქვს, რომ კვირიკე დიდმა (XI ს.) დასვა ერისთავი „მაჭისა და მისცა მაჭის წყლის **ქვეით და ალაზნის აღმოსავლეთი შაკიხითურთ და ხუნზახითურთ**"[250]. „ალაზნის აღმოსავლეთი შაკიხითურთ (შაკიხი იგივე გიშია—თ. პ.) და ხუნზახითურთ". როგორც უკვე ვიცით, შეადგენდა გიშის (წუქეთის) ერისთავთა საგამგეო სამფლობელოს. როგორც ჩანს, კვირიკე დიდს გიშელთა გამგებლობაში მყოფი ქვეყანა გადაუცია მაჭის ერისთავებისათვის. ყოველივე ამის შემდეგ, ცხადი ხდება, რატომ აღარ შეაქვს ვახუშტის გიში საერისთაოთა სიაში, როგორც ცალკე, დამოუკიდებელი, ადმინისტრაციული ერთეული. კვირიკე დიდის მიერ განხორციელებული ასეთი ღონისძიება დაკავშირებული უნდა იყოს იმ ადმინისტრაციულ ცვლილებებთან, რომლებიც, მან მოახდინა კახეთ-ჰერეთში. ვახუშტი ხომ პირდაპირ აღნიშნავს ამის შესახებ: „გარნა თუ ისსნენ ერისთავნი ჰერეთს. არამედ ამან კვირიკე მეფემან უფროს განამტკიცნა"-ო[251].

ჰერეთის საერისთაოებად დაყოფას ადასტურებს აგრეთვე ზოგიერთი ეპიგრაფიკული მასალაც. კამბეჩანში მდებარე ხირსის წმ. სტეფანეს ეკლესიის კედლის წყობაში დატანებულ ქვაზე ამოჭრილი წარწერა 996 წლით თარიღდება. წარწერის შენახული ნაწილი ორი სტრიქონისაგან შედგება, მაგრამ ორივე სტრიქონი დაზიანებულია. იგი იკითხება ასე: „ერისთვობ(ასა)...(ქორონიკ)ონი იყოვ სივ, ამინ"[252]. ვფიქრობთ, რომ წარწერაში მოხსენებული უნდა იყოს მთელი ამ კამბეჩანის მხარის გამგებელი, X საუკუნის ხორნაბუჯის ერთ-ერთი ერისთა-

---

249 ვახუშტი, „აღწერა", გვ. 95.

250 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 151—152.

251 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 151.

252 თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, გვ. 148.

ვი, რომლის სამფლობელოშიც შედიოდა ხირსის წმ. სტეფანეს სახელობის მონასტერი[253].

ჰერეთის ფეოდალური საზოგადოების უმაღლესი სოციალური წრის („მთავრები", „ერისთავები") აღსანიშნავად ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის ჩნდება ახალი სოციალური ტერმინი „დიდებული". ამ ტერმინის ყველაზე უადრეს დამოწმებას ჰერეთის სოციალური სინამდვილისათვის ჩვენ ვხვდებით „მატიანე ქართლისაჲ"-ში, XI საუკუნის I ნახევრის ამბებთან დაკავშირებით. კერძოდ, „მატიანე ქართლისაჲ"-ს ავტორი აგვიწერს რა ბაგრატ IV სამეფო კარზე 1044—1045 წწ. გამართულ ერთ-ერთ დარბაზობას, აღნიშნავს: „ისნის ველსა მოვიდეს კახთა მეფე გაგიკ და ერისთავთ-ერისთავი გოდერძი, და ყოველნი დიდებულნი კახეთისანი დარბაზობად ბაგრატ მეფისა წინაშე"[254]. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დროისათვის (XI ს.) კახეთ-ჰერეთი ერთ მთლიან პოლიტიკურ ორგანიზმს წარმოადგენს და იგი წყაროებში იხსენება კახეთის სამეფოს სახელწოდებით, რომელიც ჰერეთსაც მოიცავდა. ამის გამო, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ზემომოტანილ ცნობაში აღწერილი მოვლენა ჰერეთზედაც გავავრცელოთ. ცნობაში კი როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილია: მეფე, ერისთავთ-ერისთავი და შემდეგ მოდის ერთი განმაზოგადებელი ტერმინი „ყოველნი დიდებულნი". ამ ამბავიდან 23 წლის გასვლის შემდეგ კი, იგივე „მატიანე ქართლისაჲ"-ს ავტორი ტერმინ „დიდებულს" ხმარობს უშუალოდ ჰერეთის ქვეყნის სოციალური სინამდვილისათვის. იგი გადმოგვცემს: 1068 წელს სულთანმა ალფარსლანმა „შემოვლო რანი და უგრძნეულად შევიდა ჰერეთად, და მის ქუეყანისა დიდებულნი იყვნეს მორთულ და ერთგულ ბაგრატისსა"[255]. უფრო გვიან (XII საუკუნის დასაწყისი), ტერმინი „დიდებული" ასევე უშუალოდ ჰერეთის სოციალური სინამდვილისათვის გვხვდება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან. ეს უკანასკნელი როდესაც მოგვითხრობს 1104 წ. ჰერეთ-კახეთის შემოერთების ამბავს, წერს: „აღსართან, კახთა მეფედ ხსენებული, შეიპყრეს ჰერთა დიდებულთა, არიშიანმან და ბარამ, და დედის ძმამან მათმან ქავთარ ბარამის ძემან, და მოსცეს მეფესა. და აღიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი"-[256]. აქ ერთბაშად ჰერეთის სამი „დიდებული" იხსენიება:

---

[253] დ. მუსხელიშვილის ვარაუდით წარწერაში უნდა იგულისხმებოდეს ვეჟინის ერისთავი, რაც ჩვენი აზრით, მოსალოდნელი არ არის. იხ. მისი ნაშრომი — კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII—XIII სს-ში, გვ. 116.

[254] ქ ც ბ ა, I, გვ. 300.

[255] ქ ც ბ ა, I, გვ. 308.

[256] ქ ც ბ ა, I, გვ. 328.

ქავთარ ბარამისძე და მისი ორი დისწული: არიშიანი და ბარამი. XI—XII სს. ჰერეთში დიდებულთა სოციალური ფენის გაჩენა სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ, როდესაც შეიქმნა ერთიანი ფეოდალური მონარქია, ადგილი აქვს „მთავრების“, „ერისთავების“ სოციალურ-პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვას, ისინი კარგავენ „ხელმწიფობას“ (საჯარო პოლიტიკურ უფლებას) და გამაერთიანებლის, ე. ი. მეფის ხელში გადადიან. სწორედ ამითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ აღნიშნულ ხანაში „გაქრნენ მთავრები და გამრავლდნენ დიდებული აზნაურები—„დიდება“ ეწოდებოდა მეფის მიერ აზნაურისათვის თანამდებობის მინიჭებას და ამ თანამდებობასთან დაკავშირებით ყმა-მამულის წყალობას“[257]. დიდებულ აზნაურებს, როგორც წყაროებიდან ირკვევა, თავის მხრივ ჰყავდათ საკუთარი, მათზე დამოკიდებული და მათს მფარველობაში მყოფი აზნაურები. ჰერეთის ისტორიაში გვხვდება ერთ-ერთი ასეთი აზნაურთაგანი, ვეძისხეველი (ჰერეთშია, გაღმამხარს, სოფ. შილდასთან)[258], ნიანია გრიგოლ მაოხრებლის შვილი, რომელიც ჰერეთის დიდებულ აზნაურის, არიშიანის მფარვულობაში იმყოფებოდა. ამას მოწმობს დავით აღმაშენებლის სიგელი არიშიანისადმი (XII ს. I მეოთხედი). სიგელში ვკითხულობთ: „ქ. სახელითა ღთისითა დავითის გლნ (sic). ნებითა ღთისათა აფ(ხა)ზთა და ქართველთა: რანთა და კახთა მეფისა აწცა მო(ვიდა) ჩუენ წე არიშიანი და ვუეჰაჯა: რაითამცა გაუშუით და გავა(თა)ვისუფლეთ: ნიანია გ გ ლ მაოხრებლისა შვილი მისითა მაშუ(ლ)ითა ვეძისხევითა: დაგუაჯერა ღ᾽ნ და ვისმინეთ მოხსენებაი და: ჰაჯაი არიშიანისი: და გაუშუით ნიანია ნიანიასძე გ᾽ლ (მაოხრ): ებლისა შვილი მისითა მამულითა ვეძისჭევითა ვინათაგა(ნ) პლ᾽ ცა ზითვად ჰქონებოდა და ჩნიცა დიდად ნამსახური (იყო) და ბერი კაცი იყო ლაშქრობაჲ აღარ შეეძლო: აწ გაგუშუია ნიანია მისითა მამულითა ზითვად ნაქონები ვეძისხევითა: და გაგუითავისუფლებია: ყოვლისა (გამო)სავლისა და შესავლისა სახელმწიფო(ი)სა დას... და ყოლისა...(სახ)მრითა და უხმრითა...“[259] როგორც სიგელის ტექსტიდან ჩანს, ნიანია გრიგოლ მაოხრებლის შვილი ყოფილა არიშიანის „ყმა“, მისი ვასალი. ამიტომაცაა, რომ დიდებული არიშიანი, როგორც ნია-

---

[257] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სოციალური ურთიერთობა და კლასთა ბრძოლა XI—XII საუკუნეებში იხ. საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 186.

[258] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა“, გვ. 208.

[259] ი. ც ი ნ ც ა ძ ე, დავით მეფის სიგელი, საქართველოს არქივი, წიგნი, II, ტფილისი, 1927, გვ. 16.

ნიას „პატრონი“, შუამდგომლობს მეფის, დავით აღმაშენებლის, წინაშე მის გასაშვებლად და განსათავისუფლებლად.

ჰერეთის საზოგადოების ფეოდალურ ფენას შეადგენდნენ აგრეთვე უმაღლესი საეკლესიო-სამონასტრო ხელისუფალნი (ეპისკოპოსები). შეიძლება ითქვას, რომ მეფის შემდეგ, ყველაზე მსხვილ მიწისმფლობელებს ჰერეთში წარმოადგენდნენ ეპისკოპოსები. საეკლესიო მამულები კონცენტრირებული იყო საეპისკოპოსოებში. მთელი ჰერეთის სამეფო იერარქიულად რამოდენიმე საეპისკოპოსოს შეიცავდა (ჭერემის, ნეკრესის, ბოდბის, ხორნაბუჯის, გიშის და სხვ.). ჰერეთში მამულები ჰქონდა აგრეთვე მცხეთის კათალიკოსს. მელქისედეკის „დაწერილის“ (XI ს.) მიხედვით ეს მამულები იყო შემდეგი: „მონასტერი დიდითა ძალითა ლაგოდეხი.., კატეხისა ეკლესიაჲ შესავლითა მისითა.... და ზიარი სოფელი დიდი“[260].

ჰერეთის მწარმოებელთა კლასის შესახებ ისტორიულ წყაროებში რაიმე ხელშესახები ცნობები არ მოგვეპოვება.

§ 3. ჰერეთის ქალაქები

ჰერეთის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ერთ-ერთ იმ ყველაზე უფრო რთულ საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ჯეროვნად შესწავლილი არ არის. ეს გაპირობებულია ერთი მხრივ იმით, რომ პირველწყაროებში მეტისმეტად მცირე ცნობებია დაცული, ხოლო მეორე მხრივ კი იმით, რომ ჰერეთის ქალაქების არქეოლოგიური შესწავლა ჯერჯერობით მხოლოდ დაზვერვით ხასიათს ატარებს და მათს არქეოლოგიურ გათხრას, სამწუხაროდ, სასურველი გაქანება და მასშტაბები არ მიუღია. წერილობითი წყაროების მიხედვით (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ვახუშტი), უკვე ანტიკურ პერიოდში და შემდეგ მთელ ადრეფეოდალური ხანის მანძილზე, ჰერეთში რამოდენიმე ქალაქის არსებობა დასტურდება. ერთ-ერთი ასეთი ქალაქი იყო ხორანთა. ლეონტი მროველის მიხედვით, ხორანთა მდებარეობდა ალაზნისა და ივრის შეერთების ადგილზე. იგი წერს: „ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა, და უწოდა სახელი თჳსი ჰერეთი. და მის გამო ჰქჳან ჰერეთსა ჰერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქჳან ხორანთა“[261]. ლეონტი მროველის თხზულების ამ ადგილიდან ირკვევა, რომ ხორანთა ჰერეთის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენს (ისევე როგორც კახეთის პოლიტიკური ცენტრი, ლეონტი მრო-

---

[260] ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, გვ. 291.

[261] ქცბა, I, გვ. 5.

ველისავე აზრით, იყო ჩელეთი, გარდაბანისა ხუნანი, ეგრისისა ბედია და ა. შ.), ლეონტის ამავე ცნობიდან, ცხადი ხდება, რომ ქალაქ ხორანთას ადრე ეწოდებოდა „ჰერეთი“. როგორც ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო ის ადგილი, სადაც პირველი ჰერული მოსახლეობა გაჩნდა. უფრო გვიან კი „ჰერეთი“ მთელს ამ ქვეყანას შეერქვა. „ჰერეთის“ (სადაც უკვე ანტიკურ ხანაში სავარაუდებელია მოსახლეობა) ეს თავდაპირველი მოსახლეობა იყო ბირთვი მომავალი დიდი ქალაქისა—ხორანთისა. წერილობით წყაროებში ხორანთის ისტორიისათვის რაიმე ხელშესახები მასალა თითქმის არ მოიპოვება. ვახუშტის გეოგრაფიაც კმაყოფილდება მხოლოდ მისი ადგილმდებარეობის განსაზღვრით და სულ რაღაც ორიოდე სიტყვით გვაუწყებს, რომ ხორანთა „იყო ქალაქ და ციხე ყრუმდე და ბერქამდე, შემდგომად მოოკრდა და აწცა ოჯერ არს“[262]. მიუხედავად იმისა, რომ ლეონტი მროველისა და ვახუშტის მიერ ხორანთის ადგილმდებარეობა გარკვევით არის მითითებული, სამეცნიერო ლიტერატურაში მისი ლოკალიზაციის შესახებ მაინც აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. თავის დროზე, ივ. ჯავახიშვილმა, ლეონტი მროველის ცნობაზე დაყრდნობით, სწორად განსაზღვრა ხორანთის მდებარეობა და იგი იორისა და ალაზნის შესართავთან მოათავსა[263]. ს. კაკაბაძე ხორანთასა და ხორნაბუჯს ერთმანეთში აიგივებს, ხორანთა მას მიაჩნია ხორნაბუჯის ძველ სახელად. მისი აზრით, ხორანთა მდებარეობს „იორის შესართავსა და მტკვარს შუა, ალაზნის მარჯვენა სანაპიროს“[264]. ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში (1966 წ.) ს. კაკაბაძე, იმეორებს რა თავის შეხედულებას ხორანთა-ხორნაბუჯის იგივეობის შესახებ, წერს: „ხორანთა უნდა ყოფილიყო... ხორნაბუჯში და მის არეში. ქიზიყ-შირაქში ბოდბის, მაგ., სახნავები ბოლო ხანებშიც მდებარეობდა ბოდბედან 40 კმ-ზე ალაზნისაკენ. ასევე ხორანთის (ხორნაბუჯის) სახნავი და სათიბ-საძოვრები საგულისხმებელია ალაზან-იორის შესაკრებელთან ახლოს დაახლოებით 40-კმ-ზე ხორნაბუჯიდან. თავდაპირველად ხორანთა იქნებოდა უფრო ახლოს ხსენებულ შესაკრებელთან, შემდეგ კი გადატანილ იქნა ჩრდილოეთით და მას დაერქვა ხორნაბუჯი. მთელი სათიბ-საძოვართა ზეგანი კი ისევ ხორანთა—ხორნაბუჯის თემის ხელში დარჩებოდა“[265]. ხორანთა—ხორნაბუჯის იგივეობის აზრს, ს. კაკაბაძეზე ადრე მ. ბროსე ანვითარებდა. იგი წერდა, რომ ძველი ხორანთისაგან მხოლოდ ანალოგიური გეოგრაფიული

---

262 ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა“, გვ. 88.

263 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 48.

264 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, I 1924, გვ. 52.

265 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, რუსთაველი და მისი ეეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 311—312.

სახელწოდებაღაა შემორჩენილი-ხორნაბუჯი; ხორნაბუჯის ციხე კი მ. ბროსეს იორის მარჯვენა სანაპიროზე ეგულება (ბროსე აქ შეცდომას უშვებს — უნდა იყოს ალაზნის მარჯვენა სანაპირო — თ. პ.)და ამიტომ იგი ერთგვარი გაკვირვებით შენიშნავდა, რომ ხორანთა-ხორნაბუჯის ასეთი მდებარეობა არ ემთხვევა ვახუშტის მიერ მინიშნებულ ადგილს[265]. განსხვავებული შეხედულებისაა პ. ინგოროყვა. მისი ერთ-ერთი ისტორიული რუკის მიხედვით, ხორანთა მდებარეობს მდ. ეგრის-წყლისა და ალაზნის შესართავთან (მას ეგრის-წყალი შეცდომით მცირე ალაზნად მიაჩნია)[267]. ხორანთის ადგილმდებარეობის ზუსტად დაუდგენლობა გამოწვეული იყო იმით, რომ იგი არქეოლოგიურად სრულიად არ იყო შესწავლილი. ამ მიმართულებით ერთგვარი ნაბიჯი გადაიდგა 1965 წელს, როდესაც აქ არქეოლოგიური დაზვერვები ჩაატარა ლ. ჭილაშვილმა. არქეოლოგიურმა დაზვერვამ შესაძლებელი გახადა საბოლოოდ გარკვეულიყო მისი ლოკალიზაცია: ალაზან-ივრის შესაყარზე, მისგან ჩრდილოეთით, დაახლოებით 5 კმ-ზე[268]. ზედაპირული არქეოლოგიური მონაცემებითაც კი კარგად ჩანს, რომ ხორანთა ადრეფეოდალურ ხანაში ჰერეთის ერთ-ერთ მსხვილ საქალაქო ცენტრს წარმოადგენდა. დღესაც კი კარგად შეინიშნება, ათეულ ჰექტარებზე გადაჭიმული ნაქალაქარის აღნაგობა, მისი სხვადასხვა უბნები, უამრავი დამსხვრეული თიხის ჭურჭლეულითა და ნაგებობებით. კერამიკიდან ყურადღებას იპყრობს დიდი ზომის ჭურჭლის პირი ამოკაწრული ჯვრის გამოსახულებით და დოქის ყური ქართული ასოთი. აღსანიშნავია აგრეთვე ღვინის ამოსაღები ჭურჭელი, რომელიც ზედმიწევნით მსგავსებას ამჟღავნებს ურბნისსა და მცხეთაში აღმოჩენილ ჭურჭლებთან[269]. ხორანთა ითვლებოდა რა ჰერეთის პოლიტიკურ და მნიშვნელოვან ეკონომიურ ცენტრად, სავარაუდებელია, რომ მჭიდრო კავშირ-ურთიერთობაში იმყოფებოდა, ერთი მხრივ, ქართლის ქალაქებთან, ხოლო მეორე მხრივ კი, ალბანეთის ეკონომიურ ცენტრებთან. როგორც ლ. ჭილაშვილი აღნიშნავს, იგი ისეთ ზონაში იყო მოქცეული (ალაზან-ივრის შესაყარი, ორთავ ალაზნის მტკვართან შესაყარი), სადაც არა ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო გაშენებული. ამათგან, პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მოვაკანი და არქეოლოგიურ ლიტერატურაში კარგად ცნობილი მინგეჩაური, რომელიც ადრეულ შუასაუკუნეებამდე კავკასიის ალბანეთის ერთ-ერთი მდიდარი და ძლიერი

---

[266] M. Brosset, Histoire da le Georgie, I, S.-Petersbourg, 1849, გვ. 18, სქოლიო 3.

[267] პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I. თბ., 1963, იხ., თანდართული ისტორიული რუკა ჰერეთისა და რუსთავის გაერთიანებული საერისთავო.

[268] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, თბ., 1968, გვ. 59.

[269] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

ქალაქი იყო[270]. აქ ჩვენ უნებლიედ გვახსენდება ცნობილი ადგილი სტრაბონის გეოგრაფიიდან კამბისენეს შესახებ, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ და ესაზღვრებოდნენ იბერიელები, ალბანელები და არმენიელები[271]. ჩვენი აზრით, ის პოლიტიკურ-კულტურული და ეკონომიური ცენტრი, სადაც შესაძლებელი იყო ერთმანეთს შეხვედროდნენ იბერები, ალბანელები და არმენიელები, უნდა ყოფილიყო ციხე-ქალაქი ხორანთა. იმავე სტრაბონის გადმოცემით, სწორედ კამბისენეზე გადიოდა იბერიიდან ალბანიაში მიმავალი გზა[272]. სამხრეთით, მტკვრის გადაღმა კი, მდებარეობდა არმენია, სადაც არაერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიური ცენტრი მდებარეობდა: არტაშატი, ტიგრანაკერტი, ვალარშაპატი და სხვ. ამათგან განსაკუთრებით არტაშატი უნდა გამოვყოთ, რომელიც წარმოადგენდა ხელოსნობისა და სატრანზიტო ვაჭრობის ერთ-ერთ უმსხვილეს ცენტრს ანტიკურსა და ადრეფეოდალურ ხანაში. იგი მდებარეობდა სავაჭრო მაგისტრალების გზასაყარზე. თავისი სავაჭრო არტერიებით იგი დაკავშირებული იყო ირანის ქალაქებთან, მცხეთასთან, შავიზღვისპირა ქალაქებთან და სხვ. არტაშატიდან გზის ერთ-ერთი განშტოება ჰერეთის ქალაქებისაკენ მოემართებოდა და, რა თქმა უნდა, იგი პირველ რიგში. ხორანთაზე გაივლიდა. ლ. ჭილაშვილის აზრით, ის ამბავი, რომ ხორანთაში ვერ ვხვდებით მოჭიქულ კერამიკას, გვავარაუდებინებს, რომ შესაძლებელია ის მურვან ყრუს შემოსევის შემდეგ ველარ წამოდგა ფეხზე[273].

ჰერეთის ამავე მხარეში, კამბეჩანში, ხორანთის გარდა, სხვა ქალაქიც ყოფილა. ამაზე მიგვითითებს ჯუანშერის გამოთქმა: „ქალაქნი კამბეჩანისანი“. და მართლაც, ისტორიული წყაროები, უკვე IV—V საუკუნეებიდან, გარკვევით მიგვითითებენ კამბეჩანის ქვეყანაში მეორე მნიშვნელოვანი ქალაქის, ხორნაბუჯის არსებობაზე[274]. ვახუშტის გადმოცემით, „ყარაღაჯის სამხრით, სადაცა დასწყდების ჰერეთის მთა ანუ ცივის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი, და აწ უწოდებენ ჭოეთს. აქ, კლდესა ზედა, შენი არს ციხე მაგარი, და იყოცა ქალაქი კარგი. ესეცა ბერქას გამოსვლასა მოოხრდა“[275]. როგორც ჩანს, ხორნაბუჯის დაარსებისას გათვალისწინებული იყო მისი შესანიშნავი სტრატეგიული მდებარეობა. იგი გაშენებულია გრძლად გადაჭიმულ ცივის ქედის ციცაბოდ დაქა-

---

270 ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61—62.

271 ს ტ რ ა ბ ო ნ ი, XI, 4, 1.

272 ს ტ რ ა ბ ო ნ ი, XI, 4, 5.

273 ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 62.

274 Ш. А. М е с х и а, Города и городской строй в феодальной Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 30.

275 ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა“, გვ. 97.

ნებულ ფერდობის თხემზე (ხირსიდან წითელწყარომდე) და გარშემოფარგლულია უზარმაზარი მიუვალი კლდეებით, რაც მას მტრისათვის ძნელადმისაწვდომს ხდიდა. იგი ბატონობს მთელს ალაზნისა და შირაქის ველებზე და ამავე დროს, ხელი მიუწვდება მოპირდაპირე მხარეზედაც ივრის ხეობისაკენ[276]. V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის დროს, ხორნაბუჯში არსდება საეპისკოპოსო კათედრა[277]. ამავე ხანაში, იგი წარმოადგენს საუფლისწულო ქალაქს. როგორც ჯუანშერი გადმოგვცემს, ვახტანგ გორგასალი ხორნაბუჯს, ჰერემთან და ნეკრესთან ერთად, აძლევს დაჩის[278]. V საუკუნის დასასრულს, ხორნაბუჯი ირანის შაჰს კავად I (488—531) შეუმუსრავს[279]. წერილობითი წყაროების მიხედვით, VI საუკუნიდან ხორნაბუჯი ერისთავის რეზიდენციად გვევლინება, აქ ზის კამბეჩანის ერისთავი[280]. ქალაქის განვითარება ერთგვარად უნდა შეფერხებულიყო VI საუკუნის I ნახევარში, კამბეჩანში ირანელთა ბატონობის დროს. წყაროთა ჩვენებიდან ირკვევა, რომ ამ დროს ხორნაბუჯის ციხეში, ისევე როგორც ქართლის სამეფოს დიდი ქალაქების, მაგალითად, თბილისისა და მცხეთის ციხეებში, ირანელთა ჯარი იდგა. ამას გვიდასტურებს სუმბატ დავითის ძე, რომელიც VI საუკუნის ამბებთან დაკავშირებით, იხსენიებს ხორნაბუჯში მყოფ „სპარსთა სპასალარს“[281]. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, არაბი ისტორიკოსის, ბალაძორის, გადმოცემით, VI საუკუნეში ირანელებს, ხოსრო I ანუშირვანის (531—579) დროს, კამბარანში resp. კამბეჩანში საფორტიფიკაციო ხასიათის მშენებლობაც უწარმოებიათ[282]. ეს კი, ჩვენი აზრით, პირველ რიგში ხორნაბუჯის ციხეს უნდა შეხებოდა. ჩანს, ირანელებმა, თავიანთი მფლობელობის დროს, იგი გაამაგრეს. ქალაქის ისტორიაში ხელახალი აღმავლობა უნდა დაწყებულიყო VI საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც კამბეჩანში დაემხო ირანელთა ბატონობა და ხორნაბუჯს ბაგრატიონები დაეპატრონენ[283]. ამ დროიდან მოყოლებული მთელ ადრეფეოდალური ხანის მანძილზე ხორნაბუჯი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჰერეთის ისტორიაში. იგი ჰერთა მეფის ერთ-ერთი ერისთავის საჯდომი ადგილია. XI საუკუნეში ხორნაბუჯი, „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობით, მცირე ხნით თურქ-სელჯუ-

---

276 შდრ. ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, 1, გვ. 62.

277 ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ქცბა, I, გვ. 199.

278 ქ ც ბ ა, I, გვ. 199.

279 ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ქცბა, I, გვ. 201

280 ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს-ძე, ქ ც ბ ა, I გვ. 374.

281 ქ ც ბ ა, I, გვ. 373.

282 Баладзори — «Книга завоевания стран», Баку, 1927, გვ. 6.

283 ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე, ქ ც ბ ა, I, გვ. 373—374.

კებს სჭერიათ[284]. XII—XIII საუკუნეებში ხორნაბუჯს მახატლის-ძენი ფლობენ. (XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ხორნაბუჯი ეცემა. ისტორიული წყაროები მის დაცემას უკავშირებენ ბერქა ყაენის გამანადგურებელ ლაშქრობებს (1262—1265 წწ.). ხორნაბუჯის დაცემასთან ერთად, ქრება მისი სახელწოდებაც. ისტორიულ წყაროებში ამ ადგილის აღმნიშვნელად, გვიან საუკუნეებში, უკვე „ჭოეთი" იხმარება[285].) ბერქას მიერ მიყენებული დარტყმების შედეგად, იგი საუკუნეთა განმავლობაში ვეღარ წარმოდგა ფეხზე, მან საბოლოოდ დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა. XVI საუკუნეში კახთა მეფეებს მოუხერხებიათ მხოლოდ აქ არსებული ციხის ნანგრევების ერთგვარი განახლება. ბერი ეგნატაშვილი მას „ჭოეთის ციხეს" უწოდებს. მისი ცნობიდან ჩანს, რომ ალექსანდრე კახთა მეფის (1574—1605) დროს ჭოეთის ციხე უკვე მოქმედებაშია[286].

ძვ. წ. ა. II საუკუნეში, ქართლის მეფის ფარნაჯომ მირიანის ძის (დაახლოებით ძვ. წ. 155—140 წწ.) ხანაში, ჰერეთის ტერიტორიაზე, მდ. ყვარლის-წყალზე, საფუძველი ჩაეყარა ქალაქ ნეკრესს. ვახუშტის გადმოცემით, მდ. ყვარლის-წყლის აუზში, „ყვარლის ზეით მთასა შინა, არს ნეკრესი. მეფის ფარნაჯომისაგან აღშენებული ქალაქი იყო. შემდგომად მეფემან თრდატ აღაშენა ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი. აქა დაადგრა წმინდა აბიბოს, იგ მამათაგანი და იქმნა იგი ეპისკოპოზ, მწყემსი გაღმა მხრისა დიდოთურთ"[287]. ვახუშტის ამ ცნობებს ამოწმებენ და ავსებენ ლეონტი მროველი, ჯუანშერი და აბიბოს ნეკრესელის ცხოვრების არქეტიპული რედაქციის ავტორი კათალიკოსი არსენ II (955—980). ლეონტი მროველის მოთხრობით, „ფარნაჯომ მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება,... და იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი"[288]. ქალაქის მშენებლობა მომდევნო საუკუნეებშიც გრძელდება. ძვ. წ. ა. I საუკუნის დასასრულს, იმავე ლეონტის ცნობით, მეფე არშაკმა „განაშენა ნელქარ, ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრესი"[289]. ახ. წ. ა. IV საუკუნის დასაწყისში ქართლის სამეფოს ხელისუფალთ განსაკუთრებული ზრუნვა გამოუჩენიათ ნეკრესზე. თავდაცვისუნარიანობის მიზნით გაუმაგრებიათ ქალაქის ზღუდე-კედლები. ლეონტი გვაუწყებს, რომ მირიანის მამამძუძე მირვანოზმა „ჰმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და

---

[284] ქ ც ბ ა, I, გვ. 312.
[285] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა", გვ. 97.
[286] ქ ც ბ ა, II, გვ. 382.
[287] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა", გვ. 99.
[288] ქ ც ბ ა, I, გვ. 29.
[289] ქ ც ბ ა, I, გვ. 33.

უმეტეს ყოველთასა მოსამტკიცნა ზღუდენი ნეკრესისსა ქალაქისანი"[290]. IV საუკუნის II ნახევარში ქალაქში უწარმოებიათ საკულტო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობა. ლეონტი მროველის ჩვენებით, თრდატ მეფემ „აღაშენა ეკლესია ნეკრესისა"[291]. ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა დავადგინოთ ნეკრესის ეკლესიის აგების თარიღიც. ამაში გვშველის „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს სინქრონული მითითებანი. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ავტორიც აღნიშნავს, რომ თრდატ მეფის დროს „ნეკრესს კახეთისასა ეკლესიაჲ აღიშენა განსრულებით"[292], და ამავე დროს იგი გვაწვდის მეტად მნიშვნელოვან დეტალს ეკლესიის აშენების ქრონოლოგიის განსაზღვრისათვის. იგი გვამცნობს, რომ თრდატის დროს მთავარეპისკოპოზი იყო იობი, რომელიც ადრე სომეხთა კათალიკოსის ნერსეს I პართელის დიაკონად ყოფილა[293]. როგორც ზემოთაც გვაქვს აღნიშნული, სომეხთა კათალიკოზი ნერსეს I პართელი მოღვაწეობდა 353—373 წლებში. აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ ნეკრესის ეკლესია აუშენებიათ IV საუკუნის III მეოთხედში[294]. V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის დროს, ნეკრესი საუფლისწულო ქალაქია. ჯუანშერის გადმოცემით, ვახტანგმა იგი მისცა დაჩის[295]. VI საუკუნიდან ნეკრესი საეპისკოპოზო ცენტრს წარმოადგენს. ქართული საისტორიო ტრადიცია ნეკრესში საეპისკოპოსო კათედრის დაარსებას მიაწერს აბიბოს ნეკრესელს, რომელიც დაახლოებით 571 წლიდან აქ ფართო სამისიონერო მოღვაწეობას ეწევა[296]. როგორც ვხედავთ, ნეკრესი საკმაოდ ძლიერ ქალაქად მოჩანს ანტიკურსა და ადრეფეოდალურ ხანაში. ამას მოწმობს აგრეთვე აღნიშნულ პერიოდში ნეკრესში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების სიმრავლეც: უძველესი ბაზილიკური ტიპის ეკლესია (IV ს.)[297], სამეკლესიანი ბაზილიკა (VII საუკუნის დასაწყისი)[298], გუმბათოვანი ეკლესია (IX ს.)[299], ნეკრესელის სასახლის კომპლექსი (VIII—IX სს.)[300] და სხვ. ნეკრესის გაძლიერებაზე დიდი გავლენა უნდა მოეხდინა, რა თქმა უნ-

---

290 ქ ც ბ ა, I, გვ. 65.

291 ქ ც ბ ა, I, გვ. 137.

292 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 91.

293 ი ქ ვ ე.

294 შდრ. Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, 44—45.

295 ქ ც ბ ა, I, გვ. 199.

296 ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 188—196.

297 Г. Ч у б и н а ш в и л и, Архитектура Кахетии, გვ. 37—45.

298 Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 173—176.

299 Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 321—325.

300 Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახ. ნაშრ. გვ. 555—557.

და იმ კულტურულ-პოლიტიკურ აღმავლობას, რომელსაც განიცდიდა საერთოდ ჰერეთი VIII—IX საუკუნეებში. „მოგვიანებით ნეკრესი ჰკარგავს თავის პოზიციებს. ჩანს ერთიანი ქართული მონარქიის შექმნის პირობებში მისი როლი ისეთი ვეღარ არის, როგორც ადრე“[301].

V საუკუნის II ნახევარში, ქართლის მეფის ვახტანგ I გორგასალის დროს, ჰერეთში აღმოცენდა მნიშვნელოვანი ქალაქი ჰერემი. ჰერეთის ტერიტორიაზე ამ ახალი ქალაქის დაარსება და აქ სტრატეგიული პუნქტის შექმნა, დაკავშირებული იყო იმ საერთო ღონისძიებებთან, რომლებსაც ქართლის სამეფოს პოლიტიკური მესვეურნი ანხორციელებდნენ იორ-ალაზნის მხარეში საზღვრების გამაგრების მიზნით. ვახუშტი შემდეგნაირად აგვიწერს ჰერემის გეოგრაფიულ მდებარეობას. ალაზანს „დასავლეთიდამ მოერთვის ჰერემის-წყალი, გამომდინარე ცივის მთისა და ბომდინარე ჰერემამდე ჩდილოთ-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთს-სამხრეთს შუა, მერმე დასავლეთს-სამხრეთს შუადამ აღმოსავლეთ-ჩდილოთ შორის... ამ წყალზედ არს, ცივისა ანუ ჰერეთის მთის საშორისსა, ჰერემი; იყო ქალაქი, სადაცა აღაშენა გორგასალ ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი და ქალაქი მაგარი, და დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი შიგნით კახეთისა“[302]. ვახუშტისეული აღწერიდან ნათლად ჩანს ჰერემის მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. ჰერმის-წყლის ხეობიდან ალაზნის ხეობისაკენ მიემართებოდა პირდაპირი და უმოკლესი გზა. ამიტომაც სავსებით გასაგები ხდება ქართლის სახელმწიფო ხელისუფალთა მიერ ჰერმის-წყალზე ძლიერი დასაყრდენი სტრატეგიული პუნქტის შექმნა. ქართლის მმართველ წრეებს კარგად ესმოდათ, რომ ამით ისინი რეალურ საფუძველს უყრიდნენ ქართველთა (resp. კახთა) პოლიტიკური ბატონობის გავრცელების საქმეს ჰერეთში. ამას კი თავის მხრივ, მოჰყვებოდა ჰერეთის ეკონომიური და აგრეთვე კულტურული ათვისება[303]. ისტორიული წყაროები ჰერემის გაქალაქებას და მის კეთილმოწყობას მთლიანად ვახტანგ გორგასალის სახელს უკავშირებენ: მას აქ დაუარსებია საეპისკოპოსო კათედრა, აუშენებია ორი ეკლესია. ჯუანშერის მოთხრობით, ვახტანგმა ეპისკოპოსი დასვა „ჰერემს, მისსავე აშენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი იგი მანვე აღაშენა“[304]. ვახტანგის დროსვე, როგორც ჩანს, ჰერემში ციხეც ყოფილა. ამას გვაუწყებს იგივე ჯუანშერი, რომელიც ირანელების შემოსე-

---

[301] ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, გვ. 65.

[302] ვახუშტი, „აღწერა“, გვ. 99.

[303] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 181—182.

[304] ქცბ, I, გვ. 199.

ვასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მტერმა შემუსრა „ჰერმისა ციხე“-ო[305]. იმავე ავტორის გადმოცემით, ჰერემი უფლისწულ დაჩის საკუთრებას შეადგენდა[306]. ჰერემის არქიტექტურული ძეგლებიდან აღსანიშნავია სამეკლესიანი საკათედრო ტაძარი (X—XI სს.), რომელიც როგორც გ. ჩუბინაშვილი ვარაუდობს, აშენებული უნდა იყოს ძველი, V საუკუნეში აგებული, საეპისკოპოსო ტაძრის ადგილზე[307]; ე. წ. გუმბათიანი კვადრატი[308], ეპისკოპოსის სასახლე (VIII—IX სს.)[309]; „წვეროდაბალის“ ეკლესია[310] და სხვ. ამ ძეგლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ე. წ. გუმბათიანი კვადრატი, რომელშიც გ. ჩუბინაშვილის აზრით, შემონახულია უძველესი არქიტექტურული ფორმები. იგი წარმოადგენს მინიატურულ კვადრატული ფორმის ნაგებობას, რომელსაც ოთხსავე მხარეს ღია კამარები აქვს და დახურულია გუმბათოვანი თაღით. მისთვის დამახასიათებელი მცირე სივრცობრივი არე და კრიპტის (სამარხის) არსებობა შენობის ქვეშ, მოწმობს, რომ ეს ძეგლი რომელიმე წმინდანის ან მარტვილის დაკრძალვის ადგილზე აგებულ მარტირიუმს ან მემორიალურ ეკლესიას წარმოადგენდა; ჰერემის კვადრატს, თავისი არქაიზმით, გ. ჩუბინაშვილი ადარებს ჰერეთის სხვა ისეთ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, როგორიცაა ნეკრესისა და ბოდბის ბაზილიკური ტიპის ეკლესიები (IV ს.)[311]. შ. ამირანაშვილის შეხედულებით, ჰერემის კვადრატს, თავისი ტიპით, პირდაპირი ანალოგია აქვს ირანის ცეცხლთაყვანისმცემლობის მთელ რიგ ნაგებობებში, იგი სამსხვერპლოს უნდა წარმოადგენდეს. როგორც შ. ამირანაშვილი აღნიშნავს, მაზდეიზმს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, მიუხედავად ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვებისა, დიდი ხნის განმავლობაში ბევრი მომხრე ჰყავდა და იგი ქრისტიანობასთან ერთდროულად არსებობდა[312].

გ. ჩუბინაშვილი ყურადღებას აქცევს ჯუანშერის ქრონიკის ჩვენებას იმის შესახებ, რომ გორგასალმა ჰერემში „ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი იგი მავნე აღაშენა“. მისი აზრით, ჯუანშერის მიერ მოხსენებული ორი ეკლესიის ქვეშ უნდა ვიგულის-

---

305 ქ ც ბ ა, I, გვ. 201.

306 ქ ც ბ ა, I, გვ. 199.

307 Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 190—193.

308 Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 207—208.

309 Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 557-559.

310 Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 188—190.

311 Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, 208.

312 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 101—104.

ამოთ საკათედრო ტაძარი და ეკლესია „წვერო-დაბალი“, რომელიც ჭერემიდან აღმოსავლეთით 3 კმ-ზე მდებარეობს, პატარა ბორცვზე. ჯუანშერის ჩვენება, გ. ჩუბინაშვილის ვარაუდით, შეიცავს აგრეთვე მითითებას ქალაქ ჭერემის ტერიტორიალური ფარგლების შესახებ საეპისკოპოსო ტაძრიდან ვიდრე „წვერო-დაბალის“ ეკლესიამდე[313].

ჭერემი ძირითადად ადრეფეოდალურ ხანაში დაწინაურებული ქალაქია. მომდევნო საუკუნეებში იგი ჰკარგავს თავის მნიშვნელობას. არც განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში და არც გვიან შუასაუკუნეებში, იგი როგორც ქალაქი, ჩვენთვის ხელმისაწვდომ ისტორიულ წყაროებში, ცალსახად არ იხსენიება. აღნიშნულ პერიოდში ჭერემი ქალაქური ტიპის დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს, სადაც შედარებით ხშირი მოსახლეობა იყო და სადაც არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა[314].

VIII საუკუნის შუა ხანებიდან ჰერეთში წარმოიქმნა და დაწინაურდა ახალი ქალაქი—ნუხპატი (ნოპატა, ნოხპატო). მის დაარსებას წერილობითი წყაროები არჩილ მეფის (VIII ს. 40—50-იანი წლები) სახელს უკავშირებენ. ჯუანშერის ცნობით, არჩილმა „აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს“[315]. ამასვე ადასტურებს ვახუშტი, რომელიც მას „ნოხპატოს“ სახელწოდებით იხსენიებს და აღნიშნავს, რომ „აქ აღაშენა მდ. მეფემან არჩილ ციხე და ეკლესია შვენიერი, უგუნბათო“[316]. ნუხპატის, როგორც ახალი ქალაქის, წარმოქმნა-დაწინაურება მთლიანად უკავშირდება იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ აღმავლობას, რომელსაც აღნიშნულ პერიოდში განიცდიდა ჰერეთი. ეს ის ხანაა, როდესაც საერთოდ საქართველოში და კერძოდ ჰერეთში, ადგილი აქვს ფეოდალურ ურთიერთობათა შემდგომ განმტკიცებას. აღებულ პერიოდში ჰერეთის ახალგაზრდა ფეოდალურმა კლასმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ამ დროისათვის აქ უკვე საფუძველი ეყრება მომავალი ჰერეთის სამეფოს სახელმწიფოებრიობას. უკვე აშკარად და ნათლად ჩანს ჰერეთის, როგორც დამოუკიდებელი ფეოდალური პოლიტიკური ერთეულის კონტურები. ახალი პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბებას კი ყოველთვის თან სდევდა ხოლმე რომელიმე პუნქტის დაწინაურება, რომელსაც ამ ქვეყნის მესვეურნი გარკვეული ამოცანის შესრულებას აკისრებდნენ. სწორედ ასეთ ისტორიულ ვითარებაში წარმოიქმნა ციხე-ქალაქი ნუხპატი.

---

313 Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 190, სქოლიო 2.

314 Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, გვ. 46.

315 ქცბა, I, გვ. 244.

316 ვახუშტი, „აღწერა“, გვ. 96—97.

ნუხპატის ადგილმდებარეობა ზუსტად არ არის მიგნებული. ნუხპატმა იმდროინდელ ჰერეთის ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა, რამდენადმე მსგავსი ნეკრესის როლისა, და ამიტომაა რომ მისი ლოკალიზაციის საკითხი მკვლევართა ყურადღებას იპყრობდა და იპყრობს. საკითხს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს.

ჯერ კიდევ 1849 წელს, მ. ბროსემ ყურადღება მიაქცია ჯუანშერის ქრონიკის ტექსტში მოხსენებულ ნოპატა-ნუხპატოს და აღნიშნა, რომ ეს ის ქვეყანა უნდა იყოს, რომელსაც ვახუშტის მიხედვით „ნოხპატო“ ეწოდებაო. მან ვახუშტის გეოგრაფიის მონაცემების გამოყენებით კიდევაც განსაზღვრა ნუხპატის ადგილმდებარეობა. მ. ბროსეს აზრით, ნუხპატი მდებარეობს ბელაქანში, რომელიც ლეკეთის (Lezgistan) ნაწილს შეადგენსო[317]. 1904 წელს, ვახუშტის გეოგრაფიის გამომცემელი მ. ჯანაშვილი ნუხპატს აწინდელ ნუხთან აიგივებდა და მას მდ. გიშის-წყალზე ათავსებდა ქალაქ შაქის ადგილზე[318]. ს. კაკაბაძის შეხედულებით, ნუხპატი ნუხის მხარეში მდებარეობს და ნუხპატი იგივე შაქია[319]. პ. ინგოროყვას აზრითაც, ნუხპატის თემი არის იგივე შაქის თემი და მის მიერ შედგენილ ისტორიულ რუკაზე ნუხპატი შაქის ადგილზეა ლოკალიზებული[320]. ივ. ჯავახიშვილი ვახუშტის გეოგრაფიაზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ „ნოჰპატო ეხლანდელს საინგილოში ყოფილა“-ო[321]. ნ. ბერძენიშვილი, როგორც ჩანს, ნუხპატ-ნუხის იდენტურობის მომხრე იყო[322]. ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებს გ. ჩუბინაშვილი. ეს უკანასკნელი როდესაც იხილავს VI საუკუნის პირველ წლებში, დაჩი უჯარმელის დროს, მომხდარ ნუხპატელთა (ნოპატელთა) აჯანყების ამბავს, იქვე აღნიშნავს, რომ ნუხპატელნი იყვნენ აწინდელ ნუხის რაიონის მცხოვრებნიო. ხოლო შემდეგ, როდესაც მკვლევარი გადადის არჩილის წუქეთში საქმიანობის დახასიათებაზე, ამბობს, რომ არჩილმა აღაშენა ციხე-ქალაქი ნუხი (გულისხმობს ნუხაპატს—თ. პ.); ცოტა უფრო ქვემოთ კი, აშკარა ხდება, რომ გ. ჩუ-

---

317 M. Brosset, Histoire de la Georgie, I, S.-Petersbourg, 1849, გვ. 201, სქოლიო I, გვ. 250, სქოლიო 1.

318. ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის გამოცემა, თფილისი, 1904, გვ. 150, შენიშვნა 274, გვ. 147, შენიშვნა 262.

319 ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, გვ. 280, 290, 295.

320 პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, გვ. 383, იხ. აგრეთვე ისტორიული რუკა: ჰერეთისა და რუსთავის გაერთიანებული საერისთავო; მისივე, ლეონტი მროველი, ენიმიკის მოამბე, X, თბილისი, 1941, გვ. 145.

321 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 43.

322 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1965, გვ. 254.

ბინაშვილის აზრით, ეს ნუხპატი — ნუხი არის იგივე შაქი[323]. სომეხი მკვლევარის, ს. ერემიანის აზრით, ქართულ წყაროში მოხსენებული ნუხპატო არის იგივე ქალაქი შაქი, დღევანდელი ნუხა[324]. დ. მუსხელიშვილი ერთგვარად ეჭვის ქვეშ აყენებს ნუხი-ნუხპატის იგივეობის საკითხს. ნუხპატზე საუბრისას, იგი იქვე დასძენს ხოლმე: „თუკი ნოპატი და ნუხპატო იგივე დღევანდელი ნუხია, როგორც ჩვეულებრივ ვარაუდობენო"[325]. ნუხპატის ლოკალიზაციის საკითხთან დაკავშირებით, აქვე უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული რუკები, რომლებზედაც ნუხპატი ჩვეულებრივ ჰერეთის განაპირა, უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ნუხა-შაქის მხარეშია მოთავსებული, შაქის ადგილას[326]. როგორც ვნახეთ, საკითხით დაინტერესებულ პირთა უმრავლესობა ნუხპატს ნუხა-შაქის მხარეში იგულვებს და მას შაქთან აიგივებს. ამ მხრივ გამონაკლისს მ. ბროსე და ივ. ჯავახიშვილი წარმოადგენენ, რომელთაც მოგვცეს საძიებელი ქალაქის ზოგადი ლოკალიზაცია. ზემოჩამოთვლილ მკვლევართ ნუხპატის ადგილმდებარეობის საკითხი სპეციალური კვლევის საგნად არ გაუხდიათ და ამიტომ მათ არც უცდიათ თავიანთი დებულების მეცნიერული დასაბუთება. ნუხპატის ლოკალიზაციის საკითხის უფრო ნათლად გასარკვევად მივმართოთ უშუალოდ წყაროთა ჩვენებებს, უპირველეს ყოვლისა ჯუანშერს, ხოლო შემდეგ კი ვახუშტის.

ჯუანშერი თავის თხზულებაში ორჯერ ლაპარაკობს ნუხპატზე და ნუხპატელებზე. პირველად ნუხპატელებს იგი იხსენიებს ვახტანგ გორგასლის მემკვიდრის, დაჩის მეფობის აღწერისას. იგი მოგვითხრობს: „ამანვე მეფემან დაჩი დაპატიჟა მთეულთა კახეთისათა, რათა აღიარონ ქრისტე, ხოლო მათ არა ინებეს, და გაანდგეს ყოველნი ნოპატელნი"[327]. როგორც ვხედავთ, აქ ნუხპატელნი „კახეთის მთეულებად" არიან წარმოდგენილნი. „კახეთის მთეულეთი" კი საკმაოდ ფართო ცნებაა და ამიტომ ჯუანშერის ეს ჩვენება არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ მითითებას ნუხპატელთა განსახლების ტერიტორიის დასადგენად. ჯუანშერის მეორე ჩვენება მოთავსებულია მისი თხზულების იმ ადგილას, სადაც აღწერილია არჩილის საქმიანობა ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში, წუქეთში. ამ ცნობაში ჩამოთვლილია არჩილის მიერ დაარ-

---

[323] Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 15, 18.

[324] ს. ერემიანი, სომხური გეოგრაფია, გვ. 73.

[325] დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 75, 93.

[326] საქართველოს სსრ ატლასი, თბილისი-მოსკოვი, 1964, იხ. ისტორიული რუკები: საქართველო IX—X საუკუნეებში; საქართველოს სახელმწიფო XIII საუკუნის დამდეგს.

[327] ქცბა, I, გვ. 205.

სებული თუ აშენებული პუნქტები, მათ შორის ნუხპატიც. ჯუანშერი ასე გადმოგვცემს: არჩილი „დაჯდა წუქეთს, და აღაშენა კასრი, და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე. და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი. და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა“[328]. მოტანილი ამონაწერიდან, ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მემატიანის მიერ ჩამოთვლილი პუნქტები ყველა წუქეთის ტერიტორიაზე უნდა ვიგულვოთ. და თუ ამ ტექსტს ასე გავიგებდით, მაშინ ჩვენ ერთგვარად მივაგნებდით კიდეც იმ რაიონს, სადაც საძიებელი ქალაქი უნდა არსებულიყო. მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ არის. მემატიანის გამოთქმა „დაჯდა წუქეთს“ ისე არ უნდა აღვიქვათ, რომ თითქოს არჩილის საქმიანობა წუქეთის ტერიტორიალურ ფარგლებს არ სცილდებოდა. აქ ისტორიკოსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ წუქეთში არჩილს რეზიდენცია ჰქონდა (შეიძლება იგი გიშში იჯდა), ხოლო მისი ფართო მასშტაბის სახელმწიფოებრივი მშენებლობა, წუქეთის გარდა, წარმოებდა ჰერეთის სხვა კუთხეებშიაც. ეს რომ ასეა, კარგად მტკიცდება ამავე ცნობაში მოხსენებული ლაკუასტის ციხის მაგალითიდან. ლაკუასტის resp. ლაკვათის (ლაგოდეხი) ციხე წუქეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთაა, იგი მდებარეობს მისგან საკმაოდ მოშორებით, მაწის-წყლის ჩრდილო-დასავლეთით[329]. ასე რომ, ჯუანშერის ამ ჩვენების მიხედვითაც, ჩვენ ვერ დავადგენთ ნუხპატის ადგილმდებარეობას. გამოუყენებელი გვრჩება ამ ჯერად ტექსტში დაცული ისეთი ტოპოგრაფიული ხასიათის ჩვენებაც, როგორიცაა ნუხპატის მდებარეობა „ორთა წყალთა შუა“. სამწუხაროდ მემატიანე არ იძლევა ამ „ორი წყლის“ სახელწოდებებს. სამაგიეროდ იმავე ჯუანშერის თხზულებაში შემონახულია ერთი მეტად საყურადღებო ცნობა, რომელიც ყოველგვარ საფუძველს აცლის იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომელნიც აღიარებენ ნუხპატ-შაქის იგივეობას. ჯუანშერი თუ მისი წყარო გვაუწყებს: „ხოლო ძმისწულნი ადარნასე ბრძისანი,... წარმოვიდეს ტარონით შაკიხად (შაქი — თ. პ.)... და დაეცკვდრნეს მუნ ბრძანებითა არჩილისითა“[330]. აღნიშნული ცნობა უშუალოდ მოსდევს ზემოთ მოტანილ ჯუანშერის ქრონიკის ტექსტს, სადაც ნუხპატის დაარსებაზეა საუბარი და წარმოადგენს არჩილის

---

[328] ქ ც ბ ა, I, გვ. 243—244.
[329] ვ ა ხ უ შ ტ ი „აღწერა“ გვ. 98.
[330] ქ ც ბ ა, I, გვ. 244.

კახეთ-ჰერეთში საქმიანობის შემცველი თხრობის ბუნებრივ გაგრძელებას. და აი, ამ ცნობიდან სავსებით აშკარა ხდება, რომ ნუხპატი და შაქი resp. შაკიხი სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტებია და რომ, მათი ერთმანეთში გაიგივება არ შეიძლება. ამ ცნობის სინამდვილეში ეჭვს ვერ შევიტანთ. ჯუანშერის წყარო ავთენტური ხასიათისაა. კერძოდ, როგორც ფიქრობენ, ჯუანშერის ტექსტის იმ ნაწილში, სადაც არჩილის კახეთ-ჰერეთში საქმიანობაა აღწერილი, VIII საუკუნის თანამედროვე წყაროა დაცული[331]. ანონიმი მემატიანე, რომელიც აღწერილი ამბების „თვითმხილველი და თანადამხვდური" იყო, კარგად ერკვევა არჩილის მრავალმხრივი საქმიანობის ყველა დეტალში, მან კარგად იცის მისი სამოღვაწეო ასპარეზის გეოგრაფიული არე; იგი დაწვრილებით გვაუწყებს არჩილის მიერ აგებული ციხეებისა და ახლად დაარსებული ქალაქების ამბავს. მემატიანე ჩერდება ყველა იმ ღონისძიებების აღწერაზე, რომლებიც გაატარა არჩილმა აღნიშნულ მხარეში და მათ შორის გადმოგვცემს იმასაც, თუ როგორ დაემკვიდრნენ, არჩილისავე ბრძანებით, შაქში ტარონიდან მოსული „ძმისწულნი ადარნასე ბრმისანი". არჩილის მიერ ადარნასე „ბრმის" ძმისწულებისათვის მიჩენილი ადგილსამყოფელი პუნქტი შაქი და არჩილის მიერვე დაარსებული ახალი ქალაქი ნუხპატი იდენტური გეოგრაფიული ცნებები რომ ყოფილიყო, ამის აღნიშვნა მხედველობიდან არ გამორჩებოდა ისეთ კარგად გათვითცნობიერებულ მემატიანეს, როგორსაც ჩვენი ანონიმი ავტორი წარმოადგენს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ: ის ამბავი, რომ არჩილის თანამედროვე საისტორიო წყარო ნუხპატის პარალელურად სრულიად დამოუკიდებლად შაქსაც ასახელებს, ცხადია ეს უკვე მათს ერთსა და იგივეობაზე არ მიუთითებს. ამის შემდეგ ისევ შევუდგეთ ნუხპატის ადგილმდებარეობის განსაზღვრას და დავიწყოთ ვახუშტის გეოგრაფიის მონაცემების მოტანა.

ვახუშტის მოცემული აქვს მკაფიო და ნათელი ტოპოგრაფიული აღწერილობა იმ ადგილისა, სადაც აგებული იყო ციხე-ქალაქი ნუხპატი. კაკ-ენისელის აღწერაში ვკითხულობთ: „ხოლო ბელაქნის-წყალი გამოსდის ხუნზახსა და ამაკს შორისს კავკასს, მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად. აქ, მთის კალთას, არს ციხე მაკაბელი და სასახლე მეფეთა, რომელსა ეწოდა პირველ ნოხპატი. აქ აღაშენა მეფემან არჩილ ციხე და ეკლესია შვენიერი, უგუნბათო, და არს აწცა. ამ წყალს ამ ციხესთან მოერთვის სხვა ხევი, ეგრეთვე გამომდინარე და მომდინარე და არს ადგილი ესე ფრიად კეთილი აგარაკი და მაგარი. აწინდელთა ჟამთა დაეშენნეს ჭარელნი, გარნა მოსრნა იგინიცა შანადირ, და

---

[331] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უკარმა, გვ. 93.

აწ ოხერ არს"[332]. აღნიშნულ ტოპოგრაფიულ ცნობებს თუ ჩავუკვირდებით, იძულებული ვიქნებით დავასკვნათ: ქალაქი ნუხპატი გაშენებული ყოფილა მდ. ბელაქნის-წყლის აუზში, კავკასიონის მთავარი ქედის ერთ-ერთი განშტოების სამხრეთ ფუძეზე. ამგვარადვეა ნაჩვენები მაკაბელის resp. ნოხპატოს გეოგრაფიული მდებარეობა ვახუშტისეულ კახეთის რუკაზედაც: ბელაქნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. ბელაქნის-წყლის შუა დინებაზე, კავკასიონის ერთ-ერთ სამხრეთ კალთაზე; ბელაქნის წყალს, იმ ადგილზე, საცა ციხე-ქალაქია გაშენებული, ერთვის სხვა მდინარე, ისე, რომ ქალაქის ტერიტორია, ჯუანშერის წყაროს გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მოქცეულია „ორთა წყალთა შუა"[333]. რა მოსაზრებებით ან რა საბუთებით ხელმძღვანელობდა ვახუშტი ნუხპატის ასეთი ლოკალიზაციისათვის, არ ჩანს. ვახუშტი რომ კარგად იცნობს „ქართლის ცხოვრებაში" შესულ ჯუანშერის ქრონიკის ტექსტს, ეს აშკარად ჩანს მისი საქართველოს ისტორიის პირველი ნაწილიდან. ამ ნაშრომში, დაჩისა და არჩილის მეფობის ისტორიის გადმოცემისას, ვახუშტი ნუხპატელებსაც ეხება. მათ შესახებ მოტანილი ცნობები თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებენ ჯუანშერის (თუ მისი წყაროს) ჩვენებებს[334]. მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ ჩვენებების საშუალებით ნუხპატის ადგილმდებარეობის გარკვევა . შეუძლებელია. ამიტომ ვფიქრობთ, რომ რადგანაც ვახუშტიმ თავის გეოგრაფიულ თხზულებაში ნუხპატის ლოკალიზაციის საკითხი საგანგებო კვლევის საგნად აქცია, უეჭველია მას საამისოდ მეტად მნიშვნელოვანი დამატებითი ცნობები გააჩნდა, იგი ჩვენზე უფრო მეტი საბუთებით სარგებლობდა და მარტო „ქართლის ცხოვრებიდან" არ ამოდიოდა. შესაძლებელია ისიც, რომ ვახუშტის დროინდელ ქართულ საისტორიო წრეებში არსებობდა ზეპირი თუ წერილობითი ტრადიცია, რომლითაც ნუხპატი ბელაქნის-წყლის აუზში იყო ლოკალიზებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ვახუშტი ვერ შესძლებდა მოეცა ჩვენთვის ნუხპატის ადგილმდებარეობის ასეთი ნიშანდობლივი და რელიეფური განსაზღვრა. ვახუშტი საგრძნობლად ავსებს და ამდიდრებს ჯუანშერის ქრონიკის ძუნწ ჩვენებებს. ნუხპატის შესახებ ვახუშტის მიერ მოტანილი ცნობებიდან ნათლად მოჩანს გეოგრაფიული მასალისა და წმინდა ისტორიული ხასიათის ფაქტების ღრმა ცოდნა. ყოველივე ეს კი იმას გვიკარნახებს,

---

[332] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა", გვ. 96—97.

[333] Description Geographique de la Georgie, par le Tsarevitch Wakhoucht, Publ. par M. Brosset, S.-Petersbourg, 1842, იხ. კახეთის რუკა. -

[334] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ბაქრაძის მიერ. ნაწილი პირველი, ტფილისი, 1885, გვ. 102, 117.

რომ ვახუშტის შეხედულება ნუხპატის ლოკალიზაციის საკითხში ნდობის ღირსად უნდა ჩაითვალოს.

ნუხპატის ადგილმდებარეობის დადგენაში დიდად გვშველის აგრეთვე ვახუშტის მიერ დამოწმებული გვიანდელი ხანის ზოგიერთი ისტორიული რეალია. ასეთია მაგალითად, მისი შენიშვნა იმის შესახებ, რომ ნუხპატის ყოფილ ტერიტორიაზე და მის მიდამოებში „აწინდელთა ჟამთა დაეშენნენ ჭარელნი, გარნა მოსრნა იგინიცა შანადირ, და აწ ოხერ არს“[335]. ვახუშტის აქ მხედველობაში აქვს XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მომხდარი ცნობილი ისტორიული მოვლენა, როდესაც კაკ-ენისელის მთის ძირებში თანდათანობით ჩამოყალიბდნენ ავარელ ლეკთა „უბატონო თემები“: ჭარის, ბელაქნის, კატეხის, თალას, მუხახისა და ჯინიხის, რომელთაც აღმოსავლეთ კახეთის საკმაოდ დიდი ნაწილი თავისი გავლენის ქვეშ მოაქციეს და დაიმორჩილეს[336]. უფრო გვიან (XVIII ს. პირველი მეოთხედი) აღნიშნული „უბატონო თემები“ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად გაფორმდნენ და მათი ტერიტორიაც ნათლად გამოიკვეთა. XVIII საუკუნეში შედგენილ ჭარის ომების ქრონიკაში დაცულია თურქეთის სულტანის ახმედის მიერ 1727 წელს გაცემული ფირმანი; ამ ფირმანით, თურქეთის მთავრობა ჭარელებს მათ მიერ კახეთის სამეფოსაგან მიტაცებული მიწების კანონიერ მფლობელებად აღიარებდა. ამ ფირმანში აღნიშნული იყო, რომ მიწები, მდებარე კავკასიის მთავარ ქედს, მდინარე ყაფუ-ჩაისა და კარტუბან-ჩაის (ვავაზის წყალი — თ. პ.) შუა, უმტკიცდება ჭარის და თალას აღალარებს მათს სამუდამო მფლობელობაში[337]; ე. ი. ჭარელთა სამფლობელოს ქვეშ იგულისხმებოდა ალაზნის გაღმა მხარის ის ტერიტორია, რომელიც მდებარეობდა გავაზის წყალსა და ყაფუ-ჩაის შორის. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ვახუშტის ზემორე მითითებულ ჩვენებიდანაც საკმაო გარკვეულობით ცხადი ხდება იმ რაიონის ტერიტორიალური ფარგლები, რომელშიც ნუხპატი მდებარეობდა. იგივე ჩვენება მხარს უჭერს ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ნუხპატი წუქეთის ტერიტორიაზე არ არის საძიებელი. წუქეთი (მერმინდელი ელისუს სასულთნო), როგორც ეს ზემოთ გვაქვს ნაჩვენები, მდებარეობდა მდ. ყაფუჩაის აღმოსავლეთით და ვრცელდებოდა ვიდრე ყანიყობამდე. ნუხპატისა და მისი მიდამოების საბოლოო მოოხრებას ვა-

---

[335] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა“, გვ. 97.

[336] თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ კახეთის სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (მე-18 საუკუნე და მე-19 საუკუნის I მესამედი), თელავის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1959, გვ. 181.

[337] Хроника вони Джара в XVIII столетии, Изд. Аз. ГНИИ, Баку, 1931, გვ. 13.

ხუშტი უკავშირებს ნადირ-შაჰის ლაშქრობებს. ზემოხსენებული ჭარის ომების ქრონიკის ავტორის მიხედვით, ეს არის 1735 — 1741 წლები, როდესაც ნადირ-შაჰმა ჭარელთა შესამუსრავად ყიზილბაშთა დიდი არმია მოავლინა. ყიზილბაშებმა საშინლად ააოხრეს ჭარელთა სოფლები და არტილერიის დახმარებით სულ ერთიანად დაანგრიეს აქაური ციხეები[338].

ამრიგად, ჩვენი დასკვნა, ყოველივე ზემოთქმულის ნიადაგზე, შემდეგი იქნება: ნუხპატი არ მდებარეობდა წუქეთის ტერიტორიაზე; არ არსებობს არავითარი საფუძველი ნუხპატისა და შაქის (აწინდელი ნუხის) ერთმანეთში გაიგივებისათვის, ისინი სრულიად სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტები არიან; მისაღებია ნუხპატის ვახუშტისეული ლოკალიზაცია: მდ. ბელაქნის წყლის აუზში, მის შუა დინებაზე, კავკასიონის ერთ-ერთ სამხრეთ კალთაზე. არსებული წერილობითი წყაროების საფუძველზე, საველე ისტორიულ-გეოგრაფიული ძიების გარეშე, ჯერ-ჯერობით სხვანაირი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. გადავიდეთ ციხე ქალაქ ნუხპატის რეალურ-პრაქტიკული ფუნქციის განხილვაზე და გავითვალისწინოთ მისი ისტორიული განვითარების გზები.

ახალი ქალაქისათვის გარკვეული პუნქტის შერჩევისას არჩილ მეფისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რა თქმა უნდა, იმ ამოცანას, რომელსაც ის ამ თავის ნაგებობას აკისრებდა. ეს ამოცანა საკმაოდ მკაფიოდ არის აღნიშნული არჩილის თანამედროვე მემატიანის (რომლის თხზულებაც ექსცერპტის სახით ჩართულია ჯუანშერის ქრონიკაში) მიერ. ციხე-ქალაქ ნუხპატის აშენების ისტორიას აღნიშნული მემატიანე მოკლედ, მაგრამ ძალზე მრავალმნიშვნელოვნად, ასე მოგვითხრობს: არჩილმა „აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა. ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მხეცის-ბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი. და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი“[339]. ვახუშტის გადმოცემით არჩილს ნუხპატში, ციხესთან ერთად, ეკლესიაც აუშენებია[340]. მეტად მრავალისმეტყველი ფაქტებია. მემატიანის ზემოთ მოტანილ სიტყვებში ნათლად შეინიშნება, რომ ნუხპატის გაქალაქებისა და დაწინაურების ერთ-ერთი მთავარი მოტივი პოლიტიკური საკითხია, რომელიც ერთი შეხედვით რელიგიურ სამოსელში იყო გახვეული: მთიელი ტომების —ნუხპატელების—მოქცევა და შესაბამისად პოლიტიკური ბატონობის გაკრცელება. „პოლიტიკური და უეჭველია, აგრეთვე ეკონომიური ინ-

---

[338] Хроника воин Джара в XVIII столетии, გვ. 20—36.

[339] ქ ც ბ ა, I, გვ. 244.

[340] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა“, გვ. 96.

ტერესები აიძულებს ქართლის მმართველ წრეებს იზრუნონ „მხეცის-ბუნებიან წარმართების“ „ცივილიზაციის“ შესახებ გაქრისტიანების გზით, ე. ი. სასურველი მიმართულებით ნორმალიზებული ურთიერთობის კალაპოტში ამ ტომების ჩაყენებისათვის... ხალხი, რომლის „სიმძლავრე“ ადრევე შეუმუსრავს მურვან ყრუს, ინათლება „იძულებით“. ყოველივე ამას თან სდევს ციხე-ქალაქების გაძლიერებული მშენებლობა, რაც, ერთი მხრით, უფრო მტკიცე ორგანიზაციას უქმნის ამ იძულებას, მეორე მხრით კი—ეკონომიური ინტერესების ხასიათს ამყარებს“[341]. ნუხპატს ამ როლის შესრულებაში ხელს უწყობდა მისი შესანიშნავი სტრატეგიული მდებარეობა: იგი მთაში მიმავალ გზაზე იდო: ნუხპატზე გადიოდა გზა, რომლითაც საქართველო დაღისტანს უკავშირდებოდა. ეს იყო ე. წ. „ბელაქნის გზა“, რომელიც მდ. ბელაქნის-წყლის ხეობას მიჰყვებოდა და უშუალოდ შუა დაღისტანში, ხუნზახში შედიოდა. ამ გზის არსებობის შესახებ ცნობა დაცული აქვს ყამთაალმწერელს (XIV ს.). იგი წერს: „თათართა ვანლეს... კამბეჩიანი, კახეთი, ჰერეთი, ყოველგან ომითა, და წარვიდეს გზასა ბელაქნისასა. შევიდეს ღუნძეთს“[342]. ხუნზახთან მჭიდრო კონტაქტის დამყარება—იმდროინდელ ქართლის სამეფოს პოლიტიკურ მესვეურთათვის —პირველხარისხოვან ამოცანას შეადგენდა. სხვა რომ აღარა იყოს-რა, ჩვენ ხომ უკვე ვიცით, რომ VIII საუკუნეში ხუნზები (თანამედროვე ავარიელები, ხუნძები) უშუალოდ შემოდიოდნენ წუქეთის ერთ-ერთი ერისთავის, აბუხუასროს, საგამგეოში და არა მარტო ხუნზები, არამედ „ყოველნი წარმართნი მის მთისათა“[343]. აი, რატომ აქცევდა არჩილ მეფე ასეთ განსაკუთრებულ ყურადღებას ნუხპატს და რატომ შექმნა მან აქ, მდ. ბელაქნის-წყალზე, ძლიერი დასაყრდენი სტრატეგიული ცენტრი. განზრახული პოლიტიკის განსატარებლად არჩილი საჭიროდ თვლიდა მოეხდინა ფიზიკური ძალების ისეთი გამაგრება ნუხპატში, რომ მას თავისუფლად შესძლებოდა თავისი ნება-სურვილები ეკარნახებინა მთიელი ტომებისათვის. ნუხპატის ასეთი პოლიტიკური (და სტრატეგიულიც) მნიშვნელობა შეგნებული იყო მომდევნო ისტორიული ეპოქების მიერაც.

IX—XI სს-თა განმავლობაში, როდესაც არსებობს ჯერ დამოუკიდებელი ჰერეთის სამეფო, ხოლო შემდეგ კი გაერთიანებული „რანთა და კახთა სამეფო“, ხუნზახი ადმინისტრაციულად უშუალოდ ჰერეთში შემოდიოდა. კერძოდ, იგი ექვემდებარებოდა მაჭის ერისთავს.

---

[341] ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 249 — 250.

[342] ქცბა, II, გვ. 252.

[343] ჯუანშერი, ქცბა, I, გვ. 343.

ამას მოწმობს ვახუშტი, რომელიც წერს, რომ მაჭის საერისთავო მოიცავდა ტერიტორიას „მაჭის წყლის ქვეით და ალაზნის აღმოსავლეთით შაკიხითურთ და ხუნზახითურთ“[344]. მომდევნო ხანაშიც, წერილობით წყაროებში ხშირად გვხვდება ცნობები იმის შესახებ, რომ ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის წარმომადგენელნი აქტიურად აგრძელებენ არჩილ მეფის მიერ ჯერ კიდევ VIII საუკუნეში აღებულ პოლიტიკურ კურსს, მიმართულს დაღისტნის მთიელი ტომების, ხუნზების მიმართ. ეს ცნობები აშკარად მოწმობენ, რომ აღნიშნული ტომები კვლავაც ძლიერად განიცდიდნენ ქართველთა პოლიტიკურ გავლენას. ასე მაგალითად, XII საუკუნეში, თამარის დროს, ბასილ ეზოსმოძღუარს იმ ხალხთა შორის, რომელნიც თამარის წყალობით „იყვნეს თავისუფლებითსა ცხოვრებასა და მტერთაგან უზრუნველობასა“, დასახელებული ჰყავს „სახლი შარვანშეთი, დარუბანდელთა და ღუნძთა“[345]. ზემოთ ნაჩვენებ შემთხვევებშიც, ვფიქრობთ, ბაზა, ასე ვთქვათ, ამოსავალი წერტილი და მთავარი არტერია პოლიტიკური გავლენის გავრცელებისათვის ხუნზახში უნდა ყოფილიყო ჰერეთის ტერიტორია, კერძოდ კი, ნუხპატზე გამავალი ბელაქნის გზა. ი. ჯავახიშვილის თქმით, „აქეთგან ავრცელებდა ქართველობა თავის გონებრივსა და სარწმუნოებრივს გავლენას დაღესტანზე და შაქზე“[346].

XIII საუკუნეში, ნუხპატის მახლობლად მდებარე ბელაქნიდან ეწეოდა სამისიონერო მოღვაწეობას დაღისტანში ცნობილი საეკლესიო მოღვაწე პიმენ სალოსი. ყამთააღმწერელის ცნობით, დემეტრე II თავდადებულის მეფობის დროს (1271—1289), ეს პიმენ სალოსი „გარეჯით წარმოვიდა და დაემკვდრა ბელქანს, ქუაბსა რაჰმე, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰვიან სარწმუნოებასა ქრისტესა“[347]. უფრო მეტიც, ჩვენამდე მოულწევია ერთ მეტად საინტერესო ცნობას იმის შესახებ, რომ XIV საუკუნეში, თვით შუა დაღისტანში, ხუნზახში, იჯდა — „ღუძელი კათალიკოზი ოქროპირი“[348]. ქრისტიანობის გავრცელებას, რა თქმა უნდა, თან სდევდა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გავლენის ზრდა მთიან დაღისტანში.

ნუხპატის ასეთი ურთიერთობა მთის ტომებთან მარტო წმინდა პოლიტიკური ურთიერთობით არ განისაზღვრებოდა, არამედ იგი სოცი-

---

344 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 151.
345 ქ ც ბ ა, II, გვ. 147.
346 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფილისი, 1919, გვ. 11.
347 ქ ც ბ ა, II, გვ. 283.
348 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947, გვ. 244.

ალურ, ეკონომიურ და კულტურულ სფეროშიც ვრცელდებოდა. უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ნუხპატს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ნუხპატზე გამავალი ზემოაღნიშნული „ბელაქნის გზა“ მარტო სამხედრო-პოლიტიკურ საჭიროებებს ხომ არ მოემსახურებოდა. იგი ამავე დროს, ალბათ, ერთ-ერთ მთავარ საკავშირო მაგისტრალს წარმოადგენდა, რომელიც ჰერეთის მთიანეთისაკენ (ნუხპატელნი, ხუნზახი) მიემართებოდა. აღნიშნულ მაგისტრალს დიდად უნდა შეეწყო ხელი საქონლის ტრიალისათვის ჰერეთის მთიანეთსა და ბარს შორის. ნუხპატის მნიშვნელობა ამ მხრივ შეუძლებელია გადაჭარბებით შეფასდეს. ჰერეთის მთისა და ბარის ეკონომიური ურთიერთობა უპირატესად ქალაქ ნუხპატის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო. ნუხპატს შეეძლო მთისთვის მიეწოდებინა როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (ხორბლეული, ღვინო) ისე ქალაქური ხელოსნური ნაწარმი (სამეურნეო და საბრძოლო იარაღი, კერამიკული ნაწარმი, სამკაული და ა. შ.), ხოლო თვით კი შეეძინა უმთავრესად მეცხოველეობის პროდუქტები, შინახელოსნური ნაწარმი და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს თვით ციხე-ქალაქის სახელწოდება „ნუხპატი“. ფრიად საგულისხმოა, ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ ამ სახელწოდების ეტიმოლოგიის ახსნა შესაძლებელი ხდება ხუნძური ენის ნიადაგზე. როგორც ტ. გუდავა შენიშნავს, ამ სახელწოდებაში შემონახული უნდა იყოს ხუნძური „ნუხ ბატ“, რაც „შუა გზას“ ნიშნავს[349]. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ნუხპატი მართლაც ხუნზახისაკენ მიმავალი „ბელაქნის გზის“ სწორედ შუაზე იდო, მაშინ უაღრესად ცხადი გახდება, რომ, თავის დროზე, მოცემულ პუნქტს სრული უფლებით შეეძლო ეტარებინა „ნუხპატის“ („შუა გზის“) სახელწოდება.

ნუხპატის მეშვეობით უნდა შეჭრილიყო ჰერეთის მთიანეთში, ხუნზახში, ქართული კულტურის ძლიერი ნაკადი. კულტურული კავშირები ჰერეთის მთიანეთთან ქრისტიანობის გავრცელების გზით იბმებოდა. რაკი ქრისტიანობა ხუნზახში ჰერეთიდან შედის უშუალოდ და ჰერეთი კიდევ ამ დროს, პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით, ქართული ქვეყანაა, ამიტომ ქრისტიანობასთან ერთად ხუნზახში ქართული კულტურა გადადიოდა. აღნიშნული პროცესის ნივთიერი ნაკვალევია სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილი ფაქტები, რომ ხუნზახის (თანამედროვე ავარიის) ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია ქართუ-

---

[349] ტ. გ უ დ ა ვ ა, ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დაღესტნიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი, 30, 1954, გვ. 190, შენიშვნა 2.

ლი ხუროთმოძღვრების და ეპიგრაფიკის საყურადღებო ძეგლები. ეს ძეგლები მისდევს სწორედ ნუხპატზე გამავალ იმ ბელაქნის გზას, — რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი— და ამ გზის არსებობის უტყუარ საბუთსაც წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხუნძახის სამხრეთით, მდ. ხუნძურ ყოისუს მარცხენა ნაპირზე, სოფელ დათუნიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ორი-სამი კილომეტრის დაშორებით, მდებარე ქრისტიანული ტაძარი. სოფელ დათუნის აღნიშნული ტაძარი წარმოადგენს ე. წ. „დარბაზული" ტიპის უგუმბათო ნაგებობას. ტაძრის არქიტექტურული ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ მას ორგანული კავშირი აქვს შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებთან და თარიღდება საკმაოდ მტკიცედ და ზუსტად X საუკუნის დასასრულით. ყოველ შემთხვევაში, როგორც ამას ტაძრის საგანგებოდ შემსწავლელი რ. შმერლინგი აღნიშნავს, დათუნის ეკლესიის აგების უკიდურესი ქრონოლოგიური საზღვარი X —XI სს-თა მიჯნას აღარ სცილდება[350]. სოფელ დათუნის ქართული ქრისტიანული ეკლესია ერთადერთ ძეგლს არ წარმოადგენს, რომლითაც დასტურდება ქართული კულტურის ძლიერი გავლენის არსებობა ხუნზახში. ამას მოწმობს აგრეთვე ის მრავალრიცხოვანი ქართული ეპიგრაფიკის ნიმუშები, რომელნიც აღმოჩენილნი არიან ხუნძეთის ტერიტორიის სხვადასხვა პუნქტებში. ეს ქართული თუ ქართული ანბანის ასოებით შესრულებული წარწერები თავის დროზე ამშვენებდნენ ქრისტიანული ეკლესიების კედლებს. წარწერათა შინაარსის გაცნობა უფლებას აძლევს რ. შმერლინგს, რომ დაადგინოს ქრისტიანული ეკლესიების არსებობა ხუნძეთის (თანამედროვე ავარიის) შემდეგ სოფლებში: ხუნძახი, ჰალა, ოროდა (Euróda), რუვუჯი და გინიჩუტლე[351]. ამ წარწერათა უმრავლესობის თარიღი XIV საუკუნის იქით აღარ გადადის, ხოლო ზოგიერთი მათგანი, როგორც გინიჩუტლის წარწერაა, უფრო მეტ არქაულობას ამჟღავნებს და X—XI სს-ით თარიღდება, ე. ი. განეკუთვნება იმ ხანას რომელშიც დათუნის ეკლესიაა აგებული[352]. ზე-

---

[350] Р. Шмерлинг, церковь в с. Датуна в Дагестане, ჟურნ. „მაცნე", თბ. 1968, № 2, გვ. 217.

[351] Р. Шмерлинг, დასახ. ნაშრ., გვ. 211; იხ. აგრეთვე: Н. Я. Марр, Албанская надпись , Краткие сообщения ИИМК, вып. XV, 1947; ა. ჩიქობავა, ართულ-ხუნძური წარწერა XIV საუკუნის დაღისტნიდან, სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, .№ 4, 1940; ტ. გუდავა, ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დაღესტნიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, 1954; კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1945.

[352] Р. Шмерлинг, დასახ. ნაშრ., გვ. 217—218.

მოთ მოტანილი მატერიალური კულტურის ძეგლთა ჩვენებანი აშკარად მოწმობენ, რომ X—XI საუკუნეებში ხუნზახში ადგილი ჰქონდა ქრისტიანობის ფართოდ დანერგვას და ქართული კულტურის ძლიერი ნაკადის შეჭრას, რომელიც ჰერეთის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო. ის გარემოება, რომ ცენტრალურ დაღისტანში, ხუნძეთში, X საუკუნეში ქართველებს ეკლესია აუგიათ, იმაზე მიუთითებს, რომ ამ ეკლესიას გარკვეული მიზანი ჰქონია და თავის დროზე განსაზღვრული „მომხმარებელთა წრეც“ (მრევლი, გაქრისტიანებული ხუნძები!) უნდა ჰყოლოდა[353]. გამოთქმული აზრის საილუსტრაციოდ მეტად საგულისხმო ფაქტებს ვპოულობთ ზოგიერთი არაბი მწერლის (მასუდი, იბნ-რუსტე) თხზულებაში. არაბი მწერლები, დაღისტნის ცენტრალური ნაწილის (ხუნძეთის, თანამედროვე ავარიის) ტერიტორიაზე არსებულ სამფლობელოს და მის მცხოვრებთ იხსენიებენ „ას-სარირ“-ის სახელწოდებით[354]. და აი, როგორც მასუდი გვაუწყებს (934 წ.), ამ „სარირის“ ქვეყნის მფლობელი მეფე X საუკუნეში აღიარებს ქრისტიანულ სარწმუნოებას[355]. მეორე არაბი მწერლის, იბნ-რუსტეს გადმოცემით (912 წ) კი, „სარირის“ მეფის ქვეშევრდომნიც ქრისტიანები არიან. კერძოდ, როდესაც ეს უკანასკნელი აგვიწერს „სარირის“ ქვეყანაში მდებარე ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეს, რომელიც ვ. მინორსკის ვარაუდით ხუნზახის ციხე უნდა იყოს, შენიშნავს, რომ ამ ციხე-სიმაგრის მკვიდრნნი ყველანი ქრისტიანები არიანო[356]. ასეთი ვითარება ხუნზახში, და საერთოდ ავარიის ტერიტორიაზე, სავარაუდებელია XIV საუკუნემდე[357].

შემდეგში, ქართველების გავლენას ხუნზახში და საერთოდ დაღისტანში, დიდი ზიანი მიაყენა თემურ-ლენგმა. მის მიერ წარმოებული რელიგიური პოლიტიკის წყალობით დაღისტანში ისლამი ვრცელდება. ისლამის გავრცელება დაღისტანში თუ ერთი მხრივ, აქ არსებული ძველი წარმართული რელიგიის ხარჯზე ხდებოდა, მეორე მხრივ,

---

[353] ტ. გ უ დ ა ვ ა, ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დაღესტნიდან, გვ. 185—194; შდრ. Р. М. М а г о м е д о в, История Дагестана, Махачкала, 1961, გვ. 100—101.

[354] В. Ф. М и н о р с к и й, История Ширвана и Дербенда X—XI веков, Москва, 1963, გვ. 132—137; Р. М. Магомедов, Дагестан в эпоху татаро-монгольского ига, Махачкала, 1940, გვ. 8.

[355] Масуди О Кавказе, იხ. В. Ф. Минорский, დასახ. ნაშრ., прилож. III, გვ. 203.

[356] Ибн Руста О Дагестане, იხ. В. Ф. Минорский, დასახ. ნაშრ., прилож. IV, გვ. 219.

[357] В. Ф. М и н о р с к и й, დასახ. ნაშრ., გვ. 136.

მისი გავრცელება ხდებოდა ქართველების მიერ აქ შემოტანილი ქრისტიანობის შესუსტების ხარჯზე[358]. XV—XVI საუკუნეთა მანძილზე კი ჰერეთისა და დაღისტნის ურთიერთობა მკვეთრად შეიცვალა. აქამდე ჰერეთის გავლენა-მორჩილების ქვეშ მყოფი დაღისტანი თვით გადმოდის შეტევაზე და ჰერეთის მთიანეთს (ნუხპატელები, ხუნზახი) აოხრების უშუალო საფრთხეს უქმნის. ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქ ნუხპატის შემდგომი ბედ-ილბლისათვის. აღნიშნული საფრთხის რეალურმა შედეგმა მალე იჩინა თავი. როგორც ვახუშტი გვაუწყებს, ნუხპატსა და მის მიმდებარე ადგილებში საბოლოოდ ჭარელები დაეშენნენ[359]. ასეთი სახით წარმოგვიდგება ჰერეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქის, ნუხპატის, ისტორიული განვითარების გზები.

IX—X საუკუნეებში ჰერეთის სამეფოს ეკონომიურად და პოლიტიკურად გაძლიერებამ გამოიწვია საქალაქო ცხოვრების შემდგომი განვითარება. აღნშინულ საუკუნეებში ჰერეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ძლიერი ქალაქია შაქი resp. გიში, რომელიც ამავე დროს ჰერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცენტრად გვევლინება.

შაქის resp. გიშის ქალაქად, ხოლო შემდეგ კი ჰერეთის პოლიტიკურ ცენტრად გადაქცევა გაპირობებული იყო ჰერეთის ხანგრძლივი პოლიტიკური ევოლუციით. არანაკლები როლი შეასრულა აგრეთვე ამ საქმეში ჰერეთის სამეფოს სამეურნეო და ეკონომიურმა ვითარებამაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში შემუშავებულ აზრით, ქალაქი შაქი resp. გიში მდებარეობდა თანამედროვე ნუხის ადგილას[360]. ამის უტყუარი მოწმობაა ქ. ნუხის მიდამოებში დღემდე არსებული ხოფლების

---

[358] თ. პაპუაშვილი, აღმოსავლეთ კახეთის სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 175—176.

[359] ვახუშტი, „აღწერა", გვ. 97.

[360] Б. Дорн, Каспий (о походе древних русских в Табаристан), СПБ, 1875, გვ. 221; Н. А. Карауловъ, Сведения арабских географов IX—X веков по р. Хр. О Кавказе, Армении и Азербайджане, СМОМПК, Тифлис, 1901, вып. 29, გვ. 63, შენიშვნა 42; П. К. Жузе, Баладзори, «Книга завоевания стран», Баку 1927, გვ 16; А. Крымский, Страницы из истории северного или Кавказского Азербаиджана (классической Албании), Шеки, გვ. 369; З. И. Ямпольский, Древняя Албания III—I вв. до н. э., Баку, 1962, გვ. 237; დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 116; შაქის (ნუხის) ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით აქვე უნდა მოვიტანოთ 1819 წელს სენ-მარტენის მიერ გამოთქმული მოსაზრება. მისი შეხედულებით, ლეონტი მროველისეული ქალაქი მოვაკნეთი არის იგივე შაქი (ნუხა), იხ. M. J. Saint-Martin, Memoire historiques et geographiques sur L'armenie, II, Paris, 1819, გვ. 183.

გეოგრაფიული სახელწოდებანი: შექილი, შექი-თერექემე და გიში (კიში). ამათგან შექილი და შექი-თერექემე მდებარეობენ ნუხის სამხრეთ-დასავლეთით, ხოლო გიში კი მდებარეობს ნუხიდან ჩრდილოეთით, მისგან ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით[361].

როდესაც ვამბობთ: შაქი IX — X საუკუნეების ჰერეთის ერთ-ერთი ძლიერი ქალაქიაო, რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ის სწორედ ამ დროს არის წარმოშობილი. პირიქით, ის ამ დროს უკვე სახელმოხვეჭილი ქალაქია, რომელიც ალბათ რამდენიმე საუკუნის ისტორიას ითვლის და თავისი ასაკით ჰერეთის სხვა ქალაქებს არ ჩამოუვარდებოდა. შაქის, როგორც ქალაქის წარმოშობას წინ უსწრებდა მისი ძლიერ დასახლებულ ადგილად ქცევა. შაქის რაიონში პირობები ადამიანის დასახლებისათვის უძველესი დროიდანვე იყო. ამ პირობებს განსაზღვრავდა დასამუშავებელი მიწების ვარგისიანობა და წყლის არსებობა, რაც ადრიდანვე მორწყვითი ინტენსიური მეურნეობის განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელ საფუძველს ჰქმნიდა. ასეთი სამეურნეო ბაზისის გამო შაქის მიდამოებში იმთავითვე ძლიერი სამოსახლო კერები შეიქმნა. ამ მიმართებით, შაქის უძველესი ისტორიისათვის მეტად საყურადღებო მასალას იძლევა თვით ტოპონიმი „შაქი“ („შაკკი“), რომელსაც ჩვენ ძვ. წ. ა. I ათასწლეულში გადავყავართ. როგორც ფიქრობენ, ტოპონიმ „შაქში“ შემონახული უნდა იყოს სკვითური წარმოშობის ტომების, საკების, ნაკვალევი, რომელნიც ჰერეთის ტერიტორიის აღნიშნულ ზონაში ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნის შუახანებში ჩრდილოეთიდან შემოიჭრნენ და აქ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ნაყოფიერ ველებში, მდ. ალაზნის შენაკად გიშის-წყლის აუზში, საკმაოდ ძლიერი სამოსახლო ცენტრი შექმნეს. საკების ტომთან არის დაკავშირებული აგრეთვე მტკვრის სამხრეთით მდებარე ოლქის „საკასენეს“ სახელწოდება (სტრაბონი, XI, 8, 4 — 5), რომელიც უდრის სომხურ „საკა-შენს“ და რომელიც, როგორც ვარაუდობენ, ნიშნავს „შაკის“ (resp. საკის) დასახლებას[362]. ცხადია სახელწოდება „შაქი“ („საკი“) მაშინ იყო შესაძლებელი წარმოქმნილიყო, როდესაც აქ ადგილი ჰქონდა ჩრდილოეთიდან საკების ინფილტრაციას. ე. ი. უკვე ძვ. წ. ა. I ათასწლეულში შაქის პროვინციაში

---

[361] А. Яновский, о древней Кавказской Албании, Журнал Министерства народного просвещения, 1846 г. СПБ, часть 52, отд. II, გვ. 117, 166; Б. Дорн, დასახ. ნაშრ. გვ. 344; V. Minorsky, Sheki, Encyklopaedie des Jslam, Leipzig, 1927, გვ. 372—373; А. Крымский, დასახ. ნაშრ. გვ. 369; C. J. F. Dowsett, The history of the Caucasian Albanians by Movses Dasxuranci, London, 1961, გვ. 5—6, სქოლიო 5.

[362] К. В. Тревер, К вопросу о культуре Кавказской Албании, Москва, 1960, გვ. 4; В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, Москва, 1963, გვ. 36—37.

სავარაუდებელია ძლიერი დასახლებული ადგილის არსებობა. ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან, წერილობითი წყაროების მიხედვით, შესაძლებლობა გვაძლევა თვალი მივადევნოთ შაქის ისტორიას და გავითვალისწინოთ ის პირველი, საწყისი ფორმები, რომელთაც განაპირობეს შემდეგში, გარკვეულ დროს, აქ ქალაქის წარმოქმნა. ამ მხრივ, შაქის თავდაპირველი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ანტიკური ხანის ისეთ მნიშვნელოვან საკულტო ცენტრთან, როგორიც იყო გიში resp. გისი. გეოგრაფიული პუნქტი გიში resp. გისი, როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, ლოკალიზდება ნუხის მახლობლად მდებარე თანამედროვე სოფელ გიშთან (ციში). გიში მრავალჯერ არის მოხსენებული მოსე კალანკატუელის „ალვანეთის ისტორიაში“ და მასში დაცული ცნობების მიხედვით, იგი გვევლინება როგორც ქრისტიანობის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ცენტრი ჰერეთში. საისტორიო ტრადიციით, რომელიც იმავე მოსე კალანკატუელის თხზულებაშია შემონახული, გისში, ახ. წ. ა. I საუკუნეში, ქრისტიანობა უქადაგებია და აქ პირველი ქრისტიანული ეკლესია აუგია თადეოზ მოციქულის მოწაფე ელისეს. აღნიშნული ისტორიული გადმოცემა ასეთი სახით არის წარმოდგენილი მოსე კალანკატუელის „ალვანეთის ისტორიის“ უძველეს ნაწილში: წმინდა ელისე თავისი მოძღვრის, მოციქულ თადეოზის, დაღუპვის შემდეგ ბრუნდება იერუსალიმში. აქ მას იერუსალიმის პატრიარქისაგან სამისიონეროდ „წილადხვდა აღმოსავლეთი“. იერუსალიმიდან წმ. ელისე მიემართება თავის წილხვდომილ ქვეყანაში. თავდაპირველად იგი გეზს იღებს ჩრდილოეთისაკენ და „სომხეთის გვერდის ავლით“ შედის მასკუტების ქვეყანაში, სადაც იწყებს ქრისტიანობის გავრცელებას ჩოლაში (დარუბანდი)[363]. აქედან ელისე თავის სამი მოწაფითურთ გადმოდის ალბანეთში („უტის მხარეში“), ქ. სოგარნში. აქ ერთ-ერთი მისი მოწაფეთაგანი ადგილობრივმა ურწმუნოებმა მოჰკლეს, დანარჩენმა ორმა კი ელისე მიატოვეს[364]. ამის შემდეგ, ელისე მიემგზავრება გისში, სადაც ააგო და „მოაწყო ეკლესია“. მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ამ ადგილზე (ე. ი. გისში) წარმოიქმნა ჩვენი პირველი ეკლესიები, მეტროპოლია“ და აქედანვე მომდინარეობს ჩვენი სარწმუნოებრივი „განმანათლებლობა“-ო[365]. გიშიდან თავისი სამისიონერო მოღვაწეობა ელისეს გადააქვს ზერგუნის ველზე, რომელიც წარმოადგენდა „ურწმუნო კერპთაყვანისმცემელთა მსხვერპლშესაწირავ

---

[363] М. Каганкатваци, кн. I гл. VI, гл. 6

[364] М. Каганкатваци, кн. I, гл. VI, гл. 6—7.

[365] М. Каганкатваци, кн. I, гл. VI, гл. 7.

ადგილს"[366]. ზერგუნის ველზე ელისე თავის სიცოცხლეს მოწამეობრივი სიკვდილით ასრულებს. წარმართებმა იგი მოჰკლეს და მისი ნეშტი გომენ-კის მახლობლად ერთ-ერთ თხრილში ჩაფლეს[367]. რამოდენიმე ხნის შემ-დეგ მორწმუნე ქრისტიანებს ელისეს ნეშტი გადაუტანიათ ჯერ სოფელ ურეკანში, ხოლო შემდეგ კი იგი გადაუსვენებიათ ნერს-მიხრის წმინდა ძმობის მონასტერში, რომელსაც ეხლა ჯერვშტიკი ეწოდებაო[368]. ამავე გადმოცემის მიხედვით, მომდევნო პერიოდში, ქრისტიანობის ოფიცია-ლურ სარწმუნოებად გამოცხადების შემდეგ, ღვთისმოსავი მეფის ვაჩაგა-ნის (487—510 წწ.) დროს, გიშის მახლობლად მდებარე ველზე, ელისეს წამების ადგილზე, ელისეს სამისიონერო მოღვაწეობის აღსანიშნავად გო-დოლი აღუმართავთ[369]. როდესაც ვეცნობით მოსე კალანკატუელის თხზულებაში დაცულ ისტორიულ გადმოცემას თუ ლეგენდას გისში, და საერთოდ ალბანეთში, ელისეს საგანმანათლებლო მოღვაწეობის შესახებ, აქ მკვლევარს თვალში ეცემა ერთი საყურადღებო დეტალი. გადმოცემის ავტორი, მეტად საეჭვო შეუპოვრობით ხაზს უსვამს, რომ ქრისტიანობა გისში და საერთოდ ალბანეთში, ჯერ კიდევ ახ. წ. ა. I საუკუნეში შეი-ჭრა, რომ ამ მხარის „ეშმარიტი განათლება" წმ. ელისეს ღვაწლს მიე-წერება, რომელიც აქ ღვთიურ ქალაქ იერუსალიმიდან მოვიდა[370], რომ ეს „ჩრდილო-აღმოსავლეთი ქვეყანა" წმ. ელისეს წილხვდომილია და ამ მხარის სამოციქულო ტახტი ელისემ მემკვიდრეობით მიიღო ღვთიურ ქალაქ იერუსალიმიდან, რომ ელისე ხელდებულია თვით იერუსალიმის პატრიარქ წმ. იაკობისაგან, უფლის ძისაგან[371]. გადმოცემაში ასეთივე საპაექრო ტონით ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ წმ. ელისემ სოფ. გისში ქრისტიანობა იქადაგა და აქ ეკლესია ააგო უფრო ადრე, ვიდრე სომხე-თში, და, რომ, გიშის ეკლესია არის „დედა, ე. ი. მეტროპოლია აღმო-სავლეთის ყველა ეკლესიებისა"-ო[372]. მეტად საყურადღებოა ეს გარემო-ება. ამ უკანასკნელი ხაზით გადმოცემის ავტორი ვიღაცასთან თუ რაღა-ცასთან პირდაპირ პოლემიკას აწარმოებს. საკითხავია: ვისთან? ვფიქ-რობთ სომხურ ტრადიციასთან. როგორც ცნობილია, სომხურ-გრეგორი-ანულ საეკლესიო ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ვერსიის მიხე-დვით, ალბანეთის ეკლესია განიხილებოდა როგორც სომხური ეკლესი-ისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაცია. და აი, სწორედ ამ ვერსიის

---

[366] М. Каганкатваци, იქვე.
[367] М. Каганкатваци, იქვე.
[368] М. Каганкатваци, кн. I, гл. VII, გვ. 7—8.
[369] М. Каганкатваци, кн. I, гл. VII, გვ. 8.
[370] М. Каганкатваци, кн. I, гл. XXVIII, გვ. 72.
[371] М. Каганкатваци, кн. II, гл. XLII, გვ. 209.
[372] М. Каганкатваци, кн. II, гл. XLVIII, გვ. 220.

საწინააღმდეგოდ, ალვანეთის მატიანეში საგანგებოდ შეაქვთ ისეთი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ალბანური ეკლესია ჯერ კიდევ I საუკუნეშია დაარსებული, სომხეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად, იერუსალიმიდან გამოსული მისიონერის მიერ. სწორედ ამიტომვეა, რომ გადმოცემაში გიშის ქვეყანა წარმოდგენილია ისეთ მხარედ, რომელშიც ქრისტიანობის აკვანი გაცილებით უფრო ადრე დარწეულა, ვიდრე სომხეთში. გიშის უძველესი ეკლესიის აპოლოგეტთა და ელისეს კულტის დამცველთა ამ ბრძოლაში, ამკარად ჩანს გამოძახილი იმ შეუპოვარი ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებდა ალბანეთის ეკლესია გრეგორიანიზაციის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ასახულია ავრეთვე ალბანეთის ეკლესიის კავშირი ქართულ და ბიზანტიურ ეკლესიებთან, რაც სავსებით ბუნებრივი და მისაღებია გიშის გეოგრაფიულ მდებარეობისათვის[373]. ამ ბრძოლის ნაკვალევი ამკარად შეინიშნება თვით მოსე კალანკატუელის „ალვანეთის ისტორიაშიც". მის ავტორს, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ დაეღწევია თავი ძველი სომბეურიტრადიციისაგან და თავის თხზულებაში ქრისტიანობის დამნერგავად ალბანეთში, ელისეს შემდეგ, მაინც სომეხი მისიონერი — მესროპ-მაშტოცი (361 — 440) — ჰყავს დასახელებული. „ალვანეთის ისტორიის" I წიგნის XXVII თავი შეიცავს ისტორიულ მოთხრობას მესროპისა და მისი თანამოღვაწეების შესახებ. და აი, ამ ისტორიული მოთხრობის მიხედვით, იერუსალიმიდან სომხეთს მიმავალმა მესროპმა აღმოსავლეთის საზღვარს მიაღწია უტის ოლქში და, აქ „საცხოვრებლად მოეწყო დაჭაობებულ და დახავსებულ ადგილას, რომელსაც გიში ეწოდებოდა"[374]. მემატიანის გადმოცემით, მესროპმა განამტკიცა გიშის „განახლებული ეკლესიის რწმენა" და აქედანვე დაიწყო სახარების ქადაგება „უტიებში, ალბანელებში, ლბინებში, კასპებში და ჩოლას ხეობაში". ამ ქადაგებისას მას თან ჰქონდა იერუსალიმიდან ჩამოტანილი მოოქროვილი ვერცხლის ჯვარი, რომელიც შეიცავდა შეტად წმინდა რელიქვიას, თვით უფლის ჯვრის ნაწილს[375].

გისში მოღვაწეობის დროს ადგილობრივი წარმართები მესროპს მოკვლით დამუქრებიან, რის გამოც „ნეტარმა მაშოტცმა, სული წმინდისაგან შთაგონებულმა", გისში ერთ-ერთ ადგილას „ამოთხარა ორმო, აიღო ღვთიური განძი, უფლის ჯვარი, დადო სახატეზე და ამოთხრილ სადგომში დაფლა"[376]; ხოლო ერთმა ვინმე ახალმორწმუნემ, რომელიც ხშირად ხედავდა სასწაულებს ჯვრის მიწისქვეშა სადგომში, აქ ააშენა

---

[373] З. И. Ямпольский, Древняя Албания III—I вв. до н. э. გვ. 237.
[374] М. Каганкатваци, кн. I, гл. XXVII, გვ. 70.
[375] М. Каганкатваци, იქვე.
[376] М. Каганкатваци, кн. I, гл. XXVII, გვ. 70—71.

ოთხკუთხა ფორმის ეგვტერი[377]. ცოტა მოგვიანებით, იმავე მესროპის ხანაში, გიშის ტერიტორიის იმ ადგილზე, რომელიც უფლის ჯვრის ადგილსამყოფელად იყო მიჩნეული, საფუძველი ჩაუყრიათ და აუშენებიათ ღვთის ეკლესია, რომელსაც შემატიანის სიტყვებით „გიშის ადგილის უძველეს ეკლესიას უწოდებდნენ“-ო[378]. გიშის შემდგომი მოხსენიება მოსე კალანკატუელთან დაკავშირებულია VII საუკუნის ამბებთან. მოსე კალანკატუელი II წიგნის XXXIII თავში მოგვითხრობს ვინმე წმინდა მამის ისრაელის შესახებ, რომელიც მიემართება უტის ოლქში მდებარე გისში, ვითომდა წმ. მაშტოცის მიერ აქ ჩაფლული უფლის ჯვრის საპოვნელად. აღნიშნული უფლის ჯვარი მას გისში თითქოს კიდევაც აღმოუჩენია[379], ხოლო შაქის ეპისკოპოსს, ელიზარს, კი დაუდგენია, რომ ამიერიდან ჯვრის დღესასწაული ყოველთვის სოფელ გისში აღესრულებინათ[380]. ასეთია ის ცნობები, რომლებიც მოიპოვება მოსე კალანკატუელის თხზულებაში გიშის შესახებ. როგორც ვხედავთ, გიშის თავდაპირველი ისტორიის ამსახველი წყაროები უმეტეს შემთხვევაში აპოკრიფული, ლეგენდური ხასიათისაა, ვიდრე წმინდა ისტორიული. ამ წყაროებს ამჩნევია მთელი რიგი რედაქციული ცვლილებები, რომლებიც მომდევნო ხანაში შეუტანიათ იმ რელიგიურ-კულტურული თუ პოლიტიკური განწყობილების მიხედვით, რაც ალბანეთისა და სომხეთის სასულიერო წრეებში სხვადასხვა ხანაში სუფევდა. ამ თქმულებებში, პოლემიკური თუ დოგმატიკური მიზნით, დამახინჯებულია გისში ქრისტიანობის გავრცელების ნამდვილი ფაქტები, ტენდენციურად არის წარმოდგენილი გიშის საეკლესიო ცხოვრება. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს შერყვნილი ისტორიული სინამდვილე, ამ ცნობებიდან ერთი რამ მაინც ცხადი და უეჭველი ხდება: საეკლესიო ისტორიაში კარგად ცნობილი დასახლებული პუნქტი გიში ჩვენ გვევლინება, როგორც ჰერეთის ტერიტორიაზე არსებული უძველესი საკულტო ცენტრი[381]. ამასთან დაკავშირებით, უნდა

---

377 М. Каганкатваци, кн. I, гл. XXVII, гл. 71.

378 М. Каганкатваци, იქვე.

379 М. Каганкатваци, кн. II, гл. XXXIII, гл. 174—178.

380 М. Каганкатваци, кн. III, гл. XXIII, гл. 281.

381 აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნუხის რაიონში მდებარე სოფელ გიშის გარდა, არსებობს ამავე სახელწოდების მეორე სოფელი მტკვრის სამხრეთით, მთიანი-ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მარტუნის რაიონში (აზერბაიჯანის სსრ). ეს ხომ არ არის მოსე კალანკატუელთან მრავალგზის მოხსენებული სოფელი გიში, სადაც წმ. ელისე თავის საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა? ვფიქრობთ, რომ არა. ალბანეთის მატიანეში გარკვევით არის აღნიშნული, რომ წმ. ელისეს სამისიონერო მოღვაწეობის ასპარეზი არ მოიცავდა მტკვრის სამხრეთით მდებარე ალბანურ მიწა-წყალს. მოსე კალანკატუელის სიტყ-

გავითვალისწინოთ ერთი მეტად საყურადღებო გარემოება. როგორც ცნობილია, ქრისტიანობა თავის პირველ წმინდა ადგილებს აარსებდა სწორედ წარმართული რელიგიის საკულტო ცენტრთა ადგილსამყოფელზე, მათ ნანგრევებზე, ხშირად იყენებდა რა მათ ნაგებობებს და მოწყობილობებს, მცირეოდენი ცვლილებებით. ჩვენი აზრით, ასეთივე ისტორია უდევს საფუძვლად ელისეს სახელთან დაკავშირებულ თქმულებას. ამ თქმულების მიხედვით, ახ. წ. ა. I საუკუნეში, როდესაც გისში ქრისტიანობის გასავრცელებლად ელისე მოვიდა, აქ მას დახვ-

---

ვები: ნეტარმა ელისემ „განანათლა აღმოსავლეთის (იგულისხმება ალბანეთი—თ.ბ.) მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილი და არა მთლიანად“ (М. Каганкатваци, кн. I, гл. IX, гл. 9), აშკარად მიგვითითებს იმაზე, რომ ის სოფელი გიში, რომელშიაც ელისე მოღვაწეობდა, მდებარეობს ქ. შაქის ზონაში და არა მტკვრის სამხრეთით, ყარაბაღთან (იხ. З. И. Ямпольский, Древняя Албания III—I вв. до н. э., გვ. 237; მისივე — К изучению летописи Кавказской Албании, Известия АН Азерб. ССР, 1957, № 9, გვ. 156). გიშის ადგილმდებარეობის საკითხთან დაკავშირებით, აქვე უნდა მოვიტანოთ სომეხი მკვლევრის ა. გ. აბრამიანის მოსაზრებაც. როგორც ცნობილია, მინგეჩაურში (ნაქალაქარი სუდაგილანი) წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს, ქრისტიანული ტაძრის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქმნა ანალოგიური შინაარსის შემცველი სომხური და ალბანური წარწერა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს მმართველობის (510—641 წწ) ოცდამეათე წელს (ე. ი. 640 წელს) აგებულ იქმნა ტაძარი წმ. ელისეს სახელზე (А. Г. Абрамян. Дешифровка надписей Кавказских Агван, Ереван, 1964, გვ. 20, 47.). და აი, ამ წარწერის შინაარსზე დაყრდნობით, ა. აბრამიანი დასკვნის, რომ სოფელი გიში, სადაც აგებულ იქნა წმ. ელისეს სახელობის საკათედრო ტაძარი, მდებარეობს მინგეჩაურშიო (А. Г. Абрамян, დასახ. ნაშრ. გვ. 49, 68).

ა. აბრამიანის მოსაზრება, ვფიქრობთ, არ არის მართებული. მინგეჩაურის ტერიტორიაზე წმ. ელისეს სახელობის ტაძრის დადასტურება არავითარ საფუძველს არ იძლევა გიშისა და მინგეჩაურის გაიგივებისათვის. აღნიშნული ზონის სხვადასხვა პუნქტებში ელისე განმანათლებლის სახელზე აგებული ტაძრების არსებობა საკმაოდ ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მეორე არგუმენტი, რომელიც აბრამიანს მოაქვს თავისი დებულების დასასაბუთებლად, მდგომარეობს იმაში, რომ თითქოს მინგეჩაური, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, უფრო ახლოს იმყოფებოდა ალბანეთის დედაქალაქთან, ვიდრე შაქის რაიონში მდებარე სოფელი გიში, რომ კათალიკოსები თავიანთ რეზიდენციებს სამეფო სასახლეების მახლობლად აშენებდნენო და ამიტომ უფრო დასაშვებიაო, რომ მინგეჩაურის ქრისტიანულ ტაძარში დავინახოთ მოსე კალანკატუელთან მოხსენებული გიშის ტაძარი (А. Г. Абрамян, დასახ. ნაშრ. გვ. 49—50). ა. აბრამიანის ამ არგუმენტის საწინააღმდეგოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ გიში არასოდეს არ ყოფილა კათალიკოსის რეზიდენცია, ისტორიული წყაროების მიხედვით, აქ მხოლოდ ეპისკოპოსის (გიშელის) საჯდომი ადგილი იყო, ხოლო სეპისკოპოსო ცენტრი კი სამეფოს დედაქალაქიდან დაშორებითაც შეიძლება არსებულიყო. გარდა ამისა, VII საუკუნეში, როდესაც მინგეჩაურის ტაძარია აგებული, გიში (resp. შაქი), როგორც ეს ზოგიერთი ქართული წყაროს (ჯუანშერის ქრონიკის ჩანართი) ჩვენებიდან ჩანს, იერარქიულად უკვე მცხეთის კათალიკოსის სამწყსოში შედიოდა (იხ. ქცბა, I, გვ. 232) და ამდენად, ალბანეთის დედაქალაქიდან მის დაშორებულობას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

და წარმართთა საკმაოდ ძლიერი ჯგუფები, რომელნიც მას შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ. გიშის მახლობლად მდებარე ველზე, რომელიც „ურწმუნო კერპთაყვანისმცემელთა მსხვერპლშესაწირავ ადგილს“ წარმოადგენდა, ელისეს წარმართებთან გადამწყვეტი შეტაკება მოუხდა, სწორედ აქ დაიდგა მან „მოწამეობრივი გვირგვინი“, იგი წმინდანად გადაიქცა. გასაგებია, რომ გიშის სახით ჩვენ საქმე გვაქვს რომელიღაც წარმართული ღვთაებისადმი მიძღვნილ წმინდა ადგილთან, სადაც მას შემდეგში სცვლის მისი ქრისტიანი მემკვიდრე — წმ. ელისეს კულტი[382]. როგორც ვხედავთ, მოსე კალანკატუელთან გიშის ქრისტიანული ტაძრის ცარიელ ადგილზე აშენების შესახებ კი არაა ლაპარაკი, არამედ — წარმართთა ადგილ-სამყოფელზე საკუთრივ ქრისტიანული ტაძრის აგებაზე. ამას მოსე კალანკატუელის ტექსტის პირდაპირი გაგება გვავარაუდებინებს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა დაეასკვნათ: უკვე წინაქრისტიანულ ხანაში, ახ. წ. ა. I საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრე, გიში ძლიერ დასახლებას წარმოადგენდა და აქ სავარაუდებელია მსხვილი წარმართული სატაძრო გაერთიანების არსებობა. მართალია, ჩვენს განკარგულებაში არაა არავითარი კონკრეტული მასალა გიშის სატაძრო გაერთიანების ხასიათის გასარკვევად, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ მხარის (ჰერეთის) მოსახლეობის სოციალური განვითარების საერთო დონეს, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ სატაძრო გაერთიანებას ბევრი რამ საერთო უნდა ჰქონოდა იმავე ჰერეთის ტერიტორიაზე არსებულ მთვარის ღვთაების სატაძრო გაერთიანებასთან. გიშის სატაძრო გაერთიანება, ისევე როგორც სტრაბონის მიერ აღწერილი მთვარის ღვთაების წარმართული ტაძრის ტერიტორია, თავდაპირველად ალბანელ ტომთა კავშირის ფარგლებში მდებარეობდა, მაგრამ უკვე ახ. წ. ა. პირველი საუკუნეებიდან, როდესაც ქართლის (იბერიის) სამეფოს საზღვრებმა აღმოსავლეთისაკენ გაფართოება იწყეს, იგი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა და ამიერიდან მუდამ გაქრისტიანების ხანამდე (IV ს.) მის შემადგენლობაში იმყოფებოდა.

ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად მიღების (IV ს.) შემდეგ, გიშის ისტორიაში ახალი პერიოდი იწყება. გისში არსდება საეპისკო-

---

[382] წმ. ელისეს კულტი უნდა წარმოადგენდეს გისში არსებული წარმართული ღვთაების ქრისტიანიზებულ ვარიანტს. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამ მხრივ ის გარემოებაც, რომ ისტორიული თქმულების მიხედვით, სწორედ გიშია მიჩნეული მეტად წმინდა რელიქვიის—უფლის ჯვრის—ადგილსამყოფელ პუნქტად და რომ, სწორედ გისში აღინიშნებოდა ჯვრის (ქრისტიანული რელიგიის სიმბოლოს) დღესასწაული.

პოსო კათედრა[383]. ვახუშტის გადმოცემით, გისში „იჯდაცა ეპისკოპოზი, მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკიხისა“[384]. როგორც ვხედავთ, გიშის ეპისკოპოსის იურისდიქციაში ჰერეთის ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი შედიოდა, რაც თავისთავად აღნიშნული პუნქტის დიდ მნიშვნელობაზე მიგვითითებს. შესაძლებელია გიში resp. შაქი ამ დროს (V საუკუნის II ნახევარი) უკვე ქალაქსაც წარმოადგენდა. შაქის გაქალაქებაში, სამეურნეო და ეკონომიური პირობების გარდა, დიდი როლი უნდა შეესრულებინა მის სტრატეგიულ მდებარეობასაც. შაქი მდებარეობდა მდ. გიშის-წყალზე და წარმოადგენდა გიშის-წყლის ხეობის მთავარ ჩამკეტ პუნქტს. შაქზე გადიოდა ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალი, რომლითაც ჰერეთი მთიან დაღისტანს უკავშირდებოდა. შაქის ურთიერთობა დაღისტნის ტომებთან უმთავრესად გიშის-წყლის ხეობაზე გამავალი გასასვლელით ხორციელდებოდა. აღნიშნული გასასვლელი გიშის-წყლის ხეობიდან მდ. სამურისა და მის შენაკადების აუზებში გადადიოდა, ხოლო აქედან კი იგი უშუალოდ დარუბანდს უკავშირდებოდა. ყოველივე აქედან გამომდინარე, თავისთავად ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა შაქში ძლიერი სტრატეგიული პუნქტის შექმნას. შაქზე დიდად იყო დამოკიდებული ჰერეთის დაცვა ჩრდილოეთ-კავკასიის ნომადების თავდასხვებისაგან. საჭირო იყო გიშის წყლის ხეობაზე გამავალი გზის დაკეტვა, რომ ენერგიით სავსე ველის ტომების მოზღვავებული ტალღები შეეჩერებინათ. სწორედ ამ გარემოებით იყო ნაკარნახევი, რომ VI საუკუნეში ირანის მთავრობას, ჰერეთში თავისი პოლიტიკური ბატონობის განმტკიცების მიზნით, საგანგებო ზრუნვა გამოუჩენია შაქის გამაგრებისათვის. არაბი ავტორები: ბალაძური და იბნ-ალ-ფაკიჰი გვაუწყებენ, რომ ირანის შაჰმა, ხოსრო I ანუშირვანმა (531—579), ხაზართა შემოსევებისაგან თავდაცვის მიზნით, შაქში ციხე-სიმაგრე ააშენა, ანუ როგორც თვით ბალაძური და ალ-ფაკიჰი აღნიშნავენ, ხოსრომ არრანის მიწა-წყალში ააშენა „შაქის კარები“ („აბვაბ შაკკა“)[385]. „შაქის კარების“ შექმნა კი,

---

[383] გისში საეპისკოპოსო კათედრის დაარსების ზუსტი თარიღის დადგენა ვერ ხერხდება. როგორც „ეპისტოლეთა წიგნიდან“ ჩანს, აქ საეპისკოპოსო ცენტრის არსებობა, უფრო ადრე თუ არა, V საუკუნის II ნახევარში საეჭვო აღარ უნდა იყოს. ამის შესახებ იხილეთ ზემოთ (ჩვენი ნაშრომის II თავი).

[384] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა“, გვ. 95—96; გიშის ეპისკოპოსის ტიტულატურაში ყურადღებას იპყრობს გეოგრაფიული სახელწოდება „ელისენი“. ამასთან დაკავშირებით, უნებლიედ კვლავ გვახსენდება მოსე კალანკატუელთან დაცული ისტორიული გადმოცემა გიშის ქვეყნის განმანათლებლის წმ. ელისეს შესახებ. როგორც კ. კეკელიძე ფიქრობს, „შეიძლება ამ გადმოცემამ მისცა საფუძველი ელისენის სახელწოდებას“. იხ. კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 318.

[385] Б а л а д з о р и, «Книга завоевания стран», გვ. 5; Ибн-ал-Факих, СМОМПК, вып. 31, Тифлис, 1902, გვ. 15.

უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ნიშნავდა გიშის-წყლის ხეობაზე გამავალი გადასასვლელის გამაგრებას. საყურადღებოა აგრეთვე არაბი ავტორების მიერ შაქის მიმართ სიტყვა „კარუბის“ ხმარება. იგი ნათლად მეტყველებს შაქის, როგორც სტრატეგიული პუნქტის, მნიშვნელობაზე საერთოდ ჰერეთისათვის, ხოლო კერძოდ კი, იმდროინდელი ირანის პოლიტიკისათვის.

VII საუკუნისათვის შაქი ნარატიულ წყაროებში უკვე გარკვევით იხსენიება როგორც ქალაქი. კირაკოს განძაკელი მას, როგორც ქალაქს, იხსენიებს ასო „შ“-თი დაწყებულ იმ ხუთ ქალაქთა (შამქორი, შაქი, შირვანი, შემახა, შაპორანი) შორის, რომელნიც ვითომცდა აუშენებიათ ალბანეთის კათალიკოსის ვიროს (596 — 631) დროს, ხაზართა უფლისწულის შათის საპატივცემლოდ[386].

განსაკუთრებით დიდ აღმავლობას განიცდის შაქი, როგორც ქალაქი, IX—X საუკუნეებში, როდესაც იგი ჰერეთის პოლიტიკურ ცენტრად გადაიქცა. შაქის გადაქცევა ჰერეთის პოლიტიკურ ცენტრად სრულიად კანონზომიერად მოხდა და ეს მოვლენა გაპირობებული იყო მთელი იმ ისტორიული პროცესის მსვლელობით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჰერეთში. როგორც ცნობილია, ადრე, VIII საუკუნემდე, როდესაც ჰერეთი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, საკუთრივ ქართული ჰერეთის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ცენტრს ხორანთა წარმოადგენდა. მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, როდესაც VIII საუკუნის შუა ხანებში, არჩილ მეფის დროს, ჰერეთის აღმოსავლეთ ნაწილში — შაკიხში (resp. შაქში) ბაგრატიონთა დინასტიის ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელნი დამკვიდრდნენ[387]. შაქის ბაგრატიონებმა დიდად განავრცეს თავიანთი სამფლობელოს საზღვრები და შექმნეს საკმაოდ მძლავრი პოლიტიკური ორგანიზმი, რომელიც საკუთრივ ქართული ჰერეთის (შაკიხიდან ვიდრე გულგულამდის)[388] გარდა, მოიცავდა აგრეთვე ძველი ალბანეთის სამეფოს მნიშვნელოვან ნაწილს[389].

---

[386] Киракос Гандзакеци, история, გვ. 101; როგორც სამართლიანად შენიშნავს კირაკოს განძაკელის „ისტორიის“ რუსულად მთარგმნელი ტ. ტერ-გრიგორიანი, აღნიშნული ქალაქები VII საუკუნეზე უფრო ადრეც არსებობდნენ. როგორც ჩანს, აქ უნდა იგულისხმებოდეს ხაზართა შემოსევების დროს დანგრეული ქალაქების აღდგენა, იხ. Киракос Гандзакеци, დასახ. ნაშრ., გვ. 270, შენიშვნა 652.

[387] ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 254; 256.

[388] ჯუანშერი, ქცება, I, გვ. 244.

[389] В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X—XI вв., გვ. 116—117.

ეს ის ხანაა, როდესაც სახელწოდება „ჰერეთმა“ თითქმის მთელი ალბანეთი გადაფარა. ცხადია, ამ ახალ ერთეულს ახალი ცენტრი სჭირდებოდა. ბუნებრივია სწორედ შაქი გამხდარიყო ჰერეთის სამეფოს ცენტრად—ამას, მისი მეურნეობრივი ბაზისის გარდა, ხელს უწყობდა მისი გეოგრაფიული მდებარეობაც. შაქი გეოგრაფიულად იმ ადგილას მდებარეობდა, სადაც ერთმანეთს ხვდებოდა საკუთრივ ქართული ჰერეთისა და მისდამი შემოერთებული ალბანეთის სამეფოს ტერიტორიის საზღვრები. და მართლაც, ამ ახალი მძლავრი პოლიტიკური წარმონაქმნის მესვეურებმა ტახტი შაქში დაიდგეს. ამიერიდან შაქი, მთელი IX — X საუკუნეების განმავლობაში, ჰერეთის სამეფოს ცენტრია, რომელიც პოლიტიკური უპირატესობის გამო დიდ წარმატებებსაც აღწევს.

მეტად საგულისხმო ფაქტია, რომ შაქი, როგორც ქალაქი ძალზე ხშირად იხსენიება არაბ ავტორებთან, რაც უთუოდ თვით ამ ობიექტის მნიშვნელობაზე (უპირველეს ყოვლისა სავაჭრო მნიშვნელობაზე) უნდა მიუთითებდეს[390]. ალ-მუკადდასის (X ს.) გადმოცემით, არრანში, ბარდავთან შემდეგი ქალაქებია: თბილისი, კალა, ხუნანი, შამქორი, განჯა, ბერდიჯი, შამახია, შარვანი, ბაქო, შაბირანი, ბაბ-ულ-აბვაბი, აბხაზი, კაბალა, შაქი, მალაზკერდი და თებლა[391]. როგორც ვხედავთ, არაბი ავტორი შაქს არრანის ქალაქად მიიჩნევს, ისევე როგორც თბილისს, ხუნანს, თებლას (თელავი) და სხვ. ცნება „არრანში“ არაბი გეოგრაფები სდებდნენ არა ეთნიკურ შინაარსს, არამედ მას პოლიტიკური მნიშვნელობით ხმარობდნენ. არრანის მთავარი ქალაქი ბარდავი, რომელთანაც ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქები არიან დაკავშირებულნი, არაბთა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა და საერთაშორისო ვაჭრობის უდიდესი საკვანძო ცენტრი იყო ამიერკავკასიაში. ასე რომ, ალ-მუკადდასის მიერ აღწერილი პუნქტები იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის საკმაოდ ცნობილი ქალაქებია და, ჩვენთვის აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ შაქიც ამ ცნობილ ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნება.

ალ-მუკადდასის ჩვენებით, შაქი გზაზე იდო, რომლითაც ჰუვეიდან შეიძლებოდა მისვლა თბილისს, აქედან თებლამდე (თელავი), შემდეგ შაქამდე და ლაქზანამდე ორი გადასასვლელი იყო. გზის შემდგომი მონაკვეთი დარუბანდამდე (ალ-ბაბი) მუკადდასს სამი გადასასვლელით აქვს განსაზღვრული[392]. როგორც ვხედავთ, აქ აღწერილია შაქზე გამავალი

---

390 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, უჯარმა, გვ. 116.

391 Ал-М у к а д д а с и й, СМОМПК, вып. 38, Тифлис, 1908, გვ. 3, 6.

392 Ал-М у к а д д а с и й, СМОМПК, вып. 38, გვ. 17—18.

გზა, რომელიც მიემართებოდა ჰუვეიდან (სამხრეთ აზერბაიჯანი) თბილისისაკენ, შემდეგ თელავის გავლით შაქამდის, აქედან კი ლაქზანის გზით დარუბანდისაკენ. იმავე ალ-მუკადდასის ცნობით, შაქი ველზე მდებარეობს და მის მცხოვრებთა უმეტესობა ქრისტიანები არიან[393]. არაბი გეოგრაფების აღწერით, შაქი ლამაზი და აყვავებული ქალაქია, რომელსაც ნაყოფიერი, მდიდარი და ვრცელი ადგილ-მამული უჭირავს[394]. ირანელი გეოგრაფის, „ჰუდუდ ალ-ალამის“ ავტორის (X ს.), დახასიათებით: „შაქი არმენიის ქვეყანაა, გაშენებული და მდიდარი .. იქ მუსლიმანებიც არიან და ურწმუნოებიც“[395]. არმენია აქ პოლიტიკური მნიშვნელობით არის ნახმარი. ამიერკავკასიაში არაბთა დაპყრობით ომებს, როგორც ცნობილია, შედეგად მოჰყვა აქ ვრცელი ადმინისტრაციული ერთეულის არმენიის შექმნა, რომელმაც გააერთიანა სომხეთის უდიდესი ნაწილი, არრანი და აღმოსავლეთ საქართველო (არაბ. ჯურზანი). რაც შეეხება შაქში მუსლიმანების გვერდით „ურწმუნოების“ მოხსენიებას, ირანელი გეოგრაფი მასში ქრისტიანებს უნდა გულისხმობდეს.

IX — X საუკუნეებში შაქი ჰერეთის ერთ-ერთ მსხვილ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს წარმოადგენდა. როგორც მასუდი (X ს.) გვაუწყებს, შაქელი მუსლიმანები ვაჭრობასა და სხვადასხვა სახის ხელოსნობას მისდევდნენ[396]. კ. ტრეევერის აზრით, VII—IX საუკუნეებში, და უფრო ადრეც, შაქი საფეიქრო წარმოების ერთ-ერთ ძირითად ცენტრს წარმოადგენდა[397]. იაკუთის (XIII ს.) გეოგრაფიულ ლექსიკონში დაცული ცნობის მიხედვით, ცნობილი ყოფილა შაქქური ტყავი[398]. ამრიგად, ზემომოტანილი არაბული წყაროების ჩვენებათა მიხედვით, შაქი ჩვენ გვესახება იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ ძლიერ ქალაქად.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქებისა (ხორანთა, ხორნაბუჯი, ნეკრესი, ჭერემი, ნუხპატი, შაქი), ჰერეთის ტერიტორიაზე არსებობდა ძლიერი დასახლებული პუნქტები, რომელნიც ისტორიულ წყაროებში,

---

[393] Ал-Мукаддасий, იქვე, გვ. 9.

[394] Ал-Исстахри, СМОМПК, вып. 29, Тифлис, 1901, გვ. 17—19; Ибн-Хаукаль, СМОМПК, вып. 38, გვ. 92.

[395] ჰოდუდ ალ-ალემი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ე. ფუთურიძისა, თბილისი, 1937, გვ. 15.

[396] Массуди, СМОМПК, вып. 38, გვ. 57.

[397] К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании, გვ. 181.

[398] იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ნაკვ. I, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ეთერ სიხარულიძემ, თბილისი, 1964, გვ. 66.

მართალია, როგორც ქალაქები არ მოიხსენიებიან, მაგრამ ჰერეთის ეკონომიურ ცხოვრებაში მეტად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ. ასეთ დიდმნიშვნელოვან პუნქტთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს: ლაგოდეხი, კაკი, კატეხი და სხვ. ლაგოდეხის resp. ლაკვათის დაწინაურება, როგორც ეს წერილობითი წყაროებიდან ჩანს, შეინიშნება ჯერ კიდევ VIII საუკუნის შუახანებში, არჩილ მეფის დროს. ჯუანშერის ქრონიკაში დაცული VIII საუკუნის ანონიმი მემატიანეს ცნობით, არჩილმა აქ, „ხევსა ლაკუასტისასა, აღაშენა ციხე“[399]. ამასვე გვიდასტურებს ვახუშტი, რომელიც აღნიშნავს, რომ მაწის-წყლის ჩრდილოეთით მდებარე ველზე არის „ციხე ლაკვათისა, მდ. მეფის არჩილისაგან ქმნული, და აწ ლაგოეთად წოდებული, მაგარი, დიდშენი“[400]. ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის ლაგოდეხი უკვე მსხვილ სამონასტრო ცენტრად გვევლინება. მელქისედეკის დაწერილის (XI ს. დასაწყისი) მიხედვით, ლაგოდეხში იყო „მონასტერი დიდითა ძალითა“[401]. მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრს წარმოადგენდა ამავე ხანაში აგრეთვე კატეხი[402]. მეტად საყურადღებოა იმავე მელქისედეკის დაწერილის ცნობა კაკში სვეტიცხოვლის კუთვნილ ვაჭართა რიცხვის შესახებ. მარტო სვეტიცხოველს კაკში, XI საუკუნის დასაწყისში, თორმეტი ვაჭარი ჰყოლია[403]. თუ წარმოვიდგენთ ამ ვაჭართა საქმიანობას არა მარტო ჰერეთის საშინაო ბაზარზე, არამედ მათ ცხოველ ეკონომიურ ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებთან, მაშინ სავსებით ცხადი გახდება, თუ რა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა აღნიშნულ პუნქტს ჰერეთის ისტორიაში.

არქეოლოგიური გათხრებისა და დაზვერვების დროს გამოვლენილი მასალების მიხედვით, ჰერეთის ქვეყანაში დასტურდება აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პუნქტთა არსებობაც, რომელთა შესახებ წერილობითი წყაროები თითქმის არაფერს გვამცნობენ. თუ დავეყრდნობით ჰერეთის ტერიტორიაზე მოპოვებულ მატერიალური კულტურის ძეგლთა (არქეოლოგიური მასალა, მონუმენტური ძეგლები) მონაცემებს, მაშინ ზემოთ მოტანილ ჰერეთის მნიშვნელოვან პუნქტთა მოკლე ნუსხას უნდა დავუმატოთ: ყუმი, ლექეთი და ტოპრაკკალა. ყუმისა და ლექეთის, როგორც ადრეფეოდალური ხანის ჰერეთის მნიშვნელოვანი ცენტრების, შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და აქ მათზე სიტყვას

---

399 ქ ც ბ ა, I, გვ. 243.

400 ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა“, გვ. 98.

401 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბილისი, 1967, გვ. 283.

402 ი ქ ვ ე.

403 ი ქ ვ ე.

აღარ გავაგრძელებთ. რაც შეეხება ტოპრაკკალას, აქ, უკანასკნელ ხანებში (1959, 1961—1963 წწ.) ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, გამოვლენილ იქნა ქალაქური ტიპის სამოსახლო. ტოპრაკკალა მდებარეობს აზერბაიჯანის სსრ კახის რაიონში, მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე. სამოსახლო დაფუძნებული ყოფილა ბორცვზე, რომელსაც 4,5 ჰექტარი ფართობი უკავია და წარმოადგენს მეტად საყურადღებო მრავალფენიან არქეოლოგიურ ძეგლს. იგი ქრონოლოგიურად მოიცავს საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს: ძვ. წ. ა. II—I საუკუნეებიდან ვიდრე ახ. წ. ა. XIV—XV საუკუნეებამდე. განსაკუთრებით ძლიერი ჩანს აქ VII — XII საუკუნეების ფენა. შესაძლებელი ხდება განისაზღვროს მეურნეობის სახეები, რომელთაც წარმოშვეს პირობები უწყვეტი ცხოვრებისათვის. როგორც არქეოლოგიური მონაცემებიდან ჩანს, ტოპრაკკალას მოსახლეობის ძირითად საქმიანობას შეადგენდა: მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და ხელოსნობა. განსაკუთრებით განვითარებული ყოფილა სამეთუნეო წარმოება. ამაზე მიგვითითებს ტოპრაკკალში აღმოჩენილი თიხის ნაწარმის გამოსაწვავი სამეთუნეო ქურები. აქვე აღმოჩენილ იქმნა აგრეთვე აგურის გამოსაწვავი ქურებიც. როგორც ჩანს ტოპრაკკალა წარმოადგენდა კერამიკული წარმოების ერთ-ერთ მთავარ ცენტრს შუასაუკუნეების ჰერეთში. ალაზნის აუზის ტერიტორია, სადაც ტოპრაკკალა მდებარეობს, კერამიკული წარმოებისათვის საჭირო ნედლეულით მეტად მდიდარია, აქაური თიხა გამოირჩევა თავისი საუკეთესო თვისებებით. ტოპრაკკალას სამოსახლოს ადრეფეოდალური ხანის ფენაში გამოვლენილ იქნა აგრეთვე მინის წარმოების ხელოსნის ნაშთები. არქეოლოგიურ ძეგლთა მთელი კომპლექსის შესწავლის საფუძველზე აშკარად ირკვევა, რომ ტოპრაკკალას სახით ჩვენ საქმე გვაქვს ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქური ტიპის მსხვილ დასახლებულ პუნქტთან[404].

---

[404] Р. М. Ваидов, Предварительные итоги археологических исследований Топрагкала, Сессия, посвященная итогам археологических работ 1963 г., Тезисы докладов и сообщений, Баку, 1964 г., გვ. 19—20; Р. М. Ваидов, С. М. Казиев, Д. А. Халилов, Кавказская Албания в свете новых археологических исследований,— Материалы сессии, посвященной итогам археологических и этнографических исследований 1964 года в СССР, Тезисы докладов, изд. АН Азерб. ССР, Баку, 1965, გვ. 22; Р. М. Ваидов, Первые итоги археологических работ в Топраккале, Материальная культура Азербайджана, VI, Баку, 1965, გვ. 201—211.

§ 4. სავაჭრო გზებისა და ვაჭრობის როლი ჰერეთის ეკონომიურ განვითარებაში

ჰერეთის ეკონომიურ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდნენ ის სავაჭრო სამიმოსვლო გზები, რომელნიც მის ტერიტორიაზე გადიოდნენ. სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დაცული ცნობის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ჰერეთზე გამავალი ძირითადი სავაჭრო გზების კონტურები უკვე მოხაზულია. უძველესი დროიდანვე, ჰერეთის ტერიტორიაზე მოქმედ სავაჭრო გზებს შორის წამყვანი, მაგისტრალური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმ გზას, რომელიც ალაზნის ველს მიუყვებოდა და რომლის საშუალებითაც ჰერეთი ალბანეთს, იბერიას და კოლხეთს უკავშირდებოდა. უკვე ადრეელინისტურ ხანაში, აღნიშნული გზა ე. წ. ფასიდ—ჰირკანიის დიდი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთად არის გადაქცეული. ეს მსოფლიო მნიშვნელობის დიდი სავაჭრო-სატრანზიტო გზა კი, როგორც ცნობილია, ინდოეთიდან მოემართებოდა. სტრაბონის (თუ მისი წყაროს) ცნობით, მდ. ოქსოსი (მდ. ამუდარია) გამოსადეგია ნაოსნობისათვის. „ამ მდინარით ბევრი ინდური საქონელი შემოაქვთ ჰირკანიის (=კასპიის ზღვას) ზღვაში, ხოლო აქედან ალბანიაში გადააქვთ და შემდეგ მტკვრითა და მის მომდევნო ადგილებით ევქსინის ზღვაში (=შავ ზღვას) ჩააქვთ“[405]. რომაული ცნობითაც (ცნობა შემონახულია პლინიუსთან: VI, 17, 52), „ინდოეთიდან შეიძლება 7 დღეში ჩასვლა ბაქტრიაში მდ. ბაქტრთან, რომელიც ოქსს ერთვის, და ამ მდინარიდან კასპიის ზღვით გასვლა მდ. მტკვრამდე, და ... ინდოეთის საქონელი, დიდი-დიდი 5 დღის განმავლობაში ხმელეთის გზით, შეიძლება მიტანილ იქნას პონტოს ფაზისთან“. სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დაცული ცნობა ამ სავაჭრო გზის შესახებ დამყარებულია უფრო ძველ წყაროებზე. ამათგან ყველაზე ძველი ცნობები ეკუთვნის პატროკლეს, რომელიც ძვ. წ. ა. IV—III სს. მიჯნაზე, სელევკის, ხოლო შემდეგ კი ანტიოქ 1 დროს, კასპიის სამხრეთი მხარეების მმართველი იყო. პატროკლეს ცნობები გაიმეორეს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა მონაწილე არისტობულემ და ერატოსთენემ (275—194 წწ. ძვ. წ. ა.). ასე რომ, როგორც ვხედავთ, სტრაბონის ზემოთ მოტანილი ცნობა ადრეელინისტურ ხანას ეკუთვნის და თვით ამბის თარიღი, უე-

---

[405] ს ტ რ ა ბ ო ნ ი, XI, 7, 3.

ჭველად, ამ გზის სიძველეს მოწმობს[406]. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფასიდ—ჰირკანიის სავაჭრო მაგისტრალის იმ მონაკვეთის ტრასის დადგენას, რომელსაც ალბანეთზე და ჰერეთზე უნდა გაევლო. ამ გზის ალბანური მონაკვეთის ტრასის დადგენის ცდა მოცემული აქვს ზ. იამპოლსკის. კერძოდ, მას აღდგენილი აქვს ის სავაჭრო — დასაყრდენი პუნქტები, რომლებიც მტკვრის შესართავსა და მინგეჩაურის ფონს შორის მდებარეობდნენ. ამ შემთხვევაში, ზ. იამპოლსკი გამოდის იმ ფაქტიდან, რომ მტკვარი სანაოსნოა სწორედ მინგეჩაურის ფონამდე. პირველი სავარაუდო პუნქტი, რომელზედაც აღნიშნულ გზას უნდა გაევლო კასპიის ზღვის შემდეგ, ზ. იამპოლსკის აზრით, უნდა ყოფილიყო მტკვრის შესართავში მდებარე ერთ-ერთი დიდი კუნძული. ამ კუნძულის არსებობის შესახებ წერილობით წყაროებში (ისთახრი, იბნ—ხაუკალი და სხვ.) დაცულია ზოგადი მითითება. ზ. იამპოლსკი ყურადღებას აქცევს აგრეთვე XIX საუკუნის ცნობას (ა. ბაკიხანოვი), რომ „ბაქოსა და სალიანს შორის, ნაპირიდან დაახლოებით 50—კმ-ის დაშორებით, არსებობს წყლით დაფარული ძველი ქალაქი". თავისი მოსაზრების დამამტკიცებელ საბუთად ზ. იამპოლსკის დამატებით მოა-

---

[406] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 288—289; ს. ჯანაშია, შრომები II, გვ. 127—128; აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი მკვლევარი უარყოფს ამ სავაჭრო გზის არსებობას. ამის შესახებ იხილეთ: В. В. Бартольд, Место прикаспийских областей в истории мусульманского мира, Баку, 1925, გვ. 11—12; Я. А. Манандян, О торговле и городах Армении, Ереван, 1954, გვ. 53—57; Дж. О. Томпсон, История древней географии, Москва, 1953, გვ. 248; W. W. Tarn, The Greeks in Bactria and Jndia, 1938, გვ. 112 და შდგ. უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ იქნა მთელი რიგი შრომები, რომლებშიც სპეციალურად არის განხილული აღნიშნული სავაჭრო გზის საკითხი. ამ ნაშრომთა ავტორებმა სრული სიცხადით აჩვენეს ანტიკურ მწერალთა ცნობების სანდოობა ამ სავაჭრო გზის შესახებ და მკაფიოდ გამოაელინეს ზემოთ მოხსენებულ მკვლევართა მოსაზრებების უსაფუძვლობა: იხ. Г. К. Гозалишвили, О древнем торговом пути в Закавказье, ისტორიის ინსტიტუტის „შრომები", II, 1956, გვ. 153—160; З. И. Ямпольский; К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Куре через Грузию к Черному морю, იქვე, გვ. 161—180; ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIX, № 3, 1957, გვ. 277—284; Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 288—290; დ. ხახუტაიშვილი, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბილისი, 1966, გვ. 150—151; ს. ჯანაშია აღნიშნავდა, რომ „რომაელების ამიერკავკასიაში შემოსვლის ხანისათვის, ფაზის-კასპიის გზას შესაძლოა თავისი მიმართულება შეეცვალა, მაგრამ წინა საუკუნეებში მისი არსებობის უარყოფისათვის საფუძველი არ მოიპოვება.". (იხ. შრომები, II, გვ. 128); გ. მელიქიშვილის აზრით, ფასიდ-ჰირკანიის სავაჭრო გზის ინტენსიურ გამოყენებას ადგილი უნდა ჰქონოდა უმთავრესად გვიანანტიკურ და ადრეელინისტურ ხანაში (К истории древней Грузии, გვ. 290).

ქვს სტრაბონის ცნობაც იმის შესახებ, რომ კასპიის ზღვაში არის სამოსახლოდ გამოსადეგი კუნძულები (XI, 7, 2). ამ და რიგ სხვა ცნობათა საფუძველზე იგი ვარაუდობს, რომ მტკვრის შესართავის ზონაში, ერთ-ერთ კუნძულზე, უნდა არსებულიყო სავაჭრო დასაყრდენი პუნქტი[407]. მდინარის შესართავს ზემოთ, მტკვარზე მეორე დასაყრდენ პუნქტად მას მიაჩნია ანტიკური ქალაქი ენიანი, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი ორენყალასთან აიგივებს[408]. ზ. იამპოლსკიმ სათანადო არგუმენტაციით შეამაგრა აღნიშნული მოსაზრება და დამაჯერებლად ცხადჰყო, რომ მეორე სავაჭრო—დასაყრდენი პუნქტი იყო ენიან-იუნან-ორენყალა (არანყალა)[409]. მტკვარზე ნაოსნობის მესამე დასაყრდენი პუნქტი, ზ. იამპოლსკის აზრით, მდებარეობდა მინგეჩაურის ზონაში. როგორც იგი აღნიშნავს, აქ არის მტკვრის ბუნებრივი „კარები“ — „მინგეჩაურის ხეობა“, რომლიდანაც მტკვარი, სტოვებს რა მთისძირა რაიონს, გამოდის ვაკეზე[410]. და მართლაც, უკანასკნელ ხანებში, მინგეჩაურში ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით, აღნიშნულ ზონაში ანტიკურ ხანაშივე არსებობდა დასახლებული პუნქტები[411]. იქვე, მინგეჩაურის ახლოს, სოფელ ბეიუქდეგნისთან, გამოვლინებულ იქნა ნაქალაქარი, სადაც, როგორც ზ. იამპოლსკი აღნიშნავს, არ გვხვდება მოჭიქული კერამიკა და სადაც, ერთ-ერთ ნაგებობაში ჩატანებულ ქვაზე, აღმოჩნდა ძველი ბერძნული წარწერა. ბეიუქდეგნის ნაქალაქარი, ზ. იამპოლსკის აზრით, უნდა ყოფილიყო დასაყრდენი პუნქტი ძველ სახმელეთო გზაზე, რომელიც დიდი კავკასიონის მთისძირა რაიონებს მინგეჩაურ-ენიანის (იუნანის) სანაოსნო გზით კასპიის ზღვასთან აკავშირებდა[412]. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ზ. იამპოლსკის დადგენილი აქვს ჩვენთვის საინტერესო ფასიდ-ჰირკანიის სავაჭრო გზის ალბანური მონაკვეთის ტრასა, სახელდობრ კი, მისი ის ნაწილი, რომელიც სანაოსნოდ იყო გამოსადეგი: კუნძული მტკვრის შესართავში, ენიანი (ორენყალა), ნაქალაქარი მინგეჩაური. მინგეჩაურის (ანდა ევლახის) შემდეგ, ზ. იამპოლსკის აზ-

---

[407] З. И. Ямпольский, К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Куре через Грузию к Черному морю, გვ. 173.

[408] И. Джафарзаде, Археологические раскопки городища Орен-кала в 1951 г., Труды Института истории и философии АН Азерб. ССР, т. IV, 1964, გვ. 109—135.

[409] З. И. Ямпольский, დასახ. ნაშრ. გვ. 173—179.

[410] З. И. Ямпольский, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

[411] იხ. კრებული, Материальная культура Азербайджана, Баку, I, 1949; II, 1951; III, 1953.

[412] З. И. Ямпольский, დასახ. ნაშრ. გვ. 180.

რით, მტკვრიდან მიემართებოდა სახმელეთო გზა დასახლებულ პუნქტ შორაპნამდე, აქედან კი გზა, უშუალოდ თვით შავ ზღვამდე, კვლავ სანაოსნო ხდებოდა (მდ. რიონით)[413]. მინგეჩაურს ზემოთ გზის კონკრეტულ ტრასას ზ. იამპოლსკი აღარ იხილავს.

ფასიდ-ჰირკანიის სავაჭრო მაგისტრალის ერთ-ერთ საკმაოდ მნიშვნელოვან მონაკვეთს, როგორც ზემოთაც გვაქვს აღნიშნული, ჰერეთის ტერიტორიაზე უნდა გაევლო. ამიტომ, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მინგეჩაურს ზემოთ გზის ტრასის მიმართულების გარკვევას. ამ საქმეში დიდ დახმარებას გვიწევს იმავე სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დაცული ცნობები. სტრაბონი წერს: „ალბანიიდან (იბერიაში) შემოსასვლელი ჯერ კლდეებში არის გამოჭრილი, ხოლო შემდეგ გადადის ის ჭაობზე, რომელსაც ჰქმნის მდინარე ალაზონიოსი, გამომდინარე კავკასიონის ქედიდან“[414]. მეორე ადგილას სტრაბონი უფრო ნათლად გვეუბნება: „შესასვლელი იბერიიდან ალბანიაში არის უწყლო და ოღრო-ჩოღრო კამბიზენეზე, რომელიც მდ. ალაზონიოსთან არის“[415]. სტრაბონის ამ ცნობებიდან ნათლად ირკვევა, რომ ჩვენთვის საინტერესო გზა მინგეჩაურის შემდეგ უნდა გადასულიყო ალაზნის მიდამოებში, კამბეჩანში (ჰერეთში) და გაჰყოლოდა ალაზნის პირა ველს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სავაჭრო გზას უნდა გაევლო ალაზნის აუზში მიყოლებით არსებულ ქალაქებზე, მაშინ ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცემა განვსაზღვროთ გზის სწორი მიმართულება. აღნიშნული გზა, ჩვენი აზრით, მცხეთას უნდა მისდგომოდა. მაშასადამე, ჩვენ დაახლოებით ასეთი სურათი გვექნება: საყრდენი პუნქტი მინგეჩაური, ალაზნისპირა ველი—მცხეთა. მათ შორის კი განლაგებული უნდა ყოფილიყო ჰერეთისა და კახეთის ქალაქები. ჩვენი აზრით, მინგეჩაურსა და მცხეთას შუა ამ გზის ტრასა ძირითადად უნდა დამთხვეოდა კასტორის რუკაზე და რავენელ ანონიმთან მითითებულ სავაჭრო გზის მარშრუტს.

როგორც ცნობილია, კასტორის რუკა ანუ ე. წ. Tabula Peutingeriana (IV ს.) და რავენელი ანონიმის «კოსმოგრაფია» (VII ს.) მეტად მნიშვნელოვან მონაცემებს შეიცავენ ადრეფეოდალური ხანის (IV—VII სს.) კავკასიის ტერიტორიაზე გამავალი ძირითადი სავაჭრო გზების მიმართულებათა გარკვევისათვის, ცალკეული სავაჭრო-დასაყრდენი პუნ-

---

[413] З. И. Ямпольский, იქვე.

[414] სტრაბონი, XI, III, 5.

[415] სტრაბონი, XI, IV, 5.

ქტების ადგილმდებარეობის დადგენისათვის[416]. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გამავალი სავაჭრო გზის ის მონაკვეთი, რომელიც ზემოთ დასახელებულ ძეგლებში ე. წ. «შემოვლითი ხაზის» სახელწოდებით არის აღნიშნული. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ «შემოვლითი გზა» ჰერეთის ქვეყანაზე გადიოდა. ტოპონიმი «ჰერეთი» კასტორისა და რავენელი ანონიმის რუკებზე წარმოდგენილია Hiroae-Eroon-ის სახით, რომელიც ქართული წყაროების «ჰერეთი» უნდა იყოს. Hiroae-Eroon-ისა და ქართული წყაროების „ჰერეთის" იგივეობის შესახებ მოსაზრება ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა[417], თუმცა შემდეგდროინდელი მკვლევარნი (ს. ერემიანი და სხვ.) ამას ივიწყებენ. ჰერეთის ქვეყანაზე გამავალ «შემოვლით გზას» მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: იგი ალბანეთიდან სომხეთის გზით იბერიას მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა. მოკლედ განვიხილოთ მისი მარშრუტი[418]. იგი მოემართებოდა სამხრეთიდან, სომხეთიდან: ქ. არტაშატიდან გზის ტრასა მიჰყვებოდა თანამედროვე შარაგზას ერევანი-აქსტაფა, მდ. ზანგის გასწვრივ, სევანის ტბასთან მის შეერთებამდე. ამის შემდეგ გზა გადიოდა თანამედროვე დილიჟანის ხეობით, მერე გრძელდებოდა მდ. აქსტაფის გასწვრივ, დაახლოებით აწინდელ ქ. ყაზახამდე. ყაზახში გზა ორად იყოფოდა. ერთი შტო მიემართებოდა ჩრდილო-დასავლეთისაკენ, მდ. მტკვრით გაივლიდა რუსთავის ახლოს და მიაღწევდა თბილის-მცხეთის რაიონს. გზის ამ შტოზე, სხვათა შორის, მოთავსებული იყო სადგური Teleda, რომლის ლოკალიზაციასაც ს. ერემიანი ახდენს თანამედროვე რუსთავის რაიონში[419], და Philado, ს. ერემიანისეული კონიექტურით Tphilado, Tphilida, და მისივე განსაზღვრით გაიგივებული თბილისთან[420].

გზის მეორე შტო კი უხვევდა ქ. ყაზახის რაიონში და მიემართებოდა აღმოსავლეთისაკენ, გაივლიდა ალბანეთს — აწინდელ თოუზზე, შამ-

---

416 ამის შესახებ იხილეთ: С. Т. Еремян, Торговые пути Закавказья в эпоху сасанидов по Tabula Peutingeriana, ВДИ, 1939, № 1, გვ. 79—97; Я. А. Манандян, О торговле и городах Армении, გვ. 126—168; ნ. ლომოური, ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვეთი I, თბ., 1958, გვ. 99—118; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 441—444; დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 51—55.

417 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, თბ., 1950, გვ. 52; შდრ. С. Т. Еремян, Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов, გვ. 90; დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 51.

418 გზის მარშრუტი მოცემული გვაქვს გ. მელიქიშვილის მიხედვით, იხ. მისი ნაშრომი: К истории древний Грузии, გვ. 442—443.

419 С. Т. Еремян, დასახ. ნაშრ. გვ. 87.

420 იქვე.

ქორზე, კიროვობადზე. შემდეგ გზა გადასჭრიდა მდ. მტკვარს, უხვევდა დასავლეთისაკენ და Philado-ს (ე. ი. თბილისი—მცხეთა) რაიონში უერთდებოდა პირველ შტოს. აქ იქმნებოდა ერთგვარი შეკრული რკალი, წრე, რომლის შიგნითაც მოქცეული რჩებოდა ქვეყანა, რომელიც კასტორის რუკაზე Hiroae-ს, ხოლო რავენელი ანონიმის «კოსმოგრაფიაში» Eroon-ის სახელწოდებით არის მოხსენებული და რომლებიც, მკვლევართა სამართლიანი ვარაუდით, უნდა შეესატყვისებოდეს ქართული წყაროების «ჰერეთს».[421] განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჰერეთ-კახეთის იმ პუნქტების დადგენას, რომელზედაც «შემოვლითი გზის» ამ მონაკვეთს უნდა გაევლო. დ. მუსხელიშვილის ვარაუდით, იგი ალაზნის ველს მიუყვებოდა, იქიდან გომბორის უღელტეხილით ან თიანეთის გზით ივრის ხეობაში ეადადიოდა, გაივლიდა ქალაქ უჯარმას, ხოლო აქედან სამგორით თბილის-მცხეთისაკენ მიემართებოდა[422]. ს. ერემიანის აზრით, გზის ეს შტო მტკვარს გადასჭრიდა მინგეჩაურ-ევლახის მიდამოებში, სადაც, მისი აზრით, უნდა არსებულიყო კასტორთან და რავენელ ანონიმთან მოხსენებული სადგური Axara portum. შემდეგ გზა უახლოვდებოდა ალბანეთის ძველ დედაქალაქ კაბალას. აქედან კი გაივლიდა პუნქტ აქვილეუმზე, ზაქათალაზე და სადღაც ახლო-მახლო ალაზანს გავიდოდა, რის შემდეგაც საგარეჯოზე და უჯარმაზე გავლით მიაღწევდა თბილისს, ხოლო მერე კი მცხეთა-არმაზს[423]. ნ. ლომოურს «შემოვლითი გზის» ამ მონაკვეთის ტრასა შემდეგი სახით აქვს წარმოდგენილი: გზის ამ შტოს მტკვარი უნდა გადაეჭრა აწინდელ სამუხთან და შემდეგ დაახლოებით დამთხვეოდა გზას მირზაანი-სიღნაღი-სართიჭალა-თბილისი. წარმოდგენილი მარშრუტის უპირატესობა, ნ. ლომოურის აზრით, მაგრდება ორი ფაქტორით: ჯერ ერთი, გზას, რომელსაც ს. ერემიანი ვარაუდობს, უნდა გადაეჭრა ალაზნის მარცხენა შენაკადების დიდი რაოდენობა, რასაც იმ ხანაში უნდა არიდებოდნენ; მეორე მხრივ, მის მიერ წარმოდგენილი მარშრუტი კარგად ეთანხმება სტრაბონის ცნობას, რომ ალბანეთიდან იბერიაში მომავალ გზას უნდა გაევლო უწყლო და ოღრო-ჩოღრო კამბიზენეზე (კამბეჩან--შირაქზე).[424] უნდა შევნიშნოთ, რომ ჰერეთის ქვეყანაზე გამავალი «შემოვლითი გზის» ტრასის გარკვევისას ს. ერემიანი და ნ. ლომოური არ ამოდიან სწორი წინამძღვრებიდან. გზის ტრასის დადგენისას, ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა გათვალისწინებულ იქნას ჰერეთის ძველი ქალაქებისა და ეკონომიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სამოსახლო

---

421 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, გვ. 52; С. Т. Е р е м я н, დასახ. ნაშრ. გვ. 86, 90; დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 51.

422 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, უჯარმა, გვ. 55.

423 С. Т. Е р е м я н, დასახ. ნაშრ. გვ. 88—89.

424 ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, გვ. 115.

პუნქტების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. სავაჭრო გზების არსებობა ხომ, უპირველეს ყოვლისა, ქალაქების საკითხთან არის დაკავშირებული. სავაჭრო გზები ფორმდებოდნენ ქალაქთა წარმოქმნის პარალელურად და ქალაქების სამეურნეო-ეკონომიური აღმავლობისათვის ერთ-ერთ მთავარ პირობას ქმნიდნენ. ერთი სიტყვით, ეკონომიურად წელღონიერი რაიონებისა და მათი ქალაქების გეოგრაფიული განლაგებით იყო განსაზღვრული სავაჭრო გზების გეოგრაფია[425]. თუ ამ, ჩვენი აზრით, ჭეშმარიტი დებულებიდან ამოვალთ, მაშინ ჩვენ დავადგებით ძიების სწორ გზას და შესაძლებლობა მოგვეცემა მოვხაზოთ ჰერეთზე გამავალი «შემოვლითი გზის» ტრასის მიმართულება. ჩვენი აზრით, მინგეჩაურსა და მცხეთას შორის აღნიშნულ გზას უნდა გაეევლო ჰერეთის ქალაქებისა და მნიშვნელოვანი ეკონომიური პუნქტების ხაზზე. ამ ხაზის სავარაუდო მიმართულება კი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: მინგეჩაური, ხორანთა, ხორნაბუჯი, ძველ ანაგა, ხირსა, ლაგოდეხი, ნეკრესი[426]. ნეკრესიდან გზა მდ. ყვარლის-წყლის ხეობას უნდა გაჰყოლოდა, რომელიც ალაზანს უერთდებოდა. გადასჭრიდა რა ამ რაიონში ალაზანს, ამის შემდეგ გზა აწინდელ თელავზე გავლით გომბორის უღელტეხილზე უნდა გადასულიყო, აქედან კი გაივლიდა ქალაქ უჯარმას და მიაღწევდა თბილისს-მცხეთას.

ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ სავაჭრო გზას, რომელიც ჰერეთის ტერიტორიაზე გადიოდა, წამყვანი, მაგისტრალური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ გზით ჰერეთის ქვეყანა დაკავშირებული იყო ძირითად საერთაშორისო სავაჭრო გზებთან, რომლებიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიემართებოდნენ. მაგრამ ჰერეთის გზები მარტო ზემოთ მითითებულით არ ამოიწურება. „შემოვლითი გზის“ ამ მონაკვეთს უერთდებოდა გზების მთელი წყება, რომლებიც ჰერეთის რაიონებს ერთმანეთთან ან მთლიან ჰერეთს მეზობელ ქვეყნებთან აკავშირებდა. ამათგან პირველ რიგში, აღსანიშნავია ქართულ წყაროებში (ჯუანშერი) მოხსენებული „გზა რანისა“[427], რომელიც ჰერეთს ისტორიული ალბანე-

---

[425] დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, გვ. 37—46.

[426] როგორც აღვნიშნეთ, სავაჭრო გზის ეს მონაკვეთი უნდა გაფორმებულიყო ჰერეთის ეკონომიურად დაწინაურებული რაიონების სამეურნეო განვითარების მოთხოვნილებათა საფუძველზე. სწორედ ამ მოსაზრებით ეხელმძღვანელობდით, როდესაც ჰერეთზე გამავალი „შემოვლითი გზის“ საავარაუდო ტრასაში შევიტანეთ პუნქტები: ხორანთა, ხორნაბუჯი, ძველ ანაგა, ხირსა, ლაგოდეხი და ნეკრესი. თითოეული ამ პუნქტის, როგორც მნიშვნელოვანი სამეურნეო-ეკონომიური ცენტრის, დახასიათებას აქ აღარ ვიძლევით, რადგან ამის შესახებ ვრცლად გვაქვს საუბარი ჩვენი ნაშრომის სათანადო ადგილას (იხ. ზემოთ), სადაც წერილობით წყაროებში დაცული ცნობების გარდა, მოტანილი გვაქვს აგრეთვე ნივთიერი კულტურის ძეგლთა მონაცემებიც (არქეოლოგიური მასალა, მონუმენტური ძეგლები).

[427] ქ ც ბ ა, I, გვ. 187, 231.

თის მნიშვნელოვან ეკონომიურ ცენტრებთან, კერძოდ კი, ბარდავთან, აკავშირებდა. ვფიქრობთ, სწორედ ამ რანის გზით უნდა შემოჭრილიყო ჰერეთში, ვახტანგ გორგასალის დროს, ხოსრო, რომელიც ერთმანეთზე მიყოლებით იღებს ჰერეთის ქალაქებს და მნიშვნელოვან გეოგრაფიულ პუნქტებს. ჯუანშერის გადმოცემით, ხუასრო მეფემ ჯერ „შემუსრნა ქალაქნი კამბეჩისანი და ჭერმის ციხე და ველის ციხე“, ხოლო შემდეგ „მოიწია კახეთად, დაიბანაკეს ირონსა ზედა“[428]. „ქალაქნი კამბეჩისანი“ უნდა გულისხმობდეს ხორანთასა და ხორნაბუჯს. რანის გზასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო ჩვენებებს გვაძლევს „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ლეონტი მროველისეული რედაქციაც. ჟალეთიდან ნინო „წარემართა წარსვლად რანს“, მირიან მეფის სიძის, რანის ერისთავის, ფეროზის, მოსაქცევად. და იმისათვის, რომ რანში მოხვედრილიყო, ნინო ჟალეთიდან კურსს იღებს ბოდბისაკენ. სამწუხაროდ, გზის მთელი მარშრუტი არ ჩანს, რადგან ბოდბეში ნინო სნეულდება[429]. მაინცდამაინც, ჩვენთვის აქ განსაკუთრებით ის არის საყურადღებო, რომ გზა რანისაკენ ბოდბეზე გადიოდა. რანის ერისთავების რეზიდენციას, როგორც ცნობილია, ბარდავი წარმოადგენდა[430]. ასე, რომ ბოდბიდან გზა ბარდავისაკენ მიემართებოდა. ამ გზის ტრასას, ჩვენი აზრით, ბოდბიდან უნდა გაევლო ხირსა — ძველ ანაგა—ხორნაბუჯ-ხორანთაზე. ამის შემდეგ მინგეჩაურ-ევლახის ზონაში გადაეკვეთა მტკვარი. და ასე მიეღწია ბარდავამდის. მოსე კალანკატუელის თხზულებიდანაც კარგად ჩანს, რომ რანის გზა ჰერეთზე იდო და ამ გზით ჰერეთი უშუალოდ ბარდავს უკავშირდებოდა. როგორც ირკვევა, სწორედ ამ გზით გამგზავრებულან ბარდავიდან VII საუკუნეში (684 წ.) ალბანეთის მთავრის ეარაზ-თრდატის ელჩები ხაზართა ხაკან ალპ-ილიტვერთან, რომლის რეზიდენციაც ქ. ვარაჩანში იყო. მოსე კალანკატუელის ცნობების ანალიზის საფუძველზე ს. ერემიანს დადგენილი აქვს ამ ელჩობის სავარაუდო მარშრუტი: პეროზ-აპატი (=ბარდავს)—ევლახ-მინგეჩაური—ნუხა—კახი. აქ, ელჩები ალაზანზე გადასულან და გზა ასეთი მიმართულებით გაუგრძელებიათ: ბოდბე—სიღნაღი—თელავი—ალაევერდი—ნაფარეული —ყადორის უღელტეხილი—ანდიის ყოიტუს კანიონი-ბუინაკსკი. აქედან კი ელჩები პირდაპირ ქ. ვარაჩანში ჩასულან. ელჩების მიერ ასეთი გრძელი მარშრუტის არჩევა გამოწვეული ყოფილა იმით, რომ ხაზარეთისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა, და-

---

[428] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 291; ქცბა, I, გვ. 201.

[429] ქცბა, I, გვ. 126.

[430] ჯუანშერი, ქცბა, I, გვ. 217.

რუბანდზე გავლით, ამ დროისათვის არაბების ხელში ყოფილა[431]. ჩვენ შეიძლება არ დავეთანხმოთ ს. ერემიანს ზოგიერთი იმ პუნქტის აღდგენის საკითხში, რომელზედაც ვარაზ-თრდატის ელჩებს უნდა გაევლოთ; აქ ბევრი რამ სადავოა; მაგრამ, ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ ს. ერემიანის ვარაუდითაც, ბარდავიდან (ე. ი. რანიდან) ერთ-ერთი გზა სწორედ ჰერეთისაკენ მოემართებოდა და იგი ბოდბეზე გაივლიდა.

ჰერეთის გზებს შორის აღსანიშნავია ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ქ. ნუხპატზე გამავალი ე. წ. „ბელაქნის გზა“, რომელიც ჟამთააღმწერელის ცნობით, ჰერეთს ხუნძეთთან აკავშირებდა[432]. ჰერეთ-დაღისტნის დამაკავშირებელ გზათა შორის უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე ის გზა, რომელსაც ჰერეთის სინამდვილეში „ჭარის გზა“ უნდა რქმეოდა. ვახუშტის გადმოცემით, ჭარი დაერქვა ძველად ფიფინეთის სახელწოდებით ცნობილ ხეობას[433]. ალაზნის ველიდან ეს გზა ფიფინეთის resp. ჭარის-წყლის ხეობით პირდაპირ დაღისტნისაკენ მიემართებოდა. მეტად დამახასიათებელია, რომ თვით სიტყვა „ჭარი“ ლეკურად ნიშნავს კარს (ჭარი—ჩორი; გამოითქმება ჭარად, ჩარად). რაც შეეხება ვახუშტის ცნობაში მოხსენებულ „ფიფინეთს“, მისი სახელწოდება დღეს შერჩენილი აქვს ერთ-ერთ სახნავ-სათეს მინდორს, რომელსაც ლეკები „ფიფანს“ უწოდებენ და მდებარეობს მდინარე თალა-ჩაი-ს მარცხენა ნაპირას, სოფელ თალას მახლობლად[434]. ფიფინეთის-წყლის ხეობაზე გამავალი ეს გზა, რომლითაც ჰერეთი ლეკურ-დაღისტნურ ტომებს უკავშირდებოდა, ჩვენი აზრით, უნდა იყოს „მატიანე ქართლისაჲ“-ში მოხსენებული „გზა ლეკეთისა“. სწორედ ამ „ლეკეთის გზით“ შემოიჭრა ჰერეთში, VIII საუკუნეში (764 წ.), ხაზართა ხაკანის სპასალარი ბლუჩანი[435]. არაბი ავტორის ცნობით, ჰერეთზე, კერძოდ შაქზე, გადიოდა მეტად მნიშვნელოვანი გზა დარუბანდისაკენ[436]. ეს კარგად დასტურდება აგრეთვე იაკობ ცურტაველის თხზულებიდანაც. როდესაც ვარსქენი საპიტიახშოდან „ჩორდ (=დარუბანდს) წარემართა“, მას

---

431 С. Т. Еремян, Моисей Каланкатуйский о посольстве албанского князя Вараз-Трдата к хазарскому хакану Ал-Илитверу, Записки Института Востоковедения АН СССР, том. VII, 1939, გვ. 139, 150; М. Каланкатваци, кн. II, гл. XXXIX, გვ. 190—192.

432 ქცბა, II, გვ. 252.

433 ვახუშტი, „აღწერა“, გვ. 96.

434 თ. პაპუაშვილი, ჭარ-ბელაქანი (ეკ-ენისელი) XIX საუკუნის პირველ მესამედში, ხელნაწერი, თბ., 1953, გვ. 37.

435 ქცბა, I, გვ. 249.

436 Ал-Мукаддасий, СМОМПК, вып. 38, გვ. 17—18.

უკან დაედევნა მისი ძმა ჯოჯიკი და სწორედ „საზღვართა ჰერეთისათა მიეწია მას“[437].

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმ გზებსაც, რომლებიც ჰერეთის სხვადასხვა რაიონებს ერთმანეთთან აკავშირებდა. ასეთი რიგის გზებს შორის აღსანიშნავია, მაგალითად, წუქეთისაკენ მიმავალი გზა. იგი ალაზნის ველიდან იწყებოდა, მიუყვებოდა მდ. ქურმუხის ხეობას და კახ-ელისუ-სარუბაშის გზით წახურის ხეობაში გადადიოდა. ჰერეთის ბარისა და მთის ერთმანეთთან დაკავშირება ამ გზაზედაც დიდად იყო დამოკიდებული. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ გზის ჩამოყალიბება და გაფორმება მიმდინარეობდა მთისა და ბარის ურთიერთობის ნიშნით. ამ გზის მეშვეობით განხორციელებული კავშირი მარტო წმინდა ეკონომიური ურთიერთობით არ განისაზღვრებოდა, არამედ ის პოლიტიკურ ხასიათსაც ატარებდა. ჰერეთის მეფისათვის ამ გზას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა წუქეთის მთავრისადმი კონტროლის გაწევის საქმეში. გვიანდელი ხანის (XVII ს.) ცნობით, სწორედ ამ გზით შეიჭრა სარუბაშში კახთა მეფე თეიმურაზ I, მოღალატე წახეთის (=წუქეთის) სულთნის დასასჯელად[438].

ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ჰერეთში არსებული ქალაქების მეურნეობა და სავაჭრო გზების ფართო ქსელი, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია ვაჭრობის გარეშე. წერილობითი წყაროები ჩვენთვის საინტერესო ხანაში ჰერეთის სავაჭრო კავშირებზე თითქმის არაფერს გვამცნობენ, ამდენად ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალით. არქეოლოგიური მასალაც, სამწუხაროდ, მეტად მცირე მოგვეპოვება ჰერეთის ტერიტორიიდან. ეს აიხსნება იმით, რომ სისტემატური არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჰერეთის ტერიტორიაზე ჯერჯერობით არ მიმდინარეობს. 1938—1939 წწ. ქიზიყის არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები ფაქტიურად საფუძველს გვაძლევს ვილაპარაკოთ ანტიკური ხანის მიწურულისა და ადრეფეოდალური ხანის დასაწყისის კამბეჩანის საგარეო ვაჭრობაზე, უფრო

---

[437] შარტვილობა შუშანიკისი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 22.

[438] ა რ ჩ ი ლ ი ა ნ ი, ტ. 2, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს და ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედ. თბ., 1937 გვ. 82—83; აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თ. ბოცვაძე წუქეთზე გამავალ ამ გზას აიგივებს ქართულ წყაროებში მოხსენებულ „ბელაქნის გზასთან“ (იხ. თ. ბ ო ც ვ ა ძ ე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1968, გვ. 116). ჩვენი აზრით, ასეთი გაიგივებისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. როგორც ჩვენ გამორკვეული გვაქვს, „ბელაქნის გზა“ გადიოდა ქ. ნუხპატზე, მიუყვებოდა მდ. ბელაქნის — წყლის ხეობას და ჰერეთს ხუნძეთთან აკავშირებდა (იხ. ზემოთ). წუქეთზე გამავალი გზის ტრასას კი, როგორც დავინახეთ, სულ სხვა მიმართულება ჰქონდა. იგი ჰერეთს წახურთან აკავშირებდა.

ზუსტად, მის მიწა-წყალზე მდებარე ქალაქ ხორნაბუჯის სასანურ ირანთან ვაჭრობაზე. უცხოური ნაწარმიდან, რომელიც სავაჭრო გზით შეშოსულად შეიძლება ჩავთვალოთ, ყურადღებას იპყრობს ყოლოთოს № 10 სამარხში აღმოჩენილი ორი პატარა მოჭიქული ორყურა ჭურჭელი. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამგვარად მოჭიქული ჭურჭლები და ასეთივე ფორმისა გავრცელებულია მხოლოდ აღმოსავლეთში პართულ და სასანურ ხანაში[439]. აღსანიშნავია აგრეთვე ყოლოთოს სამაროვანზე (სამარხი № 10 და № 24) მოპოვებული იმპორტული მინის ჭურჭელი (თასები, ფიალები), რომლებზედაც, ფორმისა და შემკულობის (ფაცეტებიანი და ხორკლიანი) მიხედვით, შეიძლება, მეტ-ნაკლები სიზუსტით ითქვას, რომ ისინი სასანური ირანის სახელოსნოთა ნაწარმია[440]. აღნიშნული ნივთები III—IV სს. თარიღდება[441] და უნდა მიგვითითებდეს კამბეჩან-ირანის სავაჭრო ურთიერთობებზე.

V—VI სს., როგორც ეს ქიზიყის არქეოლოგიური ექსპედიციის მასალებიდან ჩანს, სასანურ ირანთან სავაჭრო ურთიერთობის დამადასტურებელი ნივთები უფრო მრავლად გვხვდება. ასეთებია მაგალითად, ყოლოთოს სამაროვანის № 26 სამარხში აღმოჩენილი ორი გემმიანი ბეჭედი. ამათგან ერთ-ერთი საბეჭდავი მთის ბროლისაა, კარგად გაპრიალებული, ოვალური, ბრტყელი ნასვრეტით ზონარისათვის. ოვალი ცალ მხარეს წაკვეთილია და ელიფსურ ზედაპირზე ამოჭრილია მორიელის გამოსახულება. მორიელი სქემატურად, ე. წ. შტრიხული მანერით არის გადმოცემული. მორიელის გამოსახულება ძლიერ გავრცელებული სიუჟეტია სასანური ხანის გემმებზე. საბეჭდავი ფორმის, სიუჟეტისა და შესრულების მიხედვით V—VI სს. უნდა მიეკუთვნოს[442].

ამავე სამარხის მეორე ბეჭედი ბრინჯაოსია, ოვალური ფარაკითა და მრგვალგანივკვეთიანი ვიწრო რკალით. ფარაკზე ამოჭრილია ნახევარმთვარეები და პატარა წრეები. ამ გამოსახულებას, მ. სინაურიძის აზრით, კავშირი უნდა ჰქონდეს სასანელ მეფეთა და დიდებულთა ღერბთან. მსგავსი გამოსახულება ხშირად გვხვდება აგრეთვე სასანური ხანის სხვა სამკაულებზედაც. ყოლოთოს ამ ფარაკიანი ბეჭდის თარიღად მიჩნეულია V—VI სს[443].

ძველ ანაგის აკლდამაში (VI—VII სს) აღმოჩენილია ოქროს სარტყლის ბალთები, რომლებიც მხატვრული და სტილისტური თვალ-

---

439 მ. სინაურიძე, გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის სამარხები ყოლოთოდან, გვ. 114, 124.

440 მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 115, 119, 124.

441 მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

442 მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 120.

443 მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 120—121.

საზრისით, მ. სინაურიძის დასკვნით, შეიძლება სასანური ხელოვნებისა და კულტურის წრეს მივაკუთვნოთ[444].

ამრიგად, ზემოთ მოტანილი არქეოლოგიური მონაცემები, ჩვენი აზრით, უნდა მოწმობდეს იმას, რომ გვიანანტიკური ხანის მიწურულს და ადრეფეოდალური ხანის დასაწყისში, კამბეჩანი თავისი საგარეო ვაჭრობით ძირითადად სასანური იმპერიის პროვინციებთან იყო დაკავშირებული. უნდა ვიფიქროთ, რომ სასანური ირანიდან ექსპორტირებული საქონლის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც კამბეჩანის ტერიტორიაზე გაივლიდა, ადგილობრივ ქალაქებში რჩებოდა (ყოლოთო და ბველი ანაგა ხომ ქ. ხორნაბუჯის მიდამოებში მდებარეობენ და შესაძლებელია ისინი, იმ ხანაში, ქალაქის ტერიტორიალური ფარგლების შიგნით იყვნენ მოქცეულნი), სადაც, ამ ხანის კამბეჩანის საზოგადოების შეძლებული ფენების სახით, იგი შესაფერ, მსყიდველობის უნარის მქონე მომხმარებელს ნახულობდა.

ჰერეთის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის შესწავლისათვის საკმაოდ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ნუმიზმატიკური მასალა. ეს მასალა განსაკუთრებით საინტერესოა იმის გამო, რომ გარდა კამბეჩანისა, იგი მოპოვებულია აგრეთვე ჰერეთის ქვეყნის სხვა რაიონების მიწის წიაღში და ამდენად ერთგვარად ავსებს არქეოლოგიურ მასალაში სადღეისოდ არსებულ ზემოაღნიშნულ ხარვეზს.

არსებული ნუმიზმატიკური მასალა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, თუ სახელდობრ რომელ უცხო ქვეყნებთან ჰქონდა ჰერეთს უფრო მყარი და გაცხოველებული სავაჭრო კავშირები.

ახ. წ. პირველ საუკუნეებში, საგარეო ეკონომიური ურთიერთობის ხაზით, ჰერეთს გარკვეული კავშირი ჰქონია პართულ ირანთან. ამ მხრივ, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა გოტარზეს პართელის (40—51 წწ.) ვერცხლის არშაკიდული დრაქმების აღმოჩენა ჰერეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, გრემის მონასტრის მახლობლად, 1938 წ. სხვა მონეტებთან ერთად, იპოვეს ერთი ვერცხლის არშაკიდული დრაქმა გოტარზესი[445], ხოლო ყოლოთოში 1938—1939 წწ. წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს, სამარხეულ ინვენტარში აღმოჩნდა ორი ვერცხლის არშაკიდული დრაქმა, რომელიც იმავე გოტარზეს სახელს მიეკუთვნება[446]. როგორც ცნობილია, გოტარზეს მონეტა საკმაოდ ხანგრძლივად იმყოფებოდა ბრუნვაში, იგი თითქმის IV საუკუნემდე

---

[444] მ. სინაურიძე, ქიზიყის 1938—1939 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები, გვ. 67.

[445] Е. А. Пахомов, Молетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. IV, Баку, 1949, № 1029, გვ. 15.

[446] Е. А. Пахомов, вып. IV, № 1030, გვ. 15.

აღწევს;[447] და, მართლაც, გოტარზეს დრაქმების აღმოჩენის ფაქტი ჰერეთის ტერიტორიაზე დადასტურებული გვაქვს უფრო გვიანდელ (IV ს.) ინვენტართან ერთად, მაგრამ თვით მათი შემონახვის ფაქტი მაინც-დამაინც ჰერეთის მიწა-წყალზე, ჩვენი აზრით, იქნებ იმაზედაც მიგვითითებდეს, რომ აღნიშნული მონეტების მოჭრის დროსაც (ე. ი. ახ. წ. 40—51 წწ.) ჰერეთის ქვეყანა სავაჭრო ურთიერთობაში იყო ჩაბმული პართულ ირანთან.

რომაული მონეტის პოვნის მხოლოდ ერთი შემთხვევა გვაქვს საღღეისოდ დადასტურებული ჰერეთის ტერიტორიაზე. ეს არის, 1900-იან წლებში ლაგოდეხში ნაპოვნი, ანტიოქიაში მოჭრილი კეისარ დიოკლეტიანეს (284—305 წწ.) სპილენძის მონეტა (ფოლისი)[448]. როგორც ჩანს, ჰერეთის სავაჭრო ურთიერთობა რომთან სუსტად უნდა ყოფილიყო განვითარებული. თუ მაგალითად, დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში) რომის ეკონომიური გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ იქ თითქმის ვერ ვხვდებით პართულ მონეტებს, ჰერეთი იმ ქვეყნად წარმოგვიდგება, სადაც საგარეო ვაჭრობაში უპირატესი და წამყვანი როლი პართიას ეკუთვნოდა. ალბათ, ამით უნდა აიხსნებოდეს, ჩვენი აზრით, ჰერეთის სამონეტო მიმოქცევის შემადგენლობაში მხოლოდ ამ ერთი რომაული მონეტის დადასტურების ფაქტი.

III საუკუნის II ნახევრიდან ჰერეთში ახალი სამონეტო სახეობა ჩნდება. ესაა სასანური ვერცხლის დრაქმა, რომელიც, ამიერიდან ვიდრე VII საუკუნის დასაწყისამდე, მტკიცედ იკიდებს ფეხს ჰერეთის ეკონომიურ ცხოვრებაში. ყველაზე ადრეული სასანური ვერცხლის მონეტა, რომელიც ჰერეთის მიწის წიაღში ნაპოვნი, შაბურ I (241 — 272 წწ.) ეკუთვნის. იგი აღმოჩნდა ყოლითოს № 10 სამარხში[449]. V—VI საუკუნეებში სასანური მონეტები ჰერეთში უფრო მრავლდება. ეს გარემოება კარგად ეთანხმება ზემოთ მოტანილ არქეოლოგიური მასალის მონაცემებს და წერილობით წყაროებში დაცულ ცნობებს ჰერეთში სასანური ირანის პოლიტიკური გავლენის გაძლიერების შესახებ, რასაც, ჩვენი აზრით, უნდა გამოეწვია სავაჭრო ურთიერთობის კიდევ უფრო გამოცოცხლება ირანსა და ჰერეთს შორის. აღნიშნული ხანის

---

[447] ღ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 33—34.

[448] А. Н. З о г р а ф, Распространение находок античных монет на Кавказе, Труды отдела нумизматики Гос. Эрмитажа, т. I, Ленинград, 1945, № 209, გვ. 84—85; Е. А. Пахомов, вып. V, Баку, 1949, № 1427, გვ. 28.

[449] მ. ს ი ნ ა უ რ ი ძ ე, გვიანანტიკური ხანის სამარხები ყოლითოდან, გვ. 117; ე. პახომოვის განსაზღვრით, ეს მონეტა შაბურ II ეკუთვნის. იხ. Е. А. Пахомов, вып. IV, № 1058, გვ. 24. საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკურ განყოფილებაში მონეტის დეტალების შემოწმებისას კი დადგინდა, რომ იგი შაბურ I ეკუთვნის.

სასანური მონეტების აღმოჩენის შემთხვევები დადასტურებული გვაქვს ჰერეთის შემდეგ პუნქტებში: ლაგოდეხის რაიონის სოფ. ბაისუბანში 1939 წ. აღმოჩენილი იყო მთელი გახძი სასანური ვერცხლის დრაქმებისა, რომელიც მპოვხელებს იქვე დაუტაცნიათ, გადარჩენილია მხოლოდ ორი მონეტა—კავად სასანელისა (488—532) და ურმიზდ IV(579—590);[450] თელავის რაიონის ცულიყლაპია ჭყონის ტყეში 1900 წ. ნაპოვნ განძში, სხვა მონეტებთან ერთად, სასანური ვერცხლის მონეტებიც ყოფილა[451]. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება სასანური მონეტები გვიანდელი ხანის (VIII—IX სს.) შერეული ხასიათის (სასანურ-არაბული) განძებში. ამ მხრივ აღსანიშნავია ჰერეთში მოპოვებული შემდეგი განძები: ყვარელის რაიონის სოფ. ჭიკაანისა, რომელშიც აღმოჩნდა ხოსრო II (590—628) სახელზე მოჭრილი ვერცხლის სასანური მონეტა (დაახ. 591 წლისა)[452]; თელავის რაიონის სოფ. ფშაველისა, 12 სასანური მონეტა, მათ შორის ხოსრო II (590—628)[453]; ლაგოდეხის რაიონის სოფ. კავშირისა, I სასანური მონეტა ხოსრო II (590—628)[454]; სოფ. ლელიანისა (ლაგოდეხის რაიონი), I სასანური დრაქმა ხოსრო II (590—628)[455]; სოფ. ათენისა (ლაგოდეხის რაიონი), 16 სასანური დრაქმა ურმიზდ IV (579—590) და ხოსრო II (590—628)[456]. როგორც ვხედავთ, III—VII საუკუნეების ჰერეთის საგარეო ვაჭრობაში სასანურ ვერცხლის მონეტას გაბატონებული მდგომარეობა მოუპოვებია. აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ აღნიშნულ ხანაში ჰერეთს გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა უმთავრესად სასანური ირანის პროვინციებთან აქვს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ჰერეთის დასავლეთი, იბერიის მომიჯნავე რაიონების ნუმიზმატიკური მასალის თავისებურება. ჰერეთის აღმოსავლეთი რაიონებისაგან განსხვავებით, აქაური სამონეტო მიმოქცევის შემადგენლობა გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება. აქ, სასანური ვერცხლის დრაქმების გვერდით, ადგილი ჰქონდა ბიზანტიური მონეტების პარალელურ მიმოქცევას. ასე მაგალითად: 1943 წელს თელავში (თელავის რაიონი) ვარდისუბნის ქუჩა № 11, საკარმიდამო ნაკვეთზე ბოსტნის დამუშავების დროს, ნაპოვნი იყო თეოდოს II

---

450 Е. А. Пахомов, вып. IV, № 1061, გვ. 24—25.
451 Е. А. Пахомов, вып. I, № 81, გვ. 46.
452 А. Е. Пахомов, вып. VIII, Баку, 1959, გვ. 74—75.
453 Е. А. Пахомов, вып. III, Баку, 1940, № 822, გვ. 37.
454 Е. А. Пахомов, вып. II, Баку, 1938, № 393, გვ. 24.
455 Е. А. Пахомов, вып. II, № 395, გვ. 24.
456 Е. А. Пахомов, вып. II, № 396, გვ. 25.

(408—450) ოქროს მონეტა, სოლიდი, 443/4 წელს მოჭრილი[457]; დაახლოებით 1950 წელს წინანდალში (თელავის რაიონი) ბარვის დროს ნაპოვნია იმავე ბიზანტიის კეისარ თეოდოს II (408—450) ოქროს მონეტა, სოლიდი[458]; 1948 წელს გურჯაანის (გურჯაანის რ-ნი) მიდამოებში მიწის ბარვის დროს აღმოჩნდა კონსტანტინე II (641—668) ოქროს მონეტა—სოლიდი[459]. ზემოთ მოტანილი მცირე ნუმიზმატიკური მასალა საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ, რომ V—VII საუკუნეებში ჰერეთსა და ბიზანტიას შორის უდავოდ არსებობს გარკვეული ეკონომიური ურთიერთობა, მაგრამ იგი საკმაოდ სუსტად ჩანს გამოხატული.

VII საუკუნის II ნახევარში, ამიერკავკასიაში არაბთა მფლობელობის დასაწყის ხანაში, ჰერეთის სამონეტო მიმოქცევის შემადგენლობაში, როგორც ამას ჩვენს განკარგულებაში არსებული ნუმიზმატიკური მასალა მოწმობს, არსებითი ცვლილებები არ შეიმჩნევა. სავსებით გარკვეულად შეიძლება აღინიშნოს, რომ წმინდა მუსლიმანური ტიპის ხალიფური მონეტების შემოღებამდე, საქონლის გაცვლა-გამოცვლას ჰერეთში კვლავინდებურად მომსახურებას უწევდა სასანური ვერცხლის მონეტა[460]. ცნობილია, რომ არაბებმა დაპყრობილ ქვეყნებში თავდაპირველად უცვლელად დატოვეს ადრე არსებული სამონეტო სისტემა. კერძოდ, VII საუკუნის დამლევამდე სახალიფოს დასავლეთ ნაწილში ფულის ტრიალში იყო ბიზანტიური მონეტა ჯვრის გამოსახულებით, ხოლო სახალიფოს აღმოსავლეთ ნაწილში სასანური მონეტა საგზებლის გამოსახულებით[461]. მდგომარეობა იცვლება VII საუკუნის დასასრულსა და VIII საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც, ომაელთა ხალიფა აბდ ალ-მალიქის (685—705) მიერ განხორციელებული ფულის რეფორმის შედეგად, ხალიფატში შემოღებულ იქნა ერთიანი სამონეტო სისტემა. ამიერიდან არაბთა სახალიფოს მრავალრიცხოვანი ცენტრალური და პროვინციული ზარაფხანები იწყებენ საკუთრივ არაბული, მუსლიმანური სახის მონეტების მოჭრას[462]. სწო-

---

457 Е. А. Пахомов, вып. V, Баку, 1949, № 1436.

458 თ. აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1966, გვ. 121, № 7.

459 თ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 127, № 76.

460 ეს კარგად ჩანს ჰერეთის მიწის წიაღში აღმოჩენილი განძებიდან (ფშაველის, კავშირის, ლელიანის, აფენის), იხ. Е. А. Пахомов, вып. II, №№ 393, 395, 396; вып. III, № 822.

461 ვ. გაბაშვილი, არაბთა სახალიფო VII—VIII საუკუნეებში, იხ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, ვ. ნ. გაბაშვილის რედაქციით, თბილისი, 1957, გვ. 60.

462 დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 38.

რედ ამავე ხანიდან ჰერეთის ეკონომიურ ცხოვრებაში ადგილი აქვს ახალი სავაჭრო კავშირების დამყარებას და ნათლად ჩანს, რომ ჰერეთი აქტიურად არის ჩაბმული არაბთა სახალიფოს შინაგანი ვაჭრობის არეალში.

როგორც ცნობილია, არაბთა სახალიფოს ზარაფხანები ჭრიდნენ ბოლოდ დინარებს, დირჰემებს და ფელსებს. არაბული ოქროსა და ვერცხლის მონეტები—დინარები და დირჰემები—საერთაშორისო ვალუტას წარმოადგენდნენ და დიდი რაოდენობით გადიოდნენ საზღვარგარეთ. ეს განსაკუთრებით ვერცხლის დირჰემებზე ითქმის, რომლის დიდი მასაც აღარ უბრუნდებოდა სახალიფოს და საუკუნეების მანძილზე მიმოქცევას განაგრძობდა უცხო ქვეყნებში. რაც შეეხება ბილონურ მონეტებს—ფელსებს, მათ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდათ, ისინი იშვიათად თუ სცილდებოდნენ მოჭრის ადგილს ან ოლქს[463]. VIII—IX საუკუნეების ჰერეთის სამონეტო მიმოქცევის შემადგენლობაში ოქროს დინარი ძალზე იშვიათად გვხვდება. ჯერჯერობით მისი აღმოჩენის მხოლოდ ერთი შემთხვევა გვაქვს დადასტურებული ჰერეთის ტერიტორიაზე: ლაგოდეხის რაიონის სოფ. კალინოვკაში (1945 წ.). აქ მოპოვებული ოქროს დინარი მოჭრილია 706/07 წწ. და ეკუთვნის ომაელთა ხალიფას[464]. ძირითად სამონეტო ერთეულს აღნიშნული ხანის ჰერეთში წარმოადგენდა არაბული ვერცხლის მონეტა—დირჰემი, რომელიც უმთავრესად მოჭრილი იყო ომაელთა და აბასელთა დინასტიების წარმომადგენელთა მიერ.

VIII—IX საუკუნეების ჰერეთის ქვეყნის სავაჭრო კავშირების ძირითად მიმართულებათა დადგენისას, ჩვენს წინაშე შემდეგი საკითხი წამოიჭრება: არაბთა სახალიფოს რომელი ქალაქიდან თუ ოლქიდან შემოჰქონდა ვაჭრობას ჰერეთში ზემოთ მოხსენებული არაბული ვერცხლის მონეტა—დირჰემი. ჩვენი აზრით, აუცილებლად საჭიროა თვალი მივადევნოთ ჰერეთის ეკონომიური ცხოვრების ამ მეტად მნიშვნელოვან პროცესს. ამ საკითხის სწორად გადაწყვეტაში დიდ დახმარებას გვიწევს ჰერეთის მიწის წიაღში აღმოჩენილი VIII—IX საუკუნეების მონეტათა განძები (ფშაველის, კავშირის, ლელიანის, აფენის და სხვ.), რომელნიც ამ თვალსაზრისით ერთობ საგულისხმო ჩვენებებს შეიცავენ.

---

[463] გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, აბასელთა სახალიფოს ზარაფხანები, იხ. კრებული — მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1968, გვ. 72.

[464] Е. А. П а х о м о в, вып. V, № 1450, გვ. 32; ი. ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ომაიანთა მონეტები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, თბილისი, 1965, ტ. IV, გვ. 140, № 2.

აღნიშნული ნუმიზმატიკური განძების ჯგუფიდან ყველაზე ადრეულია 1937 წელს თელავის რაიონის სოფ. ფშაველში აღმოჩენილი განძი. იგი შეიცავს 138 ხალიფურ დირჰემს. აქედან 90 ცალი VIII საუკუნისაა, 46 ც. IX საუკუნით თარიღდება, ხოლო ორი მონეტის მოჭრის თარიღი კი გაურკვეველია. მონეტათა მოჭრის ადგილის მიხედვით, ფშაველის განძი შემდეგ სურათს იძლევა:[465].

მადინათ ას-სალამი იგივე ბაღდადი (ერაყი) .	39 ცალი	იფრიკია (ჩრდ. აფრიკა)	—4 ცალი
ალ-მუჰამმადიჰა იგივე რაჰ (ჯიბალი) . .	30	ვასიტი (ერაყი) .	—4
ალ-აბბასიჰა (იფრიკია)	10	ქირმანი .	—2
არრანი .	10	ბალხი (ხორასანი) .	—2
ჯაჰ იგივე ისბაჰანი (ჯიბალი)	8	ქუფა (ერაყი)	—1
არმინია . .	7	ალ-ჰარუნიჰა (არმინია) .	—1
მა'დინ ბაჯუნაჰსი (არმინია)	6	ალ-მუბარაქა (იფრიკია)	—1
ალ-ბასრა (ერაყი) .	6	ალ-ანდალუსი (ესპანეთი) .	—1
ზარანჯი (სეჯესთანი) .	4		

თუ ჩვენ ფშაველის განძში შემავალ მონეტების რაოდენობას არაბთა სახალიფოს პროვინციების მიხედვით დავალაგებთ და მათ პროცენტებში გადავიყვანთ, მაშინ ასეთ სურათს მივიღებთ[466]:

ერაყი	50 ცალი	=33,33%	სეჯესთანი	—4 ცალი	=2,66%
ჯიბალი	38	=25,36%	ქირმანი	—2	=1,33%
აფრიკა	15	=10,00%	ხორასანი	—2	=1,33%
არმინია	14	= 9,33%	ესპანეთი	—1	=0,66%
არრანი	10	= 6,66%			

დაახლოებით მსგავს მონაცემებს გვიჩვენებს აგრეთვე 1924 წელს სოფ. კავშირში (ლაგოდეხის რ-ნი) მოპოვებული მონეტების განძის შემადგენლობა. იგი შედგება 36 დირჰემისაგან და ქრონოლოგიურად

---

[465] Е. А. Пахомов, вып. III, № 822, გვ. 37.

[466] ფშაველის, კავშირის, ლელიანის და აფენის განძები განხილული აქვს სომეხ ნუმიზმატიკოსს ხ. მუშეღიანს თავის ნაშრომში—Денежное обращение Двина по нумизматическим данным, Ереван, 1962; აღნიშნულ განძებში შემავალ მონეტათა რაოდენობის პროვინციების მიხედვით დალაგებისას და მათი პროცენტებში გადაყვანისას ვსარგებლობთ ხ. მუშეღიანის მიერ მოცემული გამოანგარიშებით. ფშაველის განძის ამ თვალსაზრისით განხილვა მოცემულია მისი ნაშრომის 42-ე გვერდზე.

მოიცავს 708 — 820 წლებს. კავშირის განძში შემავალი მონეტები მოჭრილია არაბთა სახალიფოს შემდეგ ზარაფხანებში[467]:

მადინათ ას-სალამი	— 11 ცალი	ბალხი	
ალ-აბბასიჲა	— 3	ჯაჲ	
ალ-ბასრა	— 3	ზარანჯი	
ვასიტი	— 3	კასრ ას-სალამი (ერაყი)	
ალ-მუჰამმადიჲა	— 3	ნისაბური (ხორასანი)	თითო
იფრიკია	— 2	რამ ჰურმუზი (ხუზისთანი)	ცალი
ალ-ანდალუსი	— 1	ტაბარისთანი	
საბური (ფარსი)	— 1	ჰარუნაბადი (არმინია)	
არმინია	— 1		

ზარაფხანების განლაგება სახალიფოს ოლქების მიხედვით ასეთი იქნება[468]:

ერაყი	— 15 ცალი	= 44,74%	ფარსი
აფრიკა	— 5	= 13,17%	სეჯესთანი
ჯიბალი	— 4	= 10,53%	ტაბარისთანი
არმინია	— 2	= 5,26%	ესპანეთი
ხორასანი	— 2	= 5,26%	
ხუზისთანი	— 2	= 5,26%	

თითო ცალი = 2,63%

სოფელ ლელიანის (ლაგოდეხის რ-ნი) ნუმიზმატიკურ განძში შემავალი არაბული დირჰემები ქრონოლოგიურად 699 — 829 წლებში თავსდება. იგი შედგება 160-მდე ეგზემპლარისაგან და შეიცავს შემდეგ ზარაფხანებში მოჭრილ დირჰემებს[469]:

მადინათ ას-სალამი	— 48 ცალი	მა'დინ ბაჯუნაჲსი	— 4 ცალი
ალ-მუჰამმადიჲა	— 21	არრანი	— 3 „
ალ-აბბასიჲა	— 16	ბუხარა	— 2 „
ალ-ბასრა	— 10	ბალხი	— 2 „
ვასიტი	— 9	სამარყანდი (მავერანნაჰრი)	— 2
ალ-ქუფა	— 9	თაჲმარა (ჯიბალი)	— 2
ტაბარისთანი	— 6	დიმიშკი იგივე დამასკო (სირია)	— 2
იფრიკია	— 6	ჯუნდი საბური (ხუზისთანი)	— 1
ჯაჲ	— 5	რაჲ (ჯიბალი)	— 1
ზარანჯი	— 5	სურრაკი (ხუზისთანი)	— 1
ისბაჰანი	— 4	ალ-მუბარაქა	— 1

[467] Е. А. Пахомов, вып. II, № 393, გვ. 24.
[468] Х. А. Мушегян, Денежное обращение Двина, გვ. 43.
[469] Е. А. Пахомов, вып. II, № 395, გვ. 24.

მონეტათა რაოდენობა სახალიფოს ცალკეული პროვინციების მიხედვით ასე წარმოგვიდგება[470]:

ერაყი	—77 ცალი	=45,24%	მავერანნაჰრი	—4 ცალი	=2,35%
ჯიბალი	—33	=19,43%	არრანი	—3	=1,76%
აფრიკა	—23	=13,53%	ხორასანი	—2	=1,20%
ტაბარისთანი	— 6	= 3,53%	სირია	—2	=1,20%
სეჯესთანი	— 5	= 2,94%	ხუზისთანი	—1	=0,59%
არმინია	— 4	= 2,35%			

საყურადღებო ჩვენებებს გვაწვდის IX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისის განძი, რომელიც აღმოჩენილია 1924 წ. სოფ. აფენში (ლაგოდეხის რ-ნი). აფენის განძი შეიცავს დაახლოებით 352 ცალ დირჰემს და ~~ქრონოლოგიურად მოიცავს 702 — 834 წლებს. განძში ფიქსირებულია~~ შემდეგ ზარაფხანებში მოჭრილი დირჰემები[471]:

მადინათ ას-სალამი	—100 ცალი	მა'დინ ბაჯუნაჲსი	— 9 ცალი
ალ-აბბასიჲა	— 57	ჯაჲ	— 8
ალ-მუჰამმადიჲა	— 48	არმინია	— 8
ტაბარისთანი	— 20	ბალხი	— 7
ბასრა	— 13	არრანი	— 6
ქუფა	— 11	ისბაჰანი	— 4
ველილა	— 10	ქირმანი	— 3
ვასიტი	— 10	დიმიშკი	— 2
ზარანჯი	— 10	რაჲ	— 2
იფრიკია	— 9	მაჰი (ჯიბალი)	— 2
სამარყანდი	— 9		

ზარაფხანები: ალ-ანდალუსი, ალ-მუბარაქა, მისრი, არ-რაფიკა (ალ-ჯაზირა, ზემო მესოპოტამიის პროვინცია), ალ-ჰარუნიჲა, ნისაბური (ხორასანი), მერვი (ხორასანი), ჰერათი (ხორასანი), მადინ აშ-შაში (მავერანნაჰრი), სეჯესთანი=წარმოდგენილია თითო ეგზემპლარით.

ამ მონაცემების საფუძველზე აფენის განძისათვის ვღებულობთ მონეტათა შემდეგ თანაფარდობას არაბთა სახალიფოს ოლქების მიხედვით[472]:

---

470 Х. А. Мушегян, Денежное обращение Двина, გვ. 43.
471 Е. А. Пахомов, вып. II, № 396, გვ. 25.
472 Х. А. Мушегян, Денежное обращение Двина, გვ. 44.

ერაყი	—134	ცალი=33,50%	სეჯესთანი	— 11	ცალი=2,75%
აფრიკა	— 79	=19,75%	არრანი	— 6	=1,30%
ჯიბალი	— 62	=15,50%	ქირმანი	— 3	=0,75%
ტაბარისთანი	—20	= 5,00%	სირია	— 2	=0,50%
არმინია	— 18	= 4,50%	ესპანეთი	— 1	=0,25%
ხორასანი	— 12	= 3,00%	ჯაზირა	— 1	=0,25%
მავერანნაჰრი	—10	= 2,50%			

IX საუკუნის შუახანების ჰერეთის სავაჭრო კავშირების გასათვალისწინებლად ნიშანელოვან ცნობებს იძლევა აგრეთვე 1900 წ. აპრილში ყვარლის რაიონის სოფ. ჭიკაანში მოპოვებული განძი. სამწუხაროდ, განძის საგრძნობი ნაწილი მპოვნელებს ადგილზევე დაუტაცნიათ. გადარჩენილი 8 არაბული დირჰემიდან უგვიანესი მონეტა 850/51 წლებით თარიღდება. მონეტები მოჭრილია აბასელთა დინასტიის წარმომადგენლების მიერ სახალიფოს შემდეგ ზარაფხანებში: მადინათ ას-სალამი, ჯაჰ, ალ-ბასრა, არმინია[473]. არაბული მონეტების განძის პოვნა დადასტურებულია ყვარელის რაიონის სოფ. მთისძირშიც (არიში)[474].

ამრიგად, ჰერეთის მიწის წიაღში აღმოჩენილი მდიდარი ნუმიზმატიკური განძები ნათელს ხდის, რომ VIII—IX საუკუნეებში არაბული ფული საკმაოდ დიდი რაოდენობით შემოდიოდა ჰერეთში, რაც უდავოდ უნდა მიგვითითებდეს ჰერეთის საგარეო ვაჭრობის ინტენსიურობაზე. როგორც ჩანს, აღნიშნულ ხანაში ჰერეთს უფრო მეტი საქონელი გაჰქონდა, ვიდრე შემოჰქონდა უცხოეთიდან.

არაბთა სახალიფოს სხვადასხვა ქალაქიდან თუ ოლქიდან ჰერეთში შემოსული და გავრცელებული არაბული მონეტების რაოდენობით შესაძლებელი ხდება ერთგვარად გაირკვეს ის ძირითადი მიმართულებანი, რომლებითაც ვითარდებოდა VIII—IX საუკუნეებში ჰერეთის ქვეყნის სასაქონლო-ფულადი კავშირები.

იმ მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის გარდა, რომელიც ჰერეთს ჰქონდა მეზობელ ალბანეთთან (არრანთან) და სომხეთთან, ზემოთ მოტანილი ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით ისახება შემდეგი მიმართულებანი:

---

[473] Е. А. Пахомов, вып. VIII, გვ. 74—75.

[474] ამ განძში შემავალი ომაელთა ხალიფების მიერ მოჭრილი დირჰემები დამუშავებული აქვს ი. ჯალაღანიას; იხილეთ მისი ნაშრომი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ომაიანთა მონეტები, გვ. 155—156.

სამხრეთ-დასავლეთით ჰერეთის სავაჭრო კავშირებს მივყევართ ერაყის, სირიის და ჩრდ. აფრიკის ეკონომიური ცენტრებისაკენ. ამ მიმართულებით დასახელებულ უნდა იქნას შემდეგი ქალაქები: მადინათ ას-სალამი (ბაღდადი), ქუფა, ვასიტი, ბასრა, დამასკო, ალ-აბბასია და სხვ.

სამხრეთ-აღმოსავლეთით ჰერეთს ცხოველი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონია არაბთა სახალიფოს ისეთ მნიშვნელოვან ოლქებთან, როგორიც იყო: ჯიბალი, ფარსი, ქირმანი, სეჯესთანი. ამ პროვინციების ქალაქებიდან განსაკუთრებით ხშირად გვხვდება: ალ-მუჰამმადიჰა, ისბაჰანი, ზარანჯი, ქირმანი.

გარკვეული სავაჭრო-ეკონომიური კავშირები ჩანს დამყარებული აღმოსავლეთის მიმართულებითაც — ტაბარისთანთან, ხორასანთან და მავერანნაჰრთან. ამაზე მიგვითითებს ჰერეთის განძებში შედარებით მცირე რაოდენობით არსებული მონეტები ნისაბურიდან, მერვიდან, ჰერათიდან, ბალხიდან, სამარყანდიდან, ბუხარიდან და აშ-შაშიდან.

მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზემოთ განხილულ ჰერეთის ნუმიზმატიკურ განძებში ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილია დირჰემები მადინათ ას-სალამიდან (ბაღდადიდან). როგორც ცნობილია, ბაღდადი, VIII საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული (აბასელთა დინასტიის წარმომადგენელთა მმართველობის ხანაში) წარმოადგენდა სახალიფოს უდიდეს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცენტრს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰერეთის ვაჭრებს ხშირად ჩაჰქონდათ თავიანთი საქონელი ბაღდადში. საფიქრებელია აგრეთვე პირუკუ პროცესიც: ბაღდადელი ვაჭრების აქტიური როლი ჰერეთის ბაზარზე. ზემომოტანილი ნუმიზმატიკური მონაცემები საამისოდ, ჩვენი აზრით, მყარ საფუძველს იძლევიან და, ამავე დროს, აშკარად მიგვითითებენ ჰერეთის საგარეო ვაჭრობის მასშტაბებზე. ის ამბავი, რომ ჰერეთის განძებში სჭარბობს დირჰემები ერაყიდან (ფშაველის განძში— 33,33%, კავშირისაში—44,74%, ლელიანისაში—46,47%, აფენისაში— 33,50%) და ირანიდან (ფშაველის განძში — 29,36%, კავშირისაში — 23,69%, ლელიანისაში — 24%, აფენისაში — 19,50%)[475], გვანიშნებენ სახალიფოს ამ ოლქების წამყვან მნიშვნელობაზე ჰერეთის საგარეო ვაჭრობაში.

ამრიგად, ჰერეთის მიწის წიაღში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური განძების ანალიზი ყოველგვარ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ დავასკვნათ: VIII საუკუნეში და IX საუკუნის პირველი ნახევრის გან-

---

[475] Х. А. Мушегян, Денежное обращение Двина, გვ. 49.

მავლობაში ჰერეთს ინტენსიური საგაჭრო ურთიერთობა აქვს დამყარებული არაბთა სახალიფოს უდიდეს ეკონომიურ ცენტრებთან. აღნიშნულ ხანაში ჰერეთის საგარეო ვაჭრობამ არნახულ გაქანებას მიაღწია, იგი აქტიურად არის ჩაბმული იმდროინდელ საერთაშორისო ვაჭრობაში.

ვითარება მკვეთრად იცვლება IX საუკნის მეორე ნახევარსა და X საუკუნეში. არაბთა სახალიფოს დასუსტებას და ამიერკავკასიაში მისი პოლიტიკური გავლენის შემცირებას მოჰყვა ის, რომ ჰერეთში ჩვენ ველარ ვხედავთ არაბული დირჰემების ისეთი მძლავრი ნაკადის შემოჭრას, როგორსაც ადგილი ჰქონდა წინა პერიოდში. პოლიტიკური სიტუაციის შეცვლას მოჰყვა ის ამბავი, რომ გაცხოველებული საგაჭრო ურთიერთობის ტალღამ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადაინაცვლა. ამიერიდან ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიურ ცხოვრებაში უპირატესი მნიშვნელობა მოიპოვა ჩრდილოეთის ქვეყნებთან (სლავებთან, ხაზარებთან) ვაჭრობამ, რომელმაც განსაკუთრებულ აყვავება სწორედ IX — X საუკუნეებში მიაღწია[476].

XI—XII საუკუნეების ჰერეთის ეკონომიურ განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა იმ მნიშვნელოვანმა ძვრებმა და ცვლილებებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჰერეთის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. XI საუკუნის ოციან წლებში დასრულდა ჰერეთის კახეთთან პოლიტიკური შერწყმის პროცესი, ხოლო XII საუკუნის პირველ მეოთხედში, დავით აღმაშენებლის დროს, ჰერეთი საბოლოოდ მოექცა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შემადგენლობაში. ჰერეთი საქართველოს ორგანული და განუყოფელი ნაწილი გახდა. ამიერიდან ჰერეთის ქვეყნის ფულადი მიმოქცევა, ვაჭრობა — აღებ-მიცემა, მისი საგაჭრო-ეკონომიური კავშირები განხილულ უნდა იქნას გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ეკონომიური განვითარების საერთო ფონზე.

---

[476] Я. А. Манандян, О торговле и городах Армении, გვ. 198—200.

პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებელი

აბანტი 38
აბასიდები 27, 30, 178—179, 283, 364, 368—369
აბასი, სომეხთა მეფე 205—206
აბასი, ჰერთა კათალიკოსი 31, 194
აბაღა ყაენი 295
აბდ ალ-მალიქი 165—166, 363
აბიბოს ნეკრესელი 143, 147, 151-152, 277, 318—319
აბო თბილელი 174, 179
აბოცი 104
აბრაამ სომეხთა კათალიკოზი 138— 140, 142
აბრამიანი ა. 32
აბრამიშვილი თ. 363
აბუ აბდ ალ-მალიქი 201
აბულალი 214
აბულ-ასვარ შედადიანი 229
აბულ კასიმ ალი იბნ ჯაფარი 201—202
აბუ ტახირ ალ-მაკდისი 309
აბულაძე ილ 103, 105—106, 113, 193—194
აბუხუასრო 13, 48, 175—178, 186, 298, 325, 330
აბხაზი 345
აგათანგელოსი 114, 270—271
აგრი-ჩაგ 27
ადამი 84
ადარნასე, ერისმთავარი 45
ადარნასე ბაგრატიონი 181
ადარნასე 11 200
ადარნასე ბრმა 46, 176—177, 179—186, 325—326
ადარნასე პატრიკი 184—185, 189, 196—201, 210, 309
ადარნასე საჰლის ძე 191—192
ადონცი ნ. 62, 145, 251
ავაკუმი 31
ავარიელები 176, 298, 330,
აზერბაიჯანი 10, 14, 20, 22, 25, 47, 49, 59, 79—81, 88, 101, 107, 119, 183, 190, 195, 200, 212, 219, 221, 233, 250, 299—300, 302, 346, 348
აზო 90
აზონი 260
აზორკი 39, 120
აკილისენე 258
აკურა 168, 195
ალ-აბბასიდა 365—367, 369
ალავერდი 75, 147, 152, 198—199, 248, 277, 279, 296—297, 356
ალაზანი 7, 14—16, 22, 25—27, 32—33, 36, 38—39, 49—50 ,52, 58, 61, 64, 73—75, 77—78, 91, 94—95, 97—101, 110, 119, 144, 147—148, 151—153, 199, 224, 240, 279, 284, 293, 310, 313—315, 317, 320, 331, 336, 348, 352, 354—356
ალაზნის ველი 241—244, 349, 352, 354, 357—358
ალათემური 295
ალ-ანდალუსი 365—367
ალანები 11, 72, 121
ალბანა 22
ალბანელი 3, 5—21, 23, 25—28, 30—31, 33, 35—36, 38—39, 41—46, 52—64, 70, 72—74, 76, 78—81, 83, 88—89, 94—97, 104—105, 107—108, 111, 113—114, 117—118, 120—122, 127, 130, 137, 156—157, 163—168, 178,

185, 187—188, 190—194, 196, 203—210, 212, 218—221, 240—241, 244—252, 254—259, 272—274, 283, 302—304, 309, 315—316, 337—340, 344—345, 349—350, 352—354, 356, 368
ალბანელები 10—12, 18, 20, 36, 38, 54, 56—58, 60, 62—64, 82—84, 89—90, 93—94. 118, 135—136, 165, 168, 244—246, 316, 339
ალვანი 7, 75, 284
ალექსანდრე მაკედონელი 116, 349
ალექსანდრე კახთა მეფე 51, 318
ალექსიძე ზ. 140
ალიაბადი 263
ალის-წყალი 278
ალიშანი ლ. 107
ალ-მუბარაქა 365—367
ალ-მუჰამმედიჲა 365—369
ალონი 75
ალუანი 18, 22, 26, 57
ალუენი 23, 273
ალფ-ილიტვერი 74, 356
ალფ-არსლანი 80, 230—231, 311
ალ-ჯაზირა 367
ალ-ჰარუნიჲა 365, 367
ამაზასპ I 122
ამაზონები 84
ამარასი 188
ამერკავკასია 5, 20, 43, 105, 108, 116, 135—136, 163,—164, 191, 200—202, 213, 240—241, 345—346, 353, 363, 370
ანერანაშვილი შ. 223, 321
ამუ-დარია 349
ანაგა 242, 298
ანანია მოკელი 156, 196, 201, 203—209
ანანია შირაკელი 19—20, 27—30, 56, 72, 93, 220, 283
ანდიის ყოჟსუ 74, 356
ანდიები 110
ანისი 305
ანტიოქ I 349
ანტიოქია 128, 361
ანტონ მარტომყოფელი 150, 152—153, 277, 279
არაბები 80, 171—172, 188—191, 219, 305, 357, 363
არაბთა სახალიფო 364—370
არაგვი 94, 98, 127, 279
არანთა 75
არარატი 158, 161
არაქსი 5—6, 9, 16—18, 52, 54, 55—57, 60, 63, 104, 173, 219—220
არდაშირ პაპაკანი 122
არდებილი 200
არისტაკე 113
არისტობულე 349
არიში 198—199
არიშიანი 235, 311—312
არმაზელი 39, 120
არმაზი 153, 354
არმენია 35—36, 63, 95, 316, 346
არმენიელები 36, 82, 84, 246, 316
არმინია 365—368
არმირხ არანშაჰი 187
არრანი 6, 8—9, 16, 33, 57, 64, 65, 83, 173, 185, 187, 191, 218, 219—221, 293, 343, 345—346, 365—368
არ-რაფიკა 367
არსენ I დიდი 151—152
არსენ ბერი 124—126, 265
არსენ II 318
არსენ საფარელი 33, 113, 156—157, 159, 161, 194, 283
არტაანი 104, 176—177
არტავაზდ მამიკონიანი 181
არტაშატი 316, 353
არტოზანი 152, 277
არღუთაშვილი ა. 263
არღუნ ოირიდი 295
არშაკი 318
არშაკ მირვანის ძე 119
არშაკ სომეხთა მეფე 53
არშაკიდები 8, 23, 219
არშუშა 102
არჩილი 13, 46—48, 51, 133, 171, 173—178, 180—181, 184—186, 298—299, 301, 305—306, 308, 322—323, 325—327, 329—331, 344, 347
არცახი 12, 16—17, 21—22, 52—54, 56, 59, 78, 220

არხილოს კალო 241
ასამ 155, 167, 172, 182—183, 281—282, 288
ასამ გრიგოლის ძე 236
ასიმი 174
ასოღიკი 106
ასპურანგი 153
ასურასტანი 116
ატერნერსეჰ ფილიპიან 188
აფაქიძე ა. 4, 37, 118, 242
აფენი 362, 364, 367, 369
აფოცი 270
აფრიდონი 116—177
აფრიკა 365—366, 367—369
აფშინი 189—190
აფხაზეთი 171, 216, 221
აფხაზნი 87, 214
აქემენიდები 35, 116—117
აქვილეუმი 354
აღსტაფა 100, 353
აღსართან I 228—234
აღსართან II 235
აშოტ ბაგრატუნი 180, 192
აშოტ III 181—182, 184
აშოტ მარილელი 227
აშ-შაში 369
აწყური 247
ახალსოფელი 199
ახიზა 141
აბმედი 328
ახმედ იბნ-ლუთფულახი (მუნაჯიმბაში) 189
ახმეტა 7, 153
აჯინოურის ველი 27

ბააზი 190
ბაბეკი 189—190
ბაბილონი 244
ბაბ ულ-აბვაბი 345
ბაგრატ III 213—218, 221.
ბაგრატ IV 224, 227—232, 292, 311
ბაგრატიონები 155, 172, 176—178, 180—185, 196, 280—282, 288, 292, 308, 317, 344
ბაგრევანი 39
ბადრიძე შ. 217—218
ბათო-ყაენი 7
ბაისუბანი 362
ბაკიხანოვი ა. 6—7, 12, 251, 350
ბაკური 132, 155, 172, 269
ბალაძორი 33—34, 154, 173, 188, 282, 309, 317, 343
ბალასიკები 71
ბალხი 365—367, 369
ბანა 305—306
ბარამი 235, 311—312
ბარანოვსკი პ. 144 ,300
ბარდაველიძე ვ. 259, 261
ბარდავი 23—24, 55—56, 59, 61—62, 74, 78, 165, 188, 200, 212, 220, 293, 345, 356—357
ბარდოსი 55—56, 85, 104, 220
ბარზაბოდი 132—135, 266
ბარნაველი თ. 161, 169—170, 226, 235, 274, 291—292, 310
ბარნაველი ს .146
ბარტოლდი ვ. 11—12, 251
ბარხუდარიანი მ. 59
ბასიანი 39
ბასილ ეზოსმოძღუარი 292—293, 331
ბასრა 29, 365—369
ბაქო 121, 345, 350
ბაქრაძე დიმ. 17, 162, 173—174
ბაქტრიანა 63, 349
ბაღდადი 20, 191, 365, 369
ბახალათი 25—26, 143, 269—270, 275
ბახტიარ იბნ-სალმანი 229
ბაჰრამ ჩუბინი 54, 183, 281, 288,
ბედია 314
ბეიუკ-დაში 121
ბეიუქდეგნი 351
ბელაქანი 154, 323, 327, 328, 330—333, 357
ბელაქნის წყალი 144, 326—327, 329—330
ბელოკუროვი ა. 68
ბეჟგენი 108
ბერდუჯი 21,55, 94, 97, 220

ბერი კ. 15
ბერი ეგნატაშვილი 51, 318
ბერი ხორნაბუჯელი 294, 296—297
ბერქა 295—297, 314, 316, 318
ბერძენიშვილი ნ. 3—4, 13, 32, 46, 78, 79, 88, 91, 111, 136, 155, 163, 175, 176, 179, 182, 214, 221—222, 226, 235, 237, 264, 275—276, 278, 293—294, 312—313, 320, 323, 344, 347
ბერძნები 65, 90, 167, 228, 246
ბეხი 18, 25—27, 178
ბიზანტია 20, 128, 134, 163, 164, 221, 304, 309
ბიზანტიელები 222
ბითვინია 255
ბინქარანი, იხ. გლონოქორი
ბლუჩანი 357
ბოგვერაძე ა. 269, 271
ბოდბე (ბოდი, ბოდინი) 67, 69, 124—130, 143, 147—148, 266, 270, 272, 275, 313, 314, 321, 356—357
ბოდბის ხევი 148
ბოდოჯი 227
ბოლტუნოვა ა. 60, 255
ბორჩალო 21
ბოსტან-ქალაქი, იხ. რუსთავი
ბოცვაძე თ. 358
ბოჭორიძე გ. 216—217, 263
ბოჭორმა 214, 232
ბრეთი 278
ბრეძა 199
ბროსე მ. 65—66, 74—75, 107, 142, 160, 167, 174, 188, 191, 197, 210, 215—216, 314—315, 323—324
ბუაჩიძე თ. 211
ბუბაქარ ბარბაროზი 157, 159, 161
ბუინაკსკი 356
ბუნიატოვი ზ. 32—33, 107, 191
ბუშატი 242
ბუხარა 366, 369

გაბაშვილი ვ. 363
გაგიკი, ალბანთა კათალიკოზი 206—209
გაგიკი, კახეთ-ჰერეთის მეფე 226—228, 292, 311
გაგიკ არწრუნი 205
გაგიკ შაჰანშა 217
გავაზნი 198—199
გავაზის წყალი 328
განი კ. 250
განჯა 20, 60, 64, 107—108, 200, 212, 217, 221, 293, 345, 354
გარგარები 6, 57—58, 61—63, 69, 82—84
გარდაბანი 20, 180, 314
გარდაბოსი 21, 85
გარდმანელები 6, 57—58, 62—63, 69
გარდმანი 18, 21, 31, 53, 62, 107, 158—159, 161, 187, 221, 303
გარეჯა 151, 157, 160—161, 168, 170, 274—275, 277—278, 280
გაღმა მხარი 7, 101, 263
გაჩიანი 21
გაჩიოსი 85
გეეგავი 18, 26, 178
გელათი 223, 236
გელები 62—63, 80
გეორგ 11 გარნელი 168, 205
გერები, იხ. ჰერები
გეტარუ 19
გილანელები 63
გიორგი I 221—222
გიორგი II, 67, 228, 232—234
გიორგი III 237
გიორგი ლაშა 220
გიორგი რუსი 293
გიორგი სინგელოზი 84
გიში 32—33, 45, 49, 59, 100—101, 141, 143, 145, 182, 236, 247, 269—270, 275, 306, 309, 310, 313, 325, 335—340, 341—343
გიშის წყალი 32, 49—50, 101, 144, 154, 182, 323, 336, 343—344
გლონოქორი 132—134, 266—268
გოდერძი 227—228, 311
გომბორი 100, 125, 127, 354—355
გორდეევი დ. 223
გოროზი 190, 208—209

გოტარზეს პართელი 285, 360—361
გრდანი 99
გრემი 360
გრიგოლი, ჰერეთის ერისთავი 136
გრიგოლი, კახეთის მთავარი 179—180
გრიგოლ მამიკონიანი 180
გრიგოლ ჰამამი 191—193, 196—197, 210, 212, 308
გრიგორ არწრუნი (დერენიკი) 205—206
გრიგოლისძენი 236, 292
გუარამი 155 157, 172, 183, 251,
გუასპურაგანი 67
გუგარქი 17, 53, 102—104
გუდავა ტ. 332—334
გულგულა 46 ,55, 97—100, 111, 177—178, 183—186, 242, 344
გულლუგი 154
გურგენი 202, 210
გურია 111
გურჯაანი 169, 195, 242, 363

დაბაკნეთი 126
დადიანი ხ. 186—187
დავით აღმაშენებელი 23, 67, 97, 113, 114, 213, 233—237, 311, 313, 370
დავით გარეჯელი 150—151, 157, 159, 160—161, 277, 280
დავით იმამყული ხანი 152
დავითი, კახთა ქორეპისკოპოსი 213—214
დავით 111, კუროპალატი 212—213
დავითი, სომეხთა მეფე 224—226, 228
დავით ულუ 294, 296
დავით უძლეველი 106
დავით წინასწარმეტყველი 176
დავით ხოტაკერელი 208
დათუნი 333
დამასკო 366, 369
დანიელი 113
დარიოს I 117
დარუბანდი 11, 16—17, 24, 105, 219, 221, 331, 337, 343, 345, 346, 357
დარჩიეთი 147
დასქარათ ალ-ჰუსეინი 230—231
დაღისტანი 7, 11, 14, 17, 22, 49, 74, 109, 175, 330—331, 334—335, 343, 357
დაშტი ბალასაკანი 18—19
დაჩი 41 136—137, 149, 155, 172, 176, 268, 276,306, 317, 319, 321, 323—324, 327
დებედა 94
დეგარუ 18—19, 27
დეილემი 200, 202, 212
დემეტრე I 237
დემეტრე II თავდადებული 331
დვალეთი 47
დვანის-წყალი 278
დვინი 45, 137, 200
დიგორი 47
დიდოეთი 101, 147, 224, 318
დიდოელები 72, 82
დიდუბე 99
დილიჟანის ხეობა 353
დიმიშკი 366—367
დინარი 71, 158, 162, 197, 200, 202—203, 210, 214—215
დიოკლეტიანე 84, 361
დიონ კასიოსი 38—39, 96, 119—121
დიონისე ფრაკიელი 52
დმანისი 290
დოვსეტი 187
დომიციანე 121
დონდუა ვ. 88
დორნი ბ. 11—12, 25, 32

ეგარსლან ბაკურციხელი 295
ეგვიპტე 244
ეგრისი 5, 122, 129—131, 176, 180—181, 314
ეგრისელები 131
ეგრის წყალი 52, 129, 315
ეგროსი 85
ევლახი 351, 354, 356
ევსევი კესარიელი 30, 84
ევსტატე 161
ეზდერიოს სამთავნელი 278
ეზრა კისდადის ეპისკოპოსი 141
ეზრა, კათალიკოსი 161

ეზრა, შაქის ეპისკოპოსი 45
ეიხვალდი ე. 17
ეკლეკი 225
ელარბინი 76—77
ელარბიელნი, იხ. ლბინები
ელდარი 27,242
ელია არჭიშელი 164—166
ელია დიაკონი 150
ელიაზარი 340
ელისე 337—339, 341—342
ელისენი 32, 75, 101, 144—145, 147, 263, 343
ელისუ 49—51, 298—299, 328, 358
ელიშე 64—65, 70—72, 75, 135—136
ემინი ნ. 186
ენიანი 351
ეპიფანე კეიპრელი 86
ერატოსთენე 249,349
ერაყი 365—369
ერედვი 197—199
ერევანი 353
ერეკლე II 146
ერემიანი ს. 9, 12 ,13, 18—19, 21, 25—27, 46—48, 61, 63, 75, 126, 143, 270—271, 324, 353—354, 356—357
ერზერუმი 233
ერიახი 112
ერწო 48, 146, 232
ერწო-თიანეთი 98
ერწუხი 235
ესპანეთი 365—366, 368
ესტგენ 142
ექვთიმე მთაწმინდელი 86—87
ეჩმიაძინი 65, 305
ეხნი 18, 22, 26, 178

ვალაგირი 47
ვალარშ 42, 122
ვალარშაკ პართეველი 6, 57
ვალარშაპატი 304,316
ვანაანი 297
ვანანდი 39
ვანთა 196
ვარაზ-ბაქარ მირდატის ძე 131
ვარაზ გაგელი 21
ვარაზ-გრიგოლი 163, 164
ვარაზვარდ 155, 167, 172, 182—183, 281—282, 288
ვარაზ-იოანე 167
ვარაზ-თრდატი 74, 77, 164, 188, 191, 356—357
ვარაზმანავარი 18, 26
ვარაჩანი 356
ვარდან დიდი 181, 190
ვარდან მამაცი 187
ვარდან მამიკონიანი 71
ვარდანი, სვანთა ერისთავი 232
ვართაშენი 10, 58, 66
ვარსქენი 102—105, 357
ვარცანა 195
ვასაკი 71, 181, 189
ვასიტი 365—367, 369
ვასპურაკანი 205—206
ვაჩაგან III 41—44, 54, 273
ვაჩაგანი, გოროზის მთავარი 208
ვაჩე ძე გურგენ ბერისა 224, 227 ,292
ვაჩნაძიანი 195—196
ვახტანგ გორგასალი 13, 41—43, 52, 103, 132—134, 136—137, 143, 146, 148—149, 153, 172, 175—176, 266—269, 276, 298, 302, 317, 319, 320—321, 324—325, 356
ვახტანგ VI 280
ვახუშტი ბაგრატიონი 32, 34—35, 46—47, 49—51, 68—69, 75, 77, 88, 93, 97—101, 109, 128, 144—148, 156, 158, 162, 173—180, 184—186, 191, 197—200, 203, 211, 214—215, 221—228, 230—231, 233—235, 278—279, 283, 293, 296, 306, 309—310, 312—316, 318, 320, 322—329, 331, 335, 343, 347, 357
ვაპანი 167
ვაპსუდანი 200
ვეზან ხორნაბუჯელი 183, 281, 282, 288—289
ველილა 367
ველისციხე 103, 147—148, 178, 196, 356
ვეძისხევი 312

ვეჯინი 67, 69, 147, 179, 198—199, 224, 230, 233—234, 309
ვირო 164, 344
ვოსტან-ი-მარზპან 18—19, 23—24, 178

ზაგემი 143
ზანგი 353
ზარანჯი 365—367, 369
ზაქათალა 25—27, 38, 50, 143—144, 154, 263, 300, 354
ზაქარია კასდრელი (ყაწარელი) 141, 146
ზაქარია სარკავაგი 186—187
ზეგანი 147
ზედაზენი 235, 279—280
ზენა სოფელი 152
ზენობიანი 10
ზენონ იყალთოელი 150, 279
ზერგუნის ველი 337—338
ზერნა 50
ზვარტნოცი 302, 304—305
ზიარი 69, 147, 227, 313
ზორაკერტი 217

თადეოზ მოციქული 337
თავასპარები 71—72
თათა სტეფანწმინდელი 150, 278
თალიში 19, 62
თალა 154, 328, 357
თამარი 210, 237, 331
თაამარა 366
თარგამოსი 85, 87
თაყაიშვილი ე. 25, 68, 103, 177, 181—182, 197, 200, 213, 215, 236
თბილისი 20, 153, 163, 179, 224—227, 229, 231, 294, 317, 345—346, 353—355
თეიმურაზ ბაგრატიონი 17
თეიმურაზ I 358
თეიმურაზ II 146
თელავი (თებლა) 10, 224, 232, 263, 345—346, 355—356, 362—363, 365
თემურ-ლენგი 334
თეოდოროს რშტუნი 157—158, 161, 283
თეოდოს II 362—363
თეოფანე მიტილენელი 249—250
თეძმის ხევი 99
თიანეთი 99, 126, 178, 214, 225, 227, 354
თომა არწრუნი 62, 185, 190, 307
თორღვა პანკელი 296
თოუზი 60, 353
თოფახი 175
თოღა 235
თრდატი 131—132, 318—319
თრიალეთი 104, 214, 222
თრუსო 47
თუმანოვი კ. 184, 215
თურდო 98—100, 224
თურქ-სელჯუკები 80, 107—108, 230, 231, 233, 293, 317
თურქეთი 328
თუშები 13, 48, 92, 175—176, 177, 298, 325
თუშეთი 98, 298

იაზიდია 230
იაკობ ხუცესი 13, 28, 102—103, 112, 270, 357
იაკუბი 309
იაკუთი 24, 219, 346
იალნო 152
იალოილუთეფე 240—243, 284
იამპოლსკი ზ. 10, 20, 58, 79—81, 96—97, 252—253, 258, 350—352
იანოესკი ა. 11—12, 25, 60, 73, 250
იარედი 116—117
იასონი 90
იაფეტი 82, 84—85, 109—110
იბერია 3, 5, 9, 12, 14, 15, 17—18, 22, 26, 33, 35—39, 41—43, 45, 48, 51, 55, 57, 59. 64—65, 70, 73, 77, 81, 88, 93,—97, 102—103, 110—111, 119—122, 130, 137, 159, 239—240, 246—249, 255, 260, 349, 352—354 362
იბერები 3, 36, 64—65, 69, 70—71, 81, 89—91, 93—94, 118, 121—123, 135—136, 167—168 ,239, 246, 285, 287, 316

იბნ ალ-ფაკიჰი 343, 154
იბნ-რუსტე 334
იბნ-ხაუკალი 201—202, 212, 219, 350
იეზდიგერდ II 71, 135—136, 149
იერუსალიმი 59, 337—339
იესენი 89, 241
ივანე აბაზას ძე 224—225
ივანე ლიპარიტის ძე 232—233
ინგილოები 90
ინგოროყვა პ. 4, 30, 46, 48, 58, 97, 130—131, 136, 173—175, 180, 182, 293, 315, 323
ინჯეჯიანი ლ. 29, 54, 106
იოანე დრასხანაკერტელი 164—166
იოანე ზედაზნელი 143, 150, 152 — 153, 277, 279—280
იოანე მალალა 30
იოანე საბანის ძე 179
იოანე სენექერიმი 212—213
იობი 132, 319
იოვანე მაირავანელი 157—159, 161—162, 283
იორი 16, 19, 26, 33, 35, 38—40, 48, 64, 67—69, 77—78, 91, 95—98, 100—101, 103, 111, 145—146, 148, 155, 172, 234, 269, 280, 293—295, 313—315, 320, 356
იოსებ ალავერდელი 150, 277, 279
იპოლიტე რომაელი 82—84, 86—87
ირანი 72, 103, 116—117, 122—123, 132, 135—136, 149, 155, 183, 218—220, 266—267, 285, 289, 295, 316—317, 321, 343,—344, 359—361, 369
ირანელები 71—72, 115, 122—123, 133, 135. 148, 151, 153—155, 218, 266—267, 282, 286, 289, 317, 320
ისანი 228
ისთახრი 219, 350
ისბაჰანი 365—367, 369
ისე წიღნელი 150, 279
ისიდორე სამთავნელი 151
ისმიზადე ო. 241, 243
ისრაელი 59, 74, 340
იულიუს მაქსიმუსი 121
იუშკოვი ს. 9, 12, 22, 62, 74, 250
იფრიკია 365, 366
იყალთო 152, 242, 279
იშხანი 305—306
იშხანიკი 71, 158, 162, 196—197, 200 205, 208—212, 215
იშხანოვი ლ. 301

კაბალა 18—19, 23—25, 58, 345, 354
კადუსიები 80
კავადი 149, 317, 362.
კავკასიონის ქედი 5. 14—16, 18—19, 25, 36, 50—52, 73—75, 94, 100, 101 110, 144, 151, 154, 225, 279, 298, 327, 352
კავკასია 25. 54, 64, 85, 98, 105, 110, 130, 158, 161, 163, 177, 221, 228—229, 232, 352
კავშირი 362—366, 369
კაკაბაძე ს. 4, 30, 95—97, 111, 126—127, 141, 145. 153, 160, 217—218, 251, 314, 323
კაკ-ელიხენი 13. 32. 49, 263, 326, 328
კალა 345
კალა-ბოზი 100
კალანკაიტუკი 59,78
კალაური 147
კალინოვკა 364
კალმახი 177
კამბეჩანი 18—19, 27—28, 31—45, 89, 94—95, 97, 103, 119—120, 137, 147—148, 154—156, 158—159, 161—162, 167, 169—170, 172—173, 178, 183, 195, 241. 268, 279—298, 309 — 310, 316—317, 330. 352, 354, 356, 358—360
კამბეჩის ვაკენი 34. 295
კამბისი 35, 38
კანგარი 104
კაპადოკია 256, 258
კაპანაძე დ. 361, 363
კარბელაშვილი პ. 125
კარსანი 141
კარტუბან-ჩაა 328
კასპი 110
კასპიები 19, 53, 80, 117, 122, 339
კასპიანა 16, 19, 52

კასპიის ზღვა 5, 9, 14, 16—18, 55, 57, 63, 65, 349—351
კასრ ას-სალამი 366
კასრი 47—49, 169, 175, 177, 125
კასრის ხეობა 47
კასტორი 352—354
კატეხი 154, 227, 276, 313, 328, 347
კაწარეთი 48, 67—69, 123, 125—126, 143, 145—146 ,269—270, 275
კაჭრეთი 26
კახები 64, 67, 75, 77—79, 89—90, 109, 119, 130, 225, 227—228, 232, 236, 320
კახეთი 7, 13—14, 16—17, —26, 46, 49, 51, 67, 69, 75, 77, 79, 88—89, 91—92, 94, 98—99, 101, 103, 106, 109—110, 117—119, 124—127, 130, 132, 143, 146, 148—149, 151—153, 155, 158, 171—172, 177, 179—180, 193, 198—199 [illegible] 235 [illegible] 247, 263, 276, 279, 280—281, 283, [illegible]—296, 298, 301, 310—321, 313, 318—319, 324, [illegible]—328, 330, 352, 356, 370
კახთუბანი 169
კახი (კაკი) 47—49, 119, 144, 169, 175, 195, 227, 248, 299—300, 347—348, 356, 358
კახოსი 85, [illegible]
კახ-ბაში 292, 301
კახეთ-ჰერეთი 100, 174—175, 224, 226—235, 278—279, 292, 310—311, 326
კეკელიძე კ. 42—43, 83, 86—87, 97, 103, 105, 110—111, 125, 133, 141, 142, 150, 152, 160, 174, 266, 333, 343
კერაუნის მთები 16
კვეტერა 230
კვირიკე 1, კახთა ქორეპისკოპოზი 134—185, 197—200,
კვირიკე 111, დიდი 13, 100, 214, 215, 221—227, 310
კვირიკე IV 234—235
კვირიკე, სომეხთა მეფე 231
კიკნაძე რ. 229, 231
კიმერიელები 63, 246
კირაკოს განძაკელი 31, 106—108, 141, 161, 164, 166, 344
კირილე ბერი 51
კირიონი 43, 138—139, 156, 194
კირნოსი 38
კიროვობადი, იხ. განჯა
კისლადი 141
კისისხევი 125, 147
კლაპროტი გ. 11, 116
კლარჯეთი 104, 122, 131, 176—178, 181, 299
კოლთი 18, 22, 53
კოლხიდა 36, 349, 361
კომანა 258
კომისენე 36
კომიტასი 138, 140, 156—157, 161, 194
კონდოღლი 147—148
კონსტანტინე, აფხაზთა მეფე 198—200
კონსტანტი 11, 304, 363
კონსტანტინე პორფიროგენეტი 7, 309
კორიუნი 102
კოშკი 69
კრეტშმერი კ. 74
კრიმსკი ა. 8, 11—12, 24, 32, 191—193, 198, 219, 247
კუდრათი 18, 26
კულმუხი 32, 49, 101
კურდღელაური 242
კუტკაშენი 25, 66
კუხები 109, 125
კუხეთი 48, 91, 94, 98—99, 101, 109—110, 124, 126—127, 148, 155, 172, 180, 234, 269, 279
კუხოსი 85, 97—99
კხოეთი 67, 68, 123—124, 130
კხოელნი 67—68, 123, 265

ლაგოდეხი (ლაგოეთი) 175—176, 227, 276, 313, 325, 347, 355, 361—362, 364—367
ლაზარე ფარპელი 135
ლაზარ, ფოზდბილის ეპისკოპოსი 141
ლაზიკა 175
ლაკვათი 175, 347
ლაკუასტის ხევი 175, 325

ლატიშევი ვ. 250
ლაფიანწყალი 68
ლაქზანი 345
ლბინები (ელარბიელნი) 9, 64, 71—77. 80, 83, 115, 128, 135, 136, 149, 238, 276, 307, 339
ლეგები 62—63
ლევიატოვი ვ. 250
ლევონდი 24—28, 31, 34, 45—46, 48, 93, 178, 180, 182, 184, 283, 302, 306
ლეკები 85
ლეკეთი 325
ლელიანი 362, 364, 366, 369
ლეონტი მროველი 13, 21, 28, 33, 39, 40—41, 55—56, 76—77, 85—87, 90, 93—94, 96—101, 103—104, 112, 115—117, 119, 120, 122—123, 125, 129—131, 147, 220, 260, 266, 302, 313—314, 318, 319, 356
ლესტრენჯი გ. 24
ლექეთი 50, 144—145, 269—270, 275, 300—305, 347
ლექეთქოთუქლო 144
ლილო 99, 279
ლიპარიტი 224—225, 227—229
ლიხის მთა 278
ლომინაძე ბ. 267, 274
ლომოური თ. 32
ლომოური ნ. 4, 13, 31, 38—39, 73, 82, 100, 353—354
ლოპოტის წყალი 74, 98, 149, 152, 276—277
ლორენი ი. 181
ლორთქიფანიძე მ. 4, 47, 174, 179, 193, 197—198, 216, 223—224, 226, 228, 230—231
ლორთქიფანიძე ო. 350
ლოფოთა 75
ლოქინის ხევი 99
ლუბიონი 73
ლუპენები 72—73, 75
ლფნიქი 75—77

მადიანიტები 80
მადინ ბაჯუნაჲსი 365—367
მადინ აშ-შაში 367
მადინათ ას-სალამი 365—369
მავერანნაჰრი 366—369
მაისურაძე ზ. 290—291
მაკაბელი 326—327
მალაზკერდი 345
მამიკონიანები 181—182
მამუნი 188—189
მანაი 26
მანანდიანი ი. 30, 38, 72, 253, 254, 258
მანნერტი კ. 15, 17
მანსური 178—179, 283
მარზოვნი 160, 275
მარზუბან იბნ მუჰამედი (მუზაფირიდი) 200—201
მარი ნ. 7—8, 78—79, 81, 89, 106, 109—110, 158—160, 162
მარკვარტი ი. 16—17, 22, 28, 30, 36, 63, 83, 142, 180—181
მარტყოფი 99, 152, 277—279
მასკუტები 71, 337
მასუდი 190, 197, 309, 334, 346
მაქსიმე აღმსაარებელი 86
მაღაზანა 170, 280, 291
მაწეხი 154
მაჰი 100, 179, 224, 227, 235, 309—310, 330—331
მაჰის წყალი 61, 100, 175, 224, 310, 325, 331, 347
მახატლისძენი 281, 292, 296—297, 318
მაჰდი 179
მაჰი 367
მეგრელები 85, 87, 90
მეგრელ-სვანები 131
მეგრელ-ჭანები 90
მელაანი 147
მელიქ-შაჰი 232—234
მელიქიშვილი გ. 4, 27, 37, 78, 89, 104, 112, 116, 121, 239, 245—246 248, 257, 269
მელიქსეთ-ბეგი ლ. 4, 35, 50, 76, 82, 103, 106, 108, 138, 141, 146, 170, 218, 221
მელქისედეკი 149, 226, 276, 313, 347,

მენთეშაშვილი სტ. 41, 89, 115, 241, 283, 287, 297—298
მერვი 367, 369
მერჩულე გ. 136
მესოპოტამია 367
მესროპ-მაშტოცი 59, 62, 339—340
მესხები 63, 90, 130, 232
მესხეთი 130, 175
მესხია შ. 229
მეტროდორე სკეპსისელი 249
მეფისაშვილი რ. 197, 199
მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი 60
მთიულნი 109
მთისძირი 199, 368
მიდიელები 82, 84, 245, 246
მილის ველი 19, 66, 220
მინგეჩაური 32, 315, 350—352, 354—356
მინორსკი ვ. 9, 34, 60, 75, 184, 186, 198, 201, 230, 334
მირდატი 132—133, 266
მირვანოზი 123, 318
მირზაანი 354
მირიანი 67, 70, 76, 122—123, 127, 129, 131—132, 260, 265, 266, 272, 274, 318, 356
მისრი 367
მიქაელი 134, 267
მიქაელ ულუმბოელი 151, 278
მიქელ-გაბრიელის მთა 227
მიშჩენკო ფ. 250
მიხრანიდები 20, 163, 187—188, 191
მნაცაკანიანი ა. 159—160, 210
მობიდანი 267
მოვაკანი 55—56, 77, 85, 98, 100, 123, 129, 220, 315
მონღოლები 7, 80, 148, 219, 294—297
მოსე კალანკატუელი 6, 8, 12, 23, 25, 31—34, 41—45, 57—59, 72, 74, 77—78, 93, 141, 164—167, 186—188, 190—193, 212—213, 273, 283, 303—304, 308, 337—340, 342, 356
მოსე ხორენელი 6, 28, 57, 61—62, 64—65, 102
მოსინიკები 83
მოსკოვი 8, 51, 300
მოსოხი 8
მოსხური მთები 95
მრავალმთა 108, 151, 161, 280
მტკვარი 5—6, 9—12, 16—19, 21, 24, 26—27, 31—34, 38—41, 52—56, 58, 60—63, 65—66, 74, 94—95, 97—100, 102—104, 109—110, 118, 127, 137, 148, 158, 161, 172—173, 178, 193, 219—220, 224—225, 240, 268, 279, 293, 314—316, 336, 349—354, 356
მუზაფირიდები 200—202
მუკადდასი 345, 346
მუნაჯიმ-ბაში 229, 232
მურვან იბნ-მუჰამედ ყრუ 174, 316, 330
მუსხელიშვილი დ. 4, 21, 36, 39—40, 44—46, 89, 100, 112—115, 119, 126, 131, 155, 160, 162; 173—175, 185, 194, 199, 222, 281, 293, 295, 311, 324, 326, 335, 345, 353—354
მუღანი 5, 19
მუშეღ მამიკონიანი 53
მუშეღიანი ხ. 365
მუხახი 154
მცირე აზია 256—258
მცირე ალაზანი 35, 55, 111
მცხეთა 46, 67, 69, 76, 124, 126, 129—130, 134, 153, 214, 226—227, 260, 264, 267, 278, 280, 286, 313, 315—317, 352—355
მცხეთოსი 85
მწარე წყალი 99—100
მხითარ აირივანელი 65, 70, 105, 133, 167
მხითარ გოში 106—107

ნაგები, იხ. რუსთავი
ნავომრები 289
ნადირ შაჰი 326, 328—329
ნანა 129, 265—266
ნაფარეული 356
ნაჭარმაგევი 113
ნახჭევანი 39, 95, 230
ნეიმანი კ. 60

ნეკრესი (ნელქარისი) 119, 123, 131—132, 137, 143, 147, 151—152, 172, 195, 268—270, 277—279, 313, 317—319, 320, 321, 323, 346, 355
ნერსე, ერისმთავარი 155, 179, 281
ნერსეს I პართელი 132, 319
ნერსეს-ბაკური 164—166
ნიანია გრიგოლ მაოხრებლის შვილი 312
ნიანია ქუაბულის ძე 232
ნიკორწმინდა 216—217
ნინო 67—68, 70, 76, 123—130, 145, 265—266, 271, 356
ნინოწმინდა 68, 98, 125—127, 170
ნიორაძე გ. 89, 241—244
ნისაბური 366—367, 369
ნოკი 10,58, 66
ნოსრა (ნოსორნა) 149, 276
ნუხპატელები (ნოპატელნი) 149, 176, 276, 306, 323—324, 327, 329, 332, 335
ნუხპატი (ნოპატი) 150, 176, 277, 322—333, 335, 346, 357
ნუხა 13, 32, 38, 58, 64, 88, 101, 143, 177 ,182—183, 247, 323—324, 329, 335—337, 356

ოგუზები 80
ოზაანი 196, 290—291
ომაელები 363—364
ომანის-ხევი 99
ორენყალა 20, 66, 220, 351
ორთანე 113
ოროდა 333
ორფისე 38
ორქისტენე 36
ორჭობი 198—199
ოსები 109—110, 116, 225
ოსეთი 47, 225
ოსკი 113
ოსმანი 173, 282
ოტენე 60
ოქროპირი 331
ოქსოსი 349
ოშკი 213
ოძრხე 122

პანკისი 227
პაპი ალექსანდრიელი 30
პაპი, სომეხთა მეფე 53
პაპუაშვილი თ. 52, 299, 328, 335, 357
პართია 361
პარტავი, იხ. ბარდავი
პარხალი 213
პატარძეული 125
პატკანოვი კ. 18, 24, 29, 116, 167
პატროკლე 349
პაული-ვისოვა-კროლი 16
პახომოვი ე. 154, 241, 331
პერიხანიანი ა. 258, 255
პეროზ-აპატი, იხ. ბარდავი
პეტრუშევსკი ი. 264
პ. ზენ ალოსი 331
პიროს ბრეთელი 151, 278
პლინიუსი 5, 12, 15, 22, 23, 60, 66, 72—73, 75, 90, 94, 95—96, 349
პლუტარქე 5, 38
პომპეუსი 5, 37—39 ,119, 249
პომპონიუს მელა 96
პონტო 116, 255—256, 258, 349
პონტოს კომანა 253
პონტოს კომანა 253
პოსიდონიოსი 249
პტოლემაიოსი 11—12, 14—15, 22, 25, 30, 32, 60, 73, 82

ჟალეთი 123—124, 356
ჟამთააღმწერელი 293—797, 330, 331, 357
ჟორდანია თ. 33, 113—114, 149, 156, 157—158, 268

რაჲ 365—367
რამ ჰურმუზი 366
რამიშვილი რ. 4, 89—90, 115, 117, 239, 242—243
რანი 9, 16, 85, 104—105, 116, 124, 129, 177, 193, 216—218, 220—221, 225, 311, 355—357
რანოვიჩი ა. 255
რაჟ-თარხანი 178
რაშიდი 174

რახსი იხ. არაქსი
რეკი 129, 265
რეხულა 278
რიონი 352
რომაელები 7, 38—39, 121
რომი 122, 361
როსტოვცევი მ. 252
რუგუჯი 229
რუსთავი 98—99, 132, 157, 231, 286, 290, 353

საბერძნეთი 134
საბინინი 174
საბუე 169
საგარეჯო 354
საგდუხტი 133—134
საგურამო 97
სადრ უდ-დინ ალ-ჰუსაინი 231
საინგილო 47, 75, 88, 101, 323
საკასენა (შაკაშენი) 20, 63, 336
საკები 20, 63—64, 336
სალარიდები 200, 202, 212, 221
სალიანი 350
სალმან იბნ-რაბია ალ-ბახილი 173, 282
სამარყანდი 366—367, 369
სამგორი 354
სამება 68—69
სამების ხევი 68—69, 98, 100
სამთავისი 278
სამური 22, 49—50, 51, 62, 343
სამუხი 354
სამშვილდე 104, 232
სამცხე 232
სანარები, იხ. წანარები
სართიჭალა 354
სარირი 354
სარმატია 14, 18, 72
სარმატები 245—246
სარუბაში 358
სასანიდები 22, 54, 122, 132, 154—155, 218—219
საფურცლე 76
საქართველო 4, 14, 49—50, 61, 79, 103, 106, 108, 110, 127, 130, 139, 145, 150, 153, 171, 179, 181, 190, 213—214, 219, 221—222, 229—231, 233, 235—237, 238—239, 245—247, 259, 262, 270, 274, 278, 289, 292—293, 295, 298, 304—306, 321—322, 330, 346, 370
საღირ მახატლის ძე 292—293
საჯიდები 221
საპაკი, ალბანთა კათალიკოზი 205—206, 209
საჰლ იბნ სუმბატი 185—192, 198, 308—309
სებეოსი 54
სევანის ტბა 353
სელევკიდები 116
სელევკი 349
სემი 87
სენექერიმი 208
სენ-მარტენი ვ. 29, 109, 218
სენტ-კრუა 29
სეჯესთანი 365—369
სიენიეთი 67, 153, 205
სიენიელნი 68, 156
სილვები 72—74
სიმონი 166
სინაურიძე მ. 41, 284—286, 287—289, 359—361
სირია 150, 366—369
სისაკი 57
სისიანის რაიონი 33
სიღნაღი 69, 107, 263, 354, 356
სკვითები 116, 245—246
სოანა 14—15
სომხები 39, 43, 54, 64—65, 68, 70, 72, 78, 81, 85, 93, 110, 135, 156, 158—159, 167, 228, 245—246
სომხეთი 3, 5, 10, 12, 14, 18, 33, 35—37, 39, 43 , 52—54, 59, 61, 64, 70—71, 79, 95, 106—108, 119, 122, 128, 136—138, 142, 156—160, 162—165, 167—168, 180, 189—190, 192, —193, 196, 202, 204—207, 209, 219, 240, 249, 252, 256—258, 267, 305, 337—340, 346, 353, 368
სომხითი 39, 104 , 113, 123, 129, 153, 156—158, 161, 176, 179, 189, 194, 294
სომხითის ხევი 158—159

სპარსეთი, იხ. ირანი
სპარსელები, იხ. ირანელები
სპერი 111
სპერის ზღვა 93
სპრამა 164—166, 188, 191—192
სტეფანე ხირსელი (ქიზიყელი) 150, 152, 277, 280
სტეფანოზ ვარჯანის ძე 227, 188, 191
სტეფანოზ ორბელიანი 168, 203
სტრაბონი 5, 12, 14—15, 20, 33, 35—37, 56, 62—63, 90, 94—95, 119, 244—247, 249—250, 252, 254, 256, 258, 316, 336, 349, 351—352, 354
სტრუვე ვ. 35
სუკრი ა. 18, 19, 29
სულაკი 14—16
სუმბატ ბივრიტიანი 39—40
სუმბატ დავითის ძე 20—21, 33, 44, 153, 155, 164, 167, 172, 182—183, 213, 221—222, 280—282, 309, 317
სუმბატ VI კუროპალატი 184
სუმბატმანი 186
სუჯები (სოჯები, სოდები, წადები, წავდეელები) 66—71, 77, 80, 89, 115, 123—125, 128, 135—136, 146, 167, 238, 265
სუჯეთი 48, 67, 69—70, 146, 167—168, 233

ტაბარისთანი 366—369
ტაო-კლარჯეთი 171, 200, 213, 221, 305
ტარონი 177, 181—183, 186, 325—226
ტაშირი 102—104
ტაციტი 90, 120
ტბელი 292
ტერ-გრიგორიანი ტ. 107
ტერ-დავითი 65, 167
ტერ-მკრტჩიანი გ. 204
ტერ-სტეფანოსი 107—108
ტერტერი 60—61, 166
ტიბაანი 44
ტიგრან II 36—37
ტიგრანაკერტი 316
ტოკარსკი ნ. 302, 304
ტომაშეკი ვ. 16—17, 250
ტოპრაკკალა 347—348
ტრევერი კ. 7—8, 12—13, 60, 62, 74, 117, 240—241, 248, 257, 302, 304, 346
ტურიანი 25
ტუსკები 82
ტყეტბა 97—100, 111

უკერტი 15, 17
ულუმბო 278
ურბნისი 286, 315
ურდურე 225
ურიათუბანი 147
ურმიზდ IV 362
ურმიის ტბა 107
ურჰა (ედესი) 65
უტი 12, 17, 33, 52—54, 56, 58, 59—61, 63, 65, 78, 220, 237, 339—340
უტიელები (უდინები) 6, 10, 57, 58, 60—61, 63, 65—66, 69, 80, 82, 242, 339
უფადარი 296
უხთანესი 65, 70—71, 122—123, 137, 139—140, 142
უჯარმა 130, 172, 232, 354—355

ფადლა II 199
ფადლონი 196, 217, 224—225, 231—232
ფავენე 36
ფაზისი 349
ფაიტაკარანი 12, 16—17, 19—20, 52—54, 60, 66, 220
ფანიანი 297—298
ფარავნის ტბა 76—77
ფარისოსი 39
ფარნავაზი 21, 88, 94
ფარნაჯომი 119, 318
ფარსმან I, 120—121
ფარსმან II ქველი 121
ფარსმანი, მღვდელი 65, 70, 167
ფარცხისი 232
ფასიდ-ჰირკანიის გზა 350—352
ფაუსტოს ბიზანტიელი 19—20, 22, 53, 71
ფეროზი 104, 124, 356

ფილიპე არაბი 122
ფირუზი 23
ფიფინეთი 357
ფიცხელაური კ. 91
ფოილო 100
ფორბიგერი ა. 14—15, 17
ფშაველი 169, 362, 364—365, 369
ფხოველი 59, 147

ქავთარ ბარამისძე 235, 311—312
ქამბეჭანი, იხ. კამბეჩანი
ქართამი 121
ქართები 64, 77—79, 85—87, 90, 109, 118,—119, 129—131
ქართველები 36, 39—40, 43, 51, 61, 68, 70, 78, 83, 85—89, 92, 95, 109—111, 116, 131, 134, 156, 158, 160, 163, 210, 214, 241, 320, 335
ქართლი 5, 12, 21, 27—28, 31, 39—40, 44—46, 49, 52, 55, 76—78, 87, 93—95, 97, 102—103, 109—110, 113, 116—117, 119—120, 122—124, 126, 128—134, 138, 139, 141—143, 150—153, 155—156, 162—164, 171—173, 175—176, 178, 179, 183, 189, 194, 199, 209, 222, 226—227, 230—232, 234, 239—240, 249, 260—262, 266—267, 269, 278—283, 286, 302—303, 306, 315, 317—318, 320, 330, 342
ქართლ-კახელები 3
ქართლოსი 85—88, 97
ქასრე სასანიანი 123
ქედაბეკი 162
ქვეელ დაბა (ქცელ დაბა) 67, 124—126
ქვემო მაღარო 242
ქვემო ქართლი 102—105
ქვემო ხოდაშენი 242
ქვეშკაფორი 178
ქიზიყი იხ. კამბეჩანი
ქინძარელნი 76
ქირმანი 365, 367—370
ქოდალა 147
ქოლაგირი 280
ქსანი 126, 232
ქტეზიფონი 135
ქუთაისი 232
ქურმუხი 48, 50—51, 358
ქუფა 365—367, 369
ქცია 100

ღლიღვები 225

ყაბალა 173, 221
ყადორი 358
ყაზახი 10, 22, 32, 107, 353,
ყანი-ყობი (ყანი) 52, 154, 328
ყარაბაღი 17, 52, 56, 59, 61—62 190, 193, 196, 209, 220
ყარაია 33, 99—100
ყარაულოვი ნ. 25
ყარაღაჯი 99, 316
ყაუხჩიშვილი თ. 223, 245, 251, 256, 258, 309
ყაუხჩიშვილი ს. 21, 34
ყაფი-ჩაი 50, 52, 145, 328
ყვარელი 362, 368
ყვარლის წყალი 119, 279, 318, 355
ყოღოთო 41, 89, 241—242, 283—288, 297—298, 359—361
ყუმი 195, 248, 299—304, 347

შაბურ I 122—123, 285, 361
შაბურ 123
შავი ზღვა 349, 352
შაკაშენი, იხ. საკასენა
შალაური 242
შალვა ხორნაბუჯელი 297
შამქორი 60, 217, 344—345, 353—354
შანიძე ა. 58, 78
შაპორანი 344
შარიფოვი დ. 89, 241, 300
შაქელები 189, 197, 222,
შაქი (შაკიხი) 11—13, 17—18, 27—28, 31—34, 45—46, 52, 59—60, 64, 73, 88, 100—101, 145, 154, 173, 177—178, 180—186, 188—193, 196—198, 201—202, 212—213, 222, 224, 229—231, 247, 308, 310, 323, 324—326, 329, 331, 335—337, 340, 343—346, 357 343—346, 357
შახატუნი 186

შახნაზარიანი კ. 186
შაპ-აბასი 49
შედადიდები 212, 221
შეკილი 32, 336
შემახია 65—66, 221, 344—345
შერეფედინ ალი-იეზდი 24
შექი-თერექემე 336
შიბლიანი 147
შილდა 75, 119, 132, 195, 312
შიო მღვიმე 234
შიო მღვიმელი 150—151, 279
შირაკი 192, 206—208
შირაკუნი 39
შირაქი 94—95, 314, 317, 354
შირვანი 11, 14, 17, 201—202, 212, 219, 221, 230, 236, 295, 344—345
შმერლინგი რ. 333
შოთა გრიგოლის ძე 236
შოპენი ი. 250
შორაპანი 352
შტორი 98—100, 179, 224, 227, 309
შუამთა 98
შულავერი 176—177
შუშანიკი 102—103, 156
შუჩი 178

ჩადივარი 99
ჩარეკის ციხე 107
ჩახრუხაძე 220
ჩელთა 75, 178, 314
ჩეჩენ-ინგუშები 110
ჩიქობავა ა. 333
ჩორდი (ჩოლა) იხ. დარუბანდი
ჩოხურ-იურტა 118
ჩუბინაშვილი გ. 4, 44, 91, 132, 143, 146, 161, 196, 215, 274, 300—301, 304—305, 321—323
ჩუმლაყი 147
ჩუხურ-კაბალა 25

ცივის მთა 148, 316, 320
ცივ-გომბორი 95
ცინცაძე ი. 312
ცრი 72
ცურტავი 43, 102, 156

ძველ ანაგა 41, 89, 241—242, 283, 287—290, 297, 355—356, 359—360
ძველ დაბა 126
ძველი გავაზი 242
ძორაკერტელი 226
ძოროფორი 104

წავდეელები, იხ. სუჯები
წალკა 286
წანარები 72, 82, 212, 222, 307
წანარეთი 48, 193, 197, 201—202, 212—213, 309
წახურები 51, 298
წახური 49—51, 299, 358
წითელწყარო 241, 317
წილბანი 75
წილკანი 279
წინამინდორი 296
წინანდალი 125, 147, 242, 363
წირქუალელი 224, 230
წლევის მთა 278
წობენი 128
წობოფორი 104
წუნდა 122
წუქეთი 13, 32, 46—52, 101, 136, 145, 175—178, 268, 298—299, 301—306, 309—310, 323—325, 328—330, 343, 358

ჭარი 50—51, 75, 263, 328—329, 357
ჭარელები 326, 328—329, 335
ჭარის წყალი 357
ჭარ-ბელაქანი 263
ჭერემი 103, 137, 143, 146, 147, 148, 172, 268, 270, 275, 313, 317, 320—322, 346, 356
ჭერმის წყალი 147, 320
ჭიაური 242
ჭიკაანი 362, 368
ჭილაშვილი ლ. 4, 99—100, 199. 315—317, 320
ჭილბები (ჭიღბები) 71—72, 74—75, 77, 80, 115, 119, 122, 128, 238, 307
ჭიჭუმი 174
ჭოეთი 316, 318

ბაზარები 27, 31, 59, 80, 116, 163, 178—179, 283, 343—344
ბაზარეთი 356
ხალიდ იბნ-იაზიდი 189
ხალხალა 59
ხაშმი 68, 100, 125, 146
ხაჩენი 108, 202, 207—209
ხახანაშვილი ა. 88, 145, 147, 154, 300
ხახული 223
ხახუტაიშვილი დ. 350, 355
ხევსურები 259, 261
ხევსურეთი 258
ხენი, იხ. ენნი
ხერკი 178
ხვარაზმელები 148, 294, 297
ხირსა 44, 151, 169, 195, 226, 277—279, 310—311, 317, 355—356
ხორანთა 32, 97—98 100—101, 148, 224, 293, 296, 313—316. 344, 346, 355—356
ხორასანი 365—369
ხორზენე 36
ხორნაბუჯი 41—42, 137, 142,—143, 147—148, 154—155, 172, 179, 183, 223—224, 227, 232, 268—270, 275, 279, 281, 283, 286, 288—289, 292—293, 296—297, 309—310, 313—318, 346, 355—356, 359—360
ხოსრო 1 ანუშირვანი 154, 317, 343
ხოსრო 11 ფარვიზი 183, 362
ხოსრო, სომეხთა მეფე 71, 122,
ხოსროვ ანძეველი 204
ხუასრო 103, 148—149, 179
ხუასროიანები 171
ხუზაშენი 20—22
ხუზისთანი 366—367
ხუნანი 21, 93, 98, 100, 314, 345
ხუნზახი 100—101, 224, 310, 326, 330—335
ხუნზები 13, 48, 175—177, 298, 325, 330—331, 334
ხუნზეთი 298, 334, 357
ხუნძური ყოფსუ 333
ხურამიტები 189
ხურშიტი 51
ჯაჟ 365—368
ჯავახეთი 104, 109
ჯავახნი 109
ჯავახიშვილი ივ. 4, 21, 42, 45, 69, 72—74, 82, 84, 88, 91, 94, 101—102, 130, 138—139, 141—142, 149—150, 174, 189, 195, 199, 215—217, 232, 247, 251, 276, 314, 323—324, 331, 353—354, 356
ჯალალედინი 294
ჯალაღანია ი. 364
ჯანაშვილი დ. 101
ჯანაშვილი მ. 174, 323
ჯანაშია ს. 4, 46—47, 82, 90—91, 94, 104, 111—113, 145, 165, 173, 193, 242, 246, 248, 251, 254—255, 260, 265, 266, 269—270, 272, 274, 330, 350
ჯაფარი 224—225
ჯაფარიძე გ. 364
ჯედი 224, 227
ჯევანშირი 31, 302—304
ჯეირან-ქეჩმა 178
ჯიბალი 365—369
ჯიბღუ 20, 163
ჯინიხი 328
ჯიქური 296
ჯოჯიკი 358
ჯუანშერი 13, 28, 33, 41, 45—46, 48, 75, 96, 103—104, 112, 133—134, 136—137, 147—149, 155, 172, 174—175, 177, 182, 268—269, 276, 298, 302, 309, 313, 316—319, 320—327, 329, 344, 347, 356
ჯუანშერი, ერისმთავარი 171, 179—180

ჰაბანდი 178
ჰაზიმ ხუზაიმა 174
ჰაიდარ იბნ-ყაუ 189
ჰალა 333
ჰამდალახ ყაზვინი 24, 219
ჰაოსი 85, 107
ჰარუნაბადი 366
ჰარქი 106
ჰეპდინგი 251—252
ჰერათი 367, 369

ჰერაკლე I 20, 163—164
ჰერგი 106—109
ჰერეანი 106
ჰერები 3, 31, 64, 78, 80, 82—93, 111, 115, 117—118, 123, 128, 130—131, 156, 210, 225, 236, 239, 242, 243, 287
ჰერეთი 3—5, 12—13, 27—28, 31—32, 37, 46—49, 55—56, 64, 69—71, 75, 77,—79, 81—85, 87—94, 97—113, 115—117, 119—137, 140, 142—145, 147—173, 175—185, 188—218, 220—231, 233—240, 242, 246, 247, 249—250, 260—272, 274—281, 283, 286, 295, 298—299, 301—302, 305, 307—318, 320—325, 330—332, 334 — 337, 340, 342—350, 352—358, 360—364, 368—370
ჰერეთ-კახეთი 13, 221—223, 236, 309, 354
ჰერეთის კარი 242
ჰერეთის მთა 148
ჰერი 82, 84—85, 109, 111—112
ჰეროდოტე 90, 117
ჰეროსი 55, 84, 87, 97—98, 105, 107, 220, 313
ჰიროე 84
ჰირკანიის ზღვა 349
ჰიუბშმანი ჰ. 20, 34, 36, 60
ჰნარაკერტი 6, 57
ჰორმიზდ IV 183
ჰუვეი 345—346
ჰულაგუ 295
ჰუნანი 206—207
ჰუნები 71, 105

Абегян М. 30, 161
Абрамян А. 32, 341
Адонц Н. 53, 61—62, 138, 142
Азербайджан 12, 80—81, 107, 252, 253, 302
Алазани 11, 75, 96, 248
Алазанская долина 248
Албания 9—12, 78—79, 81, 88, 96, 107, 240, 248, 250, 253, 256
Албаны 10, 96, 159, 243
Алвани 75
Алиев К. 249
Ал-Исстахри 346
Ал-Мукаддасий 345—346, 357
Альтман М. 187
Аракс 11—12
Араксене 20
Аранта 75
Армения 11, 79, 240, 248
Армяне 79, 96, 158, 159
Арташат 271
Ахмед ибн Лютфуллах 229, 232

Баграт IV 223
Бакиханов А. 7, 51, 80, 251
Бакрадзе Д. 162
Баладзори 34, 154, 173, 189, 282, 309, 317, 343
Барановский П. 144, 300
Бартольд В. 11, 251, 350
Белокуров С. 51
Бердзенишвили Н. 175
Болтунова А. 60, 255
Брстаницкий Л. 144, 302
Броссе М. 211
Бубакар 159
Бунятов З. 33, 42, 164, 187, 191, 201, 309

Вандов Р. 348
Вардан Великий 190
Варскен 104
Варташен 58

Гавур-Каласи 25
Гандзакеци К. 31, 107, 162, 164, 166, 344
Гевонд 24—27, 178, 182, 283, 306
Гис (Гиш) 32
Гозалишвили Г. 350
Гордеев Д. 223
Григорий Просветитель 271
Грузины 79, 158, 162
Грузия 92
Гумилев Л. 183
Гурген 162

Дагестан 11—12
Дербенд 9, 11—12
Джавахов И. 139, 142
Джафарзаде И. 351
Динара 162
Дондуа В. 88. 175
Дорн Б. 11, 25, 32, 335—336

Егише 32
Ельникций Л. 121
Еремян С. 9, 21—22, 24—25, 42, 61, 64, 75, 84, 143, 270—272, 353—354, 357

Жузе П. 335

Закавказье 240
Закатальский округ 88, 107, 162
Зограф А. 361

Иберия 11, 88, 96, 107, 248
Иберы 96
Ибн-руста 334
Ибн ал-Факих 343
Ибн-Хаукаль 201—202, 212, 346
Иессен А. 66
Инджиджьян Л. 29
Иори 96
Исмизаде О. 241, 243
Ишханик 162
Ишханов Л. 301

Кабала 25
Каганкатваци М. 6, 8, 11, 20, 23, 31, 45, 54, 57, 59, 62, 164—167, 187—188, 191—193, 212, 273, 283, 303—304, 308, 337—341, 357
Казиев С. 348
Какабадзе С. 127, 218
Какагский 167
Кальнинг-Михайловская Л. 144
Камбисена 20, 248
Капанадзе Д. 285
Карасу 25
Караулов Н. 154, 335
Карачай 25
Картли 27, 75, 239
Каспийское море 11—12
Кахети 12, 27, 75, 79, 92
Кахи 88, 92
Кахский р-н 107, 248
Квирике III 223
Кекелидзе К. 83
Кирион 211
Крымский А. 6, 9, 11, 23—24, 32, 191—193, 198, 212, 213, 219, 247, 335—336
Кум 248
Кура 12, 60, 78

Латышев В. 83—84, 250
Левиатов В. 250
Липевич И. 50
Лбиня (Лпник), 9, 74—75
Лубены (Липоны) 73
Лукулл 96

Манандян Я. 28, 30, 38, 254, 350, 353, 370
Марр Н. 79, 110, 159, 162, 333
Масуди 197, 334, 346
Меликишвили Г. 27, 36—37, 89, 116, 119—121, 239, 248, 258, 260—261, 269, 272, 350, 353
Меликсет-Бек Л. 76, 82
Месхна Ш. 316, 322
Мингечаур 32, 58
Минорский В. 9, 75, 189, 197, 231, 334, 336, 344
Мушегян Х. 366—367, 369
Мхитар Айриванеци 105, 133
Мхитар Гош 106—107

Нидж 25, 58
Нуха 78, 92

Отена 60

Патканов К. 18
Пахомов Е. 96, 154—155, 251, 360—368
Периханян А. 256

Петрушевский И. 264
Пигулевская В. 183
Пицхелаури К. 91
Плиний 96
Плутарх 96
Помпей 96
Птоломей 96
Пурцеладзе Д. 69

Рамишвили Р. 90, 115
Ранн 104
Ранович А. 255
Рим 96

Сакасена 20
Саламзаде А. 144, 302
Самур 74
Сарматия 11
Себеос 54
Страбон 88, 96, 247—248, 250, 252, 254—255, 257
Струве В. 35

Тер-Григорьян Т. 31
Тертер 60
Томашек 96
Томпсон Дж. 350
Трдат III 271
Тревер К. 8, 12, 20, 25, 60, 62—63, 74, 117—118, 121, 240, 242, 248, 257, 302, 304, 336, 346

Ути 10, 60
Утийцы 10, 58
Усейнов М. 144, 302

Фавстос Бузанд 53

Халилов Д. 348
Хаханов А. 88, 143, 154, 169, 300
Хоренский Моисей 61—62

Чарн 92
Чубинашвили Г. 44, 91—92, 143, 144, 146, 161, 195—196, 215, 274, 280, 290, 300—301, 304—305, 319, 321—322, 324

Шанидзе А. 58, 78, 115
Шарифли М. 200—202
Шарифов Д. 144, 300
Шеки 11, 247
Шепелева Л. 211
Шилда 75
Ширван 9, 11
Шмерлинг Р. 333
Шопен И. 250

Эрети 27, 79, 83, 104, 158, 162
Эры 88

Юшков С. 9, 12, 22, 62, 74, 96, 250

Якуби 309
Якути 11
Ялойлутепе 243
Ямпольский З. 10, 20, 32, 58, 80—81, 96, 121, 253, 335, 339, 341, 350—352
Яновский А. 11, 25, 60, 73, 250, 336

Ağowan 9
Akinean N. 164
Alban 9
Albania 14
Alowan 9
Alvan 6
Aran 9
Axara portum

Baer K. 16
Brosset M. 65—66, 71, 75, 107, 122, 142, 160, 167, 197, 215—216, 315, 323

Castillum Marsambaram 24
Cornellius Tacitus 120

Dowsett C. J. F. 32, 187, 190, 336

Eichwald E. 14, 17
Eriahi 112
Eroon 84, 353—354
Euroda 333

Forbiger A. 14, 17

Hepding 252
Hiriol 109—110
Hiroae 84, 353—354
Hübschman H. 19—20, 34, 37, 60

Kiracos de Ganntzac 65
Kretschmer K. 74

Laurent J. 181
Lphinkh 83
Lupenii 9, 72

Manandian A. 72
Mannert K. 15, 17
Marquart J. 16—17, 22, 28, 30, 36, 63, 84, 142, 174, 181
Minorsky V. 34, 60, 173, 184, 185—186, 198, 201—202, 336
Mkhitar D'Airivank 65, 70
Moise de Corene 18

Neuman K. 60
Niga 32

Oukhtanes d'Ourha 65

Patria Lepon 73
Philado 353—354
Plinius 66, 73

Qambizan 34
Qamibaran 34

Ran 9
Rostowzew M. 252

Sainte—Croix 29
Saint-Martin J. 29, 48, 105, 109, 126, 335
Silvi 74
Sodi 66
Soukry A. 18, 22, 25, 26—27, 34, 54—56, 72
Stephannos Orbelian 168, 203

Tarn W. 350
Tel eda
Toll W. 285
Tomaschek 16—17, 250
Toumanoff C. 184, 186, 215
Tphilado 353
Tphilida 353

Ukert F. A. 15, 17

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 3

თ ა ვ ი I ჰერეთ-ალბანეთის ისტორიული გეოგრაფიისა და ეთნიკური შემადგენლობის საკითხები 5

თ ა ვ ი II ჰერეთის ისტორიის ძირითადი ეტაპები უძველესი დროიდან ვიდრე VII საუკუნემდე . . . 115

§ 1. ჰერეთ-სომხეთის ურთიერთობის საკითხისათვის ადრეფეოდალურ ხანაში 156

თ ა ვ ი III ჰერეთი VIII—XII საუკუნეებში 171

თ ა ვ ი IV ჰერეთის სოციალურ-ეკონომიური განვითარება უძველესი დროიდან ვიდრე XII საუკუნის 1 მეოთხედამდე . . . 238

§ 1. ანტიკური ხანის ჰერეთის სოციალური განვითარების ზოგიერთი საკითხი 238

§ 2. ჰერეთის სოციალურ-ეკონომიური განვითარება IV—XII საუკუნეებში . . 264

§ 3. ჰერეთის ქალაქები . . 313

§ 4. საეკლესიო გზებისა და ვაჭრობის როლი ჰერეთის ეკონომიურ განვითარებაში 349

საძიებელი . 371

Тенгиз Георгиевич Папуашвили

ВОПРОСЫ ИСТОРИИ ЭРЕТИ

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი ც. თ ო დ უ ა
კორექტორი ლ. ჩ ა ბ ა ნ ა ვ ა

გადაეცა წარმოებას 20.4.1970; ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.VIII.70;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ნაბეჭდი თაბახი 24,5; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 23,0; უე 0144; ტირაჟი 1300; შეკვეთა № 1058;
ფასი 2 მან. 02 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15.

საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი 60, კუტუზოვის 15
Типография Академии наук ГССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15